ს.ს.ს.რ.
ს ა ხ ა ლ ხ ო
გ ა ნ ა თ ლ ებ ი ს
კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი

ახალ სკოლისაკენ

წელ. 1.
ო რ თ ვ ი უ რ ი
პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი
ჟ უ რ ნ ა ლ ი

№ 1
ი ა ნ ვ ა რ ი

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
ტ ფ ი ლ ი ს ი. 1924 წ

ქართული წიგნები

მასწავლებელთათვის:

სალიტერატურო ქართულისათვის	—	35 კაპ.
პროფ. გეხტმანი--საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია		
ქურდიანი—მეტყეობის ენციკლოპედიური კურსი	2 მ.	—
ი. მეჩნიკოვი—ადამიანის ბუნება	1 „	50 „
სტენლი ჰოლი—თანამედროვე ბაღის პედაგოგია	—	35 „
ზანდუკელი—ესთეტიური აღზრდა მთლიან შრომის სკოლაში	—	50 „
მოროზოვა—თანამედროვე საბავშო ბაღი	1 „	—
ლ. სინიცკი—შრომის სკოლა		
პროფ. ჯონ დიუი და ეველინა დიუი—მომავლის სკოლები		
„ბუნება სკოლაში“ რ. ნიკოლაძე-პოლიეევქტოვის რედაქტორ.		
რ. ნიკოლაძე—მათემატიკა პაწიებისათვის	—	25 „
გ. მერკვილაძე—ქართული მოძრაი თამაშობანი . . .	—	50 „
ინჟ. ვ. კაკაბაძე—მრეწველ. განვითარების საკითხი ჩვენში	—	20 „
„ „ შინამრეწველ. განვითარ. საკითხი ჩვენში	—	20 „
„ „ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი .	—	20 „
ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“-№№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8		
ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი“ 1923 წ. №№ 1, 2		
1924 წ. №№ 1, 2.		
„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე I, II და III.		

ლენინი

1870—1924

1924 წ. 21 იანვარს, მოსკოვის მახლობლად, გორკაში, გარდაიცვალა ვლადიმირ ლენინი.

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინი არ არის... აღარა გვყავს ლენინი. ბნელმა კანონებმა, რომლებიც განაგებენ სისხლის ძარღვების მუშაობას, შესწყვიტეს ეს სიცოცხლე. მედიცინა უძლური აღმოჩნდა იმის შესრულებაში, რასაც მისგან გულის ფანცქალით მოელოდენ და მოითხოვდენ მილიონ ადამიანთა გულები.

და რამდენია მათ შორის ისეთი, რომლებიც წარბშეუხრელად და დაუფიქრებლად დასთმობდენ თავის სისხლს უკანასკნელ წვეთამდე— რომ გააცოცხლონ, განაახლონ უდიდესი ბელადის, ლენინის, ილიჩის ერთადერთის და გაუმეორებელის სისხლის ძარღვების მუშაობა.

მაგრამ სასწაული არ მოხდა იქ, სადაც უძლური აღმოჩნდა მეცნიერება.

და აი, ლენინი აღარ გვყავს. ეს სიტყვები ისეთი სიმძიმით ვარდებიან ჩვენ გონებაში, როგორც უზარმაზარი კლდე ზღვაში.

შეიძლება ამის დაჯერება?

შეიძლება ამის აღიარება?

მთელი ქვეყნის მშრომელთა აზრი არ მიიღებს ამ ფაქტს, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერია მტერი, ვინაიდან ჯერ კიდევ გძელია გზა, ვინაიდან ჯერ კიდევ დაუსრულებელია მუშაობა უდიდესი ისტორიაში, ვინაიდან ლენინი ესაჭიროება მსოფლიო მუშათა კლასს უფრო მეტად, ვიდრე, შესაძლებელია, არავინ არ დასჭირდება მას კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ათ თვეზე მეტი გრძელდებოდა ავადმყოფობის მეორე შეტევა, უფრო მძიმე, ვიდრე პირველი. სისხლის ძარღვები—ექიმების მწარე გამოთქმით—სულ მუდამ თამაშობდენ: ეს იყო საშინელი თამაში ილიჩის სიცოცხლესთან, შესაძლებელი იყო გაუმჯობესებაც, თითქმის სრული განკურნვა, მაგრამ მოსალოდნელი იყო კატასტროფაც.

ჩვენ ყველა გაუმჯობესებას მოველოდით, მაგრამ მოხდა კატასტროფა. სუნთქვის ცენტრმა ტვინში უარი სთქვა სამსახურზე და ჩააჭრო გენიალური აზრის ცენტრი.

და აი, აღარ არის ილიჩი...

პარტია დაობლდა.

დაობლდა მუშათა კლასი. სწორედ ამ გრძნობას იწვევს მასწავლებელ ბელადის სიკვდილის ამბავი.

როგორ წავალთ წინ? ვიპოვნით გზას? ხომ არ დაგვებნევა გზა, ვინაიდან ლენინი, ამხანაგი, ჩვენთან აღარ არის.

— ლენინი არ არის, მაგრამ არის ლენინიზმი.

უკვდავი ლენინში—მისი მოძღვრება, მისი მუშაობა, მისი მეთოდი, მისი მაგალითი—ცოცხალია ჩვენში, იმ პარტიაში, რომელიც მან შეჰქმნა იმ მუშურ სახელმწიფოში, რომელსაც მეთაურობდა და მართავდა ჩვენი გულები ამჟამად იმიტომ შეიპყრო უსაზღვრო სევდამ,

რომ ჩვენ ყველანი, ისტორიის წყალობით, დავიბადეთ ლენინის თანამედროვეებად, ვმუშაობდით მასთან ერთად, ვსწავლობდით მისგან,

ჩვენი პარტია არის ლენინიზმი მოქმედებაში.

ჩვენი პარტია არის მშრომელთა კოლექტიური მთელი... და თვითეულ ჩვენგანში ცოცხლობს ლენინის ნაწილი—ის, რაც შეადგენს თვითეული ჩვენგანის საუკეთესო ნაწილს.

როგორ წავალთ წინ?

ლენინიზმის ლამპრით ხელში.

ვიპოვით გზას?

კოლექტიური აზრით, პარტიის კოლექტიური ნებისყოფით—ვიპოვით.

და ხვალ, ზეგ, ერთი კვირის შემდეგ, ერთი თვის შემდეგ ჩვენ შეეკითხებით ჩვენ თავს: ნუთუ ლენინი აღარა გვყავს? ვინაიდან ბურჟების წარმოუდგენელ, საშინელ თვითნებობად წარმოგვიდგება და დიდხანს კ დევ ასე წარმოვიდგენთ მის სიკვდილს.

დეე, ნემსის ჩხვლეტა, რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით და ვგრძნობთ, ყველასათვის იმის გახსენების დროს, რომ ლენინი აღარ გვყავს, შეიქნეს ჩვენთვის გახსენებად, გაფრთხილებად, მოწოდებად: შეხი პასუხისმგებლობა გაიზარდა! გახდი აღმზრდელი ბელადის ღირსი!

მწუხარებით, გლოკით შევამტკიცოთ რიგები, შევაერთოთ გულები.

შევაერთოთ ისინი ახალი ბრძოლისათვის...

ამხანაგებო, ძმებო, ლენინი აღარა გვყავს. მშვიდობით, ილიჩო!

მშვიდობით, ბელადო!

ლ. ტროცკი.

ტფილისი, სადგური.

22 იანვარი. საღამოს 8 საათი.

ვლადიმირ ლენინი

(გაზეთებიდან)

ვლადიმირ ლენინი დაიბადა 1870 წ. ქ. სიმბირსკში.

ლენინის მამა, ილია ულიანოვი, ჩამომავლობით ყალმეხი იყო. ის დიდხანს მუშაობდა ვოლგაზე სახ. სასწ. დირექტორად და დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული როგორც ამხანაგების, ისე მთელი მოსახლეობის.

მამა დედაზე უფრო ადრე მოუკვდა ლენინს. უკანასკნელი გარდაიცვალა 1913 წ.

ემიგრაციაში ცხოვრების დროს, მეფის მთავრობის მიერ დევნილი ლენინი ხშირად ჩიემგზავრებოდა შვეიცარიაში თავისი მოხუცი დედის მოსაფერებლად და მოსაალერსებლად.

ვლადიმირ ილიჩი სწავლობდა სიმბირსკის კლასიკურ გიმნაზიაში. 1887 წ. 8 მაისს შლისელბურგის ციხეში ჩამოახრჩეს მისი უფროსი ძმა — ალექსანდრე ულიანოვი, რევოლიუციონერი და ტერორისტულ ჯგუფებში მონაწილე. სხვასთან ერთად მას ბრალდებოდა ალექსანდრე II-ის მკვლელობის მოწყობა.

სიმბირსკის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ლენინი შედის ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რადგან დიდი ქალაქების უნივერსიტეტების კარები მისთვის დახურული იყო. ლენინი სტუდენტად მაინც დიდხანს არ დარჩენილა. 1888 წ. თებერვალში სტუდენტურ რევოლიუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისთვის ის გამორიცხეს უნივერსიტეტიდან და გადაასახლეს ყაზანის გუბერნიის მივარდნილ კუთხეში. მას რამდენჯერმე განუცხადეს უარი უნივერსიტეტში ხელახლა მიღებაზე და მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1891 წ. მას მიეცა საშუალება სასწრაფოდ ჩაებარებინა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ლენინი იმყო-

ეგებოდა პოლიციის სასტიკი თვალყურის ქვეშ. მას აკრძალული ჰქონდა გამგზავრება საზღვარგარეთ.

ლენინი მოწაფე

1888-89 წლებში ლენინი ოთხმის გამუდმებით სცხოვრობს ყაზანში, ხოლო 1889 წლის ზაფხულში-ის მიემგზავრება სამარაში, სადაც რჩება 1893 წლამდე იქ ის უახლოვდება მარქსისტების პირველ ჯგუფის წევრებს ა. ი. სკლიარენკოსა და ი. ბ. ლალაიანცს. იმავე წლის შემოდგომაზე ლენინი ჩადის პეტროგრადში.

* * *

ლენინის პირველ რევოლიუციურ მოღვაწეობამ სტუდენტურ წრეებში ჩაიარა.

როდესაც ლენინი დათხოვნილი იყო ყაზანის უნივერსიტეტიდან, ამბობს ზინოვიევი, ის ჩამოვიდა პეტროგრადში. და აი ის ეკიამბობდა

ჩვენ, თუ ჯერ კიდევ სამარაში ოდნავ გატაცებული მარქსისტული იდეებით, როგორ დაიოდა პეტროგრადში და ეძებდა მარქსისტს. მაგრამ მარქსისტი მაშინ ძალიან იშვიათი იყო, მარქსისტი არ იყო პეტერში, ის უნდა გეძებნა დღისით, სანთლით ხელში".

ხალხოსნებმა („ნაროდნიკებმა") დაიუფლეს მთელი ინტელიგენცია, ხოლო მუშათა კლასი ახლად იღვიძებდა პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

მართალია, ლენინი სტუდენტობაში მუშაობდა ხალხოსნურ წრეებში, მაგრამ ის ხალხოსანი არასდროს ყოფილა. ის თავის დღეში არ იზიარებდა ხალხოსნურ თეორიებს და მისი სახელის გახმაურებაც დაიწყო იქიდან, როდესაც მან სასტიკი ბრძოლა გაუმართა რევოლიუციურ ხალხოსნობას, მაგრამ ისეთი დიდი პატივცემული და დამფასებელი არა ჰყოლია ამ პირველ რევოლიუციონერთა თაობას, როგორც ლენინი.

ლენინს, როგორც არავის, აბრმავებდა ისეთი სახელები, როგორც: სოფია პეროვსკაია და ჟელიაბოვი, რომელნიც ოთხმოციან წლებში უუმბარებითა და რევოლვერებით აფეთქებდენ მეფესა და მეფობას.

ლენინს მხურვალედ უყვარდა მუშების პირველი დიდი ბელადი, დურგალი სტეპან ხალტურინი, რომელმაც ნაღმი მისცა „საზამთრო სასახლეს" რომელმაც მუშათა კლასის სახელით გაშალა წითელი დროშა პოლიტიკური ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ.

* * *

პეტრორგრადში ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდა ლენინი აწყობს მუშათა წრეებს და იახლოვეს თავის გარშემო ინტელიგენტ-მარქსისტების პირველ ჯგუფს. მცირე ხნის შემდეგ ხალხოსნურ-ინტელიგენტურ წრეებში ატყდა დიდი განგაში, როდესაც ლენინი პირველ გამოსვლისთანავე თავისი ბრყინვალე ეკონომიური წერილებით ილაშქრებს ნ. მიხაილოვსკის წინააღმდეგ, ილინის ფსევდონიმით.

1894 წ. გამოდის ლენინის პირველი და არალეგალური ნაშრომი „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს". მეორე წელს ლენინი მიემგზავრება ევროპაში. აქ ის მცირე ხნით უახლოვდება აქსელროდს, პლეხანოვს და ზასულიჩს. იმავე წლის ენკენისთვეში ბრუნდება პეტროგრადში და აარსებს „მუშათა განთავისუფლებისათვის მებრძოლ კავშირს".

ამ ორგანიზაციის დავალებით ლენინი აწყობს მუშათა პირველ

გაფიცვებს, სცემს უბრალო ფურცლებს, რომლებიც შეიცავენ პეტერ-ბურგელ მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებებს. მაგრამ პოლიციასაც არ სძინავს და იგი ატუსაღებს „კავშირს“ და მასთან ლენინსაც.

1896 წ. ლენინი ციხეშია. ხოლო 1897 წ. მას ასახლებენ ციმ-ბირში. აქ სწერს წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“. ამ წიგნებით ის საბო-ლოოდ ამარცხებს ხალხოსნობას და „ეკონომიზმს“.

ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, როგორ დამოკიდებუ-ლებაში იყო მუშების პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაშინდელი „ეკონომისტები“, დღევანდელი მენშევიკების წინაპრები, აღიარებდენ, რომ პოლიტიკური ბრძოლა დაკისრებული ჰქონოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას, ხოლო მუშებს კი—ბრძოლა ხელ-ფასის მომატებისთვის. აქ ლენინმა პლეხანოვთან ერთად მოგვცა დიდე-ბული ანალიზი რუსეთში მებრძოლ სოციალური ძალების.

„ჩვენ არ შეგვიძლია ვუცადოთ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებას მუშათა პარტიის დასაარსებლად. მუშათა ორგანიზაციები უნდა შეიქმნეს ახლავე, ცარიზმის კირთების ქვეშ, ვიდრე ბურჟუაზია ჩაიგდებს მთავრობას“. ხსენებული ბროშიურის დედანი ლენინმა გაუგზავნა შვეიცარიაში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს: პლეხანოვს, აქსელროდსა და ზასულიჩს, რომლებმაც სულ პირველებმა დააამყარეს რუსეთში სოციალ დემოკრატია. ისინი მაშინ სცხოვრობდენ ემიგრაციაში 15 წელი. ამ წიგნით მაშინ აღტაცებული იყო პავლე აქ-სელროდი, რომელმაც საჯაროდ სთქვა, რომ პლეხანოვის შემდეგ გა-მოჩნდა ბელადი, მუშათა მოძრაობის პრაქტიკოსი, რომ ლენინი ძალაა, დიდი მომავალის შარავანდედით მოსილი.

ასეთივე დიდი აურზაური გამოიწვია ლენინის მეცნიერულმა შრო-მამ, ზემოაღნიშნულმა წიგნმა—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ეს წიგნი საბოლოო დამარცხებაა ხალხოსნების. ლენინმა აქ დაამტ-კიცა, რომ რუსეთიც ვერ ასცდება კაპიტალიზმის სტადიას. მან ციფ-რების მთელი რიგით დაამტკიცა, რომ რუსეთი 90-იან წლებში უკვე შევიდა კაპიტალიზმის ფარგალში.

ეს წიგნი თვით ბურჟუაზიული პროფესორებისაგანაც დაფასებუ-ლია, როგორც დიდი მეცნიერული ნაშრომი.

ამავე პერიოდში ლენინი აწარმოებს ბრძოლას ეგრედწოდებულ ლეგალურ მარქსიზმის წინააღმდეგ, რომლის სათავეშიც იდგენ ბ. სტრუ-

ვე. ტუგან-ბარანოვსკი და სხ., დღევანდელი ბელადები კონტრ-რევოლიუციურ ბურჟუაზიისა. ლეგალური მარქსისტები პირველად იყვნენ თანამებრძოლები სოციალ-დემოკრატიისა ხალხოსნების წინააღმდეგ და ერთხანს ბლოკიც ჰქონდათ შეკრული, მაგრამ ლენინის ფრთხილმა ყურმა მაშინვე აღმოაჩინა ყალბი ნოტები პ. სტრუვეს და კომპ. პირველ ნაწერებში. ლენინმა მაშინვე სთქვა, რომ ეს—მოკავშირეა მხოლოდ ერთი საათით, ესენი ბოლოს ჩვენი გამცემლები შეიქნებიანო.

სტრუვეს წიგნი თავდება სიტყვებით: „ვალ-არებთ ჩვენს უკულტურობას და წავალთ სასწავლებლად კაპიტალიზმ-ან“. ამაზე ლენინმა ასტეხა განგაში და შეუძახა:—„თვენ ბურჟუაზიული იდეოლოგი ხართ, თქვენ მალე წახვალთ ჩვენგან, თქვენ უღალატებთ მუშათა კლასს!

და განა არ გამართლდა ეს ყოველივე?

* * *

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ლენინი მიდის საზღვარგარეთ. ეს არის მისი პირველი ემიგრაცია. 1901 წ. მარტოვთან და პოტრესოვთან ერთად ლენინი ხელმძღვანელობს გაზ. „ისკრას“. ლენინის პირველი წერილი „ისკრა“-ში იყო: „საიდან დავიწყოთ“. ამ წერილში მან გაშალა თავისი ახლობელი პროგრამა მუშათა მოძრაობისა და რუსეთის რევოლიუციისა. მან აქ საკვლებით დასახა საფუძვლები კომუნისტური პარტიის პროგრამისა და რევოლიუციონურ ტაქტიკისა. ამ წერილში მოცემულია მოელი კვინტესენცია ბოლშევიზმისა. ეს წერილი იყო კონსპექტი შემდგომ გამოსული ლენინის წიგნის, რომელსაც ჰქვიან „რა ვაკეთოთ“. ამ წიგნში ლენინმა დააყენა და გადასჭრა რევოლიუციური სულით ყველა მტკივნეული საკითხები მაშინდელ ეპოქის მოძრაობისა.

„ისკრამ“ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ეგრედწოდებულ „ეკონომიზმს“, ე. ი. მომავალ მენშეკიზმს და მასთან ერთად ესერების ავანტიურიზმს. 21 წლის წინად, მაშინ ახლად აღორძინებულ ესერებს მან უწოდა „რევოლიუციონური ავანტიურისტები“. თქვა იმისა, რომ ესერები იყვენ რევოლიუციონერი რომანტიკოსები და ფანტასტები, მაშინ თითქმის წინასწარმეტყველება იყო, ხოლო ამისათვის კი საჭირო იყო დიდი რევოლიუციურ-მარქსისტული ინტუიცია, ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ ლენინობა.

„ისკრა“ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად დიდ საორგანიზაციო მუშაობასაც ეწეოდა და ირგვლივ იკრებდა დაქსაქსულ ძალებს, მან შე

ქმნა ორგანიზაციო კომიტეტი. „ისკრა“-შივე მუშავდება თანდათანობით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (დღეს კომუნისტურის) პროგრამა.

მაგრამ მალე გამოირკვა უთანხმოება მარტოვთან და მერე პლეხანოვთან, რომელიც სტოვებდა მარქსიზმის პრინციპებს და იხრებოდა ოპორტიუნიზმისკენ. მაშინ ლენინმა გასწყვიტა კავშირი მათთან და „ისკრა“-ც მათ დაუტოვა.

ახლა მან შექმნა პირველი ბოლშევიკური გაზეთი „წინ“, საიდანაც ის მწარე ტყვიებით უპასუხებდა პლეხანოვის მძიმე არტილერიას, რომლიდანაც მალე აღარაფერი დარჩენილა.

1905 წელს საბოლოოდ გამოირკვა, რომ რაც არის ცოცხალი და მოძრავი მშრომელ პროლეტარულ რუსეთში, ყოველივე ეს გაჰყვება ბოლშევიკებს.

1905 წლის ბოლშევიკების პირველმა ყრილობამ ჩაუყარა საძირკველი დღევანდელ კომუნისტურ პარტიას და მაშინ ლენინმა აიმაღლა ხმა, რომ ჩვენ ვერ შევჩერდებით ბურჟუაზიულ რესპუბლიკის შექმნის გზაზე, რომ ჩვენი რევოლიუცია იდგება ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ გადატრიალების საზღვარზე.

1905 წლის რევოლიუციაში ლენინის როლი ძალიან დიდი იყო. მაშინ მუშათა კლასმა იგრძნო საბჭოების აუცილებლობა და ამ დროიდან ლენინის მიმდევარი გახდა. თუმცა მწარედ დამარცხდა მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ ბოლშევიზმის პოლიტიკა მაინც გამარჯვებული იყო.

მენშევიკები და პლეხანოვი უსაყვედურებდენ ლენინს ამ გამოსვლის გამო, მაგრამ ლენინი კარგად გრძნობდა, რომ ეს აჯანყება იყო პირველი შეტაკება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, რომ საბჭოები ნიშნავს მუშურ რევოლიუციას.

* * *

1908—1910 წ. ლენინი ევროპაშია და ეწევა დიდ თეორეტიულ მუშაობას. ეს იყო დრო შავი რეაქციისა, სტოლიპინის რეჟიმისა.

თვითონ ლენინიც მაშინ გაჭირვებული იყო: ხშირად მშიერი, ავადმყოფი, დაქანცული, ის მაინც იმედის ცეცხლს უღვივებდა მთელ მუშათა კლასს, და ეს მაშინ, როცა ბრძოლაში გაჭალარავებული ბელადები გულგატეხილები გარბოდენ.

ლენინი ამ დროს ძალიან ბევრს მუშაობდა, სწერდა საპოლემიკო წერილებს, იგერიებდა მრავალ მტერს და თანაც ნუგეშს იძლეოდა:— შავი დღეები წავა, მღვრიე ტალღა ჩაივლის და რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ისევ ტალღის ქოჩორზე მოვექცევით, მშრომელთა რევოლიუცია გაჩაღდებაო.

ამავე პერიოდში ორი წლის განმავლობაში ლენინი არ გამოსულა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკიდან და ყოველ დღე თითქმის 15 საათს მუშაობდა.

1911 წელს პეტროგრადში უკვე გამოდის ლეგალური გაზეთი „ვარსკვლავი“ და ჟურნალი „აზრი“ მოსკოვში ამასთან საბაბირობში მუშაობს პატარა ფრაქცია და ყოველივე ამისი მეთაურია ვლადიმირ ლენინი.

ლენინის მუშაობა თითქმის გაათკეცებულია; ამასთან ის მუშებს, ფრაქციის წევრებს, ამზადებს, როგორ უნდა გამოვიდენ თავრიდის სასახლეში.

1912 წ. ლენინი გადადის გალიციაში და აქედან ამზადებს პეტროგრადის მუშებს. მისი კავშირი მუშებთან და ორგანიზაციასთან ისეთი მჭიდროა, რომ იშვიათად გამოდის „პრავდა“-ს ისეთი ნომერი, რომელშიაც ლენინის წერილი არ იყოს მოთავსებული.

ამ წერილებით ლენინი იბრძვის მარჯვნივ და მარცხნივ.

* * *

ომის დაწყებისთანავე ლენინის როლი არაჩვეულებრივი იყო. ეს პირველი ჰკრებდა ინტერნაციონალისტების წრეებს. ლენინი მაშინ ცხოვრობდა ბერნში და შემდეგ ციურიხში. შვეიცარიის სოც.-დემ. პარტია მთლად დაავადებული იყო ოპორტიუნიზმით და მხოლოდ მუშების პატარა წრემ მოიყარა თავი ლენინის გარშემო.

შვეიცარიის ოფიციალურ ს. დ. პარტიას, რასაკვირველია, დამშვიდებით არ შეეძლო ეყურებინა ლენინის მოქმედებისათვის, რომელსაც „რუსული ანარქიზმი“ უწოდეს. ლენინი მაშინ ცხოვრობდა ციურიხში, ულარიბესი მეჩექჩის ბინაზე და თვითეულ პროლეტარს ეძებდა იმის ასახსნელად და ჩასაგონებლად, რომ დღევანდელი ომი—ეს იმპერიალისტური სასაკლაოა, უნდა აღდგეს მუშათა კლასი და მოსპოს ყაჩაღი იმპერიალისტები.

და მაშინ ლენინის თეზისი ომის შესახებ იყო: „იმპერიალისტური

ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად, და სასტიკი ბრძოლა "სოციალ-შოვინიზმთან და ობორონცებთან". ლენინის მთელი ენერგია იხარჯება სოციალ-შოვინიზმთან და იმპერიალისტურ ომთან ბრძოლაში. ამავე დროს მუშაობს „სოციალ-დემოკრატ"-ში და ბოლშევიკების საზღვარგარეთის სექციის ბერნის კონფერენციაში დიდ მონაწილეობას ღებულობს. მაგრამ დაუფასებელია და ძლიერი მისი მუშაობა რევოლიუციური სოციალ-დემოკრატიის ძალების ორგანიზაციისა და გაერთიანებისათვის. 1915 წ. ლენინი მეთაურობს ციმერვალდის კონფერენციის მემარცხენე ფრთას.

1916 წ. ლენინი მუშაობს ბერნის თათბირში, კიენტალის კონფერენციაში. მაშინდელი მისი ლოზუნგებია:

სასწრაფო ღონისძიების მიღება ომის სალიკვიდაციოდ: საყოველთაო გაფიცვა, საბოტაჟი, შეიარაღებული აჯანყება, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად.

ამავე დროს მის მიერ სწრაფად ვრცელდება რევოლიუციური ინტერნაციონალიზმის იდეები შვეიცარიელ მუშებს შორის.

* * *

1917 წ. ათი წლის ემიგრაციის შემდეგ ლენინი ბრუნდება რუსეთში. ჩამოსვლისთანავე ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი ძალა-უფლების თავის ხელში აღების შესახებ. უცდიდა მხოლოდ დროს შერჩევას. ივლისის დღეებში კ. პ. ს. კ. წინააღმდეგი იყო გამოსვლის. მაგრამ, როდესაც ხალხის მღელვარებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, ლენინი შეშფოთდა, მაგრამ ამბობდა: ჯერ კიდევ ადრეა; ესერებისა და მენშევიკების მიერ მოტყუებული ფრონტოვიკები ამოსწყვეტენ პეტროგრადის მუშებსო.

ივლისის აჯანყების შემდეგ ლენინი ზინოვიევთან ერთად იმალებოდა ფინეთში. აქედან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მუშებთან, წერილებით ის კიდევ ურჩევდა ესერებს და მენშევიკებს გაეწყვიტათ კავშირი ბურჟუაზიასთან, მაგრამ არ მიიღეს ლენინის წინადადება და ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ლენინი უკვე აჩქარებს მუშებს: სასწრაფოდ ჩაიგდონ ხელში ძალა უფლება, თორემ მერმე გვიანღა იქნება.

თავის უკანასკნელ წერილში ის სწერს ცენტრალურ კომიტეტს, რომ შემოერტყან ალექსანდრინკას, გაჰყარონ მთელი ეს ნაგავი და ძალა უფლება ხელში იგდონ.

ლენინი სტოვებს ფინეთს და ჩადის პეტერში აჯანყების მოსაწყობად. კერენსკი და აქვსენტიევი სცემენ ბრძანებებს ლენინის დასაჭერად, მაგრამ ლენინი „პოდპოლიეში“ ამზადებს აჯანყებას და აჩქარებს გეგმოსვლას.

ოქტომბრის რევოლიუცია — ეს არის ლენინის საქმე, ლენინის გამოგონება.

* *
*

25—26 ოქტომბერი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მეორე ყრილობაზე ლენინი აცხადებს ზავი დაუყონებლივ და გლეხებს მიწა უსასყიდლოდ. დგება სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმირ ლენინის მეთაურობით.

ბრესტის დღეები. ეს იყო ლენინისათვის დღეები გეთსიმანიის გოლგოთის ტვირთის. ეს მაშინ, როდესაც ლენინის სიტყვის წინააღმდეგია საბჭოების დიდი ნაწილი და ც. კ. უმრავლესობაც — და მაშინ მხოლოდ ლენინმა შესძლო გადაერჩინა პეტროგრადი, რუსეთი, კომუნისტური პარტია, რევოლიუცია.

1918 წ. 30 აგვისტოს ესერების პარტიის წევრი, კაპლანის ქალი, რევოლვერის ტყვიით თავს ესხმის ლენინს მიტინგზე. მძიმედ დაჭრილი ლენინი კრეტინების მუხანათური ტყვიით 1919—22 წლამდე, მაინც განაგრძობს კომუნისტურ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის მედგარ ხელმძღვანელობას.

* *
*

ლენინის ავადმყოფობა მძლავრად დაიწყო 1922 წლ. დამლევს. ავადმყოფობა ნელ-ნელა ვითარდებოდა და ღრღნიდა მის ლომურ ორგანიზმს. თავდაპირველად თვით ლენინი არ აქცევდა ყურადღებას თავის ავადმყოფობას. ექიმებმაც ვერ შესძლეს აღმოეჩინათ რაიმე ორგანიული დაზიანება ნერვიული სისტემისა და შინაგანი ორგანოების, მაგრამ ლენინს მაინც ურჩიეს დასვენება, და ისიც რამდენიმე თვით გადასახლდა გორკაში.

მაისში უკვე თავი იჩინა ტვინის ორგანიულ დაავადების ნიშნებმა. პირველი შეტევა გამოიხატა საერთო სისუსტესა, მეტყველების დაკარგვასა, და მარჯვენა კიდურების მოძრაობის შეუსტებაში. ეს გაგრძელდა მთელი სამი კვირა.

მძლავრმა ორგანიზმმა მაინც თავისი გაიტანა, და ივლისში ლენინ-

საკმაოდ მომჯობინდა და აგვისტოდან უკვე დაუბრუნდა თავის საქმიანობას.

დეკემბრიდან შეტევები განახლდა, რაც გამოიხატა მარჯვენა კიდურების დაბლაში, ხოლო 16 დეკემბ. იმატა მარჯვენა ფეხისა და ხელის დამბლამ, რამაც აიძულა ლოგინში ჩაწოლილიყო.

1923 წ. იანვარსა და თებერვალში ლენინის ჯანმრთელობას ეტყობოდა მერყეობა გაუმჯობესებისა, ხან გაუარესებისა. 9 მარტს ისევ დაიწყო მძიმე შეტევა ავადმყოფობისა. სხეულის მარჯვენა ნახევარი გაუჩერდა და მეტყველებაც ძალიან შეუსუსტა. მაისში ლენინი ისევ გადაყვანილ იქნა გორკაში, სადაც დარჩა სიკვდილამდე.

ივლისის მეორე ნახევარში ლენინი ისევ გამოკეთდა და აგვისტოში მცირედ მეტყველებაც დაუბრუნდა. სექტემბერსა და ოქტომბერში ის უკვე დადიოდა სასეირნოდ ავტომობილით, მარხილით და მხიარულადაც იყო.

მაგრამ 21 იანვარს საღამოთი ლენინმა სრულიად დაჰკარგა ცნობიერება, კუნთების საერთო ეაჭიმულება და სუნთქვის სიდამბლის და ჰიპერტემიის გამო საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე კაცობრიობის უდიდესმა ადამიანმა და ქსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა სული განუტევა.

სახალხო მასწავლებელმა უნდა გაამართოს ილიჩის ნდობა

(გაზეთებიდან)

ლენინის ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი, თუ ყველაზე უკანასკნელი არა, (ახლა ძნელია ამისი გამორკვევა), იყო „ფურცლები დღიურიდან", რომელიც გამოვიდა 1923 წლის 2 იანვარს. რ. ს. ფ. ს. რ. საბჭოების მეათე ყრილობის შემდეგ; ეს წერილი მიძღვნილი იყო სახალხო განათლების საკითხებისათვის, ის მშვენივრად ახასიათებს ილიჩის დამოკიდებულებას სახალხო მასწავლებლისადმი და იმ მნიშვნელობას, იმ როლს, რომელსაც აკუთვნებს მას ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში. ყველაზე ძვირფასი, საყვარელი, რაც კი აქვს ილიჩს — ეს მშრომელი მასები და ახალგაზრდა თაობა — მას სურს მიანდოს სახალხო მასწავლებელს. ის მოითხოვს ყველასაგან ყურადღებას და სიყვარულს სახალხო მასწავლებლისადმი, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მასწავლებელს დაეხმაროს ყველა იმაში, რომ ის ყოველის მხრით და ნამდვილად გახდეს მშრომელ მასების მასწავლებელი და ქალაქის პროლეტარული კულტურის გამტარებელი გლეხთა შორის. ამ უკანასკნელით ის ართულებს მასწავლებლის პასუხისმგებლობას. ამით ის აკისრებს, ანდობს მას ნაწილობრივ თავისი გენიალური აღთქმის შესრულებასაც: განხორციელებული იქნეს, როგორადაც არ უნდა იყოს, კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. ეს ნდობა განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან ილიჩი მეტად ხელმომჭირნე იყო ნდობაზე. მას დასკვნა გამოჰყავდა მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის დეტალური შესწავლის შემდეგ წარსულში, მისი დღევანდელი ვითარების ანალიზის შემდეგ და მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც გასინჯავდა, ასწონ-დასწონიდა ყველას და ყველაფერს, ის მიდიოდა ამა თუ იმ დასკვნამდე. ის წინასწარ გრძნობდა, მას არ შეეძლო არ დარწმუნებულიყო იმაში, რომ მშრომელ ინტელიგენციას, განსაკუთრებით მასწავლებლობას, არ შეუძლია არ გ-

მოეთიშოს მშრომელთა მტრებს და გარკვევით და საბოლოოდ არ გახდეს მშრომელი ხალხის მეგობარი და მასწავლებელი. ეს ნდობა უნდა გავამართლოთ. ამხანაგ ლენინის აღთქმები უნდა შევასრულოთ. აუცილებელია, თვითონ შევისწავლოთ მარქსიზმი, ლენინიზმი, შევითვისოთ ის და აღვზარდოთ ახალი თაობა რევოლიუციონერებად — მებრძოლებად, ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედად. უნდა დავეხმაროთ პროლეტარიატს და გლეხობას, რომ მათ დაიპყრონ მეცნიერება, შექმნან თავისი კულტურა და მეცნიერული საძირკველი ჩაუყარონ მუშათა და გლეხთა დიქტატურას. „მაკრატელი“ კულტურულ ფრონტზე არა ნაკლებ საგრძნობია, ვიდრე ეკონომიურ ფრონტზე. სოფელი, გლეხი, სოფლის მასწავლებელიც-კი ძალიან ჩამორჩენ კულტურულის მხრით ქალაქის მუშას, ქალაქის მასწავლებელს. განათლების მუშაკთა ძალღონით ჩვენ უნდა დავუახლოვოთ ერთმანეთს „მაკრატლის“ პირები და სამუდამოდ მოვსპოთ, უკუვაგდოთ, დავეარხოთ ჩვენი უკულტურობა, სიბნელე და უმეცრება ამ მძიმე დღეებში. საერთო სევდისა, გლოვისა და მწუხარების დღეებში ჩვენ, განათლების მუშაკებმა მჭიდროდ შევაკვშიროთ ჩვენი რიგები და გულები იმ დიდებულ საქმისათვის, რომელიც გვიანდერძა ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალურმა ბელადმა, ყოველ პატიოსან სახალხო მასწავლებლის გულწრფელმა მეგობარმა, ვლადიმირ ილიჩმა.

მარიამ ორახელაშვილი.

25 იანვარი

1924 წ.

ლენინის სახელობის კომუნისტურ აღ-ზრდის სკოლაში

(მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლა)

(გაზეთებიდან)

მიხეილის ქუჩაზე, პატარა, უბრალო შენობაში უკვე საქართველოს გასაბჭოების დღიდან წყაროსავით სჩქეფს სიცოცხლე. იქ სწავლობენ და იზრდებიან ბავშები ახალი ცხოვრებისათვის ახალი გზით. იქ გამეფებულია სრული ერთსულოვნება, მჭიდრო კავშირი და მეგობრობა უფროსსა და უმცროს ამხანაგებს შორის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის. ეს სკოლა გამოხატავს, როგორც სარკეში, მშრომელთა რესპუბლიკის, ცხოვრებას. იქ საკუთარი რესპუბლიკაა, რომელიც შენდება პატარა, ჯერ კიდევ გამოუცდელი, მაგრამ მტკიცე ხელებით და მშრომელთა საქმისადმი ერთგულ მუშაკთა ხელმძღვანელობით. მშრომელთა ყოველი სიხარული, ყოველი დღესასწაული იქ პოულობს გამოძახილს და გამოხმაურებას. მუშათა კლასის და მისი ბრძოლის ყოველი მწუხარება და უბედურება ხდება იქ პატარა კომუნის მწუხარებად.

მაგრამ აი, მშრომელებს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება, უდიდესი მწუხარება: მათ დაჰკარგეს თავისი წინამძღოლი, ხელმძღვანელი, მსოფლიო რევოლიუციის მესაჭე. სკოლაში მწუხარებაა, სკოლაში გლოვაა, ბავშები თავზარდაცემული არიან, ისინი მტკივნეულად უპასუხებენ საერთო მწუხარებაზე, ვინაიდან ეს მათი მწუხარებაც არის. ისინი იცნობენ ილიჩს. მან იპოვა მათ პატარა მხურვალე გულში ყველაზე საპატიო, ძვირფასი ადგილი, ისინი გრძნობენ მთელი თავისი ნაზი გრძნობიერე არსებით, რომ ის მათი საუკეთესო, გულწრფელი და ერთგული მეგობარია.

იმათ არ შეუძლიათ დაივიწყონ ლენინის ანდერძი ახალგაზრდობისადმი: სწავლა, სწავლა და სწავლა! და მხოლოდ ცოდნის ჩირაღდნით შეიძლება სწავლა მშრომელთა დასახმარებლად.

შეიკრიბენ ყველა ხელმძღვანელები, ისაუბრეს, იგლოვეს, მაგრამ მთელი ეს მწუხარება არ დაეტია მხოლოდ მათ წრეში, - მათ მოისურვეს კიდევ გაეგონათ მასზე რამე იმათგან, ვინც მთელი თავისი არსებით, აწმყოთი და მომავლით დაკავშირებული არიან ილიჩთან, ვისაც შეუძლია ბევრი რამ მოუთხროს მათ მის შესახებ. მივდივარ მათთან, მათი სურვილის თანახმად. შენობაზე ამართულია სამგლოვიარო დროშა, კედელზე მწვანეულობით და წითელ-შავით მოქარგული ილიჩის სურათი ჰკიდია. ბავშთა კომიტეტის სახელით იხსნება კრება. ირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს. სიტყვას მაძლევენ მე; ფეხზე ამდგარი, ჩუმად, დიდი მწუხარებით ისმენენ ისინი სამწუხარო ამბავს დიდი მებრძოლის გარდაცვალების, მისი ცხოვრების, მისი ბრძოლის, მოღვაწეობის, გეგმების, აღთქმების, მშრომელებისა და ჩაგრული ხალხისადმი უღრმესი სიყვარულის და მჩაგვრელთა მიმართ სიძულვილის შესახებ. სულგანაბული, თავჩამოშვებული მისმენენ. მხოლოდ აქა-იქ ისმის თავშეკავებული ტირილი. კითხულობენ ახალგაზრდა კომკავშირის ცეკას მოწოდებას. შემდეგ ისმენენ განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებას მათი სკოლისათვის „ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლის“ სახელწოდების მიცემის შესახებ. თავშეკავებულ სიხარულს, შიშს ვკითხულობ მათ სახეზე. მათი თვალები თითქოს კრძალვით ლაპარაკობენ: —„ერთიც ვნახოთ, ვერ გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედები; ერთიც ვნახოთ, არ გავხდეთ ღირსი მისი სახელის“. კრების თავმჯდომარე, 14—15 წლის ბიჭი, მოკლედ, ბავშების სახელით მადლობას აცხადებს ნდობისათვის, იძლევა პირობას ბეჯითი შრომით და გაათკეცებულ ენერგიით უშიშრად იარონ ლენინის მიერ ნაჩვენებ ძნელი გზით და დახმარება გაუწიონ მშრომელებს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი ხელმძღვანელი აგრეთვე აღელვებული ხმით მადლობას აცხადებს უფროს და უმცროს ამხანაგების სახელით და აგრეთვე იძლევა პირობას, გაამართლოს ნდობა. რომელიღაც ბავში წინადადებას იძლევა, დასდონ ფიცი მშრომელთა ერთგულობაში და უბრალოდ, ბავშურად სთხოვს ხელმძღვანელებს დახმარება გაუწიონ მას. შემდეგ სხდომა იხურება, და ბავშები იშლებიან ჩუმად, წყნარად, დამწუხრებული, მაგრამ

მტკიცე გადაწყვეტილებით, გახდენ ლენინის მოწაფეებად და განაგრძონ მისი საქმე. რამდენი პატარა წმინდა გული სცემს ამ მოსწავლეებთან ერთად. მხოლოდ დიდ ლენინს შეეძლო აღენთო მილიონი ახალგაზრდა გული უსაზღვრო სიყვარულით და მტკიცე გადაწყვეტილებით პატიოსანი, საუკეთესო, მგრძნობიარე ბავშები და ახალგაზრდობა ლენინისაა სამუდამოდ. დეე, ყოველმა მუშამ იცოდეს ეს, დეე, სიხარულით აღივსოს მისი გული! დეე, ეს რწმენა იყოს ყველა ჩვენ დაობლებულთათვის საუკეთესო ნუგეშად.

მარიამ ორახელაშვილი.

ლენინის მეუღლის წერილი

ამხანაგო მუშებო და გლეხებო!

დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ილიჩის გლოვას ნუ გამოხატავთ მისი პიროვნების გარეგნულ თაყვანისცემაში, ნუ აუგებთ მას ძეგლებს, მისი სახელობის სასახლეებს, ნუ მოაწყობთ მისი ხსოვნის აღსანიშნავ თვალწარმტაც დღესასწაულებს და სხვა—სიცოცხლეში იგი ამას ძალიან მცირე მნიშვნელობას აძლევდა, ყველა ეს აწუხებდა მას! გახსოვდეთ, რა დიდია ჩვენ ქვეყანაში სიღატაკე, მოუწყობლობა. გინდათ პატივი სცეთ ვლადიმირ ილიჩს—მოაწყეთ საბავშო ბაღები, სახლები, სკოლები, საკვანძოები, ბიბლიოთეკები, ქსენონები, საავადმყოფოები, ინვალიდების სახლები და სხვა—და რაც უმთავრესია—ყოველ-ნხრივ გავატაროთ ცხოვრებაში მისი მოძღვრები.

ნ. კრუპსკაია.
იანვარი 1924 წ.

ლენინის სახელობის ფონდი

მოსკოვი, 27 იანვარი. ფ. ს. ს. რესპუბლიკების საბჭოების მეორე სრულობამ დაადგინა დაარსებულ იქნას საკავშირო ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტთან ლენინის სახელობის ფონდი უპატრონო ბავშებზე მზრუნველობისთვის.

ს.ს.ს.რ.
ს ა ხ ა ლ ხ ო
გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს
კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი

ახალ სკოლისაკენ

ო რ თ ვ ი უ რ ი
პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი
ჟ უ რ ნ ა ლ ი
წ ე ლ ი წ ა დ ი I

№ 1

ი ა ნ ვ ა რ ი

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
ტ ფ ი ლ ი ს ი 1924 წ.

ს. მ. უ. ს. 5-ე სტამბა პოლიგრაფიული განყოფილებისა, ლენინის ქ. № 3.

სარედაქციო კოლეგიისაგან

ეს ჟურნალი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის ორგანოა, წარმოშობილი ამ უკანასკნელი წლების მუშაობით ახალი სკოლის ძებნის გზაზე.

ჟურნალის მიზანი

მისი მიზანი, ზოგადად აღნიშნული დასახელებით „ახალ სკოლისაკენ", ორმაგია: ახალი სკოლის ძებნა და შექმნა **საქართველოსათვის და საქართველოს მასწავლებლობის შემწეობით.**

რა არის „სკოლის ძებნა"? იმ სკოლისა, რომელიც ჭეშმარიტი განხორციელება იქნებოდეს სახალხო განათლების მიღებული **სისტემისა**? ეს არის გამორკვევა ამ სკოლის: 1—**ფორმისა**, ე. ი. მისი აგებულობისა, საფეხურებისა, ხანგრძლიობისა და სხ. 2—მისი **შინაარსისა**, ე. ი. მისი საალმზრდელო მხარეებისა, საზღვრებისა, მასალისა, საგნებისა, მათი მოცულობისა და პროგრამებისა და 3—**მუშაობის მეთოდებისა**, რაც ჰქმნის უკვე ამ ძებნილი სკოლის სულს, სახეს და ხასიათს.

როგორც დასავლეთს, ისე ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით რუსეთში არა ერთი ნაბიჯია გადადგმული ამ ახალი სკოლის ძებნის საქმეში—ყოველ ქვეყანაში თავ-თავისი ცხოვრების პირობების მიხედვით. აღძრული და წამოყენებულია მრავალი უძნელესი არსებითი საკითხი, რომელიც სწყვეტს ძველ სკოლისგან ახალ სკოლის გზაზე გადასვლას. ზოგიერთი ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია—დადებითად თუ უარყოფითად, უმრავლესობა კი თავის ამოხსნის გზაზეა სკოლების ცოცხალ ლაბორატორიაში.

ამავე საკითხების დაუყოვნებელი გადაწყვეტის დრო ჩვენც დაგვიდგა დღეს, ჩვენს პატარა ყოველმხრივ განსაკ-თრებულ ქვეყანაში, მთელი მისი ეტნოგრაფიული, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიური და ისტორიული თავისებურობით.

პირველი მიზანი.

არა წიგნური ახალი შრომის სკოლის ხასიათი ისეთია, რომ თუმც მისი აგების არა ერთი საკითხი უკვე ამოხსნილია სხვა, უფრო წინწასულ ქვეყნებში და ზოგიერთი მათგანი კიდეც უარ-ყოფილია, ჩვენ ხელახლავ გვიწყის ყველა ამ საკითხის წამოყენებაც, შესწავლაც, გადაწყვეტაც **ჩვენი** საკუთარი სინამდვილის და კულტუ-რის კონკრეტულ პირობებში, რომელთაც ჰქმნიან **ჩვენი** ცხოვრებით წარმოშობილი **ჩვენი** ისტორიული ზრდა-ვითარების ფაქტორები. თუ **ახალ** სკოლას ვეძებთ, უნდა ვეძებოთ **საქართველოს** ახალი სკოლა და არა უპიროვნოდ ყველასათვის საერთო საერთაშორისო ახალი სკო-ლა. მაგრამ ამ საკუთარი სკოლის ძებნისათვის უნდა ფართოდ გამოვი-ყენოთ ყველა სხვა ქვეყნის შენაძენი ამავე ძებნის გზაზე. ეს არის ჩვენი ჟურნალის პირველი და მთავარი მიზანიც, საფუძველიც.

მეორე მიზანი.

ცხადია, ასეთი მუშაობა მიუწვდომელია თვითეული პირის თუ დაწე-სებულების განცალკევებულ ძალებისთვის. ასეთი ძებნა უნდა სწარმოებ-დეს არა „ზევიდან", ამ საქმის ორი-სამი სპეციალისტის თეორიული მუშაობით ან განათლების საქმის სათავეში მდგარ პირების განკარგუ-ლებით, არამედ „ქვეიდან", თვით ცოცხალ სკოლიდან, მასწავლებელ-თა **შეერთებული ძალებით**, მათი შეერთებული მასიური მუშაობით. დღევანდელ ცხოვრებაში ძალა აქვს მხოლოდ კოლექტიურ, შეერთე-ბულ საქმეს და მუშაობას, ცალკე პირებს და „მმართველებს" კი უკვე ალარაფერი შეუძლიათ, თუ ფართო საერთო საქმეს არ უდგანან სათა-ვეში.

საქართველოს ახალი სკოლის გზის მიგნებაც, მისი **განხორციელე-ბაც** მხოლოდ **საქართველოს მთელ მასწავლებლობას** შეუძლია—მისი შუაგულიდან, ტფილისიდან, უკიდურეს განაპირამდე ხევსურეთ-სკანეთამდე. ეს არის ჩვენი ჟურნალის მეორე საფუძველი და გაჩენის საბუთი ჩვენი მასწავლებლობის რაც შეიძლება უფრო ფართოდ და მჭი-დროდ ჩაბმა ჩვენი ახალი სკოლის ძებნაში და შექმნაში—აი ჩვენი მე-ორე მიზანი

მესამე მიზანი.

ამ მიზანს დროებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანი მოსდევს: მასწავლებლობის წინასწარი **მომზადება** ამ უძნელეს საქმის გაძღოლისა,

თვის, მომზადება სამნაირი: ზოგადი (საერთო ცოდნის ჯამის გადიდების მხრივ ახალი სკოლის შინაარსის მიხედვით), მეთოდიურ—პედაგოგიური, ახალი სკოლის მუშაობის გზებით შესაიარაღებლად, და სამოქალაქო-პოლიტიკური, იმ სინამდვილის შესაგნებლად და მასში ჩასაბმელად, რომელიც ერთად-ერთი გზაა ახალ, ასე უწოდოთ „საცხოვრებო“ სკოლისაკენ. ამ სკოლისათვის მომზადება ან, უკეთ, გადამზადება, ხელახლავ მომზადება—აუცილებელია ყოველი პედაგოგისათვის. ამიტომ ჩვენი მესამე მიზანია, რაც შეიძლება უფრო ცოცხალი დახმარების გაწევა ჩვენს მასწავლებლობისათვის ამ უძნელეს, მაგრამ თავისი შედეგებით უდიადეს საქმეში. ახალი სკოლის და ამ საქმის არც ერთი უმწვავესი მხარე და საკითხი არ დაგვიტოვებია გაუშუქებლად ან მიუთითებლად ამ ჟურნალის მოფიქრებაში და შექმნაში; რომ მასწავლებლობამ პირველივე ნომრიდან სრული სიფართოვით და სიღრმით დაინახოს სკოლისათვის მუშაობის და თავის თავზე მუშაობის ის ზღვა, რომელიც მიელის მას ახალი სკოლის ძებნის გზაზე და რომელშიაც მას უფროსი ამხანაგი უჩნდება ამ ჟურნალის სახით.

ახალ აღმშენებლობისათვის **მომზადებაში დახმარება საქართველოს მასწავლებლობისათვის და მასთან ერთად საუკეთესო და უპირდაპირესი გზის ძებნა საქართველოს ახალ სკოლისაკენ**—აი ჩვენი ჟურნალის მიზანი. სარედაქციო კოლეგიას სრული იმედი აქვს, რომ მასწავლებლობა ხელს მოაწვდის მას ამ ძნელ და დიდ საქმეში.

ჟურნალის ხასიათი და აგებულობა.

ასეთი მიზანი სათანადო ხასიათსაც აძლევს ჟურნალის შინაარსს და აგებულობას, რომელიც ძირითადად გამოირჩევა ჩვეულებრივ პედაგოგიურ-მეცნიერულ ჟურნალებისაგან. ჩვენი ჟურნალი არც საკითხავი წიგნია, არც სასკოლო საქმის თეორიული სახელმძღვანელო ან მექანიური აღმსახველი—ეს არის **საქართველოს მასწავლებლობის კოლექტიური, მასსიური ორგანო**, შედეგი იმ ცოცხალი პედაგოგიური მუშაობისა, რომელიც ჟუნალს მიზნადა აქვს დაჭბადოს და წარმართოს ყველა კუთხეებში, დააახლოვოს და შეაერთოს ერთმანეთთან და მთელი ქვეყნის შენაძენად აქციოს თავისი ფურცლების შემწეობით.

მასწავლებელთა პედაგოგიური ორგანიზაცია ადგილებზე და ამ ორგანიზაციების კავშირი და ცოცხალი ურთიერთობა ცენტრთან—აი ჩვენი ჟურნალის მომავალი მასალაც, თანამშრომლებიც, ხელმძღვანელებიც. ახალ მასიურ სკოლას მხოლოდ მასიური ჟურნალი ღა გა-

უძღვება. დღეკანდელი სარედაქციო კოლეგია მხოლოდ იწყებს ამ საქმეს, სინჯავს მის დაწყებას, იმ სრული იმედით, რომ მასწავლებლობა ერთსულოვნად მხარს დაუჭერს მას ამ წამოწყებაში—უამისოდ ჟურნალს ყოველივე აზრი ეკარგება.

ამ უკანასკნელი გარემოებით აიხსნება ჟურნალის ასე გვიან გაჩენა, რასაც არა ერთი საყვედური გამოიწვევია განათლების უწყების წინააღმდეგ. ასეთი ჟურნალი თავის თავად, ასე ვთქვათ „არაფრიდან“ ვერ დაიბადებოდა, ასეთი ორგანო უნდა უკვე დაწყებულ ცოხალ საქმიდან გამომდინარებულიყო. ასეთ მასიურ, კოლექტიურ საქმეს კი დიდი დრო უნდა. ასეც მოხდა; ეს ჟურნალი პირდაპირი ბუნებრივი გაგრძელებაა იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც დაწყებულია ჩვენში, როგორც ქვემოდან ისე ზემოდან. ამ ჟურნალში ეს ორივე მუშაობა უნდა ერთმანეთს შეხვდეს და ძალები შეიერთოს.

კერძოდ ეს ჟურნალი უმეშვეო გაგრძელება იქნება განათლების კომისარიატის იმ დიდი მუშაობისა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერებულია ამ უკანასკნელ წელს, როგორც სასკოლო რეფორმის მხრივ, მისი ახალი ოთხ, შვიდ და ცხრაწლიანი სკოლით, ისე მასწავლებლობის გადამზადების მხრივ, ყველა ამ ზაფხულის კონფერენციებით, კომისიებით და კურსებით, რომელთაც უკვე წარმოშობეს ამ ზაფხულს კომისარიატის ორი კრებული „ახალ სკოლისაკენ“—ახალი სკოლის თეზისებით და სანიმუშო პროგრამებით, რამაც საბოლოოო საძირკველი ჩაუყარა ამ ჟურნალის გაჩენას და თავისი სათაური და ლოზუნგიც გადასცა მას—**„ახალ სკოლისაკენ“**. შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალს იგივე სახელი ეწოდა და რომ ის ქრონოლოგიურად უკან მოსდევს ამ კრებულებს და არა წინ უძღვის მათ და გამოდის სწორედ განათლების მუშაკთა ყრილობისათვის, რომელმაც უნდა მონათლოს ის თავისი კოლექტიური განხილვით ცხოვრებაში გამოშვებამდე.

ჯერ-ჯერობით ჟურნალს 14 დარგი და განყოფილება აქვს ნავარაუდევი, თანახმად ახალი სკოლის დღევანდელი ძირითადი მხარეებისა.

I და II—დღეს ჟურნალის უმთავრესი დარგებია:

I—მასწავლებელთა ორგანიზაცია ადგილებზე.

II—მასწავლებელთა მომზადება ახალ სკოლისათვის

III—მარქსიზმი პედაგოგიკაში.

IV—სასკოლო მუშაობა ასაკის თავისებურობათა მიხედვით.

ეს განყოფილება პირველი გამომდინარეობს ახალ სკოლაზე

გადასვლიდან, ვინაიდან წინააღმდეგ ძველი სკოლისა, ახალი სათუთად აგებულია ბავშის ფსიქო-ფიზიოლოგიური ზრდის თანდათანობაზე.

V—შრომის პრინციპი ახალ სკოლაში.

VI—კომპლექსური მეთოდი ახალ სკოლაში.

VII—4, 7, და 9-წლიანი სკოლის პროგრამების დამუშავება.

VIII—ბავშების თვითმმართველობა ახალ სკოლაში.

IX—სკოლის გარეშე, საკრებულო მუშაობა ახალ სკოლაში.

X—ფიზიკური აღზრდა-განათლება

XI—ახალი სკოლის ბიბლიოგრაფია.

XII—ახალი სკოლის ქრონიკა

ა) ადგილობრივი.

ბ) სხვა ქვეყნების.

ადგილობრივი ქრონიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ჟურნალისათვის ცხადია ზემოთქმულიდან.

XIII—ზოგადი განყოფილება, რომელშიაც შედის ყოველივე, რაც არ უდგება არც ერთ ზემოჩამოთვლილ დარგს. ამ განყოფილებიდან ახლო მომავალში რამდენიმე დამოუკიდებელი განყოფილება გამოიყოფა **საშუალო** და **უმაღლესი სკოლის** საკითხებით წარმოშობილი, რასაც თავის დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ამ ჟურნალში.

XIV—ოფიციალური განყოფილება, რომელშიაც შევა განათლების კომისარიატის მხოლოდ ის განკარგულებანი და ადგილებზე მიწერილობანი, რომელთაც პრინციპიალური მნიშვნელობა ექვთ ახალი სკოლის ძებნისა და აგების საქმისათვის.

ასეთ დაყოფას ერთი დიდი სიძნელე მოსდევს ახალ სკოლისათვის. შრომის სკოლის ყველა მხარეები ისე მჭიდროდ და ცოცხლადაა ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაქსოვილი, რომ ყოველი მათგანის დამოუკიდებლად გამოყოფა თითქმის შეუძლებელია, მეტადრე სკოლის ცოცხალი მუშაობიდან. როგორც ცოცხალი სხეულის მთლიან ქსოვილიდან ვერ გამოიყოფა დაუზიანებლად ვერც ცალკე სისხლის მიმოქცევა, ვერც ნერვიული სისტემა, ვერც კუნთების აპარატი, რადგან ყველა ეს ერთმანეთის თანშემავსებია და ერთ რთულ **მთლიან** ცოცხალ სხეულს შეადგენს, ამნაირადვე ვერ გამოიყოფა შრომის სკოლის მთლიან ცხოვრებიდან ვერც ცალკე შრომის პროცესები, ვერც ცალკე კომპლექსური მეთოდი, ექსკურსიები, ბავშების თვითმართველობა და სხ.; მაგრამ როგორც ფიზიოლოგია—ანატომიაში და სამკურნალო საქმეში აუცილებელია ცოც-

ხალი სხეულის ყოველი ზემოჩამოთვლილი დარგის სპეციალურად შესწავლა, მოვლა და აქიმობა—ცალკეც, მთელ დანარჩენ სისტემასთანაც დაკავშირებით, — ამნაირადვე ახალ სკოლაშიაც ყველა მისი მხარეები უნდა გაშუქებული და შესწავლილი იყოს ერთსა და იმავე დროს ცალ-ცალკეც—მათი უკეთ გამოსამჟღავნებლად—თანშერწყმულადაც, როგორც ეს სინამდვილეში სწარმოებს. ამნაირადვე უნდა მოეწყოს ამ მხარეების ძებნაც.

ამას გულისხმობს ჩვენი ჟურნალის ზემოაღნიშნულ დარგებად დაყოფა. ახალი სკოლის ყოველი არსებითი მხარე მასში ცალკე იქნება წამოყენებული, გაშუქებული და აწონ-დაწონილი, რაც შეიძლება უფრო სწორ და ნაყოფიერ შედეგების მისაღებად, მაგრამ ეს გამოყოფა სულ სხვა იქნება, ვიდრე ძველ სკოლაში, სადაც აღზრდის ყველა დარგები და მხარეები სრულიად განცალკევებული იყვნენ ერთმანეთისაგან და არავითარი შეფარდებულობა მათ შორის არ არსებობდა. მათემატიკას სულ ცალკე მიჰყავდა თავისი საქმე, მეტყველებას თუ ისტორიას აგრეთვე; ხატვას წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ასწავლის სხვა საგნები, სხვა საგნებს—რაში იხატება მოწაფეების სკოლის გარეშე, ცხოვრება და სხ. და სხ.; ახალი სკოლის ხასიათი კი ისეთია, რომ არც ერთი მისი მხარისთვის მიმართვა არ შეიძლება, ყველა სხვა მხარეც თან რომ არ ეედევნოს, ვინაიდან განუსაზღვრელია, სად თავდება, მაგალითად, შრომის პროცესები და სად იწყება თამაში, თვითმოქმედიანობა, თვითმართველობა, კომპლექსური მეცადინეობა, საკრებულო მუშაობა, ასაკის სათანადო პრაქტიკის დამუშავება და სხ. და სხ.: ამიტომ ამ შრომის პროცესების ადგილის და სახის საბოლოვო გამორკვევა ახალი სკოლისათვის შესაძლოა მხოლოდ სკოლის სხვა მხარეებთან ერთად განხილვით, მიტოლებით და გამოცდით, მაგრამ, ცხადია, ამ საკითხის წინასწარი სპეციალური ცალკე შესწავლის შემდეგ.

ჟურნალის მუშაობა

ჟურნალის ამგვარ განყოფილებებს უკვე თითო პირი ვეღარ გაუძღვება, როგორც ეს წინად იყო, ძველ ჟურნალებში ზემოაწერილი ცოცხალი მუშაობის გასაჩაღებლად ყოველი განყოფილება ჩაბარებული აქვს ამ დარგის უაქტივეს მუშაკთა კომისიას, უმრავლესად სამ-სამ პირს, რომელთაგან თითქმის ყველა რამდენ-რამდენიმე კომისიაში შედის. ამ კომისიებმა საქმე უნდა დაიწყონ, ერთმანეთში შეთანხმდენ, მუშაო-

ბის გეგმა დაიმუშავონ და ეს მუშაობა მასწავლებელთა ფართო წრეებში გამოიტანონ—უმეშვეოდ—ტფილისის სკოლებში, მიწერ-მოწერით და ჟურნალის შემწეობით კი—ადგილებზე.

ყოველი ასეთი კომისიის მიზანია თავისი დარგის მუშაობის ისე დაყენება, რომ ჟურნალის გარშემო რაც შეიძლება მეტი **ადგილობრივი ორგანიზაცია** დაიბადოს და საერთო მუშაობაში ჩაებას. საკომპლექსო კომისიები—ტფილისში და ადგილებზე, სკოლის ასაკამდე მუშაობის წრეები, საექსკურსიო ბიუროები, ესთეტიური აღზრდის ჯგუფები, სკოლის გარეშე მუშაობის უჯრედები და სხ. და სხ., საკითხის თეორიული გაცნობითაც, სკოლებში პრაქტიკული ცდების დაყენებით და აღრიცხვითაც. კომისიების მიზანია ისე დააახლოვონ ცენტრი და ადგილები, ჟურნალი და მასწავლებლობა, რომ არც ერთი ჩვენი მიმართვა მასწავლებლობისადმი—ასეთი კი ყოველ ნომერში არა ერთი იქნება—არ დარჩეს გამოუხმაურებლად, არ დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე, როგორც ეს ძველი სკოლის თითქმის ყველა ჟურნალებს ემართებოდა.

—

ახალ სკოლისაკენ მასწავლებლობის ხელით—აი ჩვენი ლოზუნგი. ჩვენი მისწრაფებაა, რომ ეს ჟურნალი მთელი მასწავლებლობის ჟურნალი გახდეს, იქცეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ცოცხალ ორგანოთ და თანამშრომლად. მის ფურცლებზე უნდა ერთმანეთს შეხვდენ და ძალშეერთებულ მუშაობას შეუდგენ სოფელი და ქალაქი, დაწყებითი და უმაღლესი სკოლა, მასწავლებელი-პრაქტიკოსი და მკვლევარი-მეცნიერი, განაპირა ყრუ სკოლა და სახელმწიფო-სამეცნიერო საბჭო, საბავშო ბაღი და უმაღლესი მეცნიერული დაწესებულებანი. ეს ჟურნალი ხიდად უნდა იქცეს წმინდა მეცნიერებისა და შავი სასკოლო მუშაობის შორის, რომელნიც აქამდის გადაუვალი უფსკრულით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული. უმაღლესმა სკოლამ დაწყებით სკოლას უნდა გაუნაწილოს თავისი კვლევისა და ყურადღების წვლილი, დაწყებითი სკოლა კი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება უფრო ხშირად გააშუქოს და შეამოწმოს თავისი პრაქტიკული ძებნის მძიმე შინამრეწველური მუშაობა მეცნიერული ძიების შუქითა და გზის მაჩვენებელი მიჯნებით.

ჟურნალის ყოველი განყოფილების სახელმძღვანელო წერილი იწვევს მასწავლებლობას საერთო მუშაობაში ჩაბმისაკენ. ნურავინ შეუშინდება ახალი სკოლის მთლიანი მიზნების უსაზღვრო სიდიდეს, რომელთანაც შედარებით თითქმის აღარ მოსჩანს ცალკე პირისა თუ კოლექ-

ტივის ნამუშევარი, არც იმას უნდა შეუშინდეთ, რომ ძველი ცხოვრების მადლით საჯაროდ არც ლაპარაკი გვეხერხება, არც წერა. ყოველი სიტყვა, ყოველი გამოხმაურება ადგილებიდან ძვირფასი იქნება ჩვენი მუშაობისთვის, რადგან თვით **საქართველოს ხინამდვილით წარმოშობილ საკითხება** დაუყენებს წინ ჩვენს ძიებას, რასაც ხშირად საუკეთესო თეორიაზე უფრო გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ახალ გზების გაგნებაში.

ვისაც როგორ ეხერხება, ისე მოიწეროს ჟურნალში; არც ერთი მასალა არ დარჩება გამოუყენებლად; ზოგი პირდაპირ დაიბეჭდება, ზოგი გადამუშავებული ან სხვა წერილთან შეერთებული, ზოგი ადგილობრივი ქრონიკის ობიექტად იქცევა და სხ. და სხ.; მოკლედ, ხმა ადგილებიდან ის ღერძი იქნება ამ ჟურნალისათვის, რომელზედაც ერთადერთზე შეიძლება ჭეშმარიტად ნაყოფიერი მუშაობის აგება **ახალ სკოლისაკენ თვით მასწავლებლობის ხელით.**

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.

ივნისი, 1924 წ.

პირველი ნომრის შესახებ.

თანახმად ჟურნალის მიზნისა პირველი და ნაწილობრივ მეორე ნომერი უნდა ძირითადად გამოირჩეოდეს დანარჩენ ნომრებისგან, რადგან მათში ადგილები ჯერ მონაწილეობას ვერ იღებენ ზემო წერილში ხაზგასმული კოლექტიური მუშაობის დაწყებამდე. პირველი ნომრის მიზანია მისცეს ადგილებს მთელი მომავალი მუშაობის სურათი, განმარტება და დაახლოვებითი გეგმა, მასწავლებლობის დაბეჯითებითი მოწვევით ამ მუშაობისაკენ. მეორე ნომერმა კი უნდა იმავე მუშაობის რამოდენიმე ცოცხალი მაგალითი მოგვცეს ჩვენი სკოლების სინამდვილიდან, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტფილისის სასკოლო ცხოვრებიდან, ჟურნალის უმეშვეო ურთიერთობის გამო ამ სკოლებთან.

შინაარსი.

ამნაირად პირველ ნომერში შედის: ჟურნალის ყოველი 14 განყოფილების სახელმძღვანელო წერილი, გარდა მე-III და მე-X*) განყოფილებისა, მარქსიზმი პედაგოგიკაში და ფიზიკური აღზრდა, რომელნიც ტეხნიკური მიზეზების გამო ერთ-ერთ შემდეგ ნომრიდან დაიწყებენ ჩამოყალიბებას, და მე-XIII და მე XIV, ზოგადი და ოფიციალური განყოფილებისა, რომელთაც სახელმძღვანელო წერილები არ ესაჭიროებათ.

ზოგიერთი განყოფილება იმდენად ახალია ძველი სკოლით შექმნილ პედაგოგიურ მსოფლმხედველობისათვის, რომ საჭიროდ დავინახეთ თითო წერილის ნაცვლად ამ დარგში პირველივე ნომერში ორორი წერილი მოგვეთავსებინა, თითო ზოგადი, განყოფილების სახელმძღვანელო და თითქო კონკრეტული, ჩვენი ან რუსეთის სკოლების ცოცხალ მუშაობიდან, რაც მეორე ნომრისათვის გვქონდა მომზადებუ-

*) ამ განყოფილების მუშაობაში შემყვან წერილად გამოდგება კრებულში „ახალ სკოლისაკენ“, I ნაწ. მოთავსებული წერილი „ფიზიკური აღზრდა-განათლება“.

ლი. ასე მოვექეცით სამ განყოფილებას, კომპლექსურ მეთოდს, ბავშთა თვითმართველობას და შრომის პროცესებს შრომის სკოლაში, რომელთათვის მეორე ნომრიდან პირველში გადმოტანილია: „კომპლექსური მეთოდის ხმარება“ სანიმუშო კომპლექსით, „გლეხის კარმიდამო“, „მოსკოვის სკოლა-კომუნას ბავშთა თვითმმართველობა“ მისი გაგრძელებით „მოსკოვის სამბავშო სახლების ბავშთა კონფერენცია“, „მოსკოვის და პეტროგრადის სკოლები“ და „მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლის ანგარიში“.

ამავე მიზნით მოთავსებულია ჟურნალის ზოგად ნაწილში ყოველივე სხვა მასალის ნაცვლად პროფ. გ. ნათაძის მოხსენება **საზოგადოებათმეცნიერების** შესახებ ჩვენს ახალ სკოლაში, რადგან ახალი სკოლის ძებნაში საზოგადოებათმეცნიერების სკოლის ერთ-ერთ ღერძად ქცევა **სასოფლო-სამეურნეო „ბაზასთან“**, საფუძველთან ერთად ის გადამწყვეტი ნაბიჯია, რომლის შემწეობით ჩვენი სკოლა წინანდელ უნიადაგო წიგნურ-სიტყვიერ დაწესებულებიდან **ნამდვილ სკოლად** იქცევა, ე. ი. ერის ცხოვრებისა და ბუნების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ჰეშმარიტად **საცხოვრებო და შრომის** სკოლად.

ყოველ პედაგოგს ურჩევთ ამ მოხსენების გაცნობას. ზოგიერთი მასში აღძრული საკითხის ცხოვრებაში გატარების ნიმუშების მოსაცემად ამავე ნომერში მოთავსებულია სამი, თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი წერილი: ამონაწერი **ახალქალაქის საზაფხულო კურსების** ანგარიშიდან, **ლეჩხუმის მაზრის საზაფხულო კურსების ექსკურსიების** ანგარიში და წერილი-მიმართვა მასწავლებლობისადმი **„თხრობის შესახებ ახალ სკოლაში“**.

მასწავლებელთა ადგილებზე ორგანიზაციის მნიშვნელობის უფრო სრულად საგრძნობინებლად ამავე ნომერში მოთავსებულია წერილი **„მხარეთამეცნიერების“** შესახებ, რაც არსებითია შრომის სკოლის ძებნის სწორ გზაზე დასაყენებლად ყოველ ქვეყანაში. იგივე წერილი ცოცხალ დასურათებას იძლევა ახალი პროგრამების და სახელმძღვანელოების დამუშავების სირთულისა.

ამნაირადვე არა შემთხვევითია ამ ნომერში ბიბლიოგრაფიისა და ადგილობრივი ქრონიკის განყოფილების შინაარსი. პირველის მიზანია იმ **ზოგადი გზების** დასახვა, რომელიც წამოყენებულია შრომის სკოლის დღევანდელი მდგომარეობით. მეორე იმ **კონკრეტულ გზებს** გვისახავს და გვისურათებს სანიმუშოდ, რომლებითაც კონკრეტულად უნდა დავიწყოთ სკოლებში მუშაობა.

ბიბლიოგრაფია გვაძლევს ამ ნომერში (ან პირდაპირ, ან საკითხების გაკვრითი აღძვრით და ხაზგასმით): დალტონის გეგმას, მხარეთამეცნიერებას, თითქმის არაფრიდან სასწავლო მასალის შექმნას, ულარიბეს სკოლებისათვის და აგრეთვე საზოგადოებათმეცნიერების, სკოლის ასაკამდე აღზრდის და ტერმინოლოგიის საკითხის მნიშვნელობას ახალ სკოლისათვის.

შემდეგ ნომრებიდან ეს განყოფილება უფრო კონკრეტულ დახმარებაზედაც გადავა სოფლის მასწავლებელთათვის, ახალი სკოლის ყოველი უმთავრესი საკითხის ბიბლიოგრაფიული სიების მოცემით, რომელშიაც ყოველ საინტერესო წიგნს და წერილს დართული ექნება მოკლე, მკაფიო დახასიათება.

ადგილობრივი ქრონიკა კი გვაძლევს ერთის მხრივ **საცდელ-საჩვენებელ სკოლების მუშაობას**, მეორეთი საზაფხულო გადამზადების სურათს, ამ ორივე მუშაობის იმავე სახით ცოტ-ცოტად ადგილებზე გადასატანად, მით უმეტეს, რომ განათლების კომისარიატის სასკოლო ინსტრუქტორები ამ წლის იანვრიდან ემეშვეო მუშაობას იწყებენ ადგილებზე, რაც, იმედია, ფართო დახმარებას გაუწევს ამ ჟურნალის მიზნებს და ადგილებზე მუშაობის დაწყებას ჟურნალისათვის.

ამას გარდა ადგილობრივ ქრონიკაში თითქოს შემთხვევით მოთავსებულია ცნობები **უპატრონო ბავშებზე მზრუნველობის შესახებ**. ეს იმის საგრძნობინებლად, თუ რამდენად არსებითად გამოირჩევა ახალი, **საზოგადოებრივი** აღზრდა-განათლება ძველ ვიწრო-მიზნიან სამოსწავლო სკოლისაგან. იგივე საკითხი გაშუქებულია განათლების კომისარის წერილში **„განათლების კომისარიატის სასკოლო რეფორმის გარშემო“**, რომელიც განზრახ ჟურნალის სათავეშია მოქცეული, რადგან სასკოლო რეფორმის მთლიან გეგმას და პერსპექტივას გვაძლევს. ურომლოდაც სკოლის თვითეულ საფეხურზე მუშაობას დანარჩენ საფეხურებზე მუშაობისაგან მოწყვეტილი და მათთან შეუფარდებელი ხასიათი ეძლევა, რაც იმწამსვე არღვევს ახალი სკოლის მთლიანობას. ამის გამო საყოველთაო ყურადღებას ვაქცევთ როგორც ამ წერილს, ისე მასთან დართულ **სქემა-დიაგრამას** მთელი ჩვენი დღევანდელი განათლების სისტემისა და აგრეთვე ოფიციალურ განყოფილებაში მოთავსებულ სქემას **განათლების კომისარიატის აგებულობისა**. ყველა ეს უადვილებს სკოლის ყოველი საფეხურის და ტიპის მუშაკს თავისი-

საფეხურის ადგილისა და პროპორციის გამორკვევას (და, თუ საჭირო იქნება, შეცვლის ცდას) სახალხო განათლების სრულ სისტემაში.

კერძოდ სასკოლო სისტემის დიაგრამის მიზანია, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ გახადოს ახალი სკოლის ყველა შტოებისა და საფეხურების ორგანიული **მთლიანობა** ძველი სკოლის ცალ-ცალკე, ოაზისის მზგავს სკოლის ტიპებთან შედარებით, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ერთმანეთთან.

ამ პირველ ზოგად წერილს სოციალური აღზრდის მთავარმმართველის წერილი მოსდევს „**შრომის სკოლის შესახებ**“, რომელიც უკვე კონკრეტული მუშაობის მიჯნებს გვისახავს და შესავალს შეადგენს იმ ძებნაში, რომლის დაწვრილებითი განხილვა იწყება ამ წერილის მომყოლ წერილებით ჟურნალის განყოფილებების და უმწვავეს საკითხების შესახებ, ადგილებზე ორგანიზაციიდან საკრებულო მუშაობამდე.

დიდის ყურადღებითაა შერჩეული ოფიციალური განყოფილების შინაარსი, რადგან ჩვეულებრივ ეს განყოფილება ისეთ მშრალ, მართლაც „ოფიციალურ“ და მკვდარ, არა-საცხოვრებო მასალას შეიცავს, რომ მისი სათაურის და ქვესათაურების დანახვაც საკმარისია, რომ არც ერთი ცოცხალი მასწავლებელი არც ერთ მის სტრიქონს აღარ მიეკაროს.

სხვაა ამ ჟურნალის იმავე სახელის განყოფილება. ყოველი მასში მოსათავსებლად არჩეული „დეკრეტი“ ან „ცირკულიარი“, ყოველი მისი „ოფიციალური“ წერილი ცოცხალი მუშაობის დამხმარე გეგმა ან დარიგებაა, ცენტრიდან ადგილებზე მუშაობის გამოსატანად და ერთმანეთთან შესათანხმებლად. მოკლედ, ამ განყოფილებაში მხოლოდ ის მასალაა შეტანილი, რომელსაც ჩვენი სკოლის ძებნისთვის აქვს მნიშვნელობა, რაც ცხადი ხდება ამ მასალის გადათვალიერებით. ზოგიერთი საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალურ მასალას წინ უძღვის სათანადო განყოფილების გამგის წერილი. ასეთია წერილი „**პედაგოგიური ინსტიტუტის შესახებ**“, „**სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ**“ და „**თებერვლის არდადეგების შესახებ**“. დაწყებითი სკოლების მუშაკთა ყურადღებას ვაქცევთ **საბავშო ბაღებში მუშაობის სახელმძღვანელო** ბარათს, რომელიც გამოადგება ყოველი ყრუ სკოლის დაწყებით ჯგუფების ხელმძღვანელს, საბავშო და სასკოლო ბაღების უქონლობის ასანაზღაურებლად. შემდეგ ნომერში **სასკოლო ბაღის** საკითხი იქნება გაშუქებული.

ამას გარდა დიდ დახმარებას გაუწევს იმავე ყრუ სოფლის სკოლებს ცირკულიარული წერილის ბოლო განათლების განყოფილებათა ანგარიშების შესახებ ამა წლის თებერვლის ყრილობისათვის. ყველა პედაგოგის ყურადღებას ვაქცევთ ამ ანკეტას, როგორც ახალი სკოლის მუშაობის დამხმარე გეგმას.

ამგვარ მასალას დართული აქვს ორი-სამი დებულება, რომლის მიზანია რაც შეიძლება უფრო სრულად წარმოუდგინოს ჩვენი სკოლის მუშაკს ჩვენი განათლების საქმის მთელი დღევანდელი ორგანიზაცია.

ასეთია მოკლედ პირველი ნომრის შინაარსი, დაგვირგვინებული **საქართველოს მასწავლებლობისადმი მოწოდებით**, რომელიც იმედია ამაოდ და უგამოუხმაურებლად არ ჩაივლის სოფლის სკოლის მუშაკთა შორის, რადგან ეს მოწოდება შედგენილია ამ საქმის საუკეთესო მუშაკების მიერ და მასში შეტანილია მთელი მათი გამოცდილება, საქმის სიყვარული და დახმარების სურვილი ამ მუშაობაში უფრო ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

ჟურნალის მუშაობის შესახებ.

ჟურნალს სათავეში უდგას ე. წ. **მთავარი სარედაქციო კოლეგია** (11 პირი), რომელშიაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ აქაური მუშაკები და ორგანიზაციათა წარმომადგენლები შედიან, მომავალში კი აუცილებლად ადგილების წარმომადგენლებიც ჩაემატებიან, რომელთაც ჟურნალისთვის ადგილებზე მუშაობა წამოსწევს წინ. ეს კოლეგია ზოგად საერთო ხელმძღვანელობას უწევს ჟურნალს.

ჟურნალის მთელ მიმდინარე მუშაობას კი უძღვება ე. წ. **მცირე სარედაქციო კოლეგია** (4 პირი), რომელიც განუწყვეტლივ უმეშვეო მონაწილეობას იღებს ჟურნალის ნომრების შედგენაში.

მაგრამ ჟურნალის მთელი შავი მუშაობა, მთელის თავისი სიმძიმით და სირთულით აწევს ჟურნალის განყოფილებათა ხელმძღვანელებს, რომელთაც უმრავლესობა ამავე დროს სარედაქციო კოლეგიის წევრებია და ჟურნალის ე. წ. პასუხისმგებელ „მდივ ნს“, რომლის დანიშნულებაა ყველა ამ კომისიების მუშაობის ერთმანეთთან შეთანხმება და ჟურნალის მთლიან გეგმასთან შეფარდება, ჟურნალის **იმ მთლიანობა** და **თანშეფარდებულობის** დაცვისათვის, ურომლოდაც შეუძლებელია ახალი სკოლის ცოცხალი, მთლიანი სულის გადმოცემა.

მაგრამ ვაი ამ მთლიანობის დაცვას. ვინაიდან ჩვენს ამხანაგებს ადგილებზე დაახლოვებით იმავე წვალების გამოვლა მოელის, მოვიყვანთ მოკლედ პირველი ნომრის შედგენის სურათს. მთავარ-კოლეგიის სამი სხდომის შემდეგ მცირე კოლეგიამ დაადგინა სამივე საცდელ-საჩვენებელი სკოლის წარმომადგენელთა შეყრა ტფილისის სკოლების ჟურნალის მუშაობაში ჩაბმისათვის საჭირო გეგმის გამოსამუშავებლად და საცდელ სკოლათა სპეციალისტების შორის მუშაობის გასანაწილებლად.

ამის შემდეგ დაიწყო კომისიების მუშაობა. ჯერ ყოველი კომისია ცალკე იკრიფებოდა, თავისი სპეციალური მუშაობის გასათვალისწინებლად და გამოსარკვევად, მაგალითად საკრებულო (საკლუბო) მუშაობისა ან მასწავლებელთა მომზადებისა და სხ.; შემდეგ ყოველი ასეთი კომისია თავისი უახლოვესი დარგის კომისიასთან ერთად იკრიფებოდა. მაგალითად საკრებულო მუშაობისა და ბავშვთა თვითმართველობის კომისია ადგილებზე ორგანიზაციისა და მასწავლებელთა მომზადების კომისია და სხ., თვენახევრის განმავლობაში.

ყველაზედ უფრო ძნელი აღმოჩნდა შრომის პროცესების კომისიის საზღვრების გამორკვევა და სხვა კომისიების მუშაობისაგან გამიჯვნა, რადგან შრომის სკოლაში ყველაფერი შრომაზეა აგებული, მას შეიცავს და მასზე ბრუნავს. ამიტომ თითქმის გაუსაზღვრელი აღმოჩნდა, სად თავდება სკოლაში „შრომის პროცესები“ და მათთვის „ადგილობრივი წარმოების გამოყენება“ და სად იწყება კომპლექსური მუშაობა, თვითმმართველობა, საკრებულო მუშაობა, ასაკის სათანადო მუშაობა, ახალი პროგრამების ძებნა და სხ. და სხ. ამიტომ ამ განყოფილების სახელმძღვანელო წერილის დასამუშავებლად რამდენ-რამდენიმე კომისიაც შევკრიბეთ ერთად რამდენ-რამდენიმეჯერ, სხვა განყოფილებების სახელმძღვანელო წერილებიც წავიკითხეთ, შრომის პროცესების წერილის მათთან შესათანხმებლად, ტფილისის რამდენიმე შრომის სკოლაც მოვიწვიეთ, შრომის პროცესებზე მათი შეხედულების და გამოცდილების გამოსაყენებლად.

ამ უკანასკნელი მუშაობის კიდევ არა ერთ შედეგს დავინახავთ შემდეგ ნომრებში, რადგან შრომის პრინციპის ყოველმხრივ გაშლაზე და გამორკვევაზე წვალებამ არა ერთი ცოცხალი საკითხი წარმოშობა ჟურნალის უახლოვეს ნომრებისათვის.

შემდეგ ნომრების შესახებ.

პირველი ნომრის შინაარსი მთლიანია და დაბეჯითებითაა ერთმანეთთან შეთანხმებული, რომ სოფელმა რაც შეიძლება უფრო მთლიანი

და ფართო-პერსპექტივიანი სრული სურათი მიიღოს ახალი სკოლისგან და მისი განხორციელების სრული მნიშვნელობა იგრძნოს ყოველი ერის კულტურული არსებობისათვის.

ამნაირივე იქნება, თუმც უფრო კონკრეტული ხასიათით — მეორე ნომერიც.

მაგრამ შრომის სკოლა იმდენად ნორჩი და ჩამოუყალიბებელია, იმდენად **ადგილობრივ პირობებზე დამოკიდებული** და **კოლექტიურად-მასიურად** საძებნი, რომ მისი მიგნება შესაძლოა მხოლოდ ყოველი მისი მხარისა და საკითხის **ყოველმხრივი** გაშუქებით, რაც გინდა არაერთნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო იყოს ეს სხვადასხვანაირი აზრი და შეხედულება. მხოლოდ „აზრთა შეტაკებიდან ამოხეთქილ ჭეშმარიტებას“ აქვს ნამდვილი დამარწმუნებელი ძალა, რადგან მხოლოდ ის გვაძლევს ძებნილის ყოვლმხრივ სურათს, ამიტომ ჟურნალის მეორე ან მესამე ნომრიდანვე ყოველი განყოფილება მოთავსებს თავის ფურცლებზე არა მხოლოდ პირველ ნომერში დასახულ ხაზების თანახმა წერილებს, არამედ აგრეთვე ყოველივე იმ გამოკამათებას და პირველ ნომრისაგან განსხვავებულ შეხედულებას, რომელსაც საერთო პედაგოგიური მნიშვნელობა ექნება ჩვენი სკოლის ძებნისათვის.

Y 3372

კრებული „ახალ სკოლისაკენ“.

წინა წერილში უკვე აღნიშნულია, რომ ეს ჟურნალი უმეშვეო გაგრძელებაა განათლების კომისარიატის მიერ ამ ზაფხულში გამოცემული ორი კრებულისა „ახალ სკოლისაკენ“. საჭიროა ამ ორივე კრებულის შინაარსის ჩამოთვლა, რადგან პირველი ნომრის პროგრამაც, ცალკე წერილების შინაარსიც სავსებით ეყრდნობა ამ ორივე კრებულის თეზისებს, დებულებებს, მასალას და დასახულ ხაზებს. განყოფილებათა სახელმძღვანელო წერილები კი ნახევარ თავის მნიშვნელობას კარგავენ, თუ პირველი კრებულის სათანადო წერილები არ იქნა წინასწარ წაკითხული ამავე საკითხების შესახებ.

ამიტომ მოგვყავს ორივე კრებულის შინაარსი, როგორც ჟურნალის მთელი შემდგომი მუშაობის გამოსავალი წერტი:

ნ ა წ ი ლ ი I.

1. სარედაქციო კოლეგიისაგან.
2. სოც. აღზრდის მთავარმმართველობის ამოცანები — მ. **ორახელაშვილისა.**

ეროვნ. ბიბლიოთ.

3. სოც. აღზრდის მუშაკთა გადამზადების შესახებ საქართველოში —**მ. ორახელაშვილისა.**

4. სასწავლო გეგმა შრომის სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებისა—**მ. ორახელაშვილისა.**

5. სასწავლო გეგმა შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებისა—**მ. ორახელაშვილისა.**

6. პოლიტიკურ-განმანათლებელ ციკლის შესწავლის შესახებ.

7. სკოლის ანკეტის შესახებ.

8. პედაგოგიური ფსიქოლოგია და პედაგოგიურ იდეათა ისტორიის პროგრამა-კონსპექტი—**გ. გეხტმანი.**

9. ბავშის ფსიქოლოგია და სკოლის ასაკამდე აღზრდის საფუძველი—**რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.**

10. შრომის სკოლის შესახებ—**გ. გეხტმანი** და **რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.**

11. კურსის გეგმა „სწავლა შრომის სკოლაზე". **ი. მელიქ-შახნაზაროვი.**

12. მეთოდები შრომის პროცესების გარდაცემისა—**ლ. ჰეკკერი.**

13. ადგილობრივი წარმოების ჩართვა შრომის სკოლის საგანმანათლებლო მასალაში—**ლ. ჰეკკერი.**

14. პროგრამა-კონსპექტი საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიისა—**გ. გეხტმანი.**

15. სასკოლო სტატისტიკა—**თ. ბებურიშვილი.**

16. ესთეტიური აღზრდა ახალ სკოლაში—**მიხ. ზანდოკელი.**

17. ფიზიკური აღზრდა-განათლება—**თ. ნიკოლაძე, გ. ეგნატაშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.**

18. ტანვარჯიშობის პროგრამა საქართველოს ს. ს. რ. მოლიან შრომის სკოლაში.

19. სასკოლო ჰიგიენის საფუძვლები—**ექ. ზუნტურიდი.**

20. ბავშთა საკრებულო მუშაობა და მისი ორგანიზაცია—**ბარბ. კ.ნდელაკი.**

21. განათლების მუშაკთა ბიბლიოთეკისათვის წიგნების წია.

ნ ა წ ი ლ ი II.

1. სარედაქციო კოლეგიისაგან.

2. სოციალური აღზრდის ახალი სისტემა და გეგმა—**მ. ორახელაშვილისა.**

3. ბუნება—განმარტებითი ბარათი.
4. ბუნების პროგრამა.
5. გეოგრაფია—ზოგადი განმარტებითი ბარათი.
6. სამშობლოს შესწავლა.
7. ქვეყანათა შესწავლა—განმარტებითი ბარათი.
8. ქვეყნების შესწავლის პროგრამა.
9. საქართველოს გეოგრაფია—განმარტებითი ბარათი.
10. საქართველოს გეოგრაფიის პროგრამა.
11. საზოგადოებათმეცნიერება—განმარტებ. ბარათი და პროგრამა.
12. წიგნების სია პირველყოფილი კულტურისათვის.
13 განმარტებითი ბარათი წერა-კითხვის შესწავლის შესახებ.
14. მათემატიკა—განმარტებითი ბარათი.
15. მათემატიკის პროგრამა—არითმეტიკა.
16. „ „ —გეომეტრია.
17. კომპლექსური მეთოდის შესახებ*)—**გ. კონიაშვილი და გ. ნათაძე.**

მთელი ეს მუშაობა უძღოდა წინ პირველი ნომრის გაჩენას, ისე რომ იმედია ამ ნომრისა და ორივე კრებულის ყოველი ნაკლი, შეცდომა ან ვისმესათვის არასასურველი ხაზი თუ გაშუქება მტრულის, ძვირისმდომი კრიტიკით კი არ იქნება მიღებული, როგორც ეს არა ერთ ახალ საქმეს ემართება, არამედ სულ სხვა კრიტიკით, რომელიც დახმარებისა და სიძნელის გაზიარების სურვილით იბადება და რომლის მიზანია დაეხმაროს საქმის პირველ პიონერებს სწორი გზის გაგნებაში. ყოველ ასეთ შენიშვნას, ყოველ ასეთ კრიტიკას და გამოკამათებას დიდის მადლობითა და ყურადღებით მივიღებთ

რუსულიდან ნათარგმნი წერილების ენისათვის და უნებლიე შეცდომებისათვის წინდაწინ ბოდიშს ვიხდით, თარგმნისათვის და შესწორებისათვის მეტად შეზღუდული დროის გამო. ვეცდებით, რომ შემდეგ ნომრებში ენა უკეთესი იყოს, მით უმეტეს, რომ იმედია, ყოველი ახა-

---

*) დამუშავებულია მანგლისის საზაფხულო კურსებზე.

ლი ნომერი საგრძნობლად შესცვლის ქართული ორიგინალების სასარგებლოდ ქართული და არა ქართული წერილების შედარებით რიცხვს.

აგრეთვე იმედია, რომ ყოველი ახალი ნომერი უფრო და უფრო შესცვლის სოფლის სასარგებლოდ ქალაქისა და სოფლის თანამშრომლობის შეფარდებას ამ ჟურნალში, რადგან ყოველი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა მხოლოდ მაშინ მიაგნებს თავის ჭეშმარიტ შრომის სკოლას, როცა მისი ძებნის ცენტრი ქალაქიდან **სოფელში** იქნება გადატანილი.

ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი.

იანვარი, 1924 წ.

სასკოლო რეფორმის გარშემო

ცხოვრების დღევანდელ გართულებელ პირობებში მხოლოდ ის იმარჯვებს, მხოლოდ ის უმკლავდება ახალ ცხოვრებას, ვინც უფრო კარგად შეიარაღებულია აქტიური, ცხოვრებისათვის გამოსაყენებელი სწავლა-განათლებით. ყოველი ერის კულტურული წინმსვლელობა პირდაპირ დამოკიდებულია მშრომელ ხალხში ასეთი ჭეშმარიტი განათლების გავრცელებაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში ამ უდავო ჭეშმარიტებას თავიდანვე სათანადო ანგარიში გაუწია და, მიუხედავად სამოქალაქო ომის სიძნელისა, მთელი თავისი კულტურული ძალები და უდიდესი ნაწილი ნივთიერი რესურსებისა აამოძრავა მშრომელ ფართო მასებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობიდან პოლიტიკურ განათლებამდე.

რუსეთის კულტურის ისტორიის პირუთვნელი მკვლევარი თავისდროზედ უეჭველად დაადასტურებს, რომ სწავლა-განათლების გავრცელების საქმე რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდად განმტკიცდა და გაიზარდა, ფართო მასების თვითცნობიერება კულტურული ფრონტის გაღრმავებით ერთი ორად გადიდდა და ფართო ფარგლებით შემოიხაზა. ეს გარემოება ისეთი უტყუარი ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრებიც კი ვერ უარყოფენ.

თითქმის სამი წელიწადი სრულდება, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ვინც ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი მებრძოლია, ვისაც სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში პირველხარისხოვან საკითხად აქვს დასახული, ვისაც მიზნად დასახული აქვს მშრომელ მასებში შეგნებისა და თვითცნობიერების შეტანა, ის უეჭველად დაგვიმოწმებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება დღიდან ჩვენის რესპუბლიკის გასაბჭოებისა იშვიათის მზრუნველობით ეპყრობა ჩვენი ეროვნული კულტურის დაცვას ცხოვრების შეცვლილ პირობათა მიხედვით და მისი წინსვლისა და განვითარების საქმეს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სწავლა-განათლების საქმე პირველხარისხოვან საზრუნველ საგნად აქვს მიჩნეული და კიდევაც ამიტომ შესაძლებლობის ფარგლებში ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რათა ეს მნიშვნელოვანი საქმე ღირსეულად მოეწყოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

ამმხრით საკმარისია აღვნიშნოთ, რომ, თუ ძველად სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის ფონდს უპირველესი ადგილი ეჭირა, დღეს საბჭოთა ხელისუფლების წყალობით რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის 51% სწავლა-განათლების საქმეს ხმარდება საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ყურადღება და მზრუნველობა სრული თავდებია იმისა, რომ შორს არაა ის დრო, როცა სწავლა-განათლების საქმე მკვიდრ ნიადაგზე ღადგება ჩვენი რესპუბლიკის შორეულ და მივარდნილ კუთხეებშიც და ამრიგად ეროვნული კულტურის გამტკიცებით და გაღვივებით ჩვენი ერიც ჩაებმება საკაცობრიო მსოფლიო კულტურის განვითარების ფერხულში.

განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც მთავრობის მიერ დაკისრებული აქვს სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგება საქართველოში, დღიდან თავისი დაარსებისა ცდილობდა და დღესაც ცდილობს ეს დიდი პასუხისსაგები საქმე სასურველად მოაგვაროს მთელი ერის საკეთილდღეოდ.

კომისარიატს თავიდან ფართო გეგმები ჰქონდა დასახული განათლების დარგში რეფორმის მოსახდენად, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა კომისარიატი შესამჩნევად შეეცვალა პირვანდელი განზრახვანი, თვალსაჩინოდ შეეზღუდა სასკოლო ცხრილის გაფართოვების გეგმა: შეეჩერებინა ტემპი ძირითადი რეფორმების გატარებისა და, რაც უმთავრესია, გადაედო ვადა მოზარდი თაობის **სავალდებულო საყოველთაო უფასო** სწავლების განხორციელებისა, თუნდაც იმ მცირე მასშტაბით, რომელსაც შრომის სკოლის ოთხწლიანი კურსი წარმოადგენს.

ცხადია, განათლების კომისარიატის მოღვაწეობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იქნებოდა, რომ ცხოვრების ობიექტიურ პირობებს მისთვის ასე ხელი არ შეეშალა და დაბრკოლება არ აღმოეჩინა.

მთელი სამი წლის განმავლობაში განათლების მუშაკთა მეტად მძიმე მატერიალური მდგომარეობა, გამოწვეული დაბალი სამუშაო ხელფასის ქირით, მცოდნე და აქტიური პედაგოგების ნაკლებობა,

მასწავლებელთათვის დასაზღვეული ტახმარების მოუწყობლობა, ჯამაგირუ-ბის დაგვიანებით დარიგება, სასკოლო შენობების უქონლობა და უვარ-გისობა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების, სულ მცირედი გამონაკლისით, განათლების განყოფილებებისადმი სრული უყურადღე-ბობა ჰქმნიდენ იმ მძიმე ატმოსფეროს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა განათლების კომისარიატს თავისი მოღვაწეობის დროს.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულ დაბრკოლებებისა, განათლე-ბის კომისარიატმა სამი წლის განმავლობაში უდიდესი საქმე გააკეთა. მან მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა ტიპისა და საფეხურის სკო-ლას და **დაუკავშირა იგი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნი-ლებას**.

ამ რეფორმის მოხდენის დროს განათლების კომისარიატი განსა-კუთრებელი სიფრთხილით და თანდანობით შეუდგა სოციალური აღ-ზრდისა და პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების მოგვარების საქმეს. მთელი თავისი რეფორმა კომისარიატმა ააგო ე. წ. სასოფლო-სამეურნეო „ბაზაზე", საფუძველზე, ვინაიდან საქართველო დღესაც, ახლო მომავალშიც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა და ამიტომ მისთვის საცხოვრებო, ჭეშმარიტი სწავლა-განათლება უნდა სასოფლო-სამეურ-ნეო ნიადაგს ეყრდნობოდეს და არა საქარხნო-საშრეწველოს ან კიდევ სხვა რომელიმეს.

სოციალური აღზრდის მთავარმმართველობა.

სოციალური აღზრდის მთავარმა სამმართველომ, მიიღო რა მხედ-ველობაში ადგილობრივი სინამდვილე და რესპუბლიკის მატერიალური საშუალებანი, დღიდან თავისი მოღვაწეობისა არ შეუდგა ფართო და დიდი გეგმების განხორციელებას, იგი ფრთხილად მიუდგა სასკოლო ამ-შენებლობის საქმეს და ამრიგად მიაღწია სკოლის ძირითად ცვლილებას.

მთლიანი შრომის სკოლა.

სკოლას საფუძვლად დაედო **შრომის პრინციპი** და სკოლის ყველა საფეხურების მთლიანობა. ამ პრინციპზედ აგებული სკოლა წარსული სასწავლო წლის გასულს მოხდენილ რეორგანიზაციის მიხედვით შეი-ცავს ორი საფეხურის სკოლას: პირველი საფეხურისაა—**ოთხწლიანი შრომის სკოლა**, ხოლო მეორესი—**შვიდწლიანი** და **ცხრაწლიანი** შრომის სკოლის ზემო სამი და ორი წელი.

ოთხწლიანი შრომის სკოლა, კომისარიატის გეგმით, საკალდებულო

საყოველთაო მასიურ სკოლადაა აღიარებული და მისი აგების ღერძად სოფელია აღებული იმ ვარაუდით, რომ მუშა-გლეხის მასამ მასში დამთავრებული ზოგადი აქტიური განათლება მიიღოს.

ცხადია, რომ ოთხწლიან სკოლაში ეს განათლება ფართო ვერ იქნება, ვერ შეუმუშავებს მოწაფეებს სრულ მსოფლმხედველობას და ამიტომ თვით ცხოვრების სინამდვილემ გამოიწვია მეორე საფეხურის პირველი კონცენტრის—დამატებითი სამწლიანი სკოლის დართვა ოთხწლიან სკოლას, რაც ერთად **შვიდწლიან სკოლას** ჰქმნის.

ამ შვიდწლიან შრომის სკოლას ძიზნად აქვს დასახული: საზოგადო განათლების ფართო პროგრამებით შეთვისება და დამთავრება, შემუშავება მოწაფეებში თანახმად ახალი ცხოვრების მოთხოვნილებისა საჭირო ცოდნისა და გამოცდილებისა, რათა ეს ცოდნა და გამოცდილება საჭირო დროს გამოიყენონ, როცა ისინი ამ სკოლის დამთავრების შემდეგ გამოვლენ სამოღვაწეოდ ცხოვრების სარბიელზე.

მაგრამ, საზოგადო განვითარების მისაღებად, ცხოვრებისა და შრომის ორგანიზაციის სერიოზული ცოდნის მოსაპოვებლად, სწორი მსოფლმხედველობის შესამუშავებლად, სამოქალაქო ცხოვრებისთვის მოსამზადებლად და ბოლოს, უმაღლესი ცოდნისა და გაუმჯობესებული უმაღლესი ტექნიკის შესათვისებლად საჭიროთ ჩეიქმნა დაარსება ისეთი სკოლისა, რომელიც ნორმალურ პირობებში შესძლებს დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნილებანი.

კომისარიატის აზრით ასეთ დანიშნულებას შეასრულებს **ცხრაწლიანი შრომის სკოლა**, ე. ი. იგივე შვიდწლიანი სკოლა ზემო ორი წლის დამატებით, რომელიც არსებული პროგრამების მიხედვით საშუალებას მისცემს მოწაფეებს ამოირჩიონ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სპეციალური საგანი, მოწოდების მიხედვით და ამავე დროს მსურველებს მოკლე გზას დაუსახავს უმაღლეს სასწავლებლისაკენ.

ასეთია მოკლედ მთლიანი სკოლის ახალი სისტემა, რომელიც სოციალურ აღზრდის მთავარმა მართველობამ მიმდინარე სასწავლო წლიდან ცხოვრებაში გაატარა.

შრომის პრინციპებზედ აგებულ მთლიან შრომის სკოლების ნაყოფიერად მოქმედებისათვის საჭირო იყო **საცდელ-საჩვენებელი სკოლების** გახსნა და **სკოლის გარეშე მუშაობის** მკვიდრ ნიადაგზედ დაყენება.

საცდელ-საჩვენებელი სკოლები.

საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლებში, რომელთა რიცხვი მთელს

რესპუბლიკაში ჯერჯერობით სამია, სწარმოებს ორგვარი მუშაობა — ექსპერიმენტალური, ე. ი. საცდელი და საჩვენებელი. პირველი მუშაობა, საცდელი პრაქტიკული და თეორეტიული კვლევა-ძიებით და სხვადასხვა ცდების საშუალებით, არკვევს ცალკე პედაგოგიურ საკითხებს, ხოლო მეორე მუშაობა, საჩვენებელი, რომლის კარები ღიაა განათლების ყველა მუშაკთათვის, სკდილობს ნათლად აჩვენოს ყველას ამ ცდებისა და კვლევა-ძიების შედეგი. საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლებში მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო ეგრედ წოდებულ საკომპლექსო მეთოდის გამოყენებაში და ამ მეთოდის გამოყენება უკვე სწარმოებს პირველ ჯგუფებში.

დღეს-დღეობით, როცა განათლების სახალხო კომისარიატს თავისი საკუთარი ჟურნალი უკვე მოეპოვება, ჩვენ შეძლება გვეძლევა მივაწოდოთ განათლების დარგში მომუშავეთა მასას ყველა ის შედეგი და მიღწევა, რაც მიღებულ იქნა საცდელი და მეთოდიური მუშაობის დროს ჩვენს საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლებში და ამრიგად ხელი შეუწყოთ რესპუბლიკის შრომის სკოლებში სწავლა-განათლების უფრო სასურველად მოწყობის საქმეს.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის შრომის სკოლებში გატარება ყველა იმისა, რაც საცდელ-საჩვენებელმა სკოლებმა მოგვცეს, ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან არ გვყვანან საკმაოდ **მომზადებული ხელმძღვანელნი** და ობექტიური პირობები ამისათვის საკმარისად ხელს არ გვიწყობენ ამიტომ კომისარიატი ჯერ ამ დაბრკოლებების დაძლევაზე ზრუნავს.

სკოლის გარეშე მუშაობა.

სკოლის გარეშე მუშაობის დანიშნულებაც იქითკენაა მიმართული, რომ შრომის სკოლების ნაყოფიერების განმტკიცებას ხელი შეუწყოს სასკოლო საკრებულოების (კლუბების) და **ბიბლიოთეკა-კოლექტორების** დაარსებით. სკოლის გარეშე მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ სკოლაზე გადასვლაში, რადგან მომავალში სკოლის მუშაობას სავსებით ჩაერთობა სკოლის გარეშე მეცადინეობაც.

სკოლის ასაკამდე აღზრდა.

სკოლის ასაკამდე აღზრდას სოციალური აღზრდის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი მტკიცე და საიმედო **საფუძველია** ყოველგვარი აღზრდა-განათლებისა. კომისარიატს ამ დარგის მოწყობის დროს განსაკუთრებულ და მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა, რადგან ჩვენში არ მოიპოვებოდა ამ საქმისათვის სათანადოდ მომზადე-

ბული ხელმძღვანელები და არ არსებობდა შესაფერი დაწესებულებანი, ვინაიდან ეს დარგი მუშაობისა საქართველოში სრულიად ახალი და უჩვეულო იყო. საჭირო შეიქნა ყველაფრის თავიდან დაწყება, ყველაფრის თავიდან შოგვარება.

პირველ ხანებში სკოლის ასაკამდე აღზრდის გარშემო მუშაობას მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. ამჟამად კი კომისარიატის სკოლის ასაკამდე განყოფილების მთელი ყურადღება მიქცეულია ამ დარგის დაწესებულებათა მოწყობას და პედაგოგიური საქმის მათში ჯეროვანად დაყენებას. დაარსდა **საცდელ-საჩვენებელი საბავშო სახლები** და **ბაღი**, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან როგორც მატერიალურად, ისე საუკეთესო პედაგოგიური ძალებით.

საბავშო სახლები.

სასკოლო ასაკის საბავშო სახლებში მოწყობილია მეცადინეობა შრომის სკოლის პროგრამით, ან იქაური ბავშვები დადიან მახლობელ შრომის სკოლაში. სკოლის ასაკამდე ბავშვების სახლებში კი საბავშო ბაღებია მოწყობილი.

ეს ახალი და უჩვეულო საქმე ამ სამი წლის განმავლობაში იმდენად მკვიდრ ნიადაგზე დადგა და გაიზარდა, რომ მთელს რესპუბლიკაში არსებობს **36 საბავშო ბაღი**, რომელთა რიცხვში სრულებით არ შედის სკოლებთან არსებული ე. წ. **სასკოლო ბაღები**, 33 საბავშო სახლი, 2 კერა და მუდმივი საბავშო ახალშენი (კოლონია) კოჯორში. ამას გარდა ზაფხულობით მოქმედობენ ახალშენები მუშათა ბავშვებისათვის და საბავშო მოედნები (площадки), რომლებიც ყოველწლივ თავს უყრიან 10,00-მდე ბავშს.

უპატრონო და დეფექტიანი ბავშები.

სოციალური აღზრდის მართველობის თანხმობით და მეცადინეობის წინასწარ შემუშავებული გეგმით დაარსდა **მცირე წლოვანთა უფლების დაცვის განყოფილება**, რომელჰაც მიზნად დაისახა ბრძოლა ბავშთა უპატრონობასთან და მცირეწლოვანთა უფლების დარღვევასთან და აგრეთვე დეფექტიან ბავშების აღზრდისა და განათლების შესახებ ზრუნვა.

პირველი მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად კომისარიატთან დაარსდა **იურიდიული დახმარების სექცია** და **ბრალდებულ მცირე წლოვანთა კომისია**. ქუჩის **უპატრონო ბავშვთათვის** მოეწყო **კოლექტორი**, სადაც ბავშები ორი კვირიდან ერთ თვემდე რჩებიან, რომლის განმავლობაში კოლექტორის პედაგოგთა და ექიმთა პერსონალი იკვ-

ლევს ბავშების დეფექტს და შემდეგ ანაწილებს მათ სათანადო დაწესებულებებში.

მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებამ სათანადო ყურადღება მიაქცია დეფექტიან ბავშების აღზრდისა და განათლების იმ დაწესებულებათა აღდგენას და მოწყობას, რომელნიც ოდესღაც არსებობდენ, მაგრამ ან დაიხურნენ ან თავიანთი ხასიათით ახლანდელ დროის მოთხოვნილებას არ შეეფერებოდნენ. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნიან: **უსინათლოთა სკოლა, ყრუ-მუნჯთა სკოლა** და აგრეთვე ეგრედ წოდებული **„მცირეწლოვანთა დამნაშავეთათვის“** არსებული ავჭალის **ახალშენი.**

თავისთავად ცხადია, რომ ყველა მოხსენებული დაწესებულების ჯეროვანად მოწყობა და საღ პედაგოგიური საფუძველზედ დამყარება უდავოდ ხელს შეუწყობს სოციალური აღზრდის საქმეს საქართველოში და ამრიგად იხსნის დიდ წილს მოზარდ ბავშთა მოსახლეობას მოსალოდნელ საფრთხეთა და განსაცდელისაგან.

მართლაც ყველა მოხსენებულ დაწესებულებას საფუძვლად უდევს **შრომის პრინციპი,** რომლის მიხედვით მასწავლებელ-აღმზრდელები აწესრიგებენ საქმეს ამ დაწესებულებებში და შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებენ იმ მიზნებს, რომლებიც სოციალური აღზრდის მთავარმართველობამ დაისახა თავის მოქმედების ქვაკუთხედად სწავლა-განათლების საქმეში.

ლიტერატურულ-მხატვრული სექცია.

სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის ერთ ერთ საზრუნავ საგნად მიჩნეულია აგრეთვე **ხალხშო ლიტერატურის** შექმნა და განვითარება, **მუსიკისა** და **ხალხშო თეატრის** ჯეროვანად მოწყობა.

აუცილებელ საჭიროებად უნდა იქნას მიჩნეული საქართველოში **ხალხშო გამომცემლობის,** ხალხშო მუსიკისა, თეატრის და **კინოს** სათანადო სიმაღლეზედ დაყენება, რადგან ჩვენი ხალხშო ლიტერატურა მეტად ღარიბია და სკოლისა და ოჯახის მოთხოვნილება ამ მხრით სრულებით არაა დაკმაყოფილებული ამჟამად არსებული ხალხშო წიგნებით.

ამ აზრით 1922 წლის ივნისში სოციალური აღზრდის მთავარმმართველობასთან დაარსდა **ლიტერატურულ-მხატვრული სექცია,** რომელსაც მიზნად აქვს დასახული შექმნა და განვითარება ლიტერატურის, მუსიკისა და თეატრის და განხორციელება უმაღლეს კონტროლისა მთე-

ლი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ამ დარგში. სექციამ უპირველეს ყოვლისა ხელი მოჰკიდა იმ წიგნებს, რომელნიც წინად გამოდიოდა ახალგაზრდობის ორი ასაკისათვის: პატარეებისა და მოზრდილებისათვის, ხელახლად გადაიმუშავა მათი შერჩევის პროგრამა და შეუდგა მათი გამოცემის განგრძობას.

დღემდე სალიტერატურო სექციის მაცადინეობით დაიბეჭდა 34 სახელწოდების გამოცემა მხატვრული და მეცნიერულ-პროლეტარული ხასიათისა. ყველა წიგნი მეტად მხატვრულად არის გამოცემული: არის ისეთი გამოცემა, რომელიც ქართულ გამომცემლობაში იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, კრებული „შემოდგომა“ და ზღაპარი „ბებერი, ტურა და კუდა-მელა“. სექციამ ქართულსა, სომხურსა და თათრულ ენებზედ გამოსცა 150.000 ცალამდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნი და ჟურნალი.

მუსიკალური ნაწარმოებიდან ქართულსა და სომხურ ენებზედ გამოიცა ჯერჯერობით მხოლოდ „საბავშო ინტერნაციონალი“ და ერთი კიდევ რევოლიუციონური სიმღერა.

სამხატვრო სექციამ უკვე მოაწყო **საბავშო თეატრი**, რომლის შესახებ წერილი ცალკე იქნება მოცემული და რომელიც ასე საჭიროა დღესდღეობით, როდესაც სალი გასართობების უქონლობის გამო, ბავშვები იძულებული არიან თავიანთი ესთეტიური და ზნეობრივი გრძნობები აღზარდონ სრულიად შეუფერებელ პირობებში.

სექციას ფართო გეგმა აქვს დასახული მომავალში სამოღვაწეოდ და, თუ კომისარიატმა შესძლო მისი ნივთიერად უზრუნველყოფა, ყოველს ეჰვს გარეშეა ამ ფრიად საჭირო ორგანიზაციის მუშაობა ფასდაუდებელ ნაყოფს გამოიღებს ჩვენი მოზარდი თაობის გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საქმეში.

სოციალური აღზრდის მმართველობამ შრომის სკოლების რეფორმასთან ერთად დაიწყო სათანადო პროგრამების შემუშავება ოთხწლიანი სკოლის პროგრამებით, რომელიც დაუგზავნა განათლების განყოფილებებს, სკოლებში სახელმძღვანელოდ, ამ ზაფხულს გამოცემული კრებულის სახით **„ახალ სკოლისაკენ“**.

მასწავლებელთა მომზადება.

მთლიანი შრომის სკოლის რეფორმასთან ერთად, რასაკვირველია, აუცილებელი შეიქნა **მასწავლებლების** სათანადო **გადამზადება**. წარსული ზაფხულის განმავლობაში ამ მიზნით კომისარიატმა მოაწყო

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით 17 სხვადასხვა ადგილას **გადასამზადებელი კურსები**, რომელშიაც მუშაობა სისტემატიურად სწარმოებდა გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

ამ მოკლევადიან კურსებზედ მოისმინა ლექციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 2000-მდე მასწავლებელმა და მიმდინარე სასწავლო წლიდანვე შევსებული ცოდნით შეუდგა სკოლებში საქმიანობას.

კურსების მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა, ისე რომ ამჟამად ჩვენ უკვე მოგვეპოვება საკმაო რიცხვი ახალ შრომის პრინციპზედ გადამზადებული მასწავლებლებისა და ამნაირად საშუალება გვეძლევა ახალი სკოლის მეთოდებს გაცნობილ მასწავლებლების ხელმძღვანელობით შედარებით პირნათლად გავატაროთ ცხოვრებაში ის პედაგოგიური პრინციპები, რომლებიც ჯომისარიატმა საფუძვლად დაუდო თავის სასკოლო რეფორმას.

განათლების კომისარიატმა სოციალური აღზრდის რეფორმისა და რეორგანიზაციის დროს კიდევ მრავალ საკითხს გაუწია ანგარიში და მათი ცხოვრებაში გასატარებლად სათანადო ნაბიჯებიც გადადგა, ხოლო ამ საკითხების შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი.

პროფ.-ტექნიკური განათლების მთავარმმართველობა

ამჟამად უფრო დროულად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ კომისარიატის მუშაობას **პროფესიონალურ-ტექნიკურ განათლების** რეორგანიზაციის შესახებ.

კომისარიატის პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების მთავარმმართველობას, რომელიც 1921 წლის ივნისში მოეწყო, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაევალა: 1—ორგანიზაცია მაღალი და დაბალი სკოლისა იმ მხრით, რომ მათი **პროგრამა დაახლოვებოდა პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას** და სოციალური წყობილების პირობებს; 2—ამ სკოლების გარდაქმნა გლეხთა და მუშათა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომად და 3—შექმნა ისეთი სასწავლებლების ტიპებისა, რომელნიც, როგორც სწავლის მეთოდებით, ისე პროგრამებით შეეგუებოდეს მოზრდილ მშრომელთა აუდიტორიას, რათა ამნაირად მუშებს შეძლება მისცემოდათ შეეძინათ საჭირო ცოდნა და მომზადება პასუხსაგებ თანამდებობათა დასაჭერად წარმოებასა და სახელმწიფო აღმშენებლობაში.

ამ დავალებათა ცხოვრებაში გასატარებლად კომისარიატს დიდი მეთოდიური და პროგრამული მუშაობის წარმოება მოუხდა ამ სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ჩვენი პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება იმ სახეს მიიღებდა, რომელიც ამჟამად ახასიათებს ამ დარგის ტიპის სასწავლებლებს.

სამი წლის განმავლობაში განათლების კომისარიატი აწარმოებდა დიდსა და ენერგიულ მუშაობას, რომ ზემოდ აღნიშნული სამი დავალება ცხოვრებაში გაეტარებინა.

ჩვენ კარგად გვქონდა გათვალისწინებული, რომ საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც მკვიდრთა არსებობის წყაროს შეადგენს **სოფლის მეურნეობა**, მაგრამ ამას გარდა მის წიაღში ჩამარხულია აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის გამოტანა და დამუშავება მისცემს ხალხს ეკონომიურად მოღონიერების საშუალებას.

ცხადია, განათლების კომისარიატმა ყველა ამას სათანადო ანგარიში გაუწია და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის ყოველგვარ ტექნიკურ განათლებას, რომელშიაც პირველი ადგილი მიაკუთვნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს.

ტფილისისა და ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლები გადაკეთდა საშუალო ტიპის სამეურნეო **ტექნიკუმებად**, ხოლო დანარჩენი კი დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებად.

პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების მთავარი მმართველობის გეგმით დადასტურებულია **ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და სამწლიანი პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლები**.

პირველი ტიპის სასწავლებლები განკუთვნილია გლეხთა იმ მოზარდთათვის, რომლებიც სწავლას სწყვეტენ ოთხწლიან შრომის სკოლის დამთავრებით (იხ. ამ წერილთან დართული დიაგრამმა).

სასოფლო-მეურნეობის რაციონალური ცოდნის ხალხში გავრცელების მიზნით და პრაქტიკოს-აგრონომების მოსამზადებლად, აუცილებლად საჭირო შეიქნა გახსნა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ორწლიანი დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა, რომლებიც თავისი შინაარსით და პროგრამით გლეხს საშუალებას მისცემს შეითვისოს პრაქტიკულად მისი საკუთარი საჭიროებისათვის ის დარგი მეურნეობისა, რომელიც ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო განვითარებას შეეფარდება.

ამნაირად ეს დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები მრავლად ხელს შეუწყობენ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მევანახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის, მემინდვრეობის მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და სხ. განვითარებას და ამ დარგებში პრაქტიკული ცოდნის შეთვისებას, რაც დაუყონებლივ ასწევს ჩვენი მეურნეობის მთელ დონეს.

გარდა ამისა ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით სამრეწველო რაიონებს არა ჰყავს, და თუ ჰყავს ძლიერ ცოტა, **კვალიფიციური ოსტატ-ხელოსნები**

მუშათა და გლეხთა ფართო მასსას ესაჭიროება ასეთი ოსტატ-ხელოსნები როგორც სოფლად, ისე სამრეწველო ცენტრებში და ამ მოთხოვნილებას, პროფესიონალურ-ტექნიკური მთავარმმართველობის გეგმის მიხედვით, აკმაყოფილებენ **სამწლიანი პროფესიონალურ-ტექნიკური სკოლები**, რომლებიც ამზადებენ სოფლებისა და ქალაქებისათვის ვიწრო სპეციალობის დარგის მუშა-ოსტატ-ხელოსნებს.

ასეთ სკოლებში, რომელთა რიცხვში ქალთა ხელსაქმის სკოლებიც შედის, და მათთან გამართულ სახელოსნოებში მშრომელი ელემენტის ახალთაობა თეორიულ ცოდნასთან ერთად საფუძვლიანად ითვისებს ამა თუ იმ დარგის **ხელობას**. მაგრამ, რადგან პროფესიონალური საქარხნო-სამრეწველო სკოლები სახელმწიფოს მხრით დიდ ხარჯს მოითხოვენ, ჯერ-ჯერობით ამ სასწავლებელთა ქსელის გაფართოება და გადიდება შემოფარგლულია მხოლოდ ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილების მასშტაბით. იგივე შეეხება ამ დარგის სხვა სკოლებსაც. დღემდე გახსნილია **ორი მუშათა ფაკულტეტი**, რომელიც მოზრდილებს 4 წელში 9-წლიან სკოლის კურს შეასწავლის, ხუთი **საქარხნო-სამრეწველო სკოლა** (რუსულად ე. წ. ფაბზავუჩი) მუშებისათვის და მოკლევადიანი **საღამოს კურსები**, რომლებიც თავის დანიშნულებას პირნათლად ემსახურებიან (იხ. სქემა-დიაგრამა.)

მართალია, საქარხნო-სამრეწველო სკოლების მასიურ სკოლად გამოცხადებას სახელმწიფო ვერ შესძლებს თავისი ნივთიერი რესურსების მიხედვით, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არც საჭიროა, ვინაიდან საქართველოს აწინდელი საქარხნო-სამრეწველო მდგომარეობა არ მოითხოვს ესეთი სკოლების ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ფართო მასშტაბით გაშლას და გამრავლებას.

პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების სისტემაში იმ მოსწავ-

ლეთათვის, რომლებსაც ჰსურთ მიიღონ საშუალო კვალიფიკაციის მო-მუშავეს ხარისხი (პრაქტიკოსი ინჟინერი, ქიმიკოსი, აგრონომი, მექანიკოსი და სხ.), ნავარაუდევია და ნაწილობრივ კიდეც გახსნილი როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ისეთი **სპეციალური ტექნიკუმები**, როგორიცაა, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო, ქიმიკური, ქარხნოსნული (ინდუსტრიალური), სატყეო, სამრეწველო, ეკონომიური და სხვა.

უმაღლესი სკოლა.

შემდეგი საფეხურის სასწავლებელს შეადგენს **უმაღლესი სასწავლებელი**, რომელში შესვლის უფლება ენიჭებათ სპეციალური ტექნიკუმების, ცხრაწლიანი შრომის სკოლის და მუშათა ფაკულტეტების კურსდამთავრებულთ.

მუშამ და გლეხმა, როგორც ყველამ უწყის, უდიდესი მსხვერპლი გაიღო რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და ამიტომ განათლების კომისარიატმა სრულიად სამართლიანად მიიჩნია ამ მშრომელ მასას მისცემოდა სრული შესაძლებლობა უმაღლესი სწავლის მიღებისა. ამ აზრის ცხოვრებაში გასატარებლად განსაზღვრულ იქნა უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა რიცხვი, რომლის 70 პროცენტი დაეთმო საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, ხოლო დამარჩენი 30 პროცენტი ფასიან ადგილებზედ შემსვლელ მსურველებს.

სტუდენტთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში დაკანონდა სოციალური მდგომარეობის მიხედვით და ამრიგად მუშურ-გლეხურ ელემენტს უპირატესობითი უფლება მიენიჭა უმაღლესი ცოდნის შეძენისა.

უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაკანონებულის წესით დიდი ცვლილებებია მოხდენილი. ახალი წესის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლის ადმინისტრატიულ და მეთოდიურ ორგანოებში მონაწილეობას იღებენ პროფესიონალურ კავშირთა და სტუდენტთა საბჭოს წარმომადგენელნი, რაც უეჭველია მეტ ცხოვრებასთან დაახლოვებას შეიტანს უმაღლეს სასწავლებლის ცხოვრებაში.

განათლების კომისარიატმა გაუწია ანგარიში ერთის მხრით იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს უმაღლეს სკოლის საქმეში ჩარევას და მეორის მხრით ე. წ. წითელ პროფესორთა საკმაო რიცხვის უყოლობას და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოახდინა უმაღლესი სასწავლებლების რეფორმა.

სახელმწიფო უნივერსიტეტს და ლენინის სახელობის **პოლიტეხ-**

ნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა ახალი დებულებისა და წესდების დამტკიცების შემდეგ: თითქმის მოისპო უზრუნველყოფილ კლასთა ელემენტი და ფართოდ კარები გაეღო მუშა გლეხურ ახალთაობას.

უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციას საფუძვლად დაედო რეფორმა **პროგრამებისა**, მათი **დაახლოვება პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებასთან**, სპეციალიზაცია ცალკე ფაკულტეტებისა და გადასვლა ოთხწლიან კურსზედ გარდა საქიმო ფაკულტეტისა, საცა აღიარებულ იქნა ხუთწლიანი კურსი.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა ორი ფაკულტეტი, **პოლიტეხნიკური**, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის და **სოციალ-ეკონომიური**; და ცალკე **საპროვიზორო კურსები** სამკურნალო ფაკულტეტთან. დაიხურა **საფერშლო სასწავლებლები** და ამ სასწავლებელთა მოსწავლეებს უფლება მიენიჭათ სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზედ შესვლისა.

სასწავლო ნაწილის რეფორმასთან შეფარდებით კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უმაღლესი სასწავლებლების **სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებას**. გაფართოვებულ და შესაფერისად მოწყობილ იქნა უნივერსიტეტთან არსებული **კლინიკები** და **საავადმყოფოები**, მიემატა მათ შტატს სამეცნიერო ძალები, მოეწყო **პატალოგიური ინსტიტუტი**, ფარმაციის და ფარმოკოლოგიის კათედრა და ლაბორატორია და ბავშთა სნეულობის კათედრა.

ესეთივე იყო მუშაობა ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გარშემოც ამ უმაღლეს სასწავლებელს მიემატა ორი ფაკულტეტი: ეკონომიური და საზოგადო მეცნიერებათა.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს ჯერაც კიდევ არ მოეპოვება საკუთარი შენობა, მაგრამ კომისარიატი ღებულობს ყოველგვარ შესაძლებელ საშვალებას, რათა ამ უმაღლესი სასწავლებლის ეს ნაკლი სულ მოკლე ხანში გამოასწოროს და ამრიგად მისცეს სასწავლებელს საშუალება უფრო ნორმალურ პირობებში აწარმოვოს თავისი თეორეტიული და პრაქტიკული სამეცნიერო მუშაობა.

გ ა ე რ ო ვ ნ ე ბ ა.

ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში კომისარიატმა მოახდინა ფაქტიური ნაციონალიზაცია (გაეროვნება) და ამნაირად სრული

შესაძლებლობა მიანიჭა თვითეულ ერს, რომელიც კი ბინადრობას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ, მისცეს თავის შვილებს განათლება **სამშობლო ენაზედ** და საერთოდ განავითაროს და საფუძვლიან, მკვიდრ ნიადაგზედ დაამყაროს თავისი ეროვნული კულტურა ყველა თვის კულტურულ დაწესებულებაში.

ცხადია, სრული ნაციონალიზაციის ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარება მოითხოვდა სათანადო ნორმალური პირობების შექმნას.

მართლაც, კომისარიატმა დიდი შრომა, დიდი ენერგია, დიდი ნივთიერი საშუალება დახარჯა, რომ თავის დროზედ გამოეცა გაეროვნებულ სკოლებისათვის საჭირო **სახელმძღვანელოები** და მოემზადებინა სათანადო კადრი მასწავლებლებისა.

ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ კომისარიატმა მრავალ დადებით შედეგს მიაღწია, თუმცა ჯერჯერობით მრავალი რამ კიდევ გასაკეთებელია. ყოველ შემთხვევაში ნაციონალიზაციის საკითხი ჩვენის რესპუბლიკის ტერიტორიაზედ უკვე გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს და მომავალში მას საფრთხე არ მოელის.

ასეთია მოკლედ ის სასკოლო, რეფორმა რომელიც განათლეის კომისარიატმა თავისი ორგანიზაციული მუშაობის დროს უკვე ცხოვრებაში გაატარა სოციალურ აღზრდისა და პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების დარგებში.

სწორედ იმ დროს, როცა ძველი ცხოვრების პირობები იშლებოდა და საუძველი ეყრებოდა სახელმწიფოს ახალ აღმშენებლობით ფორმებს, კომისარიატმა მეტის მიღწევა ვერ შესძლო და არც შეეძლო.

უახლოესი ამოცანები.

დღეს როცა ცხოვრება უფრო ნორმალურ კალაპოტში სდგება, როცა ცხოვრება უფრო სხვა სახეს იღებს და თვითეული შეგნებული მოქალაქე სახელმწიფოს აღმშენებლობითი ფერხულში ებმება, განათლების კომისარიატს უფრო ფართო სამოღვაწეო ასპარეზი ეშლება და აქის მიხედვით მას პირველ რიგის სამუშაოდ დასახული აქვს შემდეგ ღონისძიებათა მიღება:

1. **მიჩნევა განათლების დარგში მუშაობისა პირველი რიგის მუშაობად,** რომელსაც მთავრობამ უზენაესი ყურადღება უნდა მიაქციოს და უდიდესი დახმარება გაუწიოს, რადგან მკვიდრ ნიადაგზედ ჩგებული და საკმაოდ უზრუნველყოფილი სკოლის გარეშე შეუძლებე-

ლია პოლიტიკურად და პრაქტიკულად ახალი ცხოვრებისათვის საკმაოდ მომზადებული ახალგაზრდობის აღზდრა.

2. **გადიდება და გაფართოვება სასკოლო ქსელისა** რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზედ იმ რიგად, რომ ოთხწლიან შრომის სკოლის ფარგლებში მაინც გატარებულ იქნას ცხოვრებაში სავალდებულო საყოველთაო უფასო სწავლება.

3. გაფართოვება კერძოდ სასკოლო ქსელისა **აღმოსავლეთ საქართველოში**, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, საცა სწავლა-განათლების საქმე სხვადასხვა ისტორიულ პირობათა გამო ჩამოქვეითებულია.

4. აღიარება უდიდეს საჭიროებად დაბალი, საშუალო და უმაღლესი **სასოფლო-სამეურნეო განათლებისა**, რისთვისაც პირველ რიგში უნდა გაუმჯობესდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის **აგრონომულ ფაკულტეტზედ** სპეციალური საგნების სწავლება და ლაბორატორიებში პრაქტიკული მუშაობის წარმოება. საშუალო ტიპის **ჰუმანიტარული ტექნიკუმები უნდა გადაკეთებულ იქნას სპეციალურ ტექნიკუმებად** და რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზედ, **ადგილობრივი მეურნეობის საჭიროების მიხედვით**, გაიხსნას დაბალი ტიპის **სასოფლო-სამეურნეო სკოლები.**

5. გამონახვა **ნივთიერი საშუალებათა** მაზრებში დანგრეულ სასკოლო შენობათა აღსადგენად და ახალის ასაგებად და აგრეთვე **სკოლების** გასათბობ მასალით, სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით **უზრუნველყოფა.**

6. **განათლების ასპარეზზედ მუშაკთა ხელფასის გადიდება**, რაოდენადაც ეს შესაძლებელია სახელმწიფოს დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

აი ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც განათლების კომისარიატს პირველი რიგის საზრუნავ საგნად შეიჩნია და რომელთა განხორციელებას მთელ თავის შრომას და ენერგიას მოახმარებს.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ განათლების კომისარიატი პირნათლად შესძლებს ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, თუ მასწავლებლობა ისე ერთგულად და ენერგიულად მოეკიდება სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს, როგორც ამას დღემდე ეკიდებოდა.

ამჟამად არავისათვის დაფარული არაა და ჩვენც სრულის რწმენით

საჯაროთ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მასწავლებლობამ სახელმწიფოს ამ აღმშენებლობის ხანაში დიდი ნივთიერი გაჭირვება და ხელმოკლეობა განიცადა, მაგრამ მას ერთხელაც არ უღალატნია თავის წმინდა მოვალეობისათვის და, როგორც ერთგული დარაჯი, მიუხედავად ყოველგვარ გაჭირვებისა, თავს დასტრიალებდა თავისი ერის განათლებას და განუწყვეტლივი წვლილი შეჰქონდა იმ სალაროში, რომელსაც მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ეწოდება.

ეს გარემოება მეტად საგულისხმიეროა და კიდევაც ამიტომ სრულს იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმეს ახლო მომავალში კიდევ უფრო მკვიდრი საძირკველი ჩაეყრება.

დ. კანდელაკი



ხახალხო განათლების სისტემა 1923 წ. გეგმით.

ᲫᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ძველი სკოლა იყო სკოლა „ჯდომისა“ (მეტად უხეირო პარტებზე). ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილი, იგი აგებული იყო გაკვეთილების მიცემა-კითხვის პრინციპზე, წარმოადგენდა სკოლას ზარისა, გაზეპირებისა და ერთმანეთში შეუკავშირებელ ფაქტების შესწავლისა და ნავარაუდევი იყო „საშუალო“ ნიჭის მოწაფისთვის; ასეთი ვარაუდი, ცხადია, ნიჭიერ მოწაფეს სრულიად უკლავდა ყოველსავე ხალისს სწავლისას და თანასნობას და ამასთანავე ერთად სასწავლო მასალა თავისი დიდი სივრცით და ჩქარი გავლით ძალიან ჩაგრავდა სუსტ მოწაფეს, რომელიც ამის გამო სრულებით ჰკარგავდა რწმენას საკუთარ თავისა, თავის ძალ-ღონისა. ეს სკოლა თავის შინაარსითაც და მეთოდებითაც დიდი ხანია, რაც დაჰგმეს კარგმა პედაგოგებმაც და უბრალო, მორიგმა მასწავლებლებმაც. მეორეს მხრივ ძველი სკოლა სრულიად ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნილებას—იგი არ იყო საზოგადოებრივ ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა უჯრედი. როგორც ოჯახისა და ოჯახური აღზრდის „მოსწავლე დამატება“ იგი სრულიად ვერ ეგუებოდა ახალი ცხოვრების საჭიროებას და ვერც შეეძლო საჭირო მოქალაქენი მოეცა. ამიტომაც იყო, რომ რევოლიუციის პირველ იერიშებისათანავე იგი ძირიან-ფესვიანად შეარყა. ძველ სკოლას ჰქონდა ზედმიწევნით შემუშავებული, ყველასთვის ერთნაირი პროგრამები, რომელნიც ნაწილ-ნაწილ იყო დაყოფილი და მასწავლებლისგან სასტიკად მოითხოვდენ—თითოეული ნაწილი ამა და ამ დროში, თითქმის თვის ამა და ამ რიცხვში უეჭველად გავლილი უნდა იქნესო. ბავშები უპიროვნო ობიექტს წარმოადგენდენ, მათი ცხოვრება პროგრამების მიხედვით იყო აგებულ-მოწყობილი. ისინი ვერც კი ერკვეოდენ, რაში სჭირდებოდათ მათ ესა თუ ის ცნობები, რა მიზანი ჰქონდათ დასახული და როგორი გეგმით იყო საჭირო მათთვის მუშაობა.

თავიდანვე ბავშები იფლებოდენ დაუკავშირებელ-დაცალკევებულ ფაქტებისა, რიცხვებისა და თარიღების დეტალებსა და წვრილმანში.

საგნის გაცნობისათვის მთავარ მეთოდად იყო და სამწუხაროდ, დღესაც ბევრ სკოლაში არის, დოგმატიური მეთოდი, მაშინ როდესაც, როგორც ფსიქოლოგიური გაცოკვლევანი აღნიშნავენ, ბავშის ინტელექტუალი (გონივრული) მუშაობა ჩვეულებრივ სწარმოებს (წლოვანობის დაკვალად) **შემოქმედებითი აზროვნების** ერთ-ერთი გზით, ინდუქტიურად ან დედუქტიურად, ორგანიულად აკავშირებს ერთმანეთთან შემეცნების საერთო იდეას, მიზანს და განცალკევებულ და უამისოდ დაუკავშირებელ ფაქტებს.

თუ ეს არ იქნა, მაშინ უეჭველად დაირღვევა თანადროულ ფსიქოლოგიის ძირითადი მოთხოვნილება: უინტერესოდ ბავშის მუშაობა და მიღწეული შედეგები ნაძალადევიც იქნება, მავნეც.

მაშ როგორი სკოლა გვესაჭიროება ამ ძველი სკოლის ნაცვლად და რას წარმოადგენს **შრომის სკოლა**?

შ რ ო მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი

შრომის სკოლა ორი მხრით უნდა განვიხილოთ:

1) შრომის სკოლა, როგორც **სახალხო განათლების აგების პრინციპი**, ე. ი. როგორც მთელი სკოლის ორგანიზაცია ყველა მისი საფეხურების შეფარდებით ცხოვრების მოთხოვნილებასთან და მშრომელთა საჭიროებასთან. სკოლამ უნდა გაარკვიოს და შეიგნოს ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ამოცანები და ისე უნდა აიგოს, რომ ეს ამოცანები მშრომელთა ინტერესის თვალთხედვით გადასჭრას,—და

2) **შრომის სკოლა**, როგორც **აღზრდისა და განათლების მეთოდი**. მისი მუშაობის შინაარსი ისე უნდა მოეწყოს, რომ სკოლის პროგრამის შუაგულში მოექცეს **ადამიანის შრომა** და მისი **ორგანიზაცია**; შრომისმოყვარეობა და შრომის შესწავლა კი არა, არამედ **თავის საკუთარისა და საზოგადოებრივი შრომის მოწყობის უნარი და შნო**— აი რა უნდა მოგვცეს შრომის სკოლამ.

ახალი სკოლა ბავშებისთვის უნდა იყოს და არა ბავშები მისთვის, აქედან ცხადია, რომ სკოლამ ბავშთა ფსიქოლოგიას, მათ ემოციონულ განცდათ უნდა გაუწიოს ანგარიში. ის იქიდან უნდა გამოდიოდეს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ნორჩი თაობა—რევოლიუციის შვილები არიან, რომ ისინი გაჟღენთილი არიან თანამედროვე ცხოვრებისადმი ინტერესით და, მაშასადამე, საჭიროა ამ ცხოვრების შესწავლა, ხოლო სკოლის მუშაობას ოსტატურად და მოხერხებით თავი ამ თანამედროვ

ცხოვრების გარშემო უნდა მოეყაროს. შრომის სკოლამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ რესპუბლიკის ბავშვებს ცხოვრება აიძულებს უდროოდ შესწყვიტონ თავისი მეცადინეობა და ჩაერიონ ცხოვრებაში. სკოლის სხვადასხვა საფეხურიდან და კონცენტრიდან, მასში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ ყოველგვარ ცოდნას, უნარს და ხერხიანობას, რასაც კი ამა თუ იმ საფეხურზე (4-წლიანი, 7-წლიანი, და 9-წლიანი სკოლა) იძენს ბავშვი, მიზნად უნდა ის ჰქონდეს, რომ **ბავშვი ცხოვრების სინამდვილეში ეოკვეოდეს და შეეძლოს მასთან შეგუება.** ყოველ თავის დამთავრებულ საფეხურზე შრომის სკოლამ ბავშვებს უნდა მიეცეს მოწესრიგებული **საზოგადოებრივი ალლო** გარკვეული მარქსისტული თვალსაზრისით (საჭიროა ისტორიული მატერიალიზმის სისტემის გამოყენება); — ფაქტების ცოდნა მას უნდა მიეცეს ერთგვარი პერსპექტივით და დამუშავებული სახით.

სკოლას საფუძვლად უნდა ედოს **წარმოება** და მისი ორგანიზაცია და განვითარება ყოველ ისტორიულ გარემოში; ბუნების ძალები და სიმდიდრენი, აღმოჩენანი მეცნიერებაში, ადამიანის ძალა-უფლების გაფართოვება ბუნებაზე — ყველაფერი ეს წარმოების თვალსაზრისით უნდა შეისწავლებოდეს. სოფლის სკოლა იმ მიდრეკილებით უნდა მოეწყოს, რომ იქ შესწავლილ იქნას **სასოფლო-სამეურნეურნეო წარმოებანი,** სოფლის ცხოვრებით წარმოშობილი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი და იმ ხელობის გაცნობა, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კუთხისათვის: მეფუტკრეობა, მერძეობა, ფეიქრობა და სხვა.

ქალაქის სკოლას კი საძირკვლად უნდა დაედოს სახელოსნო და ქალაქის **კომუნალური მეურნეობა** და მსხვილი წარმოება. სახელოსნოები, დაზგები, იარაღები, რა თქმა უნდა, სკოლას დასჭირდება, მათ დიდი დამხმარე მნიშვნელობა ექნებათ, მაგრამ ეს არა ყმარა. შრომის სკოლა არ უნდა იყოს სრულიად მოწყვეტილი იმ მსხვილ წარმოებას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში თანდათან მეტსა და მეტს ადგილს იჭირს. მონიკიპალური მეურნეობა (წყალსადენი, ელექტრონი, ტრამვაი, სასაკლაო, აბანოები, კანალიზაცია და სხვა) ქალაქის სკოლების შესწავლის საგალდებულო საგნად უნდა გახდეს.

კომპლექსური მეთოდი

ამასთანავე სინამდვილის სხვადასხვა მოვლენათა და საერთოდ ყოველივე საკითხის შესწავლა არ შეიძლება განკერძოებულად იქნას წარ-

მოებული, არამედ საერთოდ, როგორც **მოვლენათა საერთო ჯამი** და ამ მიზნით უნდა გათვალისწინებული იქნას მოვლენათა შორის არსებული კავშირი და გამომჟღავნდეს ხილული და ფარული მათი ძალები. აქედან ცხადია, რომ საჭიროა მეცადინეობა ე. წ. **კომპლექსური მეთოდით** (მეთოდი დაკავშირებისა და კვლევა-ძიებისა, ცხოვრებასა და ბუნებაში მოჰბდარის გაგება და ცოდნა, მათი ურთიერთობა და მისთანანი).

მეთოდიური საკითხები, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია სკოლის შინაარსსა და პროგრამებზე. ძირითადი მეთოდი ყოველი მასალისა, საგნის, მოვლენის განხილვისა და შესწავლისა არ შეიძლება იქნას განკერძოებულ-განცალკევებული, პირიქით, **კონკრეტულ გარემოში და მოძრაობის, გაფვითარების პროცესში, მოვლენათა საერთო ჯამში უნდა გათვალისწინებულ იქნას მოვლენითა ერთმანეთშორის დამოკიდებულება-კავშირი და გამომჟღავნდეს მათი ხილული და ფარული ძალები.** ამ მეთოდს, რომელიც ეგზომ საჭიროა ჩვენი სკოლისათვის და რომელსაც ეხლა წარმატებით ატარებენ რუსეთის და ჩვენს—ტფილისის სკოლებში—ეწოდება **კომპლექსური მეთოდი.**

დალტონის გეგმა.

გარდა ამისა ჩვენმა სკოლამ უნდა შეასწავლოს, **დამოუკიდებლივ კოლექტიური მუშაობა** და აგრეთვე თავისი **მუშაობის კონტროლი** და აღრიცხვა. ამას მივაღწევთ მუშაობის და აღრიცხვის ეკრეთწოდებული **დალტონის** გეგმით (დალტონი—ამერიკის ქალაქია) ამ მეთოდით შეგვეძლება სასკოლო მუშაობა ავაგოთ **ურთიერთდახმარებისა** (კოოპერაციის) პრინციპსა და **ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობის** შეთავსებაზე. აგრეთვე შევძლებთ განვავითაროთ დიდი აქტივობა, **თვითმოქმედებინობა** და მიზნის მიღწევა საკუთარი ძალღონით. ეს გეგმა, პროგრამასა და შინაარსს კი არ ეხება, არამედ მუშაობის მეთოდს. როცა ბავში შინ მუშაობს ან თამაშობს, გარკვეული მიზანი თვალწინა აქვს, სკოლაში კი მეცადინეობა სულ სხვაგვარად მიმდინარეობს: ბავშებს არ ურკვევენ გაკვეთილის მიზანს. ხახლში ბავში იმ დრომდე მუშაობს, სანამ დაიღლება ან მიზანს მიაღწევს, სკოლაში კი მეცადინეობას სწყვეტენ, როცა საათის ისარი ამას ხელოვნურად მოითხოვს. ამიტომაც ცხადია, მეცადინეობის გათავებისას მოწაფე არავითარ ჯამს არ უყრის თავის ნამუშევარს.

ამ გეგმის ავტორი — ელენე პარკჰერსტი მოითხოვს, რომ შესასწავლის იდეა, **საერთო კონცეპცია თავიდანვე მიეცეს ბავშს**. ამავე დროს განზღვრული, მისაღწევად დასახული **მიზანი** თავიდანვე უნდა იყოს ნაჩვენები.

მერე აღინიშნება ამ მიზნის მიღწევის ეტაპები და გზა-ხერხი. ეს გეგმა გულისხმობს, რომ სკოლაში არის ლაბორატორიები, რომლებსაც ინაწილებენ მოწაფეები თავიანთი დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად. ერთი თვის განმავლობაში მოწაფემ უნდა დასძლიოს ყოველი საგნის წლიური კურსის ერთი მეათედი. ამგვარად სრულიად იმსხვრევა და იფუშება ძველი წარმოდგენა სკოლაში მეცადინეობის შესახებ და ბავშის დამოუკიდებლობას დიდი ადგილი ეთმობა (საგნის არჩევა, დრო, საშუალება-ხერხი — ყველა ეს დამოუკიდებლივ).

დალტონის გეგმა იმითაა ძვირფასი, რომ იგი ასწავლის, — თუ როგორ უნდა სწავლა და შესაძლებლად ხდის იმ ტემპით მუშაობას, რომელიც ბავშს ეხერხება. აქ ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთში შევახამოთ და შევათავსოთ მუშაობა კოლექტიური და ინდივიდუალური. საკლასო მუშაობისთვის კი რჩება მხოლოდ გეგმის დამუშავება, წვრილმანებისა და სიძნელეთა შესახებ მოლაპარაკება და აგრეთვე სამუშაოს აღრიცხვა. ეს მეთოდი ასწავლის **გეგმით მუშაობას**, რადგან უნდა ნავარაუდევი იქნას **ძალ-ღონეც და დროც**, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

დალტონის გეგმით მოწაფეთა თავისუფლება შეზღუდულია იმით, რომ ისინი მოვალენი არიან დანიშნული საათები ლაბორატორიებში გაატარონ და ნაკისრი სამუშაო განსაზღვრულ ვადაში შეასრულონ. დალტონის გეგმით სკოლა იქცევა თანხმობით და სიამოვნებით მომუშავე პატარა მშრომელ კომუნად, სადაც მოწაფეს ინტერესი უფრო ემატება, ეზრდება, სადაც იგი სწავლობს იმას, რომ სხვათა ინტერესებს ანგარიში უნდა გაუწიოს და სადაც მოწაფეობა და მასწავლებლები ერთმანეთს სრული ნდობით ეპყრობიან. ლაბორატორიაში მეცადინეობის დროს მოწაფეებს შეუძლიათ დახმარებისთვის მიჰმართონ ამხანაგებსაც და მასწავლებელთაც, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა თავიანთ კითხვებს ასწონ-დასწონიან და ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. ელენე პარკჰერსტი ფიქრობს, რომ ამ გეგმის გამოყენება შეიძლება არა უადრეს სწავლის მე-4, მე-5 წლის. ამ გეგმით, თუ კი ადამიანმა ხერხით იხმარა იგი, მეცადინეობა შეიძლება მოწაფეთა დიდ რიცხვთან (200-მდე) მათთვის მოწყობილ ლაბორატორიებში. მასწავლებელს მოწაფეთ-

მუშაობაზე მეთვალყურეობას უადვილებენ ეგრეთ წოდებული საკონტრაქტო ბარათები და აგრეთვე ორი სალაბოლატორიო ბარათი [1]). რა თქმა უნდა, მასწავლებელს უფრო მეტი პასუხისსაგები სამუშაო აქვს და უფრო მეტი სპეციალიზაცია უხდება. ცხადია ისიც, რომ ამ მეთოდის ცხოვრებაში გატარება დღევანდელს პირობებში არც ისე ადვილი და მარტივია. იმედია ჩვენი საუკეთესო სკოლები მოაწყობენ ამ გეგმით მუშაობას, შეამოწმებენ და ასწონ-დასწონიან მას და გაგვიზიარებენ თავისი მუშაობის შედეგებს, რომ შემდეგში ეს გეგმა უკვე მასიურ სკოლაში გამოვიყენოთ.

დანარჩენი მხარეები

სკოლამ თანდათან უნდა მოიპოვოს გავლენა ბავშის მთელ ცხოვრებაზე, ამიტომ საჭიროა გადიდდეს ბავშის დღე სკოლაში.

გარდა ამისა, სასკოლო მუშაობის ფორმები უნდა შეუხამდეს **სკოლის გარეშე მუშაობის** ფორმებს, რომელიც დიდ შესაძლებლობას იძლევა ბავშებში ამა თუ იმ **სპეციალური ინტერესის** გაღვიძებისათვის და აგრეთვე ფართო ასპარეზს ანიჭებს მუშაობის **კოლექტიურ ფორმას**. ამიტომაც ახალ სკოლისგან ჩვენ მოვითხოვთ—ფართოდ მოაწყოს **ბავშთა თვითმართველობა** და საკლუბო (საკრებულო) მუშაობა [2]).

თანამედროვე ცხოვრება მარტო **შემომქმედებს** კი არ მოითხოვს, არამედ **მებრძოლთაც** ცოდნისა და იდეისთვის. მას ესაჭიროება ძლიერი პიროვნება, ფართოდ გაშლილი ნიჭ თ, გამოწრთობილი გონებით და ნებისყოფით, რომელსაც არ ეძნელება მიხნის მიღწევა, დაბრკოლებათა ძლევა და ყოველივე ზღუდეს გადალახვა. სკოლაც ასე უნდა აიგოს და მოეწყოს, რომ ეს მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, ე. ი. მოგვცეს **მომქმედი პიროვნება** გასალკლდევებული **ნებისყოფითა და ხასიათით**.

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ზ ა.

როგორ უნდა შეიქმნას ასეთი ახალი შრომის სკოლა?

უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს ერთი ძირითადი დებულება: **სკოლა ბავშისათვის** და არა წინაუკმო; სკოლა უნდა ისე მოეწყოს, რომ ყოველი მისი საფეხური სავსებით ეთანადებოდეს ბავშის

---

[1]) იხ. „დალტონის გეგმა“, ბიბლიოგრაფიული წერილი ამავე ნომერში.
[2]) იხ. სათანადო წერილები ამავე ნომერში.

ბუნებრივ ზრდას, მისი წლოვანობის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურობასა და მოთხოვნილებას; ის უნდა შეიცავდეს მისთვის მისაწვდომ და მისი ძალ-ღონისთვის დასაძლევ მასალას, რომელიც ცხოვრებას სახავს და მასვე განმარტავს.

მთლიანი შრომის შკოლის სხვადასხვა საფეხურსა და კონცენტრებში ცხოვრების შესწავლის და ცოდნის განსხვავება უნდა მხოლოდ რაოდენობითი იყოს და არა რაობითი, მაგალითად, 4-წლედში ცოდნა ნაკლები იქნება, ვიდრე 7 ან 9-წლედში, მაგრამ კოლექტივიზმის, შემოქმედების, აქტივობის და ამხანაგობის სული ისეთივე უნდა იყოს, როგორიც 7-წლედში და 9-წლედში.

აქედან გამომდინარეობს 7 შემდეგი მოთხოვნილება:

1) მოისპოს ძველი საკლასო სისტემა და მისი ადგილი დაიჭირონ ჯგუფებმა, რომელნიც ერთმანეთში შედუღებულნი იქნებიან მხიარული, ხალისიანი კვლევის სულით, ცოდნის წყურვილით, სასწავლო საგნებისადმი ინტერესით, იმ ინტერესით, რომელიც ზემოდან კი არაა ჩანერგილი, არამედ თვით მუშაობითაა წარმოშობილი.

2) მოისპოს სწავლების ლექცია-გაკვეთილების ხასიათი და მისი ადგილი დაიჭიროს საექსკურსიო-სალაბორატორიო კვლევის მეთოდმა (შრომის დაკვირვებისა და კვლევა-ძიების მეთოდი).

3) მოხდეს სწავლა-აღზრდის ინდივიდუალიზაცია და ამისთვის გვახსოვდეს, რომ ყოველ ბავშს აქვს თავისი საკუთარი დაკვირვებანი, განცდანი, დასკვნანი, მუშაობის ტემპი, განსაკუთრებული წყურვილი ძიებისა, ანალიზისა და სხ.; აქედან ცხადია, ცალცალკე მოწაფეებს სხვადასხვა მოთხოვნილებანი უნდა წარედგინოს.

4) სკოლა აიგოს ადგილობრივ ეკონომიურ საფუძველზე.

5) სკოლა უნდა იცნობდეს არა მარტო ადგილობრივ სამეურნეო დაწესებულებებს, არამედ ხელისუფლების ორგანოებსაც და ყველა კულტურულ დაწესებულებას.

6) სკოლა აუცილებლივ უნდა დაუკავშირდეს ბავშთა მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ახალგაზრდათა კომკავშირი, აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კავშირის მუშაობაში და აქტიურადვე დაეხმაროს მას.

7) საჭიროა გამოიძებნოს სრულიად ახალი ფორმები მოწაფეთა ცოდნისა და სკოლის მიღწევათა აღნუსხვისათვის; ამ ფორმებით უნდა შეიცვალოს ძველი სკოლის ზოგიერთი მოძველებული ატრიბუტი, რო-

გორც, მაგალითად, კლასის დამრიგებლობა, ნიშნები, ზოგიერთ ადგილას დღემდე სხვადასხვა სახით შერჩენილი ჯილდოები, დასჯა და მისთანანი.

ბევრ კითხვას სრულიად არ შევხებივარ, მრავალს გაკვრით და ზერელედ შევეხე. ეს იმიტომ რომ ამ ნომრის სხვა წერილებში მკითხველი უკვე იპოვის შრომის სკოლისა და მის მეთოდების ზოგიერთ არსებითი საკითხის ღფრო დეტალურ განხილვას და ამას გარდა საერთოდ შრომის სკოლის პრაქტიკასა და თეორიას კვლავაც ყოველ ნომერში არა ერთხელ შევეხებით.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ კარგად ვიცით, რომ **ახალი საბჭოთა შრომის სკოლა მასიურად ჯერ კიდევ არა გვაქვს** და რომ სკოლათა დიდ უმრავლესობაში **ჯერ-ჯერობით შეტანილია ახალი სკოლის მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი.**

მაგრამ ისიც ვიცით დანამდვილებით, რომ განათლების მუშაკთა შორისაც, ჩვენ ხორჩ თაობაშიაც ისეთი მძლავრი და მნიშვნელოვანი გადატეხა ჩანს ახალ სკოლისაკენ, რომ უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს ძლევამოსილ მსვლელობას ახალი სკოლის შექმნისაკენ საქართველოს მშრომელ მასისათვის.

მარიამ ორახელაშვილისა.

მასწავლებლების ორგანიზაცია ადგილებზე

ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში პედაგოგიურმა აზრმა და პრაქტიკამ მძლავრი ნაბიჯი გასდგეს წინ. დასავლეთი ევროპა, რუსეთი და ამერიკა ერთმანეთს ეცილებიან ახალი სკოლის შექმნაში, რომელიც უნდა შეეფერებოდეს ბავშვების ინტერესებს და ფსიქიკას, დროს მოთხოვნილებას და ახალი ცხოვრების ეკონომიურ და სოციალურ პირობებს. საქართველოშიაც მოწინავე მასწავლებლობას ემჩნევა დიდი გამოცოცხლება; გაფაციცებით სცდილობენ, რომ შეეჩვევნენ, შეეწყნენ ახალი სკოლის მოთხოვნლებებს. განათლების მუშაკთა საშუალო ელემენტიც დიდი ინტერესით შეუდგა შრომის სკოლის თეორიის და პრაქტიკის დამუშავებას, მაგრამ მუშაობას განცალკევებული ინდივიდუალური ხასიათი აქვს, ძალები და მცდელობა კერძო მასწავლებლებისა დაქსაქსულია, არ არის სისტემაში ძოყვანილი და აღრიცხული. ამისათვის ეს უდიდესი და მნიშვნელოვანი მუშაობა თითქმის ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რომელიც შეეძლო ჰქონოდა საქმის სხვანაირ დაყენების დროს. მეორე მხრივ, ზაფხულში მასწავლებლობის გადამზადებისათვის გაწეულმა მუშაობამ დაარწმუნა თვით მასწავლებლობა, რომ განათლების მუშაკთა საერთო მომზადების დონე უმნიშვნელოა, რომ მეტად მცირე და ელემენტარულია პედაგოგიური და მეთოდიური ცოდნა და გამოცდილება, და, რაც უმთავრესია, განათლების მუშაკებს არა აქვთ განზღვრული სოფლმხედველობა, რომელიც აუცილებელია ახალი სკოლისათვის; არა აქვთ ორგანიული კავშირი თანამედროვეობასთან, არა აქვთ წიგნი, გაზეთი, ძალთ-აღრიცხვა და გამოცდილება კოლექტიურ მუშაობაში.

კონფერენციები, ყრილობები, საზაფხულო კურსები და ინსტ-

ამ განყოფილებას სათავეში უდგას მ. ორახელაშვილისა, მიხ. ზანდუკელი და ო. სანიკიძე-ვოლობუევისა.

რუქტორების მოგზაურობა ხელმძღვანელობის მიზნით ვერ შესძლებენ ძირიანათ მოსპონ ეს ნაკლი, **თუ თვითონ მასწავლებლობა მთლიანად არ ჩაებმის მუშაობაში** და არ გადაახალისებს მთელ თავის ცხოვრებას. მრავალ შემთხვევაში დაბრკოლებას იწვევს ნივთიერი ნაკლებულობა, მაგრამ ბევრი შეიძლება გავასწოროთ, შევავსოთ და გავაღრმავოთ, თუ შევძლებთ **ორგანიზაციების მოწყობას** და ყოველ **ძალლონის შეკავშირებას ადგილებზე, დაკავშირებას კულტურის ცენტრთან** და საერთოდ ცხოვრების აგებას **კოოპერაციის** და **ურთიერთ-დახმარების** პრინციპზე. ახალი სკოლის შინაარსი და მეთოდები უნდა გახდეს მასწავლებლობის ადგილებზე ორგანიზაციის შინაარსად.

განყოფილების მიზანი.

ეი ამ მიზნით შეიქმნა სახალხო განათლების კომისარიატის ჟურნალი და კერძოდ მისი განყოფილება — „მასწავლებლობის ორგანიზაცია ადგილებზე".

და აგრეთვე იმ მიზნით, რომ დავეხმაროთ მასწავლებლობას მისი დაქსაქსული ძალების გაერთიანებაში, ქალაქისა და სოფლის მასწავლებლობის შეკავშირებაში, კოლექტიური თვითგადამზადებისათვის.

ამ განყოფილებას დასახული აქვს შემდეგი მიზნები: 1) დაეხმაროს მასწავლებლობას, რომ მან შესძლოს უკეთ და უფრო საფუძვლიანად გამოიყენოს უკვე არსებული განათლების მუშაკთა შეკავშირება კოლექტიური მუშაობისათვის, საკუთარი ძალის გასაფართოებლად, ჩასაღრმავებლად და გასაუმჯობესებლად. 2) გაიცნოს მასწავლებელი, ის, რაც მის სულიერ ცხოვრებას შეადგენს, რა ცოდნა აქვს, რას ეძებს და რა შეუძლიან მისცეს ბავშს; გაუღვიძოს მას სიყვარული აწმყოსადმი, სინიმდვილისა და საზოგადოებრიობისადმი, ვინაიდან სკოლა ყოველმხრივ გამსჭვალული უნდა იყოს აწმყოთი. ჩააქროს მასწავლებლის გულში გრძნობა მარტოობისა, მერყეობისა და საკუთარი ძალლონის უნდობლობისა. 3) დაუკავშიროს მასწავლებელთა მასსა გონებრივ კულტურულ ცხოვრებას არა მარტო მისი ქალაქისა და სოფლისა, არამედ მთელი მხარისა და მსოფლიოსი. 4) შექმნას **ადგილობრივი კულტურული უჯრედები,** რომლებიც მიიზიდავენ მასწავლებლობას, მოაწყობენ თავის გარშემო მის ორგანიზაციას და გაუწევენ მას ყოველგვარ დახმარებას გიდამზადების საქმეში.

5) აქციოს მასწავლებელი აქტიურ მომუშავეთ და ჟურნალის თა-

ნამშრომელ კორესპონდენტათ, რომელიც ადგილიდან მოაწოდებს მუშაობის მასალას და ამითი მისცემს ჟურნალს საშუალებას გაითვალისწინოს მთელი ეს მუშაობა, შეასწოროს, მოიყვანოს სისტემაში და გახადოს მასის სამკვიდროთ.

ᲐᲛᲘᲡᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ

თუ როგორ ჩავრთოთ მუშაობაში სკოლის მუშაკთა მასა — ეს მეტად რთული და ძნელი საკითხი გადასწყდება მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივი მუშაობის პროცესში.

სხვადასხვა ხასიათის კონფერენციებზე, სემინარიებში, ბიბლიოთეკებში და განათლების მუშაკთა სახლებში მასწავლებლების სამუშაოდ ძალდატანებითი ჩაბმა, რა თქმა უნდა, შესაძლოდ არ მიგვაჩნია, მაგრამ არაპირდაპირი ზომების მიღება კი აუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებელი აქტიური მონაწილე გახდეს ახალი სკოლის შექმნის მუშაობაში.

რა სახით და რა გზით შეიძლება ადგილებზე მუშაობა?

უწინარეს ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს **ინდივიდუალურ თვითმომზადებას,** როგორც ამ საქმის პირვანდელ უჯრედს, შემდეგ — პატარა **კოლექტივებს** შეერთებული პედაგოგიური მუშაობისათვის, საერთო კითხვისათვის და წაკითხულის განხილვა-გარჩევისათვის. შემდეგ **რამდენიმე რაიონის კოლექტივების გაერთიანებას** საპროგრამო, მეთოდიური და საორგანიზაციო საკითხების განსახილველად, პრაქტიკული ცდების გასაზიარებლად და ურთიერთ პედაგოგიური დახმარების გასაწევად; ეპიზოდიური ხასიათის **ლექციები** და **მოხსენებანი, ბაასი, სარაიონო საბჭოები, წრეები, სემინარიები, კომისიები** (საგნობრივი, საკომპლექსო და სხვა), **კონფერენციები, კურსები, თვითკურსები,** პრაქტიკული ვარჯიშობა საბავშო სახლებთან და სხ. და სხ.

ჟურნალის განყოფილებამ დახმარება უნდა გაუწიოს ყოველ აღნიშნულ საქის ადგილობრივ ორგანიზაციას ბიბლიოთეკებით, თეზისების და ბიბლიოგრაფიული ცნობების მოწოდებით, პროგრამებით, გზეთებით, ინსტრუქტორების გამოგზავნით, რომლებიც მოაწყობენ ადგილობრივ **ბიბლიოთეკებს, ახალ წიგნების გამოფენას, სამკითხველოებს, საკრებულოს, ლექტორთა ბიუროებს,** რომელიც გამართავს მოხსენებებს, საღამოებს, რეცენზიებს, პედაგოგიურ „შაბათობას“, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა ორგანიზაციას და სხ. და სხ.

მასწავლებელთა ადგილებზე ორგანიზაციის ყველა ზემოაღნიშნულ ფორმებს უნდა ჰქონდეს **ხანგრძლივი** და **სისტემატიური ხასიათი.**

ამ მიზნით ყველაზედ უკეთესი იქნება ამ ადგილობრივი ორგანიზაციების დაკავშირება ერთ-ერთ მუდმივ, ცოცხალ პედაგოგიურ დაწესებულებასთან, რომელიც ზრდა-ვითარების პროცესს განიცდის.

ასეთი დაწესებულება შეიძლება მაგალითად შეიქნას **„სარაიონო სკოლა“**, რომელსაც ერთი ან ორი ზედმეტი გამოცდილი მასწავლებელი ჰყავს და რომელიც 10-15 სკოლის მუშაობას ხელმძღვანელობს.

ამ სკოლას სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაჭერი უნდა ჰქონდეს და თანდათან განათლების მუშაკთა და ბავშვების შეერთებული ძალებით, მათი შრომით და ექსკურსიებით უნდა იზრდებოდეს და მდიდრდებოდეს; უნდა მოეწყოს კაბინეთები, ლაბორატორიები, მუზეუმი, საცნობო ბიურო, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო და სხვა ამგვარი დამხმარე დაწესებულება.

ამასთანავე პედაგოგიურ კერად შეიძლება გარდაიქცეს ამა თუ იმ უბნის **საცდელი სკოლაც**, თუ ასეთი მოიპოვება ახლო-მახლო, საბავშო სახლი, ერთ-ერთი პედაგოგიური სასწავლებელი და ბოლოს **მასწავლებელთა ჯგუფი**, ე. წ. **საინიციატივო ჯგუფი**, ერთი სიტყვით განათლების მუშაკთა ორგანიზაციის ყოველგვარი ნასკვი, რომელიც კი შეჰქმნის სამუშაო კოლექტივს, და, როგორც ამ ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, **განათლების მუშაკთა სახლი**.

მასწავლებელთა ამგვარმა სარაიონო ორგანიზაციამ უნდა შემოიკრიფოს თავის გარშემო პედაგოგიური აზროვნობის ნოვატორები, რომლებიც დაინტერესებული არიან ახალი სკოლის ძებნით და მისი უმწვავეესი ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტით. მანვე უნდა გამოამჟღავნოს და წამოაყენოს **პასუხისმგებელი პირი** მასწავლებელთა უფრო წვრილი ერთეულების მოსაწყობად და აგრეთვე **პედაგოგიური ბიურო** რომლის მოვალეობა იქნება: პედაგოგიურ რჩევა-ცნობების მიცემა (ე. წ. „კონსულტაცია“), ადგილობრივ მოხდენილ ცდების აღნუსხვა და აღრიცხვა, შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ბოლოს—**პედაგოგიურ მილწევათა გავრცელება მასაში.**

ასეთი სარაიონო სკოლის თუ ორგანიზაციის **ბიბლიოთეკამ** უნდა მოაწყოს მოძრავი საკითხველოები და ამითი დაუახლოვოს წიგნი მასწავლებელთა მასას.

ბოლოს მან უნდა მოაწყოს **კონფერენციები, კოლექტივების** და

წრეების ყრილობები, ბიბლიოთეკების და კლუბების მუშაკთა **ყრილობები**, ერთი სიტყვით, უნდა იქცეს მთელი მასწავლებლობის იდეოლოგიურად შემადგენელ გულად.

ამგვარად შეეძლებთ მასწავლებელთა კოლექტივების შეკავშირებას და იმის განხორციელებას, მათი ურყევი ნებისყოფის შემწეობით, რაც იწერება და ითქმის ახალ სკოლაზე.

ჩვენი განყოფილება სთხოვს განათლების ყველა მუშაკებს **სასწრაფოდ გვაცნობონ** ხოლმე მასწავლებელთა ყოველგვარი ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომ საშუალება მოგვეცეს დაუგვიანებლად დაუკავშირდეთ მას და გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება დაწყებული საქმის განვითარებაში და ჩაღრმავებაში.

საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით გადავიდეთ ეპიზოდიური, თუმც ძალიან სასწრაფო ხასიათის მუშაობიდან მტკიცედ **სისტემატიურ** და **ჩაღრმავებულ მუშაობაზე**.

დეე ჩვენ მიერ წარმოდგენილი სურათი მასწავლებლობის ორგანიზაციისა ადგილებზე ნუ შეაშინებს თავისი სიდიადით და ფართო გასაქანით ჩვენი კუთხეების განათლების მუშაკს, რომელსაც ხშირად ორი-სამი ამხანაგიც კი არ მოეპოვება საქმის დასაწყება სულ პატარა უჯრედის შესადგენად. საქართველოს ახალ სკოლისათვის **ნამდვილი**, ცოცხალი **ადგილობრივი** საძირკვლის ჩასაყრელად ჩვენთვის ძვირფასია ყოველივე მცირეც, პირველ შეხედვაზე თითქოს სულ ნაკლებ მნიშვნელოვანიც, თუნდა თვითეული მასწავლებლის გამოძახილიც, ოღონდ კი ყოველივე ეს გამომდინარეობდეს **თვით მასწავლებლისაგან, ადგილებიდან** და ხელს უწყობდეს **მასწავლებელთა ორგანიზაციას ადგილებზე** ლოზუნგით: **ახალ სკოლისაკენ ახალი ცხოვრებით.**

მარიამ ორახელაშვილისა.

განათლების მუშაკთა მომზადება

გაცხარებული მშენებლობის დროს, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, არაფერი არ არის ისეთი სათუთი, ისეთი საზრუნავი და ფრთხილად მოსავლელი, როგორც სკოლა. ეს ყველასათვის ცხადია. მით უმეტეს ცხადია ისიც, რომ ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება სწრაფი და ამასთან საფუძვლიანი მომზადება მასწავლებლისა. ახალი სკოლის ხელმძღვანელის როლისათვის. მართალია მასწავლებელს უკვე აქვს ერთგვარი მომზადება, მაგრამ მისი ცოდნა ახლა შეიძლება მხოლოდ მასალად გამოდგეს, რომელსაც გადამუშავება, ახალ კალაპოტში ჩამოსხმა და ახალ გეგმაზე დალაგება ესაჭიროება. ბევრი რამ უწინ მიჩქმალული ახლა წინ წამოდგება, უწინ წინ წამომდგარი ახლა მიიჩქმალება და მივიღებთ ჩამოსხმულ და ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, სკოლის გამაცოცხლებელს და ამამოძრავებელს სიცოცხლის და შრომის ხალისით. ეს ხალისი მასწავლებელსაც აკლია და სჭირდება, რომ მის ძლიერ მაჯისცემასთან ისმოდეს ცხოვრების მაჯისცემა. დაუფასებელი განძია ამ საქმისათვის მასწავლებლის ხალისი და მისი თვითმოქმედება. სკოლის გარდაქმნის დროს ყოველი თეორია სადმე ცენტრში, ან კაბინეთში ან რომელსამე თუნდაც მაღალნიჭიერ თავში შეთხზული, სრულიად უმწეო, ჰაერში დაკიდული, მშრალი და უსიცოცხლო რამ გამოდის, თუ იგი არ არის შევსებული და შესწორებული სკოლის უშუალო მუშაკის გამოცდილების საფუძველზე. ხშირად ცენტრში სრულიად არ იციან ის პირობები, რომელშიც იმყოფება ესა თუ ის კუთხე, არ იციან რანაირ სახეს და ფორმას მიიღებს ესა თუ ის თეორია, იქ ნაცადი და გამოყენებული ამის შესახებ მასწავლებელი იძლევა ცნობას თავის უშუალო ცდის და დაკვირვების საფუძველზე და ამიტომ ის არის ქვაკუთხედი ყოველი პედაგოგიური თეორიისა და დასკვნისა. ამისათვის კი საჭიროა აუცილებელი მჭიდრო კავშირი ადგილობრივ მოქმედ მასწავლებლობას

ამ განყოფილებას სათავეში უდგას გ. ნათაძე და გ. კონიაშვილი.

თან, რომ აზრთა, დაკვირვებათა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით წინ წავსწიოთ სკოლის საქმე.

ამისათვის საპედაგოგიო ჟურნალის ხელმძღვანელებმა, რომელიც სახალხო განათლების კომისარიატის ინიციატივით გამოდის, საჭიროდ სცნეს დაეთმო ჟურნალში ცალკე განყოფილება, რომელშიც მასწავლებელთა ახალ სკოლისათვის მომზადების საორგანიზაციო და არსებითი საკითხები იქნება აწონდაწონილი და გაშუქებული. ეს განყოფილება ეცდება თავის მხრივ მისცეს ყოველ მომუშავეს სიპედაგოგიო სფეროში სახელმძღვანელო აზრი, მიიღოს ყოველი მასწავლებლის დაკვირკება, მოსაზრება და შენიშვნა და აწონდაწონვის შემდეგ თავისი აზრიც გამოსთქვას მის შესახებ.

ახალი სკოლა.

საფიქრებელი, გადასამუშავებელი და შესასწავლი კი ბევრი რამ არის. ჯერ ერთი, რა არის ახალი სკოლა და რით განირჩევა იგი ძველი სკოლისგან? ამაზე საზოგადოდ იმდენი რამე თქმულა და დაწერილა, რომ მოსაწყენიც არის ხელახლად ლაპარაკი, მაგრამ მასწავლებლისათვის კი ამაზედ ფიქრი საჭიროა, ვინაიდგან მან არა თუ უნდა აზრი და ცოდნა შეიძინოს ახალი სკოლის შესახებ, მან უნდა მთელი თავისი ფსიქიკა შესაფერად გარდაქმნას. სხვანაირადაც არ იქნება, ვინაიდგან ახალი სკოლა ცხოვრების ცოცხალი ნაკვთია, მასთან ძარღვებით და საერთო სისხლის მოძრაობით შეერთებული. კიდევ უფრო მეტი — სკოლა ფოკუსია ცხოვრების ინტერესებისა ბავშვის გაგების ფარგალში და ამავე დროს იგი ლაბორატორიაა, სადაც ბავშვი ყველაფერს საკუთარი შრომით, დაკვირვებით და გამოცდილებით ითვისებს. მშრალ ლითონ სიტყვას, როგორც ეს ძველად იყო, არა აქვს ადგილი ახალ სკოლაში. ცოდნა შრომის და ცოცხალი აქტივობის პროცესის საშუალებით შეიძინება მხოლოდ. ახალ სკოლაში არა აქვს ადგილი გამომშრალ სენტენციებს და ზნეობის სწავლებას. მოწაფეთა და მასწავლებელთა საერთო ცხოვრება მას მისცემს საუკეთესო ცოცხალ პრაქტიკას საზოგადოებრივ ცხოვრების პრინციპების შესათვისებლად. ამგვარი სკოლის ორგანიულ ნაწილად და იმავე დროს შეთაურად და ხელმძღვანელად უნდა გრძნობდეს მასწავლებელი თავს და რასაკვირველია თვით მისი არსება, მთელი ფსიქიკა და არა მხოლოდ ცოდნა, უნდა გადამუშავდეს.

ბ ა ვ შ ვ ი.

მაგალითად, ავიღოთ ბავშვისადმი დამოკიდებულება. ჩვენში ბავშვის ინტერესები ცხოვრებაშიც და სკოლაშიც უკანასკნელ რიგში სდგას. ფიქრობდენ, რომ ბავშვი როგორც პატარაა, ისე მოთხოვნილებაც და განცდებიც ნაკლები აქვს; მსოფლიო მის ცნებათა მცირეა, თითქმის არ არსებობს, მას არა აქვს ცხოვრებაში გამოცდილება და წვრთნა. ამიტომ ყველაფერში დიდის ინტერესები წინ იდგა. დიდი მაგალითი იყო, რომლისათვისაც ბავშვს უნდა მიებაძა და ყოველი საკუთარი მიდრეკილება დაეხშო, თუ იგი დიდისას ეწინააღმდეგებოდა. ფიქრობენ აგრეთვე ხშირად, რომ როდესაც ბავშვი ცელქობს, უნდა დატუქსო. ის კი არა, თუ ბავშვის ცელქობა მისი აქტიური ბუნების შედეგია და სრულიად ნორმალური მოვლენაა.

საჭიროა მასწავლებელმა ასეთი შეხედულება ბავშვზე უკუაგდოს, შეიგნოს მთელი თავისი ერსებით ის, რომ ბავშვი თავისებური, ზაგრამ მთლიანი, მრავალსიმოვანი არსებაა, მას აქვს თავისი სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობს, იმის ტვინში არასოდეს არ არის ცარიელი ადგილი, რომელიც უფროსისაგან შეთვისებულ ახალი ცნების და ახალი აზრის დაბინავებას ელოდეს.

ბავშვი სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად არის შესასწავლი, კიდევ მეტი, ბავშვის ყოველი ასაკის ფსიქოლოგიაა შესასწავლი, რადგანაც ასაკის მიხედვით ბავშვის ფსიქიკა ძირიანად იცვლება და მისი გამოძახილი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე სრულიად სხვადასხვაა. თვით ფიზიოლოგიური პროცესები ასაკის მიხედვით ისე განსხვავდებიან, რომ ხშირად რამდენისამე წლის განმავლობაში თქვენ წინ არის თითქმის სხვა არსება. ამის შესაფერად მას ეცვლება მსოფლიოს წარმოდგენაც. მისი შეგრძნების და წარმოსახვის ნიჭი სულ ახალ მიმართულებას ღებულობს და მის ბუნებაში ამგვარი ცვლილების შესაფერად მისი რეაგირობის და შეთვისების უნარი და საშუალებაც იცვლება. ყველა ამას ზედმიწევნით შესწავლა უნდა, რომ მასწავლებელმა შესძლოს ბავშვს ღზრდა-განათლება მისცეს მისი ფსიქიკის დაუმახინჯებლად. ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა ბავშვის ფსიქიკა იქამდის მაინც შეისწავლოს, რომ ყოველი ასაკის შესაფერი მოვლენების პოვნა შეეძლოს იმ გარემოში, რომელშიც სცხოვრობს ბავშვი.

გარემო.

გარემოდან იწყება მის მიერ ცხოვრების შესწავლა და მასთან ურთიერთობის და დამოკიდებულების პრინციპების შემუშავება. შემდეგ, ასაკის მიხედვით ეს გარემოც თანდათან ფართოვდება. ამიტომ ბავშვის ფსიქიკასთან ერთად საჭიროა იმ გარემოს ცოდნაც, რომელიც ბავშვს გარს არტყია. გარემოს მისი ფართო აზრით ჩვენ მეცნიერება შეგვასწავლის, მაგრამ მეცნიერებაში ხომ ვერ ნახავთ ყოველ კუთხეს კონკრეტულად აწერილს. მასწავლებელი უეჭველად თავის სკოლის რაიონის ცოდნაში საუკეთესო სპეციალისტი უნდა იყვეს, ისეთი სპეციალისტი, რომ ამ რაიონის მდგომარეობის შესახებ უტყუარ ცნობებს აწვდიდეს ყველას, ვისაც კი ცენტრში ეს დასჭირდება, ან საზოგადო დასკვნებისათვის, ან თუ გნებავთ, კანონმდებლობისათვის. მეცნიერულ პრინციპებზე სკოლის რაიონის ყოველმხრივი შესწავლა მასწავლებელს მისცემს საშუალებას ყოველი ასაკის ინტერესის დამაკმაყოფილებელი და მოსაზრდოებელი მასალა იპოვნოს და დროზე მიაწოდოს მას. ვარტო წიგნიდან ამოკრებილი მასალა ამისათვის არა კმარა. თვით მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ბავშვზე ადრე ის გარემო, რომელშიც მას უხდება მუშაობა, საკუთარი დაკვირვებით, შრომით და გამოკვლევით. წიგნი მას მხოლოდ ხელვძღვანელობას გაუწევს ამ საქმეში.

შრომა-მოქმედიანობა.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რა მეთოდებს ადგას ახალი სკოლა აღზრდა-განათლების და სწავლის საქმეში. მთავარი ის არის, რომ ბავშვი თავის საკუთარი გამოცდილებით მიხვდეს იმას, რის ცოდნაც მისათვის აუცილებელია, რომ შეთვისებული ცოდნა არც მარტო ენის წვერის და არც მარტო ტვინის დოვლათი იყვეს, იგი იყვეს ბავშვის მთელ არსებასთან დაკავშირებული, შესისხლხორცებული, მკვიდრი, ფესვ-ღრმად გადგმული ცოდნა. რომელი წიგნი მისცემს ბავშვს იმის შეგნებას, რომ ტყეში მცენარეები ერთ საზოგადოებას წარმოადგენენ, საერთო ინტერესებით შეკავშირებულ და ერთმანეთის დამხმარე წევრებისაგან შემდგარს, თითქოს გონიერი არსებანი სცხოვრობენ შიგაო. რა სიტყვებითაც უნდა აუხსნა ბავშვს ეს, ამის გაგება და შეთვისება იმისთვის სრულიად

შეუძლებელია, ვიდრე ბავშვი თვითონ არ ინახულებს ტყეს და თვითონ არ გამოიკვლევს მას და თავის საკუთარი თვალით არ ნახავს მას.

ან რა მაგიურ სიტყვას შეუძლიან ბავშვს გააგებინოს, თუ რაში გამოიხატება საურთიერთო დახმარება და რა მნიშვნელობა აქვს მას ცხოვრებაში, ვიდრე ის არ დააკვირდება, არ გამოიკვლევს და არ შეისწავლის ისეთ მოვლენებს ცხოვრებაში, როგორც თუნდაც მიწის ხვნის ორგანიზაციაა აღმოსავლეთ საქართველოში. უამისოთ ხომ საურთიერთო დახმარება ბავშვის წარმოდგენაში მიიღებს ქველმოქმედების სახეს, ან სანტიმენტალურ ხასიათს, როგორც იყო ძველ ტენდენციურად დაწერილ სახელმძღვანელოებში.

თვითმოქმედიანობა.

ამ ცოდნასთან და საკუთარ გამოცდილებასთან ერთად, ხალხთან თუ ბუნებასთან მუდამ ურთიერთობის და ბავშვის გონების ფარგალში საქმიანობის ნიადაგზე ბავშვი ღებულობს საზოგადოებრივ აღზრდასაც. არც ერთი დარიგება, არც ერთი ზნეობრივი სენტენცია! მასწავლებელი უნდა იყვეს ყველა ამ საქმიანობის მხოლოდ ორგანიზატორი-ხელმძღვანელი და რაც შეიძლება ნაკლებ უნდა ეჩხირებოდეს თვალში მოწაფეს მისი მეთაურობა. ბუნება, გარემო, საზოგადოება, და ამათ შორის შრომა და საქმიანობა თვითონ ჩაჰფუჩუნებს ბავშვს ყურში იმას, რაც მისთვის საჭიროა და ეს მუდმივი და მოუწყინარი წყაროს ჩუხჩუხივით და ფოთლის შრიალივით ფუჩუნი საუკეთესო სიტყვებზე უკეთესად ასწავლის ბავშვს იმას, რაც მისთვის საჭირო და სავალდებულოა ცხოვრებაში. დღიდან თავის დაბადებისა ბავშვი მკვლევარია და სკოლაშიც მკვლევარის გზას იგი არ უნდა ავაცდინოთ. მან საკუთარი კვლევის საშუალებით უნდა შეითვისოს როგორც განმანათლებელი მასალა, ისე ცხოვრების პრინციპები. ამ გზით უნდა მიიღოს მან სწავლა-განათლებაც და აღზრდაც.

ეს დიდ მუშაობას მოითხოვს მასწავლებლის მხრივ; შესაძლებელია ერთი შეხედვით იქამდის დაუძლეველად გვეჩვენოს, რომ შეგვაშინოს კიდეც. არა ერთი მასწავლებელი, რომელიც მოწოდებას არ გრძნობს ამ საქმისადმი, გაექცევა კიდეც ამ მუშაობას. დე ამნაირნი გაიქცნენ, ხოლო დანარჩენები, ვისაც გულში უღვივის წმინდა ცეცხლი ბავშვის აღმზრდელისა, არ უნდა შეუშინდეს ამას, ვინაიდან ყველამ

იცის, რომ მთელი თაობის მასწავლებლობის ერთბაში ფსიქოლოგიური გარდაქმნა შეუძლებელია. ეს საქმე თანდათან გაკეთდება, მაგრამ უნდა კეთდებოდეს ისეთის ინტენსივობით, რომ რაც კი შეიძლება მალე გავიაროთ ეს გადამზადების და გადამუშავების პროცესი.

მუშაობის გზები.

საქმის დასაჩქარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო და მწყობრ ორგანიზაციას. სკოლებსა და ყოველგვარ განმანათლებელ დაწესებულებებს უნდა გამუდმებული ურთიერთობა ჰქონდეთ, მთელი განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელი უნდა მთლიან ერთეულს წარმოადგენენ.

ამისათვის ჯერ ერთი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებული ორგანიზაცია სკოლებისა. თვითეულ რაიონში ახლა არსებობს სარაიონო ცენტრი, რაიონის მთავარ პუნქტში არსებულ სკოლასთან დაკავშირებული. პედაგოგიური საბჭოები და მასწავლებლები თავის ადგილობრივ ცდებს, დაკვირვებებს და მოსაზრებებს რაიონის კრებას გაუზიარებენ, აქედან კი ის წავა ცენტრში, სადაც თვითეულ მასწავლებლის აზრს სათანადო ყურადღება მიექცევა. ყოველი დაკვირვება და მასალა პედაგოგიური საკითხების ფარგალში გამოქვეყნდება და მისი დამუშავება, გაშუქება და შეფასება ჟურნალში მოთავსდება. მაგრამ არსებულ ორგანიზაციას, როგორც ოფიციალურ ორგანოთა კავშირს, თავისი საკუთარი ოფიციალური დავალება აქვს. ამიტომ ამ წრეში მუშაობა, რასაკვირველია, სავსებით ვერ ამოსწურავს გადამზადების და გადამუშავების ამოცანას. საჭიროა სპეციალურად ამ საქმისათვის დანიშნული ორგანიზაცია. რათგანაც ამ მუშაობის საფუძველი თვითმოქმედებაზე და თვითმომზადებაზე უნდა იყვეს დამყარებული, ამიტომ მასწავლებლებმა ადგილობრივ რაიონებად უნდა დააარსონ თავისი უჯრედები, კლუბები, ბიბლიოთეკები, რომელთ გარშემოც თავს მოიყრის მომუშავე მასწავლებლობა; ის ამ საშუალებით გამოვა იმ კარჩაკეტილობიდან და განმარტოებიდან, რომელშიც ის ამჟამად იმყოფება. ის იგრძნობს, რომ არსებობს ერთი ოჯახი განათლების მუშაკთა, რომელშიც თვითეული მათგანი სასურველი წევრია. საცდელ-საჩვენებელი სკოლები თავისმხრივ დახმარებას გაუწევს თავმოყრილ მასწავლებლობას და თავისი ცდებით მისცემს გარკვეულ მიმართულებას მათ მუშაობას. საპედაგოგიო ტექნიკუმი მთელ რაიონს გააერთიანებს საზოგადო მუშაობაში. სათანადო

დახმარებას გაუწევს ამ მუშაობაში ჩაბმული განათლების მუშაკთა სახლებიც, რომელნიც აგრეთვე ადგილობრივ მომუშავე მასწავლებელთა ინიციატივით დაარსდებიან. აქ პერიოდულად, დროგამოშვებით შეიკრიბებიან აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელნი, გაუზიარებენ ერთმანეთს თავის ნამუშევარის შედეგებს, გააშუქებენ და გამოარკვევენ ახალ საკითხებს, დასახავენ ახალ გზას მუშაობისას. თავის მხრივ ამ მუშაკთა სახლებს რასაკვირველია ექნება კავშირი ტფილისის მუშაკთა სახლთანაც და საპედაგოგიო ჟურნალთანაც, სადაც მთელი ეს ნამუშევარი მასალა გამოქვეყნდება და დამუშავდება. ამგვარად ყოველ კუთხეში აღძრული საკითხი საფუძვლიანად გადამუშავებული, გაშალაშინებული, ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული მოედება მთელ საქართველოს.

მაშინ ამოძრავებული მასწავლებლობა იგრძნობს საერთო ძალას მასწავლებელთა კავშირისას და როდესაც ეს დაწესებულებები მივარდნილ და ბნელ კუთხეებს ციცინათელებსავით მოეფინებიან ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად, მაშინ იგრძნობს იგი, რომ ის, თუნდაც თავისი მცირე ცოდნით დიდი ძალაა და ახალ სკოლისადმი შეგუების საქმე ისე ძნელი არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით ეჩვენებოდა.

ამას გარდა დროგამოშვებით საერაონო კონფერენციებიც გაიმართება, სადაც მასწავლებელთა თვითეულ უჯრედს აქვს საშუალება ამცნოს ყველას თავისი საჭიროებანი, გაუზიაროს თავისი აზრები, გაატაროს კიდეც იგი, როდესაც გატარებაა საჭირო და სასურველი და ამ სახით მთელი საქართველოს განათლების მუშაკთა წრე ამ საერთო საქმეში ჩაებმის. მხოლოდ ამგვარად შეიძლება რამოდენიმე ხანში გადამუშავდეს სწავლა-განათლების საქმე საქართველოში.

ჩვენი საპედაგოგიო ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილება მუშაობს ამ ორგანიზაციის გეგმის შემუშავებაზე. გეგმის ნაწილი უკვე შემუშავებულია. სულ ახლო მომავალში მისი განხორციელებაც იწყება. მასთან ერთად დაიწყება აქ დასახული გეგმის განხორციელებაც.

გ. ნადაძე.

სასკოლო მუშაობა ასაკის მიხედვით.

ახალი და ძველი სკოლის წინააღმდეგობის ფესვი ისაა, რომ ძველი სკოლისათვის ბავშვი მოზდილი ადამიანის თანაბრად დაპატარავებული ასლია, იმავე ფიზიოლოგიით, იმავე გონებით, გრძნობებით, ნებისყოფით. წინანდელმა ფსიქოლოგიამ მხოლოდ ერთი გონება იცოდა, ერთი ნებისყოფა, ერთი აზროვნება, საერთოდ ადამიანისა, გინდ დიდის, გინდ პატარისა. ამიტომ ძველი სკოლის შინაარსიც, მეთოდებიც, მთელი უძრავ-წიგნური სისტემაც მოზრდილი ადამიანის ბუნებისათვის იყო შერჩეული, დამუშავებული და რკინის სისტემად ქცეული. რა გასაკვირველია, რომ ასეთი სისტემა სთელავდა და ჭლუპავდა ბავშვის ნორჩ სხეულს და ნაზი ბუნების სუსტ, ფესვგაუდგმელ მხარეებს აზროვნებიდან ნებისყოფამდე.

სკოლა და ბავშვი.

სულ სხვაა ახალ სკოლაში. ამ სკოლის მთელს საძირკველს შეადგენს ახალი ფსიქოლოგიის უდიდესი დაპკრობა—აღმოჩენა ადამიანის ფსიქიკის განუწყვეტელი ცვლისა და წინსვლითი ვითარებისა, დაბადების წუთიდან სრულ მოწიფებამდე. არ არსებობს ადამიანის ყველა ასაკებისათვის საერთო გონება, ან ნებისყოფა, ან გრძნობანი, არსებობს თოთო ბავშვის დაწყებითი, სულ მარტივი აზროვნება, ე. წ. სკოლამდე ასაკის აზროვნების საფეხურები (3—7 წლამდე), ე. წ. „კბილების ცვლის“ ხანის ფსიქიკა და სხ. ეს ვითარება ისეთი მხნე და სწრაფია, ისე სცვლის ბავშვის ფსიქიკის სახეს თითქმის ყოველი ორი-სამი წლის განმავლობაში, რომ მაგალითად, თოთო ბავშვის, ცირა-ჭაბუკისა და მოზრდილის ფსიქიკური მხარეები ძირიანად გამოირჩევიან ერთმანეთისაგან,

---

ამ განყოფილებაში მუშაობენ ო. სანიკიძე-ვოლობუევისა, სკოლამდე ასაკის სპეციალისტი თამარ ერისთავი თავისი მოწაფეებით და სხ.; კომისია ჯერ ჩამოყალიბებული არ არის.

თითქოს ადამიანის ზრდის ეს სამი საფეხური ერთსა და იმავე არსებას არ ეკუთვნოდეს. დაწვრილებით ეს საკითხი გაშუქებულია ზაფხულში გამოსულ კრებულში „ახალ სკოლისაკენ“ (I ნაწ.), წერილში: **ბავშვის ფსიქოლოგია და სკოლის ასაკამდე აღზრდის საფუძველი** (გვ. 46—70). ძალიან სასურველია, რომ ყოველი პედაგოგი ვაეცნოს იმ წერილში წამოყენებულ **დებულებებს** და წერილის ბოლოს ჩამოთვლილ **წიგნებს**, რომლიდანაც ზოგიერთი აქ მოკლე ხანში ქართულადაც იქნება გამოცემული.

ახალი სკოლა საკუთარ ეყრდნობა ბავშვის ზრდის ამ ძირითად თავისებურობას. ბავშვი მისთვის მცირე მასშტაბიანი მოზრდილი კი არ არის, როგორც ძველი სკოლისათვის, არამედ სრულიად დამოუკიდებელი სხვა არსება, „პაწია“, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს იმ მოწიფებულ 18-19 წლის მოქალაქესთან, რომელსაც გამოუშვებს ცხოვრებაში მისი უმაღლესი საფეხური რამდენიმე წლის შემდეგ. პაწიასთვის სწავლაც სულ სხვა ეწყობა, საპაწიო, სასკოლო შენობაც, ავეჯეულობა, სასკოლო ყოფა-ცხოვრება, მთელი გარემოც. სკოლის საპაწიო საფეხურს სახელიც სხვა აქვს — „ბაღი“ ან „სახლი“, რაც სრულიად არ არღვევს შრომის სკოლის მჭიდრო მთლიანობას, თუმც ამ „ბაღებში“ და „სახლებში“ ყველაფერი თავისებურია, „საპაწიო“. პაწიებს „მათემათიკაც“ საკუთარი აქვთ, სულ სხვა, ვიდრე მოზრდილებს, წიგნიც, ხატვა, თამაში, შრომაც. პაწიების სამეფო თვალს ახარებს ახალ სკოლაში და განსაკუთრებულის ზრუნვითაა აღჭურვილი მის ძებნაში, რადგან სკოლამდე ასაკი ის საძირკველია, რომელიც სწყვეტს ბავშვის მთელი შემდგომი აღზრდის სწორ თუ დამახინჯებულ ვითარებას.

ამნაირადვე თავისებურად და მოზრდილისაგან განსხვავებულად ეწყობა შრომის სკოლის ყველა დანარჩენი დაბალი საფეხურიც. ოთხწლიანი სკოლის გოგონა თუ ბიჭი ერთია ახალ სკოლისათვის. მის ძებნაში და სისტემის აგებაში, შემდეგი სამწლედის (შვიდწლიანი სკოლის ზემო სამი წლის) გადატეხის ხანას მიმდგარი ცირა თუ ჭაბუკი უკვე სხვაა, 9-წლიანი სკოლის ბოლო ორწლედის ახალგაზრდა კი კიდევ ახალი არსებაა, რომლის ბუნება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს მოწიფების ხანით გამოწვეული განსაკუთრებული გრძნობიერებისა და შთამბეჭდაობის გამო.

ასე საფეხურ-საფეხურად შეისწავლის ახალი სკოლა მოზარდი ბავშვის ფსიქო-ფიზიოლოგიას და შესწავლილის მიხედვით ამნაირივე საფე-

ბურებით აგებს თავის ახალ, ჯერ მხოლოდ საერთოდ მოხაზულ და სისხლხორც-შეუსხმელ შენობას, ბავშვის ვითარების საფეხურების მკაცრი სითანადით.

ახალმა სკოლამ არ იცის აზროვნება საერთოდ, გონება საერთოდ, ყურადღება საერთოდ. მას რომ ერთ-ერთ ამ ფსიქოლოგიურ ცნებას დაუსახელებ, იმწამსვე იკითხავს: „რა ასაკის მეხსიერება?“, „რა ასაკის ყურადღებაო?“, რადგან შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველ ასაკს თავისი საკუთარი გონება, ნებისყოფა, გრძნობები აქვს, მოკლედ—თავისი საკუთარი ფსიქიური ბუნება აქვს, მისი ყველა მხარეების საკუთარი სახით და საკუთარი შეფარდებით ერთმანეთის მიმართ ასე, ე. წ. სკოლამდე ასაკში (3—7 წ.) უმთავრესი ადგილი უჭირავთ ე. წ. გარე გრძნობებს და ინსტინქტებს*). დანარჩენი მხარეები კი ამ ასაკში მათ ნაწარმოებს წარმოადგენს, რის გამო მეხსიერება ხაზგასმით გარე-გრძნობითია ამ ასაკში —ჯერ უფრო კუნთურ-შეხებითი 4-5 წლამდე, მერე ხედვითი ან სმენითი, ყოველ შემთხვევაში არა ლოგიკური, როგორც შემდეგ ასაკებში; აზროვნება სავსებით მარტივი და კონკრეტულია, მხოლოდ გარე გრძნობებით მიღებულ წარმოდგენებით მომქმედი და სხ. და სხ.; შემდეგ ასაკებში კი გარე გრძნობათა როლი თანდათან მიიწურება, განყენების უნარის და აზროვნობის ადგილი კი შეუწყვეტლივ იზრდება. ფსიქიკის მხარეების თანაშეფარდება დღიდან დღეზე იცვლება. მეხსიერება უფრო და უფრო არაკონკრეტული და არა გარეგრძნობითი ხდება, ლოგიკური მხარე მასში უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს. აგრეთვე აზროვნებაშიც, წარმოსახვაშიც. ორივე უფრო და უფრო განყენებული ხდება, იზრდება, რთულდება და „მწიფდება“.

ამიტომ, ცხადია, თუ სკოლა ნამდვილია, ე. ი. **ბავშვისათვისაა** ძებნილი და არა სხვა რამე მიზნისათვის, ის **ბავშვის ყოველი ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიით** უნდა ხელმძღვანელობდეს თავის აგებაში და არა მოზრდილი განათლებული ადამიანისთვის საჭირო ცოდნის შინაარსით, ლოგიკური თანდათანობით და მეთოდებით.

„ავაგოთ სკოლა სწავლის სუბიექტზე, ე. ი. იმაზე, **ვისაც** ვასწავლით, —ბავშის ფსიქო-ფიზიოლოგიაზე და არა სწავლის ობიექტზე, ე. ი. იმაზე, **რასაც** ვასწავლით, სასწავლო საგნების ლოგიკაზე“, ამბობს დღევანდელი საბავშვო ბაღის შეჰქმნელი, მარია მანტესორი. „სკოლა ბავ-

*) **იხ.** ზემოაღნიშნული წერილი ბავშის ფსიქოლოგიის შესახებ კრ. „ახალ სკოლისაკენ“, ნაწ. I, გვ. 53—60.

შისათის და არა ბავში სკოლისათვის«, აცხადებს ამერიკა რამდენიმე ათწლედის წინ და იწყებს თავის ომს ძველი სკოლის წინააღმდეგ.

ბავშის ფსიქოლოგიაზე და ფსიქოპატალოგიაზე ერთის მხრით, ბავშის ფიზიოლოგია-ანატომიაზე და პატოლოგიაზე—მეორეთი აგებულია იმავე ამერიკაში დაბადებული ე. წ. **პედოლოგია**, ე. ი. **ბავშგნობა**, ბავშკის შესწავლა, „ребенковедение". ზედმეტია ამ მეცნიერების მნიშვნელობის განმარტება ახალი სკოლის ძებნისათვის.

მეთოდები.

ყველა ამ საკითხებს არა ერთი გვერდი დაეთმობა ამ ჟურნალის ფურცლებზე; აქ კი მოკლედ ვიტყვით: ცხადია, რომ ახალ სკოლაში უკვე აღარ შეიძლება რაიმე მეთოდის ან მასალის მიღება **საერთოდ**— სკოლის ყოველი საფეხურისა და ასაკისათვის. სწორედ ისე, როგორც ფსიქოლოგიაში ახალი სკოლა კითხულობს „რა ასაკის გონებაო?", და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა ამ გონების დახასიათებას, სწორედ იმნაირადვე ეკითხება ახალი სკოლა სასწავლო მეთოდის ან მასალის წამომყენებელს: „რა ასაკისათვისო?", და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა თავის აზრს და შეფასეებას.

პედაგოგიურ ყრილობებზე, კრებებზე და კურსებზე ხშირად გვეკითხებიან: „წერაკითხვის სწავლებისათვის რა მეთოდი მიგაჩნიათ საუკეთესოთო?", ან „რა სისტემით ვასწავლოთ ანგარიშიო?" და სხ. ამაზე ძველი სკოლა პასუხს პირდაპირ იძლეოდა: „ამა და ამ მეთოდითო". ახალი სკოლა კი პასუხის გაცემამდე ჯერ კითხვას იძლევა: „რა ასაკისთვისო?", ვინაიდან პაწიებისათვის სულ სხვა მეთოდებია საჭირო, როგორც წერა-კითხვის, ისე თვლა-ანგარიშის შესასწავლად, 9-10 წლის ბავშვებისათვის სხვა, მოზრდილთათვის სულ სხვა. და ასე ყოველ სასკოლო საკითხში.

პროგრამები.

ხელგარჯილობა, თამაში, ტანვარჯიში, გალობა, ხატვა, ბოსტანში თუ ბაღში მუშაობა, ექსკურსიები, კომპლექსური სწავლება, შრომის პროცესები, ადგილობრივი წარმოების გამოყენება—ყველა ეს სულ სხვადასხვაა ყოველი ასაკისათვის, შრომის სკოლის ყოველი საფეხურისათვის. „ზამთარი", „გლეხის კარმიდამო", „ცხელი ქვეყნების ცხო-

ველები“ თუ „ცივ ქვეყნების მცენარეულობა“ და სხ.—ყველა ეს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სახეს, **შინაარს** და მეთოდიურ დამუშავებას იღებს, იმისი მიხედვით, თუ რა ასაკისათვისაა განზრახული ეს დამუშავება.

და პირ-იქით, ამავე დროს ახალ სკოლაში შესაძლოა **ერთისა** და **იმავე პროგრამის შეუცვლელად გამოყენება** ჯერ სკოლის ერთ საფეხურზე, მერე მეორეზე. მაგალითად ე. წ. „ლანდშაფტების“ გეოგრაფიის ახალი პროგრამისა (კრ. ახალ სკოლისკენ“, ნაწ. II, გვ. 41—45), ვინაიდან ერთ საფეხურზე ამ ცნებებში ერთი შინაარსი და ერთი მეთოდები იქნება შეტანილი, მეორეზე—მეორე, სულ სხვა, შემდეგი ასაკის სათანადო. ძველ სკოლაში კი ეს შეუძლებელი იყო, რადგან ბავშვს თავიდანვე იმას შეასწავლიდენ, რაც მოზრდილისათვისაა საჭირო,—იმავე შინაარსით და იმავე მეთოდებით, ისე რომ ერთისა და ამავე მასალის განმეორებითი გავლა უაზრო იქნებოდა.

განყოფილების მიზანი.

ამის შემდეგ ცხადია, რა მიზანი და მნიშვნელობა აქვს ჟურნალის ამ განყოფილებას: **სასკოლო მუშაობა ასაკის მოთხოვნილების სათანადოთ.**

ტფილისის ზოგიერთი სკოლები უკვე მუშაობენ ამ საკითხებზე. ზოგიერთ მათგანს უკვე საინტერესო დაკვირვება და გამოცდილებაცა აქვს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მუშაობის ამ მხარეს კომისარიატის სამივე საცდელ-საჩვენებელ სკოლას (იხ. წერილები მათ შესახებ ამავე ნომერში). საქართველოს დანარჩენ კუთხეებისათვის განსაკუთრებულად საგულისხმიეროა პირველი და მესამე საცდელი სკოლის მუშაობა, რადგან ეს ორივე სკოლა ქართულია, მეორე კი რუსული, რაც სხვა შემადგენლობას აძლევს ამ სკოლას—არა ქართველ ბავშვებს. ახალი ფსიქოლოგიის ახალი შტო, ე. წ. დიფერენციალური ფსიქოლოგია კი გვაჩვენებს, რომ **ყოველი ასაკის** ფსიქოლოგიას განსხვავებული ელფერი და თავისებურობა აქვს როგორც სხვადასხვა **სქესის,** ისე სხვადასხვა **კლასის** და **ეროვნების** ახალგაზრდობაში, ამიტომ საკმარისი არ არის საერთოდ ამა თუ იმ ასაკის ფსიქიკის ნახარეების და ფსიქოლოგიის შესწავლა, რასაც უკანასკნელ დროს საერთოდ „**ასაკის ინტერესები**“ ეწოდა, არამედ საჭიროა ამ ფსიქიკის და „ინტერესების“ შესწავლა ცალკე გოგონებისა, ცალკე ვაჟებისა, ცალკე ქარ-

თველ ბავშისა, ცალკე რუსისა, ცალკე უზრუნველყოფილ კლასებისა, ცალკე ე. წ. პროლეტართა ბავშისა, ცალკე ქალაქის ბავშისა, ცალკე სოფლისა და სხ.

ამის გამო ტფილისის რუსული სკოლები ჩვენს სკოლებზე უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, ვინაიდან მათ მუშაობას რუსეთის მუშაობა ეხმარება, სადაც ეს საქმე ბუნებრივად ჩვენზე ბევრად ადრეა დაწყებული. ჩვენი სკოლები კი მხოლოდ ეხლა იწყებენ ამ საქმეს, ამიტომ მათი ნამუშევარი ჯერ ასე მალე არ გამოჩნდება საგრძნობი სიდიდით.

ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ არაფერი გვაქვს ამ დარგში. საუკეთესო პირობებშია ამ მხრივ ჩვენი საბავშო ბაღები, რომელშიაც მეტად საფასო მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით ჩვენი ახალგაზრდა სკოლის ასაკამდე აღმზრდელთა მეოხებით. ამ მუშაობის ერთ-ერთი შედეგი—საბავშო ბაღებში მუშაობის პროგრამა და დარიგება ამავე ნომერშია მოთავსებული.

საბავშო ბაღების გარდა ამ საკითხებზე სისტემატიურად მუშაობს ორივე ჩვენი ქართული საცდელი სკოლა, მეტადრე მესამე; იგივე მუშაობა დაწყებულია ტფილისის უნივერსიტეტში, პროფ. დ. უზნაძის მიერ, რომელიც იმავე დროს სათავეში უდგას მესამე საცდელ სკოლას. მისი წერილი „სასკოლო ასაკის ბავშთა იდეალის ევოლიუცია", მოთავსებული „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის" მე-2 ნომერში (ტფილისი 1922-23 წ.), მრავალ საინტერესოს შეიცავს ყოველი ჩვენი პედაგოგისათვის. იმედია, ამ შრომას არა-ერთი სხვა ფსიქოლოგიური გამოკვლევაც მოჰყვება.

ამ შრომას კიდევ ერთის მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი განათლების საქმისათვის—ეს არის თითქმის პირველი ნაბიჯი ჩვენი უმაღლესი სკოლის მუშაობის მობრუნებისა დაწყებითი სკოლის მოთხოვნილებისაკენ. მხურვალეთ ვიმედოვნებთ, რომ ეს პირველი ნაბიჯი უკანასკნელი არ იქნება.

ამ ახალი ნაბიჯების გამოწვევისათვის ყველაზედ მეტი შეუძლიათ ჩვენს ამხანაგებს ადგილებიდან. ყოველი მათ მიერ მოწოდებული მასალა, გინდ შეკითხვის, გინდ დაკვირვების თუ გამოკამათების სახით, ძვირფას მასალას წარმოადგენს ამ დარგში მომუშავეთათვის ტფილისში, რომელთაც ხელთ აქვთ მხოლოდ თეორიული და ბიბლიოგრაფიული მასალა და ტფილისის სკოლების სინამდვილე ჩვენი სკოლის ასაკთა

თანადობის საკითხების არამც თუ გამორკვევა, სწორი დაყენებაც არ შეიძლება, თუ ეს მუშაობა რაც შეიძლება ადრე ტფილისიდან მთელს ჩვენ ქვეყანას არ მოედება შორეულ განაპირამდე.

ყოველ შემდეგ ნომერში არა ერთი წერილი იქნება მოთავსებული ამ საკითხის შესახებ და მის გარშემო (კერძოდ საცდელ სკოლების ზოგიერთ მიღწევათა შესახებ), ეხლა კი ვთხოვთ ყველა ახალი სკოლის ძებნაში მონაწილე მუშაკს, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს როგორც ამ საკითხის თეორიულ გაცნობას ჟურნალ-წიგნებიდან, ისე თავისი სასკოლო მუშაობის ამ მხარეს.

ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოცემული იქნება ბავშვების დაკვირვების და შეწავლის სხვადასხვა სისტემა და საანკეტო ფურცლები*). ამ მიმართულებით ყველა ქვეყნებში დიდი მუშაობა სწარმოებს უკანასკნელ წლების განმავლობაში.

იმედია, ახლო მომავალში არა ერთი სკოლა აცნობებს ჩვენს განყოფილებას ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას. ამ საკითხში, ცხადია, რაც უფრო მეტ რიცხვზე იქნება მოხდენილი დაკვირვება, მით უფრო სწორ დასკვნებს მივიღებთ, თუ, რა თქმა უნდა, კვლევის მეთოდი და გზები სწორი გვექნება არჩეული.

რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.

---

*) ერთ-ერთი მათგანი უკვე მოცემულია, ამ ნომერში მოთავსებულ სახელმძღვანელოში საბავშო ბაღებში მუშაობისათვის.

შრომის პრინციპი ახალ სკოლაში

შრომის სკოლის სახე მისი განვითარების პროცესში ყალიბდება. მიუხედავად მის მოკლე ხნის არსებობისა, მასზე წარმოდგენამ და შეხედულებამ ბევრი ცვალებადობა და აზრთა სხვადასხვაობა განიცადა. ჯერ კიდევ აქამდე სკოლის მუშაკთა შორის არსებობს საგრძნობი უთანხმოება ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ჩვეულებრივი გამხდარა ის მოვლენა, რომ სოფლის სკოლას ვერ მოუსწრია ამა თუ იმ ახლად წამოჭრილი საკითხის ცხოვრებაში გატარება და ქალაქი კი უკვე ამ საკითხს, რომელიც მან თვით წამოაყენა, გმობს და დრომოჭარულად აცხადებს.

ამ მრავალ საკითხს შორის ყველაზე დიდ, სადაო და ძნელ გადასაჭრელ საკითხად გამხდარა—„**შრომის პროცესი**“-ს როლი სკოლაში. ყველას თავისებურად ესმის იგი, ყველა თავისებურად ატარებს და ანბორციელებს მას და ეს მით უფრო საგრძნობია, რომ იგი ხომ სკოლის სული და ღერძია, რომლის გარშემო ტრიალებს ვითელი პროგრამა და სასწავლო მასალა შრომის სკოლისა. მისი შინაარსის გაგებაზე, განსაზღვრასა და გამოყენებაზეა დამოკიდებული შრომის სკოლის სახე და თვით არსებობა. ამ საკითხს საგრძნობი ადგილი უჭირავს ჩვენი ახალი სკოლის ისტორიაში.

პირველი ხანა

თვალსაჩინო წესით სწავლებას, ბუნებრივად, თან მოჰყვა **ლაბორატორიული** წესი და ეს უკანასკნელი კი, იწვევდა რა მეტ აქტივობას, მოითხოვდა სკოლაში **შრომის პრინციპების გატარებას**. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ შრომა ცხოვრების ფუძეთ იქცა და ამიტომ, სკოლის არსებობის შინაარსად და აუცილებელ პირობად. რუ-

---

ამ განყოფილების კომისიას სათავეში უდგას მიხ. ზანდუკელი და ლ. ჰეკერი.

სეთის გასაბჭოების პირველ დღეებში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ არამც თუ უბრალო გონებრივი მომუშავე, არამედ დიდი სპეციალისტიც კი იძულებული გახდა ხელი მოეკიდა ფიზიკური შრომისათვის, ეზიდა შეშა, ეგავა ქუჩა და სხვა.

სახელმწიფო სამეურნეო აპარატის მოშლამ, მატერიალურმა შევიწროებამ გამოიწვია ის, რომ მასწავლებელმა სკოლის შავი სამუშაო —საკლასო ოთახების დაგვა, ღუმელებში ცეცხლის დანთება, საჭირო წყლის მოზიდვა და სხვა—მოსწავლეებს დააკისრა, მათ მოვალეობად გახადა. ეს, როგორც ვსთქვით, შედეგი იყო სახელმწიფოს გაჭირვებული მდგომარეობისა და არა პრინციპი და მოთხოვნილება შრომის სკოლისა. გამოუცდელმა, მატერიალურად შევიწროებულმა მასწავლებელმა, რომელსაც მოსთხოვეს შრომის სკოლის შექმნა, სწორედ ვერ გაიგო წამოყენებული მოთხოვნილება და დამშვიდებულმა და დარწმუნებულმა, რომ იგი შრომის პრინციპებს ატარებს სკოლაში, ნახევარი სასწავლო დღე შეგირდებისა მოანდომა შეშის დაჭრას, ეზოს დაგვას და სხვა ამგვარ მძიმე შავს მუშაობას. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენში შრომის პრინციპების ასეთმა შემცთარმა გაგებამ დიდხანს არ გასტანა, რადგან საქართველოს გასაბჭოება მოხდა იმ დროს, როდესაც რუსეთი გადავიდა უკვე რევოლიუციის მეორე ფაზაში, როდესაც მან განვლო ნგრევის ხანა და დაადგა აღმშენებლობით-შემოქმედებით მუშაობას. რასაკვირველია მრეწველობის აღორძინებაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო აღდგენილ ყოფილიყო ის, რაც სტიქიურმა მოძრაობამ მოსპო და გაამტვერა, რადგან ამის შეძლებას არ იძლეოდა არც მეცნიერული მდგომარეობა სახელმწიფოსი, და არც არსად სჩანდა ხალხი, რომელსაც შეეძლო ამის ხელის მოკიდება და მუშაობის დაწყება. ვინც იყო, ისინიც ან სამუშაოდან მოხსნილნი იყვნენ რევოლიუციონური მოსაზრებით, ან თვით იყვნენ საქმეს ჩამოშორებული.

მეორე ხანა.

დადგა ის ხანა, როდესაც ბურთი და მოედანი წვრილ ხელოსანს დარჩა, როდესაც მთელი ხსნა შინ დამზადებულ საქონელზე იყო დამყარებული, როდესაც სახელმწიფო ძალაუნებურად დიდ მფარველობას უწევდა ასეთ წარმოებას (თუ ამას წარმოება შეიძლება დ ვარქვათ) და როდესაც ყველა მოქალაქე იძულებული გახდა თვისივე ხე-

ლით დაემზადებინა თავისთვის საჭირო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი და სხ. ეს მომენტი სწორედ ის მომენტია, როდესაც სკოლაც შეუდგა სხვადასხვა **ხახელოსნოების** შექმნას, რომ თვით, თავისივე ძალით და შეძლებით დაემზადებინა სასწავლო საგნები და ნივთები. აქაც ხელმეორედ მატერიალური აუცილებლობით გამოწვეული საჭიროება გაგებული იქნა, როგორც შრომის სკოლის პრინციპი. მოსწავლენი, მართალია, ალარ ასრულებენ სკოლის შავ სამუშაოს, მაგრამ, სამაგიეროდ, წვრილ ხელოსნებად გადიქცენ, რომელნიც ამზადებდენ სკოლაში ფეხსაცმელს, ტანსაცმელს და საკლასო ავეჯს; და ბევრს ამ ნამუშევარს კიდევაც ჰყიდდენ სკოლის პირველი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სკოლის აღმშენებლობის თეორია კი წინ მიდიოდა და ახალ მუშაობას და ახალ გზებს მოითხოვდა. და ეს იმ დროს, როდესაც არ იყო სახელმძღვანელო ლიტერატურა და ყველა ისე მოქმედობდა, როგორც მას ჭკუა და მოსაზრება უჩრიდა. არ იყო არც ხანგრძლივად შეძენილი გამოცდილება, რომლითაც შეეძლებოდა ხელმძღვანელობა ახალი ცხოვრების სინამდვილის მიერ წამოყენებული საკითხების გადასაჭრელად. ძნელი იყო გადაწყვეტა, თუ საით და რა გზით უნდა იყოს მიმართული ბავშთა თვითმოქმედიანობა და საქმიანობა. ბავშის სული და ენერგია თხოულობდა მეტ მონაწილეობას სწავლის საქმეში და, პასუხად ამ ცხოვრების მოთხოვნილებისა, დიდის სისწრაფით და გატაცებით იბადება სკოლებში დრამატიული წრეები, ეწყობა სხვადასხვა სახელოსნო. რასაკვირველია, ერთიც და მეორეც აუცილებელია და საჭიროა სკოლისათვის, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს **სახელოსნოები სულ განცალკევებით არსებობდენ სკოლისაგან.** იქ დამზადებული ნამუშევარი არ იყო დაკავშირებული სკოლაში გავლილ და შესწავლილ მასალასთან და მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ კალათის წვნამ და წაღების კერვამ საკმარისი მასალა მოგვცეს, ამა თუ იმ საგნის შესწავლისათვის. დრამატიული წრეებიც, რომელთა მუშაობა და ნაწარმოებების დადგმა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული შესწავლილ და გავლილ მასალასთან, გადიქკენ ჩვეულებრივ სცენისმოყვარეთა წრეებად, რომელნიც სდგამდენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მოწაფეების არა უმეტესობა, არამედ მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებული პირი, რომელთაც მეტი არტისტიული ნიჭი ეტყობოდათ.

სკოლებში ლაბორატორიული მეთოდის გატარებამ და ცხოვრების

ახალმა პირობებმა დაანახვეს მასწავლებელს, რამდენად ნაკლებად მომზადებულია იგი ტექნიკის საკითხებში და აიძულეს ამის გამო ზომას გადაჭეტებული ყურადღება მიექცია სკოლებში სახელოსნოების მოწყობისა და გამოყენებისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ამ საქმეში ყველა მასწავლებელი ერთგვარ ნიჭს და ცოდნას ვერ იჩენდა და ამიტომ მოწაფეთა ყურადღებას იზიდავდა არა მასალა, რომელსაც მას სკოლა აძლევდა, არამედ ის მასწავლებელი, რომელმაც ამ საქმეში სხვაზე მეტი ნიჭი და ცოდნა გამოიჩინა.

მესამე ხანა.

თავდება ეს ხანა და იწყება ის დრო, როდესაც იბეჭდება მრავალი საპედაგოგიო ლიტერატურა, რომელშიაც თეორიულ საკითხების გაშუქების გარდა, ბევრი იწერება მოსკოვის და პეტროგრადის საუკეთესო სკოლების მუშაობაზე. ამ მდიდარი, ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებულ მასალიდან, რომელსაც თან მოჰყვა საუკეთესო პედაგოგების თეორიული გაშუქება, ალმოცენება დაიწყო სწორმა და მტკიცე წარმოდგენაჰ შრომის სკოლაზე და მის მუშაობაზე. მასში დავიწყებული არ არის განვლილი მუშაობა. იგი მასში შედის ყველა თავისი საღი მხარეებით. უკუგდებული და დაგმობილია მხოლოდ მისი ცალმხრიობა და ზოგიერთი მახინჯი მხარე. აღორძინებული, განახლებული ცხოვრება მოითხოვს მეტ ცოდნას, მეტ გამოცდილებას. უმეცნიერებოდ მას უკვე აღარაფერი შეუძლია. გაფართოვდა სიტყვა „მუშა“-ს მნიშვნელობა, რომელიც აქამდე მხოლოდ ფიზიკური შრომის ცნებას შეიცავდა, დღეიდან კი გონებრივი შრომის დარგში მომუშავესაც გულისხმობს. ცხოვრებამ დააახლოვა ეს ორი საწინააღმდეგო პოლიუსი: ფიზიკურად მშრომელისთვის აუცილებელი გახდა თავისი ტექნიკური გამოცდილების შევსება და გაშუქება სისტემატიური თეორიული ცოდნით; გონებრივი მოჰუშაე კი ძალაუნებურად ცხოვრებას დაუახლოვდა და იძულებული გახდა ჩაიხედოს ამის წიაღში და თავისი ცოდნა გაუზიაროს არა მხოლოდ ამორჩეულ, განსაკუთრებულ პირთ, არამედ ფართო მშრომელ მასას. მაგრამ, რასაკვირველია, ეს მოთხოვნილება იმას კი არ ნიშნავს, რომ გონივრული ჰუშაკი თვიდ უნდა დაქვეითდეს მშრომელთა გაუნათლებელი ნაწილისათვის უკეთ დასაახლოებლად, არამედ — პირიქით ეს გაუნათლებელი მასა უნდა აამაღლოს ზნეობრივად და გონივრულად თავის დონემდე. ცხოვრებასთან ერთად გადადის ამ ხანაში სკოლაც, როგორც

ცხოვრების უპირველესი და საუკეთესო გამომხატველი. ისიც ფართო განათლების გზას ადგება, მაგრამ ისეთს, რომელიც მასისათვის მოსუშვე და მებრძოლ ახალთაობას მოგვცემს.

ცხოვრებამ მოსთხოვა სკოლას თავისთან **დაახლოვება**, და არა მხოლოდ შრომის მეთოდების გატარება. მან მოსთხოვა სკოლას ბავშვების შემოქმედებითი შრომის მოწყობა, საზოგადო ინსტინქტებით გამსჭვალული მოქალაქეების გამოსამუშავებლად - მოქალაქის არა შორეულ მომავლისთვის, არამედ, რომელიც დღესვე მზად არის ყოველგვარი ფიზიკური და გონივრული შრომისათვის

დღევანდელი სკოლა.

სკოლის მთელი სამუშაო მასალის დამუშავება უნდა ხდებოდეს **თვით მოწაფეების მიერ***) და ეს შრომა უნდა იყოს თავისუფალი და სავსებით ნებისმიერი, ახალმა სკოლამ უნდა მიაჩვიოს ბავში ყოველი მასალისათვის **ცოცხალი სულის** ჩანერგვას, ცხოვრების სისხლ-ხორცის შესხმას, მისი ამა თუ იმ სახით წარმოდგენას, განსახიერებას და სხ., რომ ეს მასალა გახდეს მისთვის არა მხოლოდ საინტერესო და ახლობელი, არამედ მთელი იმ შინაარსის შემცავი, რომელსაც თვითონ შეიტანს მასში თავისი განვითარებისა და ნიჭის დაგვარად.

რაც უფრო ბუნებასთან ახლოა ბავში, მეტადრე მცირეწლოვანი, რაც უფრო მეტ დასამუშავებელ მასალას აგროვებს თვით იგი და რაც ნაკლებად იღებს უფროსისაგან მზა მასალას, მით უფრო მეტ აქტივობას იჩენს იგი. მაგრამ რაც მეტი იზრდება ბავში, რაც მეტ ტექნიკურ ცოდნას იძენს იგი და უვითარდება გონება, მით უფრო საჭირო ხდება მისთვის სპეციალისტის დახმარება.

შრომის პროცესების განვითარების დროს **ნებისყოფა** ბავშისა ყოველთვის დიდ სარბიელს უნდა პოულობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემოქმედებითი ნიჭი თანდათან იკლებს. აქ ჩვენ მხოლოდ უნდა ვშველოდეთ ბავშს სამუშაო მასალის გამორჩევის დროს ნებისყოფა ბავშისა სავსებით თავისუფალი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ამ პირობებში და არა ძალდატანებითი ბრძანებით შეგვიძლია მივიღოთ უზენაესი ნაყოფი ბავშის შემოქმედებისა.

მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს მისცეს შეუმჩნეველად **გონივრული** მიმართულება ამ ნებისყოფას და ამიტომაც აუცილებლად საჭ-

*) იხილე წერილი დალტონის გეგმის შესახებ.

�ა, რომ სკოლის მთელ მუშაობას, მთელ სახეს ამ მუშაობისას ხელ-მძღვანელობდეს **არა ხელოსანი**, არამედ თვით მასწავლებელი. დიდ განსხვავებას ეხედავთ, როდესაც ვადარებთ ნამუშევარს, ჩატარებულს პედაგოგ-ტეხნიკოსის და ტეხნიკოს-ხელოსანის მიერ.

შრომის პროცესების გატარება სკოლაში უნდა იწყებოდეს უკვე **სკოლის ასაკამდე** ბავშთა დაწესებულებებში, რადგან სასურველია, რომ ბავშები თავიდანვე ეჩვეოდენ თავისი სახლის—სკოლის ორგანიზაციას; თავიდანვე ისინი უნდა გრძნობდენ ამას და გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ საბავშო ბაღი და სკოლა მათია, უნდა განთავისუფლდნენ იმ ძველ შეხედულებიდან, რომ სკოლა მასწავლებლისაა, ისინი კი დროებითი სტუმრები არიან მისი.

მთელი ნაყოფიერება და ინტერესი სკოლის სამუშაოსადმი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი **სამუშაო ატმოსფერო** იქნება იქ შექმნილი და როგორ იქნება ბავშთა შორის განაწილებული მუშაობა. ბავში სკოლაში თავიდანვე უნდა გრძნობდეს, რომ იგი აკეთებს **საერთო საქმეს** და ამიტომ იგი პასუხისმგებელია ყველა ამხანაგის წინაშე, ისინი კი მის წინაშე.

როგორი სახე უნდა მიიღოს სკოლაში შრომის პროცესებმა?

პირველ ჯგუფებში.

პირველ წლებში მთელი ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ბავშვის, სკოლის, სახლის და ბაღის გარშემო და აქ უნდა იკრიფებოდეს ყოველი სამუშაო მასალა. თამაშობის დროს უნდა მუშაობდეს ბავში არა სათამაშო სუსტი ნიჩბით, რომელიც შესაძლებელია ადვილად ხელში გადაუტყდეს მას და მუშაობის ხალისი დაუკარგოს, არამედ ნამდვილი იარაღით, მაგრამ ისეთით, რომელიც შეეფერება მის ძალას, აგებულებას და პაწია სხეულს. იგი აშენებს, ძერწავს, ხატავს იმას, რაც მას ამ წამში უნდა და მოსწონს, ხელმძღვანელი კი ყოველ წამს მასთან არის და სცდილობს ამ ნათამაშევ-ნამუშევრიდან შეინახოს ის, რაც, მისი ფიქრით, გამოადგება ბავშს მთლიან წარმოდგენათა და შემდეგი მუშაობის უფრო მთლიანი **და მრავალმხრივი** გეგმის გამოსამუშავებლად.

ბავშვის ნორმალური მოთხოვნილებაა—გამოხატოს, ხორცი შეასხას ყველა მას, რაც მას გარშემო ახვევია და რასაც იგი თვალით ხედავს, მიუხედავად იმისა, საჭიროა ეს თუ არა, და ამიტომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მას გული არ აუცრუოთ და დავარწმუნოთ, რომ იგი საჭირო წევრია საზოგადოებისა და მისი ახლანდელი ნამუშევარი ძვირფა-

სი და სასარგებლოა. ეს მას მისცემს დიდ სულიერ კმაყოფილებას და რწმენას თავის ძალისადმი.

რადგან შრომის სკოლის მთავარი დანიშნულებაა შეისწავლოს **ადამიანის შრომა**, ამიტომ, რასაკვირველია, სკოლაში მეცადინეობა უნდა იწყებოდეს თვით **ბავშთა შრომის** შესწავლიდან. ეს შესწავლა თანდათანობის ხასიათს უნდა ატარებდეს—ვიწყებთ მარტივ ტექნიკურ საქმიანობიდან და გადავდივართ რთულზე, იმავე გზით, რომლითაც იზრდება და ვითარდება კაცობრიობის კულტურაც. ჯერ გარემოს დაკვირვება და გამოხატვა, ყოველგვარ ნაშთი მასალის საშუალებით: კარტონის, ქაღალდის, ხისა, ჩხირების და სხ; გაღრმავება დაკვირვების უნარისა, გამოსახვა და სისხლ-ხორცის შესხმა წარმოსახვითი სურათებისათვის და წარმოდგენათათვის, მათი გადატანა სინამდვილეში.

საუკეთესოა, როდესაც უმცროსი ჯგუფის ბავშები იღებენ შესაფერ მონაწილეობას სასკოლო **დღესასწაულების** მოწყობაში და უფროსი ჯგუფების მოწაფეების ნამუშევარის აღრიცხვაში.

ასეთია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა პირველი 4 ჯგუფისა. ვიმეორებ—აქ ვითარდება დაკვირვებითი უნარი ბავშისა, დამოუკიდებელი აზროვნება და უმარტივესი წარმოდგენა ნანახის და გაგონილისა.

შემდეგ ასაკებში

ამ ცოდნით გადავდივართ შრომის პროცესების მეორე ციკლზე. აქ უკვე იწყება **მშრომელი მასის ცხოვრების დაკვირვება** და შესწავლა, ეს კი მოითხოვს დიდ თეორიულ მომზადებას, საკითხის მეცნიერულ თვალსაზრისით განხილვას და მეთოდთა სხვადასხვაობას. ამიტომ ამ ციკლის შრომის პროცესები უფრო რთულნი და მრავალფეროვანნი არიან. აქ უკვე შეისწავლება არა სქემა, არამედ დეტალები, და რასაკვირველია, მათ შესასწავლად საჭიროა შესაფერისი მასალა და უნარი, რათა შესაძლებელი იყოს მათი ტექნიკური დამუშავება, გადამუშავება და წარმოდგენა. ერთი სიტყვით, საჭიროა საქმეზე ნამდვილი წარმოდგენა და ტექნიკა. დასამუშავებელი მასალა დიდის სიზუსტით უნდა იყოს აწონ-დაწონილი და სახელოსნოები შეძლებას უნდა აძლევდეს მოწაფეს სისხლ-ხორცი შეასხას ამ მასალას.

ამ ასაკში ბავშებისათვის უკვე საჭიროა, რომ არსებობდეს ცალკე **საათები საკრებულო მუშაობისთვის**, სადაც ბავშები ჯგუფობრივ მუშაობენ იმ დარგში, რომელიც მათთვის უფრო ხელმისაწვდომია და შე-

ეფერება მათ სულს და ნიჭს. აქ ბავშვი ასურათებს და სისხლ-ხორცს ასხამს მას, რაც კლასში აქვს გაგონილი და შესწავლილი. საუკეთესოა, რომ საკრებულოს სხვადასხვა სახელოსნოს მუშაობა ერთმანეთთან შეთანხმებული და დაკავშირებული იყოს და გაგრძელება იყოს საკლასო მუშაობისა.

სკოლის მთელი ცხოვრება ერთ შედუღებულ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს და გამსჭვალული უნდა იყოს ბავშვთა აქტიური მოქმედიანობით. საკლასო მუშაობის ყველა მხარეები: სამუშაო გეგმის დამუშავება, თეორიული მასალის დამზადება, ექსკურსიები, წარმოდგენათა დასურათება—ხატვის და მოდელების წყალობით, დრამატიზაცია და ალნუსხვა მთელი მასალის—აი შრომის პრინციპები, რომელიც მჭიდროდ ჩაწნულ-ჩაქსოვილი არიან ერთმანეთთან და შრომის სკოლის შინაარსის მთლიან და რთულ წარმოდგენას იძლევიან.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ შრომის სკოლა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. იგი შემოქმედებით პროცესს განიცდის და ამიტომ არ შეიძლება ჯერ მისი დამთავრებული საბოლოო ფორმის დახატვა და მასში მუშაობის მზა გეგმის მოცემა, ყველა ცალკე სკოლა თავის ინიციატივას, დეტალიზაციას და თავისებურობას შეიტანს თავის ძებნასა და აღმშენებლობით მუშაობაში.

განყოფილების მიზანი

გამოცდილება, რომელსაც მოგვცემს როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლები, ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება შემდეგი წერილებისთვის. ეს გამოცდილება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მით უფრო ძვირფასია, რომ იგი იძლევა ამა თუ იმ მხარის შესასწავლ ძვირფას მასალას ე. წ. **მხარეთამეცნიერებისათვის.**

თ. ბებურიშვილი.

განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი.

კომპლექსური მეთოდის შესახებ

ამ ბოლო დროს პედაგოგიკაში აღძრულ ახალ იდეათა შორის კომპლექსური სწავლების საკითხი შრომის სკოლის მასწავლებლის ყურადღებას განსაკუთრებით იზიდავს და ამასთანავე ერთად ამ მეთოდის პრაქტიკაში განხორციელებასაც საკმაოდ ბევრი დაბრკოლება ელობება წინ. ამ საკითხისადმი ინტერესი იმით აიხსნება, რომ ეს მეთოდი ძალიან დიდ იმედს იძლევა იმისას, რომ სკოლაში ბავშის მეცადინეობა უფრო ბუნებრივად იწარმოებს, უფრო შეეფერება იგი მისი შინაგანი ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებებს და უფრო ეთანხმება და ეგუება იმ ათას ხერხსა და საშუალებას, რომელთა დახმარებით ბავში გარემო ცხოვრებასთან კავშირს ამყარებს ხოლმე.

ამ მეთოდის ცხოვრებაში გატარების სიძნელეს კიდევ აქვს თავისი პრაქტიკული ხასიათის მიზეზებიც და უფრო კი ის გარემოება, რომ მისი ძირითადი დებულებანი და აგრეთვე მისი განხორციელების საშუალებანი სრულიადაც არაა საკმაოდ გარკვეული არც ლიტერატურაში და არც საცდელ-საჩვენებელ სკოლათა პრაქტიკაში. ასე გაშინჯეთ, კომპლექსური მეთოდის განმარტებაშიაც კი არ აროის საკმაო სიცხადე და გარკვეულობა. ლიტერატურაში ყოველი ავტორი ამ მეთოდს თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევს; სასკოლო პრაქტიკაშიაც სხვადასხვა სკოლა სხვადასხვაგვარად უდგება მის ცხოვრებაში გატარებას. ერთში კი არიან ყველანი შეთანხმებულნი: ეს იმაში, რომ „ნაჭრებლივი" სწავლება, როცა თვითეული საგანი განკერძოებით და სხვა საგნისგან სრულიად დამოუკიდებლივ ისწავლება, არაა დამაკმაყოფილებლად მიჩნეული. ცხოვრების სინამდვილე ნაჭერ-ნაჭერ იკოება, ერთს ნაწილს ბუნებისმეტყველება ეპატრონება, მეორეს გეოგრაფია, მესამეს ენა და მისთანანი. მაგრამ სრულიადაც არ კმაა მარტო ის, რომ ადამიანმა აღიაროს და შეიგნოს სასკოლო სწავლა-მეცადინეობის ძველი წესების სუს-

---

ამ განყოფილების კომისიას სათავეში უდგას ნ. ელჩანინოვი.

ტი მხარე და ნაკლი. როდესაც კი კურსს ახალი კომპლექსური გზით იწყებ, აქ ათასი პრინციპიალური და პრაქტიკული საკითხი გებადება. როგორ მოვიქცე? ავიღო და მოვსპო ყველა საგანი, შევცვალო ეს საგნები „თემებით“, „ციკლებით“, თუ ავიღო რომელიმე საგანი, გადავაქციო იგი მთავარ, ძირითად საგნად და ყველა სხვა საგანი მას დავუმორჩილო, ან კიდევ დავსტოვო ძველი საგნობრივი სწავლება, მასალა კი თვითეულ საგნისათვის ისე შევარჩიო, რომ მათ შორის კავშირი არსებობდეს?

ძველ სკოლაში

ძველად საკითხი საგნებში პროგრამის შედგენისა ძალიან უბრალოდ და იოლად სწყდებოდა. მეცნიერულად უნივერსიტეტში განსწავლულ მასწავლებელს პროგრამის შემუშავების დროს მარტო ერთ რამეზე უნდა ეზრუნა: მთელი სასწავლო მასალა ლოგიკურ-მეცნიერულ სისტემით დაელაგებინა; ამისთვის კიდევ სრულიად საკმარისი იყო: ის, რაც თვითონ უმაღლეს სკოლაში ჰქონდა გავლილი, აეღო და შეემოკლებინა და გაემარტივებინა. საბავშო ფსიქოლოგიის მოთხოვნილებებს მარტო იმ მხრივ უწევდა ანგარიშს, რომ საპროგრამო მასალა ბავშის სულიერ ძალ-ღონესა და გონიერებას არ აღმატებოდა და რომ გადასვლა „ადვილიდან ძნელზე“, „მახლობელიდან შორეულზე“ დაცული ყოფილიყო.

კომპლექსური სწავლება.

კომპლექსური სწავლების დროს მასწავლებელი შეიძლება თავის საგნის დიდი სპეციალისტიც იქნეს, კარგადაც იცოდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდიური ხერხი და საშუალებანი და; მიუხედავად ამისა, მაინც არ შეეძლოს ის გააკეთოს, რაც თავიდათავია და რაც უმთავრესად მოეთხოვება, სახელდობრ, არ შეეძლოს პროგრამის შედგენა. ამისი მიზეზი ისაა, რომ, როცა ის თავის პროგრამისათვის მასალას არჩევს და გეგმავს, მან ასე თუ ისე, ავად თუ კარგად, სხვა საგნებთანაც კონტაქტი უნდა დაამყაროს და, თუ ის ამ საგნებში მოიკოკლებს ან მათ შესახებ წარმოდგენა არა აქვს, ცხადია, მაშინ პროგრამის შედგენასაც ვერ შეძლებს. როცა კი სწავლება ერთი კაცის ხელშია, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს დაბრკოლებაც იძლევა და მას ძალაუნებურად უხდება თავისით, საკუთარი ძალღონით საგნები ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთმანეთს კომპლექსურად დაუკავშიროს.

მისი ისტორია

კომპლექსური სწავლების საკითხი არ შეიძლება ახალ საკითხად ჩაითვალოს. ახალი აქ მარტო ტერმინია და ის, რომ ამ საკითხს ახლა უფრო ფართოდ აყენებენ. როცა წინეთ ისწრაფოდენ სწავლება სკოლაში ცხოვრებასთან დაეახლოვებინათ და ბავშის ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ თვისებებისთვის შეეფარდებინათ, ამით უკვე პირველი ნაბიჯი იდგმებოდა ცალ-ცალკე საგნების გაერთიანებისა და მათ შეთანხმებისკენ. პედაგოგიკის ისეთი კორიფეები, როგორნიც არიან: რუსსო, პესტალოცი, ჰერბარტი და სხვანი, მარტო იმას კი არ ამბობდნენ, რომ სასკოლო საგნებს შორის კავშირი უნდა დამყარდესო, არამედ საამისო ხერხსა და საშუალებასაც უჩვენებდნენ. კ. **უშინსკის**-მიერ შექმნილი სისტემა „განმარტებითი კითხვისა“ აბა სხვა რა არის, თუ არ რამდენიმე საგნის კომპლექსი. ბუნებისმეტყველების დარგებში ჩვენ უკვე შეერთების სხვა მაგალითებს ვხედავთ; ზოგიერთ მათგანს ყველა ისე შეეთვისა, რომ დღეს შეერთება არც ერთ. მასწავლებელში არც ეშვებს იწვევს, და არც კამათს, თუმცა თავის დროზე მას ყველა დიდი პროტესტით და უკმაყოფილებით შეჰხვდა. მაგალითად, **კ. ტიმირიაზევი** თავის წიგნში „მცენარეთა ცხოვრება“, რომელიც დღეს კლასიკურ წიგნად ითვლება და რომელიც სპეციალურად სკოლისთვის არაა დაწერილი, აერთიანებს მცენარეთა მორფოლოგიას, ანატომიას და ფიზიოლოგიას. 80-ან წლებში ა. **გერდი** უფრო შორს წავიდა: „არაცოცხალი ბუნების“ სახით ის გულისხმობდა და აერთიანებდა მინერალოგიას, გეოლოგიას, მეტეოროლოგიას, ფიზიკას, ქიმიას და გეოგრაფიას. იმ დროისთვის ეს დიდ ცოდვად და მეცნიერების მიუტევებელ გაბითურებად იყო ცნობილი. 900-იან წლებში **დ. კაიგოროდოვი** ითხოვდა **ყველა** საბუნებისმეტყველო მეცნიერება ერთ განუყოფელ „ბუნების ცოდნად“ გაეერთებინათ. ჩვენ დროში პედაგოგიკა ახალ მოთხოვნილებას აყენებს: მთლად გაერთიანდეს ყველა საგანი, რაც კი დაწყებით სკოლაში ისწავლება.

კომპლექსის პრინციპ.

ჩვენ რომ თანამედროვე მწერლობას მივმართოთ საგნების ამ გაერთიანების შესახებ, აღმოჩნდება, რომ თვითონ პრინციპიც და გაერთია-

ნების იდეის პრაქტიკაში გატარების საშუალებანიც სხვადასხვა ავტორსა და პრაქტიკულ მოღვაწეთ სხვადასხვაგვარად ესმით: მათთვის ნაირნაირია გაერთიანების პრინციპები, ფორმაც და მოცულობაც.

ვიწრო მნიშვნელობით.

„ჭის“ ავტორი **კრასიკოვი** ამბობს [1]): „კომპლექსად ჩვენ ვგულისხმობთ ორგანიულად და იდეურად დაკავშირებულ ობიექტების ერთგვარ შეკრებულობასო; კომპლექსური სწავლება იმაში გამოიხატება, რომ შევისწავლოთ ეს შეკრებილობა, თვალსაჩინოდ გავხადოთ მისი ძირითადი იდეა და ბუნების ის კანონები, რომელნიც მასში შემჩნეულ მოვლენათ განაგებენ, გამოვიკვლიოთ კომპლექსის ყველა წვრილმანები და, ბოლოს, ამ წვრილმანებისაგან მთელის სინთეზი მოვახდინოთ“. ასეთ კომპლექსად მას „ჭა“ მიაჩნია. ამგვარივე კომპლექსები იქნებოდა: „მთაფრქვეველი“, „მიწისძვრა“, „ყვავილი“, „ნაყოფი“, „კედლის საათი“, „ორთქლის მანქანა“, „წყალსადენი“, „რკინის გზა“ და სხვა. კომპლექსის მოცულობა მას ბუნებისმეტყველებით და ფიზიკით აქვს განსაზღვრული. ენასა, მათემატიკასა და ხატვასთან რაიმე კავშირის შესახებ იგი კრინტსაც კი არა სძრავს. ამრიგად დაკომპლექსება მას დასაშვებლად მიაჩნია მხოლოდ და მარტო ერთი ან ორი მონათესავე საგნის ირგვლივ, ისიც მისი, აზრით, „ეპიზოდიურად უნდა იქნას გამოყენებულიო“ (გვ. 7). ბუნებისმეტყველებაში სხვადასხვა თემების კომპლექსურად დამუშავებისათვის კარგი ხელსაწყოა **ფრიდმანის** ახალი წიგნი: **„ლექციები ბუნებისმეტყველებაში“**, რომელთაც საფუძვლად **ხარკინიხგზო საქმე** უძევს და რომ ლნიც „მთელი ბუნებისმეტყველების კომპლექსურ შესწავლას“ წარმოადგენენ (ქიმიისას, ფიზიკისას, ბოტანიკისას, ზოოლოგიისას, გეოლოგიისას, ასტრონომიისას, ადამიანის ანატომიისას) [2]). **ნატალი**, რომელიც რუსეთში კვლევიოი მეთოდის ერთ-ერთ ფუძედმდებელად ითვლება, აგრეთვე მომხრეა ბუნებისმეტყველების თემატიურად გავლისა, მაგრამ ამასთანავე ძალიან შიშითა და ეჭვით უყურებს ამ საგნის (ბუნებისმეტყველების) სხვა საგნებთან კომ-

---

[1]) Красиков. „Колодезь“. Опыт исследования комплекса, გვ. 10

[2]) Фридман, лекции по естествознанию. Основы естествознания, изложенные по производственному методу, на базе железнодорожного дела. 1923 წ. 294 გვ.

ჰლექსურად გავლას. ის ამბობს*): „ბუნებისმეტყველებაში ეს საკითხი ზოგიერთ დაბრკოლებათ ელობება წინო. და თუ გვინდა დავიცვათ ბუნებისმეტყველების მეთოდი, რასაც დიდი ალმზრდელობითი ღირებულება აქვს, საჭიროა ისიც გვახსოვდეს, რომ სასკოლო ბუნებისმეტყველება ნაკლებ გამოცდილი მასწავლებლის ხელში, თუ ის კომპლექსური მეთოდით მუშაობს. შეიძლება განმარტებით კითხვად გადაიქცეს ან მის მზგავს რამედ“-ო.

ფართო მნიშვნელობით.

გორდონს კომპლექსური სწავლების მოცულობა უფრო ფართოდ ესმის. ის ამბობს: „პირველი საფეხურის სკოლის მთელი შინაარსი მრავალ პრობლემად ნაწილდება და ეს პრობლემები უნდა დამუშავდეს სასკოლო ვადის განმავლობაშიო. ავიღოთ, მაგალითად, მიწადმოქმედების იარაღის პრობლემა: ფოლადის გუთანზე ბავში ეცნობა, რა არის ბერკეტი, (рычаг), ფოლადი, შრომის ნაყოფადობა. (производительность) (ფოლადის გუთანი და ხის სახნისი), ეცნობა აგრეთვე გუთნის ისტორიას პირველყოფილ კოტრიან ჯოხიდან მოკიდებული ჩვენი დროის თოხამდე.

ავიღოთ შინაურ ცხოველთა საკითხი: აქ ბავში იღებს ცნობას კამბეჩის, აქლემის შესახებ, იგი ახდენს უბრალო სამეურნეო არითმეტიკულ ანგაქორიშს: რამდენ რძეს იწველის ძროხა, რამდენ საჭმელს აძლევენ საწელს, ეცნობა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასუქს მიწის გასაპოხიერებლად, იგებს იმას, თუ როგორ ჰკვებავენ და იყენებენ ძროხას და ცხენს შვეიცარიასა, იტალიასა, დანიაში და სხვაგან“. „ასე დამუშავდება ხოლმე თემები: წყალი, ვარსკვლავიანი ცა, ადამიანის ბინის მოწყობილობა, საზრდოსა და ავადმყოფობის საკითხები, საზოგადოებათ, მეცნიერების უბრალო კითხვები და სხვა.

„პირველ საფეხურის სკოლაში ბავშს არ შესწევს ნიჭი მეცნიერების შეთვისებისა; ის მას არც კი ესაჭიროება“. სწავლება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ „**მეცნიერება კი არ ისწავლებოდეს, არამედ კონკრეტი ცოცხალი შახალა**, რომელიც უბრალო და ბავშის გონებისთვს

*) Натали. Естествознание в новой школе, გვ. 79.
ამავე ნომერში მოთავსებულია ამ წიგნის გარჩევა.

მისაწვდომ ფორმით უნდა იქმნას განხილული, როგორც მეცნიერების მიერ ახსნილ სხვადასხვა მოვლენათა კომპლექსი"*).

ამრიგად ზოგიერთ პედაგოგს კომპლექსი შეტად ვიწროდ ესმის და მას საზღვრავს მასალითა და მეთოდებით მონათესავე საგნებით; მეორე რიგს პედაგოგებისას იგი უფრო ფართოდ ესმისთ, ისინი მოითხოვენ სხვადასხვა ცოცხალ თემაში ყველა საგნის თანშერწყმას.

ამგვარადვე, როცა კი შეუდგებით ცალ-ცალკე საგნების გაერთიანების საფუძვლად ჩადებულ პრინციპების განხილვას, არც აქაა ერთნაირი შეხედულება კომპლექსურ სწავლებაზე.

ამ მხრივ ძირითადი მიმართულება **ოთხია**.

პირველი პრინციპი.

ერთ-ერთი მათგანის ძირი უნდა ვეძიოთ ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა შრომებში. ცალ-ცალკე საგნების თანშერწყმის საკითხი ბუნებისმეტყველებაში უფრო გარკვევითა და ნათლად დგას, ვიდრე სხვა მეცნიერებაში. ყველასთვის ცხადი და გასაგებია, რომ ბავშებთან მეცადინეობის დროს პედაგოგიური არაა, ბუნების მოვლენანი ცალ-ცალკე და განკერძოებით ისწავლებოდეს, ავიღოთ მარტო ერთი ნაწილი და დავარღვიოთ მისი ბუნებრივი კავშირი სხვა საგნებთან. მიზანშეწონილი არ იქნება მცენარეულობა დავაშოროთ ცხოველთა ცხოვრებას, ორგანიული ბუნება არაორგანიულს. უფრო ნორმალური იქნება, თუ რომელსამე ობიექტს იმ ელემენტებთან ბუნებრივი დაკავშირებით ვისწავლით, რომელთაც გავლენა აქვთ მის არსებობაზე, რომელთა გამო ის ცხოვრობს და რომლებზედაც იგი ზეგავლენას ახდენს.

ბავში მარტო ამ გზით თუ შეიგნებს **ცხოვრებას, როგორც მიზეზისა და შედეგის კომპლექსს** და არა როგორც სამუზეუმო პრეპარატების აგრეგატს. ახლა უკვე ის საქმე მთავრდება, რომელიც ჯერ კიდევ 80-ან წლებში ა. გერდმა დაიწყო. ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ სასკოლო სწავლება უნდა გარემო ბუნებისა და სამშობლოს შესწავლის გარშემო იყოს თავმოყრილი. როცა ბავშის მთელი **სასკოლო მუშაობის შუაგულში ბუნებისა და სამშობლოს შესწავლას დავაყენებთ**, მაშინ მის გარშემო შეიძლება თავი მოუყაროთ საზოგადოებათმეცნიერების ელემენ-

*) На путях к новой школе № 1. 1922 წ. ივლისი.

ტებსაც, მოსახლეობის საქმიანობა-მოღვაწეობის და მისი ისტორიული წარსულის შესწავლის ფორმით, მათემატიკის ელემენტებსაც, ხატვასაც, შრომის პროცესებსაც და ზეპირი და წერითი სიტყვის განვითარებასაც. მეცადინეობა წარმოებს თემებით. საგნების ამგვარად გაერთიანება დაბეჯითებით და თანდათანობით გატარებულია **ნ. ი. პოპოვის** ქალის წიგნებსა, მოხსენებებსა და ბავშებთან პრაქტიკულ მუშაობაში. (მოსკოვ-ს მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლა). „ბავშთა ცხოვრებაო“, ამბობს ის: „მჟიდროდ უკავშირდება ბუნების ცხოვრებასო“. „თუ სკოლას არ უნდა ცხოვრებას მოსწყდეს და ალმართოს თავისა და ბავშთა შორის გარდაუვალი ზღვარი, ის კითხვებს უნდა დაუტრიალდეს, რომელნიც ამ ბავშებისათვის მახლობელ მოვლენებთან არიან დაკავშირებულნიო“. „ამგვარადო—აბბობს ის სხვა ადგილას—სწავლების პირველ წლებში პირველი ადგილი ბუნებისმეტყველებას უნდა დაეთმოსო“. პირველ ოთხ კლასში მუშაობა თემებით წარმოებს და არა საგნებით. აქ არც ბოტანიკაა, არც ზოოლოგია, არც მინერალოგია, არც გეოგრაფია—აქ ყველაფერი გაერთიანებულია ერთ მწყობრ მთლიან რამეში, რასაც თავისი ძირი ბავშთა ცხოვრებაში აქვს: ტყე მთლიანად, ყველაფერი, რაც კი ამა თუ იმ წლოვანების ბავშისთვის მისაწვდომ და საინტერესო მასალას იძლევა; იგივეა მინდორი, ბაღი, მდინარე, წყარო, ბოსტანი, ბაღი, რკინის გზა, ქვანახშირი, ქარხანა, სახელოსნო. თემის დამუშავების დროს ყოველგვარი ცოდნა, რასაც კი ბავშის გონება დასძლევს, ამ თემაში უნდა შევიდეს. მეხუთე წლისთვის ბავშვს საკმაოდ უგრძოვდება დაკვირვებაც და ცოდნაც; ამ დროს იჩენს თავს ნიჭი კლასიფიკაციის მოხდენისა და შესაძლებელი ხდება საგნობრივი სწავლება. ოთხივე წლისთვ-ს პოპოვის ქალი იძლევა მეცადინეობის სქემას; პირველ წელიწადს ბავშვი იმას სწავლობს, რასაც კი უშუალოდ იგი შეიგრძ ებ-ა ხელმე; შემდეგ კი ცხოვრებას უფრო ფართოდ ეხებიან, ხოლო თემა უფრო ღრმად მუშავდება[1]).

ამ მიმართულების საწინააღმდეგოდ შემდეგს ამბობენ: „არ შეიძლება ყველაფრის სწავლება აბგილობრივ მასალაზეო“[2]). „ბავშის

---

[1]) Попова. Роль и место естествознания в школе. Матерьялы конференции преподавателей естествознания. Москва. 1922. г.

მისივე: Школа жизни. 1922 წ.

მისივე: Четыре года преподавания. М. 1919 წ.

[2]) Соколов. Методы комплексного преподавания, გვ. 50 და შემდგომი.

მოქმედება მარტო ერთ დაკვირვებას არასდროს არ ეშყარება და მარტო მის გარშემო არ ტრიალებსო“ „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბავშვები თავისი ბუნებით ნატურალისტები არიან, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ბაშვები მარტო ნატურალისტები იყვნენ. და თუ ასეა, მაშინ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისი, რომ ბავშთან მეცადინეობას თავი მოუყაროთ გარემო ბუნებისა და სამშობლოშესწავლის ირგვლივ“.

მეორე პრინციპი.

საგნების დაკომპლექსების მეორე საშუალებას წარმოადგენს მათი **კონცენტრაცია შრომის პროცესების ირგვლივ**. შრომის პროცესებს, როგორც საალმზრდელო ელემენტს, რომელიც აკმაყოფილებს ბავშის შემოქმედებითსა და საამშენებლო ინსტინქტებს, ყოველგვარ მეთოდის დროს იყენებენ, შაგრამ არის ისეთი სკოლებიც, სადაც ამ პროცესებს მთავარი ადგილი უკავიათ ბავშთა მთელს მუშაობაში და ამგვარი კომპლექსური სწავლების იდეური დამცველნიც მოიპოვებიან (**ბლონსკი, კალაშნიკოვი**). მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში ცენტრალური ადგილი უკავია **სასოფლო-მეურნეობაში** მუშაობას; მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეცადინეობა სხვადასხვა **ხელობაში**; ყველაფერი ეს ერთად აღებული ბუნების შესწავლის სურვილსა ჰბადებს; ანგარიში, წერა-კითხვა, გეოგრაფია და სხვა ისწავლება სასოფლო მეურნეობაში მთავარ და ძირითად მუშაობასთან დაკავშირებით. ბოსტანსა თუ ბალში მუშაობით ბავშები ითვისებენ საზოგადოებრივ მიდრეკილებას და იღებენ სოციალურ აღზრდას. წამოზრდისათანავე მათი ინტერესებიც ფართოვდება; შახლობელ რაიონებიდან თანდათან შორეულებზე გადადიან თანაც სწავლობენ მეზობელ ქვეყნების ბუნებასა და ზნე-ცხოვრებას, უფროს ჯგუფებისათვის მთელი სწავლების შუაგულში მოქცეულია ქარხნოსნული (საინდუსტრიო) წარმოება. ბლონსკი ამბობს: „შრომისა და მეცნიერების კავშირი ცხადად და თვალსაჩინოდ ისე არსადა ჩანს, როგორც ქარხნოსნობაშიო“[1]).

როცა ბავშები ქარხანაში მუშაობენ, მაშინ მათ ძალიან ბევრი საბამი და მიზეზი აქვთ შეისწავლონ ბუნების კანონები, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და მათი სოციალური წესწყობილება. სწავ-

[1]) Блонский. Трудовая школа, ч. I.

ლების ასე მოწყობის შესახებ ძალიან საკმაოდ დაიწერა კიდეც და ნალაპარაკევიც ბევრი იყო, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მასსიურ ზოგად განათლების სკოლისთვის ეს სქემა არაა მისაღები. ამგვარადვე შეიძლება მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო და საქარხნო-სამრეწველო შეგირდების სკოლებიც, სადაც სწავლება იმ სპეციალობის და მიხედვით თუ არ მოეწყო, რომლისთვისაც ბავშები ემზადებიან, სხვაგვარად მისი მოწყობა ბუნებრივი არ იქნება.

მესამე პრინციპი

საგანთა კომპლექსურ სწავლების მესამე გვარს ჩვენ ვხედავთ 1923 წლის მოსკოვის ახალ პროგრამებში, რომელნიც რუსეთის განათლების კომისარიატის მიერაა დამტკიცებული*) ამ მიმართულების იდეურ დამცველებად უნდა ჩაითვალონ: **ნ. კ. კრუპსკაია** (ლენინის ცოლი), რომელიც პრესაში არა ერთხელ გამოესარჩლა თავის შეხედულებათ. **ლუნაჩარსკი,** რომელიც აღტაცებით შეეგება ახალ პროგრამების გამოსვლას და მათ შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ „ეს სასკოლო განათლებაში მთელი გადატრიალებااა“ და რომ „მას საქვეყნო მნიშვნელობა ექნებااა“, და **მ. პოკროვსკი,** რომლის მოხსენება იმავე კრებულშია მოთავსებული და რომელიც ახალ პროგრამებში ხედავს 1918 წლიდან მოკიდებული დღემდე სკოლის მიერ გავლილი ნამუშევარის სინთეზს. ამ პროგრამებით **სწავლების ცენტრალურ საგნად შრომა უნდა გადაიქცეს,** შრომა ბუნებისკენ მიმართული, ეს საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველი. ათასგვარი **სასკოლო მეცნიერება სამ საგნად იჯგუფება.** ამ სამში პირველი ადგილი უკავია—**„შრომისმეცნიერებას“**. რადგანაც შრომა ბუნებაზეა მიმართული, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე საგნის-- **„ბუნებისმეტყველების“** აუცილებლობაც; დასასრულ, რადგან შრომის ფორმები განმარტავდენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ წესწყობილებას, იბადება მესამე საგანიც—**„საზოგადოებათმეცნიერება“**.

მოსკოვის ახალი პროგრამა

პირველ წელიწადს: ისწავლება მშრომელი ოჯახის ცხოვრება, უშუალოდ რომ აკრავს ბავშს.

მეორე წელიწადს: სოფლის ან ქალაქის უბნის შრომითი ცხოვ-

*) Новые программы для единой труд. школы. Утверждены коллегией Наркомпроса 16 июля 1923 г.

რება; სოფლისა და ქალაქის საზოგადო დაწესებულებანი; ჰაერი, წყალი, ნიადაგი, კულტურული მცენარეები და ცხოველები და მათი მოვლა.

მესამე წელიწადს: ადგილობრივი ქვეყნის მეურნეობა; საოლქო დაწესებულებანი; ქვეყნის წარსულის სურათები; ამ ქვეყნის ბუნება; ადამიანის სხეულის ცხოვრება; ელემენტარული ცნობები ფიზიკასა და ქიმიაში.

მეოთხე წელიწადს: რ. ს. ფ. ს. რ. და სხვა ქვეყნების სახელმწიფო მეურნეობა; რუსეთისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო წესწყობილება; კაცობრიობის წარსულის სურათები; რუსეთისა და სხვა ქვეყნების გეოგრაფია. ადამიანის სხეულის ცხოვრება.

მეხუთე წელიწადს: ცენტრში მოპოვებით სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის შესწავლა; პარალელურად—ფეოდალიზმი, გლეხები და მემამულენი; გლეხთა ბრძოლა დასავლეთში; ბუნებისმეტყველებაში: ფიზიკა და ქიმია, რამდენადაც ეს საგნები საჭიროა ჰავისა, ნიადაგისა და მცენარეულობის ცხოვრების გასაგებად; ნიადაგი; მეტეოროლოგია; მცენარეთა ბიოლოგია; ცხოველები, რომელთაც დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო მეურნეობისათვის.

მეექვსე წელიწადი: მრეწველობა საზოგადოებათმეცნიერებაში: მუშები და კაპიტალისტები; იგივე ფიზიკა და ქიმია, მაგრამ ისე კი-არა, როგორც იგი ბუნებაში გამომჟღავნდება ხოლმე, არამედ იმ სახით, როგორადაც მას ადამიანი იყენებს და ხმარობს თავის ქარხნებსა და ლაბორატორიებშიც; შემდეგ: მადნები, ტეხნიკური მცენარეები; ფიზიკური და გონებრივი შრომის ჰიგიენა; ადანიანის ანატომია და ფიზიოლოგია.

მეშვიდე წელიწადი: კაპიტალიზმიდან საბჭოთა წესწყობილებისკენ; საზოგადოებათმეცნიერებაში: კაპიტალიზმის განვითარების ისტორია საბჭოთა წესწყობილებამდე; ბუნებისმეტყველებაში: მსოფლიოს აღნაგობა, ნივთიერების აღნაგობა; ორგანიზმების ცვალებადობა და მემკვიდრეობითი თვისებანი.

მერვე წელიწადი: ადამიანის ძალა-უფლების გაფართოება ბუნებაზე, შრომის ისტორია; კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ეტაპების სოციოლოგიური მიმოხილვა; ბუნებისმეტყველებაში: უმთავრესი ეტაპები ბუნების ძალებზე ადამიანის ძალა-უფლების გაფართოებისა.

მეცხრე წელიწადი: შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, თანამედ-

როვე ისტორიული მომენტი; ბუნებისმეტყველებაში: მორიგი ამოცანები ბუნებრივ სიმდიდრეთა და ბუნების ძალთა გამოყენებისათვის.

მოყვანილ სქემაში დამოუკიდებლივ არ არსებობს არც კაზმული წერლობა, არც მათემატიკა, არც ანგარიშის, კითხვის ან წერის განვითარება. პროგრამაში რომ სიტვყიერება არაა, ეს „დიდ პლიუსად“ არის ჩათვილი. ტურგენევიც, ტოლსტოიც, გოგოლიც, პუშკინიც—ყველანი წაკითხული იქნებიან საბავშო კლუბებში უფროსთა ხელმძღვანელობით. მათემატიკური ცოდნის შეძენა წარმოებს ფიზიკის, ქიმიის, მექანიკის და ასტრონომიის შესწავლის დროს; მათემატიკა, როგორც ცალკე საგანი, არ არსებობს. „მათემატიკაო“, სწერია ერთ-ერთ წერილში: „მეცნიერება კი არ არის გარკვეული კონკრეტი შინაარსით, არამედ ეს განსაკუთრებული ენაა, რომელზედაც ლაპარაკობენო“. კითხვა და წერა ბავშმა ცალკე საათებში და რაღაც გაკვეთილებისა ან ვარჯიშობის ფორმით კი არ უნდა შეითვისოს, არამედ ამა თუ იმ მასალის გადამუშავების პროცესში უნდა შეისწავლოსო.

სქემა ცდილობს დასძლიოს ძველ სკოლაში ჩვეულებრივად არსებული „ცოდნათა განკერძოება-დამოუკიდებლობა“.

მართლაც, უნდა ითქვას, რომ ავტორებმა მოახერხეს პროგრამებისათვის მიეცათ სკოლის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილი სიმწყობრე, მთლიანობა და ნაწილთა დაკავშირება. სქემის რომელი ნაწილიც გინდათ აიღეთ, ყველგან თქვენ საამ მხარესა ნახავთ: „**ბუნებას** თავისი სიმდიდრეებით და მათ შორის ადამიანს, როგორც ბუნების წევრს, მეორედ—ბუნების სიმდიდრეთა და ადამიანის ძალის გამოყენებას, ე. ი. **ადამიანის შრომით მოღვაწეობას** და უკანასკნელად, მესამეს—**საზოგადოებრივ ცხოვრებას** ანუ მას, რაც ადამიანის მოღვაწეობამ წარმოშვა. ამით პროგრამას გარკვეული მთლიანი სახე და ის ერთიანობა ეძლევა, რომელიც მას დღემდე არ ჰქონდა“.

ჩვენ არ შევუდგებით პროგრამების კრიტიკას, ვინაიდან პროგრამები ისეთ თვალსაჩინო და დიდ მოვლენას წარმოადგენენ, რომ საჭიროა მათი განსაკუთრებული და დაწვრილებითი განხილვა; ამიტომ მარტო შემდეგს ვიტყვით: ჩვენ რომ ვიკითხოთ, რატომაა და რამ გამოიწვია ჩვენს დროში ეს მისწრაფება საგნების გაერთიანებისა ანუ მათი შეთანხმებისაკენ, რომელსაც ყველა გრძნობს, როგორც აუცილებელ რამეს, მაშინ ასეთი პასუხი უნდა მივსცეთ: ამ მისწრაფებას აქვს და ჰბადებს ორი გარემოება. პირველ ყოვლისა თვითონ აღზრდის ობიექტის **ფსიქიკა**, რო-

მელსაც დღემდე უეჭველად ასახიჩრებდენ იმით, რომ ათასგვარი საგანი, მას რომ ასწავლიდენ, არ იყო დაკავშირებული არც ურთიერთ შორის და არც ცხოვრებასთან და აჰასთანავი ერთად კალეიდოსკოპისებურად იყო აჭრელებული. მეორე გარემოება კიდევ ისაა, რომ აღზრდის მიზანს თანდათანობით და უფრო გარკვევით და ნათლად იგნებდენ. ერთი იდეით გამსჭვალულ პროგრამების შემუშავება შეუძლიანთ მარტო იმ სკოლებს, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებული დღევანდელს ისტორიულ დროს **აღზრდის მიზანი**; მარტო ამ შემთხვევაში თუ იქნება პროგრამა თავიდან ბოლომდე მთლიანობით და ერთიანობით გამსჭვალული და მასში არაფერი ზედმეტი არ აღმოჩნდება. წინაუკმო, თუ დასახული მიზნები ნათლად არაა შეგნებული, მაშინ საგნების შერჩევა გაჭირდება, ბავშების აღზრდაც უსწორ-მასწოროდ, უმესაჭეოდ წავა ან კიდევ მთლად ისტორიულ წარსულის იმ გამოცდილების ტრაფარეტს დაემყარება, რომელმაც თავისი დრო უკვე მოსჭამა.

ზემომოყვანილი პროგრამის რომელი ნაწილიც გინდა აიღოთ, მკითხველი აშკარად დაინახავს, რა ისტორიულ დროსაა ეს პროგრამა შედგენილი, მოსახლეობის რომელი კლასისთვისაა იგი განკუთვნილი და ან სახელმწიფოს როგორი მოქალაქენი ესაჭიროება. ლაპარაკი რაიმე მრავალსაგნიანობაზე და გაჭიმვა-გაჭიანურებაზე აქ სრულიად ზედმეტია. მისი სიმწყობრე და მთლიანობა ნაფიქრი და ნააზრევი კი არაა, არამედ ორგანიულად აღმოცენებულია აღზრდის გარკვეულად გაგებულ მიზნებიდან. მაგრამ ვიდრე მივიღებდეთ და დავეთანხმებოდეთ ამ პროგრამებს, საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ამ პროგრამებით საკმაოდ გათვალისწინებულია ბავშის სხვადასხვა ასაკის განსაკუთრებული **თვისებანიც** და **ინტერესებიც**. ყოველ შემთხვევაში, პროგრამების ეს მხარე კიდევაც რომ არ იდგეს საჭირო სიმაღლეზე, მათი მნიშვნელობა მაინც დიდია თუნდაც იმ მხრივ, რომ ეს უკვე ცდაა განათლებაში სრულიად ახალი ელემენტების შეტანისა და გაბედული იერიში, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ჩვენი პროგრამების ჩვეულებრივ აკადემიზმს, უკანასკნელთა ამაო ცდას ლოდიკურ-მეცნიერულ სისტემატიურობისას, რომლის გამოყენება შრომის სკოლის უმცროს ჯგუფებში სული უაზრობა იქნებოდა.

მეოთხე პრინციპი.

მასწავლებელთა ფართო წრეებისთვის საკმაოდ ცნობილი ამერიკელი პედაგოგი **დიუი** მეტად თავისებურად უდგება საგნებს შორის

კავშირის დამყარების საკითხს. იმის სისტემით სრულიად არაა საჭირო პროგრამის დაწვრილებით შემუშავება: საჭიროა მთელი გულისყური მარტო იმას მიაქციო, რომ **ბავშის მოქმედიანობა მოაწესრიგო.** როცა ბავში შეიგრძნებს თავის ინტერესებს, იპოვის თავის სამუშაოს, აი მაშინ სწორედ ეს მისცემს კიდეც მის მეცადინეობას მთლიანობას. ბავშს უნდა მივსცეთ საშუალება სკოლაში იცხოვროს და არა მარტო ისწავლოს. როცა ცხოვრობს, ე. ი. როცა მოქმედობს, ის მაშინ იწყებს მუშაობის და სწავლის შეთვისებას. სკოლის გარეთ ბავშები ცხოვრობენ და მოქმედობენ და ეს ცხოვრება და მოქმედება მათში მრავალ ისეთ კითხვას იწვევს, რომელნიც გადაჭრას, გადაწყვეტას მ ითხოვენ. სკოლის პირველ ამოცანას შეადგენს ის, რომ ბავშის ცხოვრება მოწესრიგდეს და მოეწყოს, როგორც თამაში, მეცადინეობა სკოლაში, ბაღსა, ბოსტანსა და ხახელოსნოებში მუშაობა. მოქმედებასთან ერთად ბავში შესწავლასაც იწყებს. ამ პირობებში ის ლაბორატორიისკენ წავა იმიტომ კი არა, რომ ესა თუ ის კურსი გაიაროს, არამედ მიტომ, რომ მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს გაირკვიოს ესა თუ ის საკითხი, რომელიც ჯას მუშაობის დროს წამოეჭრება: წიგნს ხელს იმიტომ კი არ მოჰკიდებს, რომ მიცემული გაკვეთილი ისწავლოს, არამედ მიტომ, რომ მას საამისოდ აიძულებს დიდი სურვილი იპოვოს პასუხი იმ გარკვეულ საკითხისა, რომელიც მას საკუთარმა მოქმედებამ აღუძრა. თუმცა შეიძლება ასეთი სისტემით ბავშმა არც მიიღოს დამთავრებული და სრული ცოდნა, სამაგიეროდ ის ისწავლის გეგმის მიხედვით მუშაობას, ისწავლის, თუ როგორ და რა ხერხით შეიძლება დამოუკიდებლივ, სხვის დაუხმარებლივ გარკვევა რაიმე მოვლენისა, როცა კი ამის შეგნების საჭიროება დაებადება ხოლმე.

ამრიგად ამ სისტემით კომპლექსურ მუშაობას თვითონ ბავში ჰქმნის: მისი მუშაობა ის ღერძია, რომლის გარშემო თავს იყრის და ტრიალებს მისი სწავლა-მეცადინეობა. ცალკე საგნები არაა. სკოლაში მუშაობა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ გაირკვეს სხვადასხვა საინტერესო და ცოცხალი ამოცანა, რაც კი ბავშს აღეძრება სწავლა-მეცადინეობის დროს. ამ სისტემას აქვს ზოგიერთი-რამ საერთო იმ სისტემასთან, სადაც კომპლექსის ცენტრად შრომის პროცესები ითვლება, მაგრამ აქ სავალდებულო არაა, რომ უეჭველად სჭარბობდეს სასოფლო-სამეურნეო სახელოსნო ან საინდუსტრიო მუშაობა; მუშაობა შეიძლება იქნეს მწიგნობრული, ლიტერატურული, ოღონდ კი სწავლება **რომელიმე ცოც-**

ხალ და საინტერესო საქმესთან იყოს დაკავშირებული; პატარა ბავშებისთვის ეს იქნება თამაშობა, უფროსთათვის მუშაობა ბაღსა, ბოსტანსა, სახელოსნოში, კოლექციონერობა და მისთანანი.

ხ ა ე რ თ ო დ.

თუ კომპლექსურ სწავლების ოთხსავე მიმართულებას ერთმანეთს შევადარებთ, ერთ საერთო რამეს აღმოვაჩენთ. ესაა მისწრაფება მთელ სწავლა-აღზრდას საფუძვლად დაედვას ერთი რომელიმე პრინციპი. ასეთ პრიციპად ორ უკვე განხილულ შემთხვევაში ედება **მოვლენათა** განსაზღვრული **ციკლი**: ბუნება და სამშობლო ან ადამიანის შრომა, ორ სხვა შემთხვევაში—განსაზღვრული და გარკვეული **მოქმედება**: შრომის პროცესები ან საერთოდ რაიმე ცოცხალი, საინტერესო საქმე. მაგრამ აქ ერთი კითხვა იბადება: პედაგოგიურად სწორი და მართებული კი იქნება მთელი სწავლა-აღზრდა თუნდაც ოთხწლიანი სკოლის სივრცეზე ერთი შაბლონის მიხედვით მოეწყოს? იქნება იმისდამიხედვით, რომ ბავშვების ინტერესები იცვლება, უფრო ნორმალური იქნებოდა კომპლექსების ძირითადი პრინციპებიც შეგვეცვალა? განა იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ და მარტო გარემო ბუნების შესწავლით დავკმაყოფილდებით, შესაძლებელი არაა, რომ ბავშის ფსიქიკის ყველა მხარე არ იქნეს საკმაოდ განვითარებული? მაგალითად, როგორ მოვექცეთ ამ შემთხვევაში ბავშის მდიდარ ფანტაზიას, რომელსაც ეგოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს? უფრო სწორი იქნებოდა, რომ გულისხმიერებით დავუკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბავშის შინაგან ცხოვრებას, მის ინტერესთა მოძრაობას, მივყვეთ იქითკენ, საითკენაც წაგვიყვანს მისი სულიერი ზრდა და განვითარება და არა იგი გავიყოლიოთ ჩვენს უკან. მაშინ შეიძლება კიდეც ბუნებრივი კომპლექსების შედგენა პრაქტიკულ სამუშაობისთვისაც და საერთოდ ბავშთა მთელი მეცადინეობისთვისაც. უნდა ვიფიქროთ, რომ გაზაფხულში ბავშის ყურადღებას მიიზიდავს გაღვიძებულ ბუნების სხვადასხვა მოვლენა, შემოდგომასა და ზამთარში სხვა მოვლენები, თუნდაც ადამიანის შრომა. ბავშის სწორი ზრდისა და აღზრდის დროს **არ უნდა გადახტომა ერთი კომპლექსიდან მეორეზე**; ეს კომპლექსები ბუნებრივად გაიშლება და ფსიქოლოგიური აუცილებლობით **ერთი მეორეზე დამოკიდებულია**, ერთი-მეორისგან გამომდინარე. არ შეიძლება მხოლოდ იმისთვის, რომ პროგრამა გარეგნულად მწყობრი და დალაგებული იყოს, გავწიროთ ბავშთა ინტერე-

ები[1]). ხანდახან ისე ხდება, რომ ბავშები, როცა ანგარიშს ვაიცნობენ, ისე გაერთობიან, რომ მზად არიან იანგარიშონ მთელი საათობით მხოლოდ იმისთვის, რომ იანგარიშონ და. საამისოდ კი არავითარი საბაბი არა აქვთ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეს საშუალება და ნება ამ საქმეზე იმუშაონ. თუ ბავში ხატვამ გაიტაცა — დე ხატოს. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა უაღრესად საჭირო ხერხისა და უნარის განვითარებისას.

უფროს ჯგუფებში.

კომფლექსური სწავლება იმგვარად, რომ ყველა „საგანი“ გაერთიანდეს და მთელი მასალა თემებად იქმნას დამუშავებული, შეიძლება მხოლოდ და მარტო სკოლის უმცროს ჯგუფებში, მაგალითად, პირველს, მეორესა და მესამეში. მერე „იმისდამიხედვით, რაც ბავში იზრდება, მისი ინტერესები და მოქმედიანობა თანდათან უფრო და უფრო დაფიქრებული და დაკვირვებული ხდება. მისი მოქმედიანობის ყოველი ცალცალკე ფორმა თანდათან უფრო მეტ დროს ითხოვს და ამასთანავე ერთად მისი მოქმედება უფრო ღრმავდება“[2]). ამიტომაც შუა ჯგუფებში, მეოთხესა, მეხუთესა და მეექვსეში ყველა საგნის კომპლექსად შერწყმის გამოყენება უკვე შეუძლებელი ხდება. აქ პირველ ყოვლისა შეიძლება მასალითა და მეთოდების მხრივ ერთმანეთში მონათესავე საგნების გაერთიანება, მაგალითად, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველებისა, საზოგადოებათმეცნიერებისა და ენისა და მეორედ კიდევ შესაძლებელია დაკომპლექსება თვით საგნების შიგა ფარგლებში. ცოდნის შეძენა აქ თემატიურად წარმოებს და ჯერ კიდევ სისტემატიური არაა. უფრო ფართო კომპლექსების შედგენა აღარ იქნება საჭირო თუნდაც მარტო იმიტომ, რომ სწავლება უკვე რამდენიმე კაცის ხელში გადადის. უფროს ჯგუფებში: მეშვიდესა, მერვესა და მეცხრეში, სადაც ამა თუ იმ მოვლენას შეიძლება მეცნიერულად მიუდგეს კაცი, კურსებს თანდათანობით მეტი სისტემატიურობის სახე ეძლევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგანსა და საგანს შორის მაინც ერთნაირი კოორდინაცია უნდა დამყარდეს. მაგალითად, გეოგრაფიის გაკვეთილებზე ევროპის კულტურულ ქვეყნების შესწავლა მისა ისეთი გან-

[1]), [2]) Соколов. Методы комплексного преподавания, გვ. 80.

ვითარებული ფორმებით, როგორიცაა სასოფლო მეურნეობა ან საქარხნო მრეწველობა, კარგად შეიძლება დაუკავშირდეს და ბუნებრივად შეუზავდეს ფიზიკის იმ გაკვეთილებს, სადაც გადიან მექანიკურ, ორთქლისა და ელექტრონის ძრავებს (двигатели) (მექანიკის ნაწილი, სითფო, ელექტონი). ბუნებისმეტყველებაში: ბავშები თესვენ ტეხნიკურ მცენარეულობას (სელს, კანაფს, ბამბას, შაქრის ჭარხალს), ეცნობიან მათ დამუშავებას (სახამებელი, ალკოჰოლი, რაქარი, მეღვინეობა, ლუდის მოდუღება) და აგრეთვე მესაქონლეობის ნაყოფის დამუშავებას (კარაქი, ყველი, ტყავი, მატყლი, აბრეშუმი, საპნის ხარშვა) და ამით იგებენ იმ ბიოლოგიურსა, ქიმიურს და ფიზიკურ პროცესებს, რომელნიც საფუძვლად უძევთ ამ ზემოხსენებულ წარმოებათ. ამასთან დაკავშირებით აწყობენ სათანადო ექსკურსიებსაც, როცა გადიან არაევროპიულ ქვეყნებს და ამრიგად ეცნობიან იმ ხალხებს, რომელნიც მონადირეობისა, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების ხანაში იმყოფებიან. ბუნებისმეტყველებაში ამ დროს სწავლობენ შინაურ და გარეულ ცხოველებს, ამასთან დაკავშირებით ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის მოკლე მიმოხილვას და იცნობენ (იგებენ) შინაურ ცხოველთა წარმოშობას, მათ ხელოვნურ შერჩევას. ბოტანიკიდან იღებენ: ჩვენი კულტურული მცენარეულობის ბიოლოგიას, ეკზოტიურ ქვეყნების კულტურულ მცენარეებს, კულტურულ მცენარეთა წარმოშობას. ამასთან სულ ადვილია საბოსტნო სამუშაოს დაკავშირებაც. უფრო ბუნებრივად შეიძლება გადაბმა და სრული დაკავშირება საზოგადოებათმეცნიერების საკითხებისა გეოგრაფიულ თემებთან თუ რომელსამე წინა წელს მცენარეთა ბიოლოგია საკმაოდაა გავლილი, აქ მაშინ უკვე შეიძლება მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის გავლაც ბოსტანში მუშაობასთან დაკავშირებით.

საეროოდ, გარდა ამ კერძო და სპორადიულ დაპირისპირებისა, რასაც კურსის სხვადასხვა საგნებზე აწარმოებენ ხოლმე, სკოლის პრაქტიკაში შემჩნეულია მიდრეკილება და მისწრაფება უფროს ჯგუფებში საგნების უფრო ღრმა კოორდინაციისაკენ. საპროგრამო მასალას თემებად არ ანაწილებენ, თვითეული საგანიც დამოუკიდებელი რჩება, მაგრამ ყოველ საგანში კი მასალა იმ კულტურულ-ისტორიულ ხანასთანაა ხოლმე შერჩეული, რომელსაც საზოგადოებათმეცნიერების გაკვეთილებზე არჩევენ.

ცხოვრებაში გატარება.

კომპლექსური სწავლება—ეს ჩვენი დროის მორიგი და საარსებო საკითხია. ამიტომაც თეორიულ და პრაქტიკულ იმ საკითხების დამუშავება, რაც ამ სწავლებას ეხება, ყოველ პედაგოგიურ მუშაკისათვის გადუდებელ საქმეს წარმოადგენს.

რომ კომპლექსურ მეთოდის ცხოვრებაში გატარება უფრო საქმიანი იყოს, ამისთვის საჭიროა რომელიმე საგნის, აი თუნდ ბუნებისმეტყველებისა ან ფიზიკის მასწავლებელმა:

1. აიღოს და თავის საგნის მთელი მასალა **თემებად დაანაწილოს,** დაანაწილოს ისე, რომ თვითეულ ამ თემაში შევიდეს ბუნებისმეტყველების ან ფიზიკის სხვადასხვა ნაწილი;

2. თუ მთელ მასალას არ აიღებს, მაშინ ყოველშემთხვევაში აიღოს **ერთი ან რამდენიმე კომპლექსური თემა** და შეეცადოს მათ დამუშავებას ბავშებთან ერთად.

ფიზიკის პირველ კონცენტრში (V და VII ჯგუფ.) სისტემატიური კურსის მაგიერ შეიძლება მთელი მასალა დაიყოს თემებად და თვითეულ ამ თემას საფუძვლად დაედოს რომელიმე **საწარმოო მომენტი.** მაგალითად, თითქმის მთელი ჰიდროსტატიკა და ჰაეროსტატიკის (ჰაერნავოსნობის) დიდი ნაწილი შეიძლება დამუშავდეს წყალსადენის შესწავლასთან დაკავშირებით. ორთქლის მანქანის შესწავლაზე კომპლექსურად შეირწყმის მექანიკისა და სითბოს ნაწილი და მისთანანი*).

უმცროს ჯგუფების მასწავლებელს, რომელიც თავის ჯგუფში მთელ სამუშაოს უძღვება, შეუძლია ბავშებთან ერთად რომელიმე თემის დამუშავებასაც შეუდგეს დაახლოვებით იმ სახით, როგორათაც ნ. ი. პოპოვის ქალი თავის წიგნაკში აღწერს თემის—**„თაგუნას“** დამუშავებას: „კლასში შემოაქვთ ხაფანგი შიგ მოთწყვდეული თაგვით. ბავშები შინჯავენ, ათვალიერებენ დაჭერილ თაგვს, უკვირდებიან მას რამდენიმე დღის განმავლობაში, უვლიან, აჭმევენ და ამავე დროს იხატავენ მას თავისთვის, თიხიდან ძერწავენ, ქაღალდით გამოსჭრიან. მასწავლებელი

---

*) **კრასოკოვის** წერილში „О комплексированном преподавании физики“, რომელიც მოთავსებულია ჟურნალში: „На путях к новой школе“ № 2, 1923 წ. და მის წიგნაკში: „ჭა“ მოიპოვება მრავალი სახელმძღვანელო აზრი და ნიმუში ფიზიკაში კომპლექსების შესადგენად.

ბავშებს უამბობს თაგვთა ცხოვრებაზე, აცნობს, თუ როგორია მათი აგებულობა (კბილები, თათები, ბეწვი და სხვა), უკითხავს მათ რამდენიმე მოთხრობას ამ თემაზე, მაგ. გორბუნოვ-პოსადოვის „თაგუნები“ (Мышата) ზღაპარი „თაგუნას სასახლე“ (Теремок мышки); ბავშები თვითონ კითხულობენ ტოლსტოის ანბანით წერილებს: „ზვიადი და უბრალო თაგვი“, „თაგვის მტერი“ ან კიდევ ვახტეროვის წიგნით: „მოხერხებული თაგვი“. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე ბავშები დასვენების დროს თაგვ-კატაობას და სხვა თამაშს ატარებენ, სადაც მოქმედ პირებად თაგვები არიან გამოყვანილი. ამგვარად მუშაობისა და მეცადინეობის დროს ბავშები ყოველმხრივად ეცნობიან თაგვს.

მასწავლებლის როლი

რომ საგნები უფრო დაუახლოვონ და კომპლექსურად დაუკავშირონ ერთმანეთს, ამისთვის მასწავლებელთ უხდებათ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო დაახლოვება, ერთად პროგრამის შემუშავება და მერმე ბავშებთან მუშაობის განმავლობის დროს **ერთმანეთში კონტაქტის** განგრძობაც. ახლა უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს, ყოვლად შეუძლებელი ხდება მასწავლებელთა ერთმანეთისაგან სრული ინდივიდუალისტური განკერძოება-განმარტოება, ახლა უფრო მწვავედ გრძნობს იგი კოლექტივის საჭიროებას; საბჭოებსა და კომისიებს უკვე ეკარგებათ თავიანთი წინანდელი ფორმალური ხასიათი და მათ მუშაობაში იმ აუცილებელ რგოლად იქცევიან, ურომლისოდაც მათი ბავშებთან მეცადინეობა სრულიად უშედეგო და უსარგებლო ხდება.

ამასთანავე ერთად კომპლექსურ მეთოდით სწავლების გამო სისტემატიური, წიგნისდამიხედვით სწავლება იჩრდილება, ხოლო პირველ რიგში ჩნდება როგორც საალმზრდელო და სასწავლო მასალა კონკრეტი და ცოცხალი მოვლენანი გარემოცულ ბუნებიდან და ადამიანთა ცხოვრება-მოქმედებიდან; ამიტომაც ამგვარი სწავლება აუცილებლივ გამოაცოცხლებს მასწავლებელთა წრეებს და აიძულებს მათ ახალი წრეები შეჰქმნან შესასწავლად გარემოცულ ბუნებისა ან სასოფლო მეურნეობისა, ან კიდევ სახელოსნოთა, ხელობათა, ქარხნებისა, რომ ეს მასალა როგორმე მიუყენონ და ფართოდ გამოიყენონ სწავლა-მეცადინეობის დროს.

განყოფილების მიზანი.

რა თქმა უნდა დიდი დანაშაული იქნება, თუ მასწავლებელთა ასეთი ნამუშევარის შედეგი ადგილობრივადვე დარჩება ამა თუ იმ წრის ინდივიდუალ საკუთრებად და მასწავლებელთა ფართო წრეებში არ გავრცელდება.

ყველა მასწალვლებლისათვის ცხადია, რომ თვითეული უმნიშვნელო ცდაც კი, ამ მიმართულებით წარმოებული, სულ უბრალო და პატარა ნაბიჯიც კი—ეს უკვე ნაბიჯია მთელი სწავლა-მეცადინეობის კომპლექსურად გავლის პრაქტიკულ მოწყობისკენ.

ჩვენი ჟურნალისათვის აუცილებლად საჭიროა ყოველგვარი ასეთი ცნობა ამა თუ იმ ცდისა და მიღწეულ შედეგების შესახებ. ამასთანავე ერთად სასურველია, რომ მასწავლებლები ადგილობრივად ამ ჩვენ ჟურნალს **თავის** საკუთარ ორგანოდ თვლიდენ, რომლის დახმარებითაც მათ შეეძლებათ თავიანთი **ეჭვების გარკვევა** და რომლისგანაც მათ შეუძლიათ მოითხოვონ დახმარება და **რჩევა** თავიანთ რთული მოღვაწეობის ყოველ გაჭირვების დროს. საერთოდ ამ ჟურნალისა და კერძოდ კომპლექსური სწავლების განყოფილების დანიშნულება ისაა, რომ მასწავლებლობას დაეხმაროს. ჟურნალისთვის გამოგზავნილი წერილები, რა თქმა უნდა, ყველა არ დაიბეჭდება, მაგრამ ყოველი მათგანი უეჭველად იქნება აღნუსხული, გათვალისწინებული და ამასთანავე ზეგავლენასაც იქონიებს ჟურნალის მიმართულებაზე და აგრეთვე იმაზე, რომ წერილები შეირჩევა სკოლის საჭიროებათა მიხედვით.

მარტო მასწავლებელთა ფართო წრეებთან ცოცხალი და განუწყვეტელი კავშირი მიანიჭებს ჩვენს ჟურნალს ცხოველმყოფელობას და ჭეშმარიტ საჭიროებას საქართველოს სკოლისათვის.

ნ. ელჩანინოვი.
მე-2 საფდ.-სახგ. სკოლის მასწავლებელი.

კომპლექსური მეთოდის გამოყენების შესახებ*)

კომპლექსურ მეთოდს საფუძვლად შეიძლება შემდეგი დაედოს:

1. ჩვეულებრივად, ძველ სკოლაში, საგნობრივი სისტემის დროს ყოველ საგანს სრულიად განკერძოებული და სხვა საგნებისგან განმარტოებული ადგილი ეკავა; ყოველ საგანს თავის საკუთარი მიზნები ჰქონდა დასახული: ბუნებისმეტყველებას მიზნად ჰქონდა დასახული ბავშისთვის მიეცა რაც შეიძლება მეტი ცოდნა ბუნების სამივე სამეფოდან; გეოგრაფიის მიზანი კიდევ ის იყო, რომ მოწაფეს შეეძინა ცოდნა ბუნებისა და სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების და პოლიტიკურ წესწყობილების შესახებ; მათემატიკას თავისი მიზნები ჰქონდა, ენასაც აგრეთვე თავისი. ასეთი სწავლის წყალობით ის ბუნება, რომელიც ბავშს ერტყა გარშემო, სულ ნაწილ-ნაწილ იყოფოდა და ერთს ნაწილს მეორესთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ბავშის ყურადღებას სასკოლო დღის განმავლობაში ათასჯერ ვადაახტუნებდენ ხოლმე მოვლენათა ერთი დარგიდან მეორე დარგზე და ამის გამო მის გონებას აღარ შეეძლო ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად ერთგვარ მოვლენათა რიგზე შეჩერებულიყო და ამრიგად, მაშასადამე, ისე მუშაობდა, როგორც არ(ცერთი ნორმალური ადამიანი არა მუშაობს და როგორც ,რც თვითონ მუშაობდა სკოლაში მისვლამდე. ასეთი მეთოდით სწავლების დროს ბავშის ბუნებრივი ზრდა ფერხდება.

2. ბავშის ცხოვრება სკოლამდე და სკოლის გარეშე წარმოადგენს მთლიანსა და განუყოფელ ცხოვრებას იმ მხრივ, რომ ის ცხოვრობს მისთვის ამ წუთს საინტერესო და მისი პირადი ინტერესით ერთმანეთში დაკავშირებულ მთლიან მოვლენათა შორის. წარმოდგენებს და ათასგვარ ცნებას ბავში აგროვებს ფსიქოლოგიური თანდათანობის შინაგანი კანონების მიხედვით და არა მეცნიერული თანდათანობის გზით.

---

*) ესა და შემდეგი წერილი მოხსენებულია მანგლისის სამასწავლებლო კურსების ლექტორთა კომისიის სხდომაზე 1923 წლის აგვისტოში.

3. სასკოლო სწავლების დღევანდელი წესწყობილება ბავშს არ აძლევს მთლიან ცხოვრებას, ანაწილებს მის ინტერესებს, აქუცმაცებს მის ყურადღებას განცდათა ერთმანეთში დაუკავშირებლობისა და იმის გამო, რომ სხვადასხვა ხასიათის გონებრივი პროცესები არაა ერთმანეთში შეთანხმებული.

ამიტომ:

1. ახალ სკოლაში ბავშისათვის მიწოდებული ნაირნაირი პედაგოგიური მასალის შორის უნდა უთუოდ იყოს **ფსიქოლოგიური კავშირი**, რომელიც ამა თუ იმ გზით ხორციელდება.

2. საგანთა ამგვარი დაკავშირების ერთ-ერთ საშუალებად ითვლება სწავლების **„კომპლექსური“ მეთოდი**, სასწავლო საგნებს შორის საზღვრები იშლება, რადგანაც სწავლებას საფუძვლად ედება განკერძოებული და ადამიანის ან ბუნების ცხოვრებიდან აღებული თემები კი არა, რომელიც რომელიმე ნიშნის მიხედვით და მეცნიერების მოთხოვნილებისამებრ არიან დალაგებული, არამედ ბუნებისა ან ადამიანის ცხოვრების ესა თუ ის მოვლენები **იმ სახით, როგორიდაც ისინი თვით ცხოვრებაში არიან ერთმანეთში დაკავშირებულნი**.

3. საპროგრამო მასალა შეძლებისამებრ ნაწილდება ერთმანეთში დაკავშირებულ ე. წ. **ციკლებად**. ყოველ ციკლს საფუძვლად უდევს ბუნებიდან აღებული რომელიმე თემა, მაგალითად, „შემოდგომა“ ან ადამიანთა ცხოვრებიდან, მაგალითად, „გლეხის კარმიდამო“, „ქალაქის ქუჩის ცხოვრება“ და მისთანანი.

4. კომპლექსის მიზანი უმცროს ჯგუფებში სრულიადაც ის კი არაა, რომ „შეისწავლოს“ რაიმე მოვლენა (ეს დასაშვებია უფროს ჯგუფებში), არამედ პირველ ყოვლისა იმ **სინამდვილის შემოქმედებითი აღდგენა**, რომელთანაც ბავში მჭიდროთაა დაკავშირებული; აქედან კი გაძომდინარეობს მისი უფრო ღრმა შეთვისება. ბოლოს, რომელიმე კომპლექსის დამუშავების შემდგომ ბავშს ებადება სინთეტიური წარმოდგენა მთელ მოვლენაზე. მაგალითად, თემის „გლეხის კარმიდამოს“ დამუშავების დროს ბავშს ებადება იმის წარმოდგენა, თუ რომელმა სამეურნეო საჭიროებამ წარმოშვა გლეხის თანამედროვე კარმიდამოს მთელი აგებულება.

5. კომპლექსის დამუშავება იწყება **ბავშთა შემოქმედებითი მუშაობით**, მაგალითად, იმით, რომ ბავშები აკეთებენ გლეხის კარმიდამოს ნახეს (მოდელს) და შემდეგშიაც ყოველთვის მას ემყარებიან. წი-

ნაალმდეგ შემთხვევაში რომელიმე კომპლექსის გავლამ შეიძლება მიიღოს წინანდელ საგნობრივ გაკვეთილების სიტყვიერი ფორმა ან კიდევ განმარტებითი კითხვის გაკვეთილების ხასიათი.

6. არაა სავალდებულო, რომ ყოველ კომპლექსში მასალა უთუოდ თავმოყრილი იყოს პროგრამის ყველა საგნიდან. დროებით შეიძლება რომელიმე ან რამდენიმე საგანი გამოტოვებულ იქნას, თუ კი არაა ბუნებრივი აუცილებლობა მისი კომპლექსში ჩართვისა.

7. კომპლექსის, მაგალითად, „გლეხის კარმიდამოს“ დამუშავების დროს შეცთომა იქნებოდა, რომ მისი ყოველი ნაწილი და მხარე ამომწურავი სისრულით იყოს გარჩეული. დეტალიზაცია ამ მხრივ კომპლექსს მხოლოდ დააქუცმაცებს, მისი ძირითადი იდეა კი ბავშთა შეგნების გარეშე შეიძლება დარჩეს ან დაიჩრდილოს.

8. დიდ მასალაში დაქუცმაცება არ მოხდება, თუ კომპლექსის დამუშავებას საფუძვლად უძევს ბავშთა აქტიური მოქმედიანობა, რადგანაც ამ შემთხვევაში მათთვის საჭირო ცოდნის მოცულობა ისაზღვრება პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებებით: ბავშს უნდა რომელიმე ცხოველი ან ნივთი ამა თუ იმ სახით გაათვალსაჩინოოს (დახატოს, დაძერწოს, ამოსჭრას), ამიტომაც დეტალების ცოდნა მას იმდენად ესაჭიროება, რამდენადაც ამას მისი სამუშაო მოითხოვს.

9. როცა კომპლექსი შემოქმედებით იქნება დამუშავებული, არ უნდა შეუშინდეთ იმას, რომ მიღებული ცოდნა ზერელე იქნება. მართალია, საგნებსა და მოვლენას იღებენ რომელიმე გარკვეული მხრით, იმ ზოგადი იდეის მიხედვით, რომელიც ყველა საგანს ერთ საგნად აკავშირებს, მაგრამ მაინც არაა საჭირო, რომ ერთ კომპლექსში ცოდნა დამთავრებული და სრული იყოს. იგივე მოვლენები ხომ ხელახლად რომელიმე სხვა კომპლექსშიაც შეხვდება ბავშს, სადაც იგი მათ მიუდგება სულ სხვა მხრით და სხვა თვალსაზრისით. მაგალითად, კომპლექსში „გლეხის კარმიდამო“-ში შინაურ ცხოველებს ბავში გასინჯავს როგორც ამ კარმიდამოს მუდმივ მცხოვრებთ; მაგრამ იგივე ცხოველები ხელახლად მიიპყრობენ ბავშის ყურადღებას მოზრდილ ჯგუფებშიაც, უკვე როგორც გლეხის თანაშემწენი მის მუშაობა-საქმიანობაში. შემდეგშიაც კიდევ მიუბრუნდება მათ ბავში, როცა იგი გაეცნობა მათ წარმოშობას ხელოვნური შერჩევის გზით, დარვინის საევოლიუციო თეორისთვის. ცხოვრებაში ჩვენც ხომ ამა თუ იმ მოვლენას ან საგანს რომელიმე მხრით ვუდგებით იმ განზრახვების მიხედვით, რომელნიც ამა თუ იმ დროს ჩვენ გვაქვს ხოლმე.

10. კომპლექსში მოვლენანი იმ კავშირით არიან შეერთებული, როგორითაც თვით ცოცხალ სინამდვილეში. მაგალითად, გლეხის კარმიდამოში სამეურნეო მომენტი აკავშირებს ადამიანებს, ცხოველებს, ათას საგანსა და ნაირნაირ მასალას. კომპლექსს შეიძლება პირველი ყოვლისა ადამიანმა შეხედოს, როგორც მასალის განაწილების ერთგვარ ხერხს, რომლის საშუალებით ობიექტები ერთმანეთში დაკავშირებული არიან ცოცხალი კავშირით და არა განყენებულით (ე. ი. მეცნიერულით). როცა მასალას დავაჯგუფებთ ამ ცოცხალი კავშირის მიხედვით, ამით ბავშს სწორედ იმას მივსცემთ, რაც მას ცხოვრებაში დასჭირდება.

11. კავშირი შეიძლება იქნეს სამეურნეო ხასიათისა (გლეხის კარმიდამო, ქარხანა, ქუჩა) ან საბუნებისმეტყველო (ტყე, ველი, გაზაფხული) ან კიდევ ორივე ხასიათისა ერთად (ბოსტანი, ბაღი).

12. თუ სწავლება წესიერად და სწორედ მიმდინარეობს, **ცალ-ცალკე კომპლექსებს ერთმანეთში კავშირი ექნებათ;** ეს კავშირი დაემყარება იმას, რომ ბავში თანდათანობით და მთელი სიგრძე-სიგანით შეეხება ბუნების ცხოვრებასა და ადამიანის მოქმედება-მოღვაწეობას, გამოიჩენს და გააკითარებს თავის სოციალურსა, სამხატვრო, შემოქმედებითსა და კვლევითს ინსტინქტებს.

13. ყოველი ცალკე კომპლექსის ფარგლებში ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა მარტო და განსაკუთრებით მასწავლებლის ნებისყოფამ კი არ უნდა უკარნახოს, არამედ იგი უნდა იყოს ბუნებრივი და ფსიქოლოგიურად აუცილებელი (იხ. ამ წერილთან დართული სქემა).

14. მგონი, რომ **არც შეიძლება პროგრამის მთელი მასალა კომპლექსში დაეტიოს.** მასწავლებელი იძულებული იქნება საკმაოდ ხშირად კომპლექს გვერდი აუქციოს იმ მიზნით, რომ ბავშებს გაუვითარდეთ ყველა მათთვის საჭირო შეჩვევა (навык) და უნარი.

15. კომპლექსურ სწავლებას გვერდს ვერ აუქცევს მასწავლებელი ოთხწლიანი სკოლის უმცროს ჯგუფებში. უფროს ჯგუფებში კი, როცა ბავშებს ემჩნევათ მოთხოვნილება უფრო სპეციალური განშტოებული ცოდნისა და ებადებათ გემო და უნარი მოვლენას მეცნიერულად, ანალიტიურად მიუდგენ, აი აქ საპროგრამო თემები უნდა სასწავლო საგნებად დაეწყოს, რომელთა შორის მაინც უნდა დამყარდეს ესა თუ ის კოორდინაცია.

16. კომპლექსის შედგენის დროს უეჭველად საჭიროა თავიდან აშორება იმ შესაძლებელ შეცთომიდა, რომელთაგან უფრო დასაშვები

და მოსალოდნელია იმ მასალის ხელოვნური გამოყენება, რომელიც ორგანიულად არაა გადაბმული ძირითად თემასთან.

17. კომპლექსის დამუშავება შეიძლება იმით დაიწყოს, რომ მასწავლებელი ბავშებთან საერთო ბაასის დროს აღძრავს თემას ან მას შეეხება ექსკურსიის დროს ან რომელიმე კერძო შემთხვევის გამო (თუ თვითონ ბავშები, მაგალითად, რომელიმე სამუშაოთი ძალიან გაერთვენ) ან კიდევ თუ რომელიმე მოწაფე ან თვითონ მასწავლებელი შემთხვევით ისეთ მოთხრობას მოუყვება, რომელიც ინტერესსა და აქტივობას გამოიწვევს. შემდეგ უნდა გათვალისწინებულ იქმნას სამუშაო, კოლექტიური ან ჯგუფობრივი, რომლის დროსაც ბავშები იღებენ განმანათლებელ და საგანცდო მასალას და აგრეთვე თემებსა და იმპულსს, იმისას, რომ სინამდვილე შემოქმედებით ასახონ სათამაშოებში და სცენებით წარმოდგენით, დრამატიზაციით.

18. როცა მასწავლებელი რომელსამე კომპლექსს ითვალისწინებს, მან შეძლებისამებრ არ უნდა დაივიწყოს არც ერთი პედაგოგიური მხარე: არც საგანმანათლებელო, არც ემოციისა, არც მხატვრული და არც სხვადასხვა შნო-უნარიანობისა და ხერხის განვითარებისა.

19. კომპლექსი შეიძლება შემდეგი სქემით შესდგეს*).

ა) გაირკვეს ამა თუ იმ კომპლექსის **საერთო იდეა** და მიზანი.

ბ) გაირკვეს სახელდობრ რომელი **კონკრეტი მასალა** მოხვდება ამ კომპლექსში.

გ) გაირკვეს კომპლექსის **დინამიური მხარე**: ცხოვრება, მუშაობა, მოძრაობა.

დ) გაითვალისწინოს **ბავშის აქტივობა** (მოქმედინობა): ხატვა, გამოჭრა, ძერწვა, მოდელის დამზადება და მისთანანი.

ე) გაითვალისწინოს ის **შრომის პროცესები**, რომელნიც შეიძლება კომპლექსში იყოს შეტანილი.

ვ) საგანმანათლებლო, საემოციო და სამხატვრო ელემენტი: მოთხრობები, ზღაპრები, სიმღერები; მათემატიკა, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება.

ზ) გაითვალისწინოს ვარჯიშობა და მუშაობა კითხვის, წერის და ანგარიშის გასაკვეთად.

თ) თამაში და დრამატიზაცია და

ი) შესაძლებელი გადასვლა შემდგომ კომპლექსზე.

ნ. ელჩანინოვი

---

*) იხილე ამავე ნომერში წერილი ასაკთა მიხედვით მუშაობის შესახებ.

სანიმუშო კომპლექსი „გლეხის კარმიდამო“

მოვიყვან კომპლექსის სანიმუშო დამუშავებას შემდეგ თემაზე: „გლეხის კარმიდამო“.

ამ კომპლექსის მიზანია მისცეს ბავშს შეძლება შემოქმედებით ასახოს სინამდვილე და უფრო ღრმად შეიცნას იგი.

კომპლექსის იდეაა: თუ როგორი იქნება პირობათა მიხედვით ადამიანის საცხოვრებო მოთხოვნილებიდან (ჭამა-სმისა, ჩაცმა-დახურვისა და ბინა-საყუდარის) მისი ცხოვრების განსაზღვრული მოწყობილობა.

კომპლექსში შედის:

1. მრავალი **საგანი**: ბინა, ეზოს შენობები, ღობე, ჭიშკარი, ჭა, თონე, სხვადასხვა სამუშაო იარაღი და სხვა საგნები: ნიჩაბი, სამთითი, ცული, ფოცხი, კევრი, წყლის კასრა, ურემი ან ფურგონი და მისთანანი, აგრეთვე კარმიდამოს ცოცხალი მოსახლეობა.

2. მაგრამ გარდა იმისა, რომ საჭიროა ეს კონკრეტი მასალა გაირკვეს, უფრო მნიშვნელოვანია **თემის დინამიური მხარის** გათვალისწინება, ე. ი. გლეხის კარმიდამოს **ცხოვრებისა და მუშაობისა**: საქონლის კვება-ჭმევა, ძროხების წველა, ცხენებისა ან ხარ-კამეჩის შებმა, ცხვრის გაპარსვა, საჭმლის მომზადება, პურის გამოცხობა, სარეცხის რეცხვა, შეშის დაჩეხვა, პურის გალეწვა, ლობიოს გარჩევა, სიმინდის ყანა, ვენახის მოვლა, ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება და სხვა სამუშაო ადგილის მიხედვით.

3. **ვინ მუშაობს**? მარტო ოჯახის წევრები? არიან თუ არა დაქირავებული მუშები? როგორაა სამუშაო დანაწილებული სქესისა და წლოვანების მიხედვით? რას აკეთებენ ეზოში ძაღლი, კატა, ქათმები, ბელურა-ჩიტები, ბულბული და სხვა ცხოველ-ფრინველნი?

ამ კომპლექსის დამუშავების დროს ბავშის **აქტივობახ** (მოქმედიანობას) ფართო გზა და მოედანი ეხსნება. ბავშები კლასში მოუთხრობენ, თუ რა აქვთ თავიანთ სახლში ნანახი, რას აკეთებენ უფროსები და ან თვითონვე, რადარა ცხოველები ჰყავთ სახლში და მისთანანი. მათ აძ-

ლევენ გარკვეულ ამოცანას გლეხის ცხოვრების ამა თუ იმ მხარის უფრო დაწვრილებით გაბოკვლევისა და დაკვირვებისათვის და ამის შემდგომ ყველა ამას კლასში უამბობენ.

იმათ საკმაო საბაბი აქვთ მასწავლებელთან გამობაასებისა. დაკვირვების მასალა არა ერთ თემას იძლევა **წერა-კითხვასა და ანგარიშში** გავარჯიშებისათვის.

ბავშები ისმენენ მასწავლებლის მოთხრობას გლეხის ბავშების ცხოვრებიდან, იმავე გზით ეცნობიან **ზღაპრებს და იგავარაკებს** ცხოველთა და ადამიანის ყოფა-ცხოვრების ეპოსიდან; ეცნობიან სახალხო მელოდიებს, ისმენენ და სწავლობენ **ხალხურ სიმღერებს**, განსაკუთრებით ისეთ სიმღერებს, რომელთაც გლეხები თავის ამა თუ იმ სამუშაოს დროს იმღერიან. ხატავენ, ქალალდიდან სჭრიან. თიხიდან ძერწავენ სხვადასხვა ცხოველსა და საგანს.

მათ დამოუკიდებელ მუშაობის მთავარი ადგილი უკავია გლეხის კარმიდამოს ნახვის (მოდელის) გაკეთებას თიხიდან, წნელებიდან, ხის ფირფიტებიდან, კენჭებიდან, მუყაოს (კარტონისა), და სხვა მასალიდან.

ასეთი მუშაობის შედეგად, რომელიც მათ საკუთარ დაკვირვებაზეა დამყარებული ის იქნება, რომ მათ შეგნებაში ალიბეჭდება გარკვეული წარმოდგენა გლეხის ამა თუ იმ კუთხის კარმიდამოს „სტილისა", რომელიც ფმინდა მხატვრული კონცეპცია. განსაკუთრებით ამ სტილის ბავში იგრძნობს და გარკვეულადაც გააზრებს, როცა სურათებით შეადარებს ერთმანეთში გლეხის სხვადასხვა ოლქისა და კუთხის კარმიდამოს.

როცა ბავში გლეხის სამუშაოს ეცნობა, ამავე დროს შემდეგი შრომის პროცესებია შესაძლებელი, როგორც მაგალითად: პურის გამოცხობა, კარაქის შედღებვა, ხილისა და ბოსტნეულის გახმობა, მატყლიდან ნართის დამზადება. აბრეშუმის ჭიის კვება და აუარება სხვა, ადგილობრივ სამუშაოს მიხედვით.

შრომის ერთ-ერთ პროცესად გამოდგება **ბოსტანში მუშაობა**[1]) სკოლასთან ბოსტანსა და ბაღში მუშაობის წყალობით მასწავლებელს შეუძლია ბავშები მიაჩვიოს შეგნებულ მოპყრობას იმ მოვლენათა მიმართ, რომელთაც ისინი ყოველ დღე ხედავენ.

თუ სკოლას აქვს **ხახელოსნო**, მაშინ შრომის პროცესს უფრო მეტი მოცულობა ექნება.

---

[1]) ამის შესახებ ახლო მომავალში ცალკე წერილი იქნება მოცემული.

„ილეთის კარმიდამო“-ს კომპლექსის ხანიმეშოხენება

ამ კომპლექსისათვის შეიძლება საკმაოდ შეარჩიოს კაცმა ხალხური და საბავშო სიმღერები, მაგალითად "გუთნის დედა", „ყიყლიყო მამალო" და სხ. მრავალ სიმღერას შეიძლება თან რითმიული მოძრაობაც დაერთოს.

როცა ბავში გლეხის კარმიდამოსა და მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეცნობა (ზნე-ჩვეულებას, დღეობებს, წესებს), ეს უეჭველია დიდ და მდიდარ მასალას იძლევა წაბაძვით თამაშობათა და სცენებად წარმოდგენების—დრამიზაციის მოწყობისათვის.

ამგვარად, განხილულ კომპლექსში არის მასალა ბუნებისმეტყველებიდან, სამშობლოს აღწერიდან, საზოგადოებათმეცნიერებიდან, მშობლიურ ენიდან, ხელოვნებიდან (ხატვა, მუსიკა, გალობა-სიმღერა) და აგრეთვე შრომის პროცესები. რაც შეეხება მათემატიკას, ამისთვის თემა საკმაო საბაბსა და საბუთს იძლევა საანგარიშოდ,- გაზომვისათვის (სიგრძისა, სიგანისა, სიმაღლისა) და ოთხი მოქმედებისთვის, აგრეთვე შეიძლება ფორმასთან (ოთხკუთხი, კვადრატი, სამკუთხედი) და ძირითად გეომეტრიულ ტანებთან გაცნობისათვის (კუბი, ცილინდრი, ბურთები და სხ.)

ამ კომპლექსიდან მოსახერხებელია ადამიანი ბუნებრივად გადავიდეს ერთმხრივ ქუჩის ცხოვრებაზე, ან მეორე მხრივ—მინდორზე, ბაღზე, ბოსტანზე. თუ ეს კომპლექსი უფროს ჯგუფებში იქნება ჩატარებული, შეიძლება პირველყოფილი ველურის ცხოვრებაზე გადასვლა, სადაც ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ არ იყო საჭირო კარმიდამოს აგება: არ ჰყავდა მას საქონელი, არც ჭირნახული ჰქონდა ბლომად გამოზოგილი, არც შრომის სხვადასხვა რთული იარაღი მოეპოვებოდა და სხვა[1]). ამის შემდეგ უკვე შეიძლება გადასვლა ქალაქურ ბინა-საცხოვრებელზე, ქალაქის ცხოვრებაზე და სოფელთან მის მჭიდრო დამოკიდებულებაზე.

ნ. ელჩანინოვი.

---

[1]) იხ. შემდეგი წერილი

პროგრამების დამუშავება შრომის სკოლისათვის

ახალი სკოლა იმდენად სულ სხვაა, ვიდრე ძველი, წიგნური სკოლა, რომ თითქმის ყოველი წინანდელი პედაგოგიური ცნება თუ ტერმინი სულ ახალ შინაარსს იძენს მისათვის. სწავლა, მასწავლებელი, მუშაობა, ყურადღება, წესრიგი, დასვენება, სკოლის გარეშე დროის არდაკარგვა, ცოდნა, გამოდეგრობა, მომზადებულობა—ყველა ამას ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობა და შინაარსი აქვს ძველსა და ახალ სკოლისათვის, რაც თავისთავად ცხადია პირველის უძრავი, წიგნურობის და მეორესი ხალისით სავსე მშრალი შრომამოქმედიანობის დაპირდაპირებიდან. რასაც ერთი უძვირფასეს უპირატესობად სთვლის, მეორე ჰგმობს და სდევნის და წინაუკმო. მაგალითად, ბავშის დამოუკიდებლობას, სიცხოველეს, მოძრაობას, მოქმედიანობას.

ძველ სკოლაში

იმავე ძირფესვიან განსხვავებას წარმოადგენს ძველი და ახალი სკოლის პროგრამების დამუშავებაც. ძველ სკოლაში, რომელშიაც არც ბავშის ასაკი და ბუნება იყო მხედველობაში მიღებული, არც გარემოცული ცხოვრება და სინამდვილე, პროგრამები სივრცისა და დროის გარეშე მუშავდებოდა, დამოუკიდებლად სკოლების მუშაობისა, ცალკე პირებით, ცალკე სენაკებში და ერთიდაიგივე სახელმწიფოს ყველა მხარეებისათვის. ამ პროგრამების შინაარსს სწყვეტდა არა გარშემორტყმული სინამდვილე და მოწაფის ასაკის მოთხოვნილება, არამედ ის, რა უნდა იცოდეს ცხოვრებაში გამოსულმა მოწიფებულმა ადამიანმა სკოლის დამთავრების შემდეგ. ამ ცოდნის ჯამს სკოლის წლების შორის

ამ განყოფილებას უძღვება კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას ნინო ოკუჯავა. 4, 7 და 9-წლიან სკოლების განსაზღვრა და გაშუქება შემდეგ ნომრებში იქნება მოცემული.

ანაწილებდენ და დროს მოსაგებად პირველივე განყოფილების პაწიებს ხშირად მსოფლიო საკითხებს უყენებდენ წინ, მაგალითად, მზის სისტემას გეოგრაფიის კურსში, მამულიშვილობას და კაცობრიობის მოყვარეობას ენის კურსში და სხ.

ასეთი იყო ძველი პროგრამების შინაარსი. მათ სახეს, მასალის განაწილებას და დალაგებას კი სწყვეტდა საგნის ლოგიკური მიმდევრობა და თანდათანობა—და არა ის, რა და რა თანდათანობით უფრო ეხერხება ბავშს მიღებული პროგრამის შეთვისება. მაგალითად, გეოგრაფიის დაწყებითი კურსი იწყებოდა მიწის სირგვალის და მზის გარშემო ბრუნვის დამტკიცებით, თავდებოდა კი საკუთარი კუთხის ზედაპირის სახის გაცნობით: წყალი, ხმელეთი, მდინარე, კუნძული და სხ.; საკვირველი არ არის, რომ ასეთ შესწავლას „გავლა“ ეწოდებოდა.

დღეს კი, როგორც კარგად ვიცით, ამისი საწინააღმდეგოა შემოღებული გეოგრაფიის სწავლის დაწყებისათვის, ე. წ. „სამშობლოს შესწავლის“ სახით, რომელსაც საკუთარ კუთხისაგან მთელ ქვეყნისაკენ მიჰყავს ბავშვ; და არა უბრალო გავლით, არამედ საკუთარის პაწია კვლევა-ძიებით, ძებნით და შრომით. კიდევ უკეთეს მაგალითს გვაძლევს გეომეტრიის წინანდელი და დღევანდელი დაწყება. წინანდელი, ბავშის აზროვნებისთვის სულ უკულმა აგებული დედუქტიური ე. წ. ევკლიდის ლოგიკური გეომეტრია განყენებულ წერტილიდან კონკრეტულ სივრცემდე და დღევანდელი სავსებით საბავშო, მეცნიერებაში ე. წ. ინტუიტურ-ინდუქტიური გეომეტრიაში შეყვანა—ფორმის უმეშველო გაცნობა, რის შესახებ იხილეთ ზაფხულში გამოსული ახალი პროგრამები „ახალ სკოლისაკენ“ ნაწ., II გვ. 105, „გეომეტრიის კურსის ხასიათი პირველ ორ წელიწადს“.

აქედან ცხადია, რამდენად უფრო ადვილი ყოფილა ძველი სკოლის პროგრამების დამუშავება ყველგან ერთნაირი ოძრავი სწავლებისათვის წიგნით, სიტყვით და უცხო ქვეყნების სურათებით. ამითი აიხსნება, რომ პროგრამების დამუშავებას ძველ სკოლაში უბრალო „შედგენა“ ეწოდება. „ამ საალამოს ისტორიის პროგრამა უნდა შევადგინოთ“. დღევანდელ პროგრამების „შედგენა“ კი ისეთი ძნელი და რთული საქმეა, რომ ამ საკითხის სულ ზოგად გარჩევას ცალკე წერილი ესაჭიროება.

ახალ სკოლაში

წინააღმდეგ ძველი სკოლის პროგრამებისა, ახალი სკოლის პროგრამა;

1. ასაკის ყოველმხრივ თავისებურობას უნდა ეთანადებოდეს[1]).

2. ყოველ კუთხისა და მხარესათვის ცალ-ცალკე უნდა იყოს დამუშავებული, **ადგილობრივი** ცხოვრების ყველა მხარეების გარშემო, ბუნებიდან და ადგილობრივ შრომა-ცხოვრებიდან მთელ ადგილობრივ საზოგადო წყობილებამდე.

3. პროგრამა უნდა იყოს ან ყოველ წლისათვის მთლიანი, ყველა საგნების ერთმანეთთან შემაფარდებელი და შემათავსებელი, ან ისე დამუშავებული ყოველი საგნისათვის, სხვა საგნების მუდამ ყურადღებაში მიღებით და მათთან სითანადის დაცვით, რომ მთელი კურსის განმავლობაში შესაძლო იყოს, როგორც კი ეს საჭირო აღმოჩნდება, სხვა საგნებთან კომპლექსის ჩატარება.

4. ერთისადაიმავე ასაკისათვის და კუთხისათვის შესაძლოა იმდენი სხვადასხვა პროგრამა, რადენიც ერთმხრივ სხვადასხვა **საფუძველი**, მეორე მხრივ სხვადასხვა **საკომპლექსო ღერძი** ექნება არჩეული ამა თუ იმ პროგრამის შედგენას. მაგ. სასოფლო-სამეურნეო, მრეწველობითი თუ კულტურულ-ისტორიული საფუძველი კუთხის ყოველმხრივი შესწავლისათვის მოცემულ წელს, რასაც უმთავრესად **გარემოს** ხასიათი სწყვეტს—სოფელი, ქალაქი, ისტორიულ ნაშთთა სიახლოვე და სხ. ამ ერთ-ერთ არჩეულ საფუძველზე კი საკომპლექსო ღერძად, მაგალითად, ადამიანი და ბუნება, ადამიანი და შრომა, არსებობისათვის ბრძოლა, პირველყოფილი და დღევანდელი ადამიანი, ზამთარი, გაზაფხული, მთა, ბარი, და სხ. და სხ. (იხ. ამავე ნომერში წერილები კომპლექსური მეთოდის შესახებ).

მხოლოდ ამითაც რომ განისაზღვრებოდეს ძველი და ახალი სკოლის პროგრამების დამუშავების განსხვავება, ესეც საკმარისია ახალი მუშაობის უსაზღვრო სიძნელის დასანახავად. მაგრამ ეს განსხვავება კიდევ უფრო შორს მიდის:

5. უკვე არჩეულ საფუძველზედაც, საკომპლექსო თემაზედაც შეიძლება სულ სხვადასხვა პროგრამა აიგოს, იმის მიხედვით, თუ ახალი სკოლის რომელი ძირითადი **მეთოდი** დაედება საფუძვლად მთელი წლის თუ ცალკე საგნის ჩატარებას, ლაბორატორიულ-კვლევითი—თუ ექსკურსიულ-კვლევითი, დალტონის გეგმით ბიბლიოგრაფიული თუ იმავე გეგმით საბუნებისმეტყველო—ლაბორატორიული[2]), სახელოსნოებში მუშაობაზე

---

[1]) იხ. სათანადო წერილი ამავე ნომერში.

[2]) იხ. წერილი დალტონის გეგმის შესახებ ამავე ნომერში.

აგებით თუ მინდორ-ბაღ-ბოსტანში მუშაობით და სხ., რასაც ხშირად **სკოლის** მატერიალური **მოწყობილობა** სწყვეტს ამა თუ იმნაირად. ცხადია, რომ ერთიდაიგივე საკითხი სულ სხვადასხვა სახეს და შინაარსის ელფერს მიიღებს ასეთი ძირითადად სხვადასხვა ჩატარების გამო.

მაგალითად, თუ წლის საკომპლექსო ღერძად ადამიანის კულტურული დაპყრობაა არჩეული „პირველყოფილი და დღევანდელი ადამიანის" თემის სახით, ამითი, რა თქმა უნდა, უკვე გადაწყვეტილია წლის ზოგადი შინაარსიც, საზღვრებიც, სწავლის ძირითადი მეთოდიც (ე. წ. „საკონტრასტო"). ცხადია, ასეთი თემის მიზანი უნდა იყოს დღევანდელი ცხოვრების შეგნება მისი არა მხოლოდ პირდაპირი შესწავლით, არამედ მის განუწყვეტელი შედარებით პირველყოფილი ადამიანის უმწეო მდგომარეობასთან ცხოვრების ყოველ იმ მხარეში, რომელიც დღეს ამ შედარების ჩაუტარებლად ბუნებრივ და არასაყურადღებო საქმედ გვეჩვენება, მაგალითად გათბობა-განათების საქმე, რომლის დასაფასებლად ბავშვმა უნდა პირველყოფილი ადამიანის მდგომარეობა გამოიაროს ცეცხლის მოპოვებამდე, რის შემდეგ და მხოლოდ რის შემდეგ მისთვის მისაწვდომი ხდება როგორც პრომეთე-ამირანის თქმულების შარავანდედი, ისე დღევანდელი ელექტროთბობის, განათების და საერთოდ ელექტრო-სიმხნის მნიშვნელობა მზის შუქებრივ განათებიდან მთის წიაღის და ზღვა-ხმელეთის დაპყრობამდე ელექტრო-ბრძმედოსნობის და ელექტრო მისვლა-მოსვლის შემწეობით. ეს არის შესწავლის ე. წ. შედარებით—საკონტრასტო მეთოდი, ერთი-საღაიმავე საგნის ან მოვლენის ორი საწინააღმდეგო მდგომარეობის ან სახის დაპირდაპირება და ამნაირად უფრო ღრმად და მრავალმხრივ შეთვისება.

მაგრამ ამ მოსაზღვრული ზემოაღნიშნული თემის ფარგალში ისევ მეთოდებს თუ დაუბრუნდებით, კურსმა შეიძლება სულ სხვადასხვა სახეც მიიღოს, ხასიათიც, **კონკრეტული შინაარსიც,** იმისი მიხედვით, თუ რომელი ზემოჩამოთვლილი მეთოდი დაედება საფუძვლად ამ წლის და ასაკის მუშაობას. ამის გარდა თუ, მაგალითად, ამ კურსს ბუნებისმეტყველი და მათემატიკოსი ჩაატარებენ, ეს ერთი იქნება, თუ საზოგადოებათმეცნიერი, მხატვარი და ტექნიკოსი, სულ სხვა კურსს მივიღებთ და ასე საგნების ყოველი ახალი კომბინაციისათვის. ერთი დამუშავება ბაღ-ბოსტანში მუშაობას და ზომვა-აღმშენებლობას წამოწევს წინ, პირველყოფილი ადამიანის ხეზე მოწყობილ თავშესაფრიდან დღევანდელ სამეურნეო კარმიდამომდე, მე-

ორე დამუშავება კი დააწვება პირველყოფილი და დღევანდელი ცხოვრების ტექნიკას და ფსიქიურ კულტურას, ერთის მხრივ მისი ეპოსით, პოეზიით, სიმღერა-მუსიკით და თქმულებებით, ყველა ამისი დრამატიზაციით, იმავეგვარად ახალის შექმნით და სხ., მეორე მხრივ, დღევანდელი ქარხნოსნული ხანის ყველა მხარეების შესწავლით დღევანდელი ქალაქის ცოცხალ ცხოვრებიდან (ტრამვაი, ჰაეროპლანი, ავტომობილი და სხ.). მოკლედ, ამ ერთსადაიმავე თემაზე შესაძლოა **ორა ნაკლებ სამი-ოთხი** სხვადასხვანაირი **პროგრამის შედგენა** სკოლების ერთსადაიმავე წლისათვის, ე. ი. მოწაფის ერთსადაიმავე ასაკისათვის. თემის ერთ-ერთი დამუშავება სკოლის მეხუთე წლისათვის აწერილია ჩვენი მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლის გამგის, ს. კარაბინოვას მოხსენებაში, რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ რუსულადაა გამოცემული ტფილისის განათლების მუშაკთა სახლის მიერ: „Опыт слияния предметов в одной из школьных групп".

სხვათა შორის ამ ნომერში მოთავსებულია ამ სკოლის სრული ანგარიში მისი ორ-წლიური მუშაობის შესახებ, რომელიც იმდენად გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენს ახალ სკოლისაკენ, რომ მისი გაცნობა საინტერესოა ყოველ პედაგოგისათვის, კიდეც რომ არ ეთანხმებოდეს ამ სკოლის მიერ არჩეულ გეზს ან ცალკე მხარეებს.

განყოფილების მიზანი

ყველა ამის შემდეგ ცხადია, რითია გამოწვეული ჩვენი ჟურნალის ასეთი არაჩვეულებრივი განყოფილების დაარსება: „4-წლიანი, 7-წლიანი და 9-წლიანი სკოლის პროგრამების დამუშავება". ძველი სკოლისათვის ეს შეუძლებელი იქნებოდა, რო განათლების საქმის სათავეში მდგარ ორგანოს მიემართოს მასწავლებლობისათვის,—ჩვენი ახლად აღიარებული სკოლისათვის პროგრამები თქვენ შეგვიდგინეთო, თუმც ჩვენც ასეთ პროგრამებს ეს არის ვაქვეყნებთ კრებულის „ახალ სკოლისაკენ" მეორე ნაწილის სახითო.

წიგნურ სკოლისათვის ამ გამოქვეყნებული პროგრამებით უკვე ყველაფერი იქნებოდა გადაწყვეტილი, შრომა-მოქმედიანობის სკოლისათვის კი ეს გამოქვეყნებული პროგრამები მხოლოდ საერთო საზღვრებს და მიჯნებს იძლევა ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეებისათვის, იმ საერთო ჩარჩოს, რომელსაც ყოველი კუთხე და თითქმის ყოველი სკოლა თავის საკუთარი შინაარსით ავსებს, იმის მიხედვით, თუ რას დაიბახავს უფრო საჭიროდ, ნაყოფიერად და შესაფერისად თავისი კუთხისათვის,

მოწაფეებისათვის და სკოლის პედაგოგიური მოწყობილობისათვის თუ მოუწყობლობისათვის*).

ხაზგასმა ზედმეტია, თუ რამდენად რთული და ძნელია ეს ყოველ-მხრივ ახალი საქმე. უმთავრეს მის სიძნელეს შეადგენს საქმის მიხედვით მეთოდების უქონლობა, მუშაობის ამ ამოუწურავ ზღვისათვის ჯერ არც მეცნიერული მეთოდები დამუშავებული, არც სისტემა. საქმე ჯერ პიოვანდელ, თითქმის ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფება; მხოლოდ აქა-იქ ჩნდება ამოსნის ხან ერთი, ხან მეორე ჩანასახი და გზის გასაგნები ნაპერწკალი. ასეთია, მაგალითად, მოსკოვის ახლად გამოქვეყნებული პროგრამები — „Новые программы для единой трудовой школы", вып. I, первый и второй годы школ I ступени.

ამ პირველი ორი წლის პროგრამების დამუშავებას საფუძვლად დადებული აქვს ყველა სამოსწავლო საგნების შეერთება-შეჯვარება სამი ძირითადი ღერძის გარშემო: 1—ბუნება და ადამიანი 2—შრომა და 3—საზოგადოება. ცალკე საგნები—მათემატიკა, გეოგრაფია, საზოგადოებათმეცნიერება და სხ. იქ ალარ მოიპოვება. მთელი წიგნაკი საკითხის მეტად საინტერესო მიდგომას შეიცავს, მაგრამ მხოლოდ როგორც საცდელ, და არა როგორც პირდაპირ გადმოსაღებ მასალას, რომელშიაც არა ერთი შეცთომაა დაშვებული, უმთავრესად ბავშის ფსიქოლოგიის წინააღმდეგ, რაც აღნიშნული აქვს ნ. ელჩანინოვს ამავე ნომერში მოთავსებულ წერილში: „კომპლექსური მეთოდის შესახებ". ურჩევთ ყოველ პედაგოგს გაეცნოს ამ პროგრამებს, თუ ხელში ჩაუვარდებათ.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადზე უცხადესია, რომ ჯერჯერობით საკითხის აღძვრაც არ შეიძლება **ყველა** ჩვენი კუთხეების და სკოლების დავალების შესახებ, პროგრამების დამუშავებას შეუდექითო. ეს საქმე ჯერ ტფილისის სამ საცდელ-საჩვენებელ სკოლაშიაც დაწყებით მდგომარეობაშია, თუმც ამ სკოლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სწორედ ეს საქმე შეადგენს—საქართველოს ყველა სხვა სკოლებისათვის წინასწარი, გზის გასარკვევი ლაბორატორიის როლის შესრულება ამ საქმეში, მაგრამ ჟურნალის მხურვალე სურვილია, ყოველმა სკოლამ თუ გა-

*) ამ ნომერში ერთი მეტად საგულისხმიერო ცოცხალი მაგალითია მოთავსებული იმისი, თუ როგორ შეიძლება სწავლის ახალნაირი ჩატარება და სკოლის თანდათანობითი გამდიდრება სამოსწავლო დამხმარე მასალით, როცა ამისათვის არაფერი გაბადია, საექსკურსიო მეთოდის გარდა. იხ. „ლეჩხუმის კურსების ექსკურსიები" და „ახალქალაქის კურსების ანგარიშიდან".

ნათლების მუშაკმა რაც შეიძლება მეტი **ყურადღება მიაქციოს** პროგ-
რამების საკითხს. დაეკვირდეს ჩვენ ახალ პროგრამებს, რომელთაც ყველა
ზემოთქმულის გამო კომისარიატმა განზრახ „საპროგრამო მოსაზრებანი"
დაარქვა და არა პროგრამები; აწონ-დაწონოს მათი ფარგლები, შინაარ-
სი, თავისი სკოლის და კუთხის პირობებისთვის გამოდეგრობა თუ გამო-
უდეგრობა, ხან ასე, ხან ისე გამოსცადოს სხვადასხვა საგნისა და საფე-
ხურის პროგრამა და გვაცნობოს თავისი ცდის ყოველი შედეგი, ყო-ველ-
ი თავისი მოსაზრება, რჩევა თუ პროტესტი.

ტფილისში უკვე დაწყებულია ასეთი მუშაობა რამოდენიმე სკო-
ლაში, გარდა სამი საცდელი სკოლისა; მაგალითად, ტფილისის მე-6ჯ შრომის
სკოლაში ისანში (ავლაბარში), რომელმაც წარსულ სამოსწავლო წელს
მთელი თავისი მუშაობა ახლობლად მ ითავსებული ბამბის ქარხნის გარ-
შემო ჩაატარა რამდენიმე თავისი ჯგუფისათვის, ამ ჯგუფების ქარხა-
ნასთან დაკავშირებიდან — სკოლაში ბამბის მოშენებამდე. ამ სკოლის
მეხუთე ჯგუფის მთელი წლის კომპლექსური მუშაობის მასალა გამო-
ფენილი იყო ტფილისის მეზრის სკოლის გამგეების კონფერენცია-გამო-
ფენაზე, რომლის ანგარიში მეორე ნომერში იქნება ჰითავსებული ეს ქარ-
ხანაზე აგებული კომპლექსი განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც
საწინააღმდეგო და თანშემავსები მუშაობა სოფლის სკოლის სასოფლო-
სამეურნეო კომპლექსებისათვის და როგორც ახალი სკოლის ძებნის ორი
სულ სხვადასხვანაირი გზა ქალაქისა და სოფლისათვის.

დიდ და განუწყვეტლივ მუშაობას ამავე მიმართულებით ეწევა
ტფილისის **განათლების მუშაკთა სახლიც** სხვადასხვა თავის სექციაში
მათემატიკურიდან სკოლის ასაკამდე აღზრდის სექციამდე. ამ სახლის
მუშაობის აღწერა და გაშუქება მოცემული იქნება ჟურნალის არა ერთ
ნომერში.

სწორედ ასეთი ძებნის შეძლებისდაგვარ გაზიარებას ვთხოვთ და-
ნარჩენ მასწავლებლებსაც და ამ ძებნისთვის, ასე ვთქვათ, ადგილობ-
რივის სისხლხორცის შესხმის დაწყებას.

ამ ნომრის თითქმის ყოველი წერილი ერთსადაიმავე მიმართვის
შეიცავს მასწავლებლობისადმი: ნურავინ ნუ შეეშინდება თავისი მიდ-
წევის სიმცირეს. მთელი მუშაობის ზღვასთან შედარებით, საქმის დასა-
წყისში უმცირეს წვლილს ხშირად ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა ძებნის
ქაოსიდან გამოსაყვან გზის მისაგნებად.

პროგრამების ძებნისათვის ამ მიმართვას კიდევ უფრო მეტი

მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე სხვა საკითხებისათვის, ვინაიდან ჩვენი სკოლის აგების საქმე სწორედ ამ საკითხშია განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში, რადგან ჩვენი ქვეყნის უბადლო მრავალფეროვნობისა და არაერთგვაროვნობის გამო მასში შეუძლებელია შრომის სკოლის პროგრამების **ფართო-კოლექტიურად დაყენებული** დამუშავება.

მართლაც, როგორც შვეულად, მთების ფერდობის ასწვრივ, ისე თარაზულად, ჰორიზონტალურად, მთის მრავალი შტო-ქედის შუა-შუა საქართველო ისეთ ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ სიჭრელეს და სხვადასხვანაირობას წარმოადგენს, იმდენ სულ სხვადასხვაგვარ ზოო-მცენარეულ სარტყელს და სახეს შეიცავს, იმდენ სულ სხვადასხვაგვარ კულტურულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს და კერას, რომ საქართველოს საერთო წარმოდგენა შეუძლებელია, მისი საერთო სურათი არ არსებობს. ვერავინ იტყვის, როგორი ჰავა ან ნიადაგი, როგორი მოსახლეობა ან კულტურის დონე ახასიათებს მთლიან საქართველოს, რომლის მთელი ტერიტორია თვალუწვდენად გადაშლილი ვაკე რუსეთის ზოგიერთ გუბერნიას არ აღემატება.

სწორედ ამნაირადვე ვერავინ შექმნის ვერავითარ საერთო პროგრამას როგორც ცალკე საგნებისა ისე სხვადასხვა კომპლექსებისათვის, რომელიც გამოდგებოდეს მთელ საქართველოსათვის, ვინაიდან როგორც ყოველი საგანი სამშობლოს შესწავლიდან მათემატიკამდე, ისე ყოველი კომპლექსიც, რაც გინდა საკითხის გარშემო იყოს ის აგებული, სულ სხვადასხვა სახეს იღებს ჩვენი პატარა ქვეყნის ყოველ ცალკე კუთხეში ზემოსვანეთის მაღალმთოვან ცივ ქვეყნის ლანდშაფტიდან ქვემო-იმერეთის ქვეტროპიკულ ჰავა-მცენარეულობამდე და ფშავეთ-ხევსურეთის მამაპაპური პირველყოფილობიდან ტფილისის აგერ-აგერ ელექტრო-ქარხნოსნულ ცხოვრებამდე, და ყველაფერს სულ 20 ან 40 ვერსის მანძილზე ერთმანეთისგან.

ამასთან ერთად ერთსადაიმავე კუთხეში ხშირად ერთი სოფელი შევენახეობას ეწევა, მეორე მეფუტკრეობას, მესამე მესაქონლეობას და რძის მეურნეობას, მეოთხე მეაბრეშუმეობას და მენესვეობას. ცხადია, რა მდიდარი და მრავალშესაძლებლობიანი ნიადაგი ეძლევა ასეთ კუთხეებში ახალი სკოლის ძებნას და მისთვის ახალ პროგრამების აგებას.

ეს საქმე ჩვენში ჯერ დაწყებული არ არის. ჩვენი მთა, სოფელი, ბარი, ყველა ერთნაირად მოელის თავის მკვლევარს, ამმოძრავებელს და განმანათლებელს.

აი რატომ აქვს ჩვენში სხვა ქვეყნებზე უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც **მასწავლებელთა ორგანიზაციას ადგილებზე** (იხ. სათანადო წერილი ამავე ნომერში), ისე **მხარეთგნობას** ანუ მხარეთმეცნიერებას" (краеведение) (იხ. სათანადო წერილი ამავე ნომერში) და ამავე მიზეზით პროგრამების ყოველ კუთხეში ცალკე მოფიქრებას და შემზადებას, რისაკენ კიდევ ერთხელ იწვევს ჩვენს მასწავლებლობას „პროგრამების დამუშავების" განყოფილება და რასაც არა ერთი წერილი და ცდის ანგარიში ეძღვნება ჟურნალის ყოველ შემდეგ ნომერში.

რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.

P. S. **ახალ სახელმძღვანელოთა შესახებ.** ყოველივე ზემოთქმული შესახებ პროგრამების დამუშავებისა ახალ სკოლისათვის (ძველ სკოლასთან განსხვავება, ახალი მიზნები, სიძნელე და სხ.), თავიდან ბოლომდე შეეხება ახალ **სახელმძღვანელოების შედგენასაც**, როგორც მოწაფეებისათვის ისე მასწავლებელთათვის. რაც უძრავ, წიგნურ სკოლისათვის საუკეთესო წიგნად ითვლებოდა, ის შრომა-მოქმედიანობის სკოლას „სასკოლო სენად" და უაღრეს მავნებლობად მიაჩნია და წინაუკმო, რაც ძველ სკოლაში დროს დაკარგვად და ბავშების „გაზარმაცებად" ითვლებოდა, იმას ახლა განსაკუთრებული ფასი ეძლევა. ანგარიში თამაშით, წიგნის ნაცვლად, ფორმების გაცნობა ბოსტანში და, არა ხაზვით, ფიზიკა სახელოსნოშიაც და არა მხოლოდ ფიზიკურ კაბინეთში ან ზოოლოგიურ გარემოში და არა ,,კედლის სურათებით—აი არა ერთი მასალა და საკითხი დღევანდელ სახელმძღვანელოების დამუშავებისათვის. ამის შესახებ არა ერთი წერილი იქნება მოთავსებული ჟურნალის შემდეგ ნომრებში.

რ. ნ.

მოწაფეთა თვითმართველობა

კაკოპრიობის განვითარების პროცესის ეტანები ერთი-მეორეს მოს-
დევენ განუწყვეტლივ და თვითეულ მათგანს განსაკუთრებული და-
მახასიათებელი თვისებები აქვს, რომელთა შორის ყოველთვის შეგვიძ-
ლია აღვნიშნოთ 2-3 ისეთი თვისება, რომელიც სხვაზე უფრო ნათ
ლად ახასიათებს მას და ამასთანავე შეადგენს მის ძირითად მხარეს.

სკოლა ბავშვების დაწესებულებაა — ე. ი. საზოგადოების ყველა-
ზე უფრო დრეკადი ნაწილისა, რის გამო მასში ყველაზე უფრო მკვეთ-
რად უნდა აღისახოს თანამედროვე ცხოვრება. ყოველივე მტკიცება,
რომ საერთოდ სკოლა და განსაკუთრებით მასიური სკოლა პო-
ლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, თავისთავად უკვე პოლიტიკაა საზოგა-
დოების განსაზღვრული წრეებისა

ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სახელმწიფოთა მსოფლმხედველო-
ბათა წინააღმდეგობამ თავი იჩინა სკოლაშიაც. ბურჟუაზიული სახელ-
მწიფოების მიზანია მოამზადონ ისეთი მოქალაქე, რომელიც შეეფერება
არსებულ სახელმწიფო წესწყობილებას, პროლეტარული სახელმწიფოები
კი მიისწრაფიან მოამზადონ ისეთი მებრძოლი, რომელიც განახორ-
ციელებს მუშათა კლასის იდეალებს, იბრძოლებს სახელმწიფოს და კლა-
სების მოსასპობად. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სხვადასხვა კლასთა
შორის განხეთქილების განმტკიცებას მოჰყვა აუცილებლობა საზოგა
დოების სხვადასხვა ნაწილებისათვის სხვადასხვა ტიპის სკოლების შექ-
მნისა; ამ სკოლებში სხვადასხვანაირია მთელი სასკოლო ცხოვრებაც,
კერძოდ ბავშთა თვითმართველობაც გერმანიაში.

გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი.

ბურჟუაზიულ მასიურ სკოლებში თვითმართველობა წამოშვა
მასწავლებლის სურვილმა, დაეკისრებინა მოწაფეთათვის თავისი
საქმე, ზედამხედველის ვალდებულება. სასწავლებლის ამგვარი ტიპი მე

ამ განყოფილებას უძღვებიან თამარ ბებურიშვილი, ო. პროკენკო და
ს. კარაბინოვა მჭიდრო ურთიერთობით საკრებულო მუშაობის განყოფილებასთან.

ტად გავრცელებულია, მაგალითად, გერმანიაში, სადაც მოწაფეთა ორგანიზაციაში ნახავთ ზედამხედველობა და გამგეების მთელ რიგს: ზედამხედველები სისუფთავისა, წესრიგისა, წესიერი ლაპარაკისა, საერთო ყოფაქცევისა, გამგეებს—თამაშობისა, გერბარიუმისა და სხვა. ესენი არიან სწორედ ზედამხედველები, მეკონტროლები, რომელნიც აიძულებენ ბავშვებს შეასრულონ სკოლის მიერ წამოყენებული მოთხოვნანი. ასეთია ბავშთა თვითმართველობის ტიპი გერმანიის მასიურ, სახალხო სკოლებში.

გაბატონებულ კლასთა სკოლებში კი სურათი რამოდენიმედ იცვლება: აქ ბავშვებს უკვე ეძლევათ ზოგიერთი უფლება მიიღონ მონაწილეობა სკოლის ცხოვრების ორგანიზაციაში. მოწაფეები აწყობენ სასკოლო კოოპერატივებს, მონაწილეობას იღებენ სკოლის სამეურნეო საქმეებში, აწყობენ უქმეებს, მოხსენებებს, ექსკურსიებს და ნაწილობრივ კიდეც მონაწილეობასაც იღებენ სკოლის მეცადინეობის განრიგების შედგენაში. ბავშთა ორგანიზაციას განაგებს ე. წ. „პრეზიდენტი", რომელსაც ირჩევს ბავშთა საზოგადო კრება ყოველ ტრიმესტრისთვის, წლის მესამედისათვის. პრეზიდენტი ირჩევს თანაშემწეს და თვალ-ყურს ადევნებს საერთო კრების დადგენილებათა შესრულებას და ამასთანავე ბავშვების მხრივ წარმოადგენელია მშობლების კომიტეტის კრებებზე. ამგვარი ორგანიზაციის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია პრეზიდენტის პიროვნებაზე.

შვეიცარიასა და ამერიკაში.

ამერიკის და შვეიცარიის სკოლების თვითმართველობა შეადგენს შემდეგ ეტაპს; ეს ქვეყნები უფრო მოწინავენი არიან პოლიტიკურად. შვეიცარიასა და ამერიკაში ცდილობენ გადაიტანონ სახელმწიფო კონსტიტუცია სკოლაში. რომ სასწავლებლის საშუალებით გააცნონ ეს ბავშვებს. ამერიკის მრავალ სასწავლებელში სასკოლო წესებს და სასჯელებს ამყარებენ მოწაფეების მონაწილეობით იმ მიზნით, რომ ბავშვებმა წინასწარ ივარჯიშონ მომავალ უფრო მომწიფებულ საზოგადოებრივ ფორმებისათვის მოსამზადებლად. მოწაფეებს უფლება ეძლევათ მოაწყონ თავისი სასკოლო ცხოვრება, მაგრამ თუ ეს თავისუფლება ბავშვებს დაარღვევინებს სასკოლო ორგანიზაციას, მაშინ კლასს ართმევენ ამ თავისუფლებას და აიძულებენ კანონის დაცვას. ამის შემდეგ, ვინც გამოერჩევა თავისი კარგი ყოფაქცევით, მას ჩასწერენ „თავისუფლების ფურ-

ცელში", ე. ი. უფლება ეძლევა ისარგებლოს თვითმართველობის ორგანიზაციის მიერ გამომუშავებულ წესებით და არა იმ განკარგულებებით, რომლებიც მოდიან ზევიდან.

ამერიკის და შვეიცარიის სკოლების თვითმართველობის ფორმა სავსებით გამოისახა მათ „სკოლა-ქალაქებში", რომლებსაც ისინი სთვლიან „პოლიტიკური აპატიის და დემოკრატიის პოლიტიკური გათახსირების მთავარ საწინააღმდეგო საშუალებად". სკოლას უცქერიან, როგორც საზოგადოებრივ ერთეულს, ხოლო კლასს — როგორც მის შემადგენელ ნაწილს. მოწაფეები, სულ პატარების გარდა, მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. თანამდებობაზე შეიძლება აირჩიონ მხოლოდ უფროსი კლასის ორი მოწაფე, თავად და პრეზიდენტად კი — უკანასკნელი კლასის მოწაფე. არჩევნების წინასწარ კრებებს აწარმოებენ ის მოწაფეები, რომლებმაც წინდაწინ მიიღეს მასწავლებლისაგან სათანადო საპარლამენტო მომზადება. ასარჩევ კანდიტატებს დაახასიათებენ კრებაზე და შემდეგ არჩეული ვალდებულია მოკლე სიტყვიდ წარსდგეს „ხალხის" წინაშე. ახლად არჩეული „პარლამენტი" (თითო დეპუტატი კლასიდან) შეიმუშავებს სასკოლო წესებს და ირჩევს თანამდებობის პირთ: მოლარეს, მამასახლისს, ნოტარიუსს. ჯარიმები, რომლებსაც ახდევინებენ ბავშებს წესრიგის დარღვევისთვის, შეადგენენ სამმართველოს ხაზინას. პარლამენტი იკრიფება ყოველთვიურად და ამ ვადითვე ირჩევენ აღნიშნულ თანამდებობის პირთ. ყველა არსებულ თანამდებობაზე შეიძლება აირჩიონ მასწავლებელიც. ამგვარ ორგანიზაციებში ბუნებრივად აქტიური მონაწილეობას იღებენ უფრო ძლიერი და ნიჭიერი ბავშები. თვითმართველობის ამგვარი ფორმა ბევრად გამოსადეგია სკოლისათვის, მაგრამ აუცილებელი არ არის მისთვის, რადგან უმისოდაც ბავშს შეუძლია ძალიან კარგი მოწაფე იყოს თავის სკოლისათვის.

შრომის სკოლაში.

კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებათა ცხოვრების მიზნების განსხვავება ნათელსა ჰფენს მათი სკოლების ორგანიზაციის განსხვავებასაც. პირველის ლოზუნგია — ცხოვრება სიამოვნებისთვის, შრომა კი იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია თავისი მიზნის მისაღწევად, მეორესთვის კი ცხოვრების საფუძველია **შრომა** და **კმაყოფილება** არა მარტო შრომის საშუალებით, არამედ **თვით შრომით.**

ამისათვის თანამედროვე სკოლამ თავისი შრომითი პროცესების საშუალებით უნდა შეჰქმნას უპირველეს ყოვლისა **მშრომელი მოქალაქე**. რადგანაც ახალი სკოლა თავის მიზნად სთვლის მუშათა კლასის იდეალებისათვის მებრძოლის და ახალი სოციალური საზოგადოების აღმშენებელის შექმნას, მან სწორედ მოწაფეთა **თვითმართველობის** საშუალებით უნდა გაიკაფოს გზა ცხოვრების ახალ ფორმებისაკენ.

თვითეული სკოლის თვითმართველობა

ახალი სკოლის თვითმართველობა გულისხმობს **სამ** მომენტს: პირველი არის ის მუშაობა, რომელიც წარმოებს თვით **სკოლაში**—მისი შინაგანი მუშაობა, მეორე—მოფიქრებული, სისტემატიური კავშირი ამ სკოლისა და სხვა საბავშო ორგანიზაციათა შორის და მესამე—კავშირი დიდების ორგანიზაციებთან.

თუ სკოლას შეუძლია დაგვისახელოს ის დღე, როდესაც მან თვითმართველობა დაიწყო, ეს ნიშნავს, რომ ის ჯერ არ შემდგარა **ახალ** გზაზე და არც შეუგნია ახალი სკოლა, რადგანაც ყოველი სკოლის თვითმართველობამ **უნდა** გაიაროს განვითარების ფაზების მთელი რიგი. თვითმართველობის დასაწყისი არავითარ შემთხვევაში პედაგოგიურ მუშაობის დასაწყის მომენტად არ უნდა ითვლებოდეს, არამედ მას წინ უნდა უძღოდეს აქტივობის, მუშაობაში თვითმოქმედების და საზოგადოებრივი ინტერესების განვითარება.

სკოლამ განვლო ის ხანა, როდესაც ბავში მხოლოდ იზეპირებდა გაკვეთილს და დადგა იმ გზაზე, როდესაც ყოველი მოწაფე პირველი მომენტიდანვე მკვლევარი ხდება და თავის მოხერხებით და თაოსნობით აძლევს სახეს მისთვის საინტერესო მასალას. ის სახავს არა მარტო იმას, რაც ესმის, არამედ იმასაც, რის გაბატონებაც მას სურს, ე. ი. **მუშაობაში შეაქვს თავისი აზრი და თავისი ინდივიდუალობა** და ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მას ესმის **კოლექტივის მნიშვნელობა**, მისთვის საჭირო ხდება ამხანაგებთან ლაპარაკი, თათბირი, რომ თავისი აზრი შეავსოს და თანამოაზრეც შეიძინოს.

ბავში მეტად ამაყობს თავისი პირველი მუშაობით და უფრო დიდი სურვილი ებადება შემდეგი მუშაობისათვის. განა შეიძლება, **რომ** **ან** **არ** დააფასოს და არ გაუფრთხილდეს თავის ამხანაგის ნამუშავარს, როდესაც მან თავისი პირადი ცდით იცის, რამდენი შრომა და სურვი-

ლია დახარჯული ამ სამუშაოზე. დგება მუშაობის მეორე მომენტი, როდესაც ბავშთა სხვადასხვა ნამუშავრის მთელი რიგიდან იქნება ერთი მთლიანი **კოლექტიური ნამუშევარი**. ბუნებრივად ბავშს აღეძვრის სურვილი, რომ ჩისმა ამხანაგმაც კარგად შეასრულოს სამუშაო, რადგანაც უამისოდ ირღვევა ჰარმონია მისი შრომისა. და ამის შემდეგ, პატარა ეგოისტი, საკუთარი პირადი ინტერესებისათვის ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში და რაც ხანი გადის, მით უფრო რწმუნდება, რომ **ერთი ვერაფერს გახდება**, რომ **საჭიროა ორგანიზაცია**, კოლექტივი, ოომელშიაც თვითეული მათგანი უნდა იყოს აქტიური წევრი.

სასკოლო ცხოვრების მოწყობაში განსაზღვრული ფუნქციების შესრულება უკვე აღარ შეადგენს გამოჩენილ პირთა უპირატესობას. ახლა თითქმის ყველა ერთნაირად დაინტერესებულია სკოლის ცხოვრებით, ყველას სურს ყველაფერი იცოდეს და ყველაფერში მიიღოს მონაწილეობა. ახალი სკოლის მთელი გზა, მისი მუშაობის ნაყოფიერება, მჭიდროდ არის დაკავშირებული მოწაფეთა აქტიობასა და ორგანიზაციასთან, რაც სისხლხორცს ისხამს თვითმართველობის სახით.

დალტონის გეგმით მუშაობა, რომლისაკენაც უნდა მიიისწრაფებოდეს შრომის სკოლა, არ შეიძლება განხორციელდეს არც მთლიანად და არც ნაწილობრივ ძველი სკოლის პირობებში, მით უმეტეს, რომ ეს ამერიკული პირობებით წარმოშობილი გეგმა მიუღებელია ჩვენი ცხოვრების სინამდვილისათვის და უნდა დიდის ყურადღებით შეუხაჰდეს ჩვენს პირობებს. უდავოა, რომ ამ გეგმის ნაყოფიერად გატარება შეუძლებელია, თუ მოწაფეთა თვითმართველობა და თვითმოქმედიანობა სკოლაში არ იქნება სასურველ ნიადაგზე დაყენებული, სწორედ იმნაირად, როგორც შეუძლებელია, მაგალითად, მეორე სართულის აშენება, თუ პირველი არ არის.

მოწაფე უნდა გახდეს **აქტიური** მოღვაწე, მას უნდა სურვილი ჰქონდეს არა მარტო მონაწილეობა მიიღოს სკოლის ორგანიზაციაში, არამედ მან ჯიდეც უნდა მოინდომოს თვითონ ააშენოს ეს ცხოვრება თავისი ცოდნის და შეგნების მიხედვით და ამასთანავე იხელმძღვანელოს თავისი უფროსი ამხანაგების-პედაგოგების გონივრული დარიგებით. ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ასეთი საქმის დაყენებით ის საშიშროება მოგველის, რომ შეიძლება მოწაფე მხოლოდ ლაპარაკს მოუნდეს, ლაყბობას და გაკეთებით კი ცოტა გააკეთოს. ეს დიდი შეცთომაა, რად-

გან ეს მოსალოდნელი იყო მხოლოდ ძველ სკოლაში, რომელიც აძლევდა მოწაფეებს მზამზარეულ ფორმებს და ამ ფორმების გარშემო ამსჯელებდა მათ.

დღეს მთელი სკოლა და მთელი მისი ცხოვრება უნდა ააგონ **თვით ბავშვებმა**; აქ იმდენი ახალი და საინტერესოა, რომ დრო არც კი რჩება „ლამაზი" ლაპარაკისათვის, საჭიროა საქმის კეთება, საქმიანი ორგანიზაციის შექმნა. ვინც უკვე შესდგა ამ გზაზე, ის ველარ დაიხევს უკან, ორატორობით ველარ დაკმაყოფილდება; ის უკვე **დაუახლოვდა მუშათა ოჯახს** და ძისთვის ძვირფასია ყოველი საათი. იზრდება და ძაგრდება ის ამ მუშაობაში და რაც ხანი გადის, მით უფრო ახალ-ახალი პერსპექტივები ეშლება მას თვალ წინ.

შეუძლებელია იმ ფორმების კარნახი, რომლებშიაც უნდა ჩამოყალიბდეს შრომის სკოლის თვითმართველობა, ვინაიდან თვითეულ სკოლაში, მისი განსაკუთრებული პირობების და თვისებების მიხედვით, დასჭირდება თავისებური ელფერის, ფორმის გამონახვა. ასე უნდა გვქონდეს წარმოდგენილი თვითმართველობის პირველი ეტაპი-საფეხური, სკოლის შინაგანი მუშაობა [1])

სკოლათა შორის ორგანიზაციები.

მისი მეორე მომენტია მოფიქრებული, სისტემატიური კავშირი სხვა საბავშო ორგანიზაციებთან; თავისთავად იბადება მოწაფეთა საზოგადოებრიობის უნარის და ალღოს გაფართოების პროცესები; ეს ის მომენტია, რომელსაც უკვე მიაღწია რუსეთის სინამდვილემ, სადაც უკვე 1922 წლის დეკემბერში მოწვეული იყო მოსკოვში **საბავშო** სახლთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა **კონფერენცია** ამ კონფერენციის მუშაობამ მოგვცა ბევრი საინტერესო მასალა და ამიტომ ცალკე იქნება მოთავსებული მისი ანგარიში. [2])

ჩვენებური საბავშო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ მისულან ამ მომენტამდე, ვინაიდან დიდი შრომა დასჭირდება **წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას** საზოგადოებრივი ინსტინქტის გასავითარებლად, ურომლისოდაც ასეთი კონფერენციები, ცხადია, არასასურველი მოვლენაა; არ მისულან, მაგრამ მიდიან ნელის და მტკიცე ნაბიჯით

---

[1]) იხ. ამავე ნომერში მოსკოვის სკოლა-კომუნას თვითმართველობა.

[2]) იხ. ამავე ნომერში.

დიდების ორგანიზაციებთან კავშირი.

მესამე მომენტია — **დიდების ორგანიზაციებთან** კავშირის დაჭერა, და ეს შეიძლება განხორციელდეს მუშათა ნორის მოწაფეთა კულტურული მუშაობით; ძალიან კარგად წავა ასეთი მუშაობა, თუ მოწაფეები, მაგალითად, მასწავლებლის დახმარებით, ჩაატარებენ მუშებთან საუბარს კინემატოგრაფის და ბუნდოვანი სურათების საშუალებით; მაგრამ ეს მუშაობა არ უნდა იქნეს დაწყებული უწესრიგოდ, მოუმზადებლად, ვინაიდან ასე დაწყებული მუშაობა გულს გაუტეხს ბავშებს და გამოიწვევს მუშებში უნდობლობას; საჭირო იყო, თუნდაც მარტო ტფილისში მოგვეწყო **მოწაფეთა სახლი**, ოომელიც მისცემდა მოწაფეებს საშუალებას განევითარებინათ ინიციატივა, ცოდნის მოყვარეობა და ამხანაგებთან ურთიერთობით პროცესში გაეკაფათ ცხოვრების ახალი გზები.

თ. ბებურიშვილი.

საკრებულო მუშაობა ახალ სკოლაში

ახალი სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი და უცხოველესი საკითხია საკრებულო (საკლუბო) მუშაობის საკითხი. სასკოლო საკრებულოს იდეა უკვე 70 წელია რაც არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს საკითხი დღესაც სდგას იმ მასწავლებლობის წინაშე, რომლებსაც წილად ერგოთ ახალი სკოლის ძებნა. დასავლეთის პრაქტიკას ნაკლებად შეუძლია ჩვენი სკოლის დახმარება. იქ მთელი მუშაობა მიმდინარეობს ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში და პედაგოგიურ იდეებსაც უკქერიან ეროვნული სახელმწიფოს სისტემის თვალსაზრისით. ბავშების თვითმოქმედიანობის განვითარება და მათი შემოქმედებითი ძალების განსახიერება მხოლოდ უბრალო განცხადებაა, რომელსაც ამოფარებული აქვს სხვა მისწრაფება: მორჩილი ბავშის აღზრდა. დასავლეთ ევროპის და ამერიკის სასკოლო საკრებულო არიდებს ბავშებს ერთი მხრივ ქუჩებს, მეორე მხრივ—სასკოლო ცხოვრების ორგანიზაციაში ნამდვილი მონაწილეობის მიღებას. თავისი ფორმით ეს მხოლოდ უფროსთა ორგანიზაციის ჩრდილია. უკეთეს შემთხვევაში საკრებულოს უკქერიან, როგორც სწავლების მეთოდს.

რუსი პედაგოგების ცდა წარმოადგენს უფრო მეტ ღირებულებას—შაცკის და ა. ზელენკოს მეთაურობით. ამათ შეჰქმნეს მოსკოვში მთელი რიგი საბავშო საკრებულოებისა, რომლებსაც სარჩულად დაედო ნამდვილი მისწრაფება—გაევითარებინათ ბავშებში თაოსნობის უნარი, თვითმოქმედიანობა, ურთიერთდახმარება და საზოგადოებრივი ჩვეულებანი. მაგრამ ეს ცდა მეტად არახანგრძლივია და ამიტომ ჯერ განხორციელებული ვერ არის მთელი თავისი გასაქანით.

პედაგოგები ცხოვრების აუცილებლობამ ჩააბა სასკოლო საკრებუ-

ამ განყოფილებას უძღვებიან ბარბ. კანდელაკი, თ. ბებურიშვილი და ო. პროკენკო, მჭიდრო ურთიერთობით ბავშთა თვითმართველობის განყოფილებასთან.

ლოს აგებაში. სახელმძღვანელოდ მუშაობის დაწყებაში მათ მხოლოდ ეს მცირე ცდა და გარდამავალი ხანის შრომის სკოლის ზოგადი პრინციპები ჰქონდათ. პედაგოგიურმა ტაქტმა და ალღომ შეაძლებინეს მოწინავე მასწავლებლებს სასკოლო რევოლიუციის ალ-ცეცხლში ბევრი რამ მნიშვნელოვანი გამოეჭედათ სასკოლო საკრებულოს საკითხში.

გადაწყვეტილია უკვე ძირითადი საკითხი: სასკოლო საკრებულოს მნიშვნელობა დღევანდელ ცხოვრების პირობებში.

შრომის სკოლის საკრებულო.

დღევანდელი სკოლის მუშაობას საფუძვლად უდევს ორი მომენტი: **თანამედროვეობა და მოწაფეთა თვითორგანიზაცია.**

საკრებულო მეტად მნიშვნელოვანი ფორმაა თვითორგანიზაციისა, ეს არ არის სალი გართობის ან დასასვენებელი ადგილი, როგორც ეს ძველ სკოლაშია წარმოდგენილი. უპირველესად ყოვლისა სასკოლო საკრებულო არის ბავშვების თვითგანმანათლებელი და თვითაღმზრდელობითი მუშაობის **მეთოდი,** შემდეგ ეს არის ადგილი, სადაც ორგანიზაცია ეძლევა მათ ცხოვრების ყველა მხარეს.

საკრებულოს ამოცანების და მიზნების ასეთი წარმოდგენა საკრებულოზე ყველა ახალ შეხედულობათა სინთეზია და საკითხის თვით არსს გვიყენებს თვალ წინ.

სასკოლო საკრებულო არის **გაკვეთილების გარეშე** მოწყობილი საბავშო ორგანიზაცია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი მომენტები:

1. თავისუფალი და ნებისმიერი წევრობა,

2. მოთხოვნილებისა და ინტერესების მიხედვით მოწაფეთა თავისუფალი და ნებისმიერი შეჯგუფება,

3. სხვადასხვაგვარი კოლექტიური საორგანიზაციო საზოგადოებრივ აუცილებელი მუშაობა,

4) ცხოვრებასთან კავშირი.

საკრებულო მუშაობის ფორმები შეიძლება მრავალგვარი იყოს, და არც ფორმაშია საქმე. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ საკრებულომ შეაერთოს შეძლებისადაგვარად ყველა მოწაფეები, განავითაროს მათი ძოქმედიანობის შემოქმედებითი ძალები და მოაწყოს მათი ცხოვრება საკრებულოში და მის გარეშე.

ეს უმთავრესია მასწავლებლის მუშაობისათვის. ამისი დაკვით მასწავლებელი უკვე უზრუნველყოფილია დიდ პედაგოგიურ შეცთომებისა-

გან ახალი სკოლის წინააღმდეგ თავის თუნდაც გამოუცდელ მუშაობაში.

საკრებულოს საქმე ჩვენში ჯერ სულ ახალია, მასწავლებელი იძულებულია თვითონ ეძიოს მისი გზები. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში არა ერთი შეცთომის დაშვება აუცილებელია, მაგრამ ამისი შიშით ხელს ხომ ვერ ავიღებთ ამ მუშაობაზე: ცხოვრება არ იცდის და თვითონ გვიყენებს ამის მოთხოვნილებას.

არც სკოლის მოუწყობლობამ და სამუშაო მასალის უქონლობამ უნდა შეაშინოს მასწავლებელი. რაც უფრო ღარიბია სკოლა, მით უფრო მეტია სამუშაოზე გამომწვევი ძალა, მით უფრო ბუნებრივი, შინაარსიანი და მრავალსახოვანი ხდება საკრებულო მუშაობა.

აი ერთი მაგალითი: თუ სკოლას მდიდარი სასკოლო მუზეუმი აქვს, იქ ნიადაგი აღარა აქვს საკრებულოს საორგანიზაციო მუშაობას. იქ კი, სადაც მუზეუმი არ არის, მისი შექმნა ახლად იწყება და სამუშაო რამოდენიმე წრეს წარმოშობს. სამუზეუმო მასალის შესაძენად საჭიროა **საექსკურსიო** საქმის მოწესრიგება; ქილების, შუშების და ყუთების შოვნასა და შეძენასაც საორგანიზაციო მუშაობა ესაჭიროება და სხვა.

სკოლის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრება აუარებელ მასალას იძლევა საკრებულო მუშაობისათვის. მასწავლებელმა უნდა ისწავლოს მხოლოდ ცქერა და ხედვა, მაშინ ის უხვად აღმოაჩენს საკრებულო მუშაობის შინაარსს, მას მხოლოდ დარჩება ამ მდიდარ მასალიდან ამორჩევა და სამუშაოს იმ სახეების წამოყენება, რომელიც უფრო შეეფერება საკრებულოს ძირითად მოთხოვნილებებს.

მუშაობის სახე

საკრებულოში ადგილი უჭირავს ყოველგვარ **ჯგუფობრივ მუშაობას**.

საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობა: მუშათა ნადები (артели); დახმარება სუსტ ამხანაგებს, გაზეთი, ჟურნალი, წიგნის გამომცემლობა, პიონერთა და ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედები, დრამატიული წრე, სამხატვრო წრე, დღესასწაულები, სკოლებთან კავშირი, დიდთა ორგანიზაციებთან კავშირი და სხ.

2. **სამეცნიერო ხასიათის მუშაობა:** ბიბლიოთეკა, საექსკურსიო

საქმე, მოწყობა სასკოლო მუზეუმისა, კაბინეტებისა, კვლევა-ძიებითი მუშაობა ბაღში, მახლობელ ტყეში, მოხსენებები და სხ.

3. **სამეურნეო ხასიათის მუშაობა:** სასკოლო დგამისა და ავეჯეულობის შეკეთება, (რემონტი) ახალის აშენება, სახეულოსნოების მოწყობა, მასალის შეძენა და სხ.

საკრებულო მუშაობის ყველა სახეების ჩამოთვლა შეუძლებელია. ყოველი საკრებულოს მუშაობის შინაარსს საზღვრავს საკრებულოს წევრთა თვითმოქმედიანობა და სკოლის ინდივიდუალური პირობები.

საქმის დაწყება

მასწავლებელმა, საკრებულო ორგანიზაციას რომ შეუდგება, თავიდანვე ფართო მიზნები არ უნდა დაისახოს. მუშაობა უნდა დაიწყოს უმარტივესი საცხოვრებო ამოცანის წამოყენებით: დაეხმაროს ბავშვებს საექსკურსიო წრის მოწყობაში, შეაკეთოს სასკოლო ქონება, დგამი და ხელსაწყოები, შექმნას ბიბლიოთეკა, დაამუშაოს საკლასო თემები და სხ. ერთი ამგვარი ორგანიზაციის მოწყობით მასწავლებელი უკვე საძირკველს ყურის მთელ შემდგომ საკრებულო მუშაობას, რომელიც უკვე თავისთავად მოჰყვება ამ დასაწყისს.

დეე, პირველი ორგანიზაცია მცირერიცხოვანი იყოს და მისი პირველი მუშაობაც უმნიშვნელო გამოვიდეს, მაგრამ იყოს **ნებისმიერი, საჭირო და რეალურ-ნაყოფიანი.**

სკოლის პრაქტიკამ გვასწავლა, რომ საჭირო არის მხოლოდ საქმის დაწყება და ბავშვები პირველი ცდის შემდეგ მეორეს კიდევ უფრო ხალისიანად ეკიდებიან. ორგანიზაციები თავისთავად გაჩნდებიან. მასწავლებელი უნდა მხოლოდ მუდამ მზად იყოს დაეხმაროს ბავშვებს საქმის წარმართვაში, გაახალისოს, თუ ეს საჭირო აღმოჩნდა და შესძლოს ცალკე ჯგუფების მუშაობის გაერთიანება.

შეუძლებელია წინდაწინ თქმა, თუ რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ წრეში: ცოცხალი საქმე და გაქვავებული ფორმები შეუთავსებელია. თუ მუშაობის საჭიროება იბადება, ეს მუშაობა უნდა დაწყებულ იქნას ოდნავ მოხაზული წინასწარი გეგმით: საქმის გზა, ფორმები და დეტალები კი თვით მუშაობის პროცესში გამოჩნდება. სკოლის საკრებულოს შექმნის სიძნელე იმაში არ გამოიხატება, რისიც მასწავლებლობას ეშინია: საკრებულო მუშაობის შინაარსისა და ფორმების გამოძებნაში, არამედ თვით მასწავლებლის ფსიქიკაში. ყველაზე უფრო ძნელია,

მაგრამ ამავე დროს ყველაზე უფრო აუცილებელიც განთავისუფლება იმ ძველ ,,ერუ წარმოდგენისგან, რომ სკოლის და საკრებულოს შექმნა თითქოს მასწავლებლის საქმეა. არა—სკოლა და საკრებულო **ბავშვების** ცხოვრების ორგანიზაციაა. ეს თვით მათი ცხოვრებაა, რომელიც **თვით ბავშვებმა უნდა** აიგონ **და** მოიწყონ უფროსთა დახმარებით.

როდესაც პედაგოგი ამას შეიგნებს, საქმის უმთავრესი ,,ძნელე დაძლეული იქნება და გამარჯვება მისია.

როდესაც მასწავლებელი მუშაობას უდგება, მან უნდა იცოდეს, რომ დამთავრებულ და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ საკრებულოს თავიდანვე ვერ მიიღებს, რადგანაც საკრებულო ,,ოცხალი სხეულია განუყრელად დაკავშირებული სკოლასთან და ცხოვრებასთან, ბავშთა კოლექტივების ,,ველა მხარეების შემცველი და რომელიც აქცევს ბავშებს მათი ცხოვრების ორგანიზატორებად და შემომქმედებად.

ნამდვილი საკრებულო მუშაობა გამოიჭედება მხოლოდ ბავშთა და ხელმძღვანელთა ხანგრძლივ საერთო მუშაობით, ეჭვთა და რწმენათა მოგრიგისობით, სავსე ძიებით და, შესაძლოა, არა ერთი შეცთომით.

მასწავლებელს მოეთხოვება მხოლოდ ამ საქმის აუცილებლობის და არსებითი მნიშვნელობის შეგრძნება და როგორც საკითხების დასმაში, ისე მათზე პასუხის ძებნაში გამბედაობის და სიმტკიცის გამოჩენა.

განყოფილების მიზანი

ზემოთქმულიდან და ,,ველა წინა წერილებიდან ცხადია ,,ურნალის ამ განყოფილების მიზანი და დანიშნულება.

ო. პროცენკო

ტფილისის შ-59 შრომის სკოლის გამგე.

საზოგადოებათმეცნიერება
ოთხწლიან შრომის სკოლაში

ძირითადი თეორიული პრინციპები.

საზოგადოებათმეცნიერება, როგორც სასწავლო საგანი, თავისი შემადგენელი ნაწილებით და მასალით რამოდენადმე შეეფერება იმ მეცნიერებას, რომელსაც სოციოლოგიას უწოდებენ. მხოლოდ სოციოლოგია მასალების დალაგების შემდეგ ცდილობს ფართო სინტეზის საშუალებით საყოველთაო კანონები შეიმუშაოს, საზოგადოებათმეცნიერება კი სკოლაში, რა თქმა უნდა, ამ მიზანს ვერ დაისახავს. ისე რომ—მისი მიზანია გააცნოს ბავშს მისი ასაკის და ფსიქიკის შესაფერად მხოლოდ ის გამარტივებული მასალა, რომელიც შედის ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერების ფარგალში. მეცნიერებათა ეს დარგები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ იმის მიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დალაგებული სოციოლოგიაში. ერთი—ისტორიულ მეცნიერებათა ჯგუფი, რომელთაც აღწერილობითი ხასიათი აქვთ; მეორე ჯგუფი შესდგება აგრეთ წოდებულ ნომოთეტიურ მეცნიერებათა დარგებისაგან. ამ მეცნიერებათა გაერთიანება და მათი მასალიდან შესაფერი და მარტივი მასალების ამორჩევა სასწავლებლისათვის მოგვცემს საშუალებას, რომ ბავშებს შევასწავლოთ საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად და ზოგადად საზოგადო ცხოვრების და შრომის ორგანიზაციის ფორმებზე დაკვირვებით. აქ საზოგადოებათმეცნიერება მხოლოდ ორ ნაწილად გაიყოფა: თანამედროვე ცხოვრება და კაცობრიობის წარსული. თანამედროვე ცხოვრების შესწავლა ნაწილობრივ გეოგრაფიაშიც შედის და ამიტომ ამ ნაწილში საზოგადოებრივი დარგის მასწავლებელი გეოგრაფიის მასწავლებელს შეუთანხმდება, მაგრამ ის კი არ უნდა დაივიწყოს, რომ მასალა, თანამედროვე ცხოვრებიდან ამოკრეფილი, მან შემდეგ უნდა შეეფარდოს ისტორიულ მასალას. ეს კი საკმაოდ ადვილია, რადგანაც თანამედროვე ცხოვ-

რების შესწავლის დროს ბავში გაიცნობს ისეთ ფორმებს, რომელიც სხვადასხვა კულტურულ საფეხურს შეეფერება. ისე რომ აქ ის ნახავს იმავე ისტორიულ მასალას, მხოლოდ არა ისტორიულად, დროის მიმდინარეობაში, არამედ სივრცეზე დალაგებულს. აქ განხორციელდება ცნობილი მეცნიერის ე. რეკლიუს აზრი, რომელიც ამბობდა, რომ ისტორია არის გეოგრაფია დროის მიმდინარეობაში და გეოგრაფია კი—ისტორია სივრცეშიო. ამიტომ ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში შესწავლილი შრომის და საზოგადო ცხოვრების ფორმები ბავშს გაუადვილებს წარსულის შესწავლას და ამ ორი დარგის გაერთიანების საშუალებით ის საკმაოდ მთლიან წარმოდგენას მიიღებს ადამიანის ცხოვრებაზე და მის ევოლიუციაზე.

უნდა მხოლოდ მასალის დამუშავებისა და დალაგების დროს ვექონდეს რაიმე სახელმძღვანელო პრინციპი, რომელზედაც უნდა იქნეს აგებული სწავლება. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი დარგი სკოლაში გადაიქმნება დაკვირვებათა უბრალო კონგლომერატად.

კაცობრიობის საზოგადოების შესწავლის დროს ჩვენ უმთავრესად ორ მთავარ თვალსაზრისს შევხვდებით.

I. ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი.

II. ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი.

პირველი დებულება ადამიანს ბუნებასთან მებრძოლის როლში აყენებს, ვინაიდან ბუნებას თუ ძალისძალათი არ წაართვა მან თავისათვის საჭირო ავლადიდება და დოვლათი, ისე ვერ მიიღებს. გარდა ამისა, ბუნების სამტრო ძალებთან თავის დაცვისათვის ბრძოლა ხდება, და ამიტომ პრინციპი ადამიანის არსებობისათვის ბრძოლისა აუცილებლად უნდა შეადგენდეს ერთ ბურჯს საზოგადოებათმეცნიერების შესწავლისას.

მეორე დებულება ადამიანს ერთი მხრით ადამიანებთანვე მებრძოლის მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან ნაშოვნი დოვლათის განაწილების დროს ხდება ქიშპი, თუ ვინ უფრო მეტს მიიღებს ამ დოვლათიდან. აქედან წარმოსდგება კლასთა ბრძოლა; მეორე მხრით-საზოგადოებრივი ინსტინქტი ადამიანს ადამიანთან აახლოვებს და აკავშირებს, რამდენადაც იგი იღვწის დოვლათის შესაძენად. აქედან პრინციპი საურთიერთო დახმარებისა.

ამიტომაც არსებობს ისეთი ფორმები შრომისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელშიც საუოთიერთო დახმარება მკაფიოდ იხატება

და ქაშპი და ბრძოლა კი არა—კლასთა გარეშე ორგანიზაციები თანასწორუფლებიან წევრთა. არსებობს აგრეთვე ისეთი ფორმებიც, რომელშიც საურთიერთო დახმარება გამოიხატება თანამშრომლობაში, მაგრამ წევრები თანასწორუფლებიანი არ არიან, რის გამოც დოვლათის განაწილების დროს ხდება კლასობრივი ბრძოლა. თუმცა თანამედროვე ცხოვრებაში სჭარბობს ეს უკანასკნელი, მაგრამ არის წარმოების ისეთი ფორმებიც, რომელიც მოგვაგონებს არაკლასიურს, ანუ კლას-გარეშე საზოგადოებას.

ამგვარად ირკვევა 3 პრინციპი, რომელთა თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ როგორც თანამედროვე, ისე წარსული ცხოვრება.

I—ბრძოლა არსებობისათვის მთელი კაცობრიობისა და თვითეულ ინდივიდის.

II—კლასობრივი ბრძოლა და მეტოქეობა.

III—საურთიერთო დახმარება და სოციალური ჰარმონია.

ძირითადი მეთოდები

როდესაც პრაქტიკულად მივუდგებით საქმეს, უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა პირველ ოთხწლედში სრულიად ახალი საქმეა და ბევრი მუშაობაა საჭირო, სანამ სკოლის მუშაკთა ფართო მასა სავსებით შეითვისებდეს მის საჭიროებას და მის პრინციპებს. საკმარისი არ არის, რომ კაცმა ხელოსანივით შეისწავლოს მისი მეთოდები და დოგმატიურად აწარმოოს, თანაბმად პროგრამებისა, ამ საგნის სწავლება. უპირველეს ყოვლისა მასწავლებელმა უნდა გულის სიღრმემდე იგრძნოს მისი შემოღების შესაძლებლობა და საჭიროება. ამისათვის, გარდა პროგრამების შემუშავებისა და სწავლების მეთოდებისა, საჭიროა პრინციპიალური გაშუქება ამ საკითხისა, მით უმეტეს, რომ ეს მხარე სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული რუსულ ლიტერატურაშიც კი. საჭიროა უპირველეს ყოვლისა ვიცოდეთ—რომ უკანასკნელი მეთოდები საზოგადოებრივ მეცნიერებისა და განსაკუთრებით ისტორიის შესწავლისა სრულ საფუძველს გვაძლევენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა გაერთიანებისას ერთი მხრივ და მეორე მხრით—თანამედროვე ცოცხალი ცხოვრების შესწავლით წარსულის შემეცნებისას. თუ წმინდა მეცნიერებაში წარსული ცხოვრების ფორმების თანამედროვესთან შეფარდება და ხშირად თანამედროვე ახალწოდების მიცემა გადაჭარბებულ მოდერნიზაციად ითვლება, სწავლა

ალზრდის საქმეში ეს მოდერნიზაცია დიდ სამსახურს გაუწევს პედაგოგს ოტყვიან ხოლმე მეცნიერებაში: ანთიური კაპიტალიზმი, საბერძნეთის ფეოდალიზმი, თანამედროვე ფეოდალიზმი — და ამ ტერმინებს უკვე საბოლოოდ მიღებული აქვთ არსებობის უფლება. ეს იმით აიხსნება, რომ ცხოვრების განვითარებას აშკარად ეტყობა ფორმების სხვადასხვა ელემენტის განმეორება, თუმცა ესა თუ ის ფორმა თავისი სრულ სახეობით კი არ მეორდება. აქედან ცხადია, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ბევრს წარსული დროის ნაშთს ვიპოვით და წარსულში — თანამედროვე ცხოვრების ელემენტს. ალბად ამით აიხსნება, რომ ისტორიულ კვლევა-ძიებაში თუ ისტორიკოსი იკვლევს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას და ცილდება არქეოლოგის როლს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ერკვევა იგი თანამედროვე ცხოვრებაში. საუკეთესო ისტორიკოსები — საზოგადოებრიობის მკოდნენი, უმეტეს შემთხვევაში ან პოლიტიკური მოღვაწეები ყოფილან, ან საზოგადო მოღვაწეები, ან ეკონომისტები და სხ. ალბად ფსიქოლოგიურად თანამედროვეობის ცოდნა აძლევს მკვლევარს გასაღებს წარსული ურთიერთობის ამოცნობისას. თუ ეს ითქმის ისტორიკოს-მეცნიერებზე, ეს გზა აუცილებელი გზა უნდა იყოს პატარა ბავშვისათვის, რომელიც ახლად იწყებს თავის დაკვირვებათა საშუალებით ცხოვრების შესწავლას. ამიტომ ბავშვისათვის აუცილებელი გზაა თანამედროვე ცნობების შესწავლიდან წარსულზე გადასვლა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ისტორიული მეცნიერების ხასიათი არ გვაძლევს საშუალებას, რომ ბავშს ამა თუ იმ სახით განვაცდევინოთ ისტორიული მოვლენა, ვინაიდან იგი წარსულს ეკუთნის. ბუნებისმეტყველების შესწავლის დროს ბავში ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია: იგი უშუალოდ იჭერს კავშირს ბუნებასთან და მას თავის ხუთივე გრძნობის საშუალებით სწავლობს. წარსული ცხოვრების გაცოცხლება კი მისთვის შეუძლებელია. ერთადერთი საშუალება ის არის, რომ წარსულის ცოცხალ და მკვდარ ნაშთებს დავუახლოვოთ იგი და ამ საშუალებით განვაცდევინოთ ის, რაც ალარ განმეორდება არასოდეს. ამ სახით მოგვეცემა ჩვენ საშუალება, რომ ისტორიულ მეცნიერებაზე შესწავლა დავაყენოთ ცოცხალ, აქტივობის გზაზე; აქაც გამოვიყენოთ შრომის მეთოდი და შრომის პროცესების და არამარტოოდენ ლითონი სიტყვის საშუალებით შევასწავლოთ ეს მასალა.

მეორე მხრით — თანამედროვე ცხოვრების შესწავლის დროს ბავში ბევრ ისეთ მოვლენას წააწყდება, რომელიც ძველად არ ყოფილა. აქ-

პირველად მიეცემა მას პრიმიტიული ფორმების შედარების საშუალება განვითარებულ ფორმებთან. ამას მასწავლებელი გზას ვერ აუქცევს და არც უნდა აუქციოს. აქ მას ეძლევა საშუალება, რომ ბავშს პირველად აღუძრას გონებაში ფიქრი განვითარების, ევოლიუციის შესახებ. მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო: თანდათანობით განვითარების აზრს ბავში ვერ შეითვისებს; მისთვის ძნელია განსხვავების აღნიშვნა და შენიშვნა იქ, სადაც ეს განსხვავება თვალსაჩინო არ არის; მას შეუძლია შენიშნოს მხოლოდ განვითარების უმწვერვალესობა და ორ დასრულებელ ერთმანეთის საწინააღმდეგო ფორმების განსხვავება. ამიტომ მასწავლებელმა ბავშს თვალ-წინ უნდა დაუყენოს ორი საწინააღმდეგო ფორმა ან მოვლენა და კონტრასტების საშუალებით აღუძრას მას ფიქრი განვითარების შესახებ: ორთქლის გუთანი ან ტრაქტორი და ბარულა, მანქანებით მომუშავე ქარხანა და ხელ-ფეხით მუშაობა, ორთქლმავალი ან ელექტრონით მავალი და ფეხით მოსიარულე ადამიანი, ხის ტოტების ჭოხი და ცადმბჯენი.

ამგვარად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა სკოლაში ორ პრინციპზე არის დამყარებული:

1. წარსული ცხოვრების ცოცხალი და მკვდარი ნაშთების შესწავლა თანამედროვე ცხოვრებაში.

2. კონტრასტული მეთოდი.

სკოლის რაიონის ცოდნის საჭიროება

თუ ამ პრინციპს დავადექით, ადვილი მისახვედრია, რომ სწავლება დაიწყება უპირველეს ყოვლისა თანამედროვე ცხოვრების შესწავლით.

აქ გამოჩნდება მასწავლებლის უნარი და შემოქმედებითი ნიჭი: ყოველ სოფელს თავისი განსაკუთრებული თვისება აქვს, და მასწავლებელმა უნდა მოხერხებით ისარგებლოს ამ თვისებით, რომ ამოარჩიოს შესასწავლად ისეთი რამ, რაც მას მომავალშიც გამოადგება.

ახლა უნდა შევუდგეთ კონკრეტულ მასალის გათვალისწინებას. მაგრამ აქ საჭიროა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ ამ მასალის აღნუსხვას სრულიადაც არა აქვს ამომწურველ სისრულის პრეტენზია. ეს არც საჭიროა, არც სასურველი და არც შესაძლებელი. თანამედროვე სკოლა და პედაგოგიკა ისეა აშენებული, რომ წინდაწინვე საგნის მასალის აღნუსხვა შეუძლებელია, ვინაიდან ბავში სწავლას გარემოს დაკვირვებებიდან იწყებს. გარემო კი დამოკიდებულია იმაზე, თუ

სად იმყოფება სკოლა. ზოგიერთ კუთხეში მასწავლებელმა შესაძ-
ლებელია ისეთი ძვირფასი მასალა ნახოს, რომლის გათვალისწინებაც
წინდაწინვე შეუძლებელია. საჭიროა მხოლოდ მასწავლებელს ჰქონ-
დეს ერთგვარი ალღო ამგვარი მოვლენების პოვნისა და შესწავლი-
სა. ამიტომ აქ დასახული მასალა მხოლოდ იმისათვის არის მოყვანილი,
რომ ამ მასალის შესწავლით მასწავლებელი მიხვდეს, თუ რანაირად და
სად უნდა ეძებოს მასალა ბავშისათვის, რომელიც ამ გეგმით პატარა
მკვლევარი უნდა იყოს. ამიტომ ამ მასალას მხოლოდ სანიმუშო მნიშვ-
ნელობა აქვს. ამგვარად—პირველ წელიწადს ბავში იწყებს სწავლას გა-
რემოს შესწავლით.

ქვის იარაღები.

სოფლად უპირველეს ყოვლისა შეისწავლიან გლეხის ოჯახს და
ეზოს. ბავშები ჯგუფ-ჯგუფად გაემგზავრებიან, დაათვალიერებენ, გამოჰ-
კითხავენ და, როდესაც კლასში დაბრუნდებიან, ან იმავე დღეს ან მეო-
რე დღეს მოიგონებენ ყველაფერს, რაც ნახეს. რასაკვირველია, ბავშს
შეუნიშნავი არ დარჩება, რომ გლეხის ოჯახში ხმარობენ, სხვათა შო-
ლის, ქვის და ხის იარაღსაც: ფილთაქვას, ხელსაფქვავს, ხვედას, კომბალს.
აქ ბავშებმა უნდა გაიხსენონ ის შემთხვევები, როდესაც თვითონ ისი-
ნიც ხმარობენ ქვას, ან როდესაც ტყეში მომუშავე გლეხკაცი იძულე-
ბულია სახელდახელოდ ქვას მიმართოს დანის ან კვერის მაგივრად; მა-
გალითად, თუ მას სურს თოკის ან წნელის გაჭრა და ხელთ არა აქვს
ცული ან დანა, მაშინ ის გასაჭრელ თოკს ქვაზე დასდებს და ზევიდან
ქვას დაარტყამს რამდენჯერმე, და თოკი გაიჭრება. მიზანი ამ საუბრისა
ის უნდა იყოს, რომ ბავშმა ნათლად შეიგნოს ფსიქოლოგიური აუცი-
ლებლობა ქვის ხმარებისა ზოგიერთ შემთხვევაში, რომ შემდეგში პირ-
ველყოფილი კულტურის შესწავლის დროს ქვის ხანა იმისათვის ადვილი
გასაგები იყოს. გზადაგზა, რა თქმა უნდა, ისინი ქვის იარაღს რკინის და
ფოლადის იარაღს შეადარებენ და ამ უკანასკნელთა უპირატესობას
აღნიშნავენ. შემდეგ ამისა სურათების და ხელგარჯილობის საშუალებით
შეისწავლონ ორთქლის და ელექტრონის გუთანი, ტრაქტორი, სათიბ-
მანქანა და სხ. ოაც შეეხება ქალაქის სკოლას, აქ, თუ ოჯახში ამ იარ-
აღების ნახვა ვერ მოხერხდა, თუმცა შეიძლება ქალაქის ნაპირას, ან
მახლობელ სოფელში იმათაც ნახონ, მაშინ ძერწვის და ხატვის საშუა-
ლებით შეისწავლიან იმას, რასაც ვერა ნახავენ თავის თვალით. თუმცა

ეს კი უნდა გვახსოვდეს, რომ ძერწვა ნანახისა აუცილებელია როგორც ქალაქში, ისე სოფლად. მუშაობის დროს აქ ბავშები გაიკეთებენ საბავშო იარაღს: მშვილდ-ისარს, შურდულს და სხ.

გზები

შემდეგ ბავში შეისწავლის სოფლის ან ქალაქის ქუჩას. აქედან იგი გადავა ბილიკის, სოფლის გზის და შარა-გზის შესწავლაზე და მის წინაშე აღიძვრის საკითხი, თუ რისთვის არის საჭირო გზა, რისთვის ხდება მისვლა-მოსვლა: მარტო სტუმრად ან მინდორში სათამაშოდ, თუ სხვა რისთვისმე. აქ ჩაისახება მომავლისათვის გამოსაყენებლად წარმოდგენა ვაჭრობის შესახებ. ეს ერთნაირად ადვილია როგორც ქალაქში, ისე სოფელში.

ბინები

მაგრამ, როდესაც ბინის შესწავლაზე გადავა კლასი, მაშინ სოფელს და ქალაქს შორის დიდი განსხვავება აღმოჩნდება. სოფლის ბავშს უპირატესობა აქვს ქალაქელთან ქოხის, მიწურის და უბრალო სახლების შესწავლაში, ქალაქელს კი უპირატესობა აქვს მრავალსართულიან სახლების შესწავლაში. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ისა სჯობს, რომ ბავშებმა დაიწყონ ჯერ თავისი სკოლის ან ბინის შესწავლა და, როდესაც დაისმის საკითხი ისეთ ბინების და სახლების შესახებ, რომელიც ქალაქში ან სოფელში არ არსებობს, აქ ძერწვა დაგვეხმარება, თუმცა აუცილებელია, რომ ყველა ამ სანახავ ნივთების და საგნებისათვის მოხდეს ისეთი ექსკურსია, რომლის საშუალებითაც ბავში შეისწავლის იმას, რაც იქვე თვალ წინ არა აქვს: სოფლის ბავში წლის განმავლობაში წავიდეს ან ქალაქში ან ისეთ მახლობელ სოფელში, სადაც რამდენიმესართულიანი სახლი მოიპოვება, ქალაქის ბავში კი ქალაქ გარეთ, ან მახლობელ სოფელში, სადაც მიწურის და ქოხის ნახვა შეიძლება. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასალის შესწავლის თანამიმდევრობა ალბად სხვადასხვანაირი იქნება ქალაქსა და სოფელში. ქალაქში ბავშს სულ სხვა ცხოვრება არტყია, ვიდრე სოფელში. რადგანაც სწავლების დაწყება აუცილებელია უახლოესიდან, ამიტომ ქალაქის ბავში შეითვისებს ჯერ უფრო მაღალი კულტურის ნაშთებს და მერე პრიმიტიულისას, სოფლისა კი წინაალმ-

დეგ. მასწავლებელს მაინც უნდა ახსოვდეს, რომ რთული საკითხები მაინც ბოლოსთვის გადასდოს, მაგალ., ისეთი, როგორც ქარხნის, ბაზრის, მოედნის და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შესწავლა, აგრეთვე მთავარ სამმართველოების შესწავლა ქალაქში. ამიტომ ბოლოს და ბოლოს მაინც სოფელი მისი მარტივი ცხოვრებით უფრო ადვილი შესასწავლია და შეძლებისა დაგვარად მისი შესწავლა უნდა წინ უძღოდეს ქალაქის ცხოვრების შესწავლას. ბინების და სახლების შესწავლის შემდეგ დაისმის საკითხი, თუ როდის ჰხმარობს ადამიანი დღესაც ქოხს—საფარს (заслон) ან ჩვეულებრივ ქოხს. გამოირკვევა, რომ მინდვრის მუშა იკეთებს მინდორში ქოხს, როდესაც იქ რჩება სადარაჯოდ აქაც ბავშმა უნდა შეიგნოს ფსიქოლოგიური აუცილებლობა ამის თანა მარტივი სახლის შენებისა იქ, სადაც კაცი მუდმივ ბინადრობას არ აპირობს. ქოხის მოყვანილობასაც უნდა მიექცეს ყურადღება: მრგვალი, ოთხკუთხი, სამკუთხი და სხვ. ქოხთან ერთად ბავში შეისწავლის გამოქვაბულს. ყველას სჯობს, რომ ეს შესწავლა იწყებოდეს გამოქვაბულების დათვალიერებით, რაც საქართველოში სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც იშვიათია ისეთი კუთხე, რომ სადმე მახლობლად არ იყოს გამოქვაბული. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს ორგვარ გამოქვაბულს: ხელოვნურსა და ბუნებრივს. ბუნებრივს, როგორც უძველესს—და ხელოვნურს, როგორც უგვიანესს. რა თქმა უნდა, აქ გამოქვაბულების მიდამოების და მდებარეობის შესწავლაც თავის ალაგზე იქნება.

შრომა და მისი ორგანიზაცია.

ამგვარად დასრულდება ნივთიერ კულტურის შესწავლის პირველი ნაწილი: იარაღები, ბინა და გზები. მეორე საფეხური იქნება შრომა და მისი ორგანიზაცია. აქაც დაიწყებენ ოჯახიდან: გლეხის ეზო. საქონელი, ფრინველი და სხ. ეზოში მუშაობა. მუშაობენ დიდნიც და პატარეებიც, ყველა თავის ძალის შესაფერ საქმეს აკეთებს. დედა ძროხას სწველის, ცეცხლს ანთებს, მამა შეშას სჭრის, თავისსავე მოტანილს ურმით ტყიდან, ვაჟიშვილი ხბოებს და ცხვრებს აძოვებს, ქალიშვილი ბატებს და ქათმებს უვლის. მთელი ოჯახი იღებს მონაწილეობას მუშაობაში. თვითეული თავისთვისაც მუშაობს და ყველასთვისაც. მოსავალშიც ყველას თავისი წილი აქვს. აქ საჭიროა გატარება ურთიერთ დახმარების პრინციპისა, რომელიც იწყება ოჯახიდან და გადადის

ბევრად უფრო ფართო ორგანიზაციებზე. მაგრამ კლასობრივი განსხვავების ჩანასახიც შესაძლებელია გლეხის ეზოს და მინდორს დავუკავშიროთ. დაისმის კითხვა, მოხდება ხოლმე თუ არა, რომ გლეხის ოჯახში, თუ მუშა ხელის ნაკლებობაა, გარდა ოჯახის წევრისა, სხვა ვინმე მუშაობდეს. სოფლელი ბავში მიხვდება, რომ აქ მოჯამაგირეზეა ლაპარაკი. შემდეგ მუსაიფიდან გამოირკვევა, რომ მოჯამაგირე ოჯახთან ერთად ცხოვრობს, როგორც მისი წევრი, და ჯამაგირს უფრო ხშირად ნატურით იღებს,—ე. ი. იმასაც, როგორც ოჯახის წევრებს, წილი აქვს იმ მოსავალში, რომელიც ყველას ერთად მოჰყავთ. შემდეგში, როდესაც მემამულის ეზოს შესწავლას შეუდგებიან ბავშები, იქ გაეცნობიან ისეთ მოჯამაგირის მდგომარეობას, რომელიც არც ოჯახში ცხოვრობს და ხელფასსაც უფრო ხშირად ფულად იღებს. აქ ჩაეყრება საფუძველი სოციალური საკითხის შესწავლას, ცნებებს: საშუშაო ხელფასი, მოსავლის ნაწილის საფასური, პატრონი, მუშა. ამის შემდეგ ცოცხალი დაკვირვებიდან ან წიგნიდან, შესაძლებელია, ბავშმა შეივსოს თავისი ცოდნა და მიიღოს წარმოდგენა ბატონყმობაზე. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს ლიტერატურა, მაგრამ ეს, შესაძლებელია, 1 წლისათვის ნაადრევი იყოს და შემდეგ წლებისათვის გადაიდოს. ყოველ შემთხვევაში ეს გეგმა და მომავალი პერსპექტივები მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს. ამ შემთხვევაში ქალაქის სკოლის გეგმა არსებითად განსხვავება სოფლის სკოლის გეგმისაგან. ქალაქში დაკვირვება და შესწავლა სოციალური საკითხისა ალბად ქარხნიდან დაიწყება, მაგრამ ამ გეგმას ცალკე დასჭირდება დამუშავება, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი შესდგება სოფლელ მოწაფეებისაგან, რაც, ყოველ შემთხვევაში, ქართულ სკოლაში თითქმის მუდმივი მოვლენაა, შეიძლება სოფლის სკოლის გეგმა სავსებით მიღებულ იქნეს ქალაქის სკოლებშიც. ამჟამად ქალაქის სკოლაზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქალაქის ბავშს ქალაქის ცხოვრებაზე თვიფეული დაკვირვება სოფლის ცხოვრებაზე გადაიყვანს. დაინახავს ქუჩაზე ურემს, ფუქანში გასაყიდ სანოვაგეს და აღეძრება საკითხი, თუ საიდან მოდის ყველა ეს. მასწავლებელმა ყველა ამგვარი შემთხვევით უნდა ისარგებლოს და ქალაქშიც გაალვიძოს სოფლისადმი ინტერესი, ვინაიდან სოფელი წარჰოადგენს უფრო პრიმიტიულ ორგანიზაციას შრომისას. სანამ ბავშს სოფელი არა აქვს შესწავლილი, ქალაქის დაახლოებით შესწავლა გაუჭირდება. (იხ. Обществоведение я

школе, Москва 1923. Жаворонков: Трудовой метод на уроках обществоведения).

როდესაც შრომის ფორმებზე და ორგანიზაციაზე გადავალთ, მაშინ სოფლის ბავში დაიწყებს მიწის დამუშავებიდან და გადავა სახელოსნოებზე, სამჭედლოზე, ქალაქის ბავში კი პირიქით, სახელოსნოების და სამჭედლოების შესწავლიდან გადავა მიწის დამუშავებაზე. აქაც საურთიერთო დახმარების პრინციპი მთავარი საფუძველია მიწის დამუშავების შესწავლაში, ხოლო სამჭედლოების და სახელოსნოების შესწავლაში კი კლასობრივი ურთიერთობის ელემენტი.

საურთიერთო დახმარება

მკა, თოხნა სიმინდისა, ლეწვა კალოზე და განსაკუთრებით ხვნა საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევს საურთიერთო დახმარების პრინციპზე აგებული სწავლისას. როდესაც ბავში შეისწავლის ისეთ გავრცელებულ მუშაობას, როგორიც არის ჩვენში ხვნა—თესვა, ამის შემდეგ მასწავლებლებს ფართო და მრავალმხრივი შესაძლებლობა გადაეშლება თვალწინ მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესასწავლად რაიონის მიხედვით. ჯერ ერთი—ამ მხრით დიდი ყურადღების ღირსია მევენახეობა, მეხილეობა და ვენახში მუშაობა გლეხისა. აქ ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ ვენახი, როგორც უფრო ძნელი დასამუშავებელი, მოითხოვს მეტ ინდივიდუალურ შრომას, ვიდრე მინდორი; მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქაც არის მომენტები კოლექტიური მუშაობისა და საურთიერთო დახმარებისა. ვაზის გასხვლის და რთველის დროს გლეხები ერთმანეთს ეხმარებიან, რადგანაც დაწყებული რთველი რაც შეიძლება მალე უნდა გათავდეს. აქ რთველი აიწერება, როგორც ერთგვარი დღესასწაული, და მის აწერას მოჰყვება ბავშების ლიქსობა შესაფერ თემაზე.

ზოგიერთ კუთხეში, სადაც მეცხვარეობაა გავრცელებული, განსაკუთრებული ყურადღება უნდა შეჩერდეს ცხვრის გაკრეჭაზე, მატყლის დართვაზე და ქსოვილების მომზადებაზე და აღინიშნოს, რომ ამისთანა ადგილებში გლეხი ჰყიდის მატყლს, ყველს, ერბოს და არა პურს. შემდეგ, კულტურის ისტორიის შესწავლის დროს, ეს მასალა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მეჯოგეობის ხანის აღწერისათვის.

ამის შემდეგ, როდესაც მდიდარი მეცხვარის, ან მდიდარი მემამულის მეურნეობის აღწერაზე გადავლენ ბავშები, ხელახლად და ცოტა უფრო მკაფიოდ იჩენს თავს კლასობრივი პრინციპი.

ხანულობა

საერთიერთო დახმარება და თანასწორუფლებრივი შრომის ორგანიზაციის ნიმუშები სჯობია წინ უძღოდეს კლასობრივი დანაწილების ელემენტის შესწავლას. როგორც ამგვარი საზოგადოება, თუმცა სრულიად პრიმიტიულად შეკავშირებული, შეიძლება აღინიშნოს ხანულობა. რადგანაც ამ ბოლო დროს ხანულობა ხშირი მოვლენა არ არის, შესაძლებელია, როგორც ხანულობის შესასწავლი მასალა, მასწავლებელმა გამოიყენოს შემდეგი ხალხური ლექსი:

ეო, მეო, შვილო დემეტრეო,
წმიდა გიორგის კარები როგორ გააღეო.
ხელი შევყავ, ვაჩანჩხურე, კლიტე გავტეხეო,
გადვიხედე ბახჩაშია, დიდი მგელი წევსო,
ძროხა იმან შემიჭამა, ხბო იძახის მეო.
ხანულები გამორბიან, მოგვიტანეთ რძეო,
ადარც არის ჭდეო, ადარც არის რძეო,
გადაგვგდეთ ჭდეო.

ეს ლექსი საჭიროა გამოიყენოს მასწავლებელმა იქ, სადაც ხანულობა ცოცხალი აღარ არის. ხოლო იქ, სადაც ეს წესი არსებობს, შეიძლება ეს ლექსი ხანულობის შესწავლას ბოლოში მიჰყვეს.

აუცილებელი არ არის, რასაკვირველია, რომ ყოველ სკოლაში ხანულობა იყოს შესწავლილი. მე ეს მომყავს მხოლოდ ნიმუშად და მასწავლებლების უნარზეა დამოკიდებული, თუ როგორ მონახავს იგი ადგილობრივ ამგვარ მოვლენებს და შეასწავლის ბავშს. შეიძლება მასწავლებელმა ზოგან ისეთი საინტერესო და საარგებლო მასალა იშოვოს, რომელზედაც ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს.

ამ ლექსიდან შეიძლება გამოვარკვიოთ, რომ ხანულობა რქმევია ერთგვარ პრიმიტიულ ორგანიზაციას ოჯახებისას იმ მიზნით, რომ რძე გამოულეველი ჰქონდეს ყველას იმ დროსაც კი, როდესაც ძროხა არ იწველის: ვისი ძროხაც იწველის, ის თანაბრად უყოფს რძეს ყველა წევრებს ამ ორგანიზაციისას, რომ შემდეგ, როდესაც მისი ძროხა გაშრება, და მეორე მეზობლის კი წველას იწყებს, თავის მხრით ამ უკანასკნელმა გაუნაწილოს მას, ხოლო რომ არავინ არ დარჩეს წაგებული, ჭდე-

ზე ნიშნავენ, თუ ვინ რამდენი ქილა რძე მისცა თავის ამხანაგებს ამ ლექსში კი აწერილია უბედურება, რომელიც ხანულებს შემთხვევიათ: მეწველი ძროხა დაკარგულა, და ხანულები რძეს ველარ იღებენ. ამიტომ ჭდეც, როგორც უკვე უვარგისი რამ, გადაუგდიათ.

ხ ვ ნ ა

საურთიერთო დახმარების პრინციპზე დაკვირვების ასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინდვრის **ხვნა** აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგის თვისებათა გამო გუთანში აბამენ 8 უღელ ხარს. ამას გლეხი თავის საკუთარი საშუალებით ვერ ახერხებს, და ამიტომ ხვნის დროს სოფელში ეწყობა მრავალი დროებითი ამხანაგობა. ამ ამხანაგობას ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული აქვს თავისი წესები, მთელი კოდექსი. ისე დაწვრილებით არის აღნუსხული ყველა მონაწილეს უფლება-მოვალეობა, რომ არაოდეს ამ ნიადაგზე უთანხმოება არ ჰხდება. ამასთანავე ამ მუშაობაში ყოველი ასაკის ადამიანს თავისი ადგილი აქვს: ბავშები ღამის მეხრეებად და დღის მეხრეებად მუშაობენ, გუთნის-დედა უეჭველად დიდია, ზოგი ხარსა ჰგზავნის საძუშაოდ, და ყველა თავის საძუშაოს ხელფასად ღებულობს იმ საფასურს, რომ იგივე გუთნეული მას უხნავს იმდენს, რამდენიც მას ერგება წესით, იმის ღვაწლის მიხედვით: ზოგს ერგება ერთი ალო, ზოგს ორი, ზოგს ნახევარი. ბავშისათვის ამ თემის დამუშავება ძლიერ სახალისოა და, თუ ამას მოჰყვა გუთნეულის და ხარის ძერწვა და ხატვა, შესაფერი სიმღერები, ეს ხომ დღესასწაული იქნება სოფლის ბავშისათვის, განსაკუთრებით, თუ მას საშუალება ექნება შესწავლა უშუალო დაკვირვებით დაიწყოს.

ვაჭრობა სოფლად

ამის შემდეგ, მკას და ლეწვას რომ შეისწავლის ბავში, იბადება ბუნებრივად საკითხი, სად მიდის სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ნაწილი გლეხს მიაქვს ოჯახში, ნაწილი კი უნდა გაჰყიდოს, რომ იყიდოს ის, რაც თვითონ არა აქვს. ამიტომ ბავში გადავა დუქნის და კოოპერატივის შესწავლაზე. აქაც მას მიეცემა საშუალება გულის სილრმეში იგრძნოს კერძო ინიციატივის და პირადი მოხვეჭის პრინციპი ერთი მხრით—და თვითდახმარების და საურთიერთო დახმარების პრინციპი მეორე მხრით, განსაკუთრებით, თუ საქონლის ფასებს იკითხავს

და გაიგებს, რომ საქონელი კოოპერატივში უფრო იაფია, ვიდრე დუქანში. კოოპერატივის შემოსავალი ისევ სოფლისავე საჭიროებას ჰხმარდება, დუქნისა კი მედუქნის საჭიროებას. ამავე დროს შესაძლებელია ბავშმა მიაქციოს ყურადღება იმასაც, რომ მედუქნეს ჰყავს დაქირავებული მოსამსახურე, რომელსაც შემოსავალში წილი არ აქვს, კოოპერატივში კი სოფლის მიერ არჩეული პირნი მუშაობენ, რომელთაც კოოპერატივის სხვა წევრებივით აქვსთ წილი ამ დაწესებულების შემოსავალში. ყველა ამას ბავშები თვითონ გაიგებენ გამოკითხვით. (რომ ეს 7-10 წლის ასაკის ბავშს შეუძლია, ამის შესახებ იხ. წერილი ჟავორონკოვისა. обществоведение в школе). ეს უკანასკნელი სამუშაო და ამის შემდეგ უახლოესი ბაზარი ადგილის შესწავლა იმისთვის არის საჭირო, რომ ბავშმა ნატურალურ მეურნეობაზე წარმოდგენის შემდეგ, რომელსაც მას აძლევს სოფლის ცხოვრება, იქონიოს წარმოდგენა საქონლის მეურნეობაზე, როდესაც იწყება გაცვლა-გამოცვლა. ხოლო, რადგანაც ეს რთული შესასწავლია, შესაძლებელია, იგი გადატანილ იქნეს შემდეგ წლისათვის, როდესაც ბავში ისტორიულად გაეცნობა მეურნეობის ამ ტიპს. შემდეგ წლისათვის შეიძლება იყოს აგრეთვე გადატანილი დათვალიერება ქარხნებისა, საკირეებისა, აგურის და კრამიტის ქურებისა და სხვა ამგვარისა, როდესაც დაიწყება კაპიტალისტური მეურნეობის ტიპის დაკვირვება.

სოფლის ცხოვრების მასალა, რასაკვირველია, ამითი არ ამოიწურება. ადგილობრივი პირობების მიხედვით, მასწავლებელმა შესაძლებელია ბევრი რამე ნახოს შესასწავლი, რაც აქ არ არის აღნიშული, მაგ., ცხვრის კრეჭა, მატყლის ჩეჩვა და დართვა, ჯარა, საჩეჩელი, ნაბდის თელვა. თუ ეს მასალა უკვე გავლილია, მაშინ საკმარისია მასწავლებელმა მხოლოდ გაამეორებინოს და გაახსენოს მოსწავლეებს.

კულტურის ისტორია

მეორე წელიწადს მასწავლებელი დაიწყებს კულტურის ისტორიის სწავლებას და აქ გამოიყენებს დაკვირვებათ, რომელიც ჰქონდათ ბავშებს 1 წელიწადს: ქვის ხანის იარაღი, ქოხები, მიწური, სახლი, მაგრამ აქ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ თავიდან ბოლომდე ერთი პრინციპის გატარება აუცილებელია: ოომ ადამიანი იუმჯობესებდა ცხოვრების პირობებს არსებობისათვის ბრძოლის ნიადაგზე. ბუნებრივი იარაღები ნადირს უკეთესი ჰქონდა, მაგრამ ამ ბუნებრივი იარაღის გა-

გრძელება იყო ხელოვნური იარაღი, და ეს შეიძინა ადამიანმა იმ უპირატესობის გამო, რომ მისი ტვინი უკეთესად ვითარდებოდა, და ამაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ადამიანი ორ ფეხზე იდგა, დაკვირვების ასპარეზი ფართო ჰქონდა და თავის ქალის მოყვანილობა მის ტვინს განვითარების საშუალებას აძლევდა. მიუხედავად ამისა, ქვის და ხის იარაღი ადამიანს არ აძლევდა დიდ უპირატესობას ნადირებზე და იგი უმწეო, ჩაგრული იყო. ამის ნიმუშად ბავშვები, როდესაც მრავალ იარაღის ძერწვას და ხატვას გაათავებენ, გააკეთებენ ქოხებს და ბოძებიან სახლებს; სადაც შეიძლება, მდინარეებზე და გამოქვაბულებში ექსკურსიას მოახდენენ, მერე გაეცნობიან ამბებს „პირველყოფილი ბავშის ცხოვრებიდან“, რომელიც „ნაკადულში“ იყო ნათარგმნი. მასწავლებელი უამბობს მათ ეპიზოდებს რულამანიდან და სხვა მოთხრობებიდან, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია. ამას მოჰყვება, რასაკვირველია, შესაფერი სურათების ხატვა და ძერწვა. თემები: ნადირობა, როგორ შოულობდა პირველყოფილი ადამიანი საჭმელს, სხვადასხვა თამაშობის და გართობის მოწყობა აგრეთვე ხელს შეუწყობს ამ ცოდნის შეთვისებას.

ხელოვნება და სარწმუნოება

როდესაც საკმარისად გამოიკვევა ბავშისათვის პირველყოფილი ადამიანის უმწეობა არსებობისათვის ბრძოლაში, შეიძლება მერმე ხელოვნების და სარწმუნოების შესწავლას შეუდგეს. ეს საჭუშაოც იწყება თანამედროვე ცხოვრების შესწავლიდან. მასწავლებელი აამბობინებს ბავშებს ზღაპრებს და გააცნობს ხალხურ ცრუმორწმუნოებას.

შრომის და რითმის კავშირის გამოსარკვევად ამღერებს ან გააგონებს სიმღერას მკის, ლეწვის, თოხნის და ხვნის დროს. შემდეგ აჩვენებს სურათებს პირველყოფილ ადამიანის დაკაწრულს იარაღის ტარზე ან ქვაზე.

ბავში იგრძნობს, თუ ამ გეგმით იშუშავა, რომ სარწმუნოების, სიმღერის და სხვა ხელოვნების საფუძველი იყო არსებობისათვის ბრძოლა. ადამიანს ყველაფრისა ეშინოდა და ამ გრძნობის ნიადაგზე სთხზავდა ის ღმერთებს რომელთა რიცხვიც აუარებელი იყო. ჰხატავდა საშიშ ნადირებს და მძიმე შრომის გასაადვილებლად რითმიულ სიმღერას სთხზავდა, რომელიც ხელის ყოველ მოქნევაზე სულს ათქმევინებდა და სუნთქვას უადვილებდა. ამისა ახსნა ბავშისათვის, რასა-

კვირველია, შეუძლებელია, მაგრამ ის ამას იგრძნობს და, როცა დრო დაუდგება, მაშინ თვითონ მიხვდება, მიხვდება იმასაც, რომ „ბატონები“, „ლევები“, „გველეშაპები“, „ალები და ქაჯები“ და სხვა საკვირველებანი, რომელიც ზღაპრებშია მოთავსებული, შეშინებული ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია და პირველყოფილი ადამიანის სარწმუნოების ნაშთია; ამას შეიძლება მოებას რამოდენიმე მითი საბერძნეთის მითოლოგიიდან.

საზოგადოებრივი ცხოვრება

შემდეგ შესაძლებელია საზოგადოებრივ ცხოვრების შესწავლაზე გადასვლა: დროებითი კავშირები ნადირობის დროს; რა არის ოჯახი; ოჯახი ჩვეულებრივი და დიდი ოჯახი; ძველი გვარები; დიდი ოჯახები სოფლად. ყველა ამას ბავშები დაკვირვების საშუალებით შეისწავლიან. რულამანიდან: პირველყოფილი ოჯახი, მეჯოგეობა, საქონლის მოვლის საჭიროება, გართულება მეურნეობისა. კელტების ცხოვრება რულამანიდან: მუდმივი ოჯახი და გვარი; მამამთავარი, მისი უფლება; შესაფერისი ამბები ძველი აღთქმიდან—ებრაელების ცხოვრებიდან. გვაროვნული წესწყობილების შესწავლის დროს მასწავლებელი ჯერ ისევ თანამედროვე ცხოვრებას დაუბრუნდება. ბავშები თვითონ დაასახელებენ სოფელში დიდ ოჯახებს და ასწერენ მის შემადგენლობას. აღნიშნავენ იმას, რომ ოჯახის მამას ამ ოჯახში ბრძანებლობის უფლება აქვს, რომ ყველანი მუშაობენ საერთო საჭიროებისათვის, და ოჯახში ყველას შუმოაქვს თავისი ნამუშავარი. ეს განსაკუთრებით ადვილია საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, სადაც პატრიარქალურ წესწყობილების ნაშთები ჯერ კიდევ მთლად არ მოსპობილან. თუ ადგილობრივი პირობებში მასწავლებელს ხელს შეუწყობენ, შესაძლებელია ის შეეხოს აგრეთვე ოჯახთა შორის დამოკიდებულებას და სისხლის აღების წესს.

მიწის დამუშავების შემოღებაზე რომ გადავა კლასი, ბავშები გამოიყენებენ თავის დაკვირვებებს I წელიწადს. მაგრამ აქ კიდევ ახალი დაკვირვებაა საჭირო: ბავშმა უნდა შეისწავლოს თანამედროვე ფორმები სოფლად მიწით სარგებლობისა. სრულიად ადვილია სოფლის ბავშმა სთქვას, რომ თვითეულ ოჯახს თავისი სახნავი მიწა და ვენახი აქვს, საძოვარი, ტყე, ჭალა და წყალი კი საერთოა. შეშის ჭრა, საქონლის ძოვება, ნახირი, რწყვა, თევზის ჭერა—ყველა ეს სოფლის ბავშისათვის ნაცნობი და სახალისო თემებია. ამავე დროს ეს ძლიერ ჰგავს პირვანდელ კომუნიზმს. ამიტომ აქის შესწავლის შემდეგ პირვანდელ კომუ-

ნიზეზე გადავა ბავში: დიდი გვარის ან თემობის საერთო მამული, სახნავი მიწის დანაწილება და მიცემა ოჯახებისათვის ცალკე შესამუშავებლად, საძოვარით, ტყით და მინდვრით საერთოდ სარგებლობა.

მას მოჰყვება თანამედროვე სოფლის და პირვანდელი სოფლის წესწყობილების და მართვა-გამგეობის შესწავლა: ყრილობა, მამასახლისი, გზირი, თანამედროვე კომისარი სოფელში.

მე მგონია, ამითი უნდა დასრულდეს მეორე წელიწადი, და უფრო რთული მასალის შესწავლა გადატანილ იქნეს მესამე წელიწადზე.

აქ თავიდანვე კლასი დაიწყებს ნატურალურ მეურნეობის შესწავლას სასოფლო მეურნეობის ნიადაგზე: მუდმივი ბინადრობა; უძრავი ქონების უპირატესობა; მიწის დამუშავების შესწავლა; მარაგი; მკვიდრი სახლები; უძრავი ქონების და მარაგის დაცვის საჭიროება; მიწის დამუშავების უპირატესობა მეჯოგეობაზე; თემების გაერთიანება ტომებად და ტომებისა სახელმწიფოებად; მიწის ძალა, როგორც ერთი ღირებულების გაცვლა-გამოცვლა და დასაჩუქრების სახით. სტუმარ-მასპინძლობა, თანახმად თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებისა და თანახმად ისტორიული ფაქტებისა; პირვანდელი ბერძნების ცხოვრება, პირვანდელი გერმანელების ცხოვრება. ამის შესაფერისი ეპიზოდები ებრაელების ცხოვრებიდან (ამბები ძველი აღთქმიდან). გაერთიანების საჭიროება შრომის ორგანიზაციის და ქონების დაცვის საჭიროების ნიადაგზე; სახელმწიფოს დაარსება ეგვიპტეში, პალესტინაში.

ამის შემდეგ ბავშები გადავლენ კაპიტალიზმის ელემენტების შესწავლაზე: ქარხანა და მისი მოწყობილობა, მანქანა, მანქანის მნიშვნელობა. ამ დაკვირვებათათვის ბავშმა უნდა ინახულოს ქალაქი, ან თუ სადმე ახლო არსებობს რაიმე ქარხანა. საჭიროა საერთო ექსკურსია აგრეთვე დიდი წარმოების და ნავთსადგურების საჩვენებლად. აქ კაპიტალიზმის შესწავლა უნდა კონტრასტის ნიადაგზე ჰხდებოდეს. ნატურალური წარმოების შედარება კაპიტალისტურ წარმოებასთან ცხადჰყოფს ორივეს ნიშანდობლივ თვისებას. წარმოება კერძო ინიციატივის ნიადაგზე: აქ მუშა არ ღებულობს მონაწილეობას არც მრეწველობის ორგანიზაციაში, არც მის შემოსავალში. პატრონსა და მუშას შორის ურთიერთობა.

ქარხანა საზოგადოებრივი ინიციატივით. —უნდა დათვალიერებულ იქნეს სახელმწიფო ქარხანა და დაკითხვის საშუალებით გამორკვეულ იქნეს მუშის დამოკიდებულება წარმოებასთან. მუშების კავშირები და მათი საზოგადო უფლებები (უფლება კანონმდებლობაში მონაწილეობისა).

ეს ყველაფერი შეისწავლება მოკლედ და ზოგადად, რადგანაც დაწვრილებით ამ საკითხის შესწავლა უნდა შემდეგ წლებისათვის გადაიდოს აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების მხარეს, ტეხნიკას, მანქანის მნიშვნელობას. უკეთესი იქნება, თუ ბავშები, თანახმად ზემოდ აღნიშნულ ჟავორონკოვის მიერ მოყვანილ მაგალითებისა, წინასწარ გაეცნობიან იმ წარმოებას, რომელიც უნდა დაათვალიერონ. ეს კი შესაძლებელია თუნდაც სკოლის ბინის დათვალიერებით, სადაც სხვადასხვა საწარმოო დაწესებულებიდან გამოსული ნივთი ბევრი შეხვდება ბავშვკარის კლიტეები, რაზები, საერთო გათბობის ნაწილები, თუ აქვს იგი სკოლას, და მრავალი სხვა—თუ არა და—ოჯახში შეიძლება წინდაწინვე დაათვალიეროს ბავშმა ის ნივთი, რომლის წარმოების შესწავლასაც იგი აპირებს. ამასთან დაკავშირებით ტრაქტორების და გაუმჯობესებული გუთნების და სასოფლო მანქანების შესწავლა ბავშს კაპიტალისტურ წარმოების სრულ სურათს მისცემს.

მხოლოდ მეოთხე წელიწადს შეუდგება ბავში ნატურალური მეურნეობის ნიადაგზე აღმოცენებულ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის შესწავლას და აქ ფართოდ გამოიყენებს თავის ცოდნას მებატონის მეურნეობის მოწყობილობის შესახებ. ამასთან წინასწარ ჰნახავს, თუ ახლო სადმე არსებობს, ძველი ციხე-კოშკის ნაშთს, შეისწავლის იმ ხეობას, რომელსაც ეს ციხე-კოშკი ჰბატონობს და იცავს და ამის საშუალებით წარმოიდგენს მეურნეობის კარჩაკეტილობას.

საქართველოს ისტორიიდან.

შემდეგ საქართველოს ისტორიიდან გაივლის რამდენიმე მაგალითს ფეოდალური ურთიერთობისას, თუნდაც ორბელიანების ბრძოლას მეფეების წინააღმდეგ, კლდე-კარის მიდამოების გეოგრაფიას და დავით აღმაშენებლის ბრძოლას ფეოდალების ასალაგმავად.

ამის შემდეგ ბავში შეისწავლის საქართველოს ტერიტორიის მოხაზულობას 1) მტკვრის და რიონის ხეობა, როგორც საქართველოს ძთავარი გზა. 2) თითქმის პარალელური ხეობები ამ მდინარეების მარჯვნივ და მარცხნივ. 3) თვითეული ხეობის დამცველი ციხეები და ქალაქები. 4) საქართველოს ხეობების კარჩაკეტილობა და მათი კავშირი მტკვრის და რიონის საშუალებით. 5) საქართველო და შავი ზღვა. 6) ვაჭრობა საბერძნეთთან სტრაბონის დროს. 7) რიონი და მტკვარი, როგორც ბუნებრივი გზა. 8) მცხეთა, როგორც ცენტრი, საიდანაც

საქონელი სხვადასხვა გზებით უცხოეთში იგზავნებოდა. ქალაქები: უფლის ციხე, კასპი და სევსამორა. სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა მცხეთისა. მცხეთა, როგორც ცენტრი საქართველოს სახელმწიფოებრივობისა. სახელმწიფოს დაარსების პროცესი სავაჭრო გზების დაცვის საჭიროების ნიადაგზე. რა მხრით იყო ხელსაყრელი ადგილობრივი მშრომელი ხალხისათვის ეს ვაჭრობა.

საქონლის მეურნეობის გაცხოველება ევროპასთან და აზიასთან კავშირის აღდგენის შემდეგ (დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს). საქართველოს ძლიერება ამ ნიადაგზე, მისი ოქროს ხანა. ოსმალეთის ძლიერება. საქართველოს ჩამოშორება ევროპისა და აზიისაგან. საქართველოს სახელმწიფოს რღვევის პროცესი და დაცემა.

— —

ამით დასრულდება პირველი ოთხწლედის კურსი. არ უნდა შეაფიქრიანოს მასწავლებელი იმ გარეგნობამ, რომ ამ გეგმაში ბევრი რთული მასალაა. ეს რთული მასალა გეგმაში გამოდის რთული, იმიტომ რომ გეგმა მასწავლებლისათვის იწერება. თუ მასწავლებელი მიაღწევს იმას, რომ ბავშმა მხოლოდ იგრძნოს პრინციპები, რომელსაც მასწავლებელი ატარებს, სრულიად საკმარისია. არც ტერმინებით, არც ახსნა-განმარტებით ბავში არ უნდა შევაშინოთ. იმან მხოლოდ უნდა შეისწავლოს მარტივი, საკუთარი დაკვირვებით შეძენილი მოვლენები და, თუ მეცადინეობა სათანადო გეგმაზეა აგებული, იგი თვითონ ჩაჭყრის ბავშის გულისყურში საფუძველს მომავალი მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის.

ამ სახით, ბავში სავსებით შეითვისებს საზოგადოებათმეცნიერებიდან იმას, რაც გარს არტყია და რის შეთვისებაც იმისათვის შესაძლებელია. ამ თანამედროვე ცხოვრებაზე დაკვირვების საშუალებით მასწავლებელი უვითარებს ბავშს ევოლიუციაზე და დროზე წარმოდგენას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ამა თუ იმ ეპოქის გავლის დროს მასწავლებელმა აუხსნას მას, რომ ესა თუ ის მოვლენა არსებობდა ამდენი და ამდენი წლის ან საუკუნის წინად ჩვენი დროიდან. მაშინ ის ისტორიზმი, რომელსაც ჩვენ შევიტანთ ამ საგნის სწავლებაში, კიდევ ერთ პედაგოგიურ სამსახურს გაგვიწევს: იგი განუვითარებს ბავშს დროის წარმოდგენას, რომელიც ჩვეულებრივ ძლიერ გვიან ვითარდება.

გ. ნათაძე.

თხრობა ახალ სკოლაში.

ქართველ მასწავლებელთადმი [1]

უხსოვარ დროიდან არსებობს ადათი ზეპირ-სიტყვით გადაცემისა.

უკვე კულტურის დაბალ საფეხურზე ადამიანის პირველყოფილი გონება გამოხატავს ზღაპრებში და თქმულებებში თავის საუკეთესო ზრახვებს, მიმალულ შიშს, იმედებს და ბუნების მოვლენათა ბავშურ განმარტებას.

ველურს გადააქვს ზეპირ-სიტყვაში თავისი არა-რთული შინაგანი ცხოვრება, თავისი ღარიბი მარტივი ყოფა-ცხოვრება და შეუბრალებელი, მძლავრი ბუნება.

კაცობრიობა ჯერ უსაზღვრო შიშით და უმწეო მორჩილებითაა ბუნებისადმი გამსჭვალული და მხოლოდ თანდათან, მედგარი შრომისა, ბრძოლისა და მრავალი გაჭირვების გზით იმორჩილებს მის ძალებს.

ადამიანის ბრძოლის ისტორია ბუნების სტიქიონთან და ტეხნიკის შემოქმედებითი წინსვლა, რომელიც ანთავისუფლებს კაცობრიობას უძლურობისაგან და უცოდინარობისგან, ყველა ეს ზეადამიანური ძალით მოსილ მებრძოლთა სახეებს ჰბადებს ხალხის კოლექტიურ შემოქმედებაში, ე. წ. „მთხრობელთა“ შემწეობით. ჰერაკლი, პრომეთე, ამირანი, ზიგფრიდი, მიკულა. ამგვარად ყველა: მონადირე, მწყემსი, მიწის მუშა, მჭედელი თუ ფეიქარი მხედარისა და სარდალის გვერდში დგანან ხალხურ წარმოსახვაში, მისი ე. წ. ეპოსის გმირები. საზოგადოებრივი ბრძოლა ცხოვრებისათვის და საზოგადოებრივი თანამშრომლობა შრომაში გამოჰკრთის ძველი დროის საიდუმლოთი მოსილ მითებსა და გადმოცემებში.

დროთა სვლაში ეს თქმულებანი ცვლილებას განიცდიან, იმსჭვალებიან უფრო გვიანი ხანის სულითა და ყოფა-ცხოვრების ხასიათითა და იქცევიან უკანასკნელი ლროის ზღაპრებისა და ლეგენდათა ქვა-კუთხედად, რომელშიაც აღსახულია შორი წარსულის ცხოვრება, ადათები, რწმენანი და წარმოდგენანი.

---

[1]) ამ წერილის შინაარსს უმეშვეო კავშირი აქვს წინა წერილთან, თუმცა მისგან სრულიად დამოუკიდებლადაა დაწერილი. **რედ.**

დაუფასებელია „მთხრობელთ“ მიერ ჩვენთვის დატოვებული სიმდიდრე, როგორც შინაარსით, ისე ფორმით; შინაარსი გვაზიარებს კულტურის დასაწყისის ნორჩ ფესვებს, ფორმა კი ჯანსაღ, მძლავს, ხალხურ ხელოვნებას გვაძლევს, რომელშიც ჯერ კვალიც არ არის განცალკევებული პირადი შემოქმედების უჯანსაღო განმხოლოებისა და ხშირად არა-გულწრფელობისა.

ბავშისათვის

ხალხური ზღაპარი და თქმულება მთლიანად შეეფერება ბავშის ბუნებას, ინტერესს და მსოფლმხედველობას. ე. წ. პრიმიტივობა, ე. ი. პირველყოფილი სიმარტივე, გმირების ფსიქიკის სიმკვეთრე, მოძრაობის და მოქმედიანობის სიუხვე და მიმზიდველი ხასიათი: ბრძოლა, გმირობა, მეტოქეობა, შრომა, ხასიათების მკვეთრი კონტრასტი, და დაპირდაპირება; საჭირო და მგრძნობიარე ელემენტები—ყველა ეს ბავშისათვის სავსებით მისაწვდომია და ამიტომ მეტად მიმზიდველიც. ამ თქმულებათა სიცოცხლით სავსე მოქმედიანობა უღვიძებს ბავშს მოქმედების და შემოქმედების სურვილს და ხდის ზღაპარს და ხალხურ ეპოსს მის საყვარელ საქმედ.

ეს ძვირფასი მხატვრული მასალა გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი სკოლის მიერ; უნდა ვისარგებლოდ ხალხური შემოქმედების ასეთი სიახლოვი და მიმზიდველობით ბავშის ბუნებისათვის და ამ მხატვრული და უმკვეთრ წარმოდგენებით სავსე გზით შევიყვანოთ ბავში კაცობრიობის ზრდა-ვითარების ძალებისა და მოქმედიანობის შეგნებაში.

ამ კონტრასტებით და დაპირდაპირებით უნდა შეიგრძნოს ბავშმა კაცობრიობის გზა შორეულ წარსულიდან თანამედროვე სინამდვილემდე.

ჩ ა ნ ე რ ა.

ხალხური გადმოცემების მასალა დაუფასებელია, დაუშრეტელიც იმ დროს, როდესაც საზოგადოების უზრუნველყოფილი წრეები ანვითარებდნენ თავის პიროვნულ წერითი სიტყვაკაზმულს, ხალხის წიაღი, განსაკუთრებით ყრუ სოფელი, წარმოშობდა უთვალავ ზეპირსიტყვიერ განძს.

რუსეთის სოფელი, განსაკუთრებით ჩრდილოეთისა, ეხლაც იძლევა „მთხრობელებს“, ზღაპარსა და ე. წ. ბილინებს გმირულ თქმულებებს.

ამიერ-კავკასიის სოფელს ბავშურად უყვარს თხრობა, ჰყავს თავისი მიჩნეული მთხრობელნი და მდიდარია საგულისხმიერო თავისებური კულტურულ-ისტორიული თქმულებებით.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიური სიჭრელე, ბუნებრივი და სოციალური პირობების მრავალფეროვნობა და, რაც უმთავრესია, ზოგიერთი კუთხის რიგსგარეშე კულტურული ჩამორჩენილობა ამოუწურავ პედაგოგიურ და მეცნიერულ ინტერესს ანიჭებენ ამ ხალხურ ზეპირსიტყვიერ განძეულობას, მის აღმოჩენასა და ჩაწერას. რამდენი ასეთი მასალა მოიპოვება აფხაზეთის, ფშავეთის თუ სვანეთის წიაღში, ყველა იმ ტომთა შორის, რომელნიც დღესაც განძს წარმოადგენენ ყოველისათვის, ვინც პრიმიტიულ ცხოვრების პირველყოფილობას შეისწავლის, მისი ძველი თემური ყოფა-ადათებით და რწმენა-წარმოდგენებით.

ამ ძვირფასი მხატვრული მასალის ამოკრებას საქართველოს სოფლებიდან შესძლებს მხოლოდ ადგილობრივი მასწავლებლობა, ყოველი ყრუ კუთხის ეს უკულტურესი ნაწილი, და აგრეთვე მის მიერ ამ საქმისთვის მომზადებული და გულაღგზნებული ბავში-მოწაფე.

ზღაპრების, თქმულებების და გადმოცემათა ამგვარი შეგროვება და ჩაწერა წარმოშობს ადგილებზე მნიშვნელოვან სწავლა-აღმზდელობით მუშაობას, თუ ბავშებიცაა მუშაობაში ჩამბული, სოფლის თავისებურობით წარმოშობილ ახალ მეთოდიურ ხერხს გვაძლევს.

მეორე მხრით სოფლის მთხრობელთა მიერ ნათქვამის ჩაწერა მოგვცემს უძვირფასეს მასალას, როგორც საქართველოს შესწავლისათვის ისტორიულ-კულტურული ახალი ხალხური წყაროს შემწეობით, ისე საზოგადოებათმეცნიერების სწავლებისათვის, ესთეტიური აღზრდისათვის და მხატვრული თხრობისათვის.

ჟ უ რ ნ ა ლ ი

ამ მხრივ ახალი სკოლის პედაგოგიურ ჟურნალს უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა სკოლის გამდიდრებისათვის, რადგან მის ფურცლებზე უახლოვდება ერთმანეთს ყრუ განაპირებისა და კულტურული ცენტრის მასწავლებლობა და სკოლა.

ცენტრი და მისი უმაღლესი სკოლა ყოველგვარ ცნობებს აწოდებს ადგილებს, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს და ჩაიწეროს ხალხური შემოქმედება და რა არის მასში საგულისხმიერო მეცნიერებისა და სკოლისათვის. სოფლის მასწავლებლობა კი სამაგიეროდ ამდიდრებს ცენტრის მუშაობას ერის წიაღის პოეტური განძეულობით.

ამნაირად თხრობის გარშემო შეიძლება დაიბადოს ის, რაც შეად-

გენს ყოველი ახალი სკოლის საოცნეს—სოფლისა და ქალაქის სკოლების ურთიერთობა და მჭიდროდ ხელჩაბმული საერთო მუშაობა.

ტფილისის მასწავლებლობა მიიღებს სოფლებიდან ასეთ ჩაწერილ მასალას, შეიტანს მას თავის სკოლებში და თავის მხრით დაეხმარება სოფელში მომუშავე ამხანაგებს თანამედროვე ზეპირ-სიტყვითი გადაცემის გზების, მასალისა და მიზნების გაშუქებით. თანვე გაუზიარებს მათ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და პირად დაკვირვებას ამ ახალი მასალის დასამუშავებლად და ზეპირსიტყვიერი გადაცემის გამოსაყენებლად, ბავშის თვითმოქმედიანობის განსავითარებლად, როგორც თხრობით, ისე პოეტური და მხატვრული შემოქმედებით, დრამატიზაციით და სხ.

ამგვარად მიხწეული იქნება ახალი სკოლის ყოველი მუშაკისათვის სასურველი მიზანი: პედაგოგიური თანამშრომლობა ქალაქისა და სოფლის განათლების მუშაკთა, ურთიერთ ზეგავლენით და უმაღლესი სკოლის დაწყებით სკოლასთან დაახლოვებით.

ნ. კოზლოვსკაია.

მე-2 საცდელ-საჩვენებელი სკოლის მასწავლებელი.

სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ

სკოლის ასაკამდე აღზრდის საკითხი მთელი ახალი სკოლის საძირკველია და მისი სწორე თუ შემცთარი გადაწყვეტა სწყვეტს სკოლის მთელი შემდეგი მუშაობის ნაყოფიერებას.

ბავშის აღზრდა და ნაწილობრივ სწავლა უნდა პატარაობიდანვე იწყებოდეს, ე. წ. სკოლის ასაკამდე აღზრდის ხანაში. თუ აღზრდა უფრო გვიან იწყება, მას ბევრი რამ აკლდება, რისი შევსება შემდეგში უკვე ძნელია. ყოველ ასაკს საკუთარი, სხვა ასაკებისაგან განსხვავებული ცხოვრება აქვს. თუ ბავშის გარშემო თავიდანვე აღზრდის სასურველი სწორე პირობებია შექმნილი, მაშინ შრომის სკოლაში საჭირო იქნება მხოლოდ იმ მუშაობის გაგრძელება, რომელსაც საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს სკოლის ასაკამდე აღზრდის დროს. სკოლის ძირითადი რეფორმა, რომელიც უკვე მომწიფებულია და საბჭოთა ხელისუფლების მთავარ საკითხადაა აღიარებული, განხორციელებული ვერ იქნება, თუ შრომის სკოლა და სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი მჭიდრო შეთანხმებით და ერთმანეთის მტკიცე თანმიმდევრობით არ დაიწყებენ ამ საქმეს ერთი მთლიანი პედაგოგიურ-ადმინისტრატიული აზრით.

სკოლის ასაკამდე აღზრდა ერთ-ერთი ძირითადი გზაა სკოლის რეფორმისათვის. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სახალხო განათლების კომისარიატი სათანადო ყურადღებას აქცევს ამ საქმეს[1]) და თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებას ანდომებს.[2]) მაგრამ სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმე ჯერ კიდევ

---

[1]) ქვემომოთავსებული **საბავშო ბაღებში მუშაობის სახელმძღვანელო და პროგრამა** ოფიციალურ განყოფილებიდან ზოგადში გადმოგვაქვს, როგორც მისი შინაარსის ფართო პედაგოგიური მნიშვნელობის გამო, ისე მისი არაჩვეულებრივი მოცულობის გამო, რაც მეტად ამძიმებს ოფიციალურ ნაწილს. **რედ.**

[2]) გარდა სკოლის ასაკამდე ბაღებისა და სახლებისა, ამ განყოფილების გამგებლობაშია აგრეთვე რესპუბლიკის ყველა საბავშო სახლებიც.

სასურველად დაყენებული არ არის ამ დარგის მომზადებულ მუშაკთა დანაკლისის და შესაფერი ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. მრავალ პედაგოგიურ გამოცემათა შორის ძალიან ცოტაა საბავშო ბაღების მუშაკთათვის სახელმძღვანელოდ გამოსადეგი (განსაკუთრებით ქართულად). ეს ახალი საქმეა, და ამ დარგში მომუშავეთ უხდებათ მასალების ძებნა და ამოკრეფა სხვადასხვა ჟურნალებიდან და წიგნებიდან. ამიტომ განყოფილებამ საჭიროდ სცნო შეედგინა კომისია საბავშო ბაღთა საუკეთესო მუშაკთაგან და დაევალებინა მათთვის სახელმძღვანელოს შედგენა თავიანთ პრაქტიკის მიხედვით. განყოფილება არ შეეცთარა: სახელმძღვანელო უკვე მზადაა, ის შედგენილია გასაგები მარტივი ენით და მასში გათვალისწინებულია ბავშთა ცხოვრების ყველა მხარე.

თვითეულს ოდნავად ნიჭიერს და საქმით დაინტერესებულ ხელმძღვანელს (როგორც საბავშო ბაღებისა, ისე სასკოლო ბაღისა და ხელოვნ პირველ ჯგუფებისა) შეუძლია გაერკვიოს ამ სახელმძღვანელოში მისი ყურადღებით შესწავლით და ამოკრიფოს ყოველი, თავისთვის საჭირო ცნობა. ერთი სიტყვით, შესძლებს ისარგებლოს იმ მასალით, რომელიც ხელთ ექნება საბავშო ბაღში. განყოფილება იმედოვნებს, რომ ეს ნამუშევარი არ იქნება უკანასკნელი, და მას თან მოჰყვება ბევრი სხვაც, კიდევ უფრო დაწვრილებით დამუშავებული. ყოველი საკითხი ცალკე და საფუძვლიანად იქნება გარჩეული ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, რომ საბავშო ბაღის ყოველმა ხელმძღვანელმა პასუხი მიიღოს მის მიერ წამოყენებულ საკითხებზე.

ელ. წულუკიძე

სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილების გამგე

სასკოლო ბაღების შესახებ

ქვემომოწოდებული მასალა ტფილისის საბავშო ბაღების ცოცხალი მუშაობის შედეგია, რომელსაც ეწევიან ჩვენი ახალი სკოლის საუკეთესო **საძირკვლის ჩამყრელნი**, ახალგაზრდა „სკოლის ასაკამდე აღმზრდელები", რომელთა მუშაობას მთელი მასწავლებლობის ყურადღებას ვაქცევთ. მომავალ ნომრებში არა ერთი წერილი იქნება მათი მუშაობის და ცდების შესახებ, მაგრამ პაწიების **ახალი** სკოლის სულ ახალნაირი ხასიათის წარმოდგენა მხოლოდ პირადი ნახვით შეიძლება; ამიტომ ყველას ვურჩევთ, ვინც ტფილისში მოხვდება, ამ ახალგაზრდა მძებნელთა ერთ-ერთ ბაღს მაინც გაეცნონ.

სკოლის ასაკამდე საკითხების გამოკვლევაში **საქართველოს** პიროვნებისათვის დღეს საუკეთესო ჩვენი მუშაკებია ტფილისის რამდენიმე ბაღის გამგე: **თამარ ერისთავი**—ტფილისის განათლების განყოფილების სკოლის ასაკამდე აღზრდის ინსტრუქტორი და პირველი საბავშო ბაღის გამგე (ბელინსკის ქუჩა); **ნ. უნაბკოშვილი**—განათლების კომისარიატის საცდელ-საჩვენებელი საბავშო ბაღის გამგე (სასამართლოს ქუჩაზე) და **ს. მაჩაბელი**—მე-9 საბავშო ბაღის გამგე (საუფლისწულო ქუჩა, 21), და აგრეთვე კიდევ რამდენიმე სულ ახალგაზრდა სკოლის ასაკამდე აღმზრდელი, ზოგი უკვე საბავშო ბაღების სათავეში ჩაყენებული, ზოგი **სასკოლო** ბაღებში შომუშავე **შრომის სკოლაში სკოლის ასაკამდე აღზრდის პრინციპების შესატანად.** საქმისათვის თავდადებულად და უხმაუროდ მიდის მათი მუშაობა, მაგრამ ვინც ტფილისში მუშაობს ჩვენი ახალი სკოლის ძებნისათვის, მათ კარგად იციან, რა დაუფასებელი წვლილი შეაქვს ამ სულ ახალგაზრდა რაზმს ჩვენი ახალი სკოლის აგების დაწყებაში **ყოველი ასაკის მოთხოვნილების მიხედვით**, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძებნის თავიდანვე სწორ ნიადაგზე დასაყენებლად და ამითი ძიების არა-ერთი წლის მოსაგებად.

მაგრამ სკოლის ასაკამდე დარგში მუშაობა ამითი არ განისაზღვრება ტფილისის მასწავლებლობის შორის. დიდ მუშაობას ეწევა ამა-

ვე პირების შემწეობით აგრეთვე დღევანდელი ჩვენი ე. წ. **სასკოლო ბაღები**, რომელთაც ბავშის ზრდის უკვე შემდეგ ასაკთან აქვთ საქმე, ე. წ. **„კბილების ცვლის“** (7-8 წლის) **ასაკთან**, რომელსაც მრავალი თავისებურობა აქვს, როგორც ფსიქიური, ისე ფიზიოლოგიური. შემდეგ ნომერში ამას უფრო დაწვრილებით შევეხებით, აქ კი მხოლოდ ხაზს გავუსვამთ სასკოლო ბაღების უაღრეს მნიშვნელობას არა მხოლოდ როგორც სკოლის ასაკამდე საბავშო ბაღების **სამაგიერო** დაწესებულებას, არამედ როგორც საუკეთესო შესაძლებლობას „სკოლის ასაკამდე“ ხნოვანობის მიმყოლი ასაკის შესწავლისას საქართველოს პირობებისათვის.

მეორე ნომერში ცალკე წერილი იქნება **სასკოლო ბაღის შესახებ**, რომელსაც დიდი ყურადღება აქვს მიკუთვნილი როგორც განათლების კომისარიატში, სასკოლო და სკოლის ასაკამდე განყოფილებებში, ისე ტფილისის **განათლების მუშაკთა სახლში.** კომისარიატში, სკოლის ასაკამდე განყოფილების თაოსნობით, კომისია მუშაობს სასკოლო ბაღის **პროგრამის, მეთოდიური სახელმძღვანელოების** და **სხვა** დამხმარე და **სამაცადინო მასალის** გამოსამუშავებლად და ტფილისის ყველა სასკოლო ბაღის პროგრამების განსახილველად, მათგან საუკეთესოს ამოსაკრეფად.

განათლების მუშაკთა სახლში ცალკე ქართულ სასკოლო ბაღების სექცია მუშაობს, ცალკე სკოლის ასაკამდე აღზრდის სექცია, ჩვენი ახალგაზრდა სკოლის ასაკამდე მუშაკთა ახლო მონაწილეობით, რომელიც აგრეთვე შეეხება სასკოლო ბაღებს. ორივეში მეტად საგულისხმიერო საკითხები იბადება, ირჩევა და მუშავდება ჩვენი ახალი სკოლის ძებნისათვის. ეს მუშაობაც არა ერთხელ იქნება გადმოტანილი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ასაკთა **სათანადო მუშაობის** განყოფილების მიერ. ამ საკითხებიდან პირველ რიგში ჩაყენებული გვაქვს **ბავშური წარმოსახვის** (воображение) საკითხი, რასაც **ზღაპრების შერჩევა და დამუშავება მოსდევს** ჩვენი სკოლისათვის და ქართული **წერა-კითხვის სწავლების** საკითხი **პაწიებისათვის;** ამ საკითხს კი თან მოსდევს ჩვენი აკადემიური **შრიფტის** და საერთოდ ზოგიერთი ასოს დაწერილობის საკითხი, რომელიც წამოყენებული იქნება ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს პაწიებისათვის აგრეთვე ქართული ოცობითი **ზეპირი თვლის** საკითხს, რასაც აგრეთვე სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული ჟურნალის გეგმის დამუშავებაში. ამ

საკითხის დღევანდლამდე უსრულესი გაშუქება თავმოყრილია ჟურნალ „განათლებაში“, 1920 წ., № 1, სადაც, სხვათა შორის, სკოლების მთელი ერთი რაიონის ხმაცაა მოთავსებული. მეტად სასურველი იქნება, რაც შეიძლება, მეტი ამგვარი ხმის გაგონება ადგილებრდან ამ საკითხის შესახებ.

ნ. ნ.

სახელმძღვანელოდ საბავშო ბაღებსა და სახლებში [1])

დღევანდელმა რთულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ საბავშო ბაღების საკითხი ძალიან წინ წასწია. არასოდეს ხალხის უმრავლესობა საბავშო ბაღებით ისე დაინტერესებული არ ყოფილა, როგორც დღეს: ახლანდელ პირობებში მეტად გაძნელდა და გართულდა ცხოვრება. ყველა იძულებული გახდა შესაფერის საქმეში ჩაერიოს, და ბავში რომ სახლში უყურადღებოდ არ დარჩეს, საბავშო ბაღში იგზავნება. ამ მხრით საბავშო ბაღი მართლაც დიდად შველის ოჯახს, მაგრამ გარდა ამ დახმარებისა, საბავშო ბაღებს ცალკილებით უფრო დიდი დანიშნულება და მიზანი აქვს დასახული, და ეს მიზანი მეტად რთული და ღრმაა.

ახალი ბაღი.

საბავშო ბაღების მიზანია შექმნა ისეთი პირობები, რომ ბავშმა შესძლოს თავისუფლად, ძალიან ადვილად განვითაროს ბუნების ის მხარეები და მისწრაფებანი, რომელიც საჭიროა მისი ასაკისათვის და რომელზედაც უნდა დამყარდეს მთელი მისი შემდეგი განვითარება.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ უვითარებს საბავშო ბაღი ბავშს შინაგან მხარეებს, საჭიროა გამოირკვეს, რა განსხვავებაა ბავშში 3 წლიდან 7 წლამდე და 7 წლის ზევით.

ტოლსტოი ამბობს: „ჩვენსა და 7 წლის ბავშს შორის ერთი ნაბიჯიაო, ხოლო 3-5 წლისა და 7 წლის ბავშთა შორის კი მთელი უფსკრულიო". მეცნიერება ამტკიცებს, რომ ბავში 7 წლამდე ვითარდება გარე გრძნობებით (შეხება, კუნთური, გრძნობა, სმენა, ხედვა) ხოლო 7 წლიდან კი ის იწყებს უკვე წმინდა გონებრივ განვითარებას. ამავე დროს ზოგიერთი გარე გრძნობები ჩერდება და ზოგი კი ნელის ნაბიჯით ვითარდება, ე. ი. ბავში ცხოვრებას 7 წლამდე უფრო გარე

---

[1]) სადაც საბავშო ან სასკოლო ბაღი არ არის, ბევრი რამ ამ სახელმძღვანელოდან გამოსადეგია სკოლის პირველ ჯგუფებისათვის.

გრძნობებით ითვისებს, 7 წლიდან კი გონებით. ამ გარე გრძნობების განვითარების შესახებ საგულისხმიერო აზრს გამოსთქვამს პრეიერი: „ძირითადი პირობა ყოველი სულიერ განვითარებისა შესდგება გარე გრძნობათა ორგანოების მოქმედებაში, უამისოდ შეუძლებელია ყოველი ფსიქიური პროცესი“. აქედან ნათლად ჩანს, რომ გარე გრძნობების განვითარების შედეგი უნდა იყოს გონებრივი განვითარება. უამისოდ გონება ვერ მიაღწევს თავის უმაღლეს წერტილს.

რადგანაც საბავშო ბაღის ასაკი სწორედ ის ასაკია, როცა გარე გრძნობები ვითარდება, რომელიც საფუძველია მთელი შემდეგი განვითარებისა, ამიტომაც აშკარა ხდება, რომ საბავშო ბაღში გარე გრძნობების განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ეს მხარე საფუძვლად უნდა ჩაითვალოს და მასზე აშენდეს საბავშო ბაღის მთელი ცხოვრება. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ საბავშო ბაღში გონების განვითარებას ადგილი არ ეძლევა, სანამ ამისათვის საფუძველი მომზადებული არ იქნება. ცხადია, ამ ასაკში ბავშის ინტელექტი არ უნდა დაიტვირთოს, ზეპირად არაფერი არ უნდა ასწავლონ. ბავშის მეხსიერება, მართალია, ადვილად ითვისებს იმას, რასაც გაიგებს, მაგრამ ეს მეხსიერება ჯერ სუსტია, გამაგრებული არ არის და მისი დაზიანება და დასუსტება ადვილია. მეორეც ისა, რომ ამ ასაკში ბავშს ბევრი რამ არ ესმის: მან ცოტა სიტყვა იცის, მხოლოდ რამდენიმე საგანს იცნობს და რთული წარმოდგენა და განყენებული აზროვნება არ შეუძლია, ის საგნობრივ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ფიქრობს. ამიტომაც მას მთლიანი აზრი არ ესმის იმ ლექსისა, რომელიც მან უნდა დაიხსოვნოს; ის ამ შემთხვევაში, თუმც სიტყვებს იხსომებს, მაგრამ ზეპირად, მექანიურად იმეორებს. არა მარტო ლექსის შესწავლა, თვით უბრალო მოთხრობები და ზღაპრებიც დიდის სიფრთხილით და დაკვირვებით უნდა იყოს გატარებული საბავშო ბაღის ცხოვრებაში. მოთხრობებს და ზღაპრებს სრულიად არ უნდა ჰქონდეს დასახული რაიმე მორალი, და ამასთან ერთად არც თუ რაიმე მოვლენის შესწავლა. მათი შინაარსი ამოღებული უნდა იყოს ბავშის ცხოვრებიდან და ისიც მეტად ადვილად გასაგები, მარტივი და მოკლე. მოამბის მიზანია, ბავში გაამხიარულოს და გაახაროს. ბავშის გონება არც სხვა გასართობებით უნდა მოიქანცოს, როგორიცაა მაგ წარმოდგენები, საღამოები და სცენა, რაც საბავშო ბაღში მიუღებელია. ბავშს მათი მნიშვნელობა არ ესმის, ის სხვის სურვილს და ნებას ასრულებს, და მისი გონება და სხეული კი სუსტდება და ილლება.

საბავშო ბაღის მიზანს შეადგენს: ააცილოს ბავშს ყოველივე მისთვის გაუგებარი და ნაადრევი და შექმნას სიმშვიდე როგორც საბავშო ბაღში, ისე თვითონ ბავშში. მონტესორი ამბობს: „ჩვენს მიზანს შეადგენს არა ბავშის შეწუხება და გზა-კვალის არევა, არამედ იმ ნორჩი სულისათვის დახმარება, რომელიც ცხოვრებას ახლად იწყებს, და ეს ცხოვრება თავისი საკუთარი ძალით უნდა ჩაატაროს“. საბავშო ბაღში ყოველი სიტყვა უნდა აწონილ-დაწონილი იყოს. შეიძლება ბავშმა სულ უბრალო ფრაზა ვერ გაიგოს და მასში უსიამოვნო გრძნობა გამოიწვიოს; ამიტომაც, რაც შეიძლება მკაფიო, მოკლე და სადა უნდა იყოს ბავშთან ბაასი. ხელმძღვანელი ბავშს უნდა შეფერებით ექცეოდეს; გაჯავრებას, დასჯას და შეცთომის გასწორებას არ მოაქვს ის შედეგი, რომელიც ჩვენ გვინდა, პირიქით—სრულიად უშედეგოდ რჩება. თუ ბავში იმას გააკეთებს, რის გაკეთებაც არ შეიძლება, ეს აკრძალული უნდა იყოს ლმობიერი კილოთი, მოკლედ და გაუმარტავად.

როგორც ვთქვით, ბავშმა ამ ასაკში ლაპარაკი კარგად არ იცის; ის სიტყვებს ამხანაგებისაგან და უფროსებისაგან ითვისებს. ამიტომაც ხელმძღვანელმა ყველა სიტყვა უნდა მკაფიოდ, აუჩქარეველივ და დაბალი ხმით გამოსთქვას. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ასაკში (3-დან-7 წლამდე) ბავშს ენა უნვითარდება. მისი ენის კუნთები ნაზია და მისი ჩამოყალიბება ადვილად შეიძლება. 3-და 6 წლამდე ბავშის სიტყვა და საგანი ერთმანეთს უკავშირდება და მასში სამუდამოდ რჩება.

ენის დეფექტი სწორედ 3-დან—7 წლამდე შეიძლება შესწორდეს, შემდეგში კი მეტად ძნელი-ღა იქნება. ამიტომაც საჭიროა, ამ მხარეს დიდი ყურადღება მიექცეს, და საბავშო ბაღში შემოღებული იყოს სუნთქვის და სხვადასხვა ბგერის და სიტყვის გამოსათქმელი ვარჯიშობანი.

თვითმოქმედიანობა.

ბავშს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს, ის უნდა განთავისუფლდეს როგორც უძრავ საკლასო ავეჯისაგან, ისე მასწავლებლისაგან, ავეჯი მისი შესაფერი უნდა იყოს ე. ი. პატარა, მსუბუქი და ადვილად გადასატან-გადმოსატანი. საბავშო ბაღში უძრავი პარტა მიუღებელია. ბავში უნდა აქტიური, მოძრავი და თავისუფალი იყოს. ბავში საბავშო ბაღში უნდა აღიზარდოს ჯანმრთელი, მხიარული, მუშაობის მოყვარე. მასში უნდა განვითარდეს ნებისყოფა და ბავშთა

კოლექტიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების სურვილი. ყველა ამისათვის ხელმძღვანელი გაკვეთილებს არ აძლევს და ისეთ კოლექტიურ მუშაობას არ ეწევა, სადაც აქტიურ როლს ის თამაშობს. ბავშვისთვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მან უხელმძღვანელოდ შესძლოს მუშაობა, და ამ მუშაობის პროცესში იგი თვითაღზრდას და განვითარებას მიიღებს. ხელმძღვანელი მოვალეა, ანგარიში გაუწიოს ბავშვის ყველა მისწრაფებას და მოთხოვნილებას და ამავე დროს ბავშვის შეუმჩევლად იგი სწორ გზაზე უნდა დააყენოს. პედაგოგი ხელმძღვანელია და არა მასწავლებელი, იგი ეხმარება და არა ასწავლის. იგი ხელმძღვანელობს და მასში იმ მხარეებს და მისწრაფებებს აღვიძებს, რომელნიც ბავშვის განვითარებისათვის არის საჭირო; თუმც, როგორც აღვნიშნეთ, ბავში თავისუფალი და თვითმოქმედიანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ეთლად თავშინებებული უნდა იყოს. ბავშს ნება აქვს გააკეთოს ყველა ის, რაც კი უნდა, თუკი ეს მისი მოქმედება ან თვითონ ან მის აბხანაგს არ ავნებს. ბავშმა უნდა შეიგნოს, რა არის კარგი და რა არის ცუდი, რისი გაკეთება შეიძლება და რისა არა. მასში უნდა განვითარდეს ნებისყოფა, რომ თავის შეკავება დროზე შესძლოს, რომ იგი თავისი სურვილების ბატონი იყოს და არა მონა. და სწორედ ამ ნებისყოფის გასანვითარებლად ხელმძღვანელმა უნდა ისარგებლოს ყოველი მომენტით, რომ ბავშში გაანვითაროს ეს გრძნობა. და ამის ერთ საუკეთესო საშუალებად ხიჩუმის გაკვეთილი ჩაითვლება.

ბ უ ნ ე ბ ა.

საბავშო ბაღის ცხოვრება ცალმხრივი და შინაარსს მოკლებული იქნება, თუ მასში დიდ ადგილს ბუნება არ დაიჭერს. ბუნება ამდიდრებს, ალამაზებს და ასპეტაკებს ადამიანის სულს, უამისოთ ადამიანი სულიერად ცალმხრივია და ორგანიზმით სუსტი.

ყველა საბავშო ბაღში მომუშავე უნდა სცდილობდეს ბავში, რაც შეიძლება დიდხანს სუფთა ჰაერზე ამყოფოს ბაღში, გარეთ შეიძლება ითამაშოს და იმუშაოს; ბავშმა ბუნება უნდა შეიყვაროს, მისი სილამაზე უნდა ესმოდეს და მისი მოვლის სურვილი ჰქონდეს. საბავშო ბაღები ისე უნდა მოეწყოს, რომ ბავშს საშუალება ჰქონდეს ბუნების მოვლენებს თვალი ადევნოს და დააკვირდეს. ხოლო აქედან კი შესაფერი დასკვნა გამოიყვანოს—მაგ: ზამთარში, როცა ცივა, ხეებზე ფოთოლი აღარ ჩრის, ყინული ჩნდება, ბაჭია ყურებს სცქვიტავს და სხვა. ბავში

ცოცხალ ბუნების გავლენის ქვეშ უნდა იყოს. ამიტომ ყოველმა ბალმა სხვადასხვა ცხოველები და მცენარეები შეიძინოს. მაგ: ძაღლი, კატა, ბაჭიები, ქათმები, მტრედები, მცენარეები და სხვა. აგრეთვე უნდა მოაწყოს ეზოში ბაღჩა, სადაც თითქმის ყველა ბავშვს თავისი კვალი ან მკენარე ექნება. ამ ბაღჩას ბავში უვლის. მაგრამ სისტემატიური მოვლა და მუშაობა პატარა ბავშისათვის ძნელია. ამას თანდათანობით და ძალდაუტანებლივ ეჩვევა. როცა ბავში ხედავს, რომ მისი ლამაზი ყვავილი დასჭკნა უწყლოობით და მოუვლელობით, მეორედ ეცდება დროზე მიაწოდოს წყალი და მოვლა არ დააკლოს. ამით ბავშში პასუხისმგებლობა იღვიძებს. ბავში იგნებს, რომ მისი უყურადღებობით გაფუჭდა ნათესი და ბეორედ ალარ გაიმეორებს თავის დაუდევრობას. თუ ბავში თავის ყვავილებს და პატარა კვალს უვლის, ის დაკვირვებას და მოთმინებას ეჩვევა. ის იმედით ელის, როდის ამოვა, რაც დათესა, თვალყურს ადევნებს, როგორ გაიზარდა, გაიკეთა ყვავილი და ბოლოს ნაყოფს როგორ გამოიღებს. მოვლის დროს ბავში თვალს ადევნებს ბუნების ცვლას, ის შეატყობს და აღტაცებაში მოვა, როცა კუკური ყვავილად იქცევა, შემდეგ ყვავილის ალაგს ნაყოფი ამოდის და სხვ. ყველა ეს ბავშს ბუნების სიყვარულს და ინტერესს უღვიძებს. ეს არის საუკეთესო საშუალება ბავშის გონების განვითარებისათვის საბავშო ბაღში.

თ ა მ ა შ ი

ბავშს აგრეთვე ესაჭიროება ფიზიკური განვითარება, სუფთა ჰაერზე სირბილი, ხტუნვა, მზრიალით თამაშობა, ბურთაობა, ქანაობა და სხვა.

ბავშის ცხოვრებაში თამაშობას ვერაგული ადგილი უჭირავს. ბავში ჯერ კიდევ სულ პატარა იწყებს თამაშობას არა გასართობად, არამედ თავისი ორგანიზმის დასაკმაყოფილებლად. ის ინსტინქტიურად გრძნობს, რაც მისთვის საჭიროა, და სწორედ ამ მხარეებს იგი თამაშით ანვითარებს, ამით იგი შემდეგ ცხოვრებისათვის ემზადება. შემდეგში ასეთი თამაშობანი ბავშში იმისთანა ჩვეულებას და მუდმივ ინტერესს გამოიმუშავებს, რომელიც შემდეგ მუშაობისათვის დასჭირდება. ბავშმა, რომელმაც თამაშობა იცის, მუშაობაც იცის. გარდა ამისა, არასოდეს არ შეიძლება ბავშის ისე კარგად შესწავლა, როგორც თამაშობის დროს. აქ გაიგება ბავშის მისწრაფება, მისი სულიერი და ბუნებრივი სიმდიდრე; ის ამ თამაშობის დროს თავის ოჯახში მცხოვრებსაც ანსახიერებს. ამიტომაც საბავშო ბაღში თამაშობას დიდი ყურადღება და მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს.

ბავში 3-5 წლებში კოლექტიურ მუშაობისა და თამაშობისათვის მომზადებული არ არის. თამაშობის მთლიანი აზრის გაგება მისთვის მეტად ძნელია. კოლექტიურ თამაშობის დროს მას ღლის იმის ლოდინი, თუ მისი თამაშობის ჯერი როდის მოვა, და სწორედ ამითია გამოწვეული, რომ მას თამაშობა უყვარს ცალკე, ან ორ-სამ ამხანაგთან. იგი თამაშობს ისე, როგორც მას შეუძლია, ისეთს თამაშობას იგონებს, რომელიც მის სხეულს და გონებას შეეფერება. ამ თამაშობაში ბავში თანდანობით ვითარდება, იზრდება და კოლექტიურ მუშაობისა და თამაშობისათვის ემზადება. ეს მომზადება რომ ნორმალურად სწარმოებდეს, საბავშო ბაღში კოლექტიური თამაშობის შემოღება სიფრთხილით უნდა მოხდეს. ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს ამ თამაშობისათვის ბავშვები მომზადებულნი არიან თუ არა, შეუძლიათ თუ არა ამ თამაშობის გაგება და შეთვისება, რადგანაც არ შეიძლება, რომ ბავში თამაშობის დროს პასიური იყოს და სხვისი ბრძანების ამსრულებელი. მოემზადება თუ არა ბავში ამ კოლექტიურ თამაშობისათვის, იგი თვითონვე მოაწყობს მას. აქ ხელმძღვანელს თვითონაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, გაიგოს ბავშის სურვილი, მისწრაფება, უშველოს და დაეხმაროს მას, რათა მოეწყოს ისეთი თამაშობა, რომელიც ბავშის ბუნებას და განვითარებას შეეფერება.

ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი ში.

ტანვარჯიში, როგორც ყოველი სხვა ვარჯიში, თავისუფალი უნდა იყოს. კარგია, რომ მონაწილეობა ყველა ბავშმა მიიღოს, მაგრამ ძალადატანება კი არ შეიძლება, თანდათანობით ყველა შეეჩვევა და მონაწილეობასაც მიიღებს. არავითარი რთული ვარჯიშის შეტანა საბავშო ბაღში არ შეიძლება. ამასთან ერთად, ბავშმა სწორე სიარული და სირბილი მუსიკით და სიმღერით უნდა ისწავლოს. შეიძლება მუსიკით სხვა დასხვა მოძრაობა გააკეთოს, მხოლოდ მეტად მარტივი და ადვილი. ე. წ. ყოველდღიური ცხოვრების ვარჯიშობა შეავსებს ამ ვარჯიშობას.

საბავშო ბაღში ბავში აგრეთვე თავისთავის მოვლას სწავლობს. გარდა ამისა, ოთახის დალაგებას, დაწმენდასაც ეჩვევა, მშვიდად და ნელა სიარულს, უხმაუროდ ოთახიდან გასვლას, სკამზე დაჯდომას, ადგომას და სხვას თანდათანობით ითვისებს. უკეთ ამ ვარჯიშობას იმის გარდა, რომ ბავშის სხეულს ანვითარებს, აგრეთვე დამზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

საბავშო ბაღში სიმღერასაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, სიამოვნების გრძნობაც. სიმღერამ ბავში უნდა ასიამოვნოს, გაახაროს. სიმღერის დროს ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს სიტყვების გამოთქმას და იმას, რომ ბავშმა ხმას ძალა არ დაატანოს, რომ ამითი ნახ ფილტვებს და ხმის ძარღვებს არ ავნოს. ლექსი, რომელსაც ბავში მღერის, უნდა იყოს მოკლე, მარტივი და ადვილად გასაგები. უნდა ოთხ სტრიქონისაგან შესდგებოდეს. დღეში 4-5 სიმღერაზე მეტის გამეორება — არ შეიძლება. ახალი სიმღერების შესწავლა შეიძლება თვეში ერთის ან ორის.

გარე გრძნობანი.

როგორც ვთქვით, საბავშო ბაღს საფუძვლად უნდა გარე გრძნობების განვითარება დაედოს და გონების განვითარება მას უნდა დაეყრდნოს. სწორედ ამ მიზნით არის შემუშავებული მთელი ის დიდაქტიური მასალა, რომელიც საბავშო ბაღში ბავშებს ეძლევათ[1]. ეს მასალა ბავშს ჯერ გარე გრძნობებს უნვითარებს, შემდეგ კი გონიერულ განვითარებას აძლევს. მაგალითად: პირველად ბავშს კოშკის ასაშენებელი მასალა ეძლევა. ეს მასალა სხვადასხვა ზომის ათ კუბისაგან შესდგება. ბავში თითო კუბს ხელის მოსჭით შინჯავს და ყველაზე დიდ კუბს ჰპოულობს, შემდეგ მის მიმდევნოს და სხვა, აწყობს ერთმანეთზე და სულ ბოლოს ყველაზე პატარა კუბს იღებს, რომელსაც კოშკის წვერში ათავსებს; ამ მუშაობაში ბავშის ხელის კუნთები და თვალი იღებს მონაწილეობას. ის ე. წ. მოტორული „ძრაობითი“ გრძნობით აირჩევს ერთ კუბს მეორესაგან და ისე აწყობს, რომ ყველა კუბის ერთი კუთხე ერთმანეთს ეთანასწორებოდეს. ამ მუშაობაში მისი გონება მონაწილეობას არ იღებს, და ბავში ამ თამაშობით დიდხანს ერთობა. ამ თამაშობის დროს ბავში შეხებითი და კუნთების მოძრაობით შეისწავლის და შეატყობს იმ ოდნავ განსხვავებასაც კი, რომელიც კუბთა შორის არსებობს. როცა ბავში გარე გრძნობით შეითვისებს კუბების მოცულობის სხვადასხვაობას, ხელმძღვანელი მის გონებას მიმართავს და ორ ცნებას აძლევს: დიდი და პატარა.

---

[1]) ეს თავი სავსებით გასაგებია მხოლოდ მარია მონტეროსის წიგნის დახმარებით „Дом ребенка“ („საბავშო სახლი“), ნაწილობრივ იგივე მასალა აწერილია რ. ნიკოლაძის წიგნში „მათემატიკა პაწიებისათვის“

სხვა მასალაზე ბავშვი კი სხვა ცნებებს სწავლობს.

ბავშვის მეხსიერება სუსტია და მისი დატვირთვა არ შეიძლება, მისი გამდიდრება და განვითარება ნელ-ნელა სწარმოებს, მით უმეტეს, რომ ამას ხელს უწყობს ის დიდაქტიური მასალა, რომლის მიზანსაც სწორედ გონების განვითარება შეადგენს. ერთი სიტყვით, ყველა გრძნობის განსავითარებლად ცალკე მასალა არსებობს, მაგრამ ყველა ამას ერთმანეთთან დიდი კავშირი აქვს და არც მათი დაშორება და არც გამოტოვება შეიძლება. ამის გასაშუქებლად საჭიროა გათვალისწინდეს მაგ: ანგარიშის სწავლება და მ[illegible] მასალა, განსაკუთრებით კი ეგრედწოდებული ძელები: ბავშს ჯერ კოშკი ასაშენებელი მასალა ეძლევა, მერე პრიზმები, რომლის აშენებასაც ბავში გარე გრძნობით სწავლობს. როცა ბავშის კუნთები და თვალი მოემზადება ამ მუშაობით იმდენად, რომ მას უფრო ძნელი მუშაობა შეეძლება, შემდეგ გრძელი კიბე, ანუ ძელი, ეძლევა და ამას კი გეომეტრიული ფორმები მოჰყვება. ამავე დროს ბავში ითვისებს ცნებებს: მძიმე, მსუბუქი და თვალდახუჭული გრძელ ძელს მოკლისაგან წონით არჩევს; როცა ძელების ზომას შეითვისებს, მაშინ მას ფერებით დაყოფილი ძელები ეძლევა და ამაზე გარე გრძნობების დახმარებით ათამდე თვლას სწავლობს. ბავშვა შეისწავლა სხვადასხვა ფორმები, საგნები და მათი ერთმანეთისაგან განსხვავება გაიგო, ეს მან აუხსნელად შეითვისა, რადგანაც იგი ამისათვის წინასწარი ვარჯიშობით მოემზადა.

იგივე ხდება ნბანის შესწავლის დროს: ჯერ ბავშს სხვადასხვა გრძნობები უნვითარდება, როგორიცაა: შეხება—ქსოვილების ყუთებით და ხორკლიან და გლუვ ქაღალდით; ხელის კუნთების განვითარება—გოლლებით (ცილინდრებით), გეომეტრიული ფორმებით, ფერადი ფირფიტებით და ხატვით; მხედველობა—ფერებით და სხვა. ამის შემდეგ ბავშს ასო ეძლევა და ისიც მხოლოდ მის მოყვანილობის შესასწავლად, რისთვისაც ის უკვე მომზადებულია. ბავში ადვილად არჩევს ერთ ასოს მეორისაგან სხვადასხვა ვარჯიშობით. ყველა მის თვისებებს როცა შეითვისებს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს იგი გონებით მუშაობას, სწავლობს ასოს და ასახელებს, ადგენს სიტყვებს, ფრაზებს, სწერს კოხტად, სწორედ და კარგადაც კითხულობს. ყველა ეს ხდება თავისთავად, ძალდაუტანებლივ, შეუმჩნეველად. კი ასე თანდათანობით გარე გრძნობების განვითარებიდან ბავში გონიერულ განვითარებაზე გადადის.

გაკეთებულიყვნენ რა საბავშო ბაღის ძირითადი თვისებანი, მისი ზოგადად მუშაობა, შემდეგში რომ მაინც თვალწინ ნათლად გადმოშალოს საბავშო ბაღის სურათი, საჭიროა გაისინჯოს საბავშო ბაღი დღიდან ბავშების მისვლისა და დაწვრილებით (და თანდათანობით) აიწეროს როგორც მათი მუშაობა, ისე ის დიდაქტიური მახალა, რომელიც ყველაც ბავშები მუშაობენ.

სანამ საბავშო ბაღში ბავშები შეგროვდებიან, ბაღის ხელმძღვანელებს კარგად უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ყველაფერი ის, რაც ბაღისათვის საჭიროა, რომ საბავშო ბაღის გარეგნული მხარე სრულიად დამაკმაყოფილებელი იყოს: 1. ოთახების განაწილება: ა) სამუშაო, ბ) საოჯახო ოთახი, გ) დასასვენებელი ოთახი და სხვა. (ეს დამოკიდებულია შენობაზე). საბავშო ბაღის ავეჯი ისეთი უნდა იყოს, რომ ბავშს ადვილად შეეძლოს საგნების ამოღება და ჩალაგება, როდესაც მას დასჭირდება. ყველა მასალას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. სამუშაო ოთახს ბავში მოწიწებით უნდა ეკეკლოდეს და გრძნობდეს, რომ ეს ოთახი მუშაობისათვის არის: ბავში შედის მაშინ, როცა მას მუშაობა უნდა და თუ არა სურს, სხვებს ხელი არ უნდა შეუშალოს. გარდა ამისა, ბავში ოთახის და ავეჯის დანიშნულებას უნდა გრძნობდეს და მათი მოხმარებაც უნდა ისწავლოს.

პირველ ხანს ხელმძღვანელი ბავშის გაცნობას მოანდომებს. ამას იგი ორი გზით გამოარკვევს: 1. ოჯახში მისვლით და მშობლებთან ბაასით. 2. თვითონ ბავშის დაკვირვებით: მის თამაშობის, ქცევის, ამხანაგებთან დამოკიდებულების და მუშაობის დროს. ეს მით უფრო შესაძლებელი ხდება, რომ ბავში საბავშო ბაღში მოსვლისთანავე თავს თავისუფლად გრძნობს. თვითონ ბავშს კი მისი პიროვნების გამოსარკვევად ძალიან ცოტა კითხვა უნდა მიეცეს.

დასაკითხავი ფურცელი

საბავშო ბაღში ახალგაზრდა ბავშს დასაკითხავი ფურცელი ექვსს ფურცელი ორ ნაწილად იყოფა:

1. დაბადების წელი, რიცხვი, თვე.

საექიმო ცნობები: ბავში როგორ იკვებებოდა: ძუძუს რძით თუ ხელოვნურად. სიარული რა ხნისამ დაიწყო, ლაპარაკს რომელ შეუდგა. რიგის ფაცრა. რით იყო აყვ. აუდმყოფობდა რა ნაშობი დაავადა. წყალების შეგროვებული. ნაადრევად ზომარ ალოიანდა ბუსოზრიანი გან-

ვითარება. სასმელს ხომ არ ეტანება. დედ-მამის წლოვანება. შთამომავლობითი ავადმყოფობა.

ოჯახური პირობები: ბავშვისთან ცხოვრობს, რანაირ სადგომში. როგორ იკვებება. როგორი ძილი აქვს, ვინა ზრდის. რანაირად არის აღზრდილი. როგორ სჯიდენ. ბავშის ხასიათის განსაკუთრებული თვისებანი.

2. იცის თუ არა თავისი გვარი, სახელი, წლოვანება. რა ქუჩაზე ცხოვრობს. როგორ ლაპარაკობს. რანაირი გამოთქმა აქვს.

გონება (ინტელექტი).

რანაირია მისი გონება. ერკვევა თუ არა გარემოში, პიროვნებებში, სასწავლო ნივთებში. მეტ გაგებას რაში იჩენს.

მეხსიერება. აღვილად იხსომებს თუ არა. რას იხსომებს (ფერებს, სახელებს, ხმებს, სიტყვებს). აქვს თუ არა შეუგნებელი ფორმალური მეხსიერება.

ყურადღება: ყურადღებას რაზე ამყარებს—ერთ საგანზე თუ რამდენიმეზე, მთელ საგანზე თუ მის ნაწილზე.

ბავშვი აქტიურია თუ პასიური: იჩენს თუ არა შემოქმედებას თამაშობაში, მუშაობაში. იჩენს თუ არა სიმარდეს შეთვისებაში, გონებავაზვილობას და უნარიანობას, როგორც თამაშობაში ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში და სხვა.

რა აინტერესებს.

ემოცია: როგორი სულიერი განწყობილება აქვს. მოწყენილია, მხიარული თუ მშვიდი. გუნება ხშირად ეცვლება თუ არა. მგრძნობიერია თუ არა. რა შემთხვევაში ღელავს. ემჩნევა თუ არა მაღალზნეობა. აქვს თუ არა მოვალეობის გრძნობა, შეუძლია ამხანაგის გატანა, მისთვის თავდადება, გულწრფელობა. ეტყობა ეგოიზმი, სიცრუე, კვეხნა, დაფარვა. იცის რომელიმე თამაშობაზე ჩამოცილება. ნებისყოფა: ათავებს თუ არა დაწყებულ საქმეს. გამგონია თუ არა. აქტიურია თუ პასიური. იცის თუ არა დროზე თავის შეკავება, და, თუ იცის, რაში გამოიხატება. იქონიებს რაიმე მასზე გავლენას ან შთაგონებას. პირველობა უყვარს თუ სხვას მალე ემორჩილება.

ბავშის ტიპი.

ექიმის დასკვნა.

დასაკითხავ ფურცლის დანარჩენი ადგილი კი უნდა შეივსოს ბავშზე ძველი წლის დაკვირვებით, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხელ-

ბძღვანელი ბავშს ყოველნაირად გაეცნობა. გარდა ამისა, ბავშის მთელი წლის ნახატები, ნაკეთები უნდა შეგროვდეს და შესწავლილ იქნას. საბავშო ბაღის ხელმძღვანელი უნდა დღიურს აწარმოებდეს. დღიური ორნაირია: 1—ცალკე, სადაც ალინიშნება ბავშის დიდაქტიურ მასალაზე მუშაობა, მაგ. ანგარიშის, ანბანის და სხვა დიდაქტიურ მასალაზე და 2—საერთო—ამაში საბავშო ბაღის მთელი დღის სურათი ჩაიწერება. მეტად ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს, თუ რამდენიმე ბავშზე ინდივიდუალური დღიური დაიწერება.

მუშაობის თანდათანობა.

პირველ ყოვლისა, როცა ხელმძღვანელი გადავა დიდაქტიურ მასალაზე, საჭიროა ამ მასალის მიცემის ერთგვარი წესი გამომუშავდეს, რადგანაც ეს ერთი ვარჯიშობა მეორე ვარჯიშობისათვის ამზადებს.

I

ვარჯიში ყოველდღიურ ცხოვრებიდან:

სკამების და მაგიდების გადატან-გადმოტანა. შესაკრავი და გასახსნელი მასალა: ღილებიანი, დუგმებიანი და სხვა ჩარჩოები.

ამით ბავში, სხვის დაუხმარებლივ, თავისი ტანისამოსის შეკვრას და გახსნას შეისწავლის.

გოდლებით (ცილინდრებით) ვარჯიში.

ა) ერთი წყება გოდლებისა, რომელიც ზომაში კლებულობს. ამ ვარჯიშობის დროს ბავში ეცნობა ცნებას: დიდი, პატარა.

ბ) გოდლები—რომელიც მარტო სიმაღლეს იკლებს

ეძლევა ცნება: მაღალი, დაბალი.

გ) გოდლები—რომელიც მოცულობას იკლებს.

ცნება: წვრილი, მსხვილი.

ამ მასალაზე ვარჯიშობის დროს ბავში ხელის კუნთების საშუალებით ეცნობა მოცულობის სხვაობას; შეისწავლის ყურადღების დამყარებას, ახდენს შედარებას; პოულობს გარჩევას და თანდათანობით მსჯელობას და გონების ვარჯიშობასაც ეჩვევა.

II

ა) სიჩუმით ადგომა და დაჯდომა. მწყობრად სიარული.

ბ) ამ დიდაქტიურ მასალაზე ვარჯიშობა, რომელიც ზომას ეკუთვნის.

1. კოშკის ასაშენებელი მასალა. 2. მოკლე კიბე. 3. გრძელი კიბე.

1. კოშკის ასაშენებელი მასალა:

10 კუბისაგან შესდგება. ყველაზე დიდი 10 სანტიმეტრია, პატარა კი 1 სანტ. ვარჯიშობა შემდეგში გამოიხატება: ბავში კუბების ერთი-მეორეზე დაწყობით კოშკს აშენებს. ამის შედეგია ცნება: დიდი, პატარა.

2. მოკლე კიბით ვარჯიშობა:

10 პრიზმისაგან შესდგება. პირველი პრიზმის ზომა არის 10 სანტ., ბოლოსი კი 1 სანტ. ვარჯიშობა: ბავში პრიზმების ერთი-მეორეზე თანდათანობით მიწყობით კიბეს აშენებს. ამ ვარჯიშობის ცნება არის: განიერი, ვიწრო.

3. გრძელი კიბე ანუ შეკვანე ძელები.

ესეც 10 ძელისაგან შესდგება. პირველი ძელი არის ერთი მეტრი, უკანასკნელი—10 სანტიმეტრი. აქაც ბავში ძელების მიწყობით კიბეს აშენებს და ამის ცნება არის: მოკლე, გრძელი.

ამ მასალაზე ვარჯიშობა მეტად რთულია, რადგანაც აქ ბავში განსხვავებას უფრო თვალით ამჩნევს, ვიდრე ხელით. გოდლებით ვარჯიშობის დროს კი ის ხელს ამუშავებს და, თუ თვითეულ გოდლის თავისი ბუდე სწორედ არ მოუნახავს, მას ამ შეცთომას თვით მასალა უჩვენებს ე. ი. გოდლი ბუდეში ან ვერ ჩაეტევა, ან მეტად თავისუფლად მოთავსდება. გარდა ამისა, კიბეების და კოშკის აშენების დროს ბავშს რთული მოძრაობის გაკეთებაც უხდება: ადგომა, მძიმე საგნების გადატანა-გადმოტანა. ამ სამ ვარჯიშობას შორის კი ე. ი. კოშკისა, გრძელ და მოკლე კიბის შორის, ყველაზე რთული გრძელი კიბის აშენებაა. სწორედ ამიტომაც, ბავშს თუ პირველი ვარჯიშობა გაულილი არა აქვს, ამ კიბეს ძნელად აშენებს.

ამ ვარჯიშობათა მეორე წყებაშივე შედის ე. წ. თერმიული (სითბო-სიცივის) და ტაქტილური (შეხების) გრძნობების განვითარება.

შეხების გრძნობის განსავითარებლად ორი ფირფიტა არსებობს: ერთი გლუვი, მეორე კი მქისე, ქალალდ-გადაკრული. ამ გრძნობის განვითარებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბავშის შემდეგი წერის შესწავლა ამაზეა დამყარებული.

აქვე საჭიროა ე. წ. ქრომატიული (ფერების) გრძნობის განვითარება. ამის მასალად შეადგენს: 6 ფერად-ფირფიტიანი ყუთი, თვითეულ ძირითად ფერს აქვს რამდენიმე ელფერი. მაგრამ პირველ ხანად

ბავშს მხოლოდ ძირითადი ფერები მიეცემა და ამ ფერებს ერთმანეთს შეადარებს. ამ დროის განმავლობაში ე. ი. სანამ ზემოთჩამოთვლილ ვარჯიშობას გაივლის, ბავში შუსიკის მოსმენასაც შეეჩვევა. ისწავლის რითმიულ საარუჯს, მარტივ მოძრაობას და სხვადასხვა ტანვარჯიშობას სიჩუმით შეასრულებს.

III

ყოველდღიური ცხოვრების ვარჯიშობა.

1. ხელ-პირის დაბანა, გახდა, ჩაცმა, ოთახის დალაგება, საგნების ხმარება.

2. გარე-გრძნობების განვითარება.

ბავშის გრძნობების განვითარება თანდათანობით ხდება. ეს განვითარება იწყება ქრომატიული ფერების თანდათან გაცნობით. შემდეგ თერმიულ ის, შეხების და ე. წ. ბარიულის (სიმძიმის) გრძნობების განვითარება. სმენის განსავითარებლად ხმაურის კოლოფები არსებობს.

IV

გეომეტრიულ ფორმების გაცნობა.

ამის მასალას შეადგენს: მოზრდილი ყუთი, რომელსაც ექვსი უჯრა აქვს და კომოდის უჯრებივით იწევა. თვითეულ უჯრაში ექვს-ექვსი პატარა ჩარჩოა, ყოველ ჩარჩოში კი მოთავსებულია ხის ბრტყელი ნაკვთი — „ჩასაწყობი“ თავისი ბუდეთი. ჩასაწყობს შუაში ხელის მოსაკიდებელი ღილი აქვს. ეს ჩასაწყობები უჯრებში ფორმის თანაგვაროობის მიხედვით არის ჩალაგებული. ერთ უჯრაში ექვსი თანდათანობით კლებითი წრეა, მეორეში კვადრატი და სხვა.[1]) ამ ფორმებით ვარჯიშობა შემდეგნაირად სწარმოებს: ბავში ხელის მოსმით გამოიცნობს ფორმებს, რომელსაც თითქმის ყველა გრძნობით შეიგნებს. ყველა ეს ვარჯიშობა აზროვნების განვითარების წყაროა. ბავში ადარებს ფორმებს, აკვირდება და მსგავსება-განსხვავებასაც არჩევს.

ამ მასალის შემდეგ ბავშს ძუყაოს (კარტონის) ფირფიტები ეძლევა[2])

[1]) იხ. „მათემატიკა პაწიებისათვის“.

[2]) ყველა ამის შესახებ შემდეგ ნომრებში ცალკე წერილები იქნება მოცემული.

ეს ფირფიტები სამ წყებისაგან შესდგება, რომელზედაც ფორმით და ზომით ჩასაწყობების სავსებით იგივე ნაკვთებია დაკრული. პირველი წყება მთლიანი ნაკვთებია, მეორე წყება—ამ ნაკვთების მოხაზულობა ვიწრო ზოლით, მესამე კი ამ ნაკვთების ფარგალი—წირი. (линия) ეს მასალა ბავშს თანდათანობით ეძლევა: ჯერ პირველი, მერე მეორე და ბოლოს მესამე. ამ მასალით ვარჯიშობა იმამი მდგომარეობს, რომ ხის ჩასაწყობებით ეს ნაკვთები უნდა დაიფაროს. აქ ბავში თვალს ენდობა, ამ ჩასაწყობების ფორმებზე დატოლება და შენება ბავშს ახალ აღმოჩენას და ცოდნას უმატებს. ბავშს შედარების და განსხვავების უნარი ზედიზიწევნით უვითარდება. გარდა ამისა, ამ ვარჯიშობას აღმზრდელობითი შნიშვნელობაც აქვს: ყურადღება-დაკვირვებიდან—შემოქმედებითი აზროვნებამდე.

საკონტურო ხატვა.

ვიდრე ბავში წერა-კითხვის შესწავლაზე გადავიდოდეს, მონტესორი მას ე. წ. ფარგულ, ე. ი. კონტურულ ხატვას აძლევს.

ამ ფარგული ხატვის მასალას შეადგენს: ორი ჩარჩო თუნუქის გეომეტრიული (იხ. სურ. 1) ფორმებით და ფერადი ფანქრები. თვითეულ ჩარჩოში ხუთ-ხუთი კვადრატული გეომეტრიული საფარგო ბუდეა მოთავსებული ჩასაწყობით.

ბუდე-ჩასაწყობები საკონტურო ხატვისათვის.

ბავში ისეთს საფარგო ბუდეს იღებს, რომელიც მას მოეწონება, დაადებს ქაღალდზე და შიგნიდან ფანქრით მოხაზავს. როდესაც ხელს აიღებს და ფარგსაც ააცლის, ქაღალდზე საფარგო ბუდის სათანადო გეომეტრიული ნაკვთი რჩება. ამ ფარგების დახმარებით ბავში ხაზების გაყვანას ეჩვევა. ამის შემდეგ ბავში ხშირად ვარჯიშობს,

რის წყალობითაც კუნთების მექანიზმი უშუალოდ უნვითარებდა. ბავში თავის გემოვნებით იღებს ფერად ფანქარს, ხელში დაიჭერს როგორც წერის დროს, ხელშძღვანელი წახაზვას უჩვენებს (დაშტრიხვას) და ბავშიც ითვისებს. ამრიგად ბავში ერთი ფორმიდან მეორეზე თანდათანობით გადადის. ეს წახაზვა ორ მიმართულებით წინმსვლელობს: პირველი—წახაზვა ფარგის საზღვარს იშვიათად სცილდება და ნაკვთი ფარგზე უნაკლოდ თავსდება. მეორე—წახაზვის ხაზები, რომელიც ნაკვთს ავსებს. პირველად მოკლეა, შემდეგ თანდათან გრძელდება და გასწვრივი ხდება. ამ დროის განმავლობაში ბავში ფანქრის ხმარებას ეჩვევა, ე. ი. მისი კუნთების მექანიზმი, რომელიც წერის აუცილებელი იარაღია, საკმაოდ ვითარდება.



საკონტურო ხატვით მიღებული უმარტივესი კომბინაციები

ეს ფარგული ხატვა ბავშს მხატვრულ გემოვნებასაც უნვითარებს, რადგანაც იგი ფარგების საშუალებით მრავალ კომბინაციას ახდენს როგორც ფორმებისა, ისე ფერებისა. (იხ. სურ. 2).

წერა-კითხვა.

ამის შემდეგ ბავში მჭისე ან ხორკლიან ასოებით ვარჯიშობაზე გადადის, მის დიდაქტიურ მასალას წარმოადგენს: ზუმფარიანი (наждачные) ხორკლიანი ასოები, რომელიც ჯგუფურადაა შეერთებული და ამავე სახით მუყაოზეა დაკრული. პირველი წყება მოზრდილ ასოებისგან შესდგება. ბავში ხელს მოსმით ასოს მოყვანილობას სწავლობს, მიმსგავსებით იმნაირსავე ასოს პოულობს და ხედვის საშუალებით ამო-

ჭრილ ასოს ადებს. ეს ასოებით ვარჯიშობა კუნთების მექანიზმსაც უნვრთარებს ბავშს, მოძრაობის კუნთებრივ მეხსიერებასაც უმაგრებს, რომელიც წერისათვის აუცილებელია. მესამე ჯგუფის ვარჯიშობას წარმოადგენს. ცალკე ხორკლიან ასოებით ვარჯიშობა, რომელიც მთელი ანბანის სახით მუყაოზეა დაკრული. ხელმძღვანელი ბავშს ხელის მოსმით რომელიმე ხმოვან ასოს, მაგ. „ი“ და „ო“-ს უჩვენებს. ამ ასოების სახელს ეუბნება და ბავშს აძლევს, რომ იგი ხელით შეეხოს. ამ წესით ასოს შესწავლა ბავშს ხედვითი, კუნთებრივი, შეხებითი და სმენითი შეგრძნების ასოციაციას უჩენს. როდესაც ბავში ასოს თვალახელილი კარგად სცნობს, შემდეგ ხელმძღვანელი მას თვალდახუჭულად ავარჯიშებს. აქ ბავში ასოს პირდაპირ კუნთურ-შეხებითი შეგრძნებით სცნობს. ამნაირად, ბავში სულ მცირე ხანში ასოს საფუძვლიანად და სისრულით ყოველივე გრძნობით ითვისებს. ასოების შესწავლა ამ გზით ბავშს ენის დეფექტსაც უსწორებს. როცა ბავში ხმოვან ასოებს გაეცნობა, მას თანხმოვანი ასოები ეძლევა. აქ კი ხელმძღვანელი ასოს ბგერას უსახელებს და არა სახელს, როგორც ეს ხმოვან ასოების გაცნობის დროს ხდებოდა. როცა ბავშმა 8—10 ასოს შეთვისება შესძლო, მას უკვე სიტყვის შედგენა შეუძლია. სიტყვების შესადგენად შემდეგი დიდაქტიური მასალა იხმარება:

წვრილ ასოების „სტამბა“. (უჯრებიანი ყუთი ასოებით, როგორც სტამბაში) ხელმძღვანელს უნდა, მაგ. ბავშს სიტყვა „ნინო“ შეადგენინოს. იგი ამ სიტყვას საკმაოდ გარკვევით წარმოსთქვამს. ბავში პირველ ასოს იღებს, ხელმძღვანელი სიტყვას განაგრძობს და ბავშიც თანდათანობით ასოებს უმატებს, სანამ სიტყვა—ნინო—არ გათავდება. შესაძლებელია პირველად ბავშმა სიტყვის ამოკითხვა თვითონ ვერ შესძლოს. მას ხელმძღვანელი შველის და ამ სიტყვას რამდენჯერმე კითხულობს. ეს პირველი სიტყვის შედგენა იეპულსია კითხვის დაწყებისათვის. შემდეგ ბავში თვითონ განაგრძობს წინსვლას; ვინაიდან ბავში ასოს შეხებით ითვისებს, ცხადია კითხვას წინ წერა უსწრებს[1]).

საკითხავი დიდაქტიური მასალაა: ბილეთები და სხვადასხვა სათამაშოები. მონტესორი ამბობს: ვიდრე ბავში არ მიახწევს აზრების შემეცნებას დაწერილის საშუალებით, მანამ ბავშმა კითხვა არ იცისო. ამი-

[1]) იხ. Ю. Фаусек. Развитие речи и обучение грамоте по системе Монтессори 1923 г. მოკლე ხანში საბანადო ქართული სახელმძღვანელო იქნება დამუშავებული — „წერა-კითხვა პაწიებისთვის“.

ტომ მას ისეთი მასალა ეძლევა, რომელშიაც ის არა მარტო სიტყვას სცნობს და კითხულობს, არამედ მის აზრსაც იგებს. ასეთ მასალას წარმოადგენს სიტყვების ამოკითხვის თამაში. მაგიდაზე მრავალი სათამაშო აწყვია. თვითეულ სათამაშოსათვის ბილეთია დაჭზადებული ამ სათამაშოს სახელით. ეს ბილეთები კალათაში აწყვია. ხელმძღვანელი აურევს და ბავშები რიგ-რიგობით იღებენ; ბავში, რომელმაც ბილეთი უკვე ამოიღო, მიდის თავის მაგიდასთან, ხსნის ბილეთს და ზედ დაწერილს კითხულობს. როცა დაწერილი წაიკითხა, სათამაშოების მაგიდასთან მიდის. აქ ბავში ხმამაღლა ასახელებს იმ სათამაშოს, რომელიც ბილეთზე ამოიკითხა და თან ხელმძღვანელს უჩვენებს ბილეთს. ხელმძღვანელი ბილეთს ართმევს და სათამაშოს აძლევს. შემდეგ მათთვის დამზადებულია სხვადასხვა ბილეთები ფრინველების, ამხანაგების, თუ ქალაქების სახელების წარწერით და სხ, რომლითაც ბავშები ვარჯიშობენ. ამის შემდეგ ბავშები წინადადების წაკითხვაში ვარჯიშობენ. აქ ბავშს ისეთი მასალა ეძლევა, რომლის საშუალებითაც შეიგრძნებს, რომ წაკითხულ სიტყვებით სხვის აზრს იგებს და რომ წერის მიზანსაც სწორედ აზრის გადაცემა შეადგენს. პირველისათვის, ე. ი. რომ სხვისი აზრი გაიგოს, ბავშს ბილეთები ეძლევა, რომელზედაც ბრძანებებია დაწერილი: „ფანჯარა გააღე", „ფანქარი აიღე" და სხვა. მეორისათვის, ე. ი. რომ წერით თავისი აზრის გამოთქმა შეძლება, ისეთი ბილეთები ეძლევათ, რომელზედაც შეკითხვები სწერია და ბავში პასუხს წერითვე აძლევს.

ა ნ გ ა რ ი შ ი.

ამავე დროს ბავში ანგარიშზედაც გადადის; რადგან რიცხვი ზოგადი და განყენებული ცნებაა, ფორმა კი კონკრეტული, ამიტომ საბავშო ბაღებში მათემატიკა ფორმების გაცნობით უნდა დაიწყოს. რიცხვების შესწავლა კი რიცხვის წინასწარი გაცნობით უნდა დაიწყოს. ეს ბუნებრივია და ბავშს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი შემთხვევაც ეძლევა, რომ თვალი ისწავლოს. მონტესორის გარე-გრძნობათა გასავითარებელი დიდაქტიური მასალაც ბევრ შეთხვევას და საშუალებას აძლევს ამისათვის. ამის შემდეგ უნდა რიცხვის თანწყობრივი გაცნობა მოხდეს ჰარელის ფარგალში. ეს ყველაზე უკეთ მონტესორის საანგარიშო ძელების საშუალებით ხდება. ბავშს ეძლევა ათი ძელი — ერთ მეტრიდან ერთ დეციმეტრამდე. ეს ძელები მორიგეობით ორ ფერად არის შეღებილი: ერთი დეციმეტრი წითლად, მეორე ლურჯად, რიცხვი ერთ-ერთ არის

ერთი დეციმეტრი, 2—ორი დეციმეტრი, 3—სამი დეციმეტრი და სხვ. ე. ი. ყოველი რიცხვი ათამდე ერთი მთლიანი სიმბოლოთი ისახება. ამათ შესწავლას ბავში შეღებილ მანძილთა თვლით იწყებს: ერთი, ორი, ძელი ერთი, ძელი ორი, და სხვა. ამასთანავე ბავში რიცხვნიშნებს (ციფრებს) ეცნობა იმ მასალაზე, რომელიც მუყაოზე ხორკლიან ქაღალდით არის დაკრული. ბავში ამ რიცხვნიშნებს ხელის მოსმით იგრძნობს და როდესაც იგი ყველა რიცხვს შეითვისებს და ძელებს თანდათანობით ერთმანეთს ადებს, იგივე გრძელი კიბე გამოდის, რომელსაც ბავში წინა ვარჯიშობების დროს აწყობდა. ბავში თვლას ყველა მიმართულებით იწყებს. გარდა ამ ძელებისა, ანგარიშისათვის ბავშს ორი ხუთ-ხუთ განყოფილებიანი ყუთი ეძლევა, ამ ყუთში მოცემულია რიცხვები 0-დან 4-მდე და 5-დან 9-მდე. ეს ყუთები რიცხვის ერთეულებად დასაშლელად იხმარება. ბავში ყოველ განყოფილებაში იმდენს ჩხირს, ლობიოს ან სხვა რამე საგანს აწყობს, რამდენსაც ამ განყოფილების რიცხვნიშანი მოითხოვს. ბავში აქვე ნოლის მნიშვნელობასაც სწავლობს. ანგარიშისათვის არის კიდევ ერთგვარი თამაშობა, ეგრეთწოდებული ლატარია. ბილეთებზე დაწერილია რიცხვნიშანი და ბავშმა თავის მაგიდაზე იმდენი რაიმე ერთგვარი საგანი უნდა დაიწყოს, რამდენიც ამ ბილეთზე სწერია, მხოლოდ ისე დალაგებული, რომ ლუწი და კენტი გაარჩიოს. როდესაც ბავში თვლას შეგნებულად შეისწავლის და რიცხვნიშნებს ათამდე სცნობს, ამის შემდეგ იმავე ძელების საშუალებით შეიძლება 11, 12, 13 და სხვა რიცხვიც აჩვენოთ. აიღება ათიანი ძელი და ერთიც მიედება. საანგარიშო მასალას კიდევ მუყაოსაგან გაკეთებული ორი გრძელი ფირფიტა ემატება. ამ ფირფიტაზე ერთი მეორის ზევით დაწებებულია $\begin{matrix}10\\10\end{matrix}$—ამ ათების ნულებზე 1, 2, 3-ის დადებით ბავში გაეცნობა 11, 12, 13. სხვა ათეულების გაცნობაც ამ გზით ხდება. შემდეგ ბავში ოთხ მოქმედებაზე გადადის. მიმატება ძელების საშუალებით იწყება. მაგ. 10 შესადგენად ბავშს ეძლევა 9+1, 8+2, 7+3 და სხვა. აქ ბავშს ორი კონკრეტული ცნება ეძლევა: ძელი 9 და 1, და სწორედ ეს უადვილებს გაგებას. როდესაც ბავში იქამდე მივა, რომ 5+5=10, მაშინ შესაძლებელია ისიც აუხსნათ, რომ 5×2=10. გამოკლება და გაყოფაც ამავე ძელების საშუალებით ხდება, ჯერ ათიდან გამოაკლდება და მერე სხვა რიცხვიდან.

ამ დიდაქტიური მასალის მიცემის დროს მეტაიცე ნომენკლატურ

—სახელდებაა საჭირო. ამისათვის ხელმძღვანელი მეტად მოკლე, მარტივ, მკაფიო და ობიექტიურ გაკვეთილს აძლევს. ეს გაკვეთილის მიცემა ასეთი წესით სწარმოებს: უნდა ის ცნება გამოჰყოს ხელმძღვანელმა, რომელსაც ბავშს აძლევს და ზედ არც ერთი მეტი სიტყვა არ უნდა დაურთოს. მაგ.: როდესაც ხელმძღვანელი დაინახავს, რომ ბავში კოშკის აშენებით არის დაინტერესებული და სწორადაც აშენებს, მაშინ ის ორ საკონტრასტო კუბს აიღებს,—ყველაზე დიდს და ყველაზე პატარას ერთად დააწყობს და ხელის დადებით ეტყვის: დიდი, პატარა. შემდეგ ბავშს მიმართავს: მაჩვენე დიდი, მაჩვენე პატარა. თუ ბავშს გაგოცნობა არ შესცდა, მაშინ ხელმძღვანელი დაეკითხება: ეს როგორია? ბავშმა უნდა უპასუხოს. თუ ბავშმა სახელი დიდი და პატარა ვერ დაისწავლა, ხელმძღვანელი თავს ანებებს და იმ დროს მოუცდის, როცა ბავში ცნების შეგნებისათვის მზად იქნება. ბავშს შეცთომა არ უნდა შეამჩნევინოს და ამ ცნების შეთვისებისათვის არც ძალა უნდა დაეტანოს. გარდა ამ ზემოთნაჩვენებ დიდაქტიურ მასალისა ბავშს ეძლევა: თიხა, ქაღალდი ამოსაჭრელად, ასაშენებელი მასალა და ფრებელის აგურაკები. ყველა ამაზე ბავში თავისუფლად მუშაობს, და ისე ხმარობს მას, როგორც უნდა. ამ მასალის დანიშნულება ის არის, რომ ბავშმა გვაჩვენოს თავისი სულიერი მდგომარეობა, როგორ ანსახიერებს თავის ნაგრძნობს და საგანზე როგორი წარმოდგენა აქვს.

ამრიგად ბავში, რომელიც სამი წლის განმავლობაში საბავშო ბაღის გავლენის ქვეშ იქნება, სადაც მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარება ბუნებრივად ხდება, იგი დამოუკიდებელ მუშაობას შეეჩვევა, შეიყვარებს მას, შესძლებს სიძნელის დაძლევას და ცოდნის შეძენასაც დიდის მოწადინეობით მოისურვებს. ამავე დროს ბავშის ფიზიკური მდგომარეობა იქნება ჯანმრთელი და მთელ თავის ადამიანურ სულს სიდიადით გამო

ხაბაგნო ბაღის ყოველდღიური ცხოვრების ნიმუშები დღიურის სახით, წელიწადის დროთა მიხედვით.

ზეიმოდგომა

პირველი დღე.

მშვენიერი დილაა. თითო-თითოდ მოდიან ბავშვები. იძლევიან სალამს, შენობაში მიდიან და ქუდს და პალტოს აბინავებენ. ისევ ეზოში გამოდიან — ზოგი სათამაშოთი, უფრო ბურთით, შარით და ერთთვალაზით. თამაშობა ჯერ ინდივიდუალური ხასიათისა. აგერ ერთთვალაზე მოთამაშეს ამხანაგები მიემატენ, და კოლექტიური თამაშობა გაიმართა; ზოგი ცხენის როლს ასრულებს, ზოგი მგზავრის და სხვა, მაგრამ თამაშობა სწრაფად იცვლება: ახლა შიგ ქვებს ალაგებენ, გადააქვთ ვაკე ადგილზე და ბაღის ან სახლის აშენება იწყება. ქვიშაში სამი წლის გოგონა ჩამომჯდარა და შიგ თავისთვის ფათურობს. ცოტა მაშინ გოგონებს ფარდაგები გაუშლიათ და თამაშობენ. დედა დიდ მზადებაშია. გაუნაწილა საშუალო როგორც შვილებს, ისე მსახურს, და სტუმრებს ელის. სტუმრებსაც წახასვლელად ელაპარაკებათ. მოზრდილი ბიჭების ჯგუფი კი ჭიდობიანობას თამაშობს. აგერ პატარა ეთერი გულში პატარა ძალლს იხუტებს, ეალერსება, უმღერის. რუსიკო კი სთხოვს: „ცოდია, დასვი, ძალლს ხელში ყოფნა არ უყვარს“. ეთერი რუსიკოს უგონებს. ორივენი ძალლს პურს აჭმევენ და წყალს ასმევენ. გივი ხელმძღვანელს წყლის მოშვებას სთხოვს. სურვილი უსრულდებათ. სწრაფად გაჩნდა რუ. დიდის სიდინჯით მართავენ ხიდს, რუში ნავებს უშვებენ. ბავშვების ერთი ნაწილი კი ტალახს ზილავს და პურს და სხვას აკეთებენ. სახლებსაც აშენებენ. ირაკლიმ ბუჩქში თვალი მოჰკრა კუს და დაიყვირა — კუ, კუ! მას ამხანაგები მისცვივნდენ და კუსთან თამაშობა გაიმართა. თან აწვალებენ კიდევაც. ზოგი ბავშვი კი სარწყავით მცენარეებს რწყავს. ხელმძღვანელი აფრთხილებს, კაბები და ფეხსაცმელები არ დაისველონ. სიცილით მოდის ნუკა ამხანაგებთან ხელჩაკიდული, ხელმძღვანელს უჩვენებს დაზიანებულ

ძუხლს, საიდანაც სისხლი გადმოსდის. წავიქეცი, მაგრამ არ ვიტირე— ამბობს ლიმილით, თუმც თვალები ცრემლით აქვს სავსე. ამხანაგებიც კისკისით იმეორებენ: „არ იტირა, შევარდენიაო“. ხელმძღვანელი ჭრილობას დინჯად უსუფთავებს. იოდი უნდა წაუსვას და ეუბნება: ცოტა დაგეწვის, ცოტას იტირებ, მაგრამ არა უშავს რა. არ ვიტირებ,—იმეორებს გოგონა. მართლაც გასაოცარ სიმაგრეს იჩენს. კარგა ხანს დასდევენ ამხანაგები, მის ნატკენ ფეხს უფრთხილდებიან. ნუცაც ამ ყურადღებას სიამოვნებით ეგებება. მალე ავიწყდება ფეხი და ბატონიანის თამაშს მართავენ. საქანელასთან დიდი კისკისი მოისმის. ძალიან გამაქანე,—არ მეშინია,—ეუბნება ამხანაგებს ნათელა, რომელსაც წინად ქანაობისა ძალიან ეშინოდა. უნაბზე ასულან მიშა, არჩილი, ამხანაგები. ქვეიდან სთხოვენ უნაბის ჩამოყრას. იქვე, უნაბის ქვეშ, დიდის გატაცებით ესაუბრება მელიკო ხელმძღვანელს და ამხანაგებს იმაზე, თუ ბათუმში როგორ წავიდა და ზღვაში როგორ ბანაობდა. ლიზიკოს ბუჩქი მოურთავს, ხუთ ბავშვისაგან წრე გაუმართავს, უვლიან ამ ბუჩქს და თან მღერიან: „ნაძვის ხე, ნაძვის ხე, რაროგ მიყვარხარ“ და სხვა. მარიკოს სხვადასხვა ფოთლები აუკრეფია და მაგიდაზე ლამაზად დაულაგებია. ოთარმა მაგიდა, ქალალდი, ფანქარი გამოიტანა და ხატვა დაიწყო. მას ყურადღებიანობის მოთამაშენი მიემატენ. ნელ-ნელა მოთამაშეთა რიცხვი კლებულობს. მაგიდებით და სკამებით ეზო ივსება. იწყება დიდაქტიკურ მასალაზე მუშაობა და ხატვა. მარიკო დამშვიდებული რალასაც ხატავს. გაათავა და ამხანაგებს უხსნის: აი, აქ ვთამაშობდი, აქ ყვავილებს ეკრეფდი, აქ წყალი ჩამოდიოდა და სხვა. მიეფერა და მეუბნება: სურამში ვიყავი, იქ ტყე იყო და ტყეში ვთამაშობდი: მართლაც, მშვენივრად აქვს დახატული.—„ახლა ლექსი უნდა მოვუგონო ტყეს“—ამბობს. კარგა ხანს ჩაფიქრებულია. ბოლოს სტროფებს, ეტყობა, ლექსის წერას, იღებს. სურათს მოთხრობით და გადაწერას იწყებს. მის გვერდით თამროს გადაუწერია „3+4“—აილო სამიანი ძელი და ოთხიანი. ერთმანეთს მიადო, დასთვალა და მიუწერა 7. კუთხეში ახლად მოსულ სამი წლის დაოს კუბებისაგან კოშკი შეკთომით აუშენებია. ხელმძღვანელი უმეტესად უსწორებს და შორდება—მასწავლებელს თინა თვალების შეხვევას სთხოვს და გოდლებს დინჯად უჯდება. ეს გოდლები თვალახელილს ამოულაგებია და ახლა თვალდახუჭულს სურს მათი ჩალაგება. „ეს რა ასოა“? კითხულობს ვასო, და აჩვენებს ასო „მ“-ს. „მმ“-აგრძელებს ხელმძღვანელი და თან თითის შეხებით, როგორც წერის დროს

ისე ავლებს. იქვე იღებს „ა“-ს, იმავე წესით აჩვენებს და კიდევაც უსახელებს. მომე „ა“, მომე „მ“, ეს რა არის?—მ, ესა?—„ამ“ - აბა, თვალები დახუჭე, ეუბნება ხელმძღვანელი. ბავში თვალებს ხუჭავს. მასწავლებელი ა-ს აძლევს, რომელიც ხელის შეხებით უნდა გამოიცნოს, შემდეგ ამნაირადვე აძლევს „მ“-ს. ამ დროს გვეორდს საშამ ჩაუარა. „მე ვიცი—„მამა“ იძახის. მირბის სტამბასთან, იღებს ასოებს და მაგიდაზე „მამა“-ს ადგენს. თან ითხოვს, რომ ხელმძღვანელმა ნახოს. ვასო გულმოდგინედ უცქერის, საშა კვლავ ადგენს სიტყვებს და ამხანაგებსაც მხიარულად ეპატიჟება. მას სურს, რომ ხელმძღვანელმა ნახოს მისი შედგენილი სიტყვები. მის პირდაპირ მჯდომი მელიკო მთელ წინადადებებს ადგენს. სრულიად დამოუკიდებლად მუშაობს იგი და შედგენილს იქვე ქალალდზე სწერს. $11^1/_2$ საათია. მოისმა ოთახიდან მარშის ხმა. ბავშები ხტუნვით და სიმღერით მუსიკისაკენ მირბიან. ვარჯიშობა და თამაშობა იმართება მუსიკის თანხლებით. ამავე დროს მორიგეები საუზმეს ამზადებენ. ტალახში მომუშავეებს ჯერ არც კი დაუტოვებიათ მუშაობა. 12 საათზე ხელების დასაბანად მიდიან. ტალახში მომუშავენიც ამასვე ასრულებენ; როცა მორიგე მათ საუზმეს გაახსენებს, ხელებდაბანილნი ჭამშრალებით ხელმძღვანელთან მირბიან, რათა აჩვენონ. ხელმძღვანელი უსინჯავს ხელებს, ყურებს, ყელს, ტანსაცმელს; ვისაც რა ნაკლი აქვს, მის გამოსწორებას ცდილობს, სანამ ყველანი მოემზადებიან. ხელმძღვანელი ამ დროს განმავლობაში ცოცხალ ბაასს მართავს. ბავშები მწყობრად მიდიან საუზმისათვის. მორიგეები, როგორც დიასახლისები, ხვდებიან ბავშებს და თვითონ მხოლოდ მაშინ სხდებიან, როცა ყველა დაბინავებულია. საუზმის დროს დინჯი ბაასი გაისმის. ყურადღებას აქცევენ, რათა სუფთად ისაუზმონ. საუზმე გათავებული ბავში გადის სამუშაო ოთახში, სადაც იმავე მორიგეების მიერ დამზადებულია თიხა. რომელ ბავშსაც სურს, თიხაზე მუშაობას იწყებს. ზოგი თამაშობას იწყებს, ზოგი საუზმეს განაგრძობს, ზოგი კი დაწყებულ მუშაობას ამთავრებს.

ზ ა მ თ ა რ ი.

9 საათია. ბაღში ბავშები დაწითლებულნი მოდიან. მხიარულად შემოდიან დერეფანში. იხდიან პალტოს, ქუდს და თავის ადგილზე აბინავებენ. მშვენიერია სამი წლის ქეთო. ათასნაირად არის ჩაფუთნული. იძრობს პალტოს და ჰკიდებს, შალს კი თავის უჯრაში ინახავს, ჯდება სკამზე, იხდის კალოშებს და თავის პალტოს ქვეშ ალაგებს. შედის

ოთახში და მოხდენილად ესალმება ხელმძღვანელს (იგივე გოგონა სახლში პატარა თოჯნად ჰყავთ გადაქცეული: ასმევენ, აჭმევენ, აცმევენ და ენამოტეხილი ელაპარაკებიან) იწყება ორ ოთახში ინდივიდუალური თამაშობა, უფრო აგურაკებისაგან შენობებს აშენებენ და როცა ბავშები თანდათან ემატებიან, ახლა ჯგუფობრივ თამაშობაზე გადადიან. ამ თამაშობაში მონაწილეობას არ იღებენ მხოლოდ 3—4 წლის ბავშები, რომელთაც ცალკე თამაშობა უყვართ. ბავშების ერთი ნაწილი თევზების აკვარეუმთან შეგროვილა. მასწავლებელი ბავშების დახმარებით იქაურობას ასუფთავებს. ზოგი ყვავილებს უვლის, აცლიან მტვერს და, თუ საჭიროა, წყალსაც უსხამენ, ზოგი სამუშაო ოთახს ალაგებს სამუშაოდ. პატარა მაგიდას მისდგომიან: ვანო, ნინო, ვახტანგი და სურათებიან ალბომს შინჯავენ, თან ბაასობენ და სურათზე სხვადასხვა ამბებს ადგენენ. აგერ კედელთან მიმდგარან ორნი და ბაასობენ იმაზე, თუ რა ფერის კაბები აცვიათ სურათზე დახატულ თოჯინებს. აგრეთვე უნდათ ვისიმე მსგავსება იპოვნონ და ამის გასარჩევად მასწავლებელთან მირბიან. ერთს წიგნი მოუტანია. უშლის ამხანაგებს. სურათებს უჩვენებს, და თან უამბობს იმას, რაც დედას უთქვამს. კურდღლის ბაჭიებიც არ არიან დავიწყებულნ. გურამს და მზიას ვაშლის ნაფცქვენები მოუტანიათ და მათ აჭმევენ. ლეომ სკამებისაგან მატარებელი გამართა, თითქმის ყველა ბავში მატარებელში ზის. თან გაისმის—გუ, გუ. აგერ, მატარებელი გაჩერდა, რაღაც დაზიანებია და ფრებელის კუბიკების რახარუხი ისმის. მატარებელი შეაკეთეს. გაისმა ზარი და მატარებელი კვლავ დაიძრა. 10 საათი შესრულდა. ხელმძღვანელი ერთ სკამს იღებს, მარშის სიმღერას იწყებს და თან ოთახში დადის. მატარებელი დაიშალა. ბავშები ხელმძღვანელს გაჰყვენ და თან მღერიან: „გალიაში რომ გაგზავდე". იმართება პატარა ვარჯიშობა. სკამებს ჩუმად სდგამენ და სამუშაოდ მიდიან. სამუშაო ოთახში ახალი ფერადები დახვდათ და თითქმის ყველამ მუშაობა ხატვით დაიწყო. ოთარი ხატვას მოჰრჩა. აიღო ანგარიში და გადასწერა 3+3 და დაუთვლელად მიუწერა 6. შემდეგ 9—4 და 4+4. ძელებთან მივიდა. სურს თვალდახუჭულმა აიღოს 9. ხელი წაავლო 8-ს, უკან დასდის, რადგან 9 უფრო მძიმეა, აიღო 10, მაგრამ ისიც უკან გადასდო, რადგან 9 უფრო მოკლეა, აიღო ისევ თვალდახუჭულმა 9, თვალები გაახილა, ოთხს ხელი დაადო, თვალი გადაავლო დანარჩენს, თავის მაგიდასთან ჩუმად მივიდა და სადაც ეწერა 9—4 მიუწერა=5. ახლა თვითონ ადგენს მაგალითებს და ანგარიშობს. თინიკო შემოვიდა თუ არა,

ასოების სტამბაზე დაიწყო მუშაობა. შეადგინა; შოთა, ტურა, ქორი, და თან რვეულში სწერს, გაუარა გივიმ, პირველი სიტყვა სწრაფად ამოიკითხა, გაიქცა და დიდი სტამბა აიღო. შეადგინა შოთა, ოთხჯერ დაიწყო, ხან პირდაპირ, ხან გაგრძელებით, სულ იცის 8 ასო. „შოთა“ ერთ ხაზად დაამწკრივა, გაიქცა კიდევ თინიკოსკენ, დახედა მის შედგენილ შემდეგ სიტყვას—„ტურა“-ს. მოერბინა თავის მაგიდასთან, ამოიღო ტ, კიდევ გაიქცა, მოიტანა უ და შეადგინა როგორც ტურა, ისე ქორი; ალბად, როცა თინიკო სწერდა, გაიგო და ესეც თან ხმამაღლა ამბობდა—ქორი, ტურა. ხელმძღვანელი გივის უცნობ ასოებს უსახელებს: ტ, უ, ქ, რ, და გივი სულ ადვილად ითვისებს ამ ახალ ასოებს და სიამოვნებით კითხულობს ასე უცნაურად შედგენილ და შეთვისებულ სიტყვებს. ელიკო 12 წუთი ხსნის და ჰკრავს დუგმებიან ჩარჩოს. ნათელა და ცუცუნა გეომეტრიულ ფორმების საშუალებით ხატავენ, ერთსაც სამკუთხი უჭირავს, მეორესაც და თან ხმაამოუღებლივ ხაზავენ ფარგებს. ნათელა ფარგს (კონტურს) დაადებს თავის ნახატს და აღტაცებაში მოდის, რადგანაც მისი ნახატი და ფორმა ტოლები არიან. შოთა როიალის ქვეშ შემძვრალა და პრიზმებიდან მატარებელი გაუკეთებია. თან ბავშვებისაკენ მიდის გუ-გუ-ს ძახილით. სონამ შეამჩნია სიჩუმე და გაიქცა სამუშაო ოთახში. სხვები მას ყურადღებას არ აქცევენ. რამდენიმე ბავში ალაგებს სათამაშოებს. იატაკს სწმენდენ ტილოთი, ფანჯარას აღებენ. $11^1/_2$ საათია, თანდათანობით ბავშვები ისევ სათამაშო ოთახში იკრიბებიან, თამაშობას იწყებენ, უფრო დარბიან. 12 საათზე მუსიკის ხმა გაისმის. იწყება ვარჯიშობა. მორიგეები სამუშაო ოთახს ალაგებენ მაშინ, როცა ყველა ბავშმა დასტოვა ეს ოთახი. მორიგეები ახლა ამ ოთახის სასადილო ოთახად მოსაწყობად მოდიან. ხელმძღვანელი თვალს ადევნებს, რომ სუფრა ლამაზად და გემოვნებით იყოს გაშლილი, ამავე დროს თეფშებსაც უვლიან, ამზადებენ თიხას. $1^1/_2$ საათზე ხელებს იბანენ საუზმისათვის. საუზმის შემდეგ სათამაშო ოთახში გადიან. აქ ბაასი იმართება წარსულ დღეებზე. 10 წუთის შემდეგ ბავშვები იცვამენ და ცოტა ხნით ეზოში ჩადიან. მალე ბრუნდებიან სამუშაო ოთახში და უფრო თიხაზე მუშაობენ. 2 საათზე შინ მიდიან.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

მშვენიერი თბილი დღეებია. მუშაობა და საუზმე ეზოშია გადატანილი. დილის 8 საათიდან ბავშვები მოდიან. ბევრი ბავში ყვავილებით

მოდის, მოსვლისთანავე ყვავილებს და ნათესობას აქცევენ ყურადღებას. შინჯავენ მიწას და ზედმეტ ბალახს აშორებენ. აგერ, თამროს თუთის ფოთოლი მოუტანია და აბრეშუმის ჭიას უცვლის. მან პირველმა შენიშნა, რომ აბრეშუმის ჭიას პარკი გაუკეთებია და ამხანაგებს გახარებული აცნობებს. ბავშები იკრიბებიან მასთან და მათი სჯა-ბაასი აბრეშუმის ჭიას შეეხება. აქვე უზიარებენ ერთმანეთს ნახულს და გაგონილს აბრეშუმის ჭიის შესახებ. უნდა ითქვას, რომ აბრეშუმის ჭიის ცხოვრების დაკვირვება მისაწდომია საბავშო ბაღის ასაკის ბავშებისათვის და მათ დაკვირვების უნარს მეტად ანვითარებს. გოგია კოუხთან მირბის და კვერცხებს უშინჯავს; კოუხს წიწილები ჯერ არ გამოუჩეკია. პატარა კურდღლის ბაჭიებს ბავშების მთელი ჯგუფი ალერსს და ზრუნვას არ აკლებს. თბილი დღით სარგებლობენ და ძაღლის ბანაობა უნდათ, მაგრამ ხელმძღვანელი ამას საუზმის შემდეგ ჰპირდება. ბავშებს უხარიათ და დიდის ხალისით ამზადებენ შეშას წყლის გასათბობად.

10 საათია. გაზაფხულობით მორიგეების რიცხვი მრავლდება. საუზმეს ეზოში აწყობენ. გამოაქვთ სკამები, მაგიდები და დიდაქტიური მასალა. იწყება მუშაობა. ბავშების მომეტებული ნაწილი შეკრებილა დათუნიას მაგიდასთან. ჰას გეომეტრიული ფორმები და მუყაოზე დაკრული გეომეტრიული ფარგები აუღია და ვარჯიშობს. ხელში ხის ხუთკუთხი უჭირავს და სცდილობს ექვსკუთხის ფარგზე მოათავსოს. დიდხანს ატრიალებს ამ ფორმას, ყოველ მხრიდან სცადა, მაგრამ ფარგი ვერ მიუყენა. 20 წუთის შემდეგ შენიშნავს, რომ ერთი კუთხე მეტია. კატის ყუთიდან ამოუღია სხვადასხვა ფერები და ქსოვილებს[1]) ადარებს, დანარჩენები ხატავენ. 12 საათზე მუსიკას ბავშები ოთახში შეჰყავს, იმართება ვარჯიშობა, ცეკვა, სიმღერა, საუზმისათვის ხელების ბანვა. საუზმის დროს ყველას მოუსვენრობა ეტყობა; ძაღლის ბანაობაზე ლაპარაკობენ; სურვილი სისრულეში მოჰყავთ. თიხაც კარშია მომზადებული და მაზედ მუშაობა იმართება; 2 საათზე სახლისაკენ მიეშურებიან.

მიდებულია კომისარიატის სკოლის ასაკამდე აღზრდის კაბინეტების მიერ 1923 წ. დეკემბერში.

---

[1]) სხვადასხვა ქსოვილების ნიმუშები შეხებისა და ფერების გრძნობების გასავითარებლად იხმარება საბავშო ბაღებში.

სკოლის ასაკამდე საბავშო ბაღებში მუშაობის პროგრამა

საბავშო ბაღში პროგრამის მიხედვით მუშაობა ძნელია.

აქ ყველაფერი ბავშის სურვილს, მის მისწრაფებას და მის განწყობილებას ემორჩილება. ბავში იმას ითვისებს, რაც შეუძლია, რადესაც შეუძლია და რაგორც შეუძლია.

ის იღებს იმ მასალას, რაც მისთვის საჭიროა, რაც მის პუნებას და მისწრაფებას აკმაყოფილებს.

ამისდა მიუხედავად მაინც საბავშო ბაღს უნდა ჰქონდეს ერთგვარი გამომუშავებული პროგრამა, რომელიც უჩვენებს ხელმძღვანელს რა გზით უნდა წაიყვანოს ბავში, რა უნდა მისცეს მას, რომ ბავშმა თვითმუშაობით შესძლოს მიახწიოს იმას, რასაც მისი ასაკი მოითხოვს.

ეს პროგრამა მხოლოდ სქემაა, რომელზედაც უნდა აშენდეს საბავშო ბაღის ცხოვრება ადგილობრივი და ბაღის შინაგან პირობების მიხედვით.

საბავშო ბაღში უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ბავშში განვითარდეს ყველა შემდეგი მხარე:

I. ბავშის თავის მოვლა და მეოჯახეობა.

ვარჯიში ყოველდღიურ ცხოვრებიდან:

ჩაცმა, გახდა, პირის და ხელის დაბანა, ამხანაგის მოვლა, ოთახების დალაგება, სუფრის გაშლა-ალაგება, მორიგეობა სასადილო ოთახში, ჭურჭლის ალაგება-დალაგება და სხვა.

II. ფიზიკური აღზრდა.

1. ჭერზე და მზეზე ოფნა, სიცივის მიჩვევა, სისუფთავის მიჩვევა და სხვა.

2. ტანვარჯიში:

ნელა და ჩუმად სიარული, ავეჯის ფრთხილი გადატან-გადმოტანა, კარების და ფანჯრების ჩუმად გაღება და დახურვა და სხვ.

ადვილი მოძრაობა მუსიკით. ყოველნაირი თამაშობანი გარეთ და ოთახში — ბურთით, თოკით, საამშენებლო მასალით და სხვა სათამაშოებით, თამაში ინდივიდუალური და საერთო, ხელმძღვანელით და თავისუფალი და სხ.

III. ხელგარჯილობა.

თიხა, თავისუფალი მუშაობა. გაკეთებულის გაფერადება, თავისუფალი ამოჭრა, ამოჭრა და დაწებება სხვადასხვა სურათებისა, კერვა უფროს ბავშთათვის.

IV. ბუნება.

ყვავილების, მცენარეების, ფრინველების და პირუტყვების მოვლა, მათზე მზრუნველობა, ბაღსა და ბოსტანში მუშაობა.

V. გარე-გრძნობების განვითარება [1]

1. ე. წ. თერმიული (სითბო-სიცივის) და ტაქტილური (შეხების) გრძნობათა განვითარება.

ცხელი, ცივი და თბილი წყალი, გლუვი და მქისე ზედაპირები, სხვადასხვა ქსოვილები, მცენარეების და ფოთლების შეხებით გამოცნობა.

2. კუნთური გრძნობა (კუნთების შემწეობით).

ე. წ. ბარიული (სიმძიმის) გრძნობის განვითარება:

თანაბარი პატარა ფირფიტები სხვადასხვა სიმძიმისა (სხვადასხვა ხის ჯიშის ფირფიტა და სხ.).

სხვადასხვა საგნების გამოცნობა წონის განსხვავებით, ხელში აღებით.

3. ე. წ. სტერეოგნოსტიული (ე. ი. სივრცის გამომცნობი) გრძნობის განვითარება—საგნების ფორმის გამოცნობა შეხების და კუნთური გრძნობის ერთდროული გამოყენებით.

---

[1]) ამ მუხლში ჩამოთვლილი დიდაქტიური მასალა აწერილია მარია მონტესორის წიგნში „Дом ребенка“ და ნაწილობრივ რ. ნიკოლაძე-პოლიევკტოვის წიგნში „მათემატიკა პაწიებისათვის“.

ჯერ თვალებახილულად, მეორე თვალდახუჭულად სხვადასხვა საგნის გამოცნობა. მრავალ საგნიდან ერთიდაიმავე საგნის ამოკრეფა და ერთად შეგროვება.

ფრებელის კუბიკები და ბაგურაკები, ასაშენებელი მასალა, სათამაშოები, სხვადასხვა წვრილი საგნები, ლობიო, ქერი, სიმინდი, ხორბალი და სხვა.

4. გემოს და ყნოსვის განვითარება.

გემოს გასავითარებლად გამოდგება ყველა საჭმელი და სასმელი, გემოს მოპირდაპირე მაგალითებისათვის კარგია მარილი, შაქარი, ქინა და სხვა.

ყნოსვისათვის: ყვავილები, მცენარეები, საჭმელები.

5. სედვის განვითარება

1) სიდიდის ხედვა-გარჩევითი ათვისება (зрительно-различительное восприятие размеров).

ა) მონტესორის სამი ძელი სხვადასხვა სიდიდის ცილინდრების სამი წყობით.

ბ) სხვადასხვა სისქის[1]) ათი ერთსიგრძიანი პრიზმა, რომლითაც შენდება ეგრეთწოდებული მოკლე კიბე.

გ) სხვადასხვა სიგრძის ათი მწვანე ძელი. (გრძელი კიბე) ათი ძელი იმავე ზომისა, რითგორც პირველი, მხოლოდ ორფერი, მორიგეობით — ლურჯი და წითელი, ანგარიშისათვისაც ხმარებული.

2) ფორმის ხედვა-შეხებითი და კუნთური შეთვისება.

ა) ე. წ. „კოშკი" — ათი ერთმანეთზე დასაწყობი კუბი, დიდიდან (წიბო 10 სანტ.) პატარამდე (1 სანტ.).

ბ) ე. წ. მონტესორის ბრტყელი ხის გეომეტრიული ჩასაწყობები.

გ) სამი სერია იმავე გეომეტრიულ ნაკვეთებისა მუყაოზე

დ) ე. წ. ქრომატიული, ე. ი. ფერების გრძნობის განვითარება. 8 ყუთი სხვადასხვა ფერის ფირფიტებით. ჯერ ძირითადი ფერები, შემდეგ თანდათანობით ყოველი ფერის ელფერები. ფერები ბუნებაში: ყვავილები, ფოთლები და სხვ.

3. სმენის განვითარება.

სიმღერა, სიჩუმის გაკვეთილი. წმინდა ბგერები და ხმაურის ელფერები. მონტესორის ე. წ. ხმაურის ყუთები და ზარების გამმა. მუსიკის მოსმენა.

---

[1]) კვადრატიანი ფუძეებით 10 სანტიმეტრიანი გვერდიდან 1 სანტიმეტრიანამდე.

VI. თავისუფალი დისციპლინა, ანუ ე. წ. თვითდისციპლინა, წესმორჩილება.

ბავშის მოძრაობის კოორდინაციის, ე. ი. თანშეფარდებულობის გამომუშავება. განვითარება თვითმოქმედიანობისა, აქტიობისა, ნებისყოფისა.

სხვისი სურვილისა და კოლექტიურ ინტერესების შეგნებითი დამორჩილება.

ამისათვის საჭიროა სიჩუმის და სხვა გაკვეთილები და რომ მუშაობა ყოველთვის ბავშის მისაწვდომი და მისთვის საინტერესო იყოს.

VII. ენის დეფექტების გამოსწორება.

სხვადასხვა ბგერების და სიტყვების გამოთქმის გამოსწორება. შესწავლა სწორედ სუნთქვისა.

VIII. ესთეტიური აღზრდა.

1. ხ ა ტ ვ ა.

ხატვა თავისუფალი: ფანქრებით და საღებავებით, ე. წ. ფარგული (საკონტურო) ხატვა გეომეტრიულ ფორმებით. ფორმების შემოხაზვა და მათი გაფერადება ფერადი ცარცით ან ფანქრებით. მთლიანად ან დაშტრიხვით ფორმების კომბინაციების შედგენა და მათი გაფერადება.

სხვადასხვა შაბლონების (ხილის, ფრინველის, ცხოველის) და სურათების გაფერადება ფერადი ფანქრით და აკვარელით.

2. სიმღერა-მუსიკა.

რამოდენიმე მოკლე და ადვილი ლექსი, მარტივი და სასიამოვნო კილოთი, სულ 6—7 სიმღერა წლის განმავლობაში მუსიკის მოსმენა.

3. თ ხ რ ო ბ ა.

მასწავლებლისაგან პაწიებისათვის მარტივი და მოხდენილი თხრობა სა-

სიამოვნო წყნარი ხმით სათანადო ზღაპრებისა, პატარა ლექსებისა და მოთხრობებისა.

4. ბალის ოთახების ესთეტიური სახე, სისუფთავე, მარტივი, კოხტა მორთულობა, ყვავილები, ერთი-ორი კარგი საბავშო სურათი კედელზე და სხ.

IX. გონიერული განვითარება.

1. შედარებისა და სიმგსავსე-განსხვავების დანახვის უნარის გამომუშავება (რისთვისაც საუკეთესო მასალას იძლევა ზემოჩამოთვლილი გარეგრძნობების გასავითარებელი მასალა).

2. ნომენკლატურა (სახელდება) გაცნობილ საგნების, სახელების შეთვისება და საგანთან დაკავშირება.

3. ზეპირი ენის განვითარება და პროვინციალიზმიდან ფრთხილი გაწმენდა. ყოველდღიური ინდივიდუალური ბაასი—ბავშის ცხოვრებიდან, მისი შთაბეჭდილებანი და სხვა.

4. წერა-კითხვა.

ა) ასოს მოყვანილობის შეთვისება შეხებით, მოძრავ ამოჭრილ ასოებით. ბგერის შესწავლა.

ბ) სიტყვების და მოკლე ფრაზების შედგენა ამოჭრილ ასოებისაგან.

გ) ჩუმი კითხვა. საგნების და სურათების სათანადო დაწერილ სიტყვების პოვნა. დაწერილი „ბრძანების“ შესრულება მის ხმამაღლა ამოუკითხავად, მაგ. „კარი გააღე“, „დაფა გაწმინდე“ და სხვა.

დ) წერა. სურათების და საგნების შესაფერ სიტყვების წერა. მოკლე ფრაზები. ერთმანეთთან მიწერ-მოწერა (წერილები) და სურათების აწერა.

ე) ხმამაღალ კითხვა. ჯერ კარტონზე დაკრულ ფრაზებისა, შემდეგ მასწავლებლის მიერ შედგენილ პაწია წიგნაკებისა, სანამ სათანადო ლიტერატურა არა გვაქვს.

5 ზღაპარი. (ენისა და საერთო ესთეტიურ-გონიერული განვითარება) მოკლე, მარტივი, მხიარული. წლის განმავლობაში 5—6 ახალი ზღაპარი.

6. ანგარიში. [1])

---

[1]) იხ. „მათემატიკა პაწიებისათვის“, ტფილისი 1923 წ., განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა.

თვლა, რომელსაც თვითონ ბავში სწავლობს ყოველდღიურ ცხოვრებიდან—საგნებს გადატან-გადმოტანაში, მასალაზე მუშაობისა და თამაშობის დროს და სხ.

ანგარიში ე. წ. მონტესორის საანგარიშო ძელებზე. რიცხვნიშნების გაცნობა. რიცხვის ერთეულებად დაშლა ჩხირების საშუალებით. ნოლის ნიშვნელობა. კენტი და ლუწი რიცხვი ათის ფარგალში მიმატება და გამრავლება (ძელებზე). გამოკლება და გაყოფა.

ოთხივე მოქმედება ათის ფარგალში ზეპირად და წერით.

რიცხვების შესწავლა ოცამდე. თვლა ათეულებით ასამდე.

სახ. განათ. კომისარიატის
სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილება.

ახალი სკოლის ბიბლიოგრაფია.

მკითხველის გაცნობა წიგნთან ყოველთვის სერიოზული ამოცანა იყო. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს ეს საქმე დღეს. ომისა და რევოლიუციის დროს შესუსტდა და თითქმის შესწყდა წიგნის გამომცემლობის საქმე, გაჭრა ჩვეულებრივი სქელი პედაგოგიური ჟურნალები („Вестник воспитания", „Русская школа" და სხ.) მოისპო ბიბლიოგრაფიული კავშირი და ცნობები.

ჯერ ომმა და მისი წყალობით მეურნეობაში გამეფებულმა არევ-დარევამ, შემდეგ კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მუშაობის აჩქარებული ტემპით ზრდამ ჩამოაცალა წიგნს თვით „გამოუსწორებლად მეწიგნე" მკითხველიც. ახლა გამომცემლობის საქმეს აღორძინება ემჩნევა, წიგნის ბაზარზე ჩნდება როგორც ძველი, ხელმეორედ გამოცემული წიგნები, ისე ახალი დიდი ღირებულების წიგნები სხვადასხვა საკითხი შესახებ, მათ შორის პედაგოგიურიც. წიგნის მოთხოვნილება მატულობს.

განყოფილების მიზანი.

ახალი წიგნის შესახებ ცნობა ყველას ესაჭიროება, განსაკუთრებით მასწავლებელს. ჩვენი ჟურნალის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიზანია გაუადვილოს მასწავლებლობას, განსაკუთრებით ადგილებზე, ყველა საუკეთესო წიგნებისა და ჟურნალებში მოთავსებულ წერილების გაცნობა, რომელიც კი ეხება თანამედროვე პედაგოგიურ საკითხებს, ახალ დიდაქტიურ-მეთოდიურ კვლევა-ძიებას და მინაღწევებს, სასკოლო ასაკამდე აღზრდის გადაქმნის ახალ ცდებს და აგრეთვე მთელი ჩვენი სასკოლო საქმის ძირ-ფესვიან შეცვლას.

წიგნის შეფასების დროს მასწავლებელთა უმთავრესი ყურადღება მიქცეული ექნება ყოველივე იმ პედაგოგიურ და დიდაქტიურ-მეთოდურ მასალას, რომელსაც ფასი აქვს ახალი სკოლისათვის, რომ

ამ განყოფილებას უძღვებიან: გ. გეხტმანი, გ. კონიაშვილი და გ. ნათაძე.

მკითხველი ადვილად და მკაფიოდ ერკვეოდეს ავტორის მიერ წამოყენებულ არსებითად მნიშვნელოვან პედაგოგიურ დებულებებში და მათ-მეცნიერულ დასაბუთებაში.

ცხოვრების დღევანდელ ქარბუქში, როგორც იყო, სისხლხორცი შეისხა სკოლის საქმის იმ გადატეხამ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია მოუთმენლად მოელოდა არა ერთი გამოჩენილი პედაგოგი; ცხოვრების წინსვლითი ფერხულით წალეკილია ძველი სკოლის ასაკამდე აღზრდა და ძველი სკოლის წრთობითი სწავლება. მაგრამ ახალი სკოლის შექმნა დიდ მუშაობას და სიძნელეთა ძლევას მოითხოვს. ყოველი სახელმწიფოს, ყოველი სასკოლო ორგანიზაციის და განათლების მუშაკის უახლოესი ამოცანაა—ისეთი **შრომა-მოქმედიანობითი** სკოლის შექმნა, რომელშიაც ბავშვი „არა ობიექტი“ იქნება ყოველგვარი ზეგავლენისა, არამედ სუბიექტი-შემოქმედი.“

ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ პირობას შეადგენს **ცენტრისა და ადგილების მჭიდრო ურთიერთობა.**

ყველა გრძნობს, რომ საჭიროა ჩვენი მასწავლებლობის პედაგოგიური მომზადებულობის დონის აწევა, მაგრამ ყველას კარგად ვერ შეუგნია ის გარემოება, რომ რეფორმის **განხორციელებისათვის** საჭიროა მიეცეს პედაგოგს **აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა** ახალი სკოლის ძებნის საქმეში, რომ ის იყოს **ადგილებზე ახალი სკოლის აგების** აქტიური შემოქმედი და მუშაკი. ამას დაუყონებლივ მოითხოვს სახალხო განათლების საქმე.

შრომისა და „მოქმედიანობის“ ახალი სკოლის ამგების შექმნის ერთ ერთი საშუალებაა მასწავლებელთა ე. წ. **გადამზადება.** ჩვენი ჟურნალის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიზანია ოდნავ მაინც დაეხმაროს ჩვენს მასწავლებლობას ამ საქმეში.

მაგრამ, ცხადია, რომ ბიბლიოგრაფიული განყოფილება მხოლოდ მაშინ შესძლებს ფართოდ დააყენოს ახალი პედაგოგიური წიგნების შესახებ მასწავლებელთათვის ცნობების მიწოდების საქმე, **თუ ყველა ახალი სკოლით დაინტერესებული პირები** ჩაებმიან ამ მუშაობაში.

ამიტომ ჩვენი ჟურნალის ბიბლიოგრაფიული განყოფილება დაბეჭდითებით სთხოვს ცალკე ტფილისის პედაგოგებს, ცალკე მასწავლებლობას ადგილებზე, **გამოგზავნონ ჟურნალში** თავისი აზრი და შენიშვნები შესახებ დასავლეთს, ჩვენში თუ რუსეთში გამოსულ ყველა ახალი პედაგოგიური, დიდაქტიური და მეთოდიური წიგნებისა ევროპიულ, რუსულ

ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე და აგრეთვე შესახებ ყველა ახალი ან ხელმეორედ გამოცემული სახელმძღვანელოებისა, განსაკუთრებით, რომელნიც ჩვენს დღევანდელ სკოლაში იხმარება.

ამას გარდა ბიბლიოგრაფიული განყოფილება საჭიროდ სცნობს მოათავსოს თავის ფურცლებზე მასწავლებლობის შეხედულება და აზრი შესახებ იმისა, თუ **რამდენად აკმაყოფილებს ადგილობრივ პედაგოგიურ მოთხოვნილებას** ესა თუ ის სასწავლო ან მეთოდური სახელმძღვანელო, და რა არის დღეს უსაჭიროესი სოფლის სკოლისათვის.

ბიბლიოგრაფიული განყოფილების აზრია, რომ **სახელმწიფო გამომცემლობისთვისაც** სასარგებლო იქნება მხედველობაში მიიღოს მასწავლებლობის ხმა ადგილებიდან და ამ ჟურნალის ბიბლიოგრაფიული განყოფილების შინაარსი ჩვენი ახალი სკოლისათვის მართლაც **საჭირო და სასარგებლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დასაწყებად.**

პროფ. გ. გეხტმანი.

ამ ნომრის ბიბლიოგრაფია:

1. შრომის სკოლა.
2. დალტონის გეგმა.
3. ბუნებისმეტყველება ახალ სკოლაში.
4. საზოგადოებათმეცნიერება.
5. მხარეთმეცნიერება.
6. უმარტივესი ხელსაწყოები.
7. მათემატიკა პაწიებისათვის.

შრომის სკოლა

Л. Д. Синицкий Трудовая школа. Ее принципы, задачи и идейные корни в прошлом М. 1922 г. стр. 190[1])
Библиотека „Вестника просвещения“

ლ. დ. სინიცკი, შრომის სკოლა, მისი პრინციპები, ამოცანები და იდეური ფესვები წარსულში.

განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა. ტფილისი 1928 წ.

ეს არის გამოცემული ქართულად[2])

ლ. დ. სინიცკი პედაგოგიურ ლიტერატურაში ახალგაზრდა მოღვაწე არ არის; მას ეკუთვნის მეტად საინტერესო წერილები და რეცენზიები, რომლებიც იბეჭდებოდენ მოსკოვის ძველს მეტად კარგ ჟურნალში „Вестник воспитания“—„აღზრდის მოამბე“. თავის ახალ ნაწარმოებში ავტორი გვაძლევს ჩინებულ შედგენილ ნარკვევს შრომის სკოლის თეორიის, ისტორიის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი პრაქტიკის შესახებ. მისი ძირითადი აზრი გამოიხატება იმაში, რომ შრომის სკოლა არ არის ხელოვნურად მოფიქრებული შექმნილი თუ აღმოჩენილი დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, არამედ ეს არის ბუნებრივი და ლოგიკური განვითარება წარსულ და მიმდინარე საუკუნეების ყველა საუკეთესო პედაგოგიურ ძიებათა.

„შრომის სკოლის“ პირველ ნაწილში, რომელიც, როგორც მთელი წიგნი, დაწერილია მარტივი და გასაგები ენით, დაკვირვებული მკითხველი შეხვდება თვით ავტორის შეხედულებას შრომის სკოლის ამოცანებზე და უმთავრეს თანამედროვე პედაგოგიურ მიმდინარეობათ, რომლებსაც მივყავართ შრომის სკოლის იდეასკენ. სინიცკის სიტყვით, ამ სკო-

---

[1]) ეს რეცენზია დაწერილია ქართული თარგმანის გამოცემამდე.

[2]) ამ წიგნთან ერთად გამოცემულია აგრეთვე: პროფ. ჯ ო ნ დ ი უ ი და ვ ე ლ ი ნ ა დ ი უ ი—„მომავლის სკოლები“, თარგმანი მეორე გამოცემიდან. განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა, ტფილისი, 1923 წ.

ლამ "ერთსადაიმავე დროს მოზარდი თაობა უნდა ცხოვრების ამ ამოცანებისათვისაც მოამზადოს, რომელიც წამოყენებულია თვით ცხოვრების დღევანდელი პირობებით და ამასთან ერთად ისეც უნდა მოაწყოს ბავშთა, მოზარდთა და ჭაბუკთა ცხოვრება, რომ მათ თვით სკოლაშიაც თავი იგრძნონ არა მარტო როგორც მოზრდილთა ცხოვრებისათვის მოსამზადებლებმა, არამედ იცხოვრონ კიდეც სრული თავისი სიცოცხლით და განიცადონ მთელი სიხარული არსებობისა. უკვე ამ მოსაზრებითაც, სკოლა, როგორც ნამდვილი ცხოვრების ორგანიზაცია, უნდა იყოს **კომუნა**, თანამშრომლობის და თან მეგობრობის საზოგადოება" (74 გვერდი)

სკოლის ამგვარ სტრუქტურას საფუძვლად ორი მეთოდი უდევს: მეთოდი ე. წ. **გენეტიური**, რომელიც ემყარება ბავშთა ფსიქიკას, და მეთოდი **დინამიური**, რომელიც გამომდინარეობს თვით შრომის სკოლის ბუნებიდან, როგორც ორგანიზაციიდან, რომლის მიზანია ბავშში უზენაესი აქტიობის, მოქმედიანობის განვითარება.

სკოლაში დაბალ საფეხურზე სწავლებაში ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს ბუნებისმეტყველებას, მაღალ საფეხურზე კი — ე. წ. კულტურისმეცნიერებას (Культуроведение)

წიგნის ხუთ უკანასკნელ თავში ავტორი გვაძლევს შრომის სკოლის მოკლეს, მაგრამ შესამჩნევ **ისტორიულ მიმოხილვას** — „შრომის სკოლის იდეური ფესვები წარსულში". ეს ისტორიულ-პედაგოგიური მიმოხილვა იწყება ძველი ანტიური ქვეყნებიდან და აცნობს მკითხველს პედაგოგიური აზროვნების უდიდეს ცალკე წარმომადგენლებს (კერშენშტეინერი, დიური, ზეიდელი და სხ.) ნატორპამდე და წარსული საუკუნის რუს პედაგოგებამდე.

შრომის სკოლის იდეათა განვითარების სურათი, რომელსაც გვაძლევს ს ი ნ ი ც კ ი, არ არის სავსებით უდაო; მაგრამ საერთოდ ფართო კულტურულ ისტორიული პერსპექტივა საშუალებას აძლევს მკითხველს უფრო უკეთ შეიგნოს თანამედროვე პედაგოგიკის აზრები. დაბეჯითებით ვურჩევთ მასწავლებლებს და მშობლებს გაეცნონ ს ი ნ ი ც კ ი ს ამ მეტად ძვირფას წიგნს.

პროფ. **გ. გეხტმანი.**

დალტონის გეგმა

1. „Дальтоновский план лабораторной работы“, Евелины Дюи.

„დალტონის გეგმა სალაბორატორიო მუშაობის“ — ეველინა დიუი.

„Воспитание при помощи дальтоновского плана“, Елены Паркхерст.

„აღზრდა დალტონის გეგმის შემწეობით“, ელენე პარკჰერსტი.

Перев. с английск. Р. Ландсберг с предисл. Н. Крупской, изд. „Новая Москва“, 1923 г.

2. „Дальтоновская школа“ Н. Крупской.

„დალტონის სკოლა“ ნ. კრუპსკაია. ჟურნალი „На путях к новой школе“, № 3, 1922 г.

3. М. Штейнгауз „Классы-лаборатории“, изд. „Мир“, М. 1923 г.

მ. შტეინჰაუზი „კლასები-ლაბორატორიები“.

1. 1919 წელს ამერიკის ქალაქ დალტონის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა, ელენე პარკჰერსტმა შეიმუშავა თავისი სკოლის მოწაფეთათვის **დამოუკიდებელი მეცადინეობის** სრულიად თავისებური გეგმა და სცადა პრაქტიკულად მისი განხორციელება.

არსებითად ამ გეგმის არსს შეადგენს: წლიური კურსის ყოველი შესასწავლი საგნის ათ ნაწილად დაყოფა ათი სამოსწავლო თვის მიხედვით. მოწაფეს, ვიდრე ის შეუდგება დამოუკიდებლად საგნის შესწავლას, ეძლევა ზედმიწევნით სწორე ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ, რა მიმდევრობით, რომელი სახელმძღვანელოების, ხელსაწყოების, მეცნიერულ თხზულებათა და საცნობო წიგნების დახმარებით შეიძლება მოცემული მასალის შესწავლა ერთი თვის განმავლობაში, უმთავრესად რას უნდა მიექცეს ყურადღება, როგორ უნდა იყოს დაძლეული წინწამოჭრილი დაბრკოლებანი და სხ.

როდესაც საგნების მასწავლებლები დაწრმუნდებიან, რომ ყოველმა მოწაფემ კარგად გაიგო, თუ რა უნდა გააკეთოს და როგორ უნდა გააკეთოს, მოწაფე ხელს მოაწერს ერთი თვის ხელშეკრულობას მის შესახებ, რომ ერთი თვის განმავლობაში ის ვალდებულია ყოველ საგანში

ესა და ეს გაიაროს, შემდეგ მოწაფეს ეძლევა მოქმედების სრული თავისუფლება; ის **თვითონ**, თავისი მოსაზრებით **გაანაწილებს დროს**.

რას აკეთებენ ამ დროს მასწავლებლები? ყოველი მათგანი იქცევა თავისი საგნის ინსტრუქტორად და აძლევს მოწაფეებს ახსნა-განმარტებას, თუ უკანასკნელნი მიმართავენ მას. დროგამოშვებით მუშაობის სწორე მიმდინარეობის შესამოწმებლად კონტროლსაც უწევენ მათ.

ყოველ სამოსწავლო საგანს თავისი **კაბინეტი-ლაბორატორია** აქვს, სადაც თავშეყრილია საგნის შესასწავლად ყველა საჭირო წიგნები და ხელსაწყოები; კაბინეტში მოწაფეები ყოველ დილით სამ საათს დაჰყოფენ მასწავლებლის თანადასწრებით და მეცადინეობენ აღნიშნულ საგანში. მოწაფე, ერთი თვის ხელშეკრულობის შესრულების შემდეგ, ხელს მოაწერს ახალს, შემდეგი თვის ხელშეკრულობას და სხ.

ამგვარად, დალტონის სამუშაო გეგმის თავისებურობა იმაში გამოიხატება, რომ მოწაფის თვითმოქმედიანობას უმთავრესი ადგილი ეთმობა; დალტონის გეგმა წინასწარ არა სწყვეტს, თუ ბავშები სახელდობრ რასა სწავლობენ, რა საგნებს და რამდენს; ეს გეგმა **ეხება არა მეცადინეობის პროგრამას**, არამედ მხოლოდ **მეთოდს**. მეთოდი კი უფარდდება მეცადინეობის ბუხებრივ მსვლელობას და მოწაფეთა ფსიქიკის მოთხოვნილებას. დალტონის გეგმა წინასწარ უსახავს მოწაფეებს განსაზღვრულ მიზანს, რომლისაკენაც მოწაფე უნდა მიისწრაფებოდეს; ეს მიზანი არის — ერთი თვის განმავლობაში საგნის წლიური გეგმის მეათედი ნაწილის შესწავლა.

ჩვეულებრივი სასკოლო მეცადინეობის დროს ბავშებს არ აძლევენ გაკვეთილის მიზანს; ჩვეულებრივ გაკვეთილი თავდება არა იმიტომ, რომ დავალების მიზანია მიღწეული, არამედ იმიტომ, რომ ეს გამოწვეულია გაკვეთილების გაწესრიგებით, ე. ი. მუშაობის შეწყვეტა ხელოვნურია. გაკვეთილს გაკვეთილი მოსდევს შინაარსის კავშირის და დასახული მიზნის გარეშე. მოწაფის გონება ბურუსით ივსება, რადგანაც არ არის არც გაკვეთილების შემაერთებელი სახელმძღვანელო ხაზი, და არც ყოველ გაკვეთილზე შესრულებული სამუშაოს ერთიანი ჯამი. გაკვეთილების ამგვარი სწრაფი შეცვლით იბადება ტვინისათვის ძნელად მოსანელებელი აჭრელებული ნარევი.

მასალის ამგვარი შეთვისებით ძველი სკოლა ვერ აჩვევდა მოწაფეს დამოუკიდებელ მუშაობას; დალტონის გეგმა კი, პირიქით, ასწავლის მოწაფეს, თუ როგორ უნდა სწავლა და მუშაობა. შემდეგ, დალტონის გეგ-

მის ღირსება გამოიხატება იმაში, რომ საშუალებას აძლევს ყოველ მოწაფეს **თავისი ტემპით**, სიჩქარით გული დაუდოს იმას, რაც მას **აინტერესებს**, თვით გაანაწილოს თავის მუშაობის **დრო**, თავისი **ინდივიდუალური თავისებურობით** დასძლიოს შეხვედრილი სიძნელენი და დაბრკოლებანი.

ეს მეცადინეობის ინდივიდუალიზაცია დალტონის გეგმით საუკეთესოდ უთავსდება **კოლექტიურ** მუშაობას; ამასთანავე სასწავლო მასალის ინდივიდუალური და კოლექტიური დამუშავება აქ მორიგისობით ხდება. ელენე **პარკჰერსტის** სკოლაში სრულიადაც არ არის გაუქმებული საკლასო მუშაობა; აქ ხდება გეგმის შემუშავება, გარკვევა ყველა რთულ საკითხებისა და დეტალებისა, მუშაობის აღრიცხვა და სხ.; კლასშივე სწარმოებს მეცადინეობა იმ საგნებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ემოციონალურ განცდებთან, მაგალითად, ხელოვნება. ერთი სიტყვით, მის სკოლაში დალტონის გეგმით შრომის კოლექტივიზაცია მიღწეულია მასალის კოლექტიური საკლასო შემუშავების და მუშაობის აღრიცხვის საშუალებით,[1]) მაგრამ ეს გეგმა ამავე დროს ასწავლის მოწაფეს იხდივიდუალურ მუშაობასაც.

მაგრამ დალტონის გეგმა არ აძლევს მოწაფეს სრულ თავისუფლებას: მოწაფე ვალდებულია განსაზღვრულ საათებში სასწავლებელში იაროს და განსაზღვრულ დროშივე შეასრულოს თავისი დავალება. მისი მუშაობის კონტროლის გასაწევად მას ეძლევა ყოველთვიურად „ხელშეკრულობის ბარათი", სადაც მოწაფე საკუთარი ხელით სწერს თვიურ დავალებას ყველა საგნებში, რომლებიც დაიყოფიან კვირეულ და დღიურ გაკვეთილებად; ეს ბარათი მას მუდამ თან დააქვს და ამა თუ იმ ლაბორატორიიდან გამოსვლამდე მოწაფე დაუყოვნებლივ აღნიშნავს მასში სამუშაოს შესრულებულ ნაწილს. მასწავლებელი დროგამოშვებით სთხოვს მოწაფეს ამ ხელშეკრულობის ბარათს და ეცნობა თუ რამდენად ასწრებს მოწაფე მუშაობას, რაშია ჩამორჩენილი, რომელ ლაბორატორიებში დაიარება ხშირად ან იშვითად და სხ.; თუ შეამჩნევს, რომ მოწაფე რაიმე სიძნელეს განიცდის, მაშინ მასწავლებელი მისცემს რჩევას ზოგიერთს სამუშაოზე დროს ეკონომიის და მუშაობის გამოსწორების შესახებ.

---

[1]) ცხადია, რომ **შრომის** სკოლაში მუშაობის გაკოლექტივება სხვა სახით და სხვა ნიადაგზე ხდება. იხ. ამავე ნომერში წერილი მოწაფეთა თვითმართველობის შესახებ.

„ხელშეკრულობის ბარათის“ გარდა მოწაფე კიდევ ორ ბარათს იღებს: „ლაბორატორიის ბარათს“ და „ლაბორატორიის აღრიცხვის ბარათს“ პირველი სახის ბარათი იმოდენი აქვს მოწაფეს, რამდენ საგანშიაც მეცადინეობს; ამ ბარათში იწერება სამუშაოს ყველა სავალდებულო და დამატებითი თემები და აგრეთვე აღინიშნება უკვე განვლილი მასალა. ამ „ლაბორატორიის ბარათით“ მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს, რამდენად ერევა მოწაფე სამუშაოს, რამდენად დაინტერესებულია ცოდნის ამა თუ იმ დარგით და სხ.; „ლაბორატორიის აღრიცხვის ბარათში“ კი მოწაფე აღნიშნავს რომელ სამუშაოს რამდენი დრო მოანდომა. ეს ბარათი საშუალებას აძლევს მასწავლებელს თვალყური ადევნოს მოწაფის მუშაობის ტემპს, სიჩქარეს და აღნიშნოს, თუ როგორი წარმატებით მიდის მუშაობა.

უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ ყოველ მოწაფეს მუშაობის საკუთარი ტემპი აქვს, რაც ძველ სკოლაში ჩვეულებრივი საკლასო მუშაობის დროს მხედველობაში მიღებული არ იყო. იქ, როგორც ვიცით, ყურადღება ექცეოდა საშუალო მოწაფეს, ეგრეთწოდებულ მუშაობის საშუალო ტემპს ამასთანავე ხშირად ეჩნეოდა შემდეგი: მუშაობის ეს საშუალო ტემპი ხუთავთა და გულს უღონებდა მოწაფეთა უმრავლესობას. ყოველი მათგანი ინდივიდუალური თავისებურობის მიხედვით წინ უსწრებდა მუშაობის ამ „საშუალო ტემპს“ და ამიტომ უიმედოდ მოიწყენდა კლასში.

ამგვარად, გონივრულად გამოყენებული დალტონის გეგმა ფრთას ასხავს მოწაფის ინტერესსა და მუშაობას, ხელს უწყობს მოწაფის მოქმედიანობას.

როგორია მასწავლებლის როლი დალტონის გეგმით წარმოებულ მუშაობაში? ეს როლი თითქოს პასიურია, მაგრამ ეს ასე არ არის; მართალია, ის უშუალოდ არ ერევა მოწაფის მიმდინარე მუშაობაში, მაგრამ სამაგიეროდ, თვალყურს ადევნებს მას შორიახლო და ხელმძღვანელობს მას და აძლევს სწორ გეზს. ამგვარად მასწავლებლის პასიობა მხოლოდ ვითომია.

დალტონის გეგმა სწრთვნის აგრეთვე თვით მასწავლებელსაც აჩვევს—რა და როგორ უნდა გაიაროს ამა თუ იმ საგანში, როგორ აქციოს სამუშაოს ყოველი ნაწილი მოწაფის ძალების შესაფერად და სხ.; დალტონის გეგმა მოითხოვს მასწავლებლისაგან საგნის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, მუშაობაში მოხერხებულობას და ორგანიზაციულს ნიჭს.

ელენე პარკჰერსტის აზრით, დალტონის გეგმით შესაძლო ხდება მუშაობის ჩატარება **სასწავლო ხელსაწყოების მცირე რიცხვით მრავალ მოწაფეთან**. ამისათვის დალტონის გეგმის განხორციელებით სკოლის შენახვა გაიაფდება.

ასეთია მოკლედ, **ელენე პარკჰერსტის, ეველინა დიუის** და **კრუპსკაიას** დახასიათებით, დალტონის გეგმა სკოლაში მუშაობისა.

ამ ცდას, რომელიც მოახდინა ელენე პარკჰერსტმა ჭ. დალტონის სკოლაში, ამერიკაში, საფუძვლად უდევს მარია **მონტესორის** მიერ წამოყენებული პრინციპები, სახელდობრ: მოსპობა ძველი საკლასო მოწყობილობისა, განვითარება ბავშვებში თვითმოქმედიანობისა და აქტიობისა, შეჯარდება დიდაქტიური მასალისა ასაკთა ინტერესებთან. მუშაობის ინდივიდუალიზაცია, მასწავლებლის თითქოს პასიური როლი და სხ. განსხვავება ისაა, რომ მონტესორის სისტემაში არ შედის მუშაობის თვით მოწაფეთა მიერ აღრიცხვა და განსაზღვრულ ვადაზე შესრულება რადგან მისი სკოლა ე.წ. საბავშო „სახლებია" – მცირეწლოვანი 3—7წლ. ბავშებისთვისაა აგებული. დალტონის გეგმა კი, პირიქით, მხოლოდ უფრო მოზრდილებისთვისაა გამოსადეგი და ამიტომ მასში სწორედ ამ მხარეს ექცევა სერიოზული ყურადღება. მოწაფე ეჩვევა **დროს განწილებას** და სამუშაოს **ვადაზე შესრულებას**

II. რაც შეეხება შტეინჰაუზის წიგნაკს „კლასები-ლაბორატორიები", აქ ავტორი გვაცნობს „დალტონის" მეთოდის გამოყენების ცდას ერთ სკოლაში. მისი აზრით, დალტონის გეგმის ღირსება გამოიხატება იმაში, რომ ხელს უწყობს მეცადინეობის ინდივიდუალიზაციას, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ ხშირად უყურადღებოდ ვტოვებთ თვითეულ პიროვნების თავისებურობას.

რა თქმა უნდა, ეს სწორეა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შტეინჰაუზს დალტონის გეგმის მეორე მხარე დავიწყებია, სახელდობრ „კოლექტიური მუშაობა, ე. ი. სწორედ ის, რაც ჰქმნის სინამდვილეში ამ ინდივიდუალიზაციას ნამდვილი არსი და ღირებულება დალტონის გეგმისა გამოიხატება **კოლექტიური და ინდივიდუალური მუშაობის შეთავსებაში**, რომელშიაც შესამჩნევი ადგილი უჭირავს სასკოლო მუშაობის ამ ორი მომენტის მორიგისობას.

ავტორს არ სწამს არც ერთი სავალდებულო პროგრამა, რომელიც ეი ავიწროებს ბავშებს და მასწავლებელს, სამაგიეროდ ემხრობა სამოსწავლო მასალის ინდივიდუალურ შემუშავებას (ყოველივე სავალდებუ-

ლო პროგრამის გარეშე). ეს უეჭველად ცალმხრივი გატაცებაა, რადგანაც სავალდებულო პროგრამები დიდ დახმარებას უწევენ როგორც მასწავლებლებს ისე მოწაფეთ, თუ სწორ ნიადაგზე არის აგებული, ე. ი. შეფარდებით მოწაფეთა ასაკის ინდივიდუალურ ფსიქიკასთან და ადგილობრივ პირობებთან.

მ. შტეინჰაუზს არ შეუძლია დაეთანხმოს, რომ პროგრამებში ნაჩვენებია მუშაობის თითქმის ყველა პირობა, ვიდრე თვით ავეჯეულობის განაწილებამდე. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ზედმეტიც იყოს ისეთი დეტალური პროგრამები, რომლებიც სკოლის გარეგნულ ცხოვრებას ეხებიან, მაგრამ უმთავრესი ეს კი არ არის, არამედ ის, შეუძლია თუ არა მასწავლებელს ისე იმუშაოს, როგორც ამას მოითხოვს დალტონის სწავლების მეთოდი. სწორედ საქმის ამ მხარეს კი ავტორი არ აქცევს საკმაო ყურადღებას.

წიგნაკის დასასრულს მოთავსებულია რამოდენიმე თემა დამოუკიდებელ მუშაობისათვის; მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს თემები სრულიად შეუფერებელნი არიან ახალ შრომის სკოლისათვის და არ ვურჩევთ მასწავლებელს მით სარგებლობას.

ყველას, ვინც კი დაინტერესებულია პედაგოგიკის ახალი მიმდინარეობით, ვურჩევთ ყურადღებით შეისწავლოს ეველინა დიუის, ელენე პარკჰერსტის, ნ. კრუპსკისა და შტეინჰაუზის წერილები.

ეველინა დიუის და ელენე პარკჰერსტის წერილები ერთ წიგნაკადაა გამოცემული.

პროფ. ზ. გეხტმანი.

ბუნებისმეტყველება ახალ სკოლაში.

1919 წლიდან მოკიდებული წლევანდლამდე წიგნის ბაზარს ბუნებისმეტყველების მეთოდიკაში მრავალი მეტად კარგი და პედაგოგთა ახალი თაობისათვის დიდად საჭირო წიგნი შოემატა, მაგრამ ეს წიგნები მხოლოდ გადმონაბეჭდს წარმოადგენენ გერდის, პინკევიჩის, პოლიანსკის, პოლოვცევის, იაგოდოვსკის, არჟანოვის, ნიკონოვის, რაიკოვის და სხვათა კაი ხნით ცნობილ სახელმძღვანელოებისა და წიგნებისა. მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს ჩვენში **ვლად. ნატალის** წიგნაკი, რომელიც ნაყოფია ახალის, რევოლიუციის მომყოლი დროის შემოქმედებისა. აქ თავმოყრილია ავტორის ის აზრ-შეხედულებანი, რომელნიც მას არაერთხელ გამოუთქვამს თავის წერილებსა თუ მოხსენებებში.

კვლევითი მეთოდი.

წიგნაკის შინაარსს შეადგენს ბუნებისმეტყველებაში იმ **კვლევითი მეთოდის** დასაბუთება, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მედგარი დამცველი თვით ავტორია. უეჭველია, კვლევითი მეთოდი ახალ მეთოდად უნდა ჩაითვალოს. თუმცა მას ჯერ კიდევ **პოლოვცევი** იხსენიებს, (იხ. მისი „ბუნებისმეტყველების მეთოდიკის საფუძველნი“, გვ. 201). მაინც იმ სახით, როგორითაც დღეს ავრცელებენ, იგი პირველად გვევლინება, მის დამუშავებაში მონაწილეობენ უმთავრესად მოსკოველი პედაგოგები ნატალისა და **ვესესვიატსკის** მეთაურობით, რის გამო ზოგიერთი მეთოდისტი მას „მოსკოვის“ მეთოდსაც კი უწოდებს. პეტროგრადელი პედაგოგები კი მუშაობის მეთოდებში ჯერ კიდევ იმ ძველ პოზიციებს იცავენ, რომელნიც აგებულია რაიკოვის, ნიკონოვის, პოლოვცევის და რევოლიუციის წინადროინდელ **სხვა** მეთოდისტების შრომით.

---

*) Натали В. Ф. „Естествознание в новой школе“. Библиотека „Вестника просвещения“, М. 1923 г. 127 ст.

თავისთავად ცხადია და ყველასთვის აშკარა, რომ ახლო მომავალში ეს კვლევითი მეთოდი თანდათანობით დამყარდება როგორც პეტროგრადის სკოლებში, ისე სხვაგან. ყოველ შემთხვევაში, ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა უკანასკნელმა კონფერენციამ (1922 წლის მარტში) დაგვანახვა, რამდენად ძლიერია ახალი მეთოდის დამცველთა პოზიცია და რამდენად სუსტია მის მოწინააღმდეგეთა პასუხი.

შეიძლება ადამიანმა პრინციპიალურად გაიზიაროს ახალი მეთოდის უპირატესობანი, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ **ჯერჯერობით** მისი ცხოვრებაში გატარება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ძველებურად სწავლება, რამდენადაც საერთოდ ადვილია ხოლმე ძველი, მზამზარეული და უკვე გაკვალული გზით სიარული, ვიდრე ახალი გზის დამოუკიდებლად და საკუთარი ძალღონით გაკაფვა. მაგრამ ამ შემთხვევაში ვის გამოცდილებასა და ვის რჩევა-დარიგებას უნდა დაემყაროს ადამიანი?

ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული.

ექსკურსიათა წარმოება მოწყობისათვის შეიძლება შემდეგი შრომანი დავასახელოთ: „საპკოლო ექსკურსიები, მათი მნიშვნელობა და ორგანიზაცია," კრებული რაიკოვის რედაქციით; იაგოდოვსკი, „საზაფხულო მუშაობა ბუნებისმეტყველებაში"; რაიკოვი, „ექსკურსიათა წარმოების მეთოდიკა და ტეხნიკა"; არჟანოვი, „წყალთა და ჭაობთა შორის;" ვორონკოვი, „მტკნარ წყალთა შორის"; მოროზოვი, „ჩვენი ტყის ჯიშების ბიოლოგია"; მოროზოვი, „ტყე, როგორც მცენარეთა საზოგადოება"; მაევსკი, „გაზაფხულის ფლორა"; მისივე, „შემოდგომის ფლორა"; სუკაჩევი, „მცენარეულობის საზოგადოებანი"; ულმერი, „მტკნარი წყლის მწერები"; ციმმერი, „დარიგება ფრთოსანთა დაკვირვებისათვის."

კვლევითი მეთოდის მიხედვით **ლაბორატორიო მუშაობისათვის** მე მარტო ერთი წიგნი ვიცი: **ვინტერჰალტერისა**—„როგორ უნდა დაკვირვება ცხოველებზე." სხვა წიგნები ილიუსტრაციულ მეთოდის მიხედვითაა შედგენილი, და რადგან მრავალ კონკრეტ მასალას შეიცავენ, მასწავლებლისათვის მაინც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. ასეთ რიგს ეკუთვნიან **ნიკონოვის** ძველი, ხელახლად გამოცემული წიგნები: „მცენარეთა ცხოვრება მარტივ ცდებში", „საზაფხულო მუშაობა ბოტანიკაში", „პრაქტიკული მუშაობა სკოლასა და ბუნებაში" და **რაიკოვისა**: „პრაქტიკული მუშაობა არაცოცხალ ბუნებაში".

„პრაქტიკული მუშაობა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში,“ „პრაქტიკული მუშაობა ზოოლოგიაში.“

სხვა მეთოდები.

თავის წიგნაკის პირველ ფურცლებზე ნატალი ახდენს ბუნების-მეტყველების სხვადასხვა მეთოდის ანალიზსა და კლასიფიკაციას: ბიოლოგიურის, ე. წ. თანაცხოვრებათა მეთოდისას (метод общежитий), ლაბორატორიულისას, საექსკურსიოს, ევოლიუციურს, აღწერილობითსა, დემონსტრატიულსა და საილუსტრაციოსას. ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ მეთოდებს მეტწილად არ შეიძლება მეთოდი ეწოდოს სიტყვის სასტიკი მნიშვნელობით. იგი ამბობს: „სასკოლო ბუნების მეტყველების სწავლების მეთოდად ჩვენ ვგულისხმობთ სწავლების ათას ხერხსა და საშუალებას, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი რამაა: **როგორ** ითვისებს მოწაფე და **როგორ** ვაწვდით მას ცოდნასო“ (გვ. 14), ე. ი. **თვითონ** ბავში აღმოაჩენს ხოლმე რასმე თავისთვის **ახალს**, თუ იგი, ავად თუ კარგად, იმ მასალაზე მუშაობს, რომელსაც ის მასწავლებლის ახსნის დროს გაეცნო; აქტიურია ბავში თუ პასიურია.

ავტორს რომ დავეთანხმოთ, მაშინ პირველ ყოვლისა არც „ბიოლოგიური“ მეთოდი და არც „ევოლიუციური“ არ ჩაითვლება მეთოდად სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაშინ ეს იქნება მარტო გარკვეული და განსაზღვრული თვალსაზრის-შეხედულებანი, რადგანაც ერთიც და მეორეც სრულებით არ განმარტავენ მოწაფის მუშაობის ხერხსა და საშუალებათ; ამ თვალსაზრისით მოწაფესთან მასალის გავლა სიტყვიერი გზითაც შეიძლება, როცა მოწაფე სავსებით პასიურია.

„თანაცხოვრებათა“ მეთოდსაც იგივე დღე ადგება, რადგან აქ მხედველობაში მიღებულია მარტო სასწავლო მასალის განაწილების საშუალებანი. „ლაბორატორიული“ და „საექსკურსიო“ მეთოდები კიდევ მარტო იმ გარემოს აღნიშნავენ, რომელშიაც ბავშის მუშაობა მიმდინარეობს, და სრულიად არ იხსენიებენ, თუ როგორი ხასიათისაა ეს მუშაობა, ესე იგი გადაუწყვეტელად რჩება საკითხი—თვითონ ბავში იკვლევს ბისთვის ახალ და უცნობ მოვლენებს, თუ იმას აძლევენ, რაც კლასში უკვე გაგონილი აქვს. მე ვფიქრობ, რომ მაინც და მაინც დიდი დანაშაული არ იქნება, თუ „მეთოდის“ სახელწოდებას დავუტოვებთ თანაცხოვრებათა მეთოდსაც, საექსკურსიოსაც და ლაბორატორიულსაც, თუკი გარკვეულ შინაარსს ჩავდებთ მათში. რაც

შეეხება ბიოლოგიურსა და ევოლიუციურ მეთოდებს, აქ იქნებ მართლაც უფრო მართებული და შესაფერისი იყოს მათთვის „თვალსაზრისი", „პრინციპი" ან სხვა ამგვარი რამ სახელი.

ავტორი მარტო ორი რიგის მეთოდსა სტოვებს: ჯერ ერთი იმათ, რომელნიც ბავშის პასიობაზეა დამყარებული და უკვე არქივშია ჩაბარებული (სიტყვიერი, თვალსაჩინო, საგნობრივი) და მერე ე. წ. **მოტორულ** მეთოდებს: ილუსტრაციულს დამასურათებელ პრაქტიკული მუშაობისა და ილუსტრაციულს—ექსკურსიათა სახით და კვლეკითს: კვლევით-სალაბორატორიო მუშაობისა და კვლევითს—ექსკურსიათა სახით.

ამგვარად ბუნებისმეტყველების ახლანდელმა მასწავლებელმა, ვისაც კი უნდა საქმე, ცოტად თუ ბევრად, სერიოზულად დააყენოს, ორ მეთოდში ერთი უნდა არჩიოს: ილიუსტრაციული ან კვლევითი.

მეთოდების გამოყენება

თუმცა რუსული სკოლის ორივე გამოჩენილი მეთოდისტი-ბუნებისმეტყველი—პოლოვცევი და რაიკოვი კვლევითს მეთოდს უფრო მეტს ფასს აძლევენ, ვიდრე ილუსტრაციულს, მაინც უკანასკნელი, როგორც დროით უფრო ხნიერი, პირველზე გაცილებით უკეთაა დამუშავებული.

პრაქტიკული მუშაობის მეთოდიკა და ტეხნიკა თითქმის სამაგალითოდაა დამუშავებული; უფრო მოიკოჭლებს საექსკურსიო მხარე, რაც, ცხადია, მრავალი გარემოებით აიხსნება, მათ შორის უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ძველი სკოლის წესების დროს ექსკურსიების მოწყობა, როგორც სკოლიდან სასწავლო საათებში წასვლა, სასკოლო ცხოვრების მთელ წესსა და რიგს სრულიად არევ-დარევდა ხოლმე. მაგრამ პრაქტიკულ მუშაობის დროსაც და ექსკურსიების დროსაც ბავშის პირად თაოსნობას მეტად სერიოზული დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ. პირველ შემთხვევაში მოწაფეები იმ რჩევა-დარიგების მიხედვით მუშაობდენ, რომელნიც დაწვრილებით და მეტად გარკვევით დამუშავებული იყო სახელმძღვანელოებში, მათ რომ ჰქონდათ ხელთ. ახალს ისინი არ აღმოაჩენდენ ხოლმე, რადგან ცდების ცოტაოდენი ცვლილებით იმასვე იმეორებდენ, რაც გაკვეთილებზე ჰქონდათ ნაჩვენები. ექსკურსიების დროსაც მეტ წილად მათ ამა თუ იმ საგნებს უჩვენებდენ, მას წავლებელი უხსნიდა ამა თუ იმ მოვლენას, ა ე რომ ბუნება იყო მხოლოდ და მარტო კარგი თვალსაჩინო მასალა.

სულ სხვაგვარადაა საქმე დაყენებული კვლევითი მეთოდით: აქ

„მოწაფე ახალ ფაქტებსა და მოვლენებს ითვისებს მასწავლებლის სიტყვით კი არა, არამედ **დამოუკიდებელი ძიებით** და მათი აღმოჩენის საშუალებით. მთავარ მომენტს აქ წარმოადგენს დაკვირვებისა და ცდის გზით აღმოჩენილი შემეცნება ყველა იმისა, რაც ბავშვისთვის ჯერ უცნობია" (გვ. 21).

ბავშვის თვითმოქმედიანობა კიდევ საკმაო არაა იმისთვის, რომ ყოველგვარი მეთოდი კვლევით მეთოდად ჩაითვალოს. პრაქტიკულ მუშაობაში ბავში, რა თქმა უნდა, მოქმედია, მაგრამ მისი კვლევითი აღლო შებოჭილია, რადგან მან წინდაწინვე იცის, როგორი იქნება ცდის შედეგი და იგი მოქმედებს არა მის მიერ შემუშავებული გეგმით.

კვლევითი მეთოდის ზემომოყვანილი განმარტებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ამ დროს ბავშვის მუშაობა უეჭველად შემთხვევითსა და ქაოტიურ ხასიათს მიიღებს, რომ ბავშვები აიბნევ-დაიბნევიან და მიკიბ-მოკიბულად დაიწყებენ მუშაობას. შემცთარი გაგება საესებით ბუნებრივია, როცა საქმე ახალი და უცნობია. **პოპოვის** ცდა ამ მხრივ ერთგვარ ილუსტრაციას იძლევა (იხ. მისი „ცხოვრების სკოლა"). ბავშვებს ხანდახან დაუძლეველ ამოცანას მისცემენ ხოლმე დამოუკიდებლივ საკითხების გარკვევისა და მეცადინეობის მეთოდების დამუშავებისათვის.

ნატალი აფრთხილებს ამგვარ ცდებისაგან და საჭიროდ ცნობს, რომ **ამოცანა ბავშვებს პირველ ყოვლისა ნათლად ჰქონდეთ შეგნებული.** მერე ამოცანის ამოსახსნელი გზები მასწავლებელთან ერთად წინდაწინვე უნდა აიწონ-დაიწონოს და გამოირკვეს ამოცანის ამოსახსნელი გზები და მესამედ თვითონ მეცადინეობის დროს მოწაფეებმა ხელმძღვანელის დახმარება უნდა მიიღონ იმ მხრივ, რომ ის ასწავლის მათ კვლევის სხვადასხვა ხერხსა და საშუალებათ.

ჩვენ რომ ვიფიქროთ, რომ კვლევითი მეთოდი უეჭველად ექსპერიმენტალობასთან, ე. ი. ცდების შემწეობით კვლევასთან უნდა იყოს დაკავშირებულიო, რომ ვამტკიცოთ, რომ კვლევა ნიშნავს ექსპერიმენტების, ე. ი. ცდების მოწყობასო — ეს არ იქნება კვლევითი მეთოდის სწორი გაგება. მრავალი დამოუკიდებელი მუშაობა, რასაც კი საფუძვლად ცდა კი არა, არამედ დაკვირვება უძევს, შეიძლება სრულის უფლებით კვლევით მუშაობას მივაკუთვნოთ.

მაგალითად, ავიღოთ ტყის შესწავლა მისი შემადგენლობისა და შემადგენელ ელემენტების ურთიერთ გავლენის მხრივ, მცენარეების გან-

ზღვარვა (определение), დაკვირვება მწერის განვითარებაზე, სოფლის მეურნეობა, სხვადასხვა მუშაობის შესწავლა, ან კიდევ შესწავლა ქალაქის რომელიმე ხელობისა, ქალაქის რომელიმე წარმოებისა, მაგ., წყალსადენისა და სხვა. სულ უმცროს ჯგუფებში, როგორც ნატალი ამტკიცებს, მუშაობას უეჭველად და განსაკუთრებით დაკვირვების ხასიათი უნდა ჰქონდეს, უფროს ჯგუფებში კი წლოვანობის მიხედვით თანდათანობით პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ექსპერიმენტალმა (ცდეობითმა) მუშაობამ.

მასალის შერჩევა.

კვლევითი მეთოდი, თუმცა მრავალი უპირატესობა აქვს მას, მაინც საგონებელში აგდებს მასწავლებელს იმ მხრივ, რომ მისი გატარების დროს ალარ მოხერხდება ბოტანიკის, ზოოლოგიის, მინერალოგიის და სხვათა სისტემით გავლა. ნატალი ფიქრობს, რომ 13 წლამდე სკოლაში „მეცნიერების" შეტანა შეუძლებელია ისე, რომ ბავშის განვითარებას ზიანი არ მიაყენოსო. ყველაფერი ის, რაც კი კვლევითი გზით არ შეიძლება იქნას დამუშავებული, გარკვევით და გადაწყვეტით უნდა გამოიდევნოს სკოლიდანო. **მეცნიერება კი არა**, არამედ **გარემო ბუნება უნდა იძლეოდეს სამუშაო მასალას** და საზღვრავდეს მის არჩევასაც და განაწილებასაც. „პირველ ყოვლისა, არქივს უნდა ჩაბარდეს ტრადიციული დანაწილება საგნისა: არაცოცხალ ბუნებად, ცხოველებად, მცენარეებად, რასაც მთელი წლობით ცალ-ცალკე გადიანო" (გვ. 70). ავტორი იმის მომხრეა, რომ მასალა თემატიურად იქმნას გავლილი. ის იძლევა კიდეც სანიმუშო სიას ბიოლოგიურ ექსკურსიებისათვის, რომელნიც წლის დროთა მიხედვითაა განაწილებული. აი ამ თემების ნუსხაც.

შემოდგომისათვის: ფოთოლცვენა, ნაყოფის გაჩენა და თესლეულობის გავრცელება, როგორ იზამთრებენ მცენარეები, როგორ იზამთრებენ მწერები, ფრინველთა თბილ ქვეყნებში გაფრენა, წყალსათავსის ცხოვრება შემოდგომით, წყლის მცენარეთა და ცხოველების წყალთან შეგუება.

ზამთრისათვის: ჩვენი ხეები ზამთარში, შავ ფრთოსანთა ცხოვრება ქალაქში, ცხოველთა თოვლზე დაჩნეული კვალი, მწერები ზამთარში, მგალობელი ფრინველნი ქალაქში ზამთრად.

გაზაფხულისთვის: ფრინველთა მოფრენა, ბუდეში ცხოვრება, გა-

ზაფხულის პირველი მწერები, ცხოვრება დედამიწის ზედაპირზე, მიწაში და ქვებ ქვეშ, ცხოვრება პატარა წყალსათავსებში, ცხოვრება წყალ-მიწის ცხოველთა, წყლის მწერების განვითარება და გადაქმნა, გუბეს ცხოვრება, გაზაფხულის ადრეული მკენარეები, ხეხილთა აყვავება, ტყე, ბოსტანი.

ავტორს არ მოჰყავს თემები არაკოკცხალ ბუნებიდან და თავის ნუსხასაც დასრულებულად და ყველაფრის ამომწურავად არ სთვლის.

კომპლექსური სწავლება.

ამრიგად პირველსა და მეორე ჯგუფებში, მისი აზრით, ბუნებისმეტყველება, როგორც ცალკე საგანი, არ არსებობს: აქ იგი კომპლექსურად უკავშირდება სხვა საგნებს. მესამე წლიდან კი ბუნებისმეტყველება უკვე ცალკე და სხვებთან დაუკავშირებელი საგანია. კომპლექსები იქმნება თვით საგნის ფარგლებში, საგანი ისწავლება თემების მიხედვით და სხვა საგნის მასალა კომპლექსში უკვე აღარ ხვდება. ავტორი გარკვეით უარყოფითად უყურებს საგნების კომპლექსურ დაკავშირებას ჯგუფებში, გარდა ორ უმცროს ჯგუფისა. აქ გრძნობთ, რომ ნატალი უპირველეს ყოვლისა „ბუნებისმეტყველია", რომელიც ღრმად დარწმუნებულია თავისი საგნის დიად აღმზრდელობით ღირებულებაში და რომელსაც ეშინია, კომპლექსურად ამ საგნის სხვა საგნებთან დაკავშირების დროს ვაი თუ შთაინთქას და დაიკარგოს ის, რაც ბუნებისმეტყველებაში ყველაზე უფრო ძვირფასია, ე. ი. მისი **მეთოდებიო**.

ამ წიგნაკში, ჩვენ რომ ვარჩევთ, კომპლექსურ მეცადინეობაზე მხოლოდ გაკვრითაა ლაპარაკი. ავტორს ეეჭველია შემდეგში მოუხდება უფრო საფუძვლიანად და მეტი გადაწყვეტილებით გამოარკვიოს თავისი პოზიცია ამ მორიგ და მწვავე საკითხში, რომლისკენაც პედაგოგი უეჭველად მიჰყავს ორ გზას: ერთის მხრივ ბავშის ფსიქიკას, ხოლო მეორეს მხრივ—სკოლის მიზნებს. აღზრდის გარკვევით შეგნებული მიზანი გვავალებს შევქმნათ მთლიანად და ნაწილ-ნაწილადაც ჰარმონიული პროგრამა. განა საგნების განკერძოება-დაცალკევება, სკოლაში რომ ჩვეულებრივად სუფევს, სხვათა შორის იმასაც არ მოწმობს, რომ დასახული მიზან-ამოცანები გარკვევით არაა შეგნებული? სამაგიეროდ დასახულ მიზნების გარკვეულობის წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთ პროგრამების დამუშავება, რომელთაც ახასიათებს ცალ-ცალკე ნაწილების მწყობრიობა და მთლიანობა, როგორც მასალის შინაარსის დაგეგმვის

მხრივ, ისე მაგრ განხილულების მეთოდების მხრივაც (იხ. 1923 წლის ახალი მოსკოვური პროგრამები).

ავტორს მთელი თავის გულისყური მუშაობის მეთოდების დასაბუთებაზე აქვს მიქცეული; საპროგრამო კითხვები მისთვის მეორეხარისხის კითხვებია. მნიშვნელობა იმას კი ... აქვს, თუ **რას** ამუშავებ, არამედ იმას, თუ **როგორ** ამუშავებ.

ექსკურსიები

ბავშთა მუშაობაში ძირითად მომენტს **ექსკურსიები** წარმოადგენენ. მაგრამ რაგინდ ძალიან კარგად იყოს მოწყობილი საექსკურსიო მუშაობა, მაინც მას არ შეუძლია იმის მოცემა, რაც ძალუძს სასკოლო ბუნებისმეტყველებას. ყოველი ექსკურსია, საუკეთესოც კი, ორ მთავარ მომენტსაა მოკლებული: ჯერ ერთი—ექსკურსიის დროს არ შეიძლება გულისხმიერებით და ღრმად შესწავლა ობიექტისა. მერე კიდევ აქ არ შეიძლება კაცმა გამოიყენოს ექსპერიმენტი, კვლევითი მეთოდის ეს ერთი მნიშვნელოვან ელემენტთაგანი. აქედან ცხადია, რომ საექსკურსიო მუშაობას უნდა შეუერთდეს სკოლაში ლაბორატორული მუშაობაც.

ბუნება სკოლაში

დღემდე **ლაბორატორიული მუშაობა** სუსტად იყო დაკავშირებული გარემო ბუნებასთან. ეს იყო პრაქტიკული მეცადინეობა არაცოცხალ ბუნებაში, ცდები მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში და ზოოტომიური მუშაობანი. ბუნების სკოლასთან დასაახლოვებლად საჭიროა თვით ბუნება იქნეს სკოლაში შეტანილი და ამ მიზნით მოეწყოს **„ცოცხალ ბუნების კუთხეები“**, რომელნიც იმ ლაბორატორიად გადაიქცევიან, სადაც ბავშვები აწარმოებენ თავიანთ კვლევა ძიებას და დაკვირვებას. „აკვარიუმები და ტერარიუმები“, ამბობს ნატალი, „სამწყრეები (садки), საფრინველოები (вольеры) და გალიები ფრინველებით და წვრილ ძუძუმწოვრებით, ბილები და ყუთები მოყვანილი მცენარეულობით—ყველაფერი ეს უნდა წარმოადგენდეს ამ კუთხეების შინაარსს, რამდენადაც ეს საჭიროა ამა თუ იმ თემათა დამუშავებისათვის“. ბუნების კუთხის ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ბავშვების—მიერ დამუშავებული მიწის ნაჭერი.

კუთხე ბავშვებისთვის კი არ უნდა მოეწყოს, არამედ **თვითონ ბავშვებმა** უნდა შეჰქმნან, როგორც საექსკურსიო მუშაობის ნაყოფი.

გამოფენები

წიგნაკში შემდეგ გვხვდება მეტად ვრცელი ნუსხა იმ ცოცხალი მასალისა, რომელიც ამ მხრივ არის გამოსადეგი. ავტორი შემდეგ უჩევს **სასეზონო გამოფენათა** მოწყობას, როგორც საერთო ზოგად თემებზე (გაზაფხული, ზამთარი, შემოდგომა), ისე კერძო თემებზე (ტყის, მდინარეთა ცხოვრება და სხვა). აქ წარმოდგენილი იქნება ამა თუ იმ თემისთვის ტიპიური მასალა, ექსკურსიის დროს მოტანილი, ბავშვების ნახატი სურათები, გერბარიუმები და სხვა სამუშაო დამუშავებულ თემასთან დაკავშირებით.

თვალსაჩინო მასალა.

როცა კვლევითი მეთოდი სკოლის ცხოვრებაში შევა, მასწავლებელს ბუნებრივად აღეძვრის კითხვა მზა თვალსაჩინო დამხმარე მასალის შესახებ. ჯერ კიდევ დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც „თვალსაჩინოების" პრინციპი, რამდენადაც ეს სიტყვიერ-მწიგნობრულ სწავლებას უპირდაპირდებოდა, რევოლიუციონურ პრინციპად იყო აღიარებული. მაგრამ ჩვენს დროში იგი სრულიად ვერ ეგუება სწავლის ახალ მოთხოვნილებათ, რომელნიც ემყარებიან **ბავშის კვლევით ალღოს**, ვერ ეგუება მიტომ, ოომ ამ მასალას შეიძლება მარტო „უმზიროთ" და სხვა არაფერი.

სკოლებმა უნდა გადასინჯონ ეს საკითხი თვალსაჩინო მასალის შესახებ და გამოარკვიონ — რამდენად საჭირო და სასარგებლოა ყველა ეს. რა თქმა უნდა, მთლად უამათოდ პირველდაწყებით სკოლაში ყოფნაც შეუძლებელია (ადამიანის ანატომია, სხვა ქვეყნის ცხოველები და მცენარეები და სხვა), მაგრამ მას უკანასკნელი ადგილი უნდა დაეთმოს, მისი **ადგილი კი თვით ბუნებას უნდა მიეცეს** [1]. თვალსაჩინო ხელსაწყოებით შეიძლება ადამიანმა ისარგებლოს მარტო იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ დამატებას იმ ცოდნათა დამუშავების დროს, რომელიც მოწაფეობამ მიიღო ექსკურსიებზე და ლაბორატორიებში და, რა თქმა უნდა, დაუშვებელია მათი გამოყენება, როგორც ძირითად და მთავარ მასალისა.

აი, ასეთია მოკლედ შინაარსი და მთავარი აზრები ამ სივრცით პატარა, მაგრამ შინაარსით მეტად მდიდარი წიგნაკისა. ცხადია, რომ ბუნებისმეტყველების ყველა მასწავლებელი, ვისაც კი სურს თავისი საქმე სკოლაში სწორედ მოაწყოს, მას უეჭველად გაიცნობს.

ნ. ელჩანინოვი.

---

[1]) იხ. ქართულად წიგნი „ბუნება სკოლაში", ტფილისი 1921 წ.

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში

„Обществоведение в школе".

Выпуск первый. Москва. 1923 г.

საზოგადოებათმეცნიერება, როგორც ახალი საგანი, ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას იპყრობს პედაგოგიურ წრეებში, მაგრამ დაბეჭდილი შრომები ამ საგნის დაყენების შესახებ არც ისე ბევრია, როგორც უნდა იყოს. ალბად, ეს იმით აიხსნება, რომ პრაქტიკული საქმიანობის დროს დამუშავებული, სისტემატიურად დალაგებული და სათანადო სიღრმით გამოკვლეული შრომებისთვის მოცლა და მერმე მისი ბეჭდვა ძნელია.

მით უმეტეს ძვირფასია თვითეული შრომა, რომელიც ქვეყნდება. ასეთია წიგნი: „Обществоведение в школе", მოსკოვში გამოცემული 1923 წ. ა. ეფრემინის და ვად. სმუშკოვის რედაქტორობით. წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელიც შეიცავს 6 წერილს, გარდა თვით რედაქციის წინასიტყვაობისა. ამათში პირველი სამი წერილი ეხება პოლიტიკური საგნების (ე. წოდ. პოლიტიკური ანბანის) სწავლებას და პოლიტიკურ აღზრდას. მეოთხე და მეხუთე კი თვით საზოგადოებათმეცნიერებას, ხოლო მეექვსე—ეკონომიურ გეოგრაფიას.

ამ განაწილების წინააღმდეგ ბევრი არა ითქმის რა. პოლიტიკური საგნები, მართალია, დაკავშირებულია საზოგადოებრივ საგნებთან, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკურ განათლების და აღზრდის მიზანი და მეთოდები იქამდის განსხვავდება საზოგადოებათმეცნიერების მიზნებისა და მეთოდებისაგან, რომ მათი თავის ძოყრა ერთ წიგნში ერთი სათაურით შეცთომად მიმაჩნია. რასაკვირველია, საზოგადოებათმეცნიერება მეცნიერულ და შეძლებისდაგვარ ობიექტიურ რიადაგს უმზადებს პოლიტიკურ აღზრდას, მაგრამ პოლიტიკური აღზრდა სრულიად განსაზღვრულ ჯგუფის, პარტიის მიმართულებას ატარებს არა მარტო თეორიულ საკითხებში, არამედ პრაქტიკულ მოქმედების და პოლიტიკურ ბრძოლის

სფეროშიც. უეჭველია, ამიტომ ამ საგანს თავისი ამოცანები და თავისი მეთოდი აქვს და ამის აღნიშვნა რაიმე საშუალებით საჭიროა.

რაც შეეხება ეკონომიურ გეოგრაფიას, ეს საგანი შეიძლება ერთი მხრით საზოგადოებრივ დარგს მივაკუთნოთ და მეორე მხრით საბუნებისმეტყველოს; ორივე დარგთან მას, როგორც მაშუალ მეცნიერებას, კავშირი აქვს, ისე რომ ამ კრებულში მისი მოთავსება არ არის შეცთომა.

აღნიშნული უხერხულობა, სხვადასხვა ხასიათის და მიდრეკილების საგნების ერთად მოქცევა, თავისთავად არ არის ისეთი შეცთომა, რომ ამაზე ღირდეს ლაპარაკი, და არც ვიტყოდით რასმე, ამ გარემოებას რომ თვით წერილების შინაარსზედაც არ ჰქონდეს გავლენა. რადგანაც კრებულის რედაქციას ვერ გაუთვალისწინებია პოლიტიკური და საზოგადოებრივი დარგების მეთოდების განსხვავება, ამიტომ პირველ 3 წერილში ვერ შეუტანია ვერაფერი ახალი და საინტერესო. საკითხის გაღრმავება, სპეციალური დამუშავება და ღრმა ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც თავიდანვე საკითხი სათანადოდ არის დასმული.

აიღეთ აფრემინის წერილი და გადიკითხეთ: საზოგადო ფრაზების და დებულებათა მეტს ვერაფერს შეხვდებით, იუხედავად რედაქციის დაპირებისა, რომ იგი ფიქრობს მიაწოდოს მკითხველს კონკრეტი მასალა, ფაქტების აღწერა და არა „სწავლების საზოგადო საკითხები". ამგვარი დებულებანი პედაგოგს მოსწყინდა, იგი მან თითქმის გაიზეპირა, მაგრამ ცარიელმა ფორმულებმა ამ შრომას ის ახალი შინაარსი ვერ მისცეს, რაც საჭირო არის პედაგოგისათვის.

„მეორე ამოცანა—და უმთავრესი—მდგომარეობს იმაში, რომ სწავლება გადავიტანოთ თვითმოქმედიანობის ბორბლებზეო".

„აქტივობის პრინციპი უნდა სახელმძღვანელო პრინციპი იყოს" მრავალია აქ ამგვარი საზოგადო ფრაზა, მაგრამ რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს პრინციპები პრაქტიკული მუშაობის დროს—ამაზე ერთი სიტყვაც არ არის დაძრული.

ცდა მოწაფეების სიტყვიერი მარაგის გამოკვეევისა, რომელიც აწერილია ამ წერილში, თავისთავად საინტერესო და საპატიო საქმეა, მაგრამ პოლიტიკური საგნების სწავლების მეთოდს ეს ერთი იოტისოდენადაც ვერ არკვევს. ეს, თუ გნებავთ, საინტერესო გამოკვლევაა, რომელიც საჭიროა ყველასათვის, ვინც კი პოლიტიკური საგნების სწავლებას იწყებს, და არა სწავლების მეთოდი. ამ წერილში ერთი რამეა მხოლოდ არც სულ მთლად ახალი, მაგრამ მაინც რამოდენადმე ახალი: ცდა, რომელიც გვიჩვენებს

კარგ საშუალებას პოლიტიკური საგნების სწავლებისას: სხვადასხვა ჟურნალების რეცენზიების წერა მოსწავლეების მიერ.

ეს ძლიერ საყურადღებო ცდაა, და მისი შედეგები ბევრის მაჩვენებელია ამიტომ ამ ცდების გაცნობა ძლიერ სასარგებლოა ყველასათვის, ვინც ამ საგნების სწავლებას აპირებს.

მეორე წერილი: „Изучение основ советского строя в трудовой школе, как элемент современности" — კონკრეტული მასალების დამუშავების მხრით თითქმის უშინაარსოა. მთელი წერილი ბოლოს და ბოლოს აგებულია ისეთ აზრებზე, როგორც ის, რომ სასწავლებლის კედლებიდან არ უნდა იყოს გამოდევნილი დროის გავლენა „веяния времени" (გვ. 20).

„სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეების და კომუნიზმისათვის შებრძოლების აღზრდა უნდა იყვეს საბოლოო მიზანი სამოქალაქო აღზრდისა სკოლაში" (იქვე), „წრეებში მუშაობის საჭიროება" და სხ. ეს ყველაფერი უკვე „არა ახალია, ძველია." რაც შეეხება სწავლების საშუალებას, აქ ავტორი აღნიშნავს მხოლოდ ორგვარ საშუალებას: ინდივიდუალურს და კოლექტიურს და მეორეს აძლევს პირველზე უპირატესობას; აღნიშნულია აგრეთვე „ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდის" საჭიროება, რომელიც იწვევს „აქტიურ ინტერესს" (გვ. 25).

დანარჩენი: თანამედროვე ცხოვრების დაკვირვება, კონსპექტები ისევე შეეხება ამ საგანს, როგორც ყოველივე სხვას. ისე რომ ეს წერილი პედაგოგს თითქმის სრულიად ვერაფერს ვერ მისცემს ახალს, ვინაიდან მომზადებულმა პედაგოგმა ეს ყველაფერი უკვე იცის, მოუმზადებელისათვის კი იმ ზოგად დებულებაში, ვიდრე მათი ფრჩხილები არ გაიხსნება, არაფერი არ ყრია. მესამე წერილს: „Политическое воспитание в школе" დაახლოვებით ამგვარივე ხასიათი აქვს: ჯერ ერთი, ეს წერილი აგებულია იმ მთავარი აზრის დამტკიცებაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სრული ზნეობრივი და პრინციპიალური უფლება აქვს შეჰქმნას თავის სკოლა, თავის მიმართულებას, და თავის მიზნებს დაუმორჩილოს იგი. საბუთად მას მოჰყავს ის, რომ ევროპაშიც, მიუხედავად მისი ვითომდა ობიექტივიზმისა, სკოლა თავით ფეხამდის ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაზეა აშენებული, და აღზრდაც ამ მიმართულებით ხდება. ძველი რეჟიმის დროსაც რუსეთის მთავრობა ძლიერ მწყობრად და ნაყოფიერად ატარებდა თავის სისტემას სკოლებში. აქ ავტორი ეკამათება იმათ, ვინც ასახელებს ძველ სასულიერო სემინარიებს, საიდანაც, წი-

ნაღმდეგ მოსავრობის მიერ დასმული მიზნისა, ატეისტები გამოდიოდენ. ავტორი ამბობს, რომ ატეისტებად გამოდიოდენ ისეთები, როგორც დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი. სემინარიის მოსწავლეთა მასაკი ყოველთვის მორჩილი იყო რეჟიმისა და მისი ერთგული მოსასახურე. აქედან დასკვნა ასეთია: უპარტიო აღზრდა ყოვლად შეუძლებელია და არც სასარგებლოა. არსებითად ამ მოსაზრების შესახებ ლაპარაკი აქ უადგილოა. ეს რეცენზიის საქმე არ არის, ჩვენი ვალია აქ აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ამ აზრის დამტკიცება ესაჭიროება პარტიულ მოღვაწე-კომუნისტს, თუ იგი დამოუკიდებლად საკმაოდ ვერ ერკვევა ამ საკითხებში და არა მასიურ მასწავლებელ-პრაქტიკოსს. ყოველ შემთხვევაში, ეს სწავლების მეთოდი არ არის, ვინაიდან სრულიად არ აკმაყოფილებს იმ კონკრეტიზაციის საჭიროებას, რომელიც აღგვითქვა თვით რედაქციამ. ამისთანა ფრაზები როგორც: „ბავშის ინტერესებთან დაკავშირების საჭიროება“ და „თანამედროვეობასთან მიკვრა“, „აკადემიური ისტორიზმის უკუგდება“ და სხ. (გვ. 34) ისევ ფრაზაა, რომელსაც შინაარსი სჭირდება. მეოთხე წერილი პირდაპირ საზოგადოებათმეცნიერების მთავარ მეთოდს ეხება შრომის მეთოდს — და მის განხორციელებას სკოლაში. თავისთავად ამ წერილში არა სჩანს არც სისტემა მუშაობისა, არც წინდაწინვე განსაზღვრული და ადგილობრივ პირობების მიხედვით დამუშავებული მასალა. აქ მოყვანილია მუშაობა შემთხვევით მასალაზე. მაგრამ ის ცდები, რომელიც აქ არის მოყვანილი, მთელი მუშაობის მთავარი ელემენტია და როგორც ასეთი, გონიერ და მიხვედრილ მასწავლებელს გარკვეულ გზას ეჩვენებს. ამ ცდების გაცნობა ძლიერ სასარგებლოა ყოველი მასწავლებლისათვის: როგორ დაიწყო სრულიად უცოდინარმა ბავშმა მუშაობა, როგორ გაეღვიძა მას გარემოსადმი ინტერესი, დაკვირვება საკუთარ ბინაზე; ეს დაკვირვება იწვევს ბინის გარეშე ქალაქში არსებულ დაწესებულებებისადმი ინტერესს. თვით ქალაქი თავისი მდუღარე ცხოვრებით იწვევს ინტერესს სოფლის ცხოვრებისადმი — და ასე ბოლომდის. ამ ინტერესებს ბავშები საკუთარი აქტივობის, დაკვირვების და შრომის საშუალებით აკმაყოფილებენ.

შედეგი: მოკლე ხანში ცხოვრების მიერ გზას იქით გადავარდნილი და დაჩაგრული ბავში თამამდება, ცნობისმოყვარე ხდება, მუშაობს და უკვე პატარა მკვლევარია. რაც შეიძლება მეტი ამგვარი მასალა, და საზოგადოებათმეცნიერების პრაქტიკული მეთოდიკა გამორკვეული იქნება.

მეხუთე წერილი ისევ შრომის მეთოდს ეხება, მხოლოდ ისტორიაში, და არა საზოგადოებათმეცნიერებაში. ეს წერილი უფრო ნაკლები ღირსებისაა თავის დასაწყისში. იქ ისეთი უკვე მოცვეთილი დარიგებებია, რომელიც მასწავლებელმა უკვე იცის.

„თუ აქამდეს ისტორია წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ფორმათა და დაწესებულებათა ცვლას, ან უარეს შემთხვევაში დინასტიურ ისტორიას... ახლა სკოლის კურსში სულ სხვა მასალა უნდა იყოს შეტანილი“ „საგრძნობელი ადგილი უნდა ჰქონდეს მწარმოებელი კლასების ისტორიას“ (გვ. 54). ნუთუ ჩვენ დროში ამ აზრს კიდევ მტკიცება სჭირდება?

როგორც სწავლების გასაადვილებელ საშუალებას, ავტორი აღნიშნავს „სწავლების ინდივიდუალიზაციას.“ ამ ინდივიდუალიზაციის გატარებაში არის თითო-ოროლა სასარგებლო დარიგება (გვ. 57), რომელიც შეეხება მასალის სხვადასხვაობას ბავშის მიდრეკილების და ინტერესის მიხედვით, მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას, თვითეულ მოწაფის მიერ რომელიმე საკითხის დამოუკიდებელ დამუშავებას, პროგრამის განსხვავებას ადგილობრივ პირობების მიხედვით და სხ. ამ წერილის ავტორი სკოლაში სახელმძღვანელოს შემოღების წინააღმდეგია. სახელმძღვანელო, მისი აზრით, მხოლოდ იმისთვის არის, რომ სახელდახელოდ საჭირო ცნობა ამოიღოს მოწაფემ იქიდან. მუშაობა კი სახელმძღვანელოს გარეშე უნდა სწარმოებდეს. ეს აზრები საინტერესოა და მისაღებიც, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში: თუ შრომითი მეთოდები განხორციელებულია სათანადოთ. და აი ამ უმთავრეს საგანზე ავტორი თვალსაჩინოს ვერაფერს აღნიშნავს, გარდა მოხსენებების, რეფერატების და ექსკურსიებისა. ექსკურსიებზე ავტორი ცოტა მეტს ლაპარაკობს და მისი მოწყობის შესახებ რამდენსამე დარიგებას იძლევა. აქედან ეს წერილი უკვე საინტერესო ხდება. ყველა ამის გაცნობა სასარგებლოა იმ მასწავლებლისათვის, რომელიც ამ საზოგადო დებულებებს არ იცნობს, მაგრამ მცოდნე მასწავლებელი თავოს გამოცდილების გასაღრმავებლად მაინც აქ ბევრს ვერაფერს ნახავს.

საჭიროა რაც შეიძლება მეტი ცდები იყვეს გამოქვეყნებული, რომ ყოველნაირი მოულოდნელი საკითხი და დაბრკოლება, რომელიც პრაქტიკაში წამოიჭრება, გათვალისწინებული იყოს. ძერწვაზე და საზოგადოდ ხელგარჯილობაზედაც ამ წერილში მოყვანილი მასალა არ არის ძლიერ მდიდარი, თუმცა იგი ინტერესს მოკლებული არ არის

განსაკუთრებით საინტერესოა წერილში ისტორიული გამოფენების გამართვადა ამ მუშაობის მნიშვნელობა.

უკანასკნელი თავი ეხება ეკონომიურ გეოგრაფიის სწავლებას. ამ წერილში მაგალითებით და მათი შინაარსის და მნიშვნელობის გაშლით ავტორი ხსნის ლაბორატორიულ-კვლევითი მეთოდის მნიშვნელობას და მის განხორციელების საშუალებას და ამიტომ ეს წერილი ძლიერ სასარგებლოა მასწავლებლისათვის.

საზოგადოდ ამგვარი კრებულების გამოცემა ძლიერ სასარგებლო რამ არის, მაგრამ ავტორებს თავის წერილებში მეტი კონკრეტიზაცია უნდა შეჰქონდეთ. ამ მხრივ უკანასკნელი სამი წერილი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, მაინც რამდენსამე მასალას მისცემს მასწავლებლობას, და მათი ყურადღებით წაკითხვა ზედმეტი არ უნდა იყოს. უკანასკნელი წერილი კი, ჩემის აზრით, იმისი ღირსიც კია, რომ ქართულ ენაზე გადმოითარგმნოს და მასწავლებლობის ფართო წრეებში გავრცელდეს.

ბ. ნათაძე.

მხარეთმეცნიერება

„Краеведение“, орган Центрального Бюро Краеведения при Российской Академии Наук. 1923 г. № № 1 и 2. Москва. Петроград. 1923 г.

მხარეთმეცნიერების ცენტრალური ბიურო („ц. б. к.“) სრულიად ახალი საქმეა, დაწყებული რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ, და ჯერჯერობით თითქმის უცნობი საქართველოში, თუმც მისი მეცნიერული და პედაგოგიური მნიშვნელობა აშკარა და უეჭველია.

თუ ახალი სკოლა მართლაც ნამდვილად გვინდა ცხოვრებისა და მოწაფეთა თვითმოქმედებიანობის საფუძვლებზე მოვაწყოთ, თუ ეს სკოლა ბუნებისა და ადამიანის შესასწავლად ნამდვილად ემყარება გარემოცულ მშობლურ სინამდვილეს, ამ სინამდვილის ბავშისთვის მისაწვდომი მხარეებით და სურათებით, მაშინ, ცხადია, რა ძლიერ პედაგოგიურ იარაღს უნდა წარმოადგენდეს მისთვის ყოველი ისეთი დაწესებულება, რომელიც ყოველმხრივად იკვლევს და შეისწავლის თავისი ქვეყნის ყველა კუთხეს მუზეუმების, საცდელ-საჩვენებელი „სადგურების“ და მისთანათა საშუალებით, რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირებულია[1]).

მეორეს მხრივ, თუ მართლა გვწადია სკოლა სწორი გზით განვავითაროთ, მაშინ ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყოთ მასში აგრეთვე გალრმავებულსა და **წყობრ მეცნიერულ მუშაობასაც** ყოველ დარგში, მაგრამ იმავე ფარგლებში და იმავე მიმართულებით, როგორითაც ეწყობა თვით სკოლაც

ცხადია, რომ ასეთ პირობებში ცალკე კუთხეებში წარმოებული მხარეთამეცნიერებითი მუშაობის აღნუსხვას, თანშეფარდებას და წარმართვას უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება ყოველ ქვეყნისათვის. სწორედ

---

[1]) მეორე ნომერში მოთავსებული იქნება წერილი საექსკურსიო სადგურების შესახებ.

ამ მიზანს ემსახურება 1922 წლის იანვარში რუსეთის სამეცნიერო აკადემიასთან დაარსებული მხარეთგნობის ცენტრალური ბიურო. იგი უეჭველად ერთგვარი გამოხმაურებაა იმ ინტერესისა თავისი ქვეყნის შესწავლისადმი, რომელიც წარმოშვა საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ნაწილებში რევოლიუციის ქარტეხილმა და განმაახლებელმა ზეგავლენამ.

ჟურნალი „მხარეთმეცნიერება“ სწორედ ის ორგანოა, რომელიც, ბიუროს აზრით, უნდა შეიქნეს „ნამდვილ და ერთგულ შუამავლად ცენტრისა და უთვალავ ადგილობრივ მხარეთგნობით ორგანიზაციათა შორის; ყველგან ფართოდ მოფენილი ასეთი ორგანიზაციები დღესაც კი, მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, განაგრძობენ თავის ხშირად შეიძლება შეუმჩნეველ, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ მუშაობას და ამითი ერთ დიდ სინიეზს ახდენენ—ეთელი ქვეყნის მოლიანად შემეცნება შესწავლისას“.

ამ ჟურნალის დღემდე გამოსული ორი ნომერი შედგენილია ზედმიწევნით დაფიქრებულად და საინტერესოდ. აქ ჩვენ ვხედავთ რამდენიმე შინაარსიან მუდმივ განყოფილებას (ქრონიკა, ბიბლიოგრაფია და მისთანანი) და აგრეთვე მრავალ სახელმძღვანელო წერილს. ეს წერილები ყველანი ერთად მთელ პროგრამას იძლევიან მშობლიურ ქვეყნის შესწავლისათვის საწარმოებელ მუშაობისას.

პირველსავე წერილში, რომლითაც იწყება ეს გამოცემა, **ს. ფოლდენბურგი** განმარტავს, რომ „რუსეთში მხარეთგნობის დარგში სისტემატიურ მუშაობას“ უნდა მიუდგეთ ოთხი ძირითადი საორგანიზაციო მუშაობის მოგვარებით; ესაა: 1—აღრიცხვა იმ დაწესებულებათა, რომელნიც მხარეთმეცნიერებას ემსახურებიან, 2—აღნუსხვა ამ ასპარეზზე მომუშავე მოღვაწეებისა, 3—აღნუსხვა საგნის ლიტერატურისა და შეკრებილ მასალისა და 4—მხარეთგნობის დარგში მომუშავე დაწესებულებათა ქსელის რუკათა და გრაფიკების შედგენა. ამით იგი უკვე ითვალისწინებს ცენტრში მუშაობის პროგრამას.

თავის მხრივ **ვ. ბ. ბოლდანოვი** მეტად ცოცხლად დაწერილ წერილში არკვევს „საოლქო **მუზეუმების მნიშვნელობას** მხარეთმეცნიერების ამოცანებისათვის“ (მუზეუმები **ყოველმარივად** უნდა აღსახავდენ **ამა თუ იმ მიწა-წყალს,** და ამიტომაც მათ წმინდა მეცნიერულად უნდა მოაწყონ მასალის შეკრებაცა და დაცვაც და არ უნდა იკისრონ ცენტრალ მუზეუმების ამოცანა-მოვალეობანი და ამით ზედმიწევნით განსაზღვრავს მათ **ადგილობრივ მუშაობას**

დამატებად ამ ორი წერილისა პ. **სირნიკოვი** წერილში; „სტუდენტობა და მხარეთგნობა“ აღნიშნავს, რომ მხარეთმეცნიერებას სტუდენტებს შორის შეუძლია იპოვოს მრავალი მუშაკი და რამდენიმე ცნობაც მოჰყავს იმისი, თუ სად რა იყო ამ მხრივ რუსეთში გაკეთებული.

ა. ი. **დზენს-ლიტოვსკი** („მხარეთმეცნიერების კურსის საგნისა და მეთოდის შესახებ“) არკვევს იმ მუშაობას, რომელიც ახლა წარმოებს მხარეთგნობის ამოცანათა და მეთოდების გაგებაში ერთგვაროობის დამყარების მხრივ, იძლევა რამდენსამე მნიშვნელოვან ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას და ორს საინტერესოდ შედგენილ პროგრამას: 1 — „პსკოვის მხარის“ კურსისას, პსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-საგეოგრაფიო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და 2 — „მხარეთგნობის მეთოდების“ კურსისას ნეკრასოვის სახელობის პეტროგრადის პედაგოგიურ ინსტიტუტისათვის.

გეოგრაფიით დაინტერესებულთათვის მეტად სასარგებლო იქნება **ვ. პ. სემიონოვ-ტიანშანსკის** წერილი; „რის მოცემა შეუძლია მხარეთმეცნიერებას კარტოგრაფიაში“. აქ აღნიშნულია, რომ სულ უბრალო საშუალებით ადამიანმა შეიძლება ძალიან ბევრი რამ გააკეთოს არსებულ **რუკების** ნაწილ-ნაწილ **შედარება-შემოწმების მხრივ**, შეიძლება რუკებზე აღნიშნოს ადმინისტრატიული საზღვრები, აღადგინოს ძველი ტიპიური სახელწოდებანი და უკვე **გამოცემულ რუკების ტოპოგრაფიულ საფუძველზე შეადგინოს ახალი რუკები**, რომელნიც ასახავენ სხვადასხვა თვალსაზრისით ამ ქვეყნის სხვადასხვა მხარეს[1]).

გეოგრაფოსისათვის საინტერესოა აგრეთვე **ვ. ნ. ხიტროვის** წერილი „რუსეთის ახალ სამიჯნო რუკაზე“.

ბუნებისმეტყველი ალბად ინტერესით წაიკითხავს **ვ. ვ. ალპატოვის** წერილს: „ეკოლოგია, როგორც მხარეთგნობითი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება ზოოლოგიის დარგში“. აქ აღნიშნულია, რომ ვინაიდან ეს ახალი ბიოლოგიური დარგი კავშირს ამყარებს ცხოველთა რაობით და რაოდენობით შემადგენლობისა და გარემო შუალის შორის

---

[1]) ჩვენი სკოლის საქმისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ამნაირად შედგენილ სასკოლო ქსელის რუკებს, რუკებს ადგილობრივ წარმოებათა, ისტორიულ ნაშთებისა, მცენარეულობის განაწილებისა და სხ. და სხ.

მცირე რაიონის ფარგლებში, მისი შემწეობით შესაძლო ხდება ზოოლოგების ადგილობრივი მუშაობა თანამედროვე მეცნიერულ დონეზე იქნეს დაყენებული, სოციოლოგიის სტატისტიკურ კვლევას დაუახლოვდეს და ფაუნის ლაბორატორიულ აღნუსხვა-აღწერით ალარ განისაზღვროს.

პ. **ეფიმენკო** წერილში: „პრეისტორიული არქეოლოგია, მისი ამოცანები და ოლქობრივი შესწავლის პერსპექტივები" იძლევა მოკლეს, მაგრამ წმინდა მეცნიერულ შესავალს არქეოლოგიისას, გვაცნობს მეცნიერების ამ დარგის ძირითად ცნებებს, რაც მეტად სასარგებლოდ უნდა იქმნეს მიჩნეული, ვინაიდან ამ დარგში ადგილობრივ მკვლევართ (რომელნიც ამას უფრო ხალისიანად ეტანებიან) უფრო ეტყობათ ზერელობა, დილეტანტობა.

ამ წერილთან ერთად შეიძლება დავასახელოთ **ნ. ნ. პავლოვ-სილვანსკის** წერილი „მხარეთგნობა, მეცნიერება და საადათო სამართალი", რომელიც მდიდარია ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით და რომელიც წარმოადგენს ცოცხალ სიძველეთა და ეთნოგრაფიის დარგში მეტად საინტერესო წერილს.

ს. **ნ. ჩერნოვი** წერილში „მხარეთმეცნიერება და საარქივო საქმე" არკვევს, რომ **არქივებს მნიშვნელობა** აქვთ არა მარტო წარსულის შესწავლისათვის, არამედ **თანამედროვე ცხოვრების უკეთესი გათვალისწინებისათვის** და ამტკიცებს, რომ არქივებს ღირებულება აქვთ როგორც ისტორიკოსთათვის, ისე სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერ მუშაკთა და პრაქტიკოსებისათვისაც, დაწყებული აგრონომისა და კოოპერატორიდან და გათავებული ზოოლოგოსით და ბოტანიკოსით; წერილის ბოლოს ავტორი გულმხურვალედ მიჰმართავს ადგილობრივ მოღვაწეებს მოწოდებით—**გაუფრთხილდით არქივებსო**.

თითქოს ამის დამატებად **ბ. ნ. ვიშნევსკი** თავის წერილში: „რუსეთის **მოსახლეობის შესწავლისათვის**" აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის რაოდენობითისა და რაობით შემადგენლობის შესასწავლად ერთნაირ საბუთებს, განსაკუთრებით იმ საბუთებს, რომელნიც ომისა და რევოლიუციის დროს უფრო მეტად დაზიანდენ, მაგ. ეგრეთწოდებულ „ჯარში გაწვეულთა სიებს"; თანაც ამბობს, **რომ** ჯერ კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეიძლება ადგილობრივად.

ვ. ა. **შჩავინსკის** პატარა წერილი „ცოცხალი არქეოლოგია და ახალი ფორმები" მეტად საინტერესო საკითხს ეხება—სახელდობრ, საკითხს შინაურ მრეწველობის ძველ ფორმათა აღორძინებისას, რაიც

უკანასკნელ წლების სამეურნეო რღვევასთანაა დაკავშირებული და იმას, რომ ეს შინაური მრეწველობა და მისი ძველი ფორმები ახალ ეკონომიურ პირობებს ეგუებიან; ამ წერილს უეჭველად დიდის ინტერესით წაიკითხავს ადგილობრივი მუშაკი, როგორც არქეოლოგიის დარგის, ისე ეკონომიკისა.

ბოლოს **ს. მ. დუდინი** შინაარსიანი და საბუთიანი წერილით „ფოტოგრაფია სამეცნიერო მოგზაურობაში", იძლევა მრავალ საგულისხმიერო ცნობას და რჩევას ექსკურსიებისა და შუქსახოსნობის მოყვარეთათვის.

ეს გამოცემა განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს პედაგოგებისა და მეცნიერთათვის, სადაც მხარეთგნობის დაგეგმული ორგანიზაცია თითქმის მთლად მომავლის საქმეა. საქართველო ტერიტორიით პატარაა, მაგრ. მ მეტად მდიდარია კულტურულ-ისტორიული საფეხურებით, ეთნოგრაფიული ელფერებით და ბუნებისა და სამეურნეო პირობათა მრავალფეროვნობით, რის გამო მისთვის აუცილებელია მხარეთგნობის ყოველგვარ დაწესებულებათა ქსელი.

საქართველოს მხარეთამეცნიერებ ს მომავალ მთავარ ორგანოს დასაწყისში უფრო ამოძრავება და მუშაობის ადგილობრივად დაწყება მოუხდება, ვიდრე სამუ ეაოს აღნუსხვა და თანაშეფარდება.

თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა აგრეთვე **საექსკურსიო საქმის** დაგეგმულ მოწყობას, როგორც ქვეყნის შესწავლის განსაკუთრებულ საზეს. ამ მხრივ საქართველო შედარებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, ამ საქმის ახალგაზრდა ინიციატორთა ჯგუფის წყალობით. რამდენად დიდი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ქართველი ახალგაზრდობისათვის ასეთ ექსკურსიებს, ამაში პირადად დავრწმუნდი არა ერთ იმ ექსკურსიაში მონაწილეობის მიღებით, რომელთაც განუწყვეტლივ აწყობს წარსულ ზაფხულს მყინვარის (ყაზბეგის) მწვერვალზედაც ასულ ახალგაზრდა ქართველ ტურისტთა წრე.

საექსკურსიო საქმე მჭიდროდ დაკავშირებულია მხარეთგნობასთან, რის გამო ამ უკანასკნელის ცენტრალური ბიუროც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს, და მოსკოვისა და პეტროგრადის **საექსკურსიო ინსტიტუტებთან** შეთანხმებით მუშაობს.

რაკი ერთხელ მოეწყობა ისეთი დ წესებულებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის სხვადასხვ რაიონის შესწავლას და გულმხურვალედ დაუხვდებიან ახალგაზრდა და ცნობისმოყვარე ექსკურსანტებს, ეს დიდი

და არსებითი ლახვარება იქნება როგორც ქართული სკოლისათვის, ისე ქართული მეცნიერებისათვის.

გული არ უნდა გაგვიტეხოს და აგვიცრუოს იმ გარემოებამ, რომ მხარეთგნობის ადგილობრივ ორგანოთა მუშაობის ფარგლები საქართველოში ხანდახან სულ მცირე იქნება, თვით საქართველოს ტერიტორიალური სიმცირის გამო.

რაც უფრო წვრილ-წვრილადაა დაყოფილი მხარეთგნობითი მუშაობა, მით უფრო ნაყოფიერია იგი.

სამშობლოგნობისკენ მხარეთგნობის გზით, ე. ი. **სამშობლოს შესწავლისკენ ცალ-ცალკე რაიონების ყოველმხრივი შესწავლის გზით**—აი ის ლოზუნგი, რომელიც ამ დარგში უნდა იქმნეს წამოყენებული.

როცა ჟურნალ „მხარეთამეცნიერებას" კითხულობ, გიკვირს, რა-რიგ პატარა რაიონის ფარგლებში მუშაობენ რუსეთში სხვადასხვა წრეები და ორგანიზაციები და მერე როგორი ნაყოფიერია მათი იქ მუშაობა.

პატარა ფინეთი მთლად მოფენილია ამ ქვეყნის შესწავლელ-გამომკვლევ სხვადასხვა საზოგადოებით. და სწორედ იმიტომ, რომ მხარეთგნობა სულ ახალია საქართველოსთვის, სასურველია, რომ მან რაც შეიძლება უფრო სრულად გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ დარგში.

მხარეთმეცნიერებამ უკვე განვლო ემპირიულ ცდებისა და ცალ-ცალკე წამოწყებათა ხანა და უკვე იმუშავებს თავის **მეცნიერულ მეთოდებს**. ამ მხრივ ა. დზენს-ლიტოვსკის ზემომოხსენებული წერილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. რუსეთის მრავალ უმაღლეს სასწავლებელში უკვე დაეთმო თავისი ადგილი მხარეთგნობას, როგორც ცალკე დისციპლინას. რა თქმა უნდა, ყურადღებას ნიაქცევს მას ქართული უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტიც.

მეორეს მხრივ, როგორც მხარეთამეცნიერების მუშაობას, ისე საექსკურსიო საქმეს კარგად მოაწყობს აგრეთვე ახლად დაარსებული **საქართველოს საგეოგრაფიო საზოგადოება**, სათანადო განყოფილებების გახსნით.

ყველა ამის მიხედვით სასურველი იქნებოდა თავიდანვე ერთგვარი კონტაქტის დამყარება რუსეთის სამეცნიერო აკადემიასთან არსებულ მხარეთგნობის ცენტრალურ ბიუროსთან, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მუშაობის სრული დამოუკიდებელობის აუცილებელი პირობით.

ბიუროს აგებულება და მუშაობის ხასიათი ამის სრულ საბუთს და

იმედს გვაძლევს. როგორც მის დებულებაშია აღნიშნული, „ბიურო თავის მუშაობას აწარმოებს მჭიდრო და მეკობრული კონტაქტით და ურთიერთ დახმარებით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფედერატიულ ნაწილების **ცენტრალურ** მხარეთგნობით ორგანიზაციებთან, რომელთა ფორმები წესდება **ერთმანეთში შეთანხმებით**.“

უკრაინის სამეცნიერო აკადემიასთან უკვე მუშაობს მხარეთ-გნობის განსაკუთრებული კომისია (Комиссия краезнавства), რომელმაც კონტაქტი დაამყარა რუსეთის მხარეთგნობის ცენტრალურ ბიუროსთან. მზგავსივე რამ ხდება ბელორუსიაშიც.

გეგმით მოწყობილი, მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული, დამოუკიდებელი, მაგრამ სხვა მსგავს ორგანიზაციებთან კონტაქტით მომუშავე მხარეთგნობა კულტურული აღორძინების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად შეიქნება საქართველოსათვის, რომელშიაც სამშობლოს ძლიერი სიყვარული ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ ტრადიციას შეადგენს.

მ. პოლიევქტოვი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტი

შენიშვნა: ტფილისში ამა წლის იანვარში დაარსდა **საქართველოს საგეოგრაფო საზოგადოება**, რომელსაც რამდენიმე განყოფილება ექნება; მათ შორის განზრახულია პირველ რიგში მოეწყოს **საექსკურსიო განყოფილება** („ტურიზმის“) და აგრეთვე პედაგოგიურ-გეოგრაფიული განყოფილება. იმავე საზოგადოებასთან საჭირო იქნება „მხარეთმეცნიერების“ განყოფილების მოწყობაც და მჭიდრო კავშირის დაჭერა ადგილობრივ ძალებთან, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება ახალი სკოლის მასწავლებლობას.

პროფ. გ. გეხტმანი.

ფიზიკის გამარტივებული ხელსაწყოები.

Ф. Н. Красиков „Упрощенные приборы по физике“ 273 стр., 207 рис. Государственное издательство 1923 г. п. 1 р.

უმთავრესად წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ფიზიკის პირველი საფეხურის მასწავლებელთათვის, და შესდგება სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან ამოკრეფილ ცნობათა და ჩჩევათაგან (მაგალ ცინგერისა, ბარანოვისა, დრენტელნისა და სხვა). შემდეგ იმ სახელმძღვანელოების აღწერისაგან, რომლებიც მოიპოვება მოსკოვის ცენტრალურ ფიზიკურ-პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ „თვითნაკეთებ ხელსაწყოების მუზეუმში“ (ავტორი ამ მუზეუმის გამგეა) და ბოლოს თვით ავტორის მიერ მომზადებულ ხელსაწყოების აღწერისაგან.

უნდა ვაღიაროთ, რომ განზრახული მიზანი მიხწეულია, და მასწავლებელთ ეძლევათ სახელმძღვანელო, რომლის საშუალებით საგრძნობი ნივთიერი ხარჯის გაუწევლად შეიძლება დამზადება ფიზიკის პირველი საფეხურის კურსისათვის მარტივი და უბრალო ხელსაწყოების. ამის მიზეზი ის არის, რომ ავტორს ნათლად აქვს წარმოდგენილი სკოლების დღევანდელი უმწეო მდგომარეობა ყოველგვარი პედაგოგიურ-დიდაქტიური მომარაგების მხრით.

საერთოდ, სკოლების მდგომარეობა ისეთია, რომ საოცნებოდ არის გადაქცეული არამც თუ პრაქტიკული მეცადინეობა, არამედ სულ უბრალო უმარტივესი ხასიათის სასკოლო ცდაც; მასწავლებელი იძულებულია დაკმაყოფილდეს „ცარცის გაკვეთილების“ მიცემით. ვერც ერთი ცოცხალი მასწავლებელი“, რასაკვირველია, ვერ ურიგდება ამგვარ მდგომარეობას და ცდილობს თვითონ მოახერხოს რამე თავისი ძალღონის და საშუალების მიხედვით.

მუშაობის დროს მასწავლებელი ხვდება არა მარტო ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებას, არამედ მას უხდება უფრო რთული მუშაობა: ფიზიკის განსახიერება ფორმაში, ამა თუ იმ ხელსაწყოს აგება.

აი, სწორედ ასეთ მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს კრასიკოვის წიგნი.

წიგნში აღწერილია 200 მეტი ხელსაწყო, რომლების დამზადება შეიძლება სულ იაფი, ე.წ. „ნაშთ მასალისაგან" (бросовый материал), მაგ., მუყაო, თუნუქის მონაჭრები, ყუთები, ქილები, ბილები, ფიცრის მონახერხი და სხ. ამ ხელსაწყოების საშუალებით შეიძლება საკვლევით შევასწავლოთ ბავშვებს პირველ საფეხურზე ფიზიკის პროგრამა.

რაც შეეხება მუშაობისათვის საჭირო იარაღების კომპლექტის შედგენას, უნდა ვთქვათ, რომ ეს დამოკიდებულია უფრო მასწავლებლის და მუშაობაში ჩაბმულ მოწაფეთა ენერგიაზე, ვიდრე სასწავლებლის ნივთიერ მდგომარეობაზე.

მიუხედავად სრულიად მარტივი ხასიათისა, კრასიკოვის ხელსაწყოებს სრულიად არა აქვთ სათამაშოების ხასიათი. ამ მხრივ წიგნი სასურველად განსხვავდება სხვა ამგვარ წიგნებისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ კრასიკოვის წიგნში არ არის ამოწურული სავსებით ხელსაწყოების აღწერა. ამიტომ შეიძლება რამდენიმედ მოსტყუვდეს ის მასწავლებელნი, რომლებიც მოისურვებენ გამოიყენონ ეს წიგნი საკლასო ცდების ჩასატარებელ სახელმძღვანელოდ.

აქ ვერ ნახავთ მოწყობილობის დეტალებს და ხელსაწყოების აგების დაწვრილებით აღწერას.

მაგრამ ეს გარემოება არ შეადგენს წიგნის ნაკლს, პირიქით: ავტორმა განზრახ არ მისცა თავის მუშაობას დამთავრებული სახე. წინასიტყვაობაში ის მიმართავს **მასწავლებლის ინიციატივას,** ენერგიას და გამოგონებითი უნარს. ავტორს სურს ყოველ აღწერილობაში დაგვანახოს მხოლოდ პროექტი, თემა, რომლის შესრულებისას მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს თავისი პირადი შემოქმედება. ეს შეხედულება ღრმა ჭეშმარიტებაა.

ყოველმა ექსპერიმენტატორმა იცის, რომ შეუძლებელია ცდების დადგმის შესწავლა მარტო წიგნის საშუალებით, ექსპერიმენტის არავითარი დაწვრილებითი აღწერა არ მოგვცემს გასაღებს ამა თუ იმ ცდის წარმატებით შესრულებისათვის. ნამდვილი პედაგოგიური შედეგის მოცემა შეუძლია მხოლოდ ოფიციალურებულ, შემუშავებულ, მასწავლებლის მიერ პირადად შეგრძნობილ ცდას.

წიგნის საერთო ხასიათთან შეფარდებულია სურათები, რომლებსაც ესკიზების ხასიათი აქვთ და არა ნახაზებისა.

მკვლევარ მასწავლებელს აუარებელ მასალას აძლევს წიგნში გაფანტული მრავალი გაკვრით თქმული აზრი და თემა, და თუმცა წიგნი უმთავრესად პირველ საფეხურზე მომუშავეთათვის არის დანიშნული, მეორე საფეხურის მუშაკთაც შეუძლიათ ამოიღონ ამ წიგნიდან მრავალი საინტერესო იდეა.

ხელსაწყოების დამზადების აღწერას წინ უძღვის მოკლე შესავალი (32 გვერდი), რომელიც შეიცავს ცნობებს ზოგიერთი ტეხნიკური ხერხისა და საშუალების შესახებ, მაგალითად: მინის, მუყაოს, ხის, თუნუქის დამუშავება, შეკავშირება, წებოთი მუშაობა და სხვა. ყველა ეს ცნობები ნათელი და ადვილად შესასრულებელია.

ამას მოსდევს ხელსაწყოების აღწერილობა კურსის მასალის დარგებად დაყოფით: განფენილობის და წონის ზომები, სითხეთა და აირების თვისებანი, უმარტივესი ცდები ქიმიაში (მიღება ჟანგბადისა, წყალბადისა, ნახშირჟანგა აირისა, აზოტისა და მათზე ცდები) სითბო, ბგერა და სინათლე, მზიდარობა (მაგნიტიზმი) და ელექტრონი, და ბოლოს ელემენტარულ მექანიკის ზოგიერთი ხელსაწყოები.

ყოველი განყოფილება საკმაოდ არის გაშუქებული: ზოგიერთ გამონაკლისს შეადგენენ ელემენტარული ცდები ქიმიაში, რომელიც სუსტია სხვებთან შედარებით.

თუმცა ხელსაწყოების უმრავლესობა ახალს არას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ვხვდებით ზოგიერთ მეტად საგულისხმიერო დადგმას (**установки**). ყურადღებას იქცევს ღია, შვეული კალეიდოსკოპის მ. დელი (გვ. 164) და ე. წ. ცენტრისგან მსრბოლი ძალის[1]) წნეზომითი (მანომეტრიული) გაზომვა (გვ. 235). ორთავე ხელსაწყო ავტორს გამართული აქვს. პირველად ვხვდებით გამოქვეყნებას მ. ვ. ვილბერგის მიერ მოწყობილ სულ იაფფასიან რეოსტატისას, რომელშიაც დენისთვის წინაღობის გასაწევად (**сопротивление**) ნახმარია ფანქარი (ფანქრის გრაფიტი იძლევა 15 ომის წინაღობას და იტანს დენის ძალას ორ ამპერამდე (გვ. 198). საინტერესოა, რომ ავტორი მრავალ ხელსაწყოს ასაგე-

---

[1]) ცენტრიდან და ცენტრისაკენ მიმართული ე. წ. **центробежная** და **центростремительная** ძალების ერთმანეთისაგან მკაფიოდ გასარჩევად კარგია პირველს **ცქიტგანითი** ძალა ვუწოდოთ, მეორეს კი **ცქიტკენითი** (ცქიტი—ცენტრის ქართული სახელია).

რ. ნ.

ბად ხმაროობს გრამოფონის ყუთს, რომელიც თურმე ძალიან გამოსადეგი ყოფილა თანაბარი და ამასთანავე ნებისმიერი სიჩქარის წრიული (круговое) მოძრაობის მისაღებად. ქალაქებში ამგვარი ყუთის შეძენა ძნელი არ არის,

წიგნს დართული აქვს ორი დამატება.

1) ზოგიერთი ხელსაწყოს დასამზადებლად საჭირო დარიგებანი.

2)—წიგნთა სიები თვითნაკეთებ ხელსაწყოებისა და ფიზიკის დაწყების სწავლებასთან დაკავშირებულ წიგნებისა. სია საკმაოდ სრულია, შიგ მოთავსებულია როგორც ძველი, ისე დღევანდელი გამოცემანი.

წიგნს ბევრი ნაკლი აბა აქვს: ემჩნევა ზოგიერთი აჩქარება, რაც გამოიხატება ზოგიერთ საკითხის უთანასწოროდ გაშუქებაში და აქა-იქ აზრის ბუნდოვან გამოსახვაში.

მეორე ნაკლს ის შეადგენს, რომ ზოგიერთ ხელსაწყოს აღწერას წინ უძღვის თეორიული მსჯელობა, რომელიც გაოგებრობას იწვევს; ამ მსჯელობათ იმდენად ელემენტარული ხასიათი აქვთ, რომ სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება მათი გამოტოვება და მათ მაგიერ სხვა უფრო საჭირო ცნობებს მოთავსება იმ მასალიდან, რომელიც, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, აქვს ავტორს.

კრასიკოვის წიგნი საერთოდ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს იდეათა სიუხვე, რომელთაც მკითხველი მიჰყავთ შემოქმედებითი მუშაობისაკენ, ამიტომ ამ წიგნის გაცნობას დაბეჯითებით ვუჩევთ როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურის ფიზიკის მასწავლებლთ, მაგრამ არა როგორც საკლასო ცდის დადგმის, არამედ როგორც თვითსწავლის სახელმძღვანელოს.

ამ წიგნს მდიდარი სამუშაო მასალის მოცემა შეუძლია მასწავლებლისთვის საკლასო ცდების დადგმაში გამოსაწრთვნელ ვარჯიშობის გასავლელად.

კრასიკოვის წიგნში აწერილ ხელსაწყოების კოლექტიური მზადება და მათი შემწეობით საკლასო ექსპერიმენტის აგრეთვე კოლექტიური დამუშავება ძალიან ბევრს შესძენს ფიზიკის ყოველ მასწავლებელს.

ამიტომ ვეხსურვებთ კრასიკოვის წიგნს, რაც შეიძლება, უფრო ფართო გავრცელებას ჩვენს ამხანაგთა შორის, განსაკუთრებით იმ ყრუ კუთხეების მუშაკთა შორის, რომლებსაც, მიუხედავად სკოლის სიღარიბისა და მოუწყობლობისა, ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისა.

ა. ბალაბუევი.

ტეხნიკუმის მასწავლებელი.

ქართული წიგნები

„მათემატიკა პაწიებისათვის“ რ. ნიკოლაძე-კოლიევჭოვისა

განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა „ახალ სკოლისაკენ“

ტფილისი 1923 წელი, 80 გვერდი.

„მათემატიკას“ პაწიებისათვის ავტორი უდგება მთლიანი სასკოლო რეფორმის თვალსაზრისით. ახალ სკოლისათვის აღმზრდელობის საქმეში არ არსებობს დაცალკევებული თავისთავადი საგნები, რომლების მოცულობა, შინაარსი და ხასიათი განისაზღვრებოდეს მათი შინაგანი ლოგიკით. სკოლის სუბიექტი—ბავშვი უნდა იყოს სკოლის ცენტრი, რომლის ირგვლივაც ტრიალებენ ყველა საგანმანათლებლო ხასიათის საშუალებანი. ამ მოსაზრებით, როგორც წინასიტყვაობაშიც არის ნაჩვენები, ეს წიგნი წარმოადგენს ამავე ავტორის წიგნის — „ბუნება სკოლაში“ უშუალო გაგრძელებას (1921 წ.)[1] ამ უკანასკნელს წამძღვარებული აქვს მოკლე, მაგრამ ნათელი და მკაფიო დახასიათება ახალი სკოლისა, რომელიც აგებს თავის მუშაობას ბავშვის ფსიქო-ფიზიოლოგიურ განსაკუთრებულ თვისებებზე.

საერთო პედაგოგიური ხასიათის მოსაზრებათა შემდეგ, სადაც ჩვენ ვხვდებით ძვირფას შენიშვნებს, ეგრეთ წოდებულ სწავლების კომპლექსური მეთოდის შესახებ, ავტორი გულმოდგინედ საზღვრავს მათემატიკის როლს და ადგილს საბავშო ბაღში და არკვევს მის დამოკიდებულებას შრომის სკოლაში ამავე საგნების სხვა კონცენტრებთან. ამის გამო ჩვენ ვიღებთ მთლიან სურათს საგანმანათლებლო და მეთოდიურ საშუალებათა, მათი სწორი პერსპექტივით. თუ კერძო საკითხის ასეთი მთლიანი მიდ-

[1]) სახალხო მასწავლებლის ბიბლიოთეკა „ახალი სკოლა“, „ბუნება სკოლაში“, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა, ტფილისი 1921 წ. 160 გვ.

გომა სასარგებლო და მიზანშეწონილია საერთოდ, მით უმეტეს აუცილებელია ეს დღეს, ძიების ხანაში, როდესაც მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პერსპექტივის დაცვა.

„მათემათიკა“ იყოფა ორ ნაწილად — ფორმად და რიცხვად. პაწია ბავშების შეგნებისათვის ფორმა და რიცხვი არ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და ამისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვრებოდენ ერთმანეთისაგან შესწავლის დროს.

ფორმის წარმოდგენა კონკრეტულია, და მიიღება გარე-გრძნობების უშუალო შეთვისებით, ყოველივე ანალიზის, ზომვის და თვლის გარეშე. რიცხვის ცნება კი განყენებულია და მიიღება გარე-გრძნობებით დაგროვებული მასალის განზოგადებით. ფორმების გაცნობა წინ უნდა უძღოდეს, ხანდახან რამდენიმე წლითაც, რიცხვის შესწავლას. ფორმების შესწავლის დროს გამოსავალი წერტილია ორგანზომილებიანი ფიგურები: სამკუთხი, წრე, ოთხკუთხი, და არა სამ განზომილების ტანები, ან წირი [1]) და წერტილი. ამასთანავე ფორმის შესწავლა უნდა ხდებოდეს სისტემატიურად და არა ნაწყვეტებად, სხვა საგნებთან შემთხვევითი დაკავშირებით. ასეთია მონტესორის შეხედულება. ამის მიხედვით მის მიერ შექმნილია ერთგვარი დიდაქტიური მასალა.

შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მასალის გამოყენება განისაზღვრებოდეს მარტო საბავშო ბაღის ფარგლით. ეს მასალა შეიძლება გართულდეს, გამრავალფეროვნდეს და მუშაობაც გაგრძელდეს დაწყებით სკოლაში. ამის შესახებ ბევრი რამ არის საინტერესო მონტესორის იტალიურ წიგნში — „თვითაღზრდა დაწყებით სკოლაში [2])“. აგრეთვე კარგად უდგება საკითხს ჩვენი გეომეტრიის ოფიციალური პროგრამაც საგნის დაყოფით სამ კონცენტრად: 1. „საბავშო“ გეომეტრია (სკოლის 1—2 წ.), 2. „თვალსაჩინო“ (ინდუქტიური) გეომეტრია (3—7 წ.) 3) — „ლოლიკური“ (ევკლიდისა, დედუქტიური) გეომეტრია (ტეხნიკუმებში). (ქვემოდ გარჩეული წიგნი წარმოადგენს მარია მონტესორის იდეათა პოპულიარიზიცას პატარა ბავშების მათემატიკური თვითაღზრდის შესახებ. მაგრამ ეს არ არის მისი აზრების უბრალო გადმოცემა. ჩვენ საქმე გვაქვს მასალის თავისებურ შემოქმედებითს დამუშავებასთან.

[1]) წირი — линия, ხაზი — черта.

[2]) ამ წიგნის პირველი, ზოგადი ნაწილი გამოცემულია მოსკოვში სათაურით: „Самовоспитание и самообучение в начальной школе“, მეორე, კონკრეტულ ნაწილიდან კი ჯერჯერობით გამოცემულია მხოლოდ ორი თავი: „геометрия в школе Монтессори“ და „арифметика в школе Монтессори“.

ის, რაც მონტესორის ნათქვამი აქვს ხშირად საზოგადოდ, განყენებულად და რაც ყოველთვის მისადგომი არ არის მოუმზადებელი მასწავლებლისათვის, ავტორის გადმოცემაში იღებს გამჭვირვალე, ნათელ სახეს. დიდაქტიური მასალის აწერას მიცემული აქვს ძალიან სისტემატიური ხასიათი. ამა თუ იმ გზას, რომელსაც იყენებს მონტესორი, ავტორი ხანდახან აძლევს თავის მეტად საინტერესო განმარტებას. საკითხი გაშუქდება ხოლმე სინათლის ახალი სხივით, ვღებულობთ ახალ დამოკიდებულებებს, რომლებიც ფაქტიურად აქვს მონტესორის, მაგრამ არ არიან მისგან გამოთქმული. ავიღოთ, მაგალითად, ავტორის ორი შენიშვნა, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო ხდება მათი ერთმანეთთან დაახლოებით. ერთი ეხება ფორმის, მეორე—რიცხვის შესწავლას.

I.—გვ. 39. „მონტესორი სივრცის გაცნობას ორ განზომილებით იწყებს, ბტყელ ნაკვეთებით, რომლებიდანაც ის ჯერ კრული (замкнутая) (მრუდ ან ტეხილ) წირზე ჩამოდის, შემდეგ სივრცემდე ადის, საიდანაც ისევ ბტყელ ნაკვთებს უბრუნდება, უკვე წრფე წირამდე (прямая) და წერტამდე ჩამოსასვლელად. წრფე წირი მას კრულ წირზე უფრო გვიან იმიტომ შემოჰყავს, რომ კრული წირის ცნება უსასრულობის ცნებას არ შეიცავს“.

II.—გვ. 71 „პირველი ოცეული ყველგან ერთიდან ოცამდე ასვლით შეისწავლება, მონტესორი კი მთელ ანგარიშს (მის სისტემატიურ შესწავლას) ათიდან იწყებს და არა ერთიდან: პირველ ათეულს ათიდან ერთამდე ჩამოსვლით შეასწავლის, მეორე ათეულს კი იმავე ათიდან ზევით ასვლით, სწორედ როგორც ფორმების გაცნობაშიაც—შუადან: ორ განზომილებიდან ერთამდე ჩამოსვლით და სამამდე ასვლით“.

რიცხვთან დაკავშირებით ჩინებულად გადმოცემულია ე. წ. ცნებათა „მომწიფების“ იდეა (გვ. 55—56); ჩვენ არ ვიცით ჯერაც შინაარსი იმ ფსიქიური მექანიზმისა, რომლის შემწეობით ბავშვს ებადებათ განყენებული წარმოდგენანი. ეს არის რთული, უხილავი, მოლეკულიარული პროცესი, რომელიც უცებ წამოისახება ხოლმე მოულოდნელი შედეგებით. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ მისი ნაყოფიერებისათვის აუცილებელია შეგნების ერთგვარი ხანგრძლივი და აუჩქარებელი, წყნარი მომზადებითი მუშაობა, ერთგვარი წინასწარი „მომწიფება“. მონტესორი დაბეჯითებით უსვამს ხაზს ამ ნელი და დამშვიდებული „მომწიფების“ მნიშვნელობას ბავშის სულიერი ზრდისათვის; ამ „მომ-

წიფების“ აუცილებელ პირობას შეადგენს კონკრეტულ შთაბეჭდილებათა საკმაო რაოდენობის დაგროვება. „ყველაფერი თავის დროს და არა ნაადრევად“—ასეთია მისი ფორმულა.

ამ სავალსაზრისით ნათელია, რომ არ შეიძლება მთელი მასალა ჩავჭედოთ საბავშო ბაღის ჩარჩოებში. მაგალითად, პირველი ოცეულ ს სისტემატიური შესწავლა შეიძლება სავსებით გადავიტანოთ დაწყებით სკოლაში, ბაღში კი დავტოვოთ ე. წ. „დუქნობანა“, მისი ფუნის, სასწორის, სიგრძის ზომების და სხვა ამ საქმისათვის საჭირო ცოდნის გამოყენებით და შეძენით.

განსაკუთრებულად ძვირფასია ის, რომ ავტორი მუდამ ხელმძღვანელობს მონტესორის მოძღვრობის სულით და არა ასოთი. მეტ დ მოხერხებულად და თავის დროზე არის მოყვანილი ციტატები მონტესორის ნაწერებიდან, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ იტალიურიდან გადმოუთარგმნელია, რომლებიც ნათელ შუქსა ჰფენენ ამა თუ იმ კერძო საკითას და შევყავართ მონტესორის სწავლების და მეთოდის შინაარსში. ვგრძნობთ, რომ ავტორს საკითხი ღრმად შესწავლილი და შეგრძნობილი აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამისთვის ხელი უნდა შეეწყო ავტორს პირად ორი წლის პრაქტიკულ მუშაობას სოფელ დიდი ჯიხაიშის სკოლებში, იმ რაიონის მასწავლებლებთან ერთად (გვ. 8) და ამნაირად უშუალო შემოწმებას გადმოცემულ პედაგოგიურ შეხედულებათა. ამითი აიხსნება ის ენთუზიაზმიც, რომლითაც არის დაწერილი წიგნი, რის გამო ის თავიდან ბოლომდე შეუწყვეტელი ინტერესით იკითხება.

თერმინოლოგიის შესახებ

ორიოდე სიტყვა წიგნის თერმინოლოგიის შესახებ. ხაზგასმა ზედმეტია, რა მნიშვნელობა აქვს ბავშის სწორი აზრონობის განვითარებისათვის ზედმიწევნითსა და მკაფიო თერმინოლოგიას. ამასთანავე ყველამ ვიცით, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში მეცნიერულ-პედაგოგიური თერმინოლოგიის საკითხი.

საკმარისია მივმართოთ თუნდ მხოლოდ იმ მაგალითებს, რომელიც მოყვანილია ამ წიგნში: სწორი, სწორე прямой, правильный, ровный და ხანდახან კიდეც равный; თანასწორი—равный; აქედან „ის კუთხე სწორია“ (90°), „ეს კუთხე კი იმ კუთხის სწორია“ (равен) და სხ. (გვერდი 47). მდგომარეობა აშკარად მიუღებელია ენის სრული ბუნდოვანობის და უმკვეთრობის გამო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური კომისიის ტერმინებით კი, რომელთაც ხმარობს ავტორი, მივიღებთ: прямой ან მართი (კუთხე) ან წრფე (წირი); равный — ტოლი, ровный — სწორე, აქედან: „ეს კუთხე მართია“, „ის კუთხე კი იმ კუთხის ტოლია“ და სხ. (გვ. 51).

მე არ მაქვს სურვილი არ ეპითად შევეხო ტერმინოლოგიის საკითხს, და დავიცავ აღნიშნული ტერმინოლოგია; ჩვენ შეგვიძლია დავგძოთ ან მოვიწონოთ იგი. ამჟ მად საქმე ამაში არ არის, ამჟამად ერთია უდავო და ეჭვ-გარეშე: ავტორი აგრძნობინებს მკითხველს, რომ ამ დარგში დიდი ბრობლემაა გადასაწყვეტი ასალი სკოლისათვის, რომელსაც ჯერ-ჯერობით შემთხვევაში მხარს ვერ უჭერენ. ყოველი მოაზროვნე პედაგოგი ამ წიგნის წაკითხვისას საჭიროდ ჩასთვლის დიდი ყურადღებით მოეკიდოს ტერმინოლოგიის საკითხს და აღარ ჩასთვალოს ის უმნიშვნელო მეორეხარისხოვან საქმედ. ამ მხრივ წიგნს დიდი დამსახურება მიუძღვის.

სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ.

ნაგმდვილი სასკოლო რეფორმის გატარება შესაძლებელია მხოლოდ სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმის სათანადოდ დაყენებით.

საქართველოში სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა ქსელი მხოლოდ ამჟამად ფართოვდება, შესაფერი ლიტერატურა კი ჯერ არა გვაქვს. „მათემატიკა პაწიებისათვის“ პირველი ნაბიჯია ჩვენში ამ ნაკლის შესავსებად. უნდა ვისურვოთ, რომ ამას სხვა ნაბიჯიც მოჰყვეს: წერა-კითხვის სწავლება, ენის განვითარება, ბუნება საბავშო ბაღში, ბავშის ყურადღების და წარმოსახვის საკითხი, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება და კიდევ სხვა მრავალი საკითხი, რომელთაც გაშუქება ესაჭიროება.

რაც შეეხება ამ წიგნს, უნდა აღინიშნოს, რომ მას მრავალი თვალსაჩინო ღირსება აქვს: საკითხის ფართოდ დაყენება, ნიჭიერად გადმოცემა, პრაქტიკული რჩევანი, დამყარებული პირად გამოცდილებაზე ჩვენი სოფლის სკოლაში, რასაც განსაკუთრებული ფასი აქვს; წამოყენება ტერმინოლოგიის საკითხისა მთელი მისი მნიშვნელობით, საქმის ზედმიწევნითი ცოდნა და, ბოლოს, გატაცება, რომლითაც არის დაწერილი წიგნი. ყველა ეს ქმნის ამ წიგნს დაუფასებელ სახელმძღვანელოდ ახალი სკოლის მუშაკთათვის.

გიორგი კონიაშვილი.

ადგილობრივი ქრონიკა

შინაარსი:

1. საზაფხულო კურსები;
2. საცდელ-საჩვენებელი სკოლები;
3. უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობა,

ზრუმბის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი საზაფხულო კურსები

მიმოხილვა.

სოციალური აღზრდის რეფორმის და ახალი სკოლის აშენების საკითხთან ერთად დადგა საკითხი ახალი მასწავლებლის შექმნისა, როგორც ამ ორგანიზაციის აუცილებელი ფაქტორისა.

„სკოლა რეალური ცხოვრების ფოკუსია“,—ეს ის ლოზუნგი, რომელიც საძირკველში უნდა ჩავატანოთ ახალი სკოლის აღმშენებლობას, მაგრამ ამგვარი სკოლის შესაქმნელად უწინარეს ყოვლისა საჭირო არის კარგი და გამოცდილი აღმშენებელი.

აღმშენებელი იქნება თვითონ მასწავლებელი, რომელსაც ექნება ორგანიზაციული, კოლექტიური მუშაობის ჩვეულებანი და ცხოვრების მოვლენებს მიუდგება სამეცნიერო ობიექტიური ანალიზით და მარქსისტული მსოფლმხედველობით.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს შექმნა ამგვარი მასწავლებლისა.

ახალი მასწავლებლის შესაქმნელად მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით:

1. მომზადება ახალი გამოუცდელი მასწავლებლისა—ელემენტარული პედაგოგიური და მეთოდიური ცოდნის საძირკვლის ჩაყრა და დაგროვება.

2. უკვე არსებული სკოლის მუშაკთა კადრის გადამზადება, მასწავ-

ლებლობის გაცნობა ახალ პედაგოგიურ აზროვნების მიმდინარეობასთან (ახალი მეთოდები, პედაგოგიურ იდეათა პრაქტიკული განხორციელება) და მათი გადახალისება პოლიტიკურად

პირველი შეიძლება განხორციელდეს ხანგრძლივი კურსების საშუალებით, პედაგოგიური ტექნიკუმებით, ინსტიტუტებით და უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დახმარებით.

მეორე — მოკლევადიანი კურსების, კონფერენციების, განათლების მუშაკთა სახლის სექციების, საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებების, გამოფენების, სარაიონო ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, სხვადასხვა ხასიათის წრეების საშუალებით და სხ.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა ამ მიმართულებით ჯერ-კვე შეასრულა ერთგვარი სამუშაო. წარსულ ზაფხულში კომისარიატმა რესპუბლიკის 17 ადგილას გახსნა მოკლევადიანი კურსები 12 — ქართულ ენაზე, 2 — რუსულ ენაზე, (აქედან ერთი ოსებისთვის), 2 სომხურ ენაზე (ახალციხე-ახალქალაქში), და ერთი თურქულ ენაზე (კოჯორში), სადაც ხალხი მოიყარა საქართველოს რესპუბლიკის მუსლიმანთა მასწავლებლობამ.

ადგილობრივ კურსების ორგანიზაციას ტფილისში წინ წაუძღვა იმ პედაგოგების კონფერენცია, რომელნიც დაღლილობის მიუხედავად წავიდენ სამაზრო კურსებზე, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინათ სოფლის მასწავლებლობისათვის. კონფერენციის მუშაობის შედეგები (თეზისები და მოხსენებანი) მოთავსებულია სოციალურ აღზრდის მთავარგამგეობის გამოცემებში. — "ახალ სკოლისაკენ" — 1 და 2 ნაწილი (ტფილისი) 1923 წ. (ქართულ და რუსულ ენებზე.)

რამდენად აუკილებელი იყო და რამდენად სწყუროდა საქართველოს მასწავლებლობას ეს კურსები — მტკიცდება მისი მიმზიდველობით. მაგალითად, განზრახული 1500 მასწავლებლის მაგივრად ფაქტიურად კურსები გაიარა თითქმის 2.000 მასწავლებელმა:

ახალციხეში	58
ახალქალაქში	62
ბორჯომში	120
აღბულაღში	52
მანგლისში	105
კოჯორში	85
თელავში	168

სიღნაღში	153
დუშეთში	87
ცხინვალში (სამხრეთ ოსეთი)	120
ზესტაფონში	82
ქუთაისში	350
ონში (რაჭა)	78
ცაგერში (ლეჩხუმი და ზემო-სვანეთი)	85
ზუგდიდ'მი	86
ოზურგეთში	92
სენაკში	151
სულ	1934

ზოგმა მაზრამ, მაგალითად: თელავის, სიღნაღისა და ქუთაისისამ ისარგებლეს კურსებზე მყოფ მომზადებულ მასწავლებელთა ძალებით და სწვრივად, კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის გარეშე, მოაწყეს დამოუკიდებელი კურსები იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი მასწავლებლობა გაეცნოს ახალი სკოლის იდეებს.

სახალხო განათლების კომისარიატის მიერ მოწყობილი კურსები ორი ტიპის იყო;

ერთი —უფრო მომზადებულ მასწავლებელთათვის—თვე ნახევრის ვადით— 8 ადგილას.

მეორე—უფრო სუსტ მასწავლებელთათვის—ორ თვე ნახევრის ვადით—9 ადგილას.

ამის მიხედვით სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობამ დაამუშავა ორი ტიპის სამოსწავლო გეგმა, სადაც ჩართული იყო პოლიტიკური და პედაგოგიური საკითხების ციკლები (იხ. „ახალ სკოლისაკენ" ნაწილი 1-ლი, გვ. 18—22) და დაუგზავნა ადგილებზე სახელმძღვანელოდ.

1-ლი სასწავლო გეგმა

შრომის სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებისა (კურსის ხანგრძლივობა $2^1/_2$ თვე, ყოველდღიური მეცადინეობა 6 საათს).

ა. პოლიტიკურ-განმანათლებელი ციკლი (62 საათი).

1) ს. ს. ს. რ. კონსტიტუცია	14 სათი.
2) პოლიტიკური ეკონომია	20 „

3) მუშათა მოძრაობის ისტორია დასავლეთსა და რუსეთში . . . . 20 „
4) პროლეტარიატი და გლეხობა რუსეთის რევოლიუციაში. . . 4 „
5) რ. კ. ა კ. და სკოლა. . . . 2 „
6) განათლების მუშაკთა კავშირის მიზნები და ურთიერთობა განათლების ორგანოების და კავშირის განყოფილებათა შორის... 2 „

ბ. პედაგოგიური ციკლი (330 საათი).

1) ანგარიში და ალგებრის ელემენტები. . 40 „
2) გეომეტრიის მოკლე კურსი . . . 18 „
3) სამშობლო ენა . . . . 22 „
4) ბუნებისმეტყველება. . . . 50 „
5) სამშობლოს შესწავლა—გეოგრაფია. . 20 „
უკანაკნელ თვეს შემოიღება:
6) საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიის საფუძვლები. . . . 20 „
7) სტატისტიკის საფუძვლები. . . 8 „
8) ბავშთა ფსიქოლოგია და სასკოლო ასაკამდე აღზრდის საფუძვლები. . . 16 „
9) მთლიანი შრომის სკოლა (მიზნები, საგანმუშო პროგრამები, სწავლება შრომის სკოლ. შესახებ). . 18 „
10) სამშობლო ენის მეთოდიკა 10 „
11) მათემატიკის „ 16 „
12) ბუნებისმეტყველების და გეოგრაფიის მეთოდიკა 14 „
13) საზოგადოებათ-მეცნიერების 12 „
(შრომის პროცესებთან და კავშირებით)
14) შრომის პროცესების სწავლების მეთოდები. . . . 8 „
15) შრომის სკოლის სასწავლო მასალაში ადგილობრივ წარმოებათა შრომის პროცესების შეტანის მეთოდები. . 8 „
16) ფიზიკური აღზრდა შრომის სკოლაში. 8 „
17) ესთეტიური აღზრდა შრომის სკოლაში. 8 „

18) თვითმართველობის საფუძვლები შრ. სკოლაში . . . . . 4 „
19) სასკოლო ჰიგიენის საფუძვლები. . 8 „
20) საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია (წრეები, სტუდიები, საუბრები, წარმოდგენები, ლექციები და სხვ.) . 12 „

2 რე სასწავლო გეგმა

შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებისა (გაგრძელდება $1^1/_2$ თვეს, ყოველდღიური მეცადინეობა 6 საათს).

ა. პოლიტიკურ-განმანათლებელი ციკლი (62 საათი).

1. ს. ს. ს. რ. კონსტიტუცია. . 14 საათი
2. პოლიტიკური ეკონომია. . 20 „
3. მუშათა მოძრაობის ისტორია დასავლეთში და რუსეთში. . . 20 „
4. პროლეტარიატი და გლეხობა რუსეთის რევოლიუციაში. . . . 4 „
5. რ. კ ა. კ. და სკოლა. . . 2 „
6. განმუშაკთა კავშირის მიზნები და ურთიერთობა განათლების ორგანოების და კაშირის განყოფილებათა შორის... 2 „

ბ. პედაგოგიური ციკლი (172 საათი).

1. პედაგოგიური ფსიქოლოგია და პედაგოგიურ იდეათა ისტორია. . . 20 „
2. ბავშთა ფსიქოლოგია და სასკოლო ასაკამდე აღზრდის საფუძვლები. . 14 „
3. სწავლება შრომის სკოლაზე . 12 „
4. სამშობლო ენის მეთოდიკა . 8 „
5. მათემატიკის „ . 18 „
6. ფიზიკის „ . 8 „
7. საზოგადოებათმეცნიერების . 10 „
8. ბუნებისმეტყველების . 10 „
9. გეოგრაფიის . 8 „

(შრომის პროცესებიან დაკავშირებით)

10. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია 18 „
11 სტატისტიკის საფუძვლები . . . 6 „
12 შრომის პროცესების სწავლების მეთოდები. . . . . 8 „
13. შრომის სკოლის სასწავლო მასალაში ადგილობრივ წარმოებათა შრომის პროცესების შეტანის მეთოდები . . 6 „
14. ესთეტიური აღზრდა შრომის სკოლაში . 8 „
15. ფიზიკური აღზრდა შრომის სკოლაში . 8 „
16. სასკოლო ჰიგიენის საფუძვლები . . 4 „
17. თვითმართველობის საფუძვლები . , 4 „
18. საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია (წრეები, ლექციები, წარმოდგენები და ს.ხ.) 8 „

ეს სამოსწავლო გეგმები ზოგ შემთხვევაში შეიცვალა ადგილობრივ პირობების და მსმენელთა მიხედვით.

თითქმის ყველა კურსებზე მუშაობა ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, მტკიცე მიმართულებით ახალი სკოლის მოთხოვნილებისაკენ.

კურსებზე უმთავრესად ტარდებოდა სალაბორატორიო მეთოდი. ლექციური მეთოდით სარგებლობდენ კურსების დასაწყისში, მასალის დაგროვების მიზნით, კურსების ბოლოში კი ამ მეთოდს სავსებით ალარა ხმარობდენ.

კურსების მთელმა რიგმა მასალის დასამუშავებლად გამოიყენა საკომპლექსო მეთოდი; ამ შემთხვევაში კურსების უმრავლესობა ეყარებოდა ბუნებისმეტყველებას, როგორც უმთავრეს ღერძს; ახალქალაქში საფუძვლად დაუდეს სამშობლოს შესწავლა და საზოგადოებათმეცნიერება. ახალქალაქშივე სარგებლობდენ მუშაობის კვლევითი მეთოდით.

მანგლისის კურსებზე ლექტორთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა საკითხი საკომპლექსო მეთოდის შესახებ და კონკრეტულად დაამუშავა, როგორც კომპლექსის მაგალითი, „გლეხკაცის ეზო“; ამ მუშაობის შედეგად მოჰყვა წერილი, რომელიც მოთავსებულია „ახალ სკოლისაკენ“ მეორე ნაწილში ქართულ ენაზე და წერილი, „გლეხის კარმიდამო“, რომელიც მოთავსებულია ამ ჟურნალში. მანგლისის და ახალქალაქის კურსებზე მასწავლებლობა პირველად გაეცნო დალტონის გეგმას.

ექსკურსიები, როგორც ახალი სკოლის მუშაობის განუყოფელი ნაწილი, ჩატარებულ იქნა ყველა კურსებზე.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროვინციის სკოლების მუშაკთა მთელ რიგს არ ესმოდა მიზანი და მნიშვნელობა ექსკურსიებისა; ექსკურსიებს ისე უყურებდენ, როგორც უბრალო სეირნობას, არ აძლევდენ მას საგანმანათლებლო და სამეცნიერო მნიშვნელობას და უპირატესობას თეორეტიულ ხასიათის ლექციებს აძლევდენ. კურსების მუშაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ მათ შეისწავლეს ექსკურსიების დროს „თვალეურის დევნება“ და განსაზღვრული სამეცნიერო მიზნის დასახვა.

ექსკურსიების ჩატარებაში უფრო ნათელი სახე მიიღეს ცაგერის (ლეჩხუმის მაზრის და ზემო-სვანეთის) და აღბულაღის კურსებმა. (ბორჩალოს და ტფილისის მაზრების სომეხ მასწავლებელთათვის) ცაგერის კურსებმა მოაწყო შემდეგი ექსკურსიები:

1) მურის ციხეზე-რომელიც დაკავშირებული იყო გეოგრაფიის, ნიადაგის, მცენარეულობის შესწავლასთან და არქეოლოგიასთან.

2) ნამარნევში - ფიზიკურ გეოგრაფიასთან, ისტორიასთან (წარსული დროის სიძველენი) და ადგილობრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

3) ორბელის ციხეზე.

4) ლაილაშში.

5) ლაილას მთაზე — ზემოაღნიშნული მიზნებით.

ამგვარად, დაათვალიერეს თითქმის მთელი ქვემო სვანეთი.

ზემო სვანეთის ექსკურსიების აღწერა კი მოთავსებული იქნება შემდეგ ნომრებში.

აღბულაღის კურსებმა მოაწყო შემდეგი ექსკურსიები;

1. სამშვილდოში, რომელიც დაუკავშირეს ბუნებისმეტყველებას, მათემატიკას, საზოგადოებათმეცნიერებას და სამშობლო ენას.

2. ეკოში — საზოგადოებათმეცნიერებასთან და სამშობლო ენასთან დაკავშირებით.

3. აღბულაღის მიდამოებში — პროფესორ ზახაროვის ხელმძღვანელობით ხიადაგის შესწავლის მიზნით.

4. საფუტკრეში — შრომის პროცესების მეთოდიკისათვის და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის და ადგილობრივი დაწესებულების დასათვალიერებლად.

ზოგმა კურსებმა ფართოდ გამოიყენა შრომის პროცესები, ისარგებლეს ადგილობრივი წარმოებით და საგანმანათლებლო მასალით, მაგალითად: სვანეთში — მეფუტკრეობით; ჯავახეთში-მეფუტკრეობით და მერძეობით: ქართლსა და კახეთში — მევენახეობით, მეღვინეობით, ხვნა-თესვით, მებოსტნეობით, მეხილეობით და საქონლის მოშენებით.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ კურსებმა გამოიყენეს მახლობელი მიწის ნაკვეთი; ბოსტნის დამუშავებამ, რასაკვირველია, დროს სიმცირის გამო ვერ მოგვცა კონკრეტული შედეგები, სამაგიეროდ გაეცნენ მიწის მოვლის საშუალებებსა და ნიადაგის გამოყენებას სხვადასხვა მცენარეულობისათვის.

თითქმის ყველა კურსებზე მოწყობილი იყო სანიმუშო გაკვეთილების მიცემა; მართალია, დროს უქონლობის გამო ყველამ ვერ მოასწრო გაკვეთილების მიცემა, მაგრამ ყველას ჰქონდა საშუალება დასწრებოდა და ენახა მეთოდიურად სწორედ მიცემული გაკვეთილები ჯერ თვით ხელმძღვანელების და მერე კურსანტების მიერ.

სანიმუშო გაკვეთილების მიცემას, მოსდევდა მათი გარჩევა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოაწყეს მეცადინეობა სკოლის ბავშვებთან და ისეთ ბავშვებთანაც, რომლებიც ჯერ არ ყოფილან სკოლაში; მოახდინეს ცდები (ნამდვილად რომ ვსთქვათ—გარჩევა) ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფთან მეცადინეობისა, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი პროვინციაში.

ზოგიერთ კურსებზე საკმაოდ იყო წარმოდგენილი საკრებულოს მუშაობა (ახალქალაქი, ალბულაღი),

სცემდენ ჟურნალს და გამოდიოდა კედლის გაზეთი.

ახალქალაქის კურსებმა მოაწყო დრამატიულ წრეში პიესის დამუშავება და დასდგა იგი კიდეც მუშაობის დასასრულს. მოაწყეს რამდენიმე ლიტერატურული გასამართლება. კურსანტები მონაწილეობას იღებდენ სახალხო დღესასწაულების გამართვაში და მაჩრის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამგვარად აკავშირებდენ სკოლას და ადგილობრივ მცხოვრებლებს.

იმ საკითხების გარდა, რომელიც წამოყენებული იყო სამოსწავლო გეგმით, კურსანტები ადგილებზე კითხულობდენ ლექციებს კოოპერაციის, ელექტროფიკაციის, ავიაციის, ანტირელიგიური პროპაგანდის და მსოფლიოს შექმნის შესახებ.

ზოგმა კურსებმა მოაწყო თავისი ძალებით ფართო საზოგადოებისათვის გასაგები ლექციები, მაგალითად: ლეჩხუმის მაჩრაში—მეფუტკრეობაზე, ახალქალაქში—საზოგადოებრივ პოლიტიკურ თემებზე.

შესაძლებელია პირველად და ისიც ასეთი ფართო მასშტაბით მოწყობილ კურსებს ნაკლოვანებაცა ჰქონდა, მაგრამ ეს უპირველესად ყოვლისა უნდა მიეწეროს ადგილებზე საადმინისტრაციო სამეურნეო

ადმინისტრაციის სისუსტეს, რაც ხანდახან სამოსწავლო ნაწილზედაც მოქმედებდა; მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ამ კურსების მნიშვნელობა მეტად დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ კურსებზე შესრულებული სამუშაოს გავლენით საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასწავლებლობას გაეღვიძა ინტერესი აქტიობისა და შემოქმედებისა ახალი სკოლის საქმეში; მასწავლებელმა ისწავლა წიგნის კითხვა და ბუნების დაკვირვება. შეიძლება ზოგიერთმა მსმენელმა ბევრი ცოდნაც ვერ მიიღო კურსებზე, მაგრამ კურსებმა მაინც გაანძრიეს ის, გამოიყვანეს პასიური მდგომარეობიდან და დაბადეს მასში მთელი რიგი კითხვების; კურსებმა გამოიწვია მასწავლებლობა თვითმმართველობისაკენ, გაღვიძა მას ცოდნის და სწავლის წყურვილი, წყურვილი საზოგადოებრივი საქმის კეთებისა. კურსებმა გააცნეს მასწავლებლობა ახალი პედაგოგიური აზროვნების იდეებს და გაანათლეს იგი პოლიტიკურად.

კურსებმა შესძინეს მასწავლებლობას ჩვეულებაწი ორგანიზაციულ-კოლექტიური მუშაობისა, რომლის განვითარება გრძელდება ამ ჟამადაც: ახლაც არსებობს მთელი რიგი იმ წრეებისა, რომლებიც მოეწყო კურსებზე და რომლებიც გზავნიან ცენტრში წერილებს თვითგადამზადების დარგში მუშაობის შესახებ, ეს არის უძვირფასესი უჯრედი საქართველოს სახალხო კომისარიატის მიერ განზრახული მასწავლებლობის გადამზადების გეგმის განსახორციელებლად.

კურსებმა მოაწყო მცხოვრებთა კავშირი სკოლებთან (ახალქალაქი) და აღუძრა მათ სურვილი ახალი სკოლისადმი, საქართველოს ყველა კუთხიდან მოითხოვენ კურსების მოწყობას მომავალ ზაფხულშიც.

უნდა ვეცადოთ, რომ წარსული წლის მაგალითი განმეორდეს ყოველ წელს და მეტმა მასწავლებლობამ გაიარის ისეთივე კურსები. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ მისი იდეოლოგიის გარდაქმნას, რაც აუცილებელია ახალი ცხოვრებისათვის და ახალი სკოლის აღმშენებლობისათვის.

შრომის სკოლის მასწავლებელთა კურსების გარდა ზაფხულში ქუთაისში მოწყობილი იყო სასკოლო ასაკამდე აღზრდის კურსები 50 კაცისათვის. უფრო ადრე ასეთივე კურსები იყო მოწყობილი ტფილისში ასი კაცისათვის.

წარსულ წელს ჩატარებულმა—ტფილისის საცდელ საჩვენებელი სკოლებია, ტფილისის და მისი მაზრის სკოლების, ქუთაისის, ლეჩხუმის, რაჭის, სენაკის, ოზურგეთის და სიღნაღის მაზრების მასწავლებლობის კონფერენციებმა საკმაოდ გაუ ფქეს საქართველოს მასწავლებლობას ახალი მეთოდები და ახალი სკოლის ზოგიერთი მიღწევანი.

მასწავლებლობის მომზადების და გადამზადების დარგში ერთიანი მუშაობა ჩაატარეს სხვა აპარატებმაც, რომლებიც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, მაგრამ მათზე ლაპარაკი აქ არ გვექნება, რადგანაც ამ საკითხზე ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ განყოფილებაში (მასწავლებლობის ორგანიზაცია და გადამზადება) მოთავსებულია სპეციალური წერილები.

ბ. ლევიცკი

განათლების კომისარიატის მთავარი ინსტრუქტორი

კურსების გამოცდების ანგარიშებიდან.

I მანგლისის კურსების ანგარიშიდან

კურსების მეთოდიური მხარე

რადგან ოთხწლედში უპარიტესობა ეძლევა კომპლექსურ მეთოდს, თვით პროგრამებში კი ეს საკმაოდ გაშუქებული არ იყო, ამიტომ ამ სუტ მხარეს მიექცა ყურადღება, შესდგა კომისია, გ. კონიაშვილის, პროფ. გ. ნათაძისა და ელჩანინოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც ყოველმხრივ შეიმუშავა ეს მეთოდი და სანიმუშოდ დაწვრილებით დაამუშავა ერთი თემა: „გლეხის კარმიდამო". შედეგი მუშაობისა გააცნეს მასწავლებელთ და მიეცათ წინადადება დამუშავებია იგივე თემა ყველას თავისი კუთხის ადგილობრივ პირობათა მიხედვით; ეს თემა მოთავსებულია ამავე ნომერში.

ერთი უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული წერა-კითხვის შესწავლის მეთოდებზე; გაეცნენ მსმენელები ამ საგნის საუთავე მეთოდს: ამერიკულს, ბგერითს და მონტესორისას. იგი იყო გაშუქებული ყოველმხრივ ენის შედარებით და რ. ნიკოლაძის დახმარებით, სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელების შეთანხმებული მუშაობით (პროფ. ნათაძე, ვოლკოვი და რ. ნიკოლაძე-პოლიეკტოვისა) და თვით მსმენელთა მონაწილეობით, მათ მრავალწლოვან გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ამრიგად, შენიშვნებს შემდეგ ვთვლი საჭიროდ მოვიყვანო უფრო დაწვრილებით, როგორ, რა გეგმით და მიმართულებით ისწავლებოდა კურსებზე უმთავრესი საგნები.

ბ ე ო ბ რ ა ფ ი ა.

გეგმა: 1. გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა და მისი მოკლე ისტორია.

2. როგორც სასწავლო საგანი ძველ და ახალ სკოლაში.

3. ფიზიკო-გეოგრაფიული მოვლენანი.

4. სამშობლოს აღწერა.
5. სხვადასხვა ხელსაწყოების გაცნობა და მათი სარგებლობა.
6. კარტოგრაფია.
7. დედამიწის ლანდშაფტები.
8. საქართველოს გეოგრაფია.
9. ექსკურსიები.
10. მსმენელების მოხსენებები.

ნავარუდევ 30 ს. მაგივრ მიეცა ამ საგანს 26, რომელთაგან 5 ს. უნდა ჩასავლოდა ექსკურსიებს და 21—თეორეტიულ კურსებს.

კურსის გავლის დროს დამუშავებულ იქნა ახალი სკოლის შეხედულება გეოგრაფიაზე და ცდა ძველი შეხედულების გაქარწყლებისა და ჩანეოგვა იმ აზრისა, რომ გეოგრაფია არის საბუნებმეტყველო მეცნიერება, რის გამო მისი შესწავლა მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება. აღწერილ იქნა: ენდო და ეგზოგენური პროცესები და ის ფორმები, რომელთაც ისინი წარმოშობენ: მდინარის, ყინულის და ქარის მუშაობა და მათი ეროზია. ამ მიზნით მოწყობილ იყო ორი ექსკურსია: ერთი ალგეთის ხეობაში და მეორე ვულკანიურ მხარეში—ახინვალის ხეობას. სამშობლოს აღწერის სანიმუშოდ აღებულ იქმნა მანგლისი და მისი მიდამოები. კარტოგრაფიაში გაცნობილ იქმნა მასშტაბი, სკალები, პროექციები და რუკის კითხვა. ოროგრაფიის აღწერილობის დროს გატარებულ იყო გენეტიური თვალსაზრისი რელიეფის ელემენტების ნაწილებს შორის. პრაქტიკულ მუშაობიდან აღსანიშნავია ექსკურსიები, რეფერატები და დიაგრამების შედგენა. წაკითხულ იქმნა ორი რეფერატი: „დედამიწის ისტორია“ და „ტყე გეოგრაფიულ გავრცელების თვალსაზრისით“. დამზადებულ იყო კიდევ ორი საყურადღებო რეფერატი: „დასავლეთ საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ და „აღმოსავლეთ საქ. მესაქონლეობა“, მაგრამ, დროს უქონლობის გამო, არ იყო წაკითხული.

სწავლება ფრუმის სკოლაზე.

საერთო მიზანი იყო ჩაერგოდათ მსმენელთ გარკვეული და ცხადი იდეები, რის მეოხებითაც შესძლებოდათ შემდეგში გარკვევა სხვადასხვა პედაგოგიურ მიმართულებათა შორის. სხვადასხვა მიმართულება მიმდინარეობათა შედარების საშუალებით გამორკვეულ იქნა საერთო საფუძვლები ახალ სკოლისა. მოხდენილი იყო ანალიზი სხვადასხვა ავტორის შეხედულებისა შრომაზე, როგორც მეთოდსა და

რიგორც პრინციპზე. რასაკვირველია, არ იყო დავიწყებული შეხედულებანი მონტესორისა და ჰოლლისა და საჭირო შემთხვევებში ლექტორები ეხებოდენ საერთო პედაგოგიას, ფსიქოლოგიას და ბავშთა ფსიქოლოგიას სკოლის ასაკამდე. ცალკე ლექციის სახით წაკითხული იყო სწავლება კომპლექსური მეთოდით და „დალტონის გეგმა სკოლაში მუშაობისა“. შრომის სკოლის სწავლების საფუძვლების საუკეთესოდ შესათვისებლად მივმართავდით მოხსენებებს, რომელთაც ადგენდენ მსმენელნი.

მსმენელების საშუალებით გაშუქებული იყო სხვადასხვა პედაგოგიურ მოძღვრების პრაქტიკული მხარე და პედაგოგიურ ავტორიტეტების თვალსაზრისი. სულ წაკითხული იყო 10 მოხსენება და დამზადებული კიდევ რვა.

ბავშის ფსიქოლოგია და სკოლის ასაკამდე აღზრდა შრომის სკოლაში.

იხ. ამ კურსის ლექტორის კონსპექტი კრებულ „ახალ სკოლისაკენ“, ნაწ. 1. ამ საგნების კურსს დიდი გაშუქება შეაქვს ახალი და ძველი სკოლის განსხვავების სრულ შეგრძნობაში.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა.

დროს სიმცირის გამო მათემატიკას მიაკუთვნეს მხოლოდ 45 საათი 74 მაგიერ. კურსი განაწილდა ორად: თეორიული და მეთოდების შესწავლა. თეორიულ ნაწილში იხილებოდა შემდეგი საკითხები: დაკავშირება ბუნების ზოგიერთ მოვლენებისა, შედგენა დიაგრამებისა და გრაფიკებისა, ზომვა, მეტროლოგია, კოორდინატები და სხვა, სარგებლობა გეომეტრიისათვის მონტესორის დიდაქტიური მასალით, მათემატიკური გასართობები.

მეორე ნაწილში გარჩეული იყო ახალი მეთოდები: ლაბორატორიულ კვევითი და კომპლექსური, გაკვეული იყო დაკავშირება მათემატიკისა ბუნებასთან და სხვა საგნებთან. ადგენდენ გაკვეთილების გეგმებს, აღნიშნული იყო განსხვავება ძველ და ახალ მეთოდებს შორის და ის ცვლილებანი, რომელნიც უნდა შეტანოს ახალმა მეთოდებმა.

მსჰენელებისათვის ახალ საკითხს შეადგენდა ზოგიერთი მეთოდი ერველი ათეულის შესასწავლად,—მარტივი წილარები (ნაწევრები) პირველ ოთხწლედში გრაფიკული მეთოდით და საანგარიშოს მოხმარებით, თვით მეტრიული სისტემა და სხვა.

მათემატიკის შესწავლის დროს ვსარგებლობდით ხელგარჯილობით, მზადდებოდა თვალსაჩინო ხელსაწყოები გეომეტრიისათვის და ანგარიშისათვის. გაკ თებული იყო სხვადასხვა სათამაშოები (ლოტო და დომინო), მონტესორის ჩასაწყობები, მრავალი გეომეტრიული ტანი და სხვა.

სკოლის პირველი წლის კურსი ფორმისა და რიცხვისა გარჩეული იყო სკოლის ასაკამდე აღზრდის ლექტორთან ერთად.

ბუნებისმეტყველება

ამ საგნის 30 საათი განაწილებული იყო ამგვარად: 14 საათი თეორეტიული კურსი და 16 ს. მეთოდიური. პირველი გაშუქებულ იქმნა ბიოლოგიურ თვალსაზრისით შემდეგი გეგმით: 1. ცოცხალი და მკვდარი, 2. ცოცხალი ნივთიერება, 3. სიცოცხლის წარმოშობა, 4. უჯრედი, 5. კვება, 6. მოძრაობა, 7. ენერგიის დახარჯვა, 8. მასალის გადატანა ორგანიზმში. ცხოველები და მცენარეები, 9. გამოყოფის ფუნქციები, 10. მგრძნობიერება, 11. გამრავლება, 12. მემკვიდრეობა, 13. ევოლიუციის თეორია, 14 ადამიანის წარმოშობა.

მეცადინეობა უმთავრესად მიმდინარეობდა ლექციური სისტემით და ვრცელი ბაასით ამა თუ იმ საკითხზე მსმენელებთან. ზოგიერთი საკითხი იყო დამუშავებული მსმენელთა მიერ რეფერატების სახით (მაგ., ორგანიულ ბუნების წარმოშობა, კვება და სხვა).

დიდ დახმარებას გვიწევდა მიკროსკოპი, ცდები და საბუნებისმეტყველო სურათები. ამ გეგმით მსმენელებს ვიეცათ საშუალება გარკვევით წარმოედგინათ ბუნების მიზანშეწონილობა, ბუნების შესწავლა ბიოლოგიურ თვალსაზრისით და გაგება ყოველ ცხოველყოფილ პროცესებისა ორგანიზმში. მსმენელებს ლექციების დასასრულს საკუთარი ჰქონდათ გამორკვეული ერთგვარი მსოფლმხედველობა ბუნებისმეტყველებაში. მეთოდიურ კურსის საფუძვლად აღებულ იყო ბუნ. მეტყვ ოთხწლედის პროგრამა შრომის სკოლისა. შესწავლილი იყო ყოველ მხრივ ეს პროგრამა წლების მიხედვით თანდათანობით განვითარების და გაღრმავების საშვალებით. შესწავლილი იქნა მეთოდები: კომპლექსური (დაძუშავებულ იყო კომპლექსი „გლეხის კარმიდამო“, „ცხენი“.), ბიოლოგიური (დაიწერა და გაირჩა ორი თემა), მოკლედ გაიცანეს მსმენელებმა მეთოდების განვითარების ისტორია. მსმენელებთან ერთად შემუშავდა პროგრამა სოფლის სკოლების საბალო მუშაობის წარმოებისა

მისი თანდათანობით განვითარებით, რომელიც ბავშს გააგებინებს მსოფლმხედველობას ევოლიუციონურ თეორიის თვალსაზრისით. პროგრამის შესწავლის დროს მსმენელების მიერ დაიწერა რამდენიმე თემა სკოლის მიზნების შესახებ ამასთანავე მათი ყურადღება მიქცეული იყო სხვადასხვა ღირსშესანიშნავ კერძო საკითხებზე (ცდების მეთოდიკა, ცხოველების გაჭრა, ბუნ მეტყვ. დღიურები და სხვა). შესდგა რამდენიმე საჩვენებელი ექსკურსია იმ ძიზნით, რომ მსმენელებს გაეცნოთ თვით მეთოდი შესწავლითი ექსკურსიებისა. სავსებით შეიგნეს აღმზრდელობითი და განვითარებითი მეთოდები, ზოგიერთმა მსმენელმა გააკეთა მოხსენება ამ ექსკურსიების შესახებ. ლექციების კითხვის პარალელურად იკითხებოდა რეფერატები, მაგ; „ორგანიული ფორმების განვითარება", „ცხოველების მფარველი ფერადობა" და სხვა მრავალი საკითხი, ამოკრებილი წაკითხულიდან. ლექციების დასრულებისას ორმა თუ სამმა მსმენელმა წარმოადგინა დაწვრილებითი კონსპექტები მოსმენილ ლექციებისა. ამასთანავე ხელგარჯილობის მასწავლებლის ზედამხედველობით მომზადდა რამდენიმე საბუნებისმეტყველო კედლის სუოათი და დიაგრამა. მიუხედავად მასალის სიმრავლისა და პროგრამის სიდიდისა, მსმენელებმა გამოიჩინეს დიდი ინტერესი და აქტიობა.

საზოგადოებათმეცნიერება[1])

ეს საგანი სრულიად ახალი იყო კურსანტებისათვის, თუმცა მისი ელემენტები მათ უკვე გაცნობილი ჰქონდათ. მიუხედავად უკანასკნელისა, ამ საგნის სიახლე მეთოდების მხრივ, მისი მთავარი სიძნელე ბევრისთვის გაუკვებარი დარჩა. კონტრასტების მეთოდი, რომელიც შეადგენდა საგნის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს, მათ ადვილად გაიგეს, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში და განცდებში წარსული ელემენტების პოვნა მათთვის ძნელი აღმოჩნდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: დიდი დრო და ხანგრძლივი პრაქტიკა სჭიროდება კაცს, რომ ეს შეითვისოს იმდენად, რომ მოახერხოს მარტივად და მკაფიოდ ბავშებისადმი გადაცემა. ამიტომ რეფერატებში მსმენელები კულტურულ-ისტორიულ მოვლენებს სწორად აღნიშნავდენ, მაგრამ მათი ნაშთების პოვნა და ამ სახით შრომის მეთოდის და საკუთარი დაკვირვების გატარება უძნელდებოდათ. ჯერჯერობით ეს ასეც იქნება, რადგანაც ხანგრძ-

[1]) იხ. ამავე ნომერში ამ კურსის ხელმძღვანელის პროფ. გ. ნათაძის წერილი: „საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში".

ლივი მუშაობაა საჭირო, რომ ეს აზრი მათ შეგნებაში რიგიანად გა-
ითქვიფოს. ამჟამად კი მიზანი მიხწეული არ არის, ვინაიდან კურსან-
ტები ჯერჯერობით საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის გავლას 1-4
წელს ვერ შესძლებენ, ვერ გაატარებენ საზოგადოებრივ წყობილების
შესწავლას თანამედროვე ცხოვრების და უშუალო დაკვირვების საშუა-
ლებით. მათ თვითონ არ იციან, თუ როგორ და სად უნდა ეძიონ მთა-
ვარი ძარღვი თანამედროვე გლეხის თუ მუშის ცხოვრებისა და როგორ
უნდა გაარჩიონ ერთმანეთში ძველის ნაშთი და ახალი, სოციალურ
ურთიერთობაზე დაფუძნებული შრომა. ამიტომ ის რევოლუცია, რო-
მელსაც სწავლა-აღზრდის საქმეში ახდენს ამ საგნის შეტანა და მისი
ახალ ნიადაგზე დაყენება, კურსანტებისათვის ჯერჯერობით თითქმის
გაუგებარი დარჩა. რაც შეეხება შრომის პროცესებს, ამ საგანთან დაკავში-
რებით, ნაწილი ამისა გავლილი იყო ხელგარჯილობის გაკვეთილებზე
სათანადო მასწავლებელთა შეთანხმებით, მაგრამ ყველაფრის გაკეთება
ვერ მოესწრო. ამიტომ ამ საგანს მომავალში განსაკუთრებული ყურა-
ღღება უნდა მიექცეს. რეფერატები საკმაოდ იყო წარმოდგენილი. ყვე-
ლა რეფერატებს ერთსადაიმავე დროს ჰქონდა თეორიული და მეთო-
დიური ხასიათი.

საშობლო ენა.

ლექციები სამშობლო ენისა იკითხებოდა განათლების კომისარი-
ატის პროგრამების მიხედვით. ამ საგნისათვის გადადებული 24 საათი ამ-
გვარად იყო განაწილებული: 8 საათი დაეთმო ძირითად ცნებებს და
ენათმეცნიერების ფაქტებს, 8 საათი ახსნით კითხვის მეთოდიკას,
ზეპირ კითხვის და წერის განვითარების მეთოდიკას, 8 საათი წერა-კი-
თხვის სწავლებას; შესწავლილ იქმნა შემდეგი საკითხები:

1. უმთავრესი დებულებანი ფსიქოლოგიური სკოლისა და მათი გავ-
ლენა ენის მეთოდიკაზე.

2. უმთავრესი ფაქტები ფონეტიკისა, მორფოლოგიისა და სინტაქ-
სისიდან შრომის სკოლაში გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით.

3. მეთოდიკა ახსნითი კითხვისა; ფორმალური მეთოდი მხატვრულ
ნაწარმოების გარჩევაში.

4. ზეპირ კითხვის და წერის განვითარება მოსწავლეებში, ბავშის
ფსიქოლოგიის და შრომის სკოლის მიზნების მიხედვით.

5. მეთოდიკა წერა-კითხვის შესწავლისა ბგერითი მეთოდით, მეთო-

და „ბოლიანი სიტყვებისა“ და მონტესორის მეთოდი.

მსმენელთა მიერ აქტიურ მოხაწილეობის საშუალებით სავსებით გაშუქებულ და შესწავლილ იქნა ზევით დასახელებული საკითხები. დიდი დახმარება გაგვიწია რეფერატების კითხვამ, რომელნიც შეეხენ თითქმის ყოველ საკითხს ვრცლად და გარკვევით. საერთოდ სამშობლო ენის ლექციებმა მისცეს მსმენელებს წარმოდგენა შრომის სკოლის მოთხოვნილებებზე სამშობლო ენის შესწავლაში და რადგან ყოველი მეთოდი განხილული იყო თავის ღირსების და ნაკლოვანების წიაღში, მათ მიეცათ სტიმულები დამოუკიდებელ მუშაობის წარმოებისა ახალ სახით და მიმართულებით.

კურსების დამთავრებისას ლექტორთა შორის აღიძრა ფრიად საყურადღებო აზრი: შეეგეს ახლავე გეგმა მომავალ ზაფხულის მოკლევადიან კურსების ორგანიზაციისა, რისთვისაც უნდა ვისარგებლოთ იმ გამოკვლევებით და დაკვირვებით და აგრეთვე კურსანტების ანკეტებით, რომლებიც მოგვცა წრევანდელმა კურსებმა. ამ აზრის განსახორციელებლად ამორჩეულ იქმნა ლექტორთა საბჭოს 31 აგვისტოს სხდომაზე კომისია 5 პირისაგან, კურსების გაშგის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრთ — ნათაძეს და ვოლკოვს — დაევალათ გადაეხუშავებიათ ორთავე ჯგუფის კურსანტების ანკეტები და შედეგი მოეხსენებინათ კომისიისთვის. ანკეტების შესწავლამ ცხად ჰყო, როგორც ღირსებანი, ისე ნაკლოვანებანი მანგლისის კურსების ორგანიზაციისა.

I. ნაკლოვანებანი სასწავლო გეგმისა:

1) საგნების სიჭრავლე და მოკლე ვადა სწავლისა.

2) შეტანილ იქნას სასწავლო გეგმაში: ხატვა, სიმღერა და მეთოდიკა კომპლექსურ სწავლებისა.

3) სწავლების გეგმა სრულდებოდეს თანდათანობით (ერთდროულად შეტანილ იქმნას მცირე ჯგუფი საგნებისა).

4) კურსები მოეწყოს სწავლის გათავებისთანავე.

5) საჭიროა გაძლიერება მეთოდიკის სწავლებისა.

II. ნაკლოვანებანი სწავლებისა:

1) სჭარბობდა ლექციონური სისტემა.

2) უკავშირობა პროგრამებისა და სხვადასხვაობა მასწავლებლების შეხედულობათა.

3) დიდუქტიური მეთოდის შეუტანლობა.

4) უქონლობა მაჩვენებელი კლასისა და სილარიბე ბიბლიოთეკისა

5) შედარებით მცირერიცხოვანი ექსკურსიები და ნაკლები პრაქტიკული მეცადინეობა.

6) მოთხოვნილება ყოველკვირ. სანიმუშო გაკვეთილის წარმოებისა

7) მოთხოვნილება დალტონურ გეგმისა.

8) აუცილებლობა ჯგუფობრივ მეცადინეობისა.

III. ნაკლოვანებანი საადმინისტრაციო აპარატისა:

1) სასადილო არ იყო მოწყობილი.

2) მცირე იყო დღიური ფული და მისი ეკვივალენტი ბონების ფასის მიხედვით.

IV. დადებითნი მუშაობათა:

1) შეგნებულია ნათლად ახალი სკოლა.

2) მიცემულია იმპულსი ახალ სკოლაში სწავლებისა.

3) განახლება მსოფლმხედველობისა.

4) კარგი შედგენილობა ლექტორებისა.

5) მეგობრული და მზრუნველობითი დამოკიდებულებანი ლექტორთა და მსმენელთა შორის.

6) საგანთაგან მსმენელების მიერ მოწონებულ იქნენ: სწავლა შრომის სკოლაზე, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომია და ქართული სიტყვიერება.

მიიღო რა მხედველობაში ზემოხსენებული კომისიამ, დაასკვნა თავისი სურვილები, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალში საუკეთესო, უნაკლო და ყოველმხრივ საკმარ კურსები:

I. თეორეტიული სწავლა უნდა შეიცავდეს დღეში მარტო 4 საათს, რათა დანარჩენ დროს შესაძლებელი იყოს განხორციელება სტუდიურ მეცადინეობისა, რომელიც სავალდებულო იყოს ყველასთვის.

II. რადგან მსმენელებს აღმოაჩნდათ სრული მოუმზადებლობა პოლიტიკურ საგნებში, სჯობია შეტანილ იქნას პროგრამაში სწავლება ფართოდ პოლიტსწავლებისა და ბაასი მიმდინარე მომენტებზე, რითაც განხორციელდება პრაქტიკული შეფარდება თანამედროვე ცხოვრებასთან თეორეტიულ დასკვნით, რომელიც მიღებული იქნება პოლისტწავლების გაკვეთილებზე.

III. პედაგოგიური საგნები შეკვეცილი იყოს სამ მხრივ:

1) საგნების შეერთებით; მაგ.: პრინციპები თვითმართველობისა და ორგანიზაცია საკლუბო მუშაობისა.

2) შეტანის გზით, მაგ.: ა) მეთოდიკა შრომის პრინციპების სწავ-

ლებისა შეტანილ იქნეს მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებაში და სამ. შობლო ენაში.

ბ) სტატისტიკის პრინციპები მათემატიკაში.

გ) გამოკლების გზით; მაგ.: საერთო სწავლა შრომის სკოლაზე, რადგან ძირითადი დებულებანი საკმაოდ ნაცნობია საერთოდ და თანაც თითქმის ყოველ საგანში შეხვდებით ამ საგნის დებულებათ.

საჩვენებელი სკოლები აუცილებლივ უნდა იყოს დაარსებული მომავალ კურსებზე. რაც შეეხება სხვადასხვა ცალკე საგნებს, მანგლისის კურსებმა ნათელ-ჰყო, რომ არ შეიძლება შემცირდეს საათები ბუნებისმეტყველების და სამშობლო ენისა. განაწილება ლექციებისა უნდა ხდებოდეს საგნების კონტაკტების მიხედვით; რაც შეიძლება აშორებულ იყოს ერთ განსაზღვრულ დროს თავშეყრა ბევრი საგნისა და დაცული იყოს შინაგანი კავშირი და ბუნებრივი თანდათანობა.

მანგლისის კურსების გამოცდილების მიხედვით შეტანილ იყოს გეგმაში ხელგარჯილობა მისი ყოველი გამოხატულებით სხვადასხვა დარგებში, რათა შეეტყოს თვით კურსანტებს სათანადო მომზადება.

IV. შემუშავდა თვით სქემა კურსებზე მუშაობისა:

1) ბიბლიოთეკა გაფართოვდეს.

2) დამზადდეს სამოსწავლო წიგნები და საჩვენებელი მასალები.

3) საზაფხულო სკოლები — სანიმუშო გაკვეთილების მისაცემად, როგორც ლექტორთა ისე კურსანტების მიერ.

4) მ-ღებული იყოს ლექტორების მიერ პრინციპები დალტონის გეგმის, რათა შემცირდეს ლექციონური სისტემა და გაძლიერდეს აქტიობა კურსანტებისა.

5) შეთანხმება ლექტორთა თვალსაზრისთა პედაგოგიურ იდეებში; ამისათვის საჭიროა მეტი ინტენსიური მუშაობა საბჭოების კომისიების სახით.

6) ექსკურსიების მოწყობა ცალკე ყოველ ლექტორის მიერ საერთოდ და კერძოდ. გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი წარმოებანი.

V. გაუმჯობესება საადმინისტრაციო-სამნეო აპარატისა, რათა კურსანტების შრომა იყოს ნაყოფიერი, ისინი ჩაყენებული უნდა იყვნენ შესაფერ მატერიალურ პირობებში:

1) დღიური ფული კურსის მიხედვით;

2) მოეწყოს სასადილო,

3) ქსენონი ავადმყოფთათვის და პატარა აფთიაქი.

კურსების გამგე ს. ბერეჟიანი.

ტფილისის მე-14 შრომის სკოლის კამგე.

II ლეჩხუმის მაზრის კურსების ანგარიშიდან.

ექსკურსიების ნიმუში

ვინაიდან მსმენელნი, ხელსაწყოების და შესაფერ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო უნუგეშოდ უყურებდენ თავის მომავალ მუშაობას, უმთავრესი ყურადღება კურსებზე მეცადინეობის დროს დათმობილი ჰქონდა: 1—რომ მასწავლებელნი შეჩვეოდენ **ადგილისა** და **ბუნების მიერ მოწოდებულის სამოსწავლოდ გამოყენებას,** 2—მათში ენერგიისა და საგნისადმი ინტერესის გაღვიძებას სკოლის საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად. ყველა ამისათვის სხვათა შორის დავინახეთ საჭიროდ **ადგილობრივი წარმოების შესწავლა,** ხატვა-ძერწვის, როგორც დამხმარე საგნის, გატარება და **ექსკურსიების მოწყობა.**

1 ექსკურსია ლაილაშსა და მის მიდამოებში.

(ოთხდღიური ექსკურსია).

ჩვენი ექსკურსიის მიზანი იყო სოფ. ლაილაშისა და მისი მიდამოების გაცნობა. ამისთვის ჩვენ გავედით 13 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, თითქმის ყველა ლექტორები და კურსანტები, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი. თვითეულ ჯგუფს თითო ლექტორი მიყვებოდა და ახსნა-განმარტებას აძლევდა. საერთოდ ვცდილობდით, რომ ერთიანობა არ დაღვეულიყო და ყველას გაეგონა, რაც გასაგონი იქნებოდა.

პირველი დღე. ჯერ გავიარეთ მურის ხიდი, რომელზედაც გადის გაღმა-გამოღმა უბნების შემაერთებელი ქ. ცაგერის ერთადერთი გზა. იქ კურსანტების ყურადღება მივაქციეთ შვეულად ამართულ ცარცის პერიოდის ფენებს („მურის კიდები"), რომელთაც დღევანდელი მდებარეობა მძლავრი ოროგენიული პროცესების შემდეგ მიეღია. ბევრ მსმენელში დიდი გაოცება გამოიწვია იმ გარემოების ახსნამ, რომ ეს ფენები ღრმა ზღვის ფსკერზე ყოფილა ოდესღაც დალაგებული და ჰორიზონ-

ტალური მდებარეობა ჰქონიათ. ყველას ეტყობოდა ერთნაირი სიხალისე და, თუ ასე შეიძლება ითქვას, სიხარულიც.

სოფ. ჩხუტელს ვუახლოვდებით, ზემოდან მურის ციხე და კოშკები დაგვცქერიან, სამხრეთით მოსჩანს „სარეწკელას ხევი" და ცაგერის ვაკე, სადაც მდ. ცხენის-წყალი თეთრი ძაფივით მიიკლაკნება მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში, რომლის ირგვლივ 200 კილომეტრის მანძილზე გაშლილია ძლიერ ნოყიერი შლამიანი ველა, სიმინდის ყანებით მოფენილი. უფრო ზემოთ მოსჩანან ცაგერის გორაკები, ბაღებით, ვენახებითა და ფიცრული „პალატიანი" ოდებით შემკული. სოფ. ჩხუტელში ვეთვალიერებთ ნ ი ა დ ა გ ს, რომელიც ზვავებით ჩამოტანილ მასალებისაგან შესდგება; ამიტომ თიხა და ქვა-კირი, რომელიც კუთხოვანია და არა მორგვალებული, ვინაიდან წყალს არ ჰქონდა საშუალება მათი გახეხვისა, ერთმანეთშია არეული. თვით სოფ. ჩხუტელი მგონია ამიტომაც დარქმევია (ჩხუტერ-ქვოვანი — щебнистые).

გადავიარეთ პატარა გორაკი და ერთი პატარა ნაკადის კალაპოტს ავყევით, გვინდოდა გვეჩვენებინა მსმენელებისათვის, თუ რა დიდი ეროზიული ძალა ჰქონია ამ პატარა ნაკადს. აქ როუ (რგვალ) ქვებში ვნახეთ გაქვავებული, უფრო კარგად რომ ვსთქვათ, განახშირებული ხ ი ს ძ ი რ ი ს ნაწილი. გეოგრაფიის ლექტორმა აუხსნა მსმენელებს, თუ როგორ ჩნდება ქ ვ ა-ნ ახ შ ი რ ი, რადარა სახეებს ღებულობს გეოლოგიურ პირობების გავლენით, რა დამოკიდებულებაშია იგი ნავთობის წყაროებთან და რა საბადოებთან და რადარა პერიოდში მოიპოვება მათი საბადო. აქ თვით მსმენელებმა მიგვითითეს, რომ სოფ. ორბელის ზემოთ არის ქვანახშირის საბადო და მისი ნიმუში წაღებულია საანალიზოდ ქუთაისის ლაბორატორიაში. ლექტორმა აუხსნა მათ, რომ ეს არის ტორფი, რომ გორც აღნიშნულია გეოლოგიურ რუკებზე. იქმნა აღნიშნული და ახსნილი, რომ ქვანახშირის საბადოები საქართველოსა და საერთოდ მთელ კავკასიაში მოქცეულია შუა-იურას ფენებში, (ტყვარჩელი, ტყიბული, ბზიბი და სხვა) ხოლო ამ ადგილზე ეს ფენები არ მოიპოვება, არამედ გავრცელებულია ცარცის, ქვემო და ზემო კაინოზოური და უფრო ახალი დროის ფენები. მოხსენებული იქმნა აგრეთვე ტორფის გავრცელება ფოთის სანაპიროებსა და მდ. ხობის ხეობაში, მათი მარაგი და სარგებლობა.

ნელი სიარულით და საუბარით მივედით ცაგერის ჩაღრმავებისა და ახალ-ჭალის შუა მდებარე წყალგამყოფ მურის ულელტეხილზე, რომ-

ლის სიმაღლე 700 მეტრი მაინც იქნება ზღ. დონედან. აქედან მშვენივრად მოსჩანს თითქმის მთელი ლეჩხუმი, ხვამლის მთა, ასხი და სხვა. ჩვენ ახლა მდ. ლაჭანურას ხეობაში ჩავედით მთის ფერდობზე მიმავალ ბილიკით, რომელსაც მივყავართ ჯერ ორბელის ციხეზე, შემდეგ ჭალაში, რომელიც რიყიანია. ორბელის ციხის ირგვლივ გორაკს ფერდობებზე გაშენებულია სოფ. ორბელი, შემკული ბაღებით, ვენახებით და საყანეებით. ქვემოთ, ვაკეზე, პატარა ბაზარია და ორბელის თემის სამმართველო.

ორბელის ციხის დათვალიერებას $1^1/_2$ საათს მოვუნდით, იგი უფრო კარგადაა შენახული, ვიდრე ხსენებული „მურის ციხე". ყველა კოშკები და საცხოვრებელი ბინა მთელია, ხოლო ალაგ-ალაგ დაბზასული. ხატვის ხელმძღვანელმა ფანქრით გადაიღო სურათი მსმენელებმა მისი აშენების დრო იკითხეს - რაზედაც განმარტებულ იქნა, რომ ძველად აქ ყოფილა ციხე-თუ არა, არ ვიცით, ხოლო სათოფეებზე ეტყობა, რომ ეს ციხე აშენებულია არა უადრეს XV-ე საუკ. და ერთი მფლობელიდან მეორის ხელში გადადიოდა. ეს ციხე ბატონობდა მთელ ახალქალის დაბლობს და სდარაჯობდა ზემო ლაჭანურას აუზს.

ციხის დათვალიერების შემდეგ ეკლესიის გალავანში შევედით დასათვალიერებლად. იქ გეოგრაფიის ხელმძღვანელმა მსმენელების ყურადღება მიაქცია იმ ქვებს, რომელიც ყ ო რ ე დ ჰქონდა შემოვლებული ეკლესიის სასაფლაოს ეზოს, აუხსნა, რომ იგი ეკუთვნის ცარიელ ფენებს, ჩამოტანილს იმ კლდეებიდან, რომელნიც ზემოთ მოსჩანან. სთხოვა ყურადღებით დაკვირვებოდენ. პირველ შეხედვით მსმენელებმა ვერაფერი შეამჩნიეს საინტერესო, მაგრამ როცა ლექტორმა უჩვენა ზოგიერთ მათგანზე გაქვავებულ მოლიუსკებისა (რბილტანიანების) და მოლიუსკოიდების ნიჟარები, მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. აქ დაიწყო ჩვენი „ქვებთან საუბარი". ბევრი ძებნის შემდეგ იმდენი ნიმუში შევაგროვეთ, რომ ყველას ერგებოდა, ხოლო ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა მათში ე. წ. ბრახიოპოდები, (ხელფეხოვანები) მოლიუსკოიდები, და მეტადრე ქ. წ. ესინოდერმატები (ეკალკანიანნი)— (ზღვის ძღარბის გვარი). ამ უკანასკნელ გვარის სულ ექვსი ცალი ვიპოვეთ, კარგად შენახული. მათი და ყველა ნაპოვნი გაქვავებულების სპეციალური გამორკვევა შეიძლება მხოლოდ ატლასებისა თუ წიგნების საშალებით. (სულ შევაგროვეთ 20 გირვანქამდე გაქვავებული). აქვე

ახსნილი იქნა მსენელებისთვის გაქვავებულებისა და ნიკარეულის შენახვისა და ე. წ. ფოსილიზაციის პროცესები. ამ ნაპოვნებმა კურსანტებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ვინაიდან მათ თვითონ იპოვეს, გამოტეხეს, გაწმიდეს და ამნაირად მათ სინამდვილეში დასურათებულ ექმნათ წინად თეორიულად ახსნილი და გაგონილი.

პატარა დასვენების შემდეგ ჭალაში ჩამოვედით — გავიარეთ მდინარე ლაჭანურას რიყე, რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შესდგება მოსახლეობა, როგორც საზოგადოდ დას. საქართველოშია წესად, გაფანტულია. ყოველ მოსახლეს უსათუოდ აქვს თავის სახლ-კარის ირგვლივ საეზოვე მიწა, საყანე და საბოსტნე-სავენახე. თუმცა საყანეები შორსაც აქვთ, მაგრამ ეზოსთან მათი მიწის ერთი ნახევარი მაინც იმყოფება. სახლები მშვენიერ ფიცრულ „პალატიან" ოდებს წარმოადგენს, რომელნიც ყველგან ყავრითაა გადახურული. (კრამიტს აქ არ წვავენ); ეს ოდები ძლიერ ლამაზია, ჰიგიენური და საცხოვრებლად მეტად მოხერხებული, ვინაიდან ორი მხრივ მაინც აქვს ფართო აივანი, (სადაც სიცოცხლის ერთ ნაწილს ატარებენ — დასასვენებლად, სასიამოვნოდ, საქეიფოდ.) ლაილაშის თვით ცენტრი გაშენებულია საკმაოდ ფართო ვაკე გორაზე და მეტად ლამაზი, მდებარეობა აქვს იგი მდებარეობს 850 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. ჩრდილოეთით მას საზღვრავს ლაილაშის მთა, რომელიც აღმოსავლეთით გაგრძელებაა გოლაიას, მურისა და ორბელის მთებისა. ჩრდ. აღმოსავლეთით შემოუვლის პატარა უსახელო ნაკადი და დასავლეთით მდ. ლაჭანურა. ლაილაში საკურორტო ადგილად ითვლება და ყველანი — ლექტორები და კურსანტებიც, ადგილობრივი მცხოვრებლებიც ძლიერ ვწუხდით, რომ კურსები აქ არ იყო მოწყობილი ცაგერის ნაცვლად. აქ პატარა ბაზარია, სადაც ებრაელები ვაჭრობენ, ქართველები კი მარტო ხელოსნობას მისდევენ.

ამ სოფლის დათვალიერებას და ბინაზე მისვლას მოვუნდით დაღამებამდე. მსმენელებს გზა-გზა ვაცნობდით, თუ როგორ უნდა აწარმოონ ექსკურსია თავის მოწაფეებთან, რას უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ არ გამოსტოვონ უყურადღებოდ არც ერთი მხარე ბუნებისა, ეთნოგრაფიის და ისტორიისა.

ჩვენი ბინა ამ ლამისთვის სკოლაში იყო, რომელიც სოფლის განაპირას მდებარეობს: კარგი ქვიტკირის შენობა, რომელსაც ახლა რემონტი ეტივრება; მშვენიერი ეზო, რომელსაც სამხრეთით დიდი დალმართი აქვს.

მეორე დღეს, 14 აგვისტოს, კურსანტებმა და ლექტორებმა დაი-

სვენეს, ვინაიდან ბევრი მათგანი შეუჩვეველი იყო ქვეითად მგზავრობას. დილას, საუზმის შემდეგ, დავათვალიერეთ სკოლის მახლობლად მდებარე მთა, რომლის სამხრეთი ფერდო, როგორც სკოლის ეზოს ფიდეკ, ჩამორეცხილი იყო ნიაღვრით, ნაკადით და მეწყერით. აქ ახსნილი იქმნა, რას ეწოდება მეწყერი, როგორ ჩნდება იგი და სხ. შემდეგ, რომ დრო ტყუილად არ გაგვეცდინა, წაკითხულ იქმნა ცის ქვეშ ჩრდილში რამდენიმე ლექცია: 1) ვულკანიზმი 2) ტრანსგრესიულ-რეგრესიული ცვლა ოკეანეების სანაპირო ხაზისა, 3) მიწის ძვრა 4) საქართველო და შვეიცარია (შედარება ბუნებისა და ხალხისა) და 5) ექსკურსიის მნიშვნელობა კულტურისა და განათლებისათვის.

ყველა ეს ლექციები თვით კურსანტების შეკითხვის შედეგი იყო და მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად იქნა წაკითხული.

მესამე დღეს, 15 აგვისტოს, დილით 9 საათზე გავემგზავრეთ ლაილაშის მთის დასათვალიერებლად. იგი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, გაგრძელებაა გოლიაი-მურის და ორბელის მთებისა და შესდგება იმავე ცარციულ ფენებიდან, ხოლო ჩრდილოეთით ამ ფენების ქვეშ მოსჩანს ზეჰო იურასიული ფენებიც საკმაოდ დიდ მანძილზე, რომელიც განსხვავდება პირველიდან (თეთრ-კირნარიდან) მით, რომ ქვიშა-თიხნარს წარმოადგენს, მუქი რუხი ფერისაა, ადვილად იფშვნება და ფხვიერდება და ქმნის რუხი ფერის თიხნარიან ნიადაგს.

ლაილაშის მთის სიმაღლე 1200 მეტრზე მეტია; 3 საათის სიარულის შემდეგ მივედით პატარა უღელტეხილზე, სადაც მოსჩანან იურასიული ქანები. აქვე, ამ ფენების ზემოთ მთის ჩრდ. ფერდოზე გამოდის პატარა წყარო — ციკი. მჩატე და ანკარა. აქ ახსნილ იქმნა, რომელი ფენა უფრო იქერს წყალს: თიხა, კირნარი თუ სხ. მსმენელებმა ნათლად დაინახეს, რომ ზემოთ მდებარე კირნარი დაფენილია იურასიულ ქვიშა-თიხნარზე, რომელსაც წყალი არ გაუავს და წყარო იქ ჩნდება, სადაც წყალუმტარი ანუ წყალუჟვენი ფენი იწყება. ახსნილი იქმნა აგრეთვე ე. წ. არტეზიული ჭების წარმოშობა.

ამ უღელტეხილიდან მშვენივრად მოსჩანან ხვამლი, ქვემო რაჭა, ნაქერალა, სვანეთის მთები, კავკასიონის ქედი, ლეჩხუმი და ახალციხის მთა. შორს, შორს, ცის დასავლეთზე მოსჩანს აჭარა-ახალციხის მთები, ჩრდილოეთით კი ლანჭორის ანუ ზემო-ლაჩანურას აუზი, რომელიც ულრანი ფოთლეული ტყეებითაა მოსილი. აქ ახსნილ იქნა, თუ როგორ ჩნდება ნაკადი, რას ეწოდება მიმდები აუზი, რომლის საუცხოო მაგალითი თვალ წინ გვქონდა, და სხ.

ტყეების შესახებ მსმენელებმა ლექტორს კითხვა დაუსვეს—რით აიხსნება. რომ აქ, ამ ხეობაში სამხ. ფერდოზე—სულ ფოთლეული მცენარეულობაა ქვემოდან-ზემოამდე, ბალახის ზოლამდე და გადალმა მხარეს კი ჯერ ფოთლეულია, შემდეგ კი წიწვიანი, შერეული, წიწვიანი ბუჩქები და შემდეგ ბალახიცო. აქ ახსნილი იქნა, რომ საფიქრებელია ამ ხეობაში წინად წიწვიანი მცენარეულობა იქნებოდა გავრცელებული, მაგრამ მათი გამოჩეხვის შემდეგ მათი ადგილი ფოთლეულ ტყეებს დაუჭერია. ამ-სი მაგალითი აქვე გვაქვს თვალ წინ, ლაილაშის მთ-ს სამხრ. და ჩრდ. ფერდო, აგრეთვე გოლაიას მთა, სადაც ახლად გაჩეხილ წიწვიანი ტყის ადგილს იჭერს რცხილა, კოპიტი და წიფელა: არსებობისთვის ბრძოლაში ფოთლეული ტყე სჯობნის.

პატარა დასვენების შემდეგ მივახწიეთ მწვერვალს, რომელიც რცხილის, კოპიტის ახალი ფშიარითაა მოსილი, გვხვდება ძლიერ ხშირად ტყის თხილი (Corulus avelana) რომელიც ჯერაც კი მწიფე არ იყო. მწვერვალიდან კიდევ უკეთ ჩნდა ზემოხსენებული პანორამა, მეტადრე კავკასიონის ქედის ნაწილი—შხარას მთა (საიდანაც ენგური იწყება), თავისი წვეტიანი კბილებითა და თეთრი თოვლის მინდვრებით მოსილი, უფრო ქვემოთ ყინვარებით, რომელსაც ადვილად ვარჩევდით მო-სათვალის საშუალებით.

ამ მუდმივი თოვლის დანახვამ გამოიწვია კურსანტების ცხრილ მრავალი შეკითხვა. საჭირო შეიქნა მთელი ლექციის წაკითხვა შესახებ მუდმივი თოვლის ხაზისა, ყინვარების გაჩენა—გახვითარებისა, მათი გავრცელებისა ძველად და ახლა, შესახებ ყინულოვან პერიოდებისა აზიასა, ევროპასა და ამერიკაში და მათ გამომწვევ და მომსპობ მიზეზებზე. ახსნილ იქმნა, რომ ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთისა და ზემო რაჭის ხეობები ოდესლაც ყინვარებით იყო დაფარული, რომელნიც ახლა გამდნარი არიან, და რის მოწმეებად მ ო რ ე ნ ებ ი დაუტოვებიათ (ეს საუბარი 1.200 მეტრის სიმაღლე მთის თხემზე თითქმის $1^1/_2$ ს. გაგრძელდა). კურსანტები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ ვინაიდან თითქმის ყველაფერი მათთვის ახალი იყო.

რომ კარგი სანახაობა და გადასახედი თვალიდან არ დაგვკარგოდა, მთის თხემს გავყეკით და დასავლეთით მ. ლაჭანურას ვიშრო ხეობით ჩავედით ლაილაშში. ცა მოიღრუბლა. რის გამო ასხია მთა (დასავლეთით) უფრო მაღლად და ახლო მოგვეჩვენა, ალბად წყლით გაჟღენთილი ჰაერის მიერ შეზის სხივების გადახრის გამო. ამაზედაც მსმენელების ყუ-

რადღება იქნა მიქცეული. გზადაგზა ვუხსნიდით მსმენელებს გეოლოგიურ რუქების კითხვას. ლაილაშში დავბრუნდით საღამოს 8 საათზე.

მეოთხე დღეს 16 აგვ. 12 საათ. უკვე ცაგერისკენ დავბრუნდით მხოლოდ სხვა გზით, გეოლოგიური ახალი ხანის, ე. წ. კაინოზოურ ფენებში ვიპოვეთ გაქვავებული ცხოველები უკვე სხვა კლასისა ე წ. ლამელიბრახიიატა ანუ ფიროვანლა ყუჩიანებისა. კურსანტებმა თვითონ მოსტეხეს ნიმუშები და წამოიღეს ცაგერში, 9 საათზე უკვე ცაგერში ვვახშმობდით.

2. ექსკურსია მურის ციხეზე

(ერთდღიური ექსკურსია)

ჩვენი ექსკურსიის მიზანი იყო ღათვალიერება მურის ციხის ნანგრევებისა, როგორც ისტორიული ნაშთისა; ამასთანავე ამ ადგილიდან უფრო ფართო ჰორიზონტი გვეშლებოდა თვალ წინ, ცაგერის ქვაბურის საერთო შთაბეჭდილების მისაღებად.

ეს უკანასკნელი ძველ ნატბაურს წარმოადგენს; იგი ყოველ მხრივ მთებითაა შემოფარგლული, მეტადრე ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სადაც ერთიდაიმავე შემადგენლობის მთები იმყოფება. მურის ციხის გადასვლისთანავე მსმენელების ყურადღება მივაქციეთ **ქანებს** (горные породы), რომლისგანაც შესდგება მურისა და მისი მახლობელი მთები. ქვემო ფენები თეთრი კირნარისგან შესდგება, ხოლო მათ ზემოთ კი ფხვიერი თიხნარი გვხვდება. ახსნილ იქნა, რომ ყველა ქანები ორ ჯგუფად ნაწილდება ა) ამოფრქვეული და ბ) ნალექი. აღნიშნული და აქვე ადგილზე ნაჩვენები იქნა მათი დამახასიათებელი თვისებანი. ნალექი ქანებებას დანახვა ადვილად შეიძლებოდა, ხოლო მკვრივი, ამოფრქვეულ ქანების ნახვა ადგილზე არ შეიძლებოდა; აშიტომ ვისარგებლეთ მდინარე ცხენის-წყლის მიერ ჩამოტანილი მწვანე პორფირიტებისა და დიაბაზების ქვების ჩვენებით. ახსნილ იქმნა, რომ ნალექ ქანს ამორფიული, აკრისტალიური ანაგობა აქვს და გაქვავებულ ცხოველებს შეიცავს, ამოფრქვეულ ქანებს კი ახასიათებს კრისტალიური ანაგობა და ცხოველთა ნაშთებს არ შეიცავენ.

შემდეგი საკითხი იყო ნიადაგის დაკვირვება. მსმენელებს აეხსნათ, როგორ ჩნდება ნიადაგი, როგორ ზონალურ სარტყელ-სარტყელ განაწილებას ღებულობს ის ჰავისა, რელიეფისა და დედა-ქანების გავლენით,

გაარჩიეს ჯერ ჩამონარეცხ-დანალექი მიწები ცხენის-წყლის პირას, ხოლო ადგილობრივ წითელ-ყვითელი მიწები გორაკების ფერდოებზე. **მცენარეულობის** დაკვირვებამ აჩვენა მათ, რომ წინად აქ ტყეები ყოფილა, დღეს კი ეს ტყე გაჩეხილია და პატარა ფშიარისა და ბუჩქნარის სახეს ატარებს მთელ ცაგერის ჩაღრმავებაში. აქ იგი მხოლოდ ერთ ადგილას შენახულა ცაგერის ჩრდილო-დასავლეთით და წარმოადგენს მუხნარს. ალაგ-ალაგ ხვდებით წიწვიან მცენარეებსაც და მათ ნაშთ-ნაძირალებს. აქედან დავასკვნით, რომ წინად აქ წიწვიანი ტყეები ყოფილა და დღეს მათი ადგილი ფოთლეულ მცენარეებს დაუჭერიათ (რცხილა, მუხა, თხმელა, კოპიტი) საინტერესოა, რომ ამ ბუჩქებში გვხდება აგრეთვე ბზა (Buxus sempervilens), რომელიც ახლა ბუჩქია, მხოლოდ ძველ ნაძირალებზე ეტყობა, აქ ხეებისებური (ე. ი. 4 ვერშოკის სისქე) ბზაც ყოფილა გავრცელებული. გაჩეხილი ბზა, ადგილობრივი ცნობების მიხედვით, უცხოეთში გაუზიდავთ.

მურის ციხეზე ასვლას რამოდენიმე საათს მოვუნდით. მაზე პატარა ქვიან ბილიკს მივყავართ, რომელიც მურის მთაზე გადადის. ამ გადასავალზე ხის ჯვარია ამართული. და თვით გასავალს პატარა კოშკი იცავს, რომელსაც ორიგინალური სახელწოდება აქვს: „დახვდი მაგრად“.

თვით მურის მთის მწვერვალზე გაშენებულია ციხე, რომელსაც „ჭკა მაგას“ ქვიან. იგი ძლიერ დაზიანებულია: საცხოვრებელ ბინის სამხრეთი კედელი ჩამონგრეულია, დანგრეულია აგრეთვე სამხრეთის კოშკი ისე, რომ სათოფეები არ შენახულა, ჩრდილოეთის ორი კოშკი კი თითქმის მთლიანადაა შენახული. ამ მთავარ ციხეს დასავლეთით პატარა კოშკი ახლავს — „არ გაუშვა“, რომელიც ცხენის-წყალს დასცქერის და მიმავალ გზას სდარაჯობს. ასე რომ მურის ციხე და კოშკები იცავდენ სვანეთის გზას და ბატონობდენ ცაგერის ქვაბურზე. მათი აშენების ხანა გამორკვეული არ არის. მხოლოდ მუხის ჭერები, რომელიც ალაგ-ალაგ საკმაოდ კარგადაა შენახული, გვიჩვენებს, რომ ახლობელ დროის უნდა იყოს (არა უადრეს მე-XV საუკუნისა) ციხეში მოთავსდებოდა 80—100 კაცამდე. თვით შენობა სუსტია, ვინაიდან კირი ისეთი კარგი არ არის, როგორიც ახასიათებს იმერეთის და ქართლის ციხე-კოშკებს (მაგ. ბაგრატ მე-III-ს ტაძრისას, ქ. ქუთაისში). კედლების დანგრევა ადვილია, ციხე დღე-დღეულად თანდათან ზიანდება, თუ პატარა რემონტი არ გაუკეთდა, როგორც ისტორიულ ნაშთს. ეს კიდეც გადაწყვეტილი ყოფილა საეთნოგრაფიო კომისიის მიერ, რომელსაც 1910 წ. მოუვლია სვანეთი, მაგრამ ეს

გადაწყვეტილება ქალალდზე დარჩენილა. მთავარი ციხის წინ იმყოფება ქვიტკირის აუზი და ქვევრები. როგორც გადმოგვცეს, ამ აუზში 40 წლ. წინად კალმახი ჰყოლიათ. თუ ეს მართალია, ეს აუზი წყლის მილებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მახლობელ ნაკადულთან, რომელიც მურის მთის ჩრდილოეთით ჩამოდის. ეს საფიქრებელია, ვინაიდან აქ უნახავთ თიხის მილები, რომელიც წყალსადენივით იქნებოდა ნახმარი. გავრცელებულია აგრეთვე აზრი, რომ მთავარი ციხე ბუნებრივი გვირაბით არის შეერთებული მდ. ცხენის-წყალთან. მართლაც, ამნაირი გამოქვაბული ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირზე იმყოფება, მაგრამ დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ის მთავარ ციხეს არ უერთდება.

ყველა ამის შემდეგ სკოლის ბინაზე დავბრუნდით. მურის ციხე დახატული იქმნა ადგილობრივად მსმენელების მიერ და შემდეგ გამოძერწილი.

3 ექსკურსია უდაბნოს მონასტერში.

(ორდღიური ექსკურსია)

8 აგვისტოს, დილის 11 საათზე გავემგზავრეთ უდაბნოს მონასტრის და მდ. ჭანაურას ხეობის დასათვალიერებლად, რომელიც როგორც სილამაზით ისე თავისი მდებარეობით ლეჩხუმის საუკეთესო ნაწილად ითვლება. ქ. ცაგერიდან გავყვევით მდ. ცხენის-წყლის ნაპირს, ვიწრო სოფლის გზით.

პირველი დღე. გზა-და-გზა ცაგერის მიდამოებს ვაკვირდებით. **ნიადაგი** აქ იგივეა, რაც ცაგერში, ქვემო-ჭალაში: შლამიანი თიხა, ჩამონარეცხი მიწა, ხოლო მთების ფერდობებზე წითელ-ყვითელი მიწები, წარმომდგარი ე. წ. სარმატიულ ქანების თიხნარ-კლდეების დაშლისაგან. ეს უკანასკნელი ნოყიერებით ჭალის ნიადაგს ჩამორჩება.

ყურადღებას ვაქცევთ **მეურნეობის განვითარ**ებას. აქ ითესება უმთავრესად **სიმინდი**—სახელობრ თეთრი და შუა-სიმინდი, ხოლო უცხო სიმინდი დამწიფებას ხშირად ვერ ასწრებს. სიმინდის თესვის დრო აპრილში ყოფილა, მოტეხასა კი ოქტომბერ-ნოემბერში. სიმინდი აქ 800 მეტრის სიმაღლემდე ითესება.

მევენახეობას ყოველგან მისდევენ, ხოლო ამ ადგილს უფრო მდარე ღვინო მოდის, ვიდრე სამხრ. ლეჩხუმში (ზუბი-მანდარიას ღვინო, რომელიც ძლიერ წააგავს ყიფიანისა ანუ ალექსანდროულ ღვინოს).

უფრო განვითარებულია **ხილის მოშენება**, მეხილეობა. აქაური ხილი საუკეთესოდ ითვლება მთელ იმერეთში, მაგ. მსხალი კასტავა და ლეჩხუმის ვაშლი (წითელი). 1-საათი იქნებოდა, როცა ს. წიფერშას მივახწიეთ. ეს სოფ. საკმაოდ ლამაზია, შენობებიც გვარიანია. აქ ცოტათი დავისვენეთ.

როდესაც ხელახლა ავიბარგეთ და სიმინდის ყანით მივდიოდით, მსმენელებმა გველხოკერა დაინახეს და მოჰკლეს. ბუნებისმეტყველების ხელმძღვანელმა მისი აღნაგობის, ანატომიის ჩვენება მოისურვა. გველხოკერა გასჭრეს, ამოუღეს ტვინი, ყოველი შიგნეული და დაათვალიერეს. მსმენელები ძლიერ გააცვიფრა იმ გარემოებამ, რომ გველხოკერაც გული ისევ უცემდა. იგი ამოიღეს და მაინც ფეთქდა.

ს. წიფერშას მახლობლად გზა ორად იყოფა; ჩვენ მარცხენას გავყევით, ვინაიდან იგი უფრო საინტერესო იყო; აქ ცხენის-წყალი ცარცის ხანის ფენებს სჭრის და ეს ადგილი, როგორც შემადგენლობით, ისე გარეგნულად მურის კედლებს ჰგავს.

აქ, ალმართ ასვლისას ორი კარგად შენახული გაქვავებული მოლიუსკოიდი ვიპოვეთ. (ე. წ. ბრახიოპოდა) მსმენელებს ავუხსენით, თუ როგორ ახასიათებს გეოლოგიურ ფენებს სოველი ხანისათვის განსაკუთრებული ფლორა და ფაუნა და როგორ შეიძლება ამის მიხედვით ორი ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაშორებული ფენის ერთ დროულობის დამტკიცება.

ამ კლდეებში შევხვდით რამოდენიმე ბალალ გაჭოქვაბულს, რომელიც ადამიანისთვის თითქმის მიუწდომელია. აქ ახსნილ იქნა, თუ როგორ ჩნდება ამგვარი გამოქვაბულები და აგრეთვე მიწის-ქვეშა მდინარეები წყლის ქიმიურ მოქმედებით. ერთ ამნაირ გამოქვაბულში სტალაქტიტები ვნახეთ, რომლის გაჩენა იქვე განმარტებულ იქნა. ერთ მეტად ბალ ლა მდებარე გამოქვაბულში დავინახეთ ხის ჭერები, რომელიც შორსათვალის საშუალებით უფრო ადვილად გაირჩეოდა. ეტყობა. აქ ადამიანს უცხოვრია სულ ახლო წარსულში, ალბად ბერებს.

„სარეწკელა“-ს (ასე უწოდებენ ამ ადგილს) ვიწრო ხევში ზემოდან ნათლად სჩანს ნაკადების ნამოქმედარი და მათი შექმნილი უზარმაზარი ქვაბები, რომელიც ტერასებით ჩამოდის ჩრდილოეთით, სადაც ცაგერის ტბა იქნებოდა ერთ დროს. შემდეგ ნელი სიარულით გავედით მდ. ჭანაურის ხეობაში, რომლის ფსკერი რიყითაა მოფენილი. ამ ხეობის კედლები ძლიერ ციცაბოა, მშვენივრად მოსჩანს სხვადასხვა დროის გეოლოგიური ფენები.

ჭანაურის ნაკადი ძლიერ ჩქარი და ძლიერია. იგი იწყება ასხია მთაში, რომლიდანაც მას პორფირიტებისა და დიაბაზების ქვები ჩამოაქვს.

მდინარის კალაპოტს მივყვებით ჩრდილოეთის ჰიშართულებით და მარცხნივ ვხედავთ ციცაბო კლდეებს, რომლებზედაც საკმაოდაა მცენარეულობა — აქ გვხვდება ბზა.

ბოლოს გზა აღმართ მიდის და უდაბნოს ვუახლოვდებით. უდაბნოს მდებარეობა საუკეთოვოა. იგი გაშენებულია ძთის ფერდოზე და წიწვიან ტყის გულშია მოქცეული.

ამ მონასტერს დიდი ეზო ჰქონია ნიგვზის ხითა და სხვა ხეხილით მდიდარი, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ ეს ხეები ნაწილობრივ გაუჩეხიათ და მიწა საყანედ უქცევიათ. თვით ეკლესია აშენებულია კირის ქვით, უგუმბათოა; როგორც წარწერიდან სჩანს, იგი აგებულია ზურაბ დადიანის მეუღლის, წერეთლის ქალის მიერ 1822 წ. აქვეა რამოდენიმე შენობა ბერების საცხოვრებლად. დღეს ეკლესია და მონასტერი გაუქმებულია და მისი საკუთრება ფონდშია გადასული.

აქ ღამისათვის დავბინავდით.

მეორე დღე დილას ადრე დავათვალიერეთ **საფუტკრე**, რომელიც უბრალო „ბუკებშია" მოთავსებული. შემდეგ წაკითხულ იქნა ორი მოხსენება:

1.— **ცაგერის მიდამოებისა და უდაბნოს გეოლოგიური ანაგობის** შესახებ.

2. **საქართველოს ეკლესიის როლი ჩვენს ისტორიაში.** (პირველი ხანა, გაძლიერება-დამკვიდრება და დეკადანსი.) ნაშუადღევის 2 საათზე უდაბნოდან გამოვედით და ავყევით ჭანაურას ხეობას, რომელიც საუკეთო სილამაზისაა, მცენარეულობით მდიდარი. ჩრდილოეთით იგი მარაოსავით იშლება, ქვემოთ სოფლებია გაფანტული, შემდეგ ტყეები იწყება, ჯერ ფოთლეული, შემდეგ წიწვიანი, შემდეგ ალპიური ბალახი, რომელსაც აქ „ასხს" უწოდებენ. ყველა ამას მსმენელების ყურადღება ექნა მიქცეული.

საღამოს 4 საათზე მივახწიეთ ს. წიფერშას, სადაც დავათვალიერეთ მღვდელ ლიპარტელიანის საფუტკრე, რომელიც დადიანის სისტემითაა მოწყობილი.

შემდეგ ნელი ნაბიჯით დაღამებამდე ცაგერში დაბრუნებას მოვუნდით.

კურსების გამგე ო. სანიკიძე-ვოლობუევისა.

მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლის მასწავლებელი.

III) ახალქალაქის კურსების ანგარიშიდან

ახალი გზებით მუშაობის მაგალითი

მეცადინეობის წარმოების პრინციპები.

1. საერთო განათლების საგნების შესწავლა უნდა სწარმოებდეს ახალი მეთოდების მიხედვით, რათა კურსანტებს საშუალება ჰქონდეთ ნათლად დაინახონ თვალსაჩინო მაგალითი მათი გამოყენებისა და შეითვისონ ისინი ლექტორების ახსნისათანავე.

2. კურსანტების მიერ ახალი მეთოდების შეთვისება უნდა სწარმოებდეს ამ მეთოდების თვით კურსანტებისაგან პრაქტიკულად გამოყენების გზით, რადგან მხოლოდ ამგვარი შეთვისება არის მტკიცე და შეგნებული.

3. კურსებზე მუშაობა უნდა უახლოვდებოდეს წარმოებით მუშაობას კურსანტების ჩაბმით სერიოზულ და საჭირო საზოგადოებრივ მუშაობაში.

სამუშაო გეგმა.

უნდა წინდაწინ იყოს შემუშავებული კურსების პროგრამის განხორციელების თანდათანობა და შესასწავლ საგნების სწვრივობა, უმთავრესად დამყარებული კომპლექსური და კვლევითი მეთოდების საფუძველზე.

ყველა საგანს საფუძვლად უდევს სამშობლოს შესწავლა და საზოგადოებათმეცნიერება. დანარჩენი საგნები კი უნდა ეგულებოდენ ამ ძირითად საგნებს. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა კურსანტების მიერ უპირველეს ყოვლისა **სტატისტიკის** შესწავლის დაწყებისა, როგორც ოლქის გამოკვლევის მეთოდისა, დაუყოვნებლივ დაწყება ბუნებისმეტყველების შესწავლისა გარემო ბუნების გასაცნობად და მათემატიკისა, როგორც კვლევა-ძიებისათვის საჭირო საშუალებისა.

გამოკვლევა უნდა დაწყებულიყო ქ. ახალქალაქიდან და დანიშნული იყო შემდეგი:

1. ქალაქის თვალსაზომითი გეგმის შედგენა.

2. ქალაქის მკვიდრთა აღწერის მოხდენა და შედეგების წარმოდგენა ამ აღწერის დიაგრამის სახით.

3. ქალაქის მცენარეთა შესწავლა და ჰავის გაცნობა: მეტეოროლოგიურ დაკვირვებისათვის საჭირო აღმოჩნდა მეტეოროლოგიური სადგურის მოწყობა, რათა კურსანტებს საშუალება ჰქონოდათ თვითონ ედევნათ თვალი დარისთვის და თავის დაკვირვების მიხედვით შეედგინათ დარის კალენდარი.

5. ახალქალაქის ისტორიის შესწავლა.

4. ქ. ახალქალაქის წარმოების შესწავლა.

შემდეგ გამოკვლევა ქალაქის მიდამოებში უნდა ყოფილიყო გადატანილი (მდინარე კირხბულაღზე და მდინარე თაფარავანზე) და ამასთან შეესწავლათ ამ ადგილების მცენარეთა და ცხოველთა სამეფონი, გეოლოგიური ანაგობა, ზეადაგი. ქალაქ ახალქალაქის მომავლის ეკონომიურ პერსპექტივების გამოსაკვლევად „თეთრი ნახშირის“ მხრივ გადაწყვეტილი იყო მდინარე თაფარავანის დენის სიმძლავრის გამოკვლევა და გამოანგარიშება, როგორი ჰიდრო-ელექტრო სადგურის დადგმა შეიძლება ამ მდინარეზე და რა გავლენას იქონიებს იგი ქალაქის და მაზრის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ამის შემდეგ გამოკვლევა უნდა გატანილი ყოფილიყო მთელს მაზრაში.

ამ მიზნის განსახორციელებლად კურსანტებს დაევალათ: 1) ახალქალაქის მაზრის მოსახლეობის აღწერის მოხდენა. 2) თავისი სოფლების და მათი მიდამოების სქემატიური აგეგმვა. ადგილების სქემატიურ გადაღების საწარმოებლად კურსანტები წინდაწინვე ვარჯიშობდენ ქალაქში, სადაც ახდენდენ ქალაქის თვალსაზომითი აგეგმვას 3) თავისი უბნების გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიური დაწვრილებითი აღწერა.

4) შეჰკრიბონ თქმულებანი, რომელთაც ისტორიული ინტერესი აქვთ, ზღაპრები, მოთხრობები, ადათები და სხვ. 5) შეჰკრიბონ მაზრის ზეადაგის ნიმუშები და შეადგინონ მათი კრებნარი (კოლლექცია). ამგვარად შეკრებილი მასალა გამოყენებულ იქნება მთელი რიგი მათემატიკურ ამოცანათა შესადგენად.

ქალაქის და მაზრის გამოკვლევის შემდეგ სამშობლოს შესწავლა უნდა გაფართოვდეს საქართველოს და მთელი მსოფლიოს გეოგრაფიის შესწავლით; ბუნებისმეტყველება გამოიწვევს მოფლიის წარმოშობის

და ბიოლოგიურ კითხვებს; საზოგადოებათმეცნიერება, მჭიდროდ დაახლოებული საბჭოთა აღმშენებლობასთან და პოლიტანბანთან, ჩაექსოება გეოგრაფიას, სკოლის ისტორიას, სამშობლო ენას და ელექტროფიკაციის ლექციებს. ზოგად საგნებთან ერთდროულად და სწრაფად უნდა სწარმოებდეს მუშაობა ყველა საგნის შესწავლის **მეთოდებზე** და გამოკვეა ადგილობრივ შრომის პროცესების ჩართვისა სკოლის განსავითარებელ მასალაში. ეს მუშაობა ერთმხრივ კურსების მუშაობის დამოუკიდებელი მხარეა, მეორეთი კი უნდა საფუძვლად დაედოს ზოგადი საგნების შესწავლის მეთოდებს.

ამავე დროს კურსანტების მიერ მეთოდების მეტის წარმატებით შესავისებლად თვით კურსანტებმა უნდა პრაქტიკულად იმუშაონ ამ მეთოდებზე. ამ მიზნით: 1) კურსანტების ხელით დამუშავებულ იქმნა ბოსტანი (მიზანი—ვასწავლოთ კურსანტებს: როგორ უნდა ამუშაონ ამ საქმეში ბავშვები, და როგორ იქნება შეტანილი ბოსტანი სკოლის განსავითარებელ მასალაში, და შევასწავლოთ თვით კურსანტებს მიწის დამუშავების გაუმჯობესებული გზა და წესები) ამისთვის გამოყენებულ იქნა ახალქალაქში მოსული **ტრაქტორი**, რომ საკუთარს დაკვირვებას და გამოანგარიშებას საშუალება მიეცა კურსანტისათვის თვითონ გამოეყენა დასკვნა ტრაქტორის უპირატესობის გუთანთან შედარებით და საერთოდ მანქანის უპირატესობა ხელით მუშაობაზე.

2. გაიმართა მთელი რიგი **ექსკურსიებისა** ქალაქში და მის მიდამოებში—ქალაქში არსებულ **წარმოებათა გასაცნობად** მოსწავლეთა მიერ, **კომპლექსური მეთოდის** მიხედვით. 3) მოეწყო ხატვის და ძერწვის გაკვეთილები. 4) კურსანტების მიზიდვა დამოუკიდებელი შემოქმედებისადმი **დრამატიზაციის** დარგში. 5) გაიმართოს საცდელ-საჩვენებელი, სასინჯი შრომის **სკოლა**, ორი ჯგუფისაგან შემდგარი (წერა-კითხვის უცოდინარ და მცოდნე ბავშვებისა). ეს სამუშაო გეგმა **უნდა** შეივსოს **სალამოს მუშაობითა** გადაწყვეტილია, წინადადება მიეცეთ კურსანტებს, **საკრებულო** კომისია აირჩიონ მთელი რიგი წრეების დაარსების გეგმის შესამუშავებლად, რათა შესასწავლი მასალა უფრო ღრმად შეიმუშაონ, და კურსანტებმა ამ მასალას თავისი **დამოუკიდებელი მუშაობა** დაურთონ. განზრახულია დაარსდეს შემდეგი წრეები: ორი პედაგოგიური, ერთი მარქსისტული, **სარედაქციო კოლეგია** გაზეთის და კრებულის გამოსაცემად, მეტეოროლოგიურ სადგურზე ახალქალაქის ჰავის შესახებ დაკვირვებათა ჩამწერი წრე და დრამატიული, აგრეთვე

განზრახულია ელექტროფიკაციის ლექციები და პოლიტიკურ და პედაგოგიურ საკითხების შესახებ მსჯელობის გამართვა. გონებრივი მუშაობა დროგამოშვებით უნდა შეიცვალოს ფიზიკური გასართობებით და ვარჯიშობით, რომ კურსანტებმა შეისწავლონ სკოლებში გამოსაყენებელი თამაშობა და შეიგნონ ფიზიკური აღზრდა-განათლების მნიშვნელობა სრული პიროვნების აღსაზრდელად.

რა იყო განხორციელებული კურსებზე.

ვინაიდან სამშობლოს შესწავლა მხარეთმეცნიერების გზით საღერძო საგნად გვქონდა აღებული და გვინდოდა მას კვლევითი მეთოდით მივდგომოდით, ამიტომ გადავწყვიტეთ უპირველეს ყოვლისა კურსანტებისათვის სტატისტიკის ცნება მიგვეცა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების კვლევის მეთოდის. ამიტომ სტატისტიკის შესწავლა დავიწყეთ კურსების გახსნის პირველივე დღიდან. მიეცათ შემდეგი ცნებანი: 1) სტატისტიკის საგანი და მისი მნიშვნელობა სახელმწიფო და საზოგადო მოვლენათა კვლევისათვის, 2) დიდი რიცხვის კანონი 3) პირველადი სტატისტიკის ძირითადი გზები. 4) შეცთომის წყაროები და მათი შემცირების საშუალებანი. 5) სტატისტიკურ დაკვირვებათა ორგანიზაცია. 6) ჯუმლის ცნება.

ყველა ეს ცნებანი შეთვისებული იყო კურსანტების მიერ მთელი რიგი ვარჯიშობის საშუალებით და მაშინვე გამოყენებული იყო ქალ. ახალქალაქის და მისი მაზრის ცხოვრების გამოსაკვლევ მუშაობისათვის. ადგილობრივ სტამბაში დაბეჭდილ იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული აღწერის ბლანკები, და პირველსავე კვირა დღეს მოხდა **ქ. ახალქალაქის ერთდღიური აღწერა** კურსანტების მიერ, რომლის შედეგები კურსანტებმა შეიმუშავეს **დიაგრამის ფორმით**, ეს დიაგრამები გვიჩვენებენ მცხოვრებთა რაოდენობას და შემადგენლობას, წერა-კითხვის ცოდნას და ეკონომიურ მდგომარეობას.

ამით დაიწყო სამშობლოს შესწავლის მუშაობის წარმოება. მთელი რიგი ვარჯიშობის შემდეგ, თვალზომითი აგეგმვაში ოთხ ჯგუფად დაყოფილმა კურსანტებმა ნასადილევს მთელი ქალაქის თვალზომითი აგეგმვა (с,емка) მოახდინეს და ამ გადაღების მიხედვით ქალაქის გეგმა შეადგინეს.

ქალაქისა და მის წარმოებათა გასაცნობად მოწყობილი იყო ექ-**კურსია ქალაქში** და აგრეთვე **ტყავისა და სახერხავ ქარხანაზე**. ად-

გილობრივ აუხსნეს ბრუნაროები (турбины), ძრავები (двигатели), მანქ ნები, თვლები და აგრეთვე ტყავის გამოქნის და დამუშავების ყველა საშუალებანი. კურსანტების მიერ ჩაწერილ იქნა ყველა ცნობა.

ქალაქის შესწავლის დროს გადაღებული გეგმების მიხედვით გამოარკვიეს ქალაქის ზედაპირის ფართობი (площадь), გამოიკვლიეს მისი მდებარეობა მაზრაში, ოლქში, მთელ ხმელეთზე, სიმაღლე ზღვის დონედან და შედარებითი.

შემდეგ გამოკვლევა გადატანილ იქმნა ქალაქის მიდამოებში, მდინარე თაფარავანზე, რომელიც კომპლექსური მეთოდით იყო ყოველმხრივ შესწავლილი. გამოკვლეულ იქმნა: 1) მდინარის ყველა ელემენტი, 2) მისი სიმძლავრე და ამისდა მიხედვით მასზე შესაძლებელ ჰიდრო-ელექტრო სადგურის სიმძლავრე, მისი მოქმედების არე და 3) ნაპირების გეოლოგიური აგებობა, ზეადაგი, მცენარეთა სამეფო, ძველი მლვიმეები და ძველებური, მდინარის პირას მდგომი ეკლესია. ამ პრაქტიკულ მუშაობასთან სწვრივად კურსანტებმა დაწვრილებით გამოარკვიეს, რა საშუალებით შეიძლება სამშობლო მხარის მესწავლის საუკეთესოდ მოწყობა: ა) ფიზიკო-გეოგრაფიულ, ბ) ბუნებისმეტყველების, გ) ეთნოგრაფიული და დ) ეკონომიურ მხრით, და შეითვისეს კვლევა-ძიებისათვის საჭირო პრაქტიკული მეთოდები: 1)ხაზვა და სქემების შედგენა 2) პირობითი ნიშნები (ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებული იყო სამაგალითო სქემა) 3) გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების ჩაწერა. ამგვარი სამაგალითო მუშაობა კლასში იყო ჩატარებული.

შემდეგ კურსანტები გაიგზავნენ მთელს მაზრაში—თვითეული თავის სამშობლო სოფლის რაიონში, და ამგვარად მოახდინეს მაზრის გამოკვლევა შემდეგი გეგმით: 1) სოფლის მცხოვრებთა აღნუსხვა, 2) სოფლის გამოკვლევა, 3) გამოკვლევა მისი ფართობისა, სამ-ოთხ ვერსიანი რადიუსით: ა) გეოგრაფიული, ბ) ფიზიკური და გ) სტატისტიკური მხრით. კურსანტებმა შეადგინეს თავისი სოფლების და მათი რაიონების სქემატიური გეგმა და ჩასწერეს მთელი რიგი ცნობებისა, რომელნიც ხშირად სამშობლოს მხარის შესწავლის დროს დიდ საფასურს წარმოადგენენ. მაზრის გეოგრაფიულმა გამოკვლევამ კურსანტებს საშუალება მისცა, შეკრეფილ ცნობების გაერთიანების საშუალებით, მოეხდინათ ცდა სამშობლოს შესწავლისათვის **ადგილობრივი სახელმძღვანელოს შედგენისა.** რა თქმა უნდა, ეს სახელმძღვანელო მეტად მოკლე იყო და ჯერ უნაკ-

ლო, მაგრამ მაინც აქედან იწყება საშობლო მხარის შემდგომი უფრო დაწვრილებითი შესწავლა. აღწერის ცნობები დიაგრამის ფორმით იყვნენ შემუშავებულნი და გვიჩვენებდენ მცხოვრებთა შემადგენლობას, რაოდენობას და წერა-კითხვის ცოდნას.

შემდეგ გადავიდენ საქართველოს და კავკასიის შესწავლაზე. დაყენებული იყო საკითხი ახალქალაქის მაზრის ტფილისთან და საქართველოს სხვა რაიონებთან ეკონომიურ დამოკიდებულებაზე. კურსანტებს მიეცათ სამუშაო: მთელი რიგი ცნობების მიხედვით შეადგინონ: 1—საქართველოს ტერიტორიის, 2—მოსახლეობის, 3—მოსახლეობის შემადგენლობის, 4—დასახლების მჭიდროების და 5—მცხოვრებთა შრომის დიაგრამები.

მსჯელობის დროს გამორკვეულ იქმნა შემდეგი თემები: საქართველო, როგორც ეკონომიურ რაიონების კომპლექსი. ეკონომიურ რაიონების წარმომშობი ფაქტორები. ზონალობის და აზონალობის მოქმედება. ზომიერი სარტყლის არეს დახასიათება. საქართველოს თვითეულ ოლქის გამოკვლევა, საქართველოს შედარება სხვა ქვეყნებთან. სამრეწველო სახელმწიფოს ტიპი. ინგლისი და მისი საქართველოსთან შედარება. სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფოს ტიპი. მისი განვითარება. არგენტინა და მისი საქართველოსთან შედარება. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სახელმწიფო. გერმანეთი და მისი საქართველოსთან შედარება. ეკონომიური რაიონების კომპლექსები. მათი საგარეო, სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. საქართველოს მომავალი განვითარების საფუძვლები.

ამასთან ერთდროულად კურსანტები ითვისებდენ ფიზიკურ გეოგრაფიას: კანტისა და ლაპლასის თეორია. მზის თანწყობა. დედამიწა. მისი არსებობის სხვადასხვა ხანები. ჰაერეთი (ატმოსფერა), ბარომეტრი. ქარები. ტემპერატურა. ღრუბელი. წვიმა. ჭექა-ქუხილი. დედამიწის ზედაპირი. მისი ცვლილებანი. დედამიწის ფორმა. ამოფრქვევა და მიწისძვრა. ჰიდროსფერა (დედამიწის წყალსამოსი). ზღვა. ოკეანე. ზღვის დინებანი. ელემენტარული ცნობები ასტრონომიიდან.

შემდეგ გავლილი იყო გეოგრაფიის მეთოდიკა. ამის გარდა მოწყობილი იყო გეოგრაფიაში საღამოს პრაქტიკული მეცადინეობა. მსმენელნი ეკნობოდენ ადგილობრივი რელიეფების თიხიდან ძერწვის სხვადასხვა ხერხს. სამშობლოს შესწავლის მეორე მხარედ დასახული იყო ქალაქის და მაზრის ბუნების გაცნობა.

ბუნებისმეტყველება.

ბუნებისმეტყველების შესწავლა დაიწყო ბოსტანში პრაქტიკული მუშაობით. ბოსტანი, რომელიც ქალაქის მიერ დათმობილი იყო კურსანტების პრაქტიკულ მუშაობისთვის, ნაწილებად დაიყო. მუშაობის დაწყების წინ ბოსტანში გაიმართა საუბარი ბოსტნის მნიშვნელობის შესახებ შრომის სკოლისათვის. შემდეგ დაიმუშავეს კურსანტებთან ერთად ბოსტნის გეგმა. მოახდინეს ნიადაგის აღლევა (ანალიზი). გამართული იყო საუბარი შესახებ ნიადაგის შექმნისა, გამოფიტვისა და ნიადაგისა და ქვენიადაგის სახეებისა. აღლევის შედეგების მიხედვით შეადგინეს მთელი ქალაქის ნიადაგის დიაგრამა. მერმე ბოსტანი დახნეს ტრაქტორით. ამისდა მიხედვით შედარებულ იქმნა მიწის დამუშავება ტრაქტორით და გუთნით. ამის შემდეგ ბოსტანი დაჰყვეს სხვადასხვა სიმაღლის და ფორმის კვალებად, დახატეს ბოსტნეულობისა და გეომეტრიისთვის საჭირო სხვადასხვა ნაკვთის მიხედვით. ბოსტნის ნაწილები დაჰყვეს სამად: 1) გაპატივებული სასუქით, 2) ნაცრით, 3) გაუპატივებელი.

მუშაობდენ თვით კურსანტები. სამწუხაროდ, საკმაო ნიჩბების უქონლობის გამო, მუშაობდენ ჯგუფებად, მორიგეობით. ეს ხელს უშლიდა მუშაობის მწყობრობას და ნაყოფიერებას. მიუხედავად ამისა, დანიშნული ნაკვეთი დამუშავებულ იქმნა. შემდეგ გამართულ იქმნა საუბარი: თესლის აგებულებაზე, აღმოცენებაზე, ამისი დაკვირვების მეთოდებზე, თესლის დაბზადებაზე. დასათესი თესლი გადაარჩიეს. მიეცათ ცნება თესვის სხვადასხვა სახის შესახებ და ამის შემდეგ შეუდგენ თვით თესვას.

ბალახ-ბულახების მარგვლა და სხვა ქვემოაღნიშნული სამუშაო გვაძლევდა მასალას საუბრის გასამართავად მცენარეთა სამეფოში არსებობისათვის ბრძოლაზე, მცენარეთა ცხოვრებასა და აგებულებაზე, მცენარეთა სამეფოს ნაირობაზე და მცენარეთა განაწილებაზე. რადგან ბოსტანში მუშაობა ძალიან გვიან დაიწყეს, კურსანტების ნათესიდან მხოლოდ ბოლოკი ამოვიდა; კურსანტებს წინდაწინვე აუხსნეს, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბოსტანი ჩვენთვის იმიტომ იყო საჭირო, რომ გვეჩვენებინა სკოლაში ბავშვებთან მისი გამოყენების მეთოდი.

იმავე დროს ახალქალაქის ჰავაზე დაკვირვებისათვის სახლის ბანზე და ეზოში მოწყობილი იყო მეტეოროლოგიური სადგური. დაკვირვების შედეგი იწერებოდა. ამგვარად დარის კალენდარი სდგებოდა. (ტემპე-

რატორია, ნალეკი, ქარის მიმართულება და ძალა. კურსანტებთან სწარმოებდა საუბარი შრომის სკოლაში მეტეოროლოგიურ მუშაობის გეგმაზე, მეტეოროლოგიის მნიშვნელობაზე და დაკვირვების სხვადასხვაობაზე.

ბოსტანში მუშაობის დაწყების შემდეგ, ქალაქის მიდამოებში საქმიანობის გადატანის გამო, შემუშავებულ იქმნა **ექსკურსიების მოწყობის მეთოდიკა და ტექნიკა:** საექსკურსიო მეთოდი და მისი განმავითარებელი მნიშვნელობა. ექსკურსიების ტიპები და მათი განაწილება. ექსკურსიების მოწყობის მეთოდი. საუბარი მცენარეთა კრებნარის (კოლექციის) შედგენის შესახებ. მცენარეთა ოჯახებად დაყოფა. ბოტანიკური წნეხის (пресс) გაცნობა. მცენარეთა გახმობის საშუალება.

შემდეგ განხორციელებულ იქმნა თვით ექსკურსიები: ქალაქის ბაღში, მდინარე თაფარავანზე და მაზრის უმაღლეს მთაზე—აპულზე, აგრეთვე მდინარე კირხბულაღზე, ქალაქ გარეთ ჰინდოლრში. ექ კურსიების დროს კურსანტების მიერ შეკრეფილი მცენარეები გაახმეს (ამ მიზნით დამზადებულ იქმნა ბოტანიკური წნეხი). შემდეგ მცენარეთა განმსაზღვრელთა შემწეობით და ლექტორის ხელმძღვანელობით, ეს მცენარეები განზღვარული იყო (определено) და მათგან შეადგინეს 50—50 ცალის შემცავი გერბარიუმები.

ექსკურსიებს ერთვოდა საუბარი შემდეგ თემებზე: სიცოცხლის ერთიანობა დედამიწაზე. მცენარეთა და ცხოველთა სამეფო. მცენარეთა დამოკიდებულება გარემო პირობათაგან. (თეორია თვითძალუმა ჩასახვისა): საკლასიფიკაციო სქემა. მცენარის შინაგანი აგებულობა და შეჰადგენლობა. მცენარეთა შემადგენლობაში შეკული ორგანიული ნივთიერებანი. ფესვის ანაგობა და მისი დანიშნულება. ფოთოლი. მცენარეებში წარმოებული ქიმიური სვლეობანი (პროცესები). ქიმიის ძირითადი ცნებანი: ქიმიის საგანი, ნივთიერება და ტანი. წყალი. (მისი საკვები, შემადგენლობა) გაწურვა. გამოხდა. ქიმიური ნაერთი და მექანიური რევნრი. (смесь) ფიზიკური და ქიმიური მოვლენანი. ნივთიერების მუდმივოდენობის კანონი. მარტივი და რთული ნივთიერება. ღეროს ანაგობა. წყლის და მასაზრდოვებელ ნივთიერებათა მიმოძრაობა ღეროში. ღერო, როგორც გამოავლების ორგანო. ყვავილი. მისი ანაგობა, განაყოფიერება. ნაყოფი და თესლი. ნაყოფის და თესლის გავრცელება.

რადგანაც თან გვქონდა მხოლოდ სამი მიკროსკოპი, კურსანტები დაიყვნენ ჯგუფებად, სინჯავდენ მიკროსკოპში ბოტანიკურ პრეპარატებს.

ამასთანავე მათ აუხსნ ენ მიკროსკოპის მოწყობილობა. შემდეგ სწარმოებ-და საუბარი დედამიწაზე და ცხოველთა სამეფოზე, გვართა წარმოშობა-ზე, ბუნების მეტყველების სწავლების მეთოდიკაზე ოთხწლიან სკოლაში.

მათემატიკა.

(გეომეტრია, დასაწყისი ალგებრა, არითმეტიკა, მეთოდიკა).

ბუნებისმეტყველებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათემა-ტიკაში მეცადინეობა. ისევე, როგორც ბუნებისმეტყველებაში, იგი იყო დაწყებული ბოსტნის მუშაობასთან დაკავშირებით. წინასწარმა საუბარ-მა, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სკოლაში გეომეტრიას და გეოდეზიას, სიგრძის ზომის ერთეულების გაცნობას, ცრებებს: გეგმისა, სწორე (прямая) და სწვრილი პარალელური წირებისა (линии), უკა-ნასკნელის გაყვანას დედამიწაზე, მცენარეების გაზომვას—მოამზადა კურ-სანტები ბოსტანში მუშაობისათვის. კურსანტებმა მოამზადეს სამიჯნო სარები, პალოები, საზომი თოკი. დაჰყვეს ბოსტანი ნაკვეთებად სხვადა-სხვა გეომეტრიულ ნაკვთების სახით, ანგარიშობდენ მათ ფართობს—ამ-რიგად გაიცნეს წრის, პარალელოგრამის და მრავალკუთხის ფართობი, ამასთანავე კურსანტებს აჩვენეს, როგორ უნდა გაზომონ რუკაზე ახალ-ქალაქის მაზრის რომელიმე ნაკვთის ფართობი.

იმ დაკვირვებათა მიხედვით, რომელიც უკვე ჰქონდათ ტრაქტორის მუშაობაზე, კურსანტები მეორე დღეს ადგენდენ და სწყვეტდენ ამო-ცანებს ტრაქტორის მუშაობაზე, წინადვე ჩაწერილ ნამდვილ ცნობათა მიხედვით; ამასთან გაიმეორეს მოქმედება წილარებზე (дроби) და ამო-ცანების გადაწყვეტით მეთოდები. ამოცანების გადაწვეტით გამოირკვა ტრაქტორის უპირატესობა გუთანთან შედარებით, ტრაქტორით მიწის დამუშავების სარგოიანობა. გამოიყვანეს დასკვნა, რომ თვითეულ სოფელში აუცილებელია ტრაქტორებით მუშაობაზე გადასვლა და ამიტომ ტრაქტორების უპირატესობის აზრი უნდა აუხსნან და გაავრ-ცელონ თავ-თავიანთ სოფლებში.

როდესაც გადავიდენ ქალაქის მიდამოების გამოკვლევაზე და ამ მიდამოებში ექსკურსიების მოწყობაზე, წინასწარ შეისწავლეს: 1) ბუ-ნებრივი ზომანი, მათი ღირსება და ნაკლი. 2) რუსული ზომანი. 3) მე-ტრიული ზომანი. 4) გადაყვანა ჩვენი ზომებისა მეტრიულზე და მე-ტრიულისა ჩვენსაზე.

შემდეგ შეიძინეს ცნებანი: 1) სამარშრუტო თვალზომითი აგეგმვისა, 2) მდინარის სიგანის სავი საშუალებით განზღვარვა და ამასთან და-

კავშირებით სამკუთხების და ნაკვთების სიმსგავსე. 3) მდინარის სიღრმის განზღვარვა. 4) მდინარის კვეთფენგის (профиль) მოხაზვა. 5) საგრ ების სიმაღლის განზღვარვა. 6) ნიველირობა, ნაპირის სიმაღლის განზღვარვა. 7) მდინარის დონეების სხვაობის განზღვარვა. 8) მდინარის დენის სიჩქარის განზღვარვა.

ყველა ეს ცნება საფუძვლად დაედვა ექსკურსიების დროს გამოკვლევებს. კურსანტების მიერ შეკრებილი ცნობანი ჩაწერილ იქმნენ და ამ ცნობებიდან გამოიყვანეს დასკვნა წყლის ბუშაობის-და მდინარის სიმძლავრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გამოირკვა შემდეგი ცნებანი: 1) ცხენძალი, 2) სიმხნე (ენერგია), და სიმხნის ერთი სახის მეორე სახედ გადაქცევა. 3) დიდი კალორი, 4) სითბოს მექანიკური ტოლფასი (ეკვივალენტი).

გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: 1) ექსკურსიაზე შეკრებილ ცნობების მიხედვით, დანიშნულ ადგილში განიზღვაროს მდინარის სიმძლავრე. ელექტროსადგურისათვის საჭირო კაშხალის (плотина) სიდიდე, ამ სადგურის სიმძლავრე. 2) გამოირკვეს, რამდენად სარგოიანი იქნება ქალაქისთვის, რომ ელექტროსადგური შეშის მაგივრად იმუშავებს თეთრი ნახშირით [1]) აზრთან მიცემული იყო ცხრილი—ერთ კილოგრამ დაბწვარ ნივთობისაგან მიღებულ სითბოს რაოდენობისა.

სტატისტიკურ ცნობათა შესამუშავებლად, რომელნიც შეკრებილ იყვნენ ანკეტით კურსანტების შემადგენლობაზე, და ბუნებისმეტყველების და სამშობლოს შესწავლის დროს მიღებულ ცნობათა მიხედვით, განმარტულ იქმნა რიცხვების ხაზვრული (გრაფიული) აღსახვა, და კურსანტებმა სხვადასხვა დაკვირვებით მიღებულ ცნობებიდან /შეადგინეს მთელი რიგი დიაგრამებისა და ხაზნობეაისა (გრაფიებისა): 1) ახალქალაქის ნიადაგის დიაგრამა, 2) მასაზრდობელ ნივთობთა შემადგენლობის დიაგრამა, 3) კურსების შემადგენლობის დიაგრამა, 4) ახალქალაქის მოსახლეობის შემადგენლობის და მისი ეკონომიური მდგომარეობის დიაგრამა, 5) მაზრის სოფელთა მოსახლეობის შემადგენლობის და წყრა-კეთხვის ცოდნის დიაგრამა, 6) საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიის

---

[1]) „თეთრი ნახშირი“ ქვანახშირთან დასაახლოვებლად ეწოდება იმ ძალას, რომელიც თანდათან ნახშირის და ნავთობის ადგილს იჭერს ჩვენ კულტურაში—მდინარე წყლის ძალას, რომელიც უმთავრესად ელექტრონის სახითაა ფართოდ გამოყენებული ბრუნაროების (ტურბინების) შემწეობით.

ბიხედვით შედგენილი დიაგრამები (ზეადაგი, ჰავა, მოსახლეობა და სხვ.) 7) დიაგრამის სახით გადასწყდა სხვადასხვა არითმეტიკული ამოცანები.

მოცემულ იქმნა ცნება ხახნობზე (გრაფიკზე), ამოცანების გადაწყვეტის ხაზვრით მეთოდზე. შემდეგ ბუნების მოვლენათა დაკვირვებანი წარმოდგენილი იქმნენ ხახნობების სახით. ქ. ახალქალაქის წარმოებათა შესწავლის საფუძველზე „ჩართვის მეთოდებით" თვით კურსანტებმა შეადგინეს ყოველდღიურ ცხოვრებიდან ამოღებული მთელი რიგი ამოცანებისა (დაახლოვებით 100). მათემატიკის შესასწავლად გამოიყენეს აგრეთვე ცხოვრების გარემოებანი. ახალქალაქის ერბოს-წარმოება გამოიყენეს ტანთა სიტივის ой'ем შესასწავლად. გამოარკვიეს სიტევე ერბოს ცილინდრიულ და კუბიკურ ჭურჭლისა, თუნუქისა, რომელიც მრავლად მზადდება ახალქალაქში.

კურსანტების მიერ აგრეთვე დამზადებულ იქმნა ქალალდის და მუყაოს (კარტონის) გეომეტრიული მოდელები.

შემდეგ კურსანტებმა განიხილეს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შემუშავებული დაწყებითი სკოლის პროგრამა ამასთან გეომეტრიას უკავშირებდენ არითმეტიკას და აგრეთვე სხვა საგნებს. ბოლოს გავლილი იყო მათემატიკის სწავლების მეთოდიკა ოთხწლიანი სკოლის ოთხივე განყოფილებაში და თან ურჩევდენ მათემატიკურ თამაშობათა და გასართობთა შემოღებას.

ამრიგად, ასე დაყენებულ მეცადინეობას სამსახური უნდა გაეწია მასწავლებელთათვის, როგორც დასურათებას შრომის სკოლაში მათემატიკის სწავლების პრინციპისა.

საზოგადოებათმეცნიერება

საზოგადოებათმეცნიერებას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამშობლოს შესწავლასა და გეოგრაფიასთან და მასში ჩაქსოვილი იყო პოლიტანბანის სავლება. სამშობლოს შესწავლასთან კავშირი გაჩოიხატა დასაწყის საკითხების ერთნაირობაში, (ახალქალაქი და მისი ყოფა ცხოვრება) საერთო ექსკურსიების მოწყობაში: ახალქალაქის ციხეზე, წარმოებებზე, მდინარე თაფარავანზე; მათი ერთდროული და ყოველმხრივი განხილვით და ადგილობრივ სახალხო თქმულებების, ადათების და სიმღერათა შეკრების დროს. კურსანტების მიერ შეკრებილ ამ ცნობათა მიხედვით შედგენილ იქმნა პატარა ეთნოგრაფიული კრებული, რომლის მასალა წარმოადგენდა ერთგვარ საზოგადოებრივ მეცნიერულ ღირებულებას.

პოლიტანბანი და საბჭოთა წესწყობილება. უახლოვდებიან საზოგადოებათმეცნიერებას შემდეგი მასალის გათვალისწინების დროს:

პირველადელი კულტურა. ადამიანის წარმოშობა. ადამიანის მონაპოვარი ბუნებასთან ბრძოლაში. ნივთიერი კულტურა, ცეცხლის მოპოვება. კაცთა და ქალთა საქმიანობა. მატრიარქატი. პატრიარქატი. პირველადელი გვაროობრივი კომუნიზმი. გვაროობრივი საზოგადოებრიობის განვითარება. ოჯახებად დაყოფა. ბინადარი მიწადმოქმედება. საზოგადოებრივი მეურნეობა, კერძო საკუთრება მიწაზე. კლასებად დაყოფა. ძველი რომის საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი მიწადმოქმედებაში. მონებრივი მეურნეობა. მისი დაცემა. ძველი რომის კოლონიები. ფეოდალიზმი, საუფლისწულო წესწყობილება და ბატონყმური დამოკიდებულებანი რუსეთში.—სავაჭრო კაპიტალი. კაპიტალისტური მეურნეობა და მისი დამახასიათებელი ნიშნები. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. 1848 წლის რევოლიუცია. პარიზის კომუნა. გლეხკაცობის მოძრაობა რუსეთში მე-16 საუკუნეში. სტეფანე რაზინი. პუგაჩოვი. დეკაბრისტები. 61 წლის რეფორმა.

პროგრამის დამუშავების დროს და წინადაც, საზოგადოებრივ ცხოვრების წყობილებაზე ლექციებთან ერთად. ირჩეოდა მეთოდიურ ხასიათის კითხვები: დრამატიზაცია, კავშირი სხვა საგნებთან, შრომის პროცესები, ექსკურსიები, თხრობა და სხ.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ვერც ერთი ისტორიული მოვენტის დამუშავება შრომის მეთოდით, როგორც ნაკულისხმევი გვქონდა, მაგრამ პირველადელ ხალხთა ცხოვრების ცალკე მოვლენანი (თანახმად პახომოვის წიგნისა „პირველი მხატვარი") გაშუქებულ იქმნენ დრამატიზაციით, ლექტორის ხელმძღვანელობით, საცდელი სკოლის ბაკშების მიერ.

პოლიტანბანი და საბჭოთა წესწყობილება.

საზოგადოებათმეცნიერების მასალა საფუძვლად დაედო პოლიტანბანის შეთვისებას, როგორც ეს უკანასკნელი პირველს. პოლიტანბანის სწავლა დაიწყო დღიდან კურსების გახსნისა მარქსისტულ წრის შედგენით. მთელ ჯგუფთან კი მეკადინეობა დაიწყო უფრო გვიან, აგვისტოში, 1923 წელს ც. კ. რ. კ. პ.—მიერ დამუშავებული შემდეგი პროგრამის მიხედვით: 1) ადამიანთა საზოგადოების განვითარების მსვლელობა. 2) კაპიტალიზმის არსობა და განვითარება. 3) კლასები და კლასობრივი ბრძოლა. 4) სოციალისტური რევოლიუცია. 5) პროლეტა-

რიატის დიქტატურა და კომუნიზმი. 6) რ. კ. პ.-ის ისტორია. 7) ინ-ტერნაციონალის ისტორია და 8) ნეპი.

საბჭოთა წესწყობილება კურსანტებმა გაიცნეს შემდეგი პროგრამით: 1) სახელმწიფოს ცნება. 2) ეკონომიური და პოლიტიკური დანიშნულება სახელმწიფოსი. 3) სახელმწიფოს და მთავრობის ფორმები. 4) ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის საზოგადოებულებანი. 5) საბჭოთა წესწყობილების ორგანიზაცია. 6) ხელისუფლების აგებულობა. 7) ადგილობრივი ხელისუფლება და თვითმართველობა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, პოლიტიკური ეკონომია უკავშირდებოდა საზოგადოებათმეცნიერებას, რადგან ხშირად ეხებოდა ერთსადამავე საკითხებს, მაგ. პირველადელი კომუნიზმი, პატრიარქატი, ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილება.

ოღონდ საზოგადოებათ მეცნიერებაში ეს საკითხები განხილული იქმნენ კონკრეტულად, დროისა და ადგილის მიხედვით, პოლიტეკონომიაში კი საზოგადოებრივი განვითარების კანონების მიხედვით და იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკა და იდეოლოგია დამოკიდებული არიან წარმოებით ძალების და ტეხნიკის განვითარებაზე.

შემდეგომ, უფრო მაღალ საფეხურზე, საზოგადოებათმეცნიერება კლასობრივ ბრძოლის გაშუქებას ეხმარებოდა: მაგ. პუგაჩოვის ამბოხებას, საფრანგეთის დიდ რევოლიუციის და პარიზის კომუნის შესწავლისას.

პოლიტეკონომია ზოგჯერ გეოგრაფიასა და სამშობლოს შესწავლაში. მჭიდროდ ჩაწნული გამოდიოდა გეოგრაფიული განმარტება სასოფლო-სამეურნეო და ქარხნოსნულ ქვეყნებისა იწვევდა იმპერიალიზმის შეგნებას. სამშობლოს შესასწავლად წარმოებულ ექსკურსიებში კურსანტებმა შეკრიბეს მასალა, ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტეკონომიის ცნებათა გამოსარკვევად: ნაშთები პატრიარქალურ ოჯახისა ახალქალაქელ სომეხთა შორის, ნაშთები ქალაქის ფეოდალურ წყობილებისა ადგილობრივ ხელოსანთა შორის, ფეოდალურ წესწყობილების ნაშთები ციხეების ნანგრევთა მიხედვით, კონკურენცია ადგილობრივ ვაჭართა შორის, შინაურ კაპიტალისტურ მეურნეობის ნიშნები ახალქალაქის სოფლებში.

ექსკურსიების დროს ადგილობრივ წარმოებათა დასამუშავებლად კომპლექსური მეთოდით კურსანტები არკვევდენ (არითმეტიკული ანგარიშით) საჭირო და დამატებითი შრომის ოდენობას და აგრეთვე კაპი-

ტალის სახეებს — მუდმივს და ცვალებადს, ძირითადს და საწარმოებს. ტრაქ-ტორის წარმატობის (производительность) მაგალითის მიხედვით კურსანტები ანგარიშობდენ მანქანით შრომის წარმატობას. ქალაქის ნანგრევებზე იგნებდენ წარმოების აუცილებლობას და ბოლოს მცხოვრებთა თვალ წინ განვლილ იმპერიალისტური ომის მაგალითით — ტრესტების ბრძოლას, მთელს ქვეყანაზე ხელისუფლების მოსაპოვებლად.

კომუნისტურ წესწყობილების განმასხვავებელ თავისებურობათა და საჭირო წინაცნებათა გამოსარკვევად წაკითხულ იქმნა მთელი რიგი ლექციებისა ელექტროფიკაციაზე. ამ ლექციების საშუალებით კურსანტებს ნათლად დაანახვეს დიდებული მომავალი, რომელსაც იგი მისცემს პროლეტარიატს და გამოარკვიეს სიმძლავრე ჰიდროელექტროსადგურისა, რომლის მოწყობა შეიძლება ადგილობრივ ჩქარ მდინარეზე. რადგან ტეხნიკა ადგილობრივ წარმოებასა და მიწადმოქმედებაში ჯერ ისევ პირველ ნდელია, შესადარებლად განმარტულ იქმნა მოწინავე ქარხნოსნულ ქვეყნების ტეხნიკა, კავშირი და ურთიერთზე დამოკიდებულება ყველა ქვეყნების და ამგვარად აღნიშნულ იყო გავლენა ამ ქვეყნების კონკურენციისა ახალქალაქის მაზრის ცხოვრების პირობებსა და მომავალზე.

პოლიტანბანის დღიურ მეცადინეობის სწვრივად, პოლიტანბანის საკითხების უფრო ღრმად შეგნებისათვის, სწარმოებდა მუშაობა მარქსისტულ წრეში. წრეში შემოვიდენ უაღრესად მომზადებული მასწავლებელნი. მეცადინეობის დროს მიღებულ იყო. თემების საერთო დამუშავება. თვითეულ თემის დასაბუშავებლად ეძლეოდათ რამდენიმე წიგნი. მთელი წრე იყოფებოდა, სამ-ოთხ კაცისაგან შემდგარ რამდენიმე ჯგუფად.

თვითეული ჯგუფი იღებდა განსაკუთრებულ წიგნს და იმუშავებდა იქიდან რამდენსაც გვერდს (10—25) შემდეგ წრე იკრიბებოდა, თვითეული ჯგუფი აკეთებდა წაკითხულ მასალის შესახებ მოხსენებას; მსჯელობის შემდეგ წრის ხელმძღვანელი ნამუშევარის ნაჯუმლს იძლეოდა.

ამ მეთოდით დამუშავდა შემდეგი თემები: 1) პირველ ნდელი კომუნიზმის ხანა, 2) ფეოდალიზმი, 3) წვრილი ბურჟუაზიული საზოგადოება, 4) შრომის პროცესები, 5) კაპიტალისტურ საზოგადოების განსაკუთრებული თვისებანი — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე“ და „კომუნიზმის ანბანი“, 6) კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი-კოლექტიური სამუშაო ოთხივ ჯგუფისა. მიეცათ შემდეგი წიგნები: I ჯგუფს — კომუნისტური მანიფესტი, თავი I და II, II ჯგუფს —

კაუტსკის სოციალური რევოლიუცია, III ჯგუფს—მარქსისტული ქრესტომატია, IV ჯგუფს—ბუხარინის ისტორიული მატერიალიზმი, თავი კლასების შესახებ. 7) იმპერიალიზმი—კოლექტიური სამუშაო ოთხივ ჯგუფისა. 8) სოციალისტური რევოლიუცია, პროლეტარიატის დიქტატურა და კომუნიზმი.

ამის გარდა განიხილეს ჯგუფობრივი და ინდივიდუალური მოხსენებანი შემდეგ თემებზე: 1) სქემა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა, 2) მარქსიზმის ძირითადი დებულებანი, 3) იმპერიალიზმის არსი; 4) პროლეტარიატის დიქტატურა, 5) ფინანსიური კაპიტალი და ფინანსიური ოლიგარქია.

თავისი მეცადინეობა წრემ სექტემბრის 8 დაამთავრა. იკრიბებოდენ ყოველ კვირას. ორი თვის განმავლობაში სულ რვაჯერ მოხდა კრება. წრის შემადგენლობა—20 წევრი; ვაჟი—13, ქალი—7.

შრომის სკოლა

შრომის სკოლის და კურსებზე ხმარებული მეთოდების თეორიულად შესათვისებლად და მეცნიერულად დასაბუთებისათვის, თითქმის მეცადინეობის დაწყებისთანავე, მოაწყეს ლექცია-საუბრები შრომის სკოლაზე, სადაც თანდათანობით გამორკვეულ იქნა შრომის სკოლის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, თუმცა დაწვრილებით არ გაურკვევიათ პედაგოგიურ მიმართულებათა სხვაობა ამ საკითხში.

მეცადინეობის პროგრამა შემდეგი იყო: აღზრდის მთელი წესის შეცვლა ცხოვრების შეცვლისა გამო. აღზრდის ცნების განმარტება. პედაგოგიკის ისტორია. შრომის პრინციპები საბჭოთა სახელმწიფოს სკოლაში. შრომის სკოლის-სოც პედაგოგიური და პედაგოგიური დასაბუთება. ასაკთა თავისებურობანი და ინტერესები. მუშაობის მეთოდები შრომის სკოლაში: 1) კომპლექსური მეთოდი, 2) კვლევითი, 3) ექსკურსიული და 4) დალტონის მეთოდი. გარდა ამისა კურსანტებმა თვითეულად დაწერეს და შეაფასეს შემდეგი სამუშაონი: 1: დრამატიზაციის მნიშვნელობა შრომის სკოლაში. 2) შრომის შემოღება პირველი საფეხურის სკოლაში.

ხაცდელი სკოლა.

შრომის სკოლის და კერძოდ ანბანის სწავლების თვალსაჩინოდ შეთვისებისათვის მოწყობილ იქნა სკოლა საბავშო სახლების და სპარ-

ტაკის ბავშვებისა. სკოლაში ორი ჯგუფი იყო: უმცროსი—წერა-კითხვის უცოდინარნი, და უფროსი ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა მასწავლებლები ლექტორთა კომისიის ხელმძღვანელობით აძლევდენ საცდელ გაკვეთილებს.

ადგილობრივ შრომის პროცესების ჩართვა სკოლის განმავითარებელ მასალაში.

ერთ-ერთ ცდად შრომის სკოლის თეორიის პრაქტიკულად გამოყენებისა ადგილობრივ ცხოვრებაში იყო კურსანტებთან ერთად დამუშავება, შრომის პროცესების მეთოდების ჩართვისა სკოლის განმავითარებელ მასალაში. ეს დამუშავება მოწყობილ იყო, როგორც **დამოუკიდებელი შესწავლა** კურსანტების ჯგუფების მიერ **ადგილობრივ წარმოებათა** კვლევითი—კომპლექსური მეთოდით. ამ მიზნით კურსანტებთან ერთად დამუშავდა შემდეგი რიგი საკითხებისა, (სხვადასხვა წარმოებათათვის ზოგიერთი განსხვავებით), რომელნიც უნდა გამოეკვლიათ თვითეული წარმოების შესწავლის დროს.

ეთვალ წარმოებაში.

1—წარმოების გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მნიშვნელობა

2—ძრავები—საქონელი, ორთქლი, წყალი და მათი შესწავლა.

3—წარმოების შენობა, მისი გაზომვა, გეგმა, შეცვლა მისი სიდიდისა, მომავალში შესაძლო წარმოების გამო და ამისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

4—წარმოების იარაღი: საწარმოო ხელის იარაღი, მანქანები, მათი ანაგობა და ბუნების კანონები, რომელზედაც აგებულან ეს მანქანები.

5—ნედლი მასალა და ე. წ. ნახევარ ნამოქნარი—(полуфабрикаты) წარმოებისათვის საჭირო მათი რაოდენობა, ღირებულობა, მოპოვების ადგილი და პირობები.

6—ნედლი მასალის შემუშავება და შემუშავების საშუალებანი; შემუშავების საშუალებათა საფუძვლად ჩადებული ქიმიური და ფიზიკური კანონები; უბრალო ცდანი, რომელთა მოხდენა სკოლაში შეიძლება ამ კანონების გამოსარკვევად და მ ბაძვითი თამაშობანი,

7—წარმოებით გამომუშავებულ ნაწარმთა რაოდენობა, მათი ღირებულობა, გაყიდვის ადგილი, წარმოების სარგოიანობა.

წარმოებითი დამოკიდებულებანი; პატრონი, მუშები; მათი ერთმანეთზე დამოკიდებულება; 8.—საჭირო და დამატებითი შრომა. ექსპლოატაციის დანდი. შრომის ჰიგიენური პირობები და მუშათა კულტურობის დანდი.

9—აღნიშნულ სახელოსნოს და აღნიშნულ წარმოების ისტორია.

10—ლიტერატურული მასალა, ამ წარმოების მხატვრული სახით გამაშუქებელი.

კურსანტები დაჰყვეს შვიდ ჯგუფად; თვითეულ ჯგუფს მიეცა ცალკე საკვლევი. ზოგიერთმა ჯგუფმა ეს სამუშაო ცალკე წევრთა შორის გაინაწილა და მოაწყეს მთელი რიგი ექსკურსიებისა ადგილობრივ წარმოებებზე. მიეცათ შემდეგი თემები:

1) სასოფლო მეურნეობა.
2) მეურნეობა.
3) მიფუტკრეობა.
4) წისქვილი.
5) სამჭედლო
6) სახერხი ქარხანა.
7) ტყავის ქარხანა.

ქალაქის სკოლის მასწავლებელთა ჯგუფს მიეცა შემდეგი სამუშაო: ყველა სივთიერ შესაძლებლობის და დაბრკოლების მიხედვით, შეადგინონ მომავალ სასწავლო წლის მეცადინეობის გეგმა, იმ ვარაუდით, რომ ეს სკოლა საცდელ-საჩვენებლად იქნეს.

ამ დიდის გატაცებით შესრულებულმა მუშაობამ შედეგად გაჰოიწვია მთელი რიგი მოხსენებათა, რომელნიც წაიკითხეს საზოგადო კრებაზე და გაარჩიეს ხელმძღვანელთან ერთად. რა თქმა უნდა, ვერც ერთმა მოხსენებამ ვერ ამოსწურა სავსებით თავისი კომპლექსი—ამას ხელს უშლიდა საჭირო პირობათა მოუწყობლობა, მაგრამ სკოლის მუშაობისათვის შეკრებილი იყო მრავალი და ხანდახან საინტერესო მასალა; ეს მასალა განხილვის დროს გაშუქებულ იქნა სკოლის განმანათლებელ მასალის თვალსაზრისით.

საკრებულო მუშაობა.

როგორც გეგმაში უკვე ნათქვამი იყო, საკრებულო მუშაობას უნდა გაელრმავებინა საპროგრამო მუშაობა. არჩეულმა საკრებულო კომი-

სიამ ეს მუშაობა განახორციელა შემდეგ წრეებში: ორ პედაგოგიურში, მარქსისტულში, საინხატვროში, დრამატიულში და გაზეთის რედაქციაში. მარქსისტული და პედაგოგიური წრეების მუშაობა უკვე ზეპოთ იყო გაშუქებული.

1. **დრამატიულ** წრეს მიზნად ჰქონდა დასახული საკუთარი პიესის შექმნა, მხოლოდ რადგან წრის წევრებს თავისი თავის იმედი არა ჰქონდათ, იძულებული იყვენ უარეყოთ ეს სურვილი, რომელიც შეამცირეს და გადასწვიტეს რომელიმე მოთხრობის დრამატიზაცია. ამოირჩიეს ო. თუმანიანის პოემა „ფარვანა“, პოეტურად გადმოცემული თქმულება, ახალქალაქის ერთ-ერთ ტბასთან დაკავშირებული. პირველმავე კითხვამ დაგვანახვა, რომ კურსანტები არ არიან დახელოვნებული გამოსახვით კითხვაში და ამიტომ გადასწყიტეს პოემა შეემუშავებიათ სამხატვრო კითხვისათვის. კითხულობდენ ცალ-ცალკეც, გუნდობრივ მომქმედ პირებადაც. ამან ძალიან დიდხანს გასტანა, და პოემის დრამატიზაციისათვის დრო აღარ დარჩა. სამაგიეროდ წრის წევრებმა ხელმძღვანელობა გაუწიეს სკოლის მეორე ჯგუფის ბავშებს მათ მუშაობაში პახომოვის „პირველი მხატვარის“ მოთხრობის ნაწყვეტების დადგმაში, ასე რომ წრის მიზანი—წევრთა მიერ მხატვრული ნაწარმოების დრამატიზაციის მეთოდების შეეუშავება—მაინც განხორციელებულ იქნა.

1. **მხატვრულმა** წრემ მიზნად დაისახა ქალაქის საკრებულოთათვის დეკორაციების დახაზვა; წარმოადგინეს ორი გეგმა, მაგრამ აღ ბავების უქონლობის გამო მათი განხორციელება არ მოხდა. ზაფხულის მეორე ნახევრიდან ამ წრეში მუშაობა დაიწყეს ხატვის მასწავლებლის ხელმძღვანელობით. მუშაობამ მიიღო ხატვის გაკვეთილების ხასიათი, რომლებზედაც თეორიული ცნობები დასურათებული იყო თვით კურსანტების პრაქტიკული მუშაობით; ამგვარად შეთვისებული იქნა: ხატვის მნიშვნელობა სოფლის სკოლაში. სახის (უზორის) წარმოშობა. სტილიზაცია. გაბედული ხაზის და რიტმის განმავითარებელი ვარჯიშობა, ვარჯიშობისათვის აღებულ კომბინაციის ნაკვეთების არშიები. თავისუფალი ხატვა, მისი დამახასიათებელი თემები. დაკვირვების და რითმის გრძნობის განვითარება. კავშირი იმ საგნებთან, რომელნიც თავისი ფორმით მოგვაგონებენ ვარჯიშობისათვის მოცემულ ნაკვთს: მცენარეები—ფოთლების სახე („უზორი“); მწერები—ჭიების სახე („უზორი“); ბოსტნეულობა—ნესვი, კიტრი. მეხსიერებით ხატვა. უფრო რთული სახე. ყვავილების და ცხოველების ორნამენტი.

ამის გარდა მასწავლებელმა აუხსნა კურსანტებს თიხის შემზადება და ძერწვის საშუალებანი. გამოურკვია ძერწვის მნიშვნელობა სკოლის განმავითარებელ და სააღმზრდელო გეგმაში. კურსანტები ძერწავდენ უბრალო ნაკვთებს, როგორც, მაგ. ბურთი, ვაშლი, კვეცხი და სხვ. შესაფერ დროის უქონლობის გამო ამ მიმართულების მუშაობა ვერ გააფართოვეს.

3. პერიოდულად, ყოველ კვირა, აგვისტოს პირველ რიცხვიდან დაწყებული გამოდიოდა **გაზეთი**, რომელსაც სარედაქციო კოლეკიამ „პროგრესი" დაარქვა. პირველ გვერდზე დახატული იყო აწინდელი ქ. ახალქალაქი, ნახევრად დაქცეული სახით და მომავალი, როდესაც მდინარე თაფარავანზე გამართული იქნება სადგური. გაზეთში არსებობდა დარგები: მოწინავე წერილისა, კურსების სასწავლო ნაწილი, ლიტერატურული და იუმორიული (კურსების ცხოვრებიდან). გამოცემული იყო გაზეთის ხუთი ნომერი. კურსების დამთავრებისას ამავე რედაქციის მიერ გამოიცა სოფელთა შესწავლის კრებული და ისტორიული წერილები საზოგადოებათმეცნიერებიდან.

4. ორშაბათ საღამო დანიშნული იყო **ელექტროფიკაციის** საჯარო ლექციებისთვის. წაიკითხეს ხუთი ლექცია. ლექციებმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია როგორც კურსანტებში, ისე ქალაქის დამაწრე მოსახლეობაში. ასეთივე წარმატებით წაიკითხა იმავე ლექტორმა ერთი ლექცია ჰაერნავოსნობაზე და ორი ლექცია მსოფლიოს შექმნაზე.

5. განზრახული იყო შაბათები გამოეყენებიათ **დისკუსიებისათვის** (კამათისათვის) თავისუფალ თემებზე, რომელთაც არ შეხებოდენ მარქსისტულ და პედაგოგიურ წრეებში. მაგრამ დისკუსიების გამართვას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ კურსანტები კვირის ბოლოს მეტად იღლებოდენ და თავ-თავიანთ სოფლებში მიდიოდენ. ამისდა მიუხედავად, ძალიან ცოცხლად ჩაატარეს ორი დისკუსია შემდეგ თემებზე: 1) კლასობრივი იყოს თუ არა ბავშვების აღზრდა ჩვენს ხანაში. 2) სარწმუნოებრივ საკითხზე და ორი დისკუსია კურსებზე სწავლების საქმის დაყენების შესახებ.

6. საკრებულოს განუწყვეტელ და აუცილებელ ნაწილად გვევლინება კურსების **სამკითხველო**. ამ სამკითხველოში კურსის განმავლობაში ორჯერ იყო გამართული „ხმამაღლა კითხვის" ცდა, მიმდინარე პო-

ლიტიკურ საკითხების შესახებ მსჯელობის გამართვით. ორჯერვე სამკითხველო გაჭედილი იყო და მსჯელობა დიდის ინტერესით მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, სამკითხველოს გახსნის ერთი თვის შემდეგ გაზეთების მიღება დიდხნით მოისპო, და სამკითხველოც ენებლიედ დაცალიერდა[1]).

კურსების გამგე **მ. ხრისტოლიუბოვი.**

ტფილისის სახ. განათლ. განყოფილ. ინსტრუქტორი.

---

[1]) შემდეგ ნომერში მოცემულ იქნება კურსანტების ნამუშევარის ნიმუშები, მაგალითად „**სამჭედლის**“ კომპლექსი, სოფ. ხანდოს გაცნობა და სხ.

საზაფხულო სამასწავლებლო კურსები.

პ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ნ ი.

საქართველოს ყველა ეროვნებათა მასწავლებლობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ზაფხულში გახსნილი იყო ე. წ. გადასამზადებელი კურსები. მე დავათვალიერე კურსები მხოლოდ ხუთ ადგილას: ორი ქართველ მასწავლებელთათვის (ბორჯომსა და დუშეთში), ორი სომეხ მასწავლებელთათვის (ახალ ციხესა და ალბულაღში) და ერთიც ახალქალაქში—რუსულ ენაზე, რომელიც მოწყობილი იყო ახალქალაქის მაზრის ყველა ეროვნების მასწავლებელთათვის: ქართველების, სომხების, რუსების და თათრებისათვის.

კურსებზე საგანთა ციკლი ორია: პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური.

დაბალ კვალიფიკაციის მასწავლებელთა კურსებზე იყო აგრეთვე საბუნებისმეტყველო მათემატიკური საგნები.

ზოგიერთ კურსებზე კითხულობდენ ლექციებს სასოფლო-სამეურნეო დარგიდან, რადგანაც საქართველოს მცხოვრებნი უმთავრესად მისდევენ სასოფლომეურნეობას.

ლექციებს კითხულობდენ მიწადმოქმედებაზე, მევენახეობაზე, მებოსტნეობაზე, საქონლის მოშენებაზე, მეფუტკრეობაზე და სხვა.

თეორიული და ლექციური მეცადინეობის გარდა, რომელიც, სამწუხაროდ, სჭარბობდა წარსულ წელს, ოთხწლიანი სკოლის ყველა საგნებში მოწყობილი იყო კურსანტების მიერ **საცდელ გაკვეთილების** მიცემა, სწარმოებდა პრაქტიკული მეცადინეობა ბოსტანში, ექსკურსიებში და სხვა. სანიმუშო გაკვეთილებს არჩევდენ კურსანტების საერთო კრებებზე. ამ კრებებზე კურსანტები იღებდენ აქტიურ მონაწილეობას.

ყველა კურსების მსმენელები **საჯარო კრებებზე** კითხულობდენ რეფერატებს თანამედროვე პედაგოგიურ და სხვა საჭირო საკითხებზე, რომლებმაც გამოიწვიეს დიდი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა

საერთოდ კურსანტები მოითხოვდენ მომავალ კურსებზე პრაქტიკული მეცადინეობის გაძლიერებას.

თითქმის ყველა კურსებს აკლდა მეტად მნიშვნელოვანი ლექციები შრომის სკოლის საგანმანათლებლო მასალაში **ადგილობრივ წარმოებათა შრომის პროცესების** ჩართვის მეთოდების შესახებ.

ყველა კურსებმა მოაწყო **ექსკურსიები,** როგორც მახლობელ, ისე შორეულ ადგილებში: მეტად საინტერესო იყო ექსკურსია მუხრანში, სადაც კურსანტებმა დაათვალიერეს ქართლის სახალხო მამულში მეღვინეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და სხვა. აქვე დაათვალიერეს ისტორიული ნაშთები და სოფლის დაწესებულებანი. შემდეგი საყურადღებო ექსკურსია აბასთუმანში მოაწყეს ახალციხის კურსანტებმა.

საინტერესო იყო აგრეთვე აღბულაღის კურსანტების ექსკურსია აღბულაღის მიდამოებში. ექსკურსიას ხელმძღვანელობდა მეფუტკრეობის დარგში ცნობილი პროფესორი ზახაროვი და ბორჯომის კურსანტების ექსკურსია მინეულობის და სახერხავ ქარხნებში.

ზოგ კურსებზე კითხულობდენ ლექციებს **თანამედროვე თემებზე.** მაგალითად, ახალქალაქში ერთმა ლექტორმა ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების თხოვნით წაიკითხა ლექცია ელექტროფიკაციაზე და საჰაერო ფლოტზე და სხვა. ლექციები იკითხებოდა ლექტორის მიერ შედგენილ სქემების, სურათების, დიაგრამების საშუალებით და მიიზიდა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასები.

ამავე ლექტორის ხელმძღვანელობით მასწავლებლებმა — კურსანტებმა გადაიღეს ახალქალაქის გეგმა, აღწერეს ქალაქის მოსახლეობა და დაამუშავეს მთელი სტატისტიკური მასალა.

აღბულაღის და ახალქალაქის კურსებზე გამგეობა ხელმძღვანელობით მეტად ნაყოფიერად და რეგულიარულად სწარმოებდა მარქსისტულ წრეების მეცადინეობა.

მასწავლებლებმა, რომელთაც გაიარეს ეს წრეები, აღგვითქვეს ადგილობრივ ასეთივე წრეების მოწყობა და ხელმძღვანელობა.

დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ კურსებისათვის მათი **ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.**

ამით მათ გამოიწვიეს მოსახლეობის სიმპატია კურსებისადმი და დიდი ინტერესი. მაგალითად, აღბულაღში კურსანტებმა დახმარება გაუწიეს ადგილობრივ ორგანიზაციებს სხვადასხვა სასწრაფო კამპანიების

ჩატარებაში, გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების მოწყობაში, საღამოებისა და წარმოდგენების გამართვაში და სხვა.

დუშეთში კურსანტები ეხმარებოდენ ადგილობრივ ორგანიზაციებს საღამოების და წარმოდგენების მოწყობაში. აქვე მათ მიერ წაკითხული იყო მოხსენება „ბრძოლა სარწმუნოებასთან“, რომელმაც მიიზიდა მოსახლეობის ფართო მასები.

მოხდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ გასამართლება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, არამც თუ მარტო ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ მთელ საზოგადოებაშიაც.

ბევრ ადგილს დამყარდა მჭიდრო კავშირი აღმასკომსა, პარტიულ კომიტეტსა და სამასწავლებლო კურსებს შორის.

აღმასრულებელ და პარტიულ კომიტეტების წარმომადგენელნი ხშირად დადიოდენ კურსებზე, დაინტერესებული იყვნენ მათი მუშაობით და, შეძლებისდაგვარ, ხელს უწყობდენ მათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასეთი განწყობილება დუშეთსა, ახალქალაქსა და აღბულაღში.

უნდა აღვნიშნო, რომ კურსებმა გამოაცოცხლა პროვინციის პატარა ქალაქები. მცხოვრებთა შეფასებით, კურსები მათი დღესასწაული იყო.

კურსებმა მისცა მასწავლებლობას არა მხოლოდ სპეციალური, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადებაც.

კურსებზე ყოფნის დროს ვუახლოვდებოდი კურსანტებს და ვეცნობოდი მათ მოთხოვნილებებს, განწყობილებას და კურსებზე შეხედულებას. ბევრი კარგი რამ მესმოდა კურსებზე, როგორც საუბრის დროს, აგრეთვე საერო კრებებზე.

კურსანტები მთხოვდენ გადამეცა განათლების კომისარიატისათვის მადლობა კურსების მოწყობისათვის და საზოგადოდ იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან სახალხო განათლების საქმისადმი.

მასწავლებელთა სიტყვებში გაისმოდა ხმა მათთვის კურსების მნიშვნელობის და ლექტორების თავდადებით მუშაობის შესახებ.

კურსანტები გულახდილად აღიარებდენ, რომ კურსებზე ისინი გარდაიქმნენ. ირწმუნეს ახალი სკოლის შესახებ ბევრი რამ ისეთი, რაც უწინ განსახორციელებლად არ სწამდათ, თავის თვალით დაინახეს, რაც უწინ შეუძლებელად მიაჩნდათ.

ამნაირად კურსებმა დასძრა მასწავლებლობა მკვდარ წერტილიდან,

გამოიწვია მათში ცოცხალი ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი და უჩვენა მათ გზა **თვითგანვითარებისაკენ და თვითგადამზადებისაკენ.**

მასწავლებელთა უმრავლესობამ კურსების დაწყებისას საჯარო ლაპარაკიც კი არ იცოდა, კურსების ბოლოს კი რეფერენტებად და ოპონენტებად გადაიქცა.

სასიამოვნო იყო ახალი ცოდნით აღჭურვილ და ახალ გზაზე დაყენებულ მასწავლებელთა მზერა.

ვ. მამულოვი.

განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი

საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლები.

ნორმალურს პირობებში მასიური შრომის სკოლის ახალ პრინციპებისა, სასწავლო გეგმისა და პროგრამების შემოწმება და მათი ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობა საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლების **წინასწარ მუშაობაში** უნდა იოკვეოდეს და სწყვეტოდეს. მხოლოდ თეორიული აზრის ჩამოყალიბებისა და მიღებულ დებულებათა პრაქტიკულად გამოცდის შემდეგ უნდა იქმნას განხორციელებული უდაოდ ცნობილი გადაწყვეტილება, რომ მასიური სკოლა ასცდეს არასასურველ ექსპერიმენტებს და თავიდანვე დაადგეს უტყუარსა და მიზანშეწონილ გზას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების საერთო პირობები ჯერ კიდევ არ არის სავსებით ნორმალური და ამიტომ სკოლებსაც ასეთს გარემოებაში უხდებათ მუშაობა. ამიტომ არის, რომ დღევანდელი საცდელ-საჩვენებელი სკოლა ვერ უძღვის წინ მასიურ შრომის სკოლას და ვერ უწევს მას სათანადო იდეურ დახმარებას და ხელმძღვანელობას. საცდელ-საჩვენებელი და ჩვეულებრივი შრომის სკოლების მუშაობა ჯერ კიდევ თითქმის პარალელურად მიმდინარეობს. განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში და მათი მუშაობა-შემოქმედების მსგავსება-განსხვავებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეიძლება. ამისი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საცდელ-საჩვენებელი სკოლა და მასიური შრომის სკოლა იმთავითვე ერთისადაიმავე გეგმითა და ერთნაირი პროგრამებით სარგებლობდენ, თითქმის მიზნებითაც არ განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან.

მაგრამ დღეს ერთი დიდი უპირატესობა აყენებს საცდელ-საჩვენებელ სკოლებს განსაკუთრებულ პირობებში. ეს არის ის ფართო უფლებები და თითქმის დამოუკიდებლობა, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ ამ პროგრამების მიერ დადებულ საზღვრებში მაშინ, როცა ჩვეულებრივი მასიური სკოლა ვერ გასცილდება ნაჩვენებ საერთო წრეს, თუ არა იშვიათი, აუცილებელი გამონაკლის დროს.

ეს თითქმის განსაზღვრული უფლებები დიდს მოვალეობასაც აკისრებს საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლებს. მათ ევალებათ, და ამის ძალა-უნარიც უნდა შესწევდეთ, მეტის ინტენსიობით, სიფხიზლით და დაკვირვებით აწარმოებდენ თავიანთ მძიმესა და პასუხსაგებ საქმეს. მათი გამონაკვლევი და გამონარკვევი შემდეგში საფუძვლად უნდა დაედვას მასიურ სკოლას, რაც ახალ გზაზე დააყენებს მის მუშაობას. ცხადია, ეს დიდი ტვირთია და ფრიად მძიმე მოვალეობა მთელი ახალთაობისა და პედაგოგიკის წინაშე.

ცოდნა-ვანვითარებასთან ერთად შრომის სკოლა მოითხოვს სოციალისტური იდეებისა და ინტერნაციონალური, საერთაშორისო პრინციპების გატარებას; ეს კი სწყვეტს სასწავლო გეგმის აგებულებას, პროგრამების ხასიათს და შინაარსს და თვით სასწავლო მასალას და სწავლების მეთოდებს. ეს ორი უკანასკნელი მომენტი —სასწავლო მასალის განსაზღვრა-დალაგება და სწავლების მეთოდების არჩევა და გამოყენება თვით სკოლებზეა დამოკიდებული. აქეტომ, რომ იგი არ იქმნას ნაჩქარევად და შეუმოწმებლად მიღებული თვითეული სკოლის მიერ დამოუკიდებლად, საჭიროა მათი სანიმუშოდ გამოცდა საცდელ-საჩვენებელ სკოლებში და მხოლოდ შემდეგ უნდა იქმნას იგი საყოველთაოდ და სავალდებულოდ აღიარებული.

როგორც თვით ამ სკოლის სახელწოდებიდან ჩანს, საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა ორგვარ მუშაობას აწარმოებს: **საცდელსა** და **საჩვენებელს**. აქედან პირველი დარგი გვიპასუხებს—**რატომ** და **რისთვის** წარმოებს ასეთი მუშაობა, ხოლო მეორე—**რას აკეთებს** იგი და **როგორ**. ორსავე შემთხვევაში საცდელ-საჩვენებელმა სკოლამ შეიძლება ორი დასკვნა მიიღოს ამა თუ იმ მუშაობის და საკითხის განხილვის დროს: დადებითი და უარყოფითი. ყოველი შედეგი მისი მუშაობისა ეცნობა სკოლების ხელმძღვანელ ორგანოს, განათლების სახალხო კომისარიატს, რომელიც, ხათანადო დაფასების შემდეგ, მიზანშეწონილად გამოიყენებს მას სასკოლო აღმშენებლობის საქმეში.

კონკრეტულად, საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის მუშაობის თვითეული მთავარი ნაწილი შეიძლება შესდგებოდეს შემდეგი უმთავრესი მომენტებისაგან:

გაითვალისწინებს რა სასკოლო გეგმებისა და პროგრამების მიხედ-

ვით საერთო სასკოლო მუშაობას, სასწავლო-საალმზრდელო, ადმინისტრატიული და სამეურნეო მხარეებით, სასწავლებელი ადგენს საცდელი მუშაობის გეგმას დაახლოებით ამნაირად.

საცდელი ნაწილი.

1. საგნების განაწილება მასწავლებელთა შორის და სასწავლო მასალის რაოდენობის განსაზღვრა მეოთხედების ან ტრიმესტრების ფარგლებში.

2. სასწავლო მეთოდის შერჩევა თვითეული ჯგუფებისათვის საგნისა, მასალის და ამ ჯგუფის ასაკის მიხედვით.

3. შრომის პრინციპის განხორციელება (აქტიურ-შრომითი მეთოდი).

4. კომპლექსური მეთოდის განხორციელება.

5. ლაბორატორიული კვლევითი მეთოდის გატარება.

6. ექსკურსიები.

7. ადგილობრივი წარმოების გამოყენება სასკოლო მუშაობისათვის.

კერძოდ მეთოდები: 8. წერა-კითხვის სწავლების ბგერითი, ამერიკული, შერეული და სხ. და უცხო ენებში. ე. წ. ნატურალური, თარგმნითი, შერეული და სხვა.

9. ბუნებისა, სამშობლოს შესწავლისა და გეოგრაფიის და საზოგადოებათმეცნიერების. (ამ საგნებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ერთის მხრივ, როგორც ახალ საგნებს, მაგალით. საზოგადოებათმეცნიერება, და მეორეს მხრივ—რადგან ისინი მოითხოვენ ახალს მიდგომას და გაშუქებას.

10. განმანათლებელი საგნების დაკავშირება ერთმანეთთან კომპლექსურად (ჯგუფებს ხელმძღვანელობს ყველა საგნებში ერთი მასწავლებელი, ან რამდენიმე მონათესავე საგნის გაძღოლას კისრულობს იგი, ანდა ცალკე საგნების მასწავლებელთა შორის სწარმოებს განუწყვეტელი კავშირი, მუდმივი კონტაქტი ურთიერთი მუშაობის გასაცნობად.)

11. ამ საგნების დაკავშირება სახელოსნოებთან და მინდორ-ბაღ ბოსტანში მუშაობასთან.

12. სკოლის გარეშე მუშაობა. ბავშთა საკრებულო. სალიტერატურო და თვითგანვითარების წრეები, საკლასო და სასკოლო ლიტერატურული ჟურნალი და სხვა და სხვა.

13. სასკოლო დღესასწაულები (სამხატვრო-სალიტერ. სამუსიკო საღამოები, წარმოდგენები, დრამატიზაცია და სხვ].

14 სასკოლო თვითმართველობა.

საჩვენებელი მხარე.

მუშაობის ეს ნაწილი დაახლოებით შემდეგნაირად სწარმოებს: რომ სკოლას ხელი არ შეეშალოს მის მუშაობაში და არ დაირღვეს ადრე შემუშავებული მთლიანი და მიზანშეწონილი გეგმა, იგი ნიშნავს საჩვენებელი მუშაობისათვის განსაზღვრულ დროს, კვირაში ერთს ან ორ დღეს, როგორც შესაძლებლად დაინახავს, და აწარმოებს მას დამსწრე სტუმრებისათვის ადრეკე შემუშავებული გეგმის მიხედვით თვითეულ ჯგუფში ცალკე ან თვითეული მეთოდის ან სხვაგვარი სამუშაოს გასაცნობად.

გ. ჭუმბურიძე.

განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი

ადგილობრივ სკოლებისათვის.

ჯერჯერობით ასეთი საცდელ-საჩვენებელი სკოლა სამია საქართველოში, სამივე ტფილისში, განათლების კომისარიატთან უშუალო კავშირისათვის. ახლო მომავალში კი განზრახულია ამგვარივე მუშაობის მოწყობა ადგილებზე, რომ ყოველმა კუთხემ შესძლოს უმეშვეო ურთიერთობა იქონიოს ერთ რომელიმე საცდელ სკოლასთან, რომელიც ამ. ნაირად თავისი რაიონის მასწავლებლობის დამაკავშირებელ ცენტრად შეიქმნება.

ტფილისის სამ საცდელ-საჩვენებელ სკოლიდან ორი ქართულია,—პირველი და მესამე, ერთი კი რუსული,—მეორე.

პირველ სკოლას სათავეში უდგას მიხ. ზანდუკელი.

მეორეს—ს. კარაბინოვა.

მესამეს—პროფ. დ. ეზნაძე.

ჟურნალის ყოველ ნომერში იქნება მოთავსებული ცნობები ამ სკოლების მუშაობის შესახებ. პირველ ნომერში მეორე სკოლის ანგარიში იმიტომაა მოთავსებული, რომ ეს სკოლა, როგორც არა ქართული, ე. ე იგი არა ადგილობრივი ეროვნობისა, უფრო ზოგად, საერთო საკითხებს აშუქებს და სინჯავს თავის მუშაობაში: საგნების შერწყმა კომპლექსური სწავლების სახით, თვითმართველობა—სკოლის კომუნად გადაქცევამდე, ინტერნატის მნიშვნელობა და სხ.

პირველი და მესამე სკოლა კი ამავე საკითხებთან ერთად საქართველოს პირობებისათვის განსაკუთრებულ საკითხებს აშუქებს, და ისე, რომ მათი მუშაობიდან ამ ნახარეს გამოვყოფთ ჟურნალში გასაშუქებლად. ამიტომ მათი ანგარიშები და წერილები შემდეგ ნომრებიდან იქნება მოთავსებული.

მეტად სასურველია, რომ ადგილობრივმა სკოლებმა თავისი აზრი აცნობონ ჩვენ ჟურნალს ამ სკოლების მუშაობის შესახებ. რაში არ ეთანხმებიან მათ, რის ჩამატებას სთხოვენ მათ კვლევა-ძიებაში, რაც სოფლისათვის საჭიროა და რისი დაწყება ქალაქშიც შეიძლება და სხ. და სხ.

წარსულ ზაფხულს კურსებზე მუშაობამ დააახლოვა პირველი და მესამე სკოლის ხელმძღვანელები ზოგიერთ ჩვენ ყრუ კუთხესთან, რაც მეტად სასურველად ემჩნევა ამ სამოსწავლო წლის მუშაობას.

საერთოდ ორივე ამ სკოლაში მეტად საგულისხმიერო მუშაობა სწარმოებს ჩვენი საკუთარი **ქართული შრომის სკოლის** ძებნისა და შექმნის მხრივ.

ორივე სკოლა, განსაკუთრებით კი მესამე, იკვლევს ქართველ ბავშთა ყოველი **ასაკის** ე. წ. „ინტერესებს" და ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურობას. იხ. ერთ-ერთ წინა წერილში უკვე მოხსენებული წერილი **დ. უზნაძისა** „ქართველ ბავშთა იდეალის განვითარება", „ტფილისი, უნივერსიტეტის მოამბე", № 2.

ორივე სკოლა, განსაკუთრებით პირველი, ირკვევს ჩვენი ბავშისთვის საჭირო **შრომის პროცესების** შეტანას ჩვენს სკოლაში და **ესთეტიურ აღზრდას**. პირველ სკოლაში აგრეთვე საგულისხმიერო ადგილი ეთმობა **ფიზიკური აღზრდის** საკითხებს. ყველა ეს თანდათან გადმოტანილი იქნება ეუ-ნალის ფურცლებზე, მეორე ნომრიდანვე დაწყებული. ვუთითებთ ამხანაგებს პირველი სკოლის გამგის, მიხ. ზანდუკელის წიგნზე „ესთეტიური აღზრდის" შესახებ შრომის სკოლაში, და მისივე დებულებებს ამავე სკოლის შესახებ კრებულის „ახალ სკოლისაკენ" პირველ ნაწილში.

მრავალი კეთდება ორივე სკოლაში აგრეთვე ქართულ **წერა-კითხვის** სწავლების მეთოდების მხრივ, **სასკოლო ბაღების** ჩამოყალიბების მხრივ საქართველოს პირობებისათვის, და სხ. და სხ.

მეტად საინტერესოა აგრეთვე ამ ორივე სკოლის ყოველი დღესასწაული, ქართულ ნაწარმოებთა დრამატიზაციით, მუსიკით, ტანვარჯიშობით და სხ. და სხ.

მაგალითად, ამ იანვარში „ზამთრის დღესასწაულის" სახით პირველმა სკოლამ მოაწყო ერთი — ქიზიყის და გურიის საღამო, მეორე — ვაჟა ფშაველას საღამო — ყველაფერი თვით ბავშების ხელით; მესამემ კი სვანეთის საღამო, სვანეთის მაღალმთოვანი ხასიათისა და ცივ. ქვეყნების ლანდშაფტის ერთმანეთში ჩაქსოვით, და ამისი გამოყენებით სასკოლო მუშაობასა და ამ დღესასწაულის მოწყობაში. (შეად. ზემომოთავსებული ექსკურსიები ლეჩხუმის კურსებისა).

ახალი სკოლის **დღესასწაულების** მოწყობა მდიდარი წყაროა კომპლექსური სასკოლო და საკრებულო მუშაობისათვის, ბავშების თვით-

ნოქმედიანობის, თაოსნობის უნარისა და შემოქმედების უზენაესი ამუშავებით, ამიტომ ამ საკითხს როგორც თეორიულად, ისე ცოცხალი მაგალითების მხრით დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ჩვენს ჟურნალში.

პირველი და მესამე სკოლის ადგილობრივ დღესასწაულებთან ერთად ძალიან კარგი გამოვიდა მეორე სკოლის, ასე ვთქვათ, მსოფლიო თემაზე აგებული დღესასწაული: „მზის ლეგენდა“—ცივ ქვენების თქმულების დრამატიზაცია ზამთარში მზის დაკარგვის შესახებ: მისი ნაპერწკლის ჩაყლაპვა თევზისა და სხვა ცხოველთ მიერ, მისი ძებნა ზღვის ფსკერიდან მაღლა მთამდე და სხ. და სხ.

იმედია, მასწავლებლობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს ამ სამივე სკოლის მუშაობას.

ნ. ნ.

მე-2-ე საცდელ-საჩვენებელი სკოლა[1])

ძირითადი პრინციპები და მუშაობის მიმართულება 1921—1923 წ.

მე-2-ე საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა გაიხსნა 1921 წლის ოქტომბერში ა. ფ. პეტრაშევსკის ქალის ყოფილ კერძო კომერციულ სასწავლებლის შენობაში. პედაგოგიური პერსონალი თითქმის სულ ახალი მოიწვიეს, მოწაფეთა ძველი შემადგენლობის ერთი ნაწილი გადაიყვანეს სხვა სკოლებში იმ მიზნით, რომ მოწაფეთა რიცხვი დაეყვანათ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ საჩველ სკოლებისათვის განზრახულ ნორმამდე (25 მოწაფე თითო ჯგუფში), ამასთანავე, სასწავლებელში დასტოვეს უმთავრესად ამ რაიონის მუშების და საბჭოთა ხელისუფლების თანამშრომელთა შვილები. $2^1/_2$ წლის განმავლობაში კი სასწავლებელში იღებდენ მხოლოდ ამ რაიონის მუშების, პარტიულ მუშაკთა და საბჭოთა ხელისუფლების თანამშრომელთა შვილებს, ისე რომ სოციალური შემადგენლობის მიხედვით პირველი ახლად მიღებული სამი ჯგუფი რამოდენადმე განსხვავდება უფროსი ჯგუფის ძველი შემადგენლობისაგან.

მუშაობის დაწყება

სკოლა გაიხსნა შვიდი ჯგუფით და სასკოლო ბალით.

მომდინარე 1923-24 წლიდან სკოლა გადაკეთებულია ცხრაწლიან სკოლად; გაიხსნა მე-8 ჯგუფი, მაგრამ დაიხურა სასკოლო ბალი, შენობის სივიწროვის გამო. ბავშვების შემადგენლობა ეროვნულად მრავალფეროვანია. შემადგენლობის ინტერნაციონალური ხასიათი, აღზრდის ახალ მიმართულებასთან ერთად, კარგად მოქმედობს ბავშვების ურთიერთ დამოკიდებულებაზე და მათ შორის ვერა ნახავთ ეროვნული ხასიათის უთანხმოებას და შუღლს.

[1]) ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამ სკოლას ლენინის სახელობის სკოლა-კომუნა ეწოდება.

სკოლასთან არსებობს ერთ დესეტინამდე საბალე და საბოსტნე მიწის ნაკვეთი და ხისა და ლითის დასამუშავებელი პატარა სახელოსნო (20 მოწაფისათვის).

ახალმა პედაგოგიურმა საბჭომ სკოლა მიიღო თითქმის ცალიერი, არ იყო არც სამოსწავლო ხელსაწყოები და არც სამეურნეო მოწყობილობა. თითქმის სრულიად არ იყო თვალსაჩინო ხელსაწყოები და არც ქიმიური და ფიზიკური კაბინეთები; ბიბლიოთეკა შესდგებოდა ექვსასი სხვადასხვა შინაარსის წიგნისაგან და დგამიც არ ჰყოფნიდა სასწავლებელს.

სასწავლებლის მოწყობა ხდებოდა თანდათანობით: პირველი ორი წლის განმავლობაში სახალხო განათლების კომისარიატმა მოაწყო საბოსტნო მუშაობა, სახელოსნო და მისცა სასწავლებელს ნაწილი დიდაქტიური მასალისა; მიმდინარე 1923-24 წ. შემოდგომაზე კი სასწავლებელმა მიიღო სახალხო განათლების კომისარიატისაგან კარგი ბიბლიოთეკა, პატარა ფიზიკური კაბინეთი და აგრეთვე შეავსო სათვალსაჩინო მასალა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმის ნორმალურად დასაყენებლად ჯერ კიდევ ბევრი აკლია სასწავლებელს: შევსება სასწავლებლისა საჭირო მოწყობილობით მეტად ძნელია.

პირველი სასწავლო წელი (1921/22) სკოლისათვის უმთავრესად **საორგანიზაციო** ხანა იყო: არჩევა ისეთი პედაგოგიური პერსონალისა, რომელიც შეეფერებოდა სასწავლებლის ამოცანას, გათვალისწინება პირველი პედაგოგიური ცდებისა და სასწავლებლის მოწყობა ნივთიერად და ტეხნიკურის მხრივ.

მეორე წელიწადი ხასიათდება პედაგოგიურ პერსონალ..ს გაორკეცებული მუშაობით თავისი **გადამზადების** მხრივ და აგრეთვე **ძირითად დებულებათა** გამომუშავებით, **პროგრამების** შედგენით და დებულებათა სათანადო **მეთოდების** დამუშავებით.

მიმდინარე 1923/24 წელში გრძელდება და ღრმავდება წარსული წლის მუშაობა, ამასთანავე მუშავდება საორგანიზაციო საკითხი და აგრეთვე საკითხი **ბავშების თვითმართველობის** შესახებ, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს წარსული მუშაობიდან და ნაკარნახევია ცხოვრებისაგან, ფართოვდება **საკრებულო მუშაობა**, რომელიც წარსულ წელს იყო გათვალისწინებული.

ძირითადი დებულებანი.

გადავდივართ რა $2^1/_2$ წლის განმავლობაში გამომუშავებულ ძირითად დებულებებზე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ძირითადი დე-

ბულებანი ჩვენთვის რჩებიან უცვლელად, მაგრამ საპედაგოგიო საბჭო, როგორც ცოცხალი და შემოქმედებითი მაძიებელი ძალა, არ სთვლის მუდმივად და დამთავრებულად იმ ფორმებს, რომლებშიაც გამოიხატება დღეს ჩვენი პრინციპები.

ჩვენ ვალრმავებთ და სახეს ვუცვლით ჩვენ მუშაობას, ჩვენი საკუთარი განვითარების გაღრმავებისა და ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით. ერთი წელიწადი მეორე წლის განმეორება არ არის, ყოველ წელს ახალი რამე შემოაქვს სკოლის ცხოვრებაში.

ჩვენი მუშაობის გამოსავალი წერტი ბავშში არის, **როგორც ინდივიდუალური** და **სოციალური არსება** ჩვენ გამოვდივართ იმ ბავშთა **ბუნებიდან** და ასაკის **ინტერესებიდან**, რომლებიც გარშემორტყმულნი არიან **თანამედროვე ცხოვრების** სოციალურ წყობილების მძლავრი გავლენით, და აგა მათი — რომლებიც მოწყეტილნი არიან ყოვილივე ამას.

საპედაგოგიო საბჭომ დასვა ეს ძირითადი პრინციპი და გადავიდა პედაგოგიურ საკითხების განხილვაზე — როგორიც არის, მაგალითად, საპროგრამო საკითხი, მეთოდიური ან საორგანიზაციო საკითხები და სხვა. მაგრამ საბჭომ ნათლად დაინახა, რომ ყველა ეს საკითხები მოითხოვენ მისგან უწინარეს ყოვლისა ერთ ძირითად პასუხს: როგორია ჩვენი (მასწავლებელთა იმ ჯგუფისა, რომელიც შემოიკრიბა ჩვენი სკოლის გარშემო) შეხედულება საერთოდ ბავშების **აღზრდის მიზანზე.**

გამორკვევა ბავშების შეგნებული აღზრდის მიზნებისა, პედაგოგიურ პერსონალის შეთანხმება ამ საკითხში — ეი ოას მოითხოვს ჩვენგან ცხოვრება.

აღზრდის მიზნებზე შეხედულებათა გამორკვევამ აუცილებლად მიგვიყვანა საპედაგოგიო საბჭოს წევრების მსოფლმხედველობის გამორკვევასთან და მის შექმნასთან, თუ ეს ჯერ არ იყო შექმნილი და განმტკიცებული.

ამ $2^1/_2$ წლის მუშაობამ პედაგოგიური საბჭო მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. საპედაგოგიო საბჭოს მუშაობა ბავშების სოციალურ აღზრდაში შეუძლებელია, თუ პედაგოგიური პერსონალის მსოფლმხედველობა შეთანხმებული არ არის და მუშაობის ყოველ მომენტში არ გამოიხატება.

2. ჩვენი პედაგოგიური პერსონალის უმეტესობა ნაწილმა თანამე-

დროვე სოციალური აღზრდის საძირკველის ჩამყრელ მსოფლმხედველობად მიიჩნია **მარქსისისტული** მსოფლმხედველობა.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, რომელიც მხოლოდ საბჭოთა პლატფორმაზე სდგას, მუშაობს ჩვენთან, თავისუფლად უთანხმებს თავის მუშაობას მთავარ მიმართულებას და თავისი შრომით ხელს უწყობს მის განმტკიცებას.

ამ ორი წლის განმავლობაში მასწავლებლობის გადამზადება სხვადასხვა სახეს ღებულობდა: წარსულ წელს ეს გამოიხატებოდა სისტემატიურ მოხსენებებში, მთავარ პედაგოგიურ მიმართულებათა გაცნობაში, და მის კრიტიკაში მარქსისტული თვალსაზრისით, წელს კი—მარქსისტულ წრის შექმნაში და თემების დამუშავების დროს მასწავლებლობის უმრავლესობის აქტიურ მონაწილეობაში; პირველ და მეორე წელშიც—საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხებში მარქსისტული ხაზის გატარებაში.

3. ჩვენი გადასამზადებელი მუშაობის შედეგი იყო—ჩამოყალიბება ბავშების თანამედროვე სოციალურ აღზრდის მიზნებისა. ამ მიზნად ჩვენ წამოვაყენეთ: განვითარება ბავშებისა ისე, რომ მათ შეეძლოთ მოქმედებითი გარკვევა საზოგადოების თანამედროვე ნივთიერ და სულიერ ცხოვრებაში, პროლეტარიატის იდეალებისათვის შეგნებული მებრძოლის და კომუნისტური საზოგადოების მომავალი აღმშენებელის მომზადება.

თავისი მთავარი მიმართულებით და ჩვენი წევრების უმრავლესობის მუშაობით სასწავლებელს ეძლევა **კომუნისტური აღზრდის** სკოლის სახე.

არც ერთ სკოლას არც შეუძლია ჩამოშორება და არც უნდა ჩამოშორდეს საზოგადოებრივ პოლიტიკურ გავლენას; საჭიროა მხოლოდ, რომ დასახული მიზნები სკოლამ გაატაროს ბავშის განვითარების კანონებთან და მისი ასაკის მოთხოვნილებასთან შეთანხმებით.

4. ამისათვის შემდეგ პრინციპად სკოლა იყენებს ბავშის **ასაკის ინტერესების** ამოცნობას, მის განსაზღვრას და მისი მიხედვით საპროგრამო მასალის დამუშავებას.

5. ბავში თავისი ბუნებით **აქტიურია**. ჩვენ შრომას საფუძვლად დავუდეთ ცოდნის **შრომითი წყაროები**. შრომა, როგორც ჩვენ გვესმის, **პედაგოგიური პრინციპია**. ეს არა მარტო ცოდნის შეთვისების მეთოდია, არამედ ცოდნის **წყაროც**, ისე, როგორც კაცობრიობის მთელი ცოდნა აღმოცენდა შრომაზე და თვით კაცობრიობაც განვითარდა შრო-

მაზე, აგრეთვე ბავშს, როგორც სოციალურ არსებას, რომელიც მემკვიდ-
რეა დღევანდელი საზოგადოებრივი შრომის ცხოვრებისა, შეუძლია
და უნდა მიიღოს კიდეც ამ ცხოვრების ცოდნა შრომაზე.

ცოდნის მიღების ეს საზოგადოებრივ-შრომითი გზა. თანდათანობით,
ხნოვანობასთან ერთად გადადის ცოდნის მიღებაზე—სალაბორატორიო-
სამეცნიერო კვლევა-ძიების გზით კვლევა-ძიებითი გზა ცალკე ელემენ-
ტებით შედის ყველა ასაკის ჯგუფებში.

რადგანაც საშუალება არა გვაქვს მთელი სწავლება ყოველმხრივ
ავაშენოთ შრომაზე, როგორც პრინციპზე (უქონლობა ინტერნატისა,
კომუნისა, შესაფერი მოწყობილობისა და ნივთიერი პირობებისა), სკო-
ლა ცდილობს ფართოდ გამოიყენოს **შრომა**, როგორც **მეთოდი**; ე. ი.
ჩვენს სკოლაში შრომა მუდამ წყარო არ არის ცოდნისა, ხანდახან
შრომა მხოლოდ ღონისძიებაა ცოდნის შესათვისებლად, ცოდნის და-
სურათებაა.

6 ბავშის საზოგადოებრივი ცხოვრება (სასკოლო თვითმართვე-
ლობა) ვითარდება ჩვენ მიერ დასახული აღზრდის მიზნების საფუძველზე
და საგანმანათლებლო მასალასთან მჭიდრო კავშირით.

7 ბავშებში **საზოგადოებრივი თვითშეგნების** და სამეცნიერო
ცოდნის გასავითარებლად ერთ უმთავრეს პირობად მიგვაჩნია მათი
მჭიდრო **კავშირი ადგილობრივ კულტურასთან, წარმოებასთან, ბუ-
ნებასთან, საზოგადოებრივ წყობილებასთან** და სხვა; ამიტომ ჩვენ
მუშაობას საფუძვლად ვუდებთ ე. წ. **ტერიტორიალურ პრინციპს** და
აქედან ვიღებთ მთელ მასალას ბავშების ცოდნის საერთო სისტემისა
და საზოგადოებრივ შეჩვევათა (навыки) გამოსამუშავებლად.

8 რადგანაც ბავში ითვისებს საგნებს და მოვლენებს, როგორც
მთლიანს, ამისათვის ჩვენ განცალკევებული საგნობრივი სწავლა შევ-
ცვალეთ თანშერწყმულით, კომპლექსურით, ხოლო ამ გაერთიანების
ფორმები იცვლებიან ბავშის ხნოვანობის მიხედვით. ზოგიერთი სამო-
სწავლო საგნები, რომლებიც არ თავსდებიან ასეთ შერწყმულობაში, მუ-
შაობენ დამოუკიდებლად, მაგ. უცხო ენები, ხოლო ყოველი საგანი, რო-
მელსაც თავისი სპეციალური ამოცანებისთვის ცალკე ვარჯიშობა ესა-
ჭიროება, მაგ. მათემატიკა, დროგამოშვებით შორდება საერთო კომ-
პლექსს, ხოლო ძირითად ციკლთან კი მაინც კავშირს არა ჰკარგავს.

სწავლის შერწყმულობამ გამოიწვია ყოველი ჯგუფის მასწავლე-
ბელთა მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობა; ამას მოჰყვა ყოველი ჯგუ-

ფის რეგულიარული საკლასო კომისიები, ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება, ერთდროულად ორი მასწავლებლის მიერ მუშაობის წარმოება ერთ ჯგუფში და, ბოლოს, აუცილებლობა ერთი პასუხისმგებელი მომუშავის — ორგანიზატორისა, რომელიც აწესრიგებს თავის ჯგუფის მასწავლებელთა კომპლექსურ მუშაობას.

ასაკთა ინტერესები და მათთან შეფარდება საპროგრამო მასალის ძირითადი ხაზებისა.

1. უმცროსი ჯგუფები, ხნოვანობით 6-9 წლამდე.

აქ უწინარეს ყოვლისა ინტერესებს მეტად მოძრავი ხასიათი აქვს და ერთი-მეორეს სწრაფადა სცვლის. აქედან უფრო დგრადი (устойчивые) და ასაკის დამახასიათებელი ინტერესების ამოკრება ხელმძღვანელისათვის პირველ ამოცანას შეადგენს. ეს მნიშვნელოვანია ბავშის ფსიქოლოგიურად შესასწავლად და გამოსარკვევად და ამასთანავე ბავშების ურყევ ინტერესებს მივყავართ მისი პიროვნების ბუნებრივ განვითარებისაკენ.

ინტერესთა ასეთი ცვლა არის შედეგი ამ ასაკის ბუნებისა, რომელიც მრავალ შემთხვევაში ჯერ კიდევ პირველად ეცნობა გარემოს. ამისათვის არის, რომ ამ ასაკის უმთავრესი ინტერესი იზიდავს ბავშს გარემოს შრომათ-მოქმედიანობით გაცნობისაკენ და ამნაირსავე განსახიერებისაკენ (თამაშობით იქნება თუ შრომით, რაც ამ ასაკისთვის განუყრელია).

ამ ასაკის ძირითად, დგრად ინტერესებს რომ გამოვარკვევთ, მაშინ საჭირო ხდება მათი სწორი გამოყენება. ეს არის ხელმძღვანელის ამოცანა, მისი აქტიური როლი, მუშაობის ის გზა, რომელიც მიმართულია მასწავლებლისაგან მოწაფისკენ.

სამუშაო მასალა ნაწილდება თავისუფლად. საკომპლექსო თემებისა და ამოცანების ციკლი სდგება ბუნების ბოვლენების და წელიწადის დროს მიხედვით, ან იმ მოთხრობებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენენ ბავშებზე და, საერთოდ, ყოველივე მასალისაგან, რაც კი შემოაქვთ თვით ბავშებს, გარემოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამ თემების გარშემო ხდება სხვადასხვა დარგების ან სამოსწავლო საგნების ცხოველი თანშერწყმა. ანგარიშის, წერისა და კითხვის გამოსაყენებელი ადგილი მოიპოვება როგორც საქმიანობაში ისე თამაშობა-

სა და ხელოვნებაში (ძერწვა, ხატვა, დრამატიზაცია, რითმიკა და სხვა).

ეს ეპიზოდიური, ვსთქვათ, შემთხვევითი თემების და მეცადინეობის ციკლები და კომპლექსები უხილავად წარიმართებიან შიგნიდან და აუცილებელ გაერთიანებას განიცდიან სამი ძირითადი თემის გარშემო: ბუნების სიცოცხლე, კაცის შრომა და საზოგადოებრივი წყობილება.

დამუშავებული გეგმით მოწყობილი ექსკურსია, იქნება ეს შრომის ხასიათისა თუ ბუნებაში, საუბარი თუ თხრობა, ბოსტანში თუ სახელოსნოში მუშაობა, ყველგან ბავშის წინ იშლება კაცის შრომითი მოქმედების ელემენტები, ბუნების ცხოვრება და ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება.

ერთისადაიმავე თემების გამეორება სხვადასხვა ასაკში გვაძლევს მდიდარ განმანათლებელ და საალმზრდელო მასალას, რომელიც კონცენტრიულად ფართოვდება უმცროს ჯგუფებიდან უფროს ჯგუფებისაკენ-

სადაც დასაწყისში ინტერესები სახლს, ოჯახს, მახლობელ ქუჩას და ქალაქს არა სცილდებოდენ, იქ ახლა, უფროს ჯგუფებში, შორს, ამ საზღვრებს გარეთ გადადიან. ამასთანავე ძლიერდება ინტერესები ზღავრისადმი. ზღავარი—ხალხური, ყოფაცხოვრებითი ან თვით ფანტასტიური იზიდავს ბავშის წარმოსახვას, როგორც უცნობი და არაჩვეულებრივი, ყოველდღიური გარემოს საზღვრებ-გარეშე.

ყოველ ჯგუფის ცხოვრებაში, მოწაფეთა უთრთიერთ დამოკიდებულებაში, საერთო თამაშობაში, მეცადინეობასა და შრომაში ყალიბდება ბავშების ცხოვრების საზოგადოებრივი ელემენტები და მათი თვითორგანიზაცია.

თუ ბავშის სასკოლო ცხოვრება ისე არის მოწყობილი, რომ მისი ამა თუ იმ ასაკის და მომენტის დგრადი ინტერესები სწორედ არის ამოცნობილი, მაშინ თავისთავად ეწევა ამ ინტერესების დაკმაყოფილება და შეუმჩნევლად, ბავშზე ძალდაუტანებლად ვითარდება და მტკიცდება ცოდნა და ცხოვრებასთან დაკავშირებული ტეხნიკური გამოცდილება.

2. დაახლოვებით **მეოთხე ჯგუფიდან** ხნოვანობა 10-12 **წელი**. ეს გარდამავალი და მკვეთრად თავისებური ასაკია, რომელშიც ბავშური სინაზე შეთავსებულია ყაჩაღურ მისწრაფებისკენ, განსაკუთრებული მიდრეკილებით მოგზაურობისაკენ, თავგადასავალისაკენ და პედაგოგიკაში წანწალობისაკენ („бродяжничество") ერთი სიტყვით, ყოველივე მისკენ, რაც შორია და წარმოსახვის მიმზიდველი და აგრეთვე რაც ხარბ

ინტერესს იწვევს თანამედროვე მოვლენებისაკენ, თუ უკანასკნელნი ცხოველი და მოქმედებიანობითია.

ამისი შეეგუწმების შემდეგ საჭირო იყო მხოლოდ ამ მოთხოვნილებათა და ინტერესების ორგანიზაციულად წარმართვა და მათთვის სწორი მსვლელობის მიცემა ბავშის ბუნებრივ მიდრეკილებათა მიხედვით.

ჩვენ შევაგროვეთ სამოსწავლო აღმზრდელობითი მასალა და მუშაობის გამოსავალ წერტილად მივიღეთ ორი წვრილი განცდა:

1-ერთის მხრივ მთელი რიგი ისტორიულ-კულტურულ განცდების კაცობრიობის ცხოვრებიდან, სახელდობრ, პირველყოფილი ცხოვრება.

2—ამავე დროს, მკვეთრი კონტრასტით, რაც მეტად შეეფერება ყმაწვილობის ყველა ასაკს, ვაძლევთ ბავშებს სწორივ პარალელურ ცოდნას და განცდებს **თანამედროვე** კულტურული ცხოვრებიდან. ამითი ეძლევა ბავშებს ნიადაგი, შეიგრძნონ „ისტორიულობა" და აგრეთვე ნივთიერ და სულიერ კულტურის ურთიერთქმედებისა (взаимодействие).

ამითი ჩვენ ვანხორციელებთ სკოლის მთლიანი გეგმის ძირითად პრინციპს: თანდათანობით შეგვყავს ბავშები თანამედროვე კულტურაში, კაცობრიობის ვითარების ძირითადი ეტაპების **განცდითა** და **შრომითი ქმედიანობითი** **განსახიერებით.**

ამაზე შემდეგ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. [1])

აქ, მეოთხე ჯგუფებში, მზადდება ნიადაგი ისტორიული პროცესის კანონსწორობის შეგნებისათვის. მეხუთე და მეექვსე ჯგუფებში გრძელდება გაღრმავება ისტორიულ-კულტურული ხაზისა.

მუშაობის ძირითად ხაზს გარდა ამ საშუალო ასაკის ჯგუფებში ხან სწვრივად, ხან დროგამოშვებით ამ სახის დაჩრდილვიოა, მიმდინარეობს ბუნებისმეტყველების ხაზი, ბუნების შესწავლა **მიწის დამუშავების** პროცესში და კლასში განზოგადების გზით.

შემოდგომაზე და უფრო გაზაფხულზე ბაღი და ბოსტანი მუშაობის ცენტრად იქცევიან და მიიზიდავენ თავისკენ ბუნებისმეტყველების ყველა დარგს, რის ვამო ამ დროის განმავლობაში თითქმის სავსებით მიიწურება კულტურის ისტორია, სიტყვიერება და ხელოვნება.

ამ სასეზონო ცენტრებს გარდა წლის განმავლობაში ხშირად ხდება მუშაობის ცენტრის სხვა ალა ერთი ეპიზოდიური გადათავსებაც

---

[1]) იხ. С. Карабинова „Опыт слияния предметов в одной из школьных групп". Изд. дома работников просвещения. Тифлис 1922 г.

იყოს ეს სასკოლო დღესასწაული, ან რაიმე პოლიტიკური მოვლენა, ან კიდევ სხვა რამე ცხოვრებისაგან წამოყენებული საბაბი.

მეოთხე ჯგუფის შემდეგ საზოგადოებათმეცნიერების ხაზი გრძელდება, ღრმავდება და ფართოვდება. ეს არის ჩახედვა კაცობრიობის წარსულ საუკუნეებში. შორეული ქვეყნების ფართო მიმოხილვით, რაც ამ საფეხურზე უკვე განზღვრული დროისა და სივრცის ფარგლებშია მოთავსებული.

ამასთანავე უფრო ფართოდ და მეტი გაღრმავებით ტარდება განუწყვეტლივი სწვრივობა და დაპირდაპირება პირველყოფილი ცხოვრებისა და თანამედროობისა, ტეხნიკისა, აზროვნობის ევოლიუციის და საზოგადოებრივი წყობილების საკითხებში.

შემდეგ, უფროს ასაკში, ეს თანამედროვე კულტურის შესავალი საფუძვლად ედება მთელ მუშაობას.

3. ხნოვანობა 12-15 წლამდე—ცირასა და ჭაბუკის ასაკია. ამ ხნოვანობას ახასიათებს ფიზიკური და გონივრული ძალების სწრაფი ზრდა. ამ ასაკში იბადება მისწრაფება ყოველივე გმირულისაკენ და შთაბეჭდილების მომხდენისკენ.

ამ ხნოვანობას შესაფერ ისტორიულ მასალას ვაძლევთ. მე-III ჯგუფში ვარჩევთ კაცობრიობის განვითარების გადამტეხ მომენტებს, მაგალითად, ორთქლისა და ელექტრონის დაპყრობას. ამასთან ერთად ვარჩევთ იმ საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს, რომელნიც იბადებიან ამ მომენტებით. სპეციალურად ვარჩევთ თანამედროვე საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს და აქედან გამოსავალ გზებს.

4—ეს ჭაბუკობის ხანა შვიდწლიანი სკოლის შემდეგაც გრძელდება. აქაც იმნაირადვე მატულობს ბავშის ყველა ძალები და ნიჭი და ამას ერთვის განყენებული აზროვნების მოთხოვნილებაც. იბადება აგრეთვე მოთხოვნილება გასაზოგადოებისა და გამოსავალ წერტების ჩამოყალიბებისა თავისი მსოფლმხედველობის შესაქმნელად.

ამითი განიზღვრებიან აღნიშნულ ასაკში აღზრდის—განათლების მიზნები.

მოწაფეთათვის ახლა უფრო ადვილი მისაწვდომია ფაქტები კაცობრიობის ცოდნის ყველა დარგებიდან; ამ ხანაში საჭიროა დავეხმაროთ განყენებულ აზროვნების უნარის განვითარებაში და ზოგადი აზრების ჩამოყალიბებაში, რომელიც ცალკე ფაქტებს თავის გარშემო აჯგუფებს და აერთიანებს. უნდა განუვითაროთ და გაუმტკიცოთ ბავშს

წყობრი, მოწესრიგებული აზროვნება, ჩვეულება საკუთარ გამოსავალ შეხედულობათა გამომუშავებისა, იმ მიმართულებით, რომ შემდეგში მან შეითვისოს მონისტური მსოფლმხედველობა.

ამისდა მიხედვით ცხრაწლიანი სკოლის პროგრამაში შედის უკვე მტკიცე მეცნიერული ხასიათის საგნები, რომლებიც მოითხოვენ მწყობრ სისტემატიურ მუშაობას.

ცრაწლიან სკოლებისათვის მთელი მუშაობის ძირითად ხაზად აღებული გვაქს ევოლიუციის იდეა, ე. ი. ორგანიული და არაორგანიული სამყაროს მოვლენათა განხილვა, მათ წარმოშობასა და განვითარებაში გზადაგზა აჰ განვითარების წინააღმდეგობათა გაშუქ,ბი ი.

ამაში გამოიხატება ჩვენი საალმზრდელო გეგმის მთლიანობა და საფუძველი.

ჩვენი სამოსწავლო და საალმზდელო მუშაობის ეს ძირითადი მიმართულება შეადგენს იმ ერთადერთ შინაგან გამაერთიანებელ ღერძს, რომელიც საჭიროა და შესაძლოა სკოლის უფროსი ასაკის ჯგუფებში.

ბიოლოგია და ფიზიკა, საზოგადოებათმეცნიერება და პოლიტანბანი და ბოლოს სიტყვიერება, თავისი მხატვრობითი მასალის საზოგადოებრივი საუფძვლით (ნაწარმოებთა ფორმისა თუ საგნის, სიუჟეტის მხრივ) — ყველა ეს გამსჭვალულია ამ **საერთო იდეით** — მოვლენათა **წარმოშობისა,** განვითარებისა და აუცილებლად ერთმანეთის **შეცვლის.**

III. ბოსტანი და სახელოსნო.

ჩვენ სკოლაში ცხოვრების შრომითი აღსახვის უმთავრეს ნივთიერ მომენტს შეადგენს: 1. მუშაობა სკოლასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე. 2. დამუშავება ყოველგვარი ნედლი მასალისა (ხე, ლითი, თიხა) — ნამდვილი იარაღებით.

როგორც ბაღსა და ბოსტანში, აგრეთვე სახელოსნოში მუშაობას ჩვენს სკოლაში გარკვეული **არა-ხელოსნური** და არა-გამოყენებითი ხასიათი აქვთ. მთელი ეს მუშაობა ემსახურება მხოლოდ აღზრდა-განათლების ზოგად მიზნებს, სახელდობრ — მათი დანიშნულებაა გააცნონ მოწაფეები თანამედროვე საწარმოო კულტურას მუშაობის პროცესით შექმნილ განცდათა საშუალებით და აგრეთვე დღევანდელი საწარმოო იარაღებით მიწისა და ნაყოფის დამუშავების ფორმების დაპირდაპირებით წარსულ ძველ ფორმებთან.

ამით უფრო ნათლად გამოიხატება ევოლიუციის თეორია, როგორც

საქმისა და ტეხნიკის, ისე, როგორც საბუნებისმეტყველო და ტეხნიკური, ისე ისტორიულ-სოციალურის თვალსაზრისით.

საწარმოო იარაღებისა და მასალის დამუშავების საშუალებათა ტეხნიკური გაუმჯობესების განსახიერება და შრომა-მოქმედიანობითი განცდა საფუძველია ბავშის შეყვანისა კაცობრიობის წარმოებით ცხოვრებაში; მხოლოდ ამგვარი გზა აძლევს მას **კონკრეტულ შეგრძნებას** ტეხნიკურ ზრდაზე დამოკიდებული კულტურული ზრდისას.

აქედან გამომდინარეობს ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ჩვენი სკოლის მუშაობაში ამ შრომის პროცესებს.

ეს შრომითი მუშაობა მიმდინარეობს კონცენტრიულად და ღრმავდება ბავშების ასაკის მიხედვით.

ბაღში თუ სახელოსნოში, მუშაობის პროცესში, ბავშებს, ხნოვანობის მიხედვით, ებადებათ სამეცნიერო საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ თვითონ შრომიდან.

აქედანვე ბავშები ეცნობიან ბუნებისმეტყველების სამეცნიერო კანონებს, ამუშავებენ და იძენენ მეცნიერული ცოდნის მთელ რიგს.

ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ცოდნას კი ბავშები იძენენ მხოლოდ გზადაგზა, არა როგორც თვითმიზანს.

ბაღისა და ბოსტნის მასალის საშუალებით ბავშები ეცნობიან მიწადმოქმედების სხვადასხვა დარგს: მემინდვრეობას, ხელოვნურ მორწყვას, შებოსტნეობას, მეხილეობას, მევენახეობას და სხვა.

სახელოსნოში ბავშები, დაახლოვებით მეოთხე ჯგუფიდან, უმთავრესად ამზადებენ იმ იარაღებს და მექანიზმებს, რომლების საშუალებითაც კაცობრიობამ დაიპყრო ბუნების ძალები, პირველყოფილი მდგომარეობიდან დაწყებული დღემდე.

ეს არის IV და V ჯგუფებში: პირველყოფილი ადამიანის იარაღები, მისი საცხოვრებელი ბინა, მოწყობილობა და ხერხი მასალის დამუშავებისა, მაგალითად, თიხისა, უძველესი დროიდან დღემდე და სხვა.

VI და VII ჯგუფებში დამზადება იმ იარაღებისა, რომლებსაც ადამიანი ან წინად ხმარობდა და ან ახლა ხმარობს საკუთარი ძალის მაგიერ.

1) ადამიანის ჯგუფური ძალების (მონების) შემწეობით, 2) ცხოველების შემწეობით, მაგალითად, საფქვავი იარაღი როდინი წისქვილის მაგიერ, წყლის ამოსაღები, სიმძიმის გადასაზიდი იარაღები: ბერკეტი, (рычаг) ქაღი, (блок) ოწინარი (ворот) და სხვა.

3) ქარითა და წყლით მოძრავი იარაღები: ქარისა და წყლის წისქვილები და ზემოჩამოთვლილი იარაღი.

4) ორთქლით მოძრავი მექანიზმები (ორთქლის მანქანა და სხ.)

5) ელექტრონით მოძრავი მექანიზმები (ელექტრო-მოტორი და დინამო).

ამასთანავე ერთად მზადდება (განსაკუთრებით წელს) ფიზიკის და მათემატიკის ხელსაწყოები სხვადასხვა ჯგუფების სამოსწავლო მასალის მიხედვით.

ამის გარდა, მოწაფეებს უფლება აქვთ თავისუფლად დაამზადონ სხვადასხვა საგნები (სათამაშოები) და შეასრულონ სხვადასხვა სამუშაო თვითსამსახურისთვის. საკრებულო მუშაობა მერვე ჯგუფისა, რომელსაც სახელოსნოში არა აქვს სასწავლო საათები.

უმცროს ჯგუფებში (მეოთხემდე) ბაღსა და სახელოსნოში მუშაობის ხასიათი სხვაა, ვიდრე უფროს ჯგუფებში.

მუშაობა ნებისმიერ ინდივიდუალურია ან ჯგუფური. სათამაშო სახლის აშენება და მისი მოწყობილობის დამზადება, ქალაქის ამა თუ იმ შენობის მოდელის გაკეთება, წისქვილის აშენება, ბაღში კი—სკამების, კვლების და ბაღჩის გაკეთება; მიწით მუშაობა—აუზის ან ჭის ამოთხრა, ქალაქის აშენება და სხვა.

სკოლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით—ბავშის ფსიქიკის განვითარება **განცდითი** გზით—(переживательным путем) ჩვენ სახელოსნოში ნედლი მასალის დამუშავებასთან და მიწის დამუშავებასთან ერთად, ბავშებს საშუალებას ვაძლევთ სხვადასხვა სახის **ხელოვნების** დახმარებით გამოსახონ თავისი საკუთარი სუბიექტიური მსოფლმხედველობა (დრამატიზაცია, სიმღერა, პოეტური შემოქმედება და სხ.); მეორე მხრით თხრობის საშუალებით ვამდიდრებთ ბავშის განცდებს.

ეს **თხრობა** სხვადასხვა სახისაა: ისტორიული, საბუნებისმეტყველო, ხალხური ეპოსი და სხვა.

ბავშისათვის თხრობა ცოდნისა და განვითარების წყაროა და იმდენადვე ბუნებრივია და განცდითი ელემენტებით სავსე მისთვის, როგორც იყო ყოველთვის მთელი კაცობრიობისათვის.

ამის გამო ეს მეთოდი ფართოდ გამოყენებულია ჩვენი სკოლის ყველა ჯგუფებში არა როგორც ამა თუ იმ მასწავლებლის შემთხვევითი მეთოდი, არამედ როგორც პრინციპალურად მიღებული, ძირითადი **მეთოდი.**

ხელოვნება (ხატვა, ძერწვა, პლასტიკა, სიმღერა), იმის გარდა, რომ ემსახურება თავის სპეციალურ მიზნებს, ჩაქ ოვილია ბავშის ყოველ-გვარ მუშაობაში და აძლევს მას ბგერებისა, ფერების და რითმის მდიდარ და უხვ მასალას.

სცენაზე დადგმა მეტად მკვეთრი და მოქმედიანობითი მომენტია, რომელიც აგვირგვინებს ამა თუ იმ სამუშაო ციკლს, და ბუნებრივად იქცევა ჯგუფის საერთო მუშაობის გამაერთიანებელ **საბავშო** **დღესასწაულის** შინაარსად. სცენაზე დადგმაში ამას გარდა შეირწყმის ხელოვნების ყველა დარგები.

დეკორაციებს თვით ბავშები ამზადებენ, ტექსტს—არა ყოველთვის, ხოლო დადგმა კი მუდამ ბავშებისაა.

IV. საკრებულო და ჯგუფობრივი მუშაობა.

1.—მუშაობ ში მეტი ინდივიდუალიზაციის და შემოქმედების მეტი თავისუფლების საჭიროებამ და აგრეთვე ნაწილობრივ საორგანიზაციო ხასიათის მოთხოვნილებას გამოიწვევს ბავშების **ჯგუფობრივი** მუშაობა. ეს მუშაობა საზოგადოებათმეცნიერებაში, პოლიტ ანბანში, ხატვაში, სახელოსნოსა, ბიბლიოთეკასა და ბალში მუშაობაში, და უმცროს კლასებისათვის მუშაობაში ჩვეულებრივი ფორმაა.

2.—ბავშების იმავე ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ უკვე ნებისმიერი და არა სავალდებულო მუშაობის სახით, სასწავლებელში შექმნილია აგრეთვე **წრეები**, რომლებსაც აქვთ თავისუფალი, არა იძულებითი ხასიათი.

ეს წრეები სხვადასხვა წყაროთია წარმოშობილი: ზოგი წრე შესდგა იმ ბავშებისაგან, რომლებიც ჯგუფობრივი მუშაობის დროს მეტად დაინტერესდენ სამუშაოებით; სხვა წრეები შესდგა დროებითი ხასიათის სამუშაო კომისიებიდან. მაგალითად, დღესასწაულების მომწყობმა კომისიამ წარმოშობა სამხატვრო წრე ზოგი წრე წარმოშობა თვით სასკოლო ცხოვრებამ, როგორც კი ბავშებს საშუალება მიეცათ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა; მაგალითად, წრე, რომელმაც დააარსა სკოლის ცხოვრების გამომხატველი **კედლის გაზეთი**.

ზოგი წრეები მტკიცდება და ფართოვდება, ზოგი კი იშლება და ზოგს დღესაც დროებით მომუშავე კომისიის ხასიათი აქვს.

ამ ჟამად მოქმედობენ შემდეგი წრეები: სამუსიკო, სამხატვრო, საგაზეთო და შემდეგი დროებით მომუშავე კომისია: მუზეუმისა, ფიზიკური კაბინეთისა და ბიბლიოთეკისა.

კვირაში ორჯერ, უკანასკნელი 2-3 სამუშაო საათი, დათმთობილი აქვს საკრებულო-საორგანიზაციო მუშაობას, რომლის განმავლობაში ყველა მოწაფეები მიდიან ან საკლასო კრებებზე ან წრეებში და კომისიებში.

ბევრი საკრებულო და ჯგუფობრივი მუშაობა გადაგვაქვს საღამოსთვის, ისე რომ, ორი-სამი საათის დასვენების გარდა, სკოლა მოქმედობს მთელი დღე. საკრებულო და ჯგუფობრივ მუშაობას დიდი ადგილი უჭირავთ ბავშების თვითმართველობის წარმოშობის ისტორიაში და საზოგადოებრივ თვითშეგნების განვითარებაში.

V ბავშთა ორგანიზაცია.

რაც შეეხება ჩვენ სკოლაში **ბავშების თვითმართველობის** საკითხს, ჩვენ ამ წერილში მხოლოდ მისი თეზისებისა და ჩონჩხის მოცემა შეგვიძლია, რომელიც გამოხატავს ორგანიზაციის ფორმებს, ისე, როგორც ისინი ამ ჟამად არსებობენ. არ შეგვიძლია შეეხოთ არც სასკოლო კოლექტივის აგებულებას, არც პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალის როლს სკოლის საერთო მართვა-გამგეობაში და არც ბავშების თვითმართველობის და მისი ფორმის განვითარების ისტორიას ამ $2^1/_2$ წლის განმავლობაში. ყველა ამის გადმოცემა შესაძლოა მხოლოდ ცალკე წერილის შემწეობით.

ჩვენი შეხედულებით ბავშების თვითმართველობა არის ერთის მხრივ **საზოგადოებრივ პოლიტიკური ადგილი**, მეორე მხრივ ბავშების **თვითორგანიზაცია.**

ჩვენ ვცდილობთ, რომ ბავშები არა მხოლოდ უბრალო პატრონები იყვენ თავისი სასკოლო და სკოლის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრებისა არამედ — წყობრ ორგანიზაციანი პატრონები. ჩვენ ვცდილობთ, გამოუმუშაოთ ბავშს ორგანიზაციის უნარი, მივცეთ მას ცოდნა: რომ მან შესძლოს თავისი სასკოლო ცხოვრების მოწყობა ძალის, დროს და მასალის რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით და შესძლოს ყოველი თავისი მუშაობის წინასწარი დაგეგმვა, გათვალისწინება, მისი შედეგების აღნუსხვა და ანგარიშის ჩაბარებაც.

ჩვენ ვცდილობთ, რომ საბავშო საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ მოემწყვდეს ჩვენი სკოლის კედლებში, არამედ კავშირი დაიჭიროს თვისი მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი უნარის გასაფართოებლად სხვა სკოლების ორგანიზაციებთან, ქალაქის ორგანიზაციებთან და პარ-

ტიულ ორგანიზაციებთან. ასეთი დაახლოვების ფორმები ფართოდ იცვლება ასაკის მიხედვით. ბაასი, ექსკურსიები, პრაქტიკული დავალებანი, კავშირი სხვადასხვა სკოლებთან, დამოკიდებულება კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირთან, საზოგადოებრივი დღესასწაულები და სხვა.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ სიტყვას — „საბავშო თვითმართველობა" და ამითი აღვნიშნავთ იმას, რაც შეადგენს მხოლოდ თვითმართველობის ფიქციას ან არა და — მხოლოდ მის ცალკე ელემენტებს: ბავშების წარმომადგენლობა პედაგოგიურ საბჭოში, ბავშების ორგანიზაცია წრეებში. თვითმსახურება და სხვა ამგვარი სრულებითაც ვერ ამოსწურავს ბავშთა თვითმართველობის ცნებას.

ამ თვალსაზრისით ჩვენ სასწავლებელს მიმდინარე წლამდე არ ჰქონდა ბავშების თვითმართველობა. ის შეიცავდა თვითმართველობის მრავალ ელემენტს, და მთელი თავისი მუშაობით მიისწრაფოდა მისკენ, მაგრამ ეს ელემენტები შემთხვევითი ხასიათის იყვენ, არ შეიცავდენ სასკოლო ცხოვრების ყველა მხარეს, სკოლის ყველა ბავშებს და არც ჰქონდათ განსაზღვრული ფორმა. ამას მივაღწიეთ ჩვენც და ბავშებმაც მიმდინარე წლის შემოდგომიდან. მოგვყავს მოკლედ ბავშთა დღევანდელ ორგანიზაციის ჩონჩხი. დრო გვაჩვენებს, თუ აქედან რა დარჩება და რა შეიცვლება.

ორ ნაწილად გაიყო თვითმართველობის მხრივ სკოლა, რომელიც ბუნებრივად ემყარება ჯგუფების შემაერთებელ ასაკის ინტერესებს: სამი პირველი ჯგუფის ბავშები შეადგენენ ერთ საორგანიზაციო ჯგუფს, ხუთი უფროსი ჯგუფის ბავშები კი — მეორეს. თვითმართველობის აგებულება ორთავე ჯგუფებს დაახლოვებით ერთნაირი აქვთ, შინაარსში კი, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა.

პატარები მართავენ ერთის მხრივ საკლასო კრებებს, რომელნიც აკმაყოფილებენ ყოველ მათ წვრილ და არსებით მოთხოვნილებას, მეორე მხრივ სამივე ჯგუფის გაერთიანებულ კრებებს, მათი საერთო საკითხების გადასაწყვეტად. როცა კი დასჭირდებათ, თავის წარმომადგენლებს გზავნიან უფროსებთან სხვადასხვა შეკითხვით და თხოვნით.

უფროსების ორგანიზაციას საფუძვლად უდევს ყოველკვირეული საკლასო კრება. ეს უფროსთა ორგანიზაცია მთელი სასკოლო ორგანიზაციის წარმომშობი უჯრედია, მან პირველმა გასცა პასუხი ყოველი ჯგუფის მოთხოვნილებას თავისი საჭირბოროტო საკითხების ორგანიზაციულად და ჩამოყალიბებულად გადაწყვეტაში.

ეს უჯრედი აწარმოებს თვითეული ჯგუფის ყველა საქმეებს: საორგანიზაციოს, სამეურნეოს, სადისციპლინოს და სამოსწავლოს, რაც-დენადაც ეს ხელმისაწდომია ბავშვებისათვის. აქ მუშავდება საკითხები უფრო ფართო კრებებისათვის და აქვე მოისმენენ თავიანთი წარმომადგენლების მოხსენებებს და ანგარიშებს.

მეორე ინსტანცია არის აღმასრულებელი და საორგანიზაციო ორგანო—საბავშო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედის ყველა უფროსი ჯგუფის წარმომადგენელი, ზოგჯერ უმცროს ჯგუფის წარმომადგენლებიც, რომელთაც ირჩევენ ორი თვის ვადით საკლასო კრებებზე და ამტკიცებენ სასკოლო კოლექტივში.

საბავშო საორგანიზაციო კომიტეტი („деторком") იკრიბება კვირაში ერთხელ და განაგებს ბავშვების საერთო სასკოლო საქმეებს, რომელიც დავალებული აქვს საკლასო კომისიების მიერ, ითვალისწინებს წრეების მუშაობას და აწყობს ახალ წრეებს.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები შედიან საპედაგოგიო საბჭოში და მის აღმასკომში გადამწყვეტი ხმით (სათათბირო ხმით შეიძლება შევიდეს ყველა მსურველი) და ამ ორგანოებს აკავშირებენ საკლასო კრებასთან მთელი სკოლის ცხოვრების ინფორმაციით და საბავშო საქმეების საბჭოში გადატანით. და ბოლოს, დაახლოვებით, ორ თვეში ერთხელ ხდება საერთო კრება სასწავლებლის უფროსი ჯგუფებისა უმცროსი ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კრებაზე იხილავენ სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშს მისი მოქმედების შესახებ, ირჩევენ და ამტკიცებენ ახალ კომიტეტს და სწყვეტენ სკოლის საერთო ხასიათის საქმეებს.

კრების ხელმძღვანელობა და განსახილველი საკითხების გამომუშავება თანდათან გადადის ბავშვების ხელში, ხოლო ჩვენი პირველი როლი, როგორც ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორებისა, თანდათან ქრება, და ჩვენ ვხდებით კრების უბრალო მონაწილენი, საკლასო კრებები კი ხშირად უჩვენოდაც ხდება.

ეს მშრალი ჩანაწერი, რა თქმა უნდა, ვერ გამოხატავს იმ მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე და შინაარსით მდიდარ სინამდვილეს, რომელზედაც ვერ შევჩერებულვართ წერილის სიმცირის გამო.

ჩვენ სკოლაში საბავშო თვითმართველობა ნახოლოდ ახლა გამოდის თავისი პირველი, არეული საორგანიზაციო ხანიდან; მისი ფორმები ჯერაც არ დამტკიცებულან, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შინაარსი ჯერ კიდევ რყევაშია.

პატარა ბავშებს საზოგადოებრივ ჩვეულებათა წყნარი განვითარება ხშირად უპირდაპირდება დიდების შეხედულებათა და ჩვეულებათა მკვეთრ ცვლილებას ძველი სკოლის ნაშთ ტრადიციების ზეგავლენით.

ბავშების აქტიური მონაწილეობა სასწავლებლის საპედაგოგიო, საადმინისტრაციო და სამეურნეო ნაწილში უბადავს მათ მრავალ კითხვებს შესახებ მისი სკოლისა და ამ სკოლის გარეშე საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრებისა.

ჩვენი, ხელმძღვანელების, ხელჩაბმული მუშაობის და პედაგოგიური ალღოს საქმეა, ვისარგებლოთ ბავშების ჩვენდამი ნდობით და მტკიცე საორგანიზაციო კალაპოტში ჩავაყენოთ ყველა ეს განშტოებული დინებანი.

ამას, ბავშების თვითმართველობის უჯრედების გარდა, დახმარებას უწევს:

1. მთელი ჩვენი სამეცნიერო მუშაობა ბავშებთან საერთოდ, და კერძოდ საზოგადოებათმეცნიერებაში მუშაობა.

2. პოლიტიკური მუშაობა უფროს ბავშებთან: პოლიტიკური ცოდნის „ანბანის“ გაკვეთილები (политграмота) მე-7 და მე-8 ჯგუფებში, ეპიზოდიური მოხსენებანი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ და სხვა, მომავალში კი კომკავშირის თანამგრძნობ მოწაფეთა უჯრედის მოწყობა.

3. გაცნობა უკვე მოწყობილ სასწავლებელთა საბავშო ორგანიზაციების, როგორც იყო ჩვენი სკოლისათვის, მაგალითად, ამიერ კავკასიის განსაკუთრებული ლაშქრის საბავშო სახლის ორგანიზაცია.

ბევრს მოველით აგრეთვე იმ სოფლის სკოლისაგან ტფილისის ახლო, რომელსაც ჩვენი სკოლა ე. წ. შეფობით (მასზე მზრუნველობით) დაუკავშირდა წრეულს და რომელთანაც გაზაფხულზე ბავშების დაახლოვება დაიწყება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უინტერნატობა და ზაფხულობით სწავლის ორი თვით შეწყვეტა ხელს უშლის სასწავლებლებს საზოგადოებრივი აღზრდის და სამეცნიერო მუშაობის მთლიან ჩატარებაში.

მეორე დაბრკოლებას წარმოადგენს შენობის სივიწროვე: სასწავლებელში ძლივს ეტევა ორასი ბავში, და საშუალება არა გვაქვს გავა-

ფართოთ საკრებულოს და სამეცნიერო მუშაობა. ნაკლოვანებას წარმოადგენს აგრეთვე ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო ადგილის სიმ-მცირე. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საკუთარი ექიმის უყოლობა; ჩვენმა სკოლამ ეს ნაკლი გამოასწორა ამ წლის უკანასკნელ თვეში და მიიღო შეძლება გაალრმაოს და სისტემაში მოიყვანოს თავისი მუშაობა და დაგროვებული მასალა, როგორც ფიზიკური კულტურის დარგში, ისე ფსიქოლოგიურ დაკვირვებაში.

სკოლის გამგე: **ს. კარაბინოვა.**

უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობა საქართველოში.

ოქტომბრის გადატრიალებამდე რუსეთის მთელ ტერიტორიაზე არ არსებობდა დეფექტიან (ნაკლიან) და უმწეო ბავშვების სამზრუნველო ორგანიზაციები, არ იყო აგრეთვე ამ კათეგორიის ბავშვებისათვის კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი დაწესებულებანი. რუსეთის დედა-ქალაქში არსებობდა ორი-სამი კერძო სამკურნალო და გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებისათვის რამოდენიმე სკოლა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მარტო მდიდრებისათვის. აქა-იქ დიდ ქალაქებში შეიძლებოდა შეხვედროდით ბავშთა თავშესაფარებს და რამოდენიმე ახალშენს მცირეწლოვან დამნაშავეთათვის.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ეს დაწესებულებანი არ იყვენ შეტანილი განათლების დაწესებულებათა ქსელში და იდგენ აღზრდის ნორმალურ და საღ პირობების გარეშე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ძველ წესწყობილებას არ დაუტოვებია ჩვენთვის დეფექტიან ბავშთა აღზრდის და განათლების შესახებ ოდნავ საყურადღებო მასალა მაინც, იძულებული ვიყავით ყველაფერი ახლად შეგვექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტიური პირობები საზოგადოდ ხელს არ უწყობდა ჩვენს მუშაობას, ამ სამი წლის განმავლობაში მაინც შევძელით ბევრი რამ გაგვეკეთებია დეფექტიან ბავშთა აღზრდა-განათლების და მკურნალობის ნიხრივ. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ბავშთა დეფექტიანობის საკითხმა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მიიღო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, როგორც მეტად გამწვავებული, ჩასდგა პირველ რიგში.

ცხოვრების მომწიფებულმა, საარსებო კითხვებმა, რომელნიც საკუნოებით ღრღნიდენ საზოგადოების ორგანიზმს, თავი იჩინეს რევოლიუციის დროს და შემოიჭრნენ სკოლაში.

პირველი მომწიფებული კითხვა იყო არანორმალურ, დეფექტიან ე. წ. ბავშთა აღზრდა-ექიმობა (ფიზიკურად, ზნეობრივად და გონივრულად დეფექტიანთა, უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა, ფსიქოპატთა, გონებრივად ჩამორ-

ჩენილთა, პედაგოგიურად მიტოვებულთა და სხვა) რადგან ნათლად სჩანდა, რომ ამ ბავშვთა კათეგორიისათვის საჭირო იყო არამც თუ მარტო ექიმობის და სასამართლოს ზეგავლენა, არამედ პედაგოგიური საშუალების დახმარებაც.

რ უ ს ე თ შ ი.

ექიმი და მასწავლებელი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეუდგენ ამ ახალ მუშაობას და სულ მოკლე ხნის განმავლობაში, მიუხედავად მეტად მძიმე პირობებისა, შესძლეს ახალი სახის დაწესებულების, **„მედიკურ-პედალოგიური“** ინსტიტუტის შექმნა მოსკოვში. ამ დაწესებულებას მიელის მეტად საყურადღებო მუშაობა-საბჭოთა რესპუბლიკების დეფექტიან ბავშებზე მზრუნველობის ორგანიზაცია.

მედიკურ-პედალოგიურ ინსტიტუტის მიზანია:

1) მეცნიერულად ყველა იმ კითხვების გამოკვლევა, რომელნიც დაკავშირებული არიან ბავშთა დეფექტიანობასთან.

2) ბავშთა დეფექტიანობის საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა ორგანიზაცია.

3) დასახელებულ დაწესებულებათათვის სპეციალისტების მომზადება (ექიმებისა და პედაგოგების).

აქედან აშკარაა, როგორ ფართოდაა დღეს დაყენებული ბავშთა დეფექტიანობის ამოცანა, როგორ ღრმად და მჭიდროდ არის დაკავშირებული ის სოციალურ აღმშენებლობასთან. აშკარაა ისიც, რომ ამ კითხვების დამუშავებასა და გადაწყვეტაში უნდა მონაწილეობდეს ექიმიც და პედაგოგიც.

ამ მიმართულებით მუშაობამ გამოააშკარავა მედიცინის მნიშვნელობა იმ ბავშთა კათეგორიისათვის, რომელსაც სახელად მორალურად, ე. ი. ზნეობრივად დეფექტიანს უწოდებენ. აქ სასამართლო და პედაგოგიკა ხშირად ხვდებიან ისეთ პიროვნებებს, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან დიდი ნიჭით, ხშირად ნორმაზე უმაღლესით, ასეთი ბავშები არაჩვეულებრივი ფსიქიკის გამო ვერ ჩერდებიან ოჯახსა და სკოლაში, ეწევიან პროსტიტუციას, ჩადიან ბოროტმოქმედებას და ბოლოს იღუპებიან თვითონ და ღუპავენ სხვებსაც, როდესაც საქმის შესაფერად დაყენებით შეიძლებოდა ბევრი მათგანი გამოსულიყო არამც თუ სასარგებლო, არამედ წარჩინებული მუშაკიც კი.

ზნეობრივ დეფექტიან ბავშთა შორის ხშირად ვხვდებით ისეთ ელემენტებს, რომელთა გარჩევაც მხოლოდ ექიმსა და სპეციალისტ პედაგოგს შეუძლია. აქ არიან ფსიქოპატები, ისტერიკები, ნერვებით ავად

მყოფები, მრავალი ცუდად აღზრდილი და ქუჩაში გარყვნილი და ზხოლოდ მცირეოდენი ე. წ. ანტისოციალური, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეუთავსებული ფსიქოპატი. ერთ დაწესებულებაში თავმოყრილი ასეთი ბავშები მხოლოდ რყვნიან ერთმანეთს და სულ მოკლე ხანში აქცევენ ამ დაწესებულებას ბოროტმოქმედების და გარყვნილობის ურთიერთ სწავლების სკოლად.

თუ დეფექტიან ბავშებზე მზრუნველობის საქმე სწორედაა დაყენებული, ბავშები ჯგუფებად დაიყოფებიან, რომელნიც დეფექტიანობის მიხედვით იგზავნებიან შესაფერ დაწესებულებებში. ამიტომაა, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში არსდება ყველა კატეგორიის დეფექტიან ბავშებისათვის შესაფერი დაწესებულებათა ქსელი.

საკითხი ბავშთა დეფექტიანობის შესახებ მთელ კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, ღებულობს სახელმწიფოებრივ ხასიათს. წინად როგორც საზოგადოებას, ისე პედაგოგებს და ექიმებს, ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ დეფექტიან ბავშებზე. ხშირად გამოსთქამდენ აზრს, რომ უსარგებლოა ენერგიის, დროს და ფულის დახარჯვა ისეთ უიმედო პიროვნებებზე, რომელნიც გადაგვარეპის გზას დადგომიან. ისეთი პირები საზოგადოდ ბავშთა დეფექტიანობასთან და, კერძოდ გადაგვარების გზაზე დამდგარ ბავშთა ახლო გაცნობის შემდეგ რწმუნდებიან, რომ დეფექტიან ბავშთა შორის არიან ზოგჯერ მაღალი ნიჭის და პირდაპირ გენიალური ბავშებიც, ხედავენ, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა მათზე მუშაობით, რწმუნდებიან, თუ რამდენად შეიძლება ასეთი ბავშების გამოსწორება კარგი მოპყრობით და სიყვარულით.

რასაკვირველია, ასეთ ბავშთა შორის არის უიმედო ბავშებიც, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მცირეა ნორმალურ ავადმყოფ ბავშებზე, რომელნიც მოითხოვენ ყურადღებას და ხანგრძლივ ექიმობას.

ის მოზარდი თაობა, რომელსაც რევოლიუცია წამოეწია, ბავშობიდან გონივრულ ხანაში გადასვლის ასაკში, ჩამოშორდა ოჯახსაც, სკოლასაც. ამას დაერთო ქუჩისა და მისი შხამიანი ანაორთქლის ზეგავლენა, მათხოვრობა, პროსტიტუცია, გარყვნილობა, ხულიგნობა, კარტის თამაში, ყოველგვარი განურჩეველი სპეკულიაცია, ქურდობა, ჯერ წვრილი — ღვინისა და თუთუნისათვის, შემდეგ კი უკვე მსხვილი — აი ის შუალი, რომელშაც ჩაითრია ეს დაობლებული და უპატრონოდ დარჩენილი ახალი თაობა.

აქედან ადვილი გასაგებია ის გარემოება, რომ საბჭოთა რესპუბლი-

კების ქალაქები ავსებულია მცირეწლოვანთა დამნაშავეებით და ცირა-
როსკიპებით,

საქართველოში

იგივე სურათი წამოიჭრა სამწუხაროდ საქართველოს დიდ ქალაქებშიც, ნავთსადგურებში და განსაკუთრებით ტფილისში. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ტფილისში შემოიჭრა ზნეობრივად დეფექტიან ბავშთა არაჩვეულებრივი რიცხვი. ამას თვალსაჩინოდ გამოხატავს უპატრონო ბავშთა ძრაობის ცხრილი (იხ. შემდეგი წერილი). საზოგადოებასთან შეუთავსებელნი, ვერც ოჯახში, ვერც სკოლაში ვერ გამძლენი, მუდამ აღელვებულნი, არაჩვეულებრივად თვალებაბრწყინებულნი და სახის მეტად გონივრული გამომეტყველებით და შემოქმედების ალმაფრენით, ეს ბავშები ნებისყოფით სუსტი არიან, ხასიათი კი აქვთ და თავის მსგავსთა შორის კიდეც დიდის ავტორიტეტით უპირავთ თავი. ისინი მუდამ საითკენლაც მიისწრაფებიან, რაღაცას ეძებენ და, რომ ვერ პოულობენ პასუხს თავის შეკითხვებზე და გამოსავალს თავისი ძალებისა და ენერგიისათვის, თვითონაც თავს იღუპავენ მის გამხრწნელ შუალში, და სხვებსაც თან ჩაითრევენ.

სახალხო განათლების კომისარიატი ღებულობს ყოველგვარ ზომას, რომ გამოგლიჯოს ასეთი ბავშები ქუჩას, ჩააყენოს შესაფერ პირობებში, გადააჩვიოს ცუდ ზნეჩვეულებას, შეასწავლოს და შეაყვაროს **შრომა**, ასწავლოს **წერა-კითხვა**, შეაგრძნობინოს მათ, რა საშინელებას უმზადებს გარყვნილი ხეტიალი და ბოროტმოქმედთა საზოგადოებაში ცხოვრება.

ზნეობრივ დეფექტიანთა ახალშენი

მაგრამ ნივთიერული სიმწეროვის გამო, ჯერჯერობით შესაძლო იქნა მთელი რესპუბლიკისათვის მხოლოდ ერთი ახალშენის მოწყობა ტფილისთან, **ავჭალაში** ზნეობრივად დეფექტიან ას ბავშისათვის, ქალთა განყოფილებით, რომელიც მეტად ღარიბად არის მოწყობილი. პეტაგოგიური მუშაობა კი ბავშთა გადალზრდის მიმართულებით, შედარებით კარგად მიმდინარეობს. ახალშენის მუშაკებმა იციან თავისი საქმე და უყვართ ის. არ ზოგავენ ძალას და გამოცდილებას, მისკენ მოწაფეთ ცოდნა და შეაყვარონ შრომა, რომ შემდეგ გამოვიდენ არა

მუქთახორებად, პარაზიტებად, არამედ ნამდვილ მუშაკებად და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრებად.

ახალშენს აქვს მიწის ნაკვეთი ზომით 30 დესეტინა, რომლის ნახევარი დამუშავებულია ბავშთა ძალებით. აქვს აგრეთვე საკრებულო და სახელოსნოები. ბავშები იმყოფებიან ექიმ-პედაგოგის და პედაგოგ სპეციალისტების განუწყვეტელ თვალყურის და დაკვირვების არეში. საკოლო მეცადინეობა სწარმოებს თვით ახალშენში; მხოლოდ სრულებით გამოსწორებული ბავშები დადიან სკოლაში.

ახალშენში სწარმოებს აგრეთვე ადგილობრივ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პოლიტიკური მუშაობა. მოწყობილია პოლიტ-განათლების წრეები. ახალშენის მოწყობა ჯერ დამთავრებული არ არის, და ეს მხარე საკმარისად მოიკოქლებს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

ცოცხალი ინვენტარი: ცხენი, ძროხა, ღორი, ხარი ახალშენში არის, მაგრამ მათი გამოკვება მოითხოვს დიდ ხარჯს და ამიტომ, შესაფერი თანხის უქონლობის გამო, საქონელი ვერ არის სათანადოდ მოვლილი. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობას განიცდის ახალშენი, როდესაც საქონელი ავადმყოფობს, რადგან მის ექიმობისათვის ახალშენს კაპიკიც არ ეძლევა.

შეფი ახალშენს არა ჰყავს არც ერთი ორგანიზაცია არ დასთანხმდა შეფობა მიეღო ზნეობრივად დეფექტიან ბავშთა ახალშენზე.

ბავშები მიიღებიან ახალშენში ე. წ. მკრეწლოვანთა კომისიიდან; აქ მიიღება ისეთი ბავშები, რომელნიც შენიშნული არიან საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის მიუღებელ ბოროტმოქმედებაში. დარჩებიან იქ 6 თვიდან სამ ოთხ წლამდე. ახალშენიდან ბავშები უბრუნდებიან ან დედ-მამასან მეურვეებს, ანდა იგზავნებიან სამუშაოზე და სხვადასხვა ტიპის სკოლებში—მიხწეული განვითარებისა და მომზადების მიხედვით.

გონებრივად ჩამორჩენილთა ახალშენი.

გონებრივად ჩამორჩენილ ბავშებისათვის მოწყობილია ჯერჯერობით ნახლოდ ერთი ახალშენი, ტფილისთან, კოჯორში, 40 ბავშისათვის. ეს ახალშენიც იმყოფება ექიმის ზედამხედველობაში. ბავშები—გოგონები და ვაჟები, სამ წლიდან 15 წლამდე, მიღებული არიან ექიმთა კომისიის დათვალიერების შემდეგ. ამ ახალშენს აქვს 4 სახელოსნო და მიწის ნაკვეთი ყანისა და ბოსტნისათვის. ბავშები მონაწილეობას იღებენ ყველა იმ მუშაობაში, რომელიც მათთვის მისაწვდომია, სწავლობენ წერა-კითხვას თავისი ნიჭისა და მიხწეული განვითარების მიხედვით. ყოველი

ბავშის შესახებ სათითაოდ აწარმოებენ **დღიურს.** ბავშებს ელაპარაკებიან მათ სამშობლო ენაზე. ახალშენთან მოწყობილია საკრებულო და სკოლა. შეფი ახალშენს არა ჰყავს, რადგან ის ახალი გახსნილია.

ესინათლოთა და ყრუ-მუნჯთათვის არსებობს ტფილისში ორი საბავშო სახლი.

უსინათლოთა საბავშო სახლი.

უსინათლოთა საბავშო სახლი მოწყობილია **ტფილისში** ორივე სქესის 60 ბავშისათვის 5—17 წლამდე. უსინათლო ბავშებთან მუშაობას აწარმოებენ პეტაგოგ-სპეციალისტები, რომელთაც დასახული აქვსთ მიზნად ასწავლონ ბავშებს წერა კითხვა, მუსიკა, გალობა, ხელგარჯილობა და ის საგნები, რომლის შესწავლა შეუძლიათ უსინათლო ბავშებს კუნთურ-შეხებითი გრძნობისა და სმენის საშუალებით.

მა წავლებელთა ნაწილი თვით უსინათლოა.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული სახლის მატერიალური მდგომარეობა მეტად შეევიწროებულია, მუშაობა მაინც კარგად სწარმოებს. სახლს აქვს ოთხი სახელოსნო, სკოლა და თეატრი.

უსინათლოთათვის მოგონებულია სრულიად განსაკუთრებული წიგნები, დაწერილი დიდის სიძნელით: ყოველი წიგნი ცალ-ცალკე სრულიად თავისებური, ამოზნექილი პირობითი ნიშნებით—ასოებით, რომელთაც უსინათლო ბავშები კითხულობენ შეხების შემწეობით, ამობურცულ ნიშნებზე თითის მოსმით.

ბავშთა შორის არის კონსერვატორიის ერთი მოწაფე, ერთიც სწავლობს მუშათა ფაკულტეტზე.

სახლს შეფი არა ჰყავს, რადგან არც ერთმა ორგანიზაციამ არ მოინდომა ესურვა უსინათლო ბავშებზე შეფობის მიღება.

ყრუ-მუნჯთა საბავშო სახლი.

ყრუ-მუნჯთა სახლი მოწყობილია **ტფილისში ორივე სქესის 40** ბავშისათვის 8—18 წლამდე (დებულებით 8 წლიანებზე უმცროსი ბავშები არ მიიღებიან) ამ სკოლა-კომუნას მიზანია აღზარდოს ყრუ-მუნჯი ბავშები და მისცეს მათ შესაძლო განათლება, პრაქტიკული ცოდნა, მუშაობის ენარი და **აღნაირად** მოამზადოს საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი.

ყრუ-მუნჯი ბავშები **[illegible]** **[illegible]** სმენას **და** **[illegible]**

რომელსაც ვერ ხმარობს, რადგან სიყრუვის გამო არც ერთი ადამიანის სიტყვა არ გაუგონია.

სკოლის ექიმი თავის მუშაობას საძირკვლად უდებს გარდა ბავშთა ჯანმრთელობის დაცვისა, აგრეთვე პედაგოგებთან თანამშრომლობას, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშთა სმენის ორგანოს და ამა თუ იმ გზით აუმჯობესებს სმენას, თუ სმენის ნაშთი მაინც შერჩენია ბავშს. გულმხურვალე მონაწილეობას იღებს ექიმი აგრეთვე პედაგოგთა მუშაობაში: ესწრება პედაგოგიურ საბჭოს სხდომებს და დაკვირვებას ახდენს ბავშვებზე მეცადინეობის დროს.

ფიზიკურ კულტურისათვის ექიმი მიმართავს ფიზიკურ აღზრდის ყველა ჩვეულებრივ საშუალებებს და კონტროლს უწევს ყრუ-მუნჯთა ტანვარჯიშობას, რადგან ყრუ-მუნჯი ბავშები უფრო მალე იღლებიან, ვიდრე ნორმალური ბავშები.

სკოლაში მიღების დროს ექიმი დიდის ყურადღებით ათვალიერებს ბავშებს და თვალყურს ადევნებს, რომ სკოლაში არ მოხვდენ ისეთი ბავშები, რომელნიც ვერ ლაპარაკობენ არა სიყრუვის გამო, არამედ სხვა რაიმე მიზ ზით, რადგან ასეთი ბავშები მოითხოვენ სხვანაირ აღზრდას და ექიმობას. ამ სკოლა-კომუნას აქვს ორი სახელოსნო, ნავარაუდევია კიდევ სამის გახსნა.

იმის გამო, რომ განათლების კომისარიატმა ვერას გზით ვერ შესძლო ამ სახლის ბინის გაფართოება, მუშაობის გაღრმავება და სახელოსნოების ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა.

ყრუ მუნჯთა სკოლას შეფი არა ჰყავს იმავე მიზეზით, როგორითაც უსინათლოთა სკოლას.

ბავშთა უპატრონობასთან და ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად გახსნილია ე. წ. კოლექტორი-განქანაწილებელი, რომელშიდაც უნდა გატარდეს ყველა დეფექტიანი ბავშები. კოლექტორში სწარმოებს ბავშებზე დაკვირვება, რომელიც არკვევს, რომელ ჯგუფს და რა კატეგორიას ეკუთვნის ესა თუ ის დეფექტიანი ბავში. კოლექტორის მუშაობას ნათლად გამოხატავს უპატრონო ბავშთა ძრაობის ცხრილი ტფილისში. კოლექტორში მუდამ იმყოფება ექიმი და მორიგი აღმზრდელი. კოლექტორი ღიაა დილიდან საღამომდე.

აი საერთო სურათი მუშაობისა, რომელიც სწარმოებს დეფექტიან ბავშთა აღზრდა-განათლების მიმართულებით საქართველოში. ეს, რასა-

კვირველია, წვეთია ზღვაში, მაგრამ მუშაობა ამაზე არ შეჩერდება. უნდა გამოვნახოთ ყოველგვარი საშუალება, მივიღოთ ყოველგვარი ზომა იმისათვის, რომ ბავშვთა დეფექტიანობის საკითხმა მიიღოს ფართო სახელმწიფოებრივი ხასიათი. მაშინ დეფექტიან ბავშვთა დაავადებულებათა ქსელი ფართოდ გადაიშლება და მოიხვეჭს ყველა არანორმალურ ბავშვებს, რომელთაც ესაჭიროებათ სოციალური აღზრდა.

საჭიროა მხოლოდ ძალები, შეერნებული და საქმის მოყვარე მუშაკნი, მჭიდრო კავშირი და ურთიერთ დახმარება განათლებისა, ჯანმრთელობის და იუსტიციის კომისარიატებისა ამ მომწიფებულ კითხვებში. საქართველოს და ამიერკავკასიის დეფექტიან ბავშთა აღზრდა-განათლება და ექიმობა უეჭველეს საკითხთა პიველ რიგში სდგას.

ნ. ხუმარიანი

უპატრონო ბავშებზე მზრუნველობის განყოფილების გამგე.

უპატრონო ბავშთა ძრაობა საქართველოში.

I. ქალაქ ტფილისში.

	გატარებულ იქნა სულ.	2.554 ბავში.
	გაიარა: კოლექტორი	883 „
	მკ.-წლ. უფლ. დაცვ. განყ.	1.671 „

კოლექტორი მოწყობილია 1922 წელს. ბავშთა მიღება დაიწყო 1922 წლის 1 ივნისს. აღრიცხულ იქნა 883 ბავში.

მათ შორის:	ქართველი.	198
	რუსი.	228
	სომეხი.	425
	სხვა ეროვ.	32
ასაკის მიხედვით:	3-7 წლ. მდე	115
	7-13 „	183
	13-17 „	585
სქესის მიხედვით:	ვაჟი.	584
	ქალი.	286
მათ შორის:	ნორმალური.	847
	დეფექტიანი.	36

განაწილება შემდეგნაირად იყო ჩატარებული:

გაიგზავნა:	სამშობლოში	223
	ნათესავებთან	50
	მკ. წლ. კომისიაში	36
	საბავშო სახლებში.	319
გარდაიცვალა	საავადყოფოში	17
„	კოლექტორში.	2
წაყვანილ იქნა	მშობლების მიერ	36
„ „	აღსაზრდელად	16
გაიგზავნა	საქარხნო-სამრეწველო სკოლაში	4

მოეწყო სამსახურში	8
გაიპარა	14
დარჩა 1 დეკემბრისათვის	168

შენიშვნა: 1. სამშობლოში იგზავნებოდენ ბავშები, რომელთაც იქ მშობლები ჰყავდათ ან ახლო ნათესავები, თუ უკანასკნელნი მოითხოვდენ მათ წერილით.

2. ქალაქში ბავშები უბრუნდებოდენ მხოლოდ იმ ნათესავებს, რომელთა შესახებ გამოკვლევა აღმოაჩენდა, რომ მათ შეუძლიათ ბავშების შენახვა.

3. მცირეწლოვანთა კომისიაში იგზავნებოდენ ბავშები, რომელნიც რაიმე ბოროტმოქმედებაში იყვნენ შეჩნეული.

4. აღსაზრდელად ოჯახებს ეძლეოდათ ბავშები 3—5 წლამდე, თუ გამოკვლევა არავითარ ამის საწინააღმდეგოს არ აღმოაჩენდა.

უპატრონოთა მზრუნველობის განყოფილებაში გაიარა კოლექტორის გარეშე 1922 წლის 1 იანვრიდან 1923 წლის 1 დეკემბრამდე:

1. ვოლგის განაპირა გუბერნიების დამშეულმა ბავშმა:	
ა) მოწყობილად.	997
(მოვიდენ 1921 წ. ოქტომბერში)	
ბ) თავის ნებით გამოქცეულნი	332
2. საქალო განყ. მიერ გამოგზავნ.	42
3. ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ გამოგზანილი	107
4. ტფილისის მილიციის მიერ.	332
სულ	1.671 ბავში.

მათ შორის საზოგადოებისათვის საზიანო ბოროტმოქმედებაში შემჩნეულია	336

მ ა თ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა:

გაიგზავნა სამშობლოში ჯგუფებად	610
ცალკ ლკე	189
მშობლებთან ერთად	72
საბავშო სახლში	10
საავადმყოფოში	47
მც. წლოვ. კომისიაში	23
დაუბრუნდა მშობლებს	76
დაუბრუნდა მეურვეებს	9

ქართველები—12%, სომეხი—33%, რუსი—50%, ოსი—5%.

მცირეწლოვანთა კომისიაში გაიარა „საზოგადოებისათვის საშიშ-ია“—336 ბავშვა, 8—17 წლამდე. მათში: ვაჟი - 300, ქალი—36.

ბოროტმოქმედების ხასიათი: წვრილი ქურდობა, ჯიბგირობა, მკვლელობა (შემთხვევით და განზრახვით), პროსტიტუცია, ყალბი დოკუმენტების დამზადება, ბოროტმოქმედთა დაფარვა, სპეკულიაკია, დიდ ქურდობაში მონაწილეობა, ნაქურდალის გაყიდვა, მშობლებისა და ეფოროსთა მითითებით ქურდობა.

II უპატრონო ბავშთა ძრაობა მაზრებში.

(ცნობები დაახლოვებითია)

ადმოსავლეთ საქართველოში.

1. თიანეთის მაზრა	104
2. დუშეთის	200
3. გორის	360
4. ბორჩალოს	100
5. ახალციხის	160
6. თელავის (ცნობები არ არის)	
7. სიღნაღის	92

დასავლეთ საქართველოში.

8. ზუგდიდის	100
9. სენაკის	80
10. რაჭის (ცნობები არ არის)	
11. ლეჩხუმის	55
12. ოზურგეთის	170
13. შორაპნის	60
III. სამხრეთ-ოსეთში	170
IV. აჭარის ტანში	350
V. აფხაზეთში	100

მათ შორის მოთავსებულია საბავშო სახლებში 719

უნდა მოთავსდეს ობოლთა სახლებში 650

ნახევრად ობლები, რომელნიც ცხოვრობენ მძიმე პირობებში 400

დანარჩენებს ჰყავთ მშობლები, მაგრამ ავადმყოფი ან მოხუცებული

მაზრებში ქართველები—68%, სომხები—30%, სხვა ეროვნებისა 2%.

ბავშთა ასაკი—3—5 წლამდე.

ვაჟი—65%, ქალი—35%.

განყოფილების გამგე **ნ. ხუმარიანი.**

საქართველოს მასწავლებელთადმი მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სწავლა-განათლების ასპარეზზე მუშაობა თანდათან ჩაღდება, მაგრამ ადგილობრივ მომუშავე მასწავლებლობის ხმა ჯერ მაინც არ გაისმის, უამისოდ კი თვით ცენტრში მუშაობაც ფერხდება. საჭიროა საყოველთაო კოლექტიური მუშაობა, რომ ამ მუშაობის შედეგები და მიღწევანი თავს იყრიდენ ერთ ორგანოში. ამგვარი ორგანო არის სახალხო განათლების კომისარიატის ჟურნალი: „ახალ სკოლისაკენ". ამ ორგანოს თანამშრომელი მთელი მასწავლებლობაა. თვითეული მასწავლებლის ხმა, ამ ორგანომდე მიღწეული, ძვირფასია. მას უნდა განათლების ყოველი მუშაკი დაეხმაროს, ვისაც როგორ შეუძლია. განსაკუთრებით ძვირფასია ადგილობრივი მასალები. მასწავლებლობის მონაწილეობა ამ მუშაობაში უნდა გამოიხატებოდეს საქართველოს ყოველი კუთხიდან კორესპონდენციების გზავნით.

კორესპონდენციების შინაარსი უნდა ეხებოდეს ყოველ საკითხს, რომელსაც კი სკოლასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. უპირველეს ყოვლისა მნიშვნელობა აქვს:

თვით სკოლის ყოფაცხოვრებას.

სასკოლო მუშაობის ახალ საშუალებათა ცდას ადგილობრივ.

ძველ მეთოდების გამოყენებას ახალ პირობებში, ვინაიდან ყოველი კუთხის პირობები შეიძლება სხვადასხვა იყოს.

შემდეგ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია **სკოლის მოწყობის საკითხი:**

ბავშების რაოდენობა სკოლაში.

განყოფილებების რაოდენობა, რომელშიც ერთი მასწავლებელი ასწავლის.

ადგილობრივი მცხოვრებლების დამოკიდებულება სკოლისადმი.

მისი მონაწილეობა სასკოლო საქმეში.

ბავშვების ორგანიზაცია.

სკოლის მოწყობილობა: ავეჯი, ხელსაწყოები და სხ.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე:

სკოლის მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

რამდენად არის ადგილობრივ გამოყენებული ახალი პედაგოგიური აზრები (კომპლექსური მეთოდი და სხ.).

ადგილობრივი წარმოების გამოყენება სასკოლო საქმეში (ბალი, მინდორი, მეცხვარეობა, მეაბოელეობა და სხ.).

რამდენად ხშირად ხდება ექსკურსიები.

ყოველ მასწავლებელს მიეცემა აგრეთვე საშუალება ამ ორგანოში გამოაქვეყნოს თავისი მოსაზრებები ამა თუ იმ პედაგოგიურ საკითხის შესახებ, ახალი საკითხის აღძვრის სახით იქნება ეს, თუ უკვე აღძრულის აქ დამუშავებისა.

ყველა ამ საკითხზე ადგილების გამოცდილება ფრიად მნიშვნელოვანია სკოლის საქმისათვის. ამ კორესპონდენციების გამოქვეყნების შემდეგ მოხდება ამ მასალის დამუშავება, განხილვა და შემდეგ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს იმას, რომ იგი, შესაძლებელია, ჟურნალ-გაზეთებისათვის წერას არ იყოს შეჩვეული. რედაქცია სიამოვნებით შეისწავლის და გამოიყენებს მთელ მოსულ მასალას, გამოაქვეყნებს ყოველ ცნობას, რომელიც კი მას მოუვა ადგილებიდან. პატარა კორესპონდენციითაც კი მასწავლებელი დიდი საქმის მონაწილე გახდება.

მოვკიდოთ ხელი ყველამ ერთად ამ საქმეს და მწყობრი ტუშაობით წინ წავწიოთ სწავლა-განათლების საქმე საქართველოში.

საredაქციო კოლეგია.

რუსეთის სკოლები

1923 წლის აპრილში, განათლების მუშაკთა კავშირმა მოაწყო ტფილისის განათლების მუშაკთა სახლის თაოსნობით განათლების მუშაკთა ექსკურსია მოსკოვსა და პეტროგრადში, რუსეთის დღევანდელი სასკოლო მუშაობის გასაცნობად.

სულ გაიგზავნა 15 პირი :—10 ტფილისიდან, და 5 ადგილებიდან: ქუთაისიდან, სენაკიდან, გორიდან, ბათომიდან და თელავიდან.

სკოლებისა და სხვა სასკოლო დაწესებულებათა დათვალიერება წინასწარ დაპუშავებული გეგმით იყო ჩატარებული.

ამნაირადვე იყო დაყენებული ექსკურსიის ანგარიშების ჩაბარებაც ტფილისის განათლების მუშაკთა სახლში. ექსკურსანტებმა გაინაწილეს —თავ თავისი სპეციალობის მიხედვით—შესწავლილი საქმის მხარეები და დაბრუნებისას 12 მოხსენება წაიკითხეს ტფილისის განათლების მუშაკთა სახლში, მათ შორის ერთემოთავსებული სამი მოხსენებაც: „მოსკოვის და პეტროგრადის შრომის სკოლები“, „მოსკოვის სკოლა-კომუნას თვითმართველობა“ და „ბავშვთა კონფერენცია მოსკოვში“.

ჟურნალის მეორე ნომერში დაიბეჭდება კიდევ ერთი ამ მოხსენებათაგანი—„მოსკოვის მეცნიერული ინსტიტუტები, რომელიც შრომის სკოლას ემსახურებიან“ და მის შესავსებად წერილი „პეტროგრადის საექსკურსიო სადგურების შესახებ“.

დანარჩენ მოხსენებათა სია და, საერთოდ, ანგარიში ამ ექსკურსიის შესახებ მოთავსებულია ჟურნალში „საქართველოს განათლების მუშაკში“, № 1, ივლისი 1923 წ. საერთოდ ვურჩევთ სოფლის ყოველ მუშაკს, ეცადოს ხელთ ჩაიგდოს ეს ჟურნალი და თვალყური ადევნოს მას, განსაკუთრებით მესამე ნომრიდან, რომელიც ეს არის გამოკიდა.

მოსკოვის და პეტროგრადის შრომის სკოლები.[1])

წარსულ კრებებზე წაკითხულ მოხსენებათა შინაარსიდან უკვე გამოირკვა საერთო სურათი მოსკოვის და პეტროგრადის ცხოვრებისა და კერძოდ სურათი მოსკოვის პედაგოგიური ცხოვრებისა. შემდეგი მოხსენებანი შეიცავენ ცალკე პედაგოგიური საკითხების გაშუქებას და კონკრეტულ გადმოცემას; ამიტომ ჩვენი მოხსენება იმ საკითხებს მხოლოდ გაკვრით შეეხება, საერთოდ, საჭირო გახდება მთელი რიგი პედაგოგიური საკითხების გამოტოვება, და ზოგიერთისა კი შეერთება, რადგანაც მასალა დიდია და დროს უქონლობის გამო შეუძლებელია მისი მთლიანად გადმოცემა. ამგვარად, ეს მოხსენება იქნება დახასიათება მხოლოდ იმ ძირითადი ღერძისა, რომელზედაც არის აგებული სასკოლო საქმე მოსკოვში და ნაწილობრივ პეტროგრადში.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს „გ ი ნ ო“

პეტროგრადის სკოლებზე ბევრის თქმაც არ მოგვიხდება. ეს აიხსნება იმით, რომ დათვალიერებულია მხოლოდ ე. წ. „გინოს“ სკოლები (Г. И. Н. О. ე. ი. Губернский институт народнаго образования, სახალხო განათლების საგუბერნიო ინსტიტუტი). ამისათვის, შეცთომები რომ არ დავუშვათ, შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთ შთაბეჭდილებათა გაზიარება.

„გინო“ მოთავსებულია პეტრეს კუნძულზე, პეტროგრადის იმ კუთხეში, რომელსაც „სან-გალლი“-ს ქალაქი ჰქვიან. იქ ახლა მართლაც მთელი პედაგოგიური ქალაქია გაშენებული. ნამდვილად რომ ვთქვათ, ეს დაწესებულება უკვე დიდი ხანია არსებობს. 50 წლის წინად ის მოაწყო პეტროგრადის ერობამ სოფლის სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ეს სკოლები გადარჩენ

---

[1]) 1923 წ. 3 ივლისს ტფილისის განათლების მუშაკთა სახლში წაკითხული მოხსენება.

და განაგრძობდენ მუშაობას, შეურიგდენ საბჭოთა ხელისუფლებას და ამასთანავე თავის შინაურ საქმეებში ავტონომიაც შეინარჩუნეს. „ვინო“ ახლა მთელი ქალაქია და რამოდენიმე დაწესებულებისაგან შესდგება პირველ საფეხურის სკოლები, მეორე საფეხურის სკოლები, პედაგოგიური კურსები და საინსტრუქტორო კურსები. ეს ოთხივე დაწესებულება მჭიდროდ დაკავშირებულია საერთო ცხოვრებით და ერთ მთლიან ორგანიზაციას წარმოადგენს. „ვინო“-ს რექტორია მ. ი. **ნიკოლაევსკი**, ხოლო ერთ აქტიურ მუშათაგანია **ა. გ. იაროშევსკი**.

პირველ საფეხურის სკოლაში სწავლობენ შვილები პროლეტარ მუშებისა, მეორე საფეხურის სკოლაში-კი — გლეხის შვილები. ეს იმით აიხსნება, რომ პირველი საფეხურის სკოლაში შედიან მხოლოდ რაიონში მცოვრებ მუშების შვილები. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები ან სხვა სასწავლებლებში გადადიან, ან ამითი ათავებენ სწავლას.

მეორე საფეხურის სკოლაში ასწავლიან გლეხების ბავშვებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სოფლის სკოლები. შემდეგ ეს ბავშვები გადადიან პედაგოგიურ კურსებზე და დამთავრების შემდეგ იგზავნებიან სამუშაოდ სოფლის სკოლებში. საინსტრუქტორო კურსებზე შედიან სტაჟის გავლილი მასწავლებლები, რომლებიც კურსების დამთავრების შემდეგ, როგორც უფრო მომზადებულნი, სამუშაოდ იგზავნებიან რაზრებში.

პირველ და მეორე საფეხურის სკოლების საკლასო ოთახებისაგან მიღებული გარეგანი შთაბეჭდილებანი ასეთია: როგორც სჩანს, წლის დასაწყისში საკლასო ოთახები ცარიელი ყოფილა; სამეცადინო წლის განმავლობაში მათ ავსებდენ და რთავდენ მოწაფეთა ნამუშავრის შედეგებით და ამგვარად იყენებდენ მთელი წლის ნაჰუშავარს. აქ შევხვდებით დიაგრამებს, მოდელებს, ნახატებს, კოლექციებს, ცოცხალ საგნებს და სხვა. ყოველივე ეს საშვალებას აძლევს მნახველს, გაითვალისწინოს ბავშვების წლიური სამეცადინო პროგრამა და ყოველ ჯგუფში დამუშავებული მასალა.

პირველ საფეხურზე სჭარბობს სწავლების საგნობრივი სისტემა, მხოლოდ ხანდახან კომპლექსური მეთოდის საშუალებით იმუშავებენ კურსის ზოგიერთ თემას: რკინა, სელი, ხორბალი და სხვა. სკოლასთან არსებობს მუზეუმი—დიდი, ექვსოთახიანი ცალკე შენობა, რომელიც დაყოფილია რამდენიმე განყოფილებად, სადაც შესაფერ რიგზე მოთავსე-

ბულია ჯგუფებისა და წრეების ნამუშავრები. აქ არის განყოფილება: ისტორიული, მათემატიკური, მხატვრული თხრობისა, რუსული ენის.

წრეების ცხოვრება შემდეგნაირად წესრიგდება: 750 მოწაფიდან დიდი უმრავლესობა სასწავლებელში ცხოვრობს, აქედან 50 % დე მუშაობენ თავისუფლად არჩეულ წრეებში ან საკრებულოში. სკოლასთან არსებობს ძალიან დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ მის შინაგან მუშაობაში ბავშები ისეთ დიდ მონაწილეობას არ იღებენ, როგორც ეს სასურველია ახალ სკოლისათვის. ბიბლიოთეკის ძირითად მუშაობას ასრულებს სპეციალური საბიბლიოთეკო პერსონალი. არც სამკითხველო არის ბავშების მიერ საკმაოდ გამოყენებული.

კარგადაა მოწყობილი სახელოსნოები, განსაკუთრებით—სადურგლო, რომელსაც 35-მდე დაზგა აქვს, მაგრამ სადურგლოსა და სასწავლო საგნებს შორის არ არსებობს საგრძნობი კავშირი. სახელოსნოების მიზანია განვითაროს ბავშს სათანადო უნარი. ამაზედაა დამყარებული სახელოსნოების მთელი მუშაობა.

სკოლასთან არსებობს აგრეთვე ფიზიკური და საბუნებისმეტყველო კაბინეთები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სამეცნიერო მუშაობისათვის. კვირაში ყოველ ჯგუფში ორი საათი კლასში სწარმოებს ბუნებისმეტყველება, ხოლო ორი საათი კი ლაბორატორიაში კვლევითი მუშაობა.

სასწავლებელში არა სჩანს გაკვეთილების ისეთი განრიგება, რომ ცალკე საგნების შეჯგუფება და ერთმანეთთან დაკავშირება სჩანდეს. ეს მდგომარეობა აიხსნება ტეხნიკური ხასიათის სიძნელით.

რაც შეეხება სკოლის მართვა გამგეობას, უნდა ვსთქვათ, რომ სასწავლებელში თვითმართველობა არსებობს, მაგრამ ნაკლებად იდგამს ფეხს, იმისდა მიუხედავად, რომ სასწავლებელს ინტერნატი აქვს, რაც მრავალ შესაძლებლობას იძლევა თვითმართველობის განვითარებისთვის. ამის გარდა სკოლას აქვს კიდევ ერთი ხელსაყრელი პირობა თვითმართველობის გაძლიერების თვის, ეს არის სამეურნეო მუშაობის წყარო — სასკოლო მიწის ნაკვეთი, რომელსაც თვით სასწავლებელი ამუშავებს, რის შემწეობით შესაძლებელი იყო ბავშების ჩაბმა სკოლის სამეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ ეს შესაძლებლობა საკმაოდ გამოყენებული არ არის.

სკოლის მართველობა შემდეგნაირად სწარმოებს: თვითეულ ამ ოთხ

დაწესებულებას სათავეში ედგას გამგე; ისინი გინოს რექტორთან ერთად შეადგენენ პრეზიდიუმს.

ყოველ დაწესებულებას ჰყავს თავისი საბჭო, რომელიც არჩევს თავისი დაწესებულების საკითხებს.

საერთო საკითხები გადააქვთ ოთხივე დაწესებულების მთავარ სამოსწავლო საბჭოში. მასწავლებლებს იწვევენ სასკოლო საბჭოს საშუალებით, რომელიც თავის კანდიდატებს ასახელებს. რექტორსა და მის მოადგილესაც თვითონ საბჭო ირჩევს საერთო წესით, უმაღლეს სამმართველო ორგანოების ზეგავლენის გარეშე.

პეტროგრადის და მოსკოვის სკოლები.

მოსკოვის და პეტროგრადის სასწავლებლების შედარებამ და აგრეთვე ორივე ამ ქალაქის პედაგოგებთან ბაასმა ხაზი გაუსვეს ისეთ თვისებებს, რომელიც შეიძლება უამისოდ შეუმჩნეველად დარჩენილიყვნენ.

სულ სხვადასხვაა მუშაობის ატმოსფერა: მოსკოვს ემჩნევა რაღაც ნერვიულობა, მოძრაობა და ძიება. პეტროგრადში მუშაობა წყნარად და მშვიდობიანად მიმდინარეობს.

ისეთმა განსაკუთრებულმა მომენტებმაც კი, რომელთაც სასწავლებელში ნერვიულობა შეიქეთ, მაგალითად, მზადება დღესასწაულებისათვის, პეტროგრადში წყნარად და მშვიდად ჩაიარეს. ალბათ ამ მომენტებმა ბავშვების ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მუშაობის პროცესში ვერავითარი აღფრთოვანება ვერ შეიტანეს. უნდა ვსთქვათ, საზოგადოებრივობა და გარეგანი პირობები უფრო დისტყობია მოსკოვის ბავშვების ფსიქიკას და მუშაობას, ვიდრე პეტროგრადისას. ამ შემთხვევაში მოსკოვსა და პეტროგრადს შუა განსხვავება იმითაც აიხსნება, რომ პეტროგრადის სკოლები იმ მასწავლებლობის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელნიც ხელმძღვანელობდენ მათ „ოქტომბრამდე“, მოსკოვის სასწავლებლები კი უშუალოდ განიცდიან საბჭოთა ხელისუფლების გავლენას.

ამ ხნის განმავლობაში მოსკოვმა მოსპო ძველი სკოლები, შესცვალა შემადგენლობა მასწავლებელთა, ბავშვებისა, სამუშაო მასალა, წიგნები, სახელმძღვანელოები, მეთოდები, — პეტროგრადმა კი — ძველი შეინარჩუნა; მოსკოვი აგებს ახალს, რომელსაც ძველთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, პეტროგრადი კი მხოლოდ სცდილობს ძველი ახალს შეუფარდოს.

რევოლიუციის პირველ ხანებში მოსკოვის და პეტროგრადის მასწავლებლობა დიდხანს ვერ შეთანხმებოდა ერთმანეთს კონფერენციებზე, ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდენ და მხოლოდ ორთავესათვის ერთნაირად საყვარელმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მისცა მათ საშუალება, თუმც სხვადასხვა გზით, მაგრამ მაინც ერთ მიზნისაკენ წარემართად თავისი მუშაობა ახალი სკოლის შექმნისაკენ.

მოსკოვის სკოლები.

ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია მოსკოვის მიერ შექმნილი მთელი რიგი **საცდელ-საჩვენებელი „სკოლები—სადგური“** (станции), რომელთა ცენტრში მდგომი მალალხარისხოვანი მასწავლებლობა მიმართულებას აძლევს მოსკოვის დანარჩენ შრომის სკოლებს ხელმძღვანელობს მათ, აკავშირებს მათ ძიებას და რამოდენიმე სკოლის მუშაობის გამოჰყავს დასკვნები.

ეს მეტად ცოცხალი, დრეკადი და მიზანშეწონილი ორგანიზაციაა, რომელმაც უკვე დაიწყო ძვირფასი პედაგოგიური ნაყოფის გამოღება.

ამნაირი სადგური რამდენიმეა.

1. მალახოვის სკოლა.

ერთი მათგანი ე. წ. მალახოვო-კრასოვის საცდელი სადგურია მოსკოვთან, მალახოვკაში.

ეს რევოლიუციამდეც ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლებოდა და შექმნილია ერობის მუშაკთა თაოსნობით. სკოლას ხელმძღვანელობს **ვ. ე. ფრიდენბერგი.** აქ ერთად სწავლების პრინციპია გატარებული და რკინის გზის მოსამსახურეთა და გლეხთა შვილები სწავლობენ.

სკოლა სცხოვრობს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით. მოსკოვის სკოლისაგან ეს სასწავლებელი თავისი მუშაობის ხასიათით ყველაზე უფრო ახლო სდგას პეტროგრადის სკოლებთან: რევოლიუცია ამ სკოლას ნაკლებად შეეხო და ამისათვის ვერ დაამსხვრია მისი საფუძველი ისე, როგორც მოსკოვის სხვა სკოლებში; ამისათვის მტკიცედ სდგას ძველ პედაგოგიურ საძირკველზე და ვითარდება ევოლიუციური და არა რევოლიუციური გზით.

სკოლას პირველი საფეხური აქვს 7-წლიანი სკოლა, მეორე-4 წლიანი სკოლა და პედაგოგიური კურსები—ლერძი, რომელზედაც აგებულია მალახოვო-კრასკოვის სადგურის მთელი მუშაობა. ამის გარდა სადგური

აკავშირებს და ხელმძღვანელობს ამ რაიონის მთელი რიგი სკოლის პედაგოგიურ მუშაობას. ეს რაიონი მოსკოვის სახალხო განათლების განყოფილების (МОНО-ს) გამგეობლობაშია.

პირველ და მეორე საფეხურზე მუშაობის მეთოდი ერთნაირი არ არის: პირველიდან მეოთხე ჯგუფამდე მეთოდი კომპლექსურია, მე-5 მე-7 ჯგუფებში კი მუშაობა საგნობრივია. მე-2 საფეხურზე კომპლექსის კვალსაც ვეღარ ვხედავთ, თვით კავშირიც არ არის საგნებს შორის.

მე-2 საფეხურის სკოლაში ასეთი საგნობრივი სისტემის შემოღება, სადგურის ხელმძღვანელთა აზრით, გამოწვეულია ერთის მხრით იმ მდგომარეობით, რომ შეუძლებელი ხდება მოწვევა ყველა სამეცნიერო საგნებში ერთნაირად მომზადებული მასწავლებლებისა და, მეორე მხრივ, აუცილებელი იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მიეცათ სისტემატიური ცოდნა ყოველ ცალკე საგნში.

კავშირი მასწავლებელთა მუშაობაში გამოიხატება ციკლის თემების დამუშავებაში, რომელთაც დროგამოშვებით წამოაყენებს ხოლმე კურსის პროგრამა.

ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა სახის ექსკურსიები, როგორც მუშაობის მეთოდი: საბუნებისმეტყველო, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა ხასიათის ექსკურსიები.

ბავშვები ეცნობიან ადგილებს, ქალაქებს, დაწესებულებებს, ყოფაცხოვრებას, ცხოვრების თავისებურობას, აგროვებენ დაკვირვების მასალას, მოჰყავთ იგი სისტემაში, გამოჰყავთ შესაბამი დასკვნანი, ერთი სიტყვით, ადგებიან მეცნიერულ გზას და ამასთანავე იძენენ დიდ ცოდნასა და სწავლა-მუშაობის ჩვეულებებს.

თავისებური ხასიათი აქვს ამ სკოლაში ლიტერატურის შესწავლას. ამოირჩევენ რომელიმე ხანის მწერალს და მას შეისწავლიან სავსებით. ბავშვებს გულდასმით გაარჩევინებენ ავტორის თხზულებებს, შემდეგ გაიცნობენ მათ თვით ავტორს, როგორც ამა თუ იმ ეპოქის და სოციალური მდგომარეობის ნაყოფს და ამნაირად ღრმად შეაგნებინებენ ბავშვებს მწერლის შემოქმედებას, იდეალებს და წერის „სტილს“.

არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ერთ მწერალს შეისწავლიან მთელი წლის განმავლობაში და, უნდა ვსთქვათ, რომ, ამას უფრო ნაყოფიერი შედეგი მოაქვს, ვიდრე ლიტერატურის ისტორიის სისტემატიურ შესწავლას.

ცალკე საგნების მასწავლებლები არა ზღუდავენ ერთმანეთს და, თითქმის, ნაკლებადაც იცნობენ ერთმანეთის მუშაობას.

საერთოდ, ეს სადგური, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სდგას შუაში, როგორც გარდამავალი საფეხური მოსკოვისა და პეტროგრადის სასწავლებელთა შორის: პეტროგრადის სკოლებივით მას შენარჩუნებული აქვს თავისი ძველი საფუძველი, პედაგოგიური პერსონალი და მრავალი მეთოდი, მაგრამ მაინც წინ მიდის, თუმც თავისი საკუთარი გზით, უწინვე აღებული მიმართულებით, რომელიც ნაკარნახევია სასწავლებლის პედაგოგთა და ხელმძღვანელთა მსოფლმხედველობით.

ბავშები სკოლასთანვე სცხოვრობენ, თვითმართველობა გამოიხატება წრეების შექმნაში, მაგრამ საკმაოდ ფართოდ არ იდგამს ფეხს, რადგან ბავშების ინტერესები უფრო ყოველის კლასის და ინტერნატის ცხოვრების გარშემო ტრიალებს. საქმე ისაა, რომ ბავშები სცხოვრობენ არა ერთიან დიდ შენობაში, არაშედ 4-5 ოთახიან ცალკე შენობებში-პავილიონებში 8—15 კაციან ჯგუფებად თითო ხელმძღვანელით საღილის გარდა, რომელიც მზადდება მთელი ინტერნატისათვის ერთ საშზარეულოში, ყველაფერი სრულდება ბავშვების ორგანიზაციის ხელით. თვითეულ შენობაში ცალცალკე: ალაგებენ ოთახებს, ახერებენ ღუმელებს, მოაქვთ სამზარეულოდან საღილი, რეცხავენ ჭურჭელს და აკერებენ თეთრეულს, ამასთანავე ყოველგვარი ვალდებულებანი განაწილებულია თვითეული მოწაფის სქესის, მიდრეკილებისა და ძალ-ღონის მიხედვით.

თვითეული პავილიონი, როგორც, მაგალითად, ფრიდენბერგისა, სადაც სცხოვრობს თვითონ ფრიდენბერგი ცოლით და სკოლის ათი მოწაფით, წარმოადგენს თავისებურ ოჯახს—კოლექტივს, რომელიც გადასასვლელი საფეხურია დღევანდელი სიცხოვრის ნათესაობაზე აგებულ ოჯახიდან მომავალ კოლექტიურ საზოგადოებრივ ოჯახისკენ.

სოკოლნიკის სკოლა

ახლა გადავიდეთ მეორე სკოლაზე მოსკოვის მახლობლად, „სოკოლნიკებში“ მოთავსებულია ახალგაზრდა ბუნებისმეტყველთა ე. წ. **ბიო-სადგური**, ბიოლოგიური საცდელი სადგური, რომელთანაც არსებობს სკოლა-კოლონია. ეს არის ერდა **სკოლა-კოლონიისა**. მისი მიზანია მისცეს ბავშებს საშუალება **შეისწავლონ ბუნება თვით ბუნების პირობებში**. სადგურის ლოზუნგია—„უფრო ახლო ბუნებასთან“. ამას გამო ამ სკოლაში მუშაობის მეთოდიც ცოტა სხვანაირია, ვიდრე დანარჩენ სკოლებში—უმთავრესად კვლევა-ძიებითი.

სკოლის ძირითადი მიდრეკილებაა **საბუნებისმეტყველო განათლებისაკენ**.

ბავშვების შემადგენლობა განსაკუთრებულია. აქ იღებენ იმ ბავშვებს, რომელნიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ბუნების შესწავლისადმი **და** სურთ იმუშაონ სკოლის მიერ აღებული მიმართულებით, რადგან სკოლა თვით ცოცხალ ბუნებაშია მოთავსებული, მისი უმთავრესი საშუშაო ლაბორატორია **თვით ბუნებაა.**

სკოლასთან მოწყობილია დამხმარე სამოსწავლო დაწესებულებანი: ბაღი, ფიზიკური კაბინეთი და სახელოსნოები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მეტად საწყენარო შთაბეჭდილებას ახდენენ, ვინაიდან მოთავსებული არიან უვარგის შენობებში, იარაღი ცოტაა და ისიც. უვარგისი ასეთია გარეგანი მხარე. შინაგანის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის საერთო მუშაობასთან სახელოსნოებს თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ.

არის მრავალგვარი წრე, რომლებიც, უმთავრესად, დაკავშირებულნი არიან ბუნების შესწავლასთან. პირველი ალაგი უჭირავს **ახალგაზრდა ბუნებისმეტყველთა წრეს**, რომელიც დიდ მასალას შოულობს დამოუკიდებელი და თვითმოქმედიანობითი თითქმის მეცნიერული მუშაობისათვის. ამას ხელს უწყობს ის, რომ სკოლა ბუნების წიაღშია მოთავსებული და ბავშვები მთელი დღე ტყეში არიან.

არის კიდევ სამუსიკო, სამხატვრო და სალიტერატურო წრეები; ამ უკანასკნელში სწარმოებს **გამომცემლობითი მუშაობა**. უმთავრესად სცემენ ჟურნალებს; არის ეგრედწოდებული, **„ჩვენი კუთხე“**, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია უმცროსი ბავშვებისათვის, სადაც მუშაობენ ბავშვები და აგროვებენ თავის კოლექციებს.

სამხატვრო წრეს კავშირი აქვს მოსკოვთან, რადგანაც სკოლის სპეციალისტი, ხატვის მასწავლებელი, მოსკოვის ერთ-ერთი გამოჩენილი მხატვარია და ყოველ კვირა ჩამოდის აქ.

საზოგადოებათმეცნიერების შეგნებულად და მოქმედიანობითი შესასწავლად სკოლას კავშირი აქვს მეზობელ ქარხანასთან „ბოგატირ“ ქარხანაში მუშაობის გაცნობა, გაცნობა აგრეთვე თვით მუშებისა, მათი მუშაობის პირობებისა და მსოფლმხედველობისა, მეტად დიდ მასალას აძლევს სასწავლებელს სისტემატიური კვლევითი მუშაობისათვის.

გლეხის ცხოვრების შესწავლის მიზნით სასწავლებელს კავშირი აქვს მეზობელ სოფელთან, ბოგოროდსკისთან.

ამგვარად, ამ სასწავლებელში, რომელსაც საბუნებისმეტყველო მიდრეკილება აქვს, კვლევითი მეთოდი ბუნებისმეტყველებისაგან გადადის საზოგადოებათმეცნიერების დარგში.

სასწავლებელი არ უშინდება დაამსხვრიოს ძველი ჩარჩოები იქ, სადაც მათ თვით ცხოვრება ილეკავს და ამსხვრევს; ამიტომ ჩვეულებრივი სამუშაო დღის წესრიგი ხშირად ირღვევა. განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ბავშვები ხშირად მთელი დღით ტყეში მიდიან სკოლიდან და იქ ატარებენ დროს კლასში მუშაობის ნაცვლად. წინდაწინვე ითვალისწინებენ მუშაობის წესრიგს, მიაქვთ თან რუქები, გეგმები, რვეულები და აკვირდებიან ყველაფერს, რაც კი იზიდავს მათ ყურადღებას და აძლევს მასალას საგულისხმიერო დასკვნებისათვის.

ამგვარად, შესაძლებლობისდამიხედვით ბავშვები სცდილობენ თავისი წვლილიც შეიტანონ მეცნიერებაში. ბავშვების მიერ გამოცემულ ჟურნალის ფურცელზე ვამოქვეყნებულ მასალაში ვხვდებით თვით ბავშვების მიერ შეგროვილ მრავალ საინტერესო ცნობას როგორც მეცნიერული, ისე ყოფა-ცხოვრებითი ხასიათისა.

3. შატურინის და გაგარინის სადგურები

შეიძლება დავასახელოთ კიდევ ორი საცდელი სადგური: ორივე რიაზანისგუბერნიაშია; პირველი — შატურინის სადგური, მეორე — გაგარინის სადგური — რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის მესამე საცდელი პედაგოგიური სადგური.

შატურინის სადგური, მოთავსებული წარმოების ცენტრში, სათავეში უდგას საქარხნო-საწარმოო მიდრეკილების სკოლებს და სცდილობს გამოიტანოს ამ მუშაობიდან შესაფერი პედაგოგიური დასკვნები შრომის სკოლის ძიებისათვის.

გაგარინის სადგური კი ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო სამეურნეო მიდრეკილების სკოლებს, აღრიცხავს და აღრმავებს მათ მუშაობას ორივე სადგური, როგორც სჩანს, მუშაობს ბლონსკისა და დიუის პედაგოგიურ თეორიების ზეგავლენით.

4. შაკის სადგური

გადავიდეთ რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატთან არსებულ საცდელ პედაგოგიურ სადგურზე. ეს არის შაკის სადგური. ამ სადგურზე მისვლისას, პირდაპირ მოვხვდ თ პედაგოგიური მუშაობის წიაღში —

საბჭოს კრებაზე შაცკის თავმჯდომარეობით. ეტყობოდა, მუშაობა ჩვეულებრივ მიმდინარეობდა; არჩევდნენ მასალას, რომელიც მოუწოდებინა სადგურთან მომუშავე სკოლებს და დაწესებულებებს: საბავშო ბაღებს, საბავშო სახლებს, შრომის სკოლებს და საკრებულოებს. ყველა ამ მასალას განიხილავენ, გადაამუშავებენ, გააღრმავებენ და უკან უბრუნებენ დაწესებულებებს: მუშაობის განსაგრძობად სათანადო შესწორებით.

საყურადღებოა აღვნიშნოთ ის ძირითადი ხაზი, რომელიც ახასიათებს **შაცკის** მუშაობის საერთო მიმართულებას. ეს არის მისი რწმენა, რომ ბავშის შესასწავლად აუცილებელია მთელი მისი გარემოს შესწავლაც, რადგან მხოლოდ ამ გზით შეუძლია ბავშის სწორი შეფასება და, მაშასადამე, მასზე ზეგავლენის სწორი პედაგოგიური გზის ამორჩევა.

იმ სკოლებს გარდა, რომლებიც შაცკის სადგურის ხელმძღანელობით მუშაობენ, არის კიდევ მასთან იდეურად დაკავშირებული სკოლები; ამ სკოლებში საკითხი შესახებ ბავშის გარშემო არსებულ პირობების და მისი ცხოვრებისა—ცენტრალურია. ამ სკოლების ძირითადი რწმენაა, რომ ბავშის სრული შესწავლისათვის, საჭიროა ის ქუჩაც გავიცნოთ, სადაც ის ცხოვრობს, ამ ქუჩის ჰიგიენაც, ეკონომიკაც და პედაგოგიკაც, ე. ი. მისი დადებითი და უარყოფითი საალჭზრდელო გავლენა. ყოველი წვრილმანი უნდა ყურადღებით შევისწავლოთ: ამ ქუჩაზე მოთავსებული დაწესებულებანი, კილო და ლაპარაკი, სიმღერები, მცხოვრებთა შემადგენლობა, მათი ინტერესები მათი ხელობის მიხედვით, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.

მაგრამ ბავში მარტო ოჯახისა და ქუჩის ზეგავლენით არ იზრდება, ბავშზე დიდი გავლენა აქვს აგრეთვე სასწავლებელს. ამიტომ დიდი ყურადღებით უნდა შევისწავლოთ თვით სკოლაც, ჩვენი მუშაობის მეთოდები და ჩვენი თავი, ცოცხალი მაგალითი ბავშებისთვის ამ თვალსაზრისით აუცილებელია შევაფასოთ სკოლის მეურნეობა, სამოსწავლო დამხმარე მასალის ხასიათი, მუშაობის პირობები და მისი შეთანხმება ოჯახთან. ყველა ეს ერთად შეყრილი ქმნის იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რომელშიაც იზრდება ბავში და რომელშიაც ყალიბდება მისი ბუნება. შაცკის ორი სადგური აქვს: ერთი **კალუგის გუბერნიაში,** რომელიც უმთავრესად **სოფლის სკოლებთან** არის დაკავშირებული და **მეორე** - მოსკოვში, რომელიც ზემოთაა აწერილი.

5. პოლტავსკაიას სკოლა.

შაცკის სადგურიდან გადავდივართ ერთ სკოლაზე, რომელიც მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და სადგურთან მუშაობს სრული ურთიერთობით. ამ სკოლას სათავეში უდგას კლავდია პოლტავსკაია. ამ სასწავლებელსაც იგივე შაცკის აზრი აქვს საფუძვლად დადებული: **ბავშის შესწავლა გარემოსთან ერთად,** და არა გარემოს გარეშე.

ბავშები ფართოდ არიან ჩაბმული სკოლის ცხოვრებაში, სრულ მონაწილეობას იღებენ მისი მუშაობის ყველა მხარეში და მისი სრულუფლებიანი წევრები არიან. სკოლის თანამშრომელთა და ბავშების შეთანხმებული საერთო მუშაობით და ბავშების ფართო თვითმოქმედიანობით მიხწეულია სასწავლებლების ყოველმხრივ თვითფარეში (самообслуживание). მაგალითად, სასწავლებელს აქვს ინტერნატი, მაგრამ საშზარეულოში მხოლოდ ერთი ტეხნიკური თანამშრომელია. ყოველი ჯგუფი კვირაში ერთ დღის სამეურნეო ხასიათის მუშაობას ანდომებს, ბავშები და ხელმძღვანელები ერთად არჩევენ მწვანილეულობას და სხვა სანოვაგეს, ამზადებენ საჭმელს, აწყობენ სასადილო მაგიდას, მოაქვთ სადილი, რეცხავენ ჭურჭელს და შემდეგ ასრულებენ ყოველგვარ საოჯახო საქმეს.

წრეების მუშაობა სასწავლებელში არ არის განვითარებული, რადგანაც ბავშები თავისი შინაგანი ჯგუფობრივი ცხოვრებით იმდენად არიან შედუღებული, რომ ჯგუფის ერთი ნაწილის მიერ სხვა მხრივ გამოჩენილი ინტერესი, მაგალითად, ბუნებისა, შრომისა, მხატვრობისა და ლიტერატურისა, იზიდავს თავისკენ ჯგუფის დიდ უმრავლესობას, ისე რომ თვითეული ჯგუფი იმავე დროს სხვა საქმისათვისაც უკვე მოწყობილ წრეს წარმოადგენს.

რაც შეეხება სკოლის პროგრამას, უნდა აღინიშნოს მისი დრეკადობა. მტკიცე წლიური პროგრამა არ არსებობს. პროგრამის უმთავრეს ღერძს გაითვალისწინებენ და განსაზღვრავენ ხოლმე წლის დასაწყისში ბავშების ინტერესებთან შეფარდებით, მაგრამ თუ წლის განმავლობაში ცხოვრება წამოაყენებს რომელიმე მისაღებ და საინტერესო საკითხს, პროგრამის მიმართულებაც ამის მიხედვით იცვლება და ახალი გზით მიდის.

ზოგი მასწავლებლის გაკვეთილი მეტად ცოცხალია და მყუდროებით სავსე. ერთი ამისთანა გაკვეთილი, რომელმაც ჩვენზე მეტად კარ-

გი შთაბეჭდილება ჰოახდინა, იყო ბაასის გაკვეთილი მასწავლებელ ტატიანა პრონინასი, რომელიც ამზადებდა ბავშვებს პირველი მაისის დღესასწაულისათვის. მის გაკვეთილში არაფერი არ ყოფილა ხელოვნური ან წინდაწინ მოფიქრებული, პირიქით, ეს იყო სულ მარტივი და ბუნებრივი მიდგომა ბავშვის ბუნებასთან, რომელიც ამსხვრევს ბავშვებსა და მასწავლებელს შორის ამართულ კედელს და ამყარებს უშუალო სიახლოვეს და ერთმანეთის გაგებას.

სასწავლებლის სახელოსნოები კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ბავშვები შესაფერად ვერ იყენებენ მათ. მრავალი ღაზგა ნავსებით გაუქმებულია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ბავშვისთვის ჯერ არ დამდგარა ამისი მომენტი, ცხოვრებას ჯერ არ წამოუყენებია მისთვის ამისი მოთხოვნილება. როდესაც ბავშვს სასკოლო მუშაობის მიმდინარეობაში დასჭირდება ღაზგა და ამის გამო გაუჩნდება ცოცხალი ინტერესი მისი ხმარებისადმი, ამ მომენტს ელიან, ჯერ კი მუშაობა თანდათანობით და წყნარად მიმდინარეობს, გაუტაცებლად, შეისწავლიან თვით მანქანას, მის ტეხნიკურ თვისებებს და მასზე მუშაობის გზებს.

მოხსენების დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა ხაზი გავუსვათ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მოსკოვისა და პეტროგრადის სკოლებს შორის. მოსკოვმა მოსპო ძველი და მთელი სიმძლავრით აშენებს ახალს. პეტროგრადმა შეინარჩუნა ძველი საფუძველი, ფრთხილად იხრება მარცხნივ და ნელი ნაბიჯით მიდის წინ. მოსკოვმა აირჩია გზა რევოლიუციონური, პეტროგრადმა კი ევოლიუციონური. თვალ წინ გვაქვს არა მარტო ორი მიმართულება—მოსკოვისა და პეტროგრადისა, არამედ თვით მოსკოვში, როგორც უკვე ნათქამი იყო, არის არა ერთი მიმართულება, განსახერებული საცდელი პედაგოგიური სადგურებით, რომელიც წარმართავენ სკოლების მთელი ქსელის მუშაობას.

რ. ს. ფ. ს. რ—ს საზ. განათლების კომისარიატი და მისი ხელმძღვანელი ლუნაჩარსკი, როგორც სჩანს, სთვლიან, რომ აბსოლუტური პედაგოგიური ჰეშმარიტება ჯერ მიგნებული არ არის და ამიტომ ყველას აძლევენ საშუალებას თავთავისებურად ეძიონ ახალი გზები ახალ სკოლისაკენ.

ი. მელიქ-შახნაზაროვი.

ტფილისის მე-42 შრომის სკოლის კამკა

ბავშვების თვითმართველობა მოსკოვის სკოლა კომუნაში

პირადი შთაბეჭდილებანი.

ახალი სკოლის ძირითადი პრინციპი—თვითმართველობის საკითხი, შეიძლება სავსებით გადასწყდეს მხოლოდ სასკოლო კომუნაში. კომუნა ვერ იარსებებს თვითმართველობის, ან უკეთ, თვითორგანიზაციის გარეშე. ამიტომ მოსკოვის სკოლების თვითმართველობის გასაცნობად ჩავედით თუ არა მოსკოვში, (1923 წლის აპრილში) მაშინვე გავეშურეთ საბავშო სახლებსა და სკოლა-კომუნებში. ჩვენი ყურადღება მიიქცია რ. ს. ფ. ს. რ.-ს სახალხო განათლების კომისარიატის მეტად საინტერესო საბავშო დაწესებულებამ ე. წ. სკოლა-კომუნამ (2-ой Ильинский пер. № 9), რომელიც იმყოფება **კომუნისტური აღზრდის ინსტიტუტის** უშუალო ხელმძღვანელობაში.

ამ სკოლაში ყველაფერი ღირსია შესწავლისა და ყურადღებისა. იშვიათი შესახვედრია მეორე ასეთი შეთავსება უდიდესი მიხწევისა სწავლა-განათლების დარგშიც, სოციალური აღზრდის დარგშიც. მთელი სიფართოვით არის გამოყენებული პედაგოგიკის ახალი მიმდინარეობანი; კვლევითი, ლაბორატორიული და კომპლექსური მეთოდები, საკაბინეთო მუშაობის სისტემა, შრომის პრინციპი ქარხანასთან კავშირი და სხ. და სხ.

ყველაზე უფრო ძვირფასად უნდა ჩაითვალოს თვითმართველობის მიხწევა, რომელიც ფართოდ და სრულად მოიცავს სკოლის ცხოვრების ყველა მხარეს.

თვითმართველობა აქ არც ცარიელი სახელია, არც დროისთვის დათმობა. ეს ნამდვილი არსებაა კომუნისა. სკოლა დიდებისა და ბავშვების მჭიდრო ერთანამშრომლობის ქმნილებაა. შეხვალთ თუ არა მასში, მაშინვე იგრძნობთ, რომ ყოველი მისი წევრი ამ სახლის მასპინძელია. ეს ერთი მთლიანი ოჯახია. ყოველმა მისმა წევრმა იცის, რითი ცხოვრობს

ღღეს კოლექტივი, როგორია მისი სახვალიო გეგმა, იცის თავისი ადგილი და მონაწილეობის ოდენობა საერთო მუშაობაში.

აქ არ არის უფროსი და უმცროსი, ყველანი თანასწორუფლებიანნი არიან. სამი წლის წინად ეს იყო რამდენიმე ხელმძღვანელისაგან და ბაკშისაგან შემდგარი მცირე ჯგუფი, სხვადასხვა ასაკისა, ცოდნისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელნიც ცხოვრებამ ასეთი ამოცანის წინ დააყენა: „უნდა დასახლებულიყვნენ ცარიელ, მიყრილებულ სახლში და მოეწყოთ იქ ცხოვრება.

როდესაც ბავშვებმა აგვიწერეს ის მძიმე პირობები, რომელშიაც მათ მუშაობა მოუხდათ, ძალაუნებურად ასეთმა აზრმა გაგვიელვა: „აი სად ყოფილა ნამდვილი ადამიანი, ადამიანი და არა „ბავში", აი სად ყოფილა ახალი საზოგადოების ის მომავალი აღმშენებელი, რომელზედაც ვოცნებობთ ახალი სკოლის ძიებაში. თურმე უკვე არსებობენ ამისთანანი, თურმე უკვე არიან".

რამ შეაძლებინა მათ ყოველგვარი სიძნელის გადალახვა და არაფრისაგან რამ შეაქმნევინა ასეთი ყოველმხრივ აყვავებული სკოლა? ფართო **თვითმართველობამ**, თვითმოქმედიანობამ, თვითორგანიზაციამ, და აგრეთვე ბავშვების ძალებისადმი ნდობამ, წარმოებული მუშაობის რწმენამ, პედაგოგებისა და ბავშთა ენთუზიაზმმა, გამოწვეულმა იმით, რომ **თვითონ ქმნიან** თავის ცხოვრებას.

სკოლა არ არის მომზადება მომავალი ცხოვრებისათვის, როგორც ეს წინად იყო წარმოდგენილი. დღევანდელი სკოლა ის ადგილია, სადაც ეწყობა ბავშვების **დღევანდელი, ამ წუთის** ცხოვრება. ბავშვებს არამც თუ „უფლება აქვთ" მიიღონ მონაწილეობა ამ ცხოვრებაში, არამედ **თვითონ უნდა მოაწყონ** ეს ცხოვრება, აი ის აზრები, რომელიც შეიგრძნეს, შეითვისეს და შეისისხლხორცეს სკოლა-კომუნის მასწავლებლებმა თავისი დიადი საქმის დასაწყისიდან.

ამისი ბრწყინვალე შედეგი თვალ წინ გვაქვს: ბავშვებისა და დიდების თანამშრომლობით შექმნილი მთელი ურთულესი სამეურნეო და სწავლა-განმანათლებელი ორგანიზმი.

სკოლა მოთავსებულია დიდ სამსართულიან შენობაში. სასწავლებელში ყოველ დღე მორიგეობს აღმზრდელი-მასწავლებელი და რამდენიმე ბავში, რომელნიც ე. წ. **შრომის კომისართან** [1]) ერთად აკეთებენ დღის წესრიგს და თვალყურს ადევნებენ მის შესრულებას. ჩვენ

---

[1]) „Трудком", იხ. ქვემოთ ამავე წერილში.

რომ მივედით, ბავშებმა მორიგეები გამოიწვიეს. ამ დღეს მორიგეობდა მათემატიკის მასწავლებელი ქალი ე. ბერეზანსკაია და ორი 14—17 წლის ცირა. ბავშებს თავისუფლად ეპირათ თავი. თავისუფლად მოგვიყვა ბერეზანსკაია ბავშების წინაშე ყველა გაჭირვებასა და თავისა და ამხანაგების ეპვებზე. ვგრძნობდით, რომ სკოლა მართლაც ბავშებისა და უფროსების თანამშრომლობითაა შექმნილი, რომ ბავშებმა ყველაფერი იციან სკოლის შესახებ და არ არსებობს საიდუმლოება ბავშებსა და პედაგოგებს შორის.

დამახასიათებელია სკოლისათვის, რომ თვით ინ სკოლის გამგე ამხ. პისტრაკი, რომელიც გამოვიდა ჩვენი შესვლით სამკითხველოში გამოწვეულ ხმაურობაზე, გულმხურვალედ მოგვესალმა, გაიგო, რომ ჩვენ საქართველოდან ჩამოსული ექსკურსანტები ვიყავით, იკითხა, იციან თუ არა ჩვენი მოსვლის შესახებ მორიგეებმა, შემდეგ დაბრუნდა საბუნებმეტყველო კაბინეთში და იმ დღეს აღარ გვინახავს. იმ დღეს ჩვენი მუდმივი თანამგზავრები და გამყოლნი იყვნენ ბავშები, ბერეზანსკაია კი ხშირად გვშორდებოდა საკლასო მუშაობისათვის.

აი რა გვაჩვენეს და რა გვიამბეს ბავშვებმა:

სკოლა კომუნა არის მეორე საფეხურის ოთხწლიანი სასწავლებელი. სასწავლებელში არის 135 ბავშვი 13—18 წლის; ბავშები დაყოფილია ხუთ ჯგუფად. 50 პროც. უპატრონო ბავშებია და სცხოვრობენ სკოლის ინტერნატში, დანარჩენები დადიან გარედან. ინტერნატისა და სკოლის ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებული არის საერთო შრომით და წრეების მუშაობით მასწავლებელნი აქვე სცხოვრობენ.

საკლასო ოთახები ამ სკოლაში არ არის, მათი ადგილი უჭირავთ კაბინეთებს: საბუნებმეტყველოს, ფიზიკურს, მათემატიკურს და სხ.; კაბინეთების მოწყობა-ლ-ბა უმთავრესად დამზადებულია თვით ბავშების მიერ, მათ სახელოსნოებში. ეს სახელოსნო სამია: სამკერვალო, წიგნებს ასაკინძი და სადურგლო.

არის აგრეთვე სასკოლო მუზეუმი, საალრიცხვო-საჩვენებელი ხასიათისა. მუზეუმიც ბავშების მიერაა შექმნილი და მეტად საინტერესო და ნათელ წარმოდგენას იძლევა ბავშვების სასკოლო მუშაობაზე. აქ ვხედავთ ოქმებს, დღიურებს, გაზეთს — „მ. ს. ს. ს. კ.-ს მოამბე“ [1]), რომე-

---

[1]) „მოსკოვის საცდელ-საჩვენებელ სკოლა-კომუნას მოამბე“

ლიც ორეში ერთხელ ან ორჯელ გამოდის ბავშვების, პედაგოგების და ყოფილ მოწაფეთა მონაწილეობით, რომელნიც ერთმანეთთან და სკოლასთან კავშირს არ ჰკარგავენ და „ძველ მოწაფეთა საზოგადოების“ სახით არიან შეერთებული. აქვე ნახავთ მრავალ დიაგრამას, როგორც სხვადასხვა გამოკვლევის და დათვალიერების შედეგს, ისე რაიმე მუშაობის აღმრიცხველს. არის აგრეთვე ნამუშევარი მეცადინეობის ჩათვლის ხასიათისა. საერთოდ მრავალ რამეს მოუთხრობს მნახველს სკოლის შესახებ მუზეუმი.

სკოლა აგებულია **შრომაზე.** ბავშვები კიდეც მონაწილეობენ შრომაში, კიდეც შეისწავლიან მას.

სასწავლებელი დაკავშირებულია **ქარხანასთან.** სკოლის საზამთრო მუშაობას **ქარხნოსნული** (ინდუსტრიალური) მიდრეკილება აქვს საზაფხულოდ კი სასწავლებელი გადადის მოსკოვის მახლობლად მოწყობილ მამულში, ე. წ „საბჭოთა მეურნეობაში“ (Совхоз) აქ იწყება **სასოფლო-სამეურნეო** მუშაობის ციკლი.

ქარხნოსნული ციკლის დროს ორი უმცროსი კლასი სახელოსნოებში მუშაობს, ქარხანაში კი მხოლოდ ექსკურსიის სახით დადიან სხვადასხვა მიზნით. მესამე განყოფილება ბამბის სართავ ქარხანაში მუშაობს კვირაში ოთხჯერ, ორ-ორ საათს. მეოთხე განყოფილება კი ჯუმლს უყრის წინა წლების ნამუშევარს.

სკოლასთან არსებობს ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საკრებულო და სცენა.

სკოლის ცხოვრება არ არის მომწყვდეული მხოლოდ სასწავლებლის კედლებში. სკოლას მუდმივი დამოკიდებულება აქვს სხვა საბავშო დაწესებულებებთან, ქარხნის მუშებთან და მათ ორგანიზაციებთან და აგრეთვე რუსეთის კომკავშირის სარაიონო უჯრედთან. ბავშვების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა და ცხოვრებასთან დაახლოვება სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

ბავშვები ხშირად მართავენ დღესასწაულებს. ამ დღესასწაულებს ხშირად ესწრებიან მუშები და ქარხნის შეგირდები. დროგამოშვებით ერთად მართავენ ამ დღესასწაულებს და საღამოებს.

სოფელში შრომისა და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ნიადაგზე ბავშვებს მჭიდრო ურთიერთობა-კავშირი აქვთ დამყარებული ადგილობრივ გლეხობასთან და საბჭოთა მეურნეობის მუშებთან.

სკოლის ცხოვრების მდიდარ შინაარსს წარმოშობილი აქვს შესაფერად ძლიერი თვითმართველობის ორგანიზაციაც.

მაგრამ ერთ დღეს არ გაჩენილა თვითმართველობის ეს სახე. კომუნის თვითმართველობა თანდათანობით იქმნებოდა; თვით ცხოვრების აუცილებლობამ წარმოშვა იგი.

ჩვენ გავეცანით სკოლის დაწერილ კონსტიტუციას (აგებულობის წესდებას) გავეცანით აგრეთვე თვითმართველობის აგებულობას. კონსტიტუცია დრეკადია, ე. ი. ადვილად შესაცვლელია ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით; სამუდამოდ გაქვავებული შიგ არაფერია. თვითმართველობაშიაც არის მუდმივი ორგანიზაციები, მაგრამ მრავალი დროებითიც, რომელნიც არსებობენ მხოლოდ ამა თუ იმ დროებითი მიმდინარე მუშაობის დამთავრებამდე.

თვითმართველობის სქემის ახსნის დროს ბავშვებმა გვიამბეს, რომ პირველად თვითმართველობა ისახებოდა მხოლოდ საერთო კრებებით, ბავშვების მონაწილეობა კი სკოლის ცხოვრებაში გამოიხატებოდა მხოლოდ თვითმსახურებაში, თვითფარეშში (самообслуживание). ეს იმ ხანაში იყო, როდესაც შენობა ჯერ საცხოვრებელ სახლს არ ემსგავსებოდა, როცა თვით სკოლას უხდებოდა სასწავლებლის მოწყობილობის გაჩენა, სანოვაგეს შოვნა და საჭმლის მზადებაც. თანდათანობით ცხოვრების მოწყობისდა კვალად, სამუშაომაც სხვადასხვა სახე მიიღო და დანაწილდა კიდეც; ამასთან ერთად მრავალფეროვანი შეიქმნა თვითმართველობაც.

ამჟამად თვითმართველობა ამნაირადაა ჩამოყალიბებული: უმაღლესი ორგანოა **სკოლის მთელი კოლექტივის საერთო კრება** კრება ორ თვეში ერთხელ ირჩევს ორ წარმომადგენელს **სასკოლო საბჭოში** და აგრეთვე ხუთი ბავშვისაგან შემდგარ ე. წ. **საორგანიზაციო კომიტეტს** („ორგკომ"-ს), რომელსაც დაკისრებული აქვს მთელი საორგანიზაციო მუშაობა.

სასკოლო ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით საერთო კრება ირჩევს აგრეთვე ყოველგვარ დროებით კომისიებს. ვერც ერთი სერიოზული საქმე ვერ დაიწყება სკოლის ცხოვრებაში, თუ წინასწარ განხილული არ იქნება საერთო კრების მიერ.

საერთო კრებასთან სწვრივად მუშაობს კიდევ ორი ორგანიზაცია: **ინტერნატის კრება** და **კომუჯრედის ბიურო.**

ამათ მოსდევს: **სასკოლო საბჭო** და „ორგკომი".

სასკოლო საბჭო იკრიბება ყოველ კვირას, მის შემადგენლობაში შედიან: სკოლის ყველა მუშაკი, საორგანიზაციო კომიტეტის ხუთი წევრი, საერთო ყრილობის ორი წარმომადგენელი, ერთი წარმომადგენელი ინტერნატისა და ერთი წარმომადგენელი კომუჯრედისა; ამის გარდა, სათათბირო ხმით კრებაზე შეიძლება დაესწროს ყველა მოწაფე ბავშები იმოდენად არიან დაინტერესებულნი სასკოლო საქმეებით, რომ ყრილობას ხშირად 50—60 მოწაფე ესწრება. ხმის მიცემაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ორგკომის წევრები და წარმომადგენლები, მაგრამ ზოგჯერ თავმჯდომარე ყველა ბავშებსაც აძლევს ხმას, გადასაწყვეტი საკითხის შესახებ ყველა ბავშების აზრის შეტყობის მიზნით.

ბავშები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პედაგოგიური საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ ხშირად უარს ამბობენ ხმის მიცემაზე ამგვარ საკითხებში.

არის აგრეთვე ცალკე ბავშების და ცალკე მასწავლებლების ყრილობები — **პედაგოგიური თათბირები**.

პედაგოგიურ თათბირზე არჩევენ მასწავლებელთა ურთიერთ დამოკიდებულებას, თვითეულ მასწავლებლის პიროვნებას, სქესობრივ საკითხს და სხ. ამ საკითხების შესახებ თათბირს რეზოლიუციები გამოაქვს საბჭოში, რომელთაც მიუღებლობა შეუძლებელია.

სკოლის ცხოვრების მთელი ორგანიზაცია დაკისრებული აქვს **ორგკომს** (საორგანიზაციო კომიტეტს), რომელშიც შედის ხუთი პირი:

1. — **შრომკომი** („შრომის კომისარი") ადგენს შრომის ნადებს (артели), რომელშიაც შედიან ყველა მოწაფეები; აწესრიგებს მათ მუშაობას, ნიშნავს ბავშებს სამუშაოზე, თვალყურს ადევნებს საქმის შესრულებას, ერთი სიტყვით, ეს არის მომუშავეთა პასუხისმგებელი მეთვალყურე.

2. — ე. წ. **სანკომი** („სანიტარობის კომისარი"), რომელიც თვალყურს ადევნებს შენობის თავის დროზე მოვლას და სანიტარული წესების დაცვას, რომ სკოლა და ინტერნატი საუკეთესო მდგომარეობაში იყოს ბავშების ჯანსაღობის დაცვისათვის.

3. — **პოლიტგანი.** (политпросвет), პოლიტიკური განათლების ხელმძღვანელი, რომელიც აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას (წრეები, საკრებულო, ბიბლიოთეკა, საღამოები და სხ.).

4. — **მრიცხველი** — მუშაობის სტატისტიკური აღმრიცხველი, რომე-

ლიც აწარმოებს მუცადინეობის და ბავშთა ნადების მუშაობის აღრიცხვას.

ნ.—**მდივანი**, რომელიც ოქმებს ადგენს და ორგკომის საქმეების მცველია

„შრომკომი“ ჰყოფს მთელ სკოლას ხუთ-ხუთ, ექვს-ექვს ბავშის ჯგუფებად-შრომის ნადებად; ყოველ ასეთ ნადს ჰყავს „ნადისთავი“ (староста), რომელიც აწარმოებს თავისი ნადის მუშაობის აღრიცხვას და შემდეგ ამ აღრიცხვას აბარებს „მრიცხველს“, საერთო აღრიცხვისათვის.

შრომის ნადებს ყოველ დღე ახალ მორიგე სამუშაოზე ნიშნავენ იმ ანგარიშით, რომ ყოველმა ნადმა ერთი მეორეზე ყველა სახის სამუშაო შეასრულოს: დღეს სამზარეულოში, ხვალ სანოვაგის განაწილებაზე და სხვ.

შრომაში ასეთი ფართო ჩაბმის გამო, თვითეულ მოწაფეს დღეში ერთი საათის სათვითფარეშო მუშაობა ხვდება და ამგვარად, მხარეულობისა და ბავშისათვის სხვა საჭიმო საქმის გარდა, მთელი საოჯახო მუშაობა ბავშებს აქვს მინდობილი.

სასკოლო ცხოვრების ყოველი დარგის გაშგე, მაგალითად, ბიბლიოთეკისა, სამკვითხველოსი, კაბინეთისა, ელექტრონის ქსელისა და სხვ, ანგარიშს აბარებს ორგკომს.

საორგანიზაციო კომიტეტი თავის მხრივ ანგარიშს აბარებს საერთო ყრილობას. მისი ანგარიში და მუშაობის აღრიცხვა წინასწარ გამოქვეყნებულ უნდა იყოს **კედლის გაზეთში.**

დიდი ადგილი უჭირავს სკოლაში კომკავშირის უჯრედს. განსაკუთრებული უფლება მას არავითარი არა აქვს, მაგრამ მას ევალება ბავშების პოლიტიკური განათლება. საკრებულოს უმთავრეს მუშაობას ის აწარმოებს, მასვე აქვს მინდობილი სკოლის დაკავშირება და კავშირის დაცვა ახალგაზრდათა კომკავშირთან და მუშათა ორგანიზაციებთან.

ასე სდგას თვითმართველობის საკითხი მოსკოვის სკოლა — კომუნაში. თვითმართველობა არის ამ სკოლის საფუძველი.

თვითმართველობამ, რომელიც აქ ბავშია თვითორგანიზაციად იგულისხმება, შეჰქმნა და ააგო ეს სასწავლებელი, სადაც მოწაფეებს არა აქვთ არავითარი „სასკოლო საიდუმლო“, მაგრამ სადაც

მათ. სამაგიეროდ იციან ყოველივე, რაც კი ხდება და რისთვისაც კეთდება მათ სკოლაში.

სკოლა—კომუნამ საუკეთესო, მთელი პედაგოგიური ბუნების ღმაგზნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს ექსკურსიაზე.

ვგრძნობდით, რომ სრული სინამდვილის გამომხატველი იყო ამ სკოლის წესდების ერთი ის მუხლი, სადაც ეწერა: „აღზრდა-განათლების დღევანდელი ამოცანების საუკეთესო გადაწყვეტის გზაა, რომ ბავშები, მასწავლებლების დახმარებით და გაერთიანებულ ძალებით თვითონ აწყობდენ თავის ცხოვრებას“.

ო. პროცენკო.

მოსკოვის საბავშო სახლების მოწაფეთა საერაიონო კონფერენცია.

პირადი შთაბეჭდილება.

მოსკოვის სახალხო განათლების კომისარიატის სკოლა-კომუნამ ბავშთა თვითმართველობის საკითხის შემუშავების დროს წამოაყენა ერთი ძირითადი დებულება, რომლის ძალით ბავშთა თვითმართველობის ორგანიზაცია არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ერთი სკოლით. ეს ორგანიზაცია უნდა **გასცილდეს სკოლას** და დაიჭიროს კავშირი სხვა საბავშო სახლების, მოზრდილების და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებთან, ახალგაზდათა კომკავშირთან. სწორედ მოსკოვში ჩვენი ჩასვლის დროს, წარსული 1923 წლის აპრილის დასასრულს, სკოლა-კომუნის ბავშთა თვითმართველობა თავისი ვითარების მეტად საინტერესო მომენტს განიცდიდა. სკოლა-კომუნის ბავშთა თაოსნობით ეწყობოდა დაახლოვება მოსკოვის ამ რაიონის საბავშო სახლების მოწაფეებთან თვითმართველობის ნიადაგზე. სკოლა-კომუნის მოწაფეთა მიერ ამ მუშაობის დაწყების საბაბი, როგორც თვითონ ბავშები და ხელმძღვანელები აცხადებენ, იყო შემდეგი: სკოლის პირველი ჯგუფების მოწაფეთა დიდი უმრავლესობა შესდგებოდა სხვადასხვა მახლობელ საბავშო სახლების ბავშებისაგან. სკოლა-კომუნის ბავშებმა მალე შეამჩნიეს, როგორც მუშაობის, ისე შეხედულებათა განსხვავება მათ და თავიანთ შორის, რაც, როგორც ჩანს, ამ საბავშო სახლების გარემოთი უნდა ყოფილიყო წარმოშობილი.

„აქედან დაიწყო საბავშო სახლებში ჯერ შემთხვევითი შეკრება ერთხელ თუ ორჯერ, შემდეგ კი დაიბადა აზრი მთელი რაიონის საბავშო სახლების მწყობრი დათვალიერებისა, შემდეგში დიდი გაერთიანებული მუშაობის თვალსაზრისით“.

სკოლის სამი-ოთხი ბავშისაგან შემდგარმა ჯგუფებმა დაათვალიერეს რაიონის 18 საბავშო სახლი. დათვალიერება სწარმოებდა ბავშების კო-

ცხალი ურთიერთობის ნიადაგზე: ბავშვები ესაუბრებოდენ ერთმანეთს შესაფერ საკითხებზე, ათვალიერებდენ სახლებს, ესწრებოდნენ კრებებს, წრეებს დასხვა. წინდაწინ დამუშავებული დასაკითხავი ფურცელი (ანკეტა) მხოლოდ სახელმძღვანელოდ სჭირდებოდათ.

ყოველი ჯგუფი არჩევდა საბავშო სახლებიდან, მომავალ მუშაობაში ჩასაბმელად უაქტიურეს და საუკეთესოდ განვითარებულ ბავშვებს.

საბავშო ბაღების დათვალიერება ჩატარებულ იქნა ხელმძღვანელების ჩაურევლად, და მისცა სკოლა-კომუნას მდიდარი მასალა რაიონის საბავშო სახლების თვითმართველობის და პედაგოგიური მუშაობის დასახასიათებლად. ამ მუშაობას მოჰყვა შედეგად: სკოლა-კომუნის ბავშვები ერთის მხრით, ვერ დაეთანხმნენ ზოგიერთი საბჭოს თვითმართველობის სუსტად და დამახინჯებულად გამოსახულ ფორმას, მეორე მხრივ კი ზოგიერთ სახლში თვითმართველობის თავის სკოლაზე უკეთესი მხარეები აღმოაჩინეს და მიზნად დაისახეს თავისი სკოლისა და სხვა საბავშო სახლების თვითმართველობის ფორმების შეცვლა, დაახლოვება და ცხოვრების ახალ საფუძველზე ჩამოყალიბება.

აქედან წარმოიშვა ახალი ამოცანა—თავისი რაიონის საბავშო სახლების **ბავშთა კონფერენციის** მოწვევა თვითმართველობის საკითხების გამოსარკვევად. კონფერენცია შესდგა აპრილის ბოლო რიცხვებში და, როგორც შემდეგ გამოირკვა, საგრძნობი შედეგებიც მოიტანა.

აი სწორედ ამ კონფერენციაზედაც მოვხვდით მოსკოვის სკოლების დათვალიერების დროს. სინამდვილე რომ ვსთქვათ, ჩვენზე ისეთი შთაბეჭდილება არაფერს მოუხდენია ამ ექსკურსიაში, როგორც ამ მოზარდთა კონფერენციამ. მთელი კონფერენციის ჩატარება თავიდან ბოლომდე, მისი მოწვევის აზრი და თაოსნობა (ინიციატივა), მისი შინაარსი, მსვლელობა და რეზოლიუციები მხოლოდ ბავშვებს ეკუთნოდა.

პრეზიდიუმისთვის მომზადებულ ამაღლებულ ადგილზე ლოზუნგი იყო გამოკრული, რუსული ლექსით: „ჩვენი თაობა რევოლიუციის აღმაფრენაა, ჩვენი თაობა—ალი და ბრძოლაა“[1]) სიტყვებმა, რომელთაც დღეს უკვე გულგრილად ვავლებთ თვალს, ამ ბავშვების გულაღზდნებული მუშაობის სურათით ცოცხალი, ცხოველი სისხლხორცი შეისხეს ჩვენს წარმოსახვაში.

---

[1]) „Наше поколение—взмахл революции,
„Наше поколение—пламя и борьба“.

დიდრონები თითქმის სულ არ სჩნდენ; აქა-იქ, კედელ-კედელ დაინახავდით ორიოდე სტუმარს ჩვენსავით. კონფერენცია გაგრძელდა 11 დან—3 საათამდე და ერთი საათის დასვენების შემდეგ საღამომდე. ჩვენ ბავშებზე ადრე დავიღალეთ და წამოვედით.

მთელმა ყრილობამ ჩაიარა სულგანაბული ყურადღებით და სიჩუმით, რომელსაც მხოლოდ აქა-იქ არღვევდა ყრილობის ხან ღელვარების, ხან საამოვნების წუთიერი „ამოფრქვევები“ საქმიანობა და სიმწყობრე ახასიათებდა კონფერენციას.

დიდი, რაღაც უხეირო დარბაზი სავსე იყო ცირა ჭაბუკებით და ახალგაზრდებით 12-17 წლამდე; იყო რამდენიმე, შესახედავად უფრო პატარაც, 10-11 წლის. სულ იყო 150 დელეგატი.

კრება ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მონაწილენი დიდები იყვნენ, მაგრამ ერთი საგრძნობი განსხვავებით: კრება გამსჭვალულია ყველას რწმენით საქმისადმი, სიმხნითა და აღფრთოვანებით. კვალიც არ არის დაღლილობისა, წელში მოტეხილობისა, პირადი ანგარიშების გასწორების და დიპლომატიისა; ყველაფერი ბიმდინარეობს სერიოზულად, მარტივად და საქმიანად. მსჯელობა და კამათი მხურვალეა, მაგრამ შეთანხმებას და გადაწყვეტას ადვილად აღწევენ; შეფერხება თუ ხდება, არა ხანგრძლივი და მხოლოდ ტეხნიკური ხასიათისა.

პრეზიდიუმში 8 პირია და 2 მდივანი, ყველანი წინდაწინვე დანიშნული და ყრილობაზე ერთხმად მიღებული. საქმის ხელმძღვანელობაში პრეზიდიუმის მიერ დაშვებულ შეცთომებს იმ წამსვე სასწრაფოდ ასწორებენ ყრილობიდან, პრეზიდიუმის წევრები თავმჯდომარეობენ მორიგეობით, კრების წაყვანას ყველა ახერხებს, ზოგი უკეთ, ზოგი-ნაკლებად, ზოგი კი ძალიან კარგადაც, მაგალითად ერთი 14 წლის ვაჟი. თათბირში მრავალი იღებს მონაწილეობას. პირველად ღელავენ, მაგრამ აზრს არა ჰკარგავენ. უმრავლესობა ისეთ შიშშია, რომ ესა თუ ის საკითხი შემცთარად გადასწყდეს, ისე ეჩქარებათ ამის გამო სიტყვის აღება და თავისი აზრის გამოთქმა, რომ ღელვარებისათვის დრო აღარც კი რჩებათ.

თითქმის ყველანი საოცრად ლამაზი ენით ლაპარაკობენ, თავისუფლად, საქმიანად და მარტივად. იყო მკვეთრი გამკიცხავი სიტყვებიც. ყურადღებას იქცევდა ერთი 15 წლის ცირა ღრმა კრიტიკულის აზრით. ერთმა 15 წლის ვაჟმა თვითმართველობის მიზნებზე გააკე-

თა მოხსენება და ისეთი თავისუფალი სამეცნიერო ენით ილაპარაკა, რომ ჩვეულებრივი ეჭვი დაგვებადა, წინასწარ ხომ არ მომზადებული სიტყვა-სიტყვით ამ მოხსენებისთვისაო; მაგრამ ეს შთაბეჭდილება იმწამსვე გაიფანტა, როგორც კი მას თავმჯდომარეობა ერგო: კრების ისე წაყვანა, როგორც მან მოახერხა, ჩვენც იშვიათად გვიხდება: სწრაფად ერკვეოდა ყოველ სიტყვაში და სწორედ, მოკლედ და მკაფიოდ ასახავებდა (формулировал) ნათქვამს.

კრილობაზე აშკარა იყო ორი საუკეთესო სკოლის იდეური ხელმძღვანელობა: სკოლა-კომუნასი და კარლ მარქსის სახელობის სკოლისა. ამ სკოლების წარმომადგენლები ღელავდენ დანარჩენ სკოლების დელეგატების სიჩუმის დროს, სცდილობდენ მათ სალაპარაკოდ გამოწვევას.

მხოლოდ ერთხელ გახდა საჭირო დიდების დახმარება, და ეს დახმარებაც წმინდა ტეხნიკური ხასიათის იყო.

დღის წესრიგი ასეთი იყო: საბავშო სახლების დათვალიერების ანგარიში, ბურჟუაზიულ ხასიათის თვითმართველობის სხვადასხვა სისტემის კრიტიკა, კონფერენციის ტეხნიკური ბიუროს მიერ წამოყენებული თვითმართველობის სქემა, საპიონერო მოძრაობა, მოხსენება პირველი მაისის უქმის შესახებ და გერმანიაში ბავშების კომუნისტური მოძრაობის შესახებ. ჩვენ მოვისმინეთ ორი პირველი საკითხი და ამან ნახევარი დღე დაიჭირა.

მოხსენებამ საბავშო სახლების დათვალიერების შესახებ გამოიწვია დიდი ინტერესი. ზოგი სუსტად დაყენებული საბავშო სახლის თვითმართველობის და ყოფა ცხოვრების დეფექტებმა კონფერენციის ღრმა გულისწყრომა გამოიწვია. მოითხოვეს ამ სახლების დაუყონებლივი რეორგანიზაცია. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ზოგ სახლში თვითმართველობა, გაუგებრობის გამო, მხოლოდ თვითფარეშით გამოიხატებოდა (самообслуживание). კონფერენციამ ხაზი გაუსვა, რომ თვითმსახურება, სადაც თვითმართველობა არ არსებობს, ახშობს ყოველივე თვითმოქმედებას და ჰქმნის მხოლოდ ტეხნიკოსებს და არა ცხოვრების შემქმნელებს.

აღმოჩნდა, რომ ოთხ სახლს თვითმართველობა არა ჰქონია, კომუჯრედებიც ყველა სახლში არ არის. ზოგ სახლებში სკოლის მთელ ცხოვრებას და საბავშო კრებებს ხელმძღვანელობს პედაგოგიური პერსონალი; ერთ სახლში სასჯელის სახით შემოღებულია ზედმეტი მუშაობა, უსადილოდ ან უშვებულებოდ დატოვება და სხ.

მოხსენების ამ ნაწილის კითხვის დროს კონფერენცია ღელავს, გაისმის შეკითხვები: დაასახელეთ სახლის ნომერი; სახლს ასახელებენ, კონფერენციას გამოაქვს დადგენილება საქმის სასწრაფოდ გამოძიების შესახებ.

გამოაქვთ დადგენილება სასწრაფოდ მოხდეს საბავშო სახლების ორგანიზაცია, შემოღებულ იქნეს მათში თვითმართველობა.

ამის შემდეგ კონფერენცია გადადის სხვადასხვა სახის თვითმართველობის საკითხზე და ამ სახეთა კრიტიკაზე, შემდეგ ისმენენ მთლიანი საერთო თვითმართველობის გეგმას ყველა ე. წ. ყრმათა სახლებისთვის (юношеские дома;—მეორე საფეხურის საბავშო სახლები), წამოყენებულს კონფერენციის ცენტრალური ბიუროს მიერ.

მსჯელობის პროცესში მოხსენებათა შესახებ იბადება რამდენიმე საკითხი, რომელიც მეტად აღელვებს კონფერენციას: 1. ბავშების დასჯის ზომები, 2. პიროვნების დაქვემდებარება კოლექტივს, 3. მასწავლებელთა უფლებანი მოწაფეების კრებებზე.

პირველი საკითხის მომხსენებლის წინადადებამ, რომ შემოღებული ყოფილიყო სასჯელის სახით ზედმეტი მუშაობა, გამოიწვია კონფერენციის მხურვალე პროტესტი. „კომუნისტურ სახელმწიფოში“, სთქვა მრავალმა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს შრომით დასჯას. მოწაფეებში უნდა აღიზარდოს შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული და არა მისი შიშით. დამნაშავე ამხანაგები გასასამართლებლად უნდა გადაეცენ საერთო კრებებს, რომლებსაც უფლება აქვთ მოახდინონ ამხანაგური გავლენა. დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათის სასჯელები: წართმევა კრებებზე დასწრების უფლებისა, ექსკურსიებში მონაწილეობის აკრძალვა, უკიდურეს შემთხვევაში — ბოიკოტი და გაძევება“. მეორე საკითხის შესახებ ერთი დელეგატი შეეკითხა, შეიძლება თუ არა, რომ ზოგ შემთხვევაში კოლექტივისათვის პიროვნების დაქვემდებარება ძალადობა იყოს. მას უპასუხეს: ამას არ შეიძლება ძალადობა ეწოდოს, რადგანაც ეს დაქვემდებარება ბუნებრივი შედეგია კოლექტიური მუშაობისა.

მესამე საკითხი იყო შესახებ პედაგოგიური პერსონალის მონაწილეობისა საბავშო ორგანიზაციებში. მხურვალე კამათი გამოიწვია ამ საკითხის დასახვებამ (формулировка), წამოყენებულმა კონფერენციის ცენტრალური ბიუროს მიერ: „თვითმართველობა მოწაფეთა ორგანიზაციაა, სადაც მთელი მოქმედიანობა და ინიციატივა თვით მოწაფეებს ეკუთვნის; ამიტომ პედაგოგიური პერსონალი არ შედის თვითმართველო-

ბის ორგანიზაციაში და მხოლოდ სათათბირო ხმით ესწრება საერთო ყრილობას".

ცენტრალური ბიურო ამ თავის დებულებას იმით ასაბუთებდა, რომ საბავშო სახლები ჯერ შესაფერად არ არიან ნოწყობილი და ჩამოყალიბებული; თვითმართველობის საკითხშიც პედაგოგების შეხედულება სხვადასხვანაირია. იქ, სადაც თვითმართველობა დაუებითია, პედაგოგებისათვის გადამწყვეტი ხმის წართმევას არა აქვს მნიშვნელობა არც თვითონ მისთვის, არც საქმისათვის, მაგრამ სადაც არ არის შეგნება და პედაგოგებიც სცდილობენ გამოიყენონ საერთო ყრილობა თავის იარაღად, იქ მასწავლებლისათვის გადამწყვეტი ხმის წართმევა არის მათი გავლენისაგან თავის დაცვა.

მსჯელობის დროს ხმები გაიყო: იყვნენ დიდი მომხრენი საერთო ყრილობაზე მასწავლებელთა სრულუფლებიანობისა სხვადასხვა მოსაზრებით. მომყავს ზოგიერთი მათი მოსაზრება: 1. თუ მასწავლებლისა და საერთო ყრილობის ინტერესი სხვადასხვა, ხმათა მასიური უმრავლესობა მოწაფეთა ნხარეზე იქნება. თუ მეშაობა საერთოა, მაშინ არც მასწავლებელი უნდა იყოს გამორიცხული ამ საერთო საქმიდან. უთანასწორობა სკოლის აღმშენებლობაში ხაზს უსვამს მოწაფეთა და მასწავლებელთა ბანაკებად დაყოფას და აძლიერებს განხეთქილებას, სადაც ის უკვე არსებობს 2. რატომ ვართმევთ მასწავლებელს გადამწყვეტ ხმას, საერთო ყრილობაზე სიტყვის წარმოსთქმის უფლებას კი ვანიჭებთ, როდესაც მარტო ამითიც შეუძლია შეაბრუნოს საქმის მსვლელობა? ამ მნიშვნელოვან მოსაზრების წამომყენებელს ერთმა გოგონამ ასეთი პასუხი გასცა: უნდა ვეცადოთ, რომ პედაგოგები ჩვენი ამხანაგები იყვენ; თუ რომელიმე მასწავლებელი გვეწინააღმდეგება, მაშინ მას უნდა დაუპირდაპირდეს შეკავშირებული კოლექტივი. გადამწყვეტი ხმის წართმევა მიუღებელია პრინციპიალურად: ყველანი უნდა იყვნენ სწორუფლებიანი".

კენჭის ყრით მიღებულ იქნა ცენტრალური ბიუროს წინადადება.

საბოლოოდ კონფერენციამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: „თვითმართველობის საფუძვლად მიღებულ იქნას ცენტრალურ ბიუროს მიერ წამოყენებული მთლიანი თვითმართველობის სქემა და სასწრაფოდ გატარდეს მეორე საფეხურის საბავშო სახლების ცხოვრებაში. ამ სქემას თანდათანობით დაემატოს შესწორებანი, რომლებსაც კი შეიტანენ საბავშო სახლების დელეგატები და შემდეგ მოწვეულ იქნას კონფერენციის შედეგების აღსანუსხავად"

კონფერენციაზე განაცხადეს, რომ თვითმართველობის რეორგანიზაციის ინიციატორებმა ვერ მოასწრეს პირველი საფეხურის საბავშო სახლების (7—12 წლამდე) თვითმართველობის შესწავლა და სარეორგანიზაციო საკითხების განხილვა. ეს შეადგენს მორიგ ამოცანას. ჯერ-ჯერობით კი ამ საბავშო სახლებს მხოლოდ დახმარება ეწევათ.

კონფერენციის შედეგები მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აი, რას ამბობენ ამის შესახებ სკოლა-კომუნის პედაგოგები: „ზოგი სახლის ბავშები, სადაც პედაგოგების მშობლიური მზრუნველობით წყნარად ბჟუტავდა ძველი სასკოლო კანდელი, აენთენ ენერგიით და მოახდინეს რევოლიუცია“, ე. ი. შეუდგენ ბავშების ნამდვილი თვითმართველობის შექმნას“

ცალკე სკოლების ბავშთა დაკავშირება ჯერაც საბოლოოდ არ არის მოწესრიგებული, მაგრამ ამ მიმართულებით უკვე ვხედავთ დიდ კულტურულ ჩანასახებს.

ს. კარაბინოვა.

შ-2 სატდელ-საჩვენებელი სკოლის გამგე.

სხვადასხვა

ტფილისი

30 დეკემბრიდან 3 იანვრამდე შესდგა სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა. ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის მხრივ აირჩია საქ. სახალხო კომისართა საბჭო.

4-7 იანვარს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა.

მოსკოვი

21 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მოსკოვის მახლობლად, გორკაში გარდაიცვალა ვლადიმირ ლენინი.

იანვრის 20-29: სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-11 ყრილობა და ს. ს. ს. რესპუბ. საბჭოების მე-2 ყრილობა. 1 თებერვალს არჩეულია რუსეთის და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოები.

ს. ს. ს. რესპუბლიკების მთავრობის თავმჯდომარედარჩეულია ა. ი. რიკოვი.

იანვრის 22-ს ინგლისის პარლამენტში (თემთა პალატაში) გაიმარჯვა მუშათა პარტიამ. გადადგა ძველი მთავრობა ბალდვინისა. შესდგა ახალი მუშათა მთავრობა რომელსაც სათავეში უდგას სოციალ-დემოკრატი რამზეი მაკდონალდი.

ს. ს. ს. რ. იურიდიულად ცნობა

2 თებერვალს ინგლისის ახალმა მუშათა მთავრობამ და იტალიის მთავრობამ იურიდიულად იცნეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი.

ტფილისი

3 თებერვალს ტფილისში დაიწყო ტფილისის განათლების მუშაკთა პოლიტიკური გადამზადების კვირეული.

თებერვლის 9-ს გაიხსნა ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საქართველოს ყრილობა.

10—12 თებერვალი—საქართველოში არსებულ გერმანულ სკოლების კონფერენცია.

თებერვლის 13-სთვის დანიშნულია სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა.

დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის იუბილე

თებერვლის 17-სთვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე. წერილები ამის შესახებ მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

---

20 თებერვალს იქნება მთვარის სრული დაბნელება. დაბნელება დაიწყება საღამოს 6 საათზე და 10 წუთზე და დამთავრდება 7 საათზე და 57 წუთზე.

ოფიციალური ნაწილი.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის მუშაობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების

მთავარმართველობის შესახებ.

1. სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების მთავარართველობის მიზანია:

ა) პრაქტიკული დამუშავება ყველა იმ საკითხებისა, რომელიც შეეხება ბავშთა აღზრდა-განათლებას და მკირეწლოვანთა დაცვას (18 წლამდე).

ბ) აღრიცხვა და შესწავლა ყოველგვარ მუშაობისა, რომელიც სწარმოებს ცენტრში და ადგილობრივ ბავშთა აღზრდის, განათლების და მათი უფლებრივი დაცვის მიმართულებით.

გ) საერთო ხელმძღვანელობა და მზრუნველობა, რათა ზემოაღნიშნული მუშაობა იდეურად და მატერიალურად უმაღლეს დონეზე იქნეს დაყენებული.

2. სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების მთავარმართველობის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა ეკისრება სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების მთავარმართველობათა გამგეებს.

3. სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების თვითმმართველობა შესდგება შემდეგი ძირითადი განყოფილებათა და სექციებისაგან:

ა) სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილება,

ბ) მთლიანი შრომის სკოლის განყოფილება,

გ) მკიოეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილება,

დ) საინსტრუქტორო განყოფილება,

ე) სალიტერატურო-სამხატვრო სექცია,

ვ) რკინისგზის სკოლათა სექცია.

4) სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების მთა-

ვარმართველობას ემსახურება განათლების კომისარიატის საერთო კანცელარია.

5. სოციალური აღზრდის და პოლიტეხნიკური განათლების მთავარმართველობასთან არსებობს კოლეგია, რომელიც შესდგება განყოფილებათა და სექციების გამგეებისაგან. კოლეკიაში შედიან აგრეთვე ტფილისის განათლების განყოფილების, საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელნი. კოლეგიის ერთ-ერთი წევრი არის ამავე დროს სოციალური აღზრდის მთავარმართველობის გამგის მოადგილე.

სოც. აღზრდ. მთავარმართვ. გამგე **მარიამ ორახელაშვილი.**

1923 წელი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების მთავარმართველობის

§ 1. პროფ. ტექნიკური განათლების მთავარმართველობის გამგებლობაში შედის შემდეგი დაწესებულებანი: 1. უმაღლესი სასწავლებლები, 2. ტექნიკუმები და საერთო განათლების კურსები მოზრდილთათვის, 3. მუშათა ფაკულტეტები, 4. საქარხნო-სამრეწველო მოწაფეთა სკოლები 5. მოკლევადიანი პროფ. ტექნიკური კურსები, 6. ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო დაბალი ტიპის სკოლები მოზრდილთათვის. 7. დაბალი ტიპის პროფ.ტექნიკური სკოლები.

§ 2. უმაღლესი სასწავლებლები არიან: სახელმწიფო უნივერსიტეტი და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

§ 3. მუშათა ფაკულტეტი არსებობს ორი: ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ერთი პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან.

§ 4. ტექნიკუმები არსებობს შემდეგი ტიპისა: სოციალ-ეკონომიური (ჰუმანიტარული). პედაგოგიური, სასოფლო სამეურნეო და ინდუსტრიალური.

§ 5. საქარხნო-სამრეწველო მოწაფეთა სკოლები იხსნება ამა თუ იმ დიდ წარმოებასთან; ამ სკოლებში სწავლობენ აღნიშნული წარმოების ახალგაზრდა მუშები.

§ 6. მოკლევადიანი პროფ.-ტექნიკური კურსები დაარსდებიან პროფ. კავშირების მოთხოვნილების თანახმად, როდესაც მათ ესაჭიროებათ ამა თუ იმ სახის სასწავლებელი კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად.

II

§ 7. მუშათა ფაკულტეტებს, საქარხნო- სამრეწველო მოწაფეთა სკოლებს და მოკლევადიან პროფ.-ტექნიკურ კურსებს განაგებს პროფ. განყოფილების მთავარმართველობასთან არსებული მუშათა და გლეხთა შორის პროფ. ტექნიკური განათლების სექტორის გამგე; სექტორის ქვეგანყოფილებას განაგებს ცალკე პირი.

§ 8. მთავარმართველობის გამგე იმავე დროს განაგებს უმაღლეს სასწავლებლებს.

§ 9. გამგის მოადგილე იმავე დროს განაგებს ტფილისის ტეხნიკუმებს და საერთო განათლების კურსებს მოზრდილთათვის.

§ 10. მთავარმართველობის ინსტრუქტორს დავალებული აქვს პროვინციის ტეხნიკუმების ვამგეობა.

III

§ 11. პროფ.-ტეხნიკურ მთავარმართველობასთან არსებობს კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: მთავარმართველობის გამგე (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, სოც. აღზრდის მთავარმართველობის გამგე, მუშაოა და გლეხთა პროფ.-ტეხნიკური განათლების სექტორის გამგე და მისი მოადგილე, მთავარმართველობის მთავარი ინსტრუქტორი და თითო წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციებისა: განათლების მუშაკთა კავშირის, მიწათმოქმედების კომისარიატის, ჯანმრთელობის კომისარიატის, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და ახალგაზრდა კომკავშირის.

§ 12. კოლეგია არჩევს უფრო მნიშვნელოვან საკითხებს და აძლევს დირექტივებს თავის მუშაობაში განყოფილების გამგეებს; კოლეგიის მიერ გარჩეული საერთო მნიშვნელობის საკითხები გადადის დასამტკიცებლად განათლების კომისართან არსებულ კოლეგიაში. კოლეგიის ყოველივე დადგენილება სისრულეში მოჰყავს მთავარმართველობის გამგეს.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი**

საქმეთა მართველი **ალ. მიქაბერიძე**

2 ნოემბერი 1923 წ.

ს. ს. ს რ. სახ. განათლების კომისარიატის მმართველობათ და განყოფილებების პირადი შემადგენლობა.

1.	სახალხო განათლების კომისარი . . .	კანდელაკი დავით
2.	განათლ. კომისრის მოადგილე და სოც. აღზრდის მთავარმართველობის გამგე .	ორახელაშვილი მარიამი
3.	ორგანიზაციული ცენტრის გამგე . .	მამულაიშვილი ევგრაფი
4.	პროფესიონალურ-ტექნიკური მთავარ-მართველობის გამგე.	ხოკოლოვხკი ნიკოლოზი
5.	„ „ მოადგილე .	კანდელაკი ვიქტორი
6.	მუშათა ფაკულტეტ. სექტორის გამგე .	გძელიშვილი სიმონ
7.	რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის გამგე . .	ბერიძე ვუკოლე
8.	სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომ. . .	კანდელაკი დავით
9.	„ „ მოადგილე . .	რობაქიძე გრიგოლ და ქურიძე ალექსანდრე
10.	სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე . .	კანდელაკი დავით
11.	„ „ მოადგილე . .	პროფ. ჯავახიშვილი ივანე
12.	პოლიტ. განათლების მთავარმართველობის გამგე	რუხაძე ლენტორ
13.	მთლიანი შრომის სკოლის განყოფილების გამგე	ოკუჯავა ნინო
14	სახელმწიფო გამომცემლობის განყ. გამგე	ზუმბაძე პეტრე
15.	ადმინისტრატიული მართველობის გამგე	მიქაბერიძე ალექსანდრე
16.	სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფ. გამგე.	წულუკიძისა ელენე
17.	განათლ. კომისარიატის მდივანი . .	რუხაძე ილია
18.	საბავშო სამხატვრო-სალიტერატურო სექციის გამგე.	ნაკაშიძისა ნინო
19.	მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილების გამგე	ხუმარიანი ნადეჟდა

20. რკინის გზის სკოლების სექციის გამგე . . დარახველიძე ალექსანდრა
21. ფინანსიური განყოფილების გამგე . . კოკაია ნიკოლოზ
22. განმანაწილებ. განყოფ. გამგე . . . მელიქაძე დავით
23. სტატისტიკურ-ინფორმაც. ქ/განყ. გამგე ფანცხავა სიმონი
24. სამეურნეო ქ/განყ. გამგე . . . . მირიანიშვილი დავით
25. პედაგოგიური ჟურნალის რედაქ. გამგე . ნიკოლაძე-პოლიევექტოვისა
რუსუდან

26. განათლების კომისარიატის ინსტრუქტორები:

I. პროფ. ტეხნიკ. განყოფ. კვენიკაშვილი ნიკოლოზ
II სოც. აღზრდ. განყოფ. 1. [illegible]
2. [illegible]
3. ბებურიშვილი [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
(საბავშვო თეატრები)
10. [illegible]
(საბავშვო თეატრები)

[illegible]

ბრძანება № 60

განათლების სახალხო კომისარისა

განათლების სახალხო კომისარიატს ხშირად მოსდის ქალალდები და მოხსენებანი ქვემდებარე დაწესებულებათაგან, დაწერილნი არა სახელმწიფო ენაზე, თუმცა არა ერთხელ იყო განკარგულება, **რომ ყოველი მიწერ მოწერა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში ქართულს ენაზე უნდა სწარმოებდეს.**

ასეთი მოვლენა სრულიად არ შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების იდეას და ხელს უშლის დღევანდელ წესწყობილების განმტკიცებას. ამ არასასურველ მოვლენის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციის მე-6 მუხ., და საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, წინადადება ეძლევა განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ მართველობას და მის ყველა ქვემდებარე დაწესებულებასა და მოხელეთ, რომ:

1) საქმეები და ყოველგვარი მიწერ-მოწერა რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებთან აუცილებლად ქართულს ენაზე უნდა სწარმოებდეს.

2) ამ ბრძანების დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

საქართველოს ს. ს. რესპ. განათლების
კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მართველი ალ. **მიქაბერიძე.**
მდივანი ი. **რუხაძე.**

26 მაისი 1923 წ.

დადგენილება 31

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატის რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შემოღების შესახებ 1923-24 სასწავლო წლის განმავლობაში

შესაცვლელად პირველ მუხლისა დადგენილებისა, რომელიც გამოტანილი იყო 1922 წლის 15 სექტემბერს, რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შესახებ, ვადგენთ შემდეგს:

მიმდინარე 1923/24 სასწავლო წელს შემოღებულ იქნეს სწავლის ფულის გადასახადი უმაღლეს (უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი), და საშუალო სასწავლებლებში (ყველა ტექნიკუმი, გარდა პედაგოგიურისა), საერთო განათლების კურსებზე და აგრეთვე მთლიან შრომის სკოლების მე-8 და მე-9 ჯგუფში შემდეგი რაოდენობით:

1) უმაღლეს სასწავლებლებში 40 ჩერვონ მან. წელიწადში, ხოლო ნახევარ წელიწადში 20 ჩერვ. მან.

2) საშუალო სასწავლებლებში 20 ჩერვ. მან. წელიწადში, ხოლო ნახევარ წელიწადში 10 ჩერვ. მანეთი.

ჩერვონეცის მანეთის რაოდენობა გამოიანგარიშება სწავლის ფულის შეტანის დღის ოფიციალურად გამოცხადებული კურსის მიხედვით.

სწავლის ფულის გადასახადისაგან, როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სასწავლებელში, თავისუფლდებიან:

ა) დამსახურებულ რევოლიუციონერთა შვილები.

ბ) სამოქალაქო ომში აქტიურად მონაწილეობის მიმღებთა შვილები.

გ) ულარიბეს გლეხთა შვილები—ადგილობრივ სამაზრო აღმასკომების დადასტურების მიხედვით.

დ) წითელ არმიელთა უფშემადგენლობის, ადმშემადგენლობის და აგრეთვე წითელ არმიის პოლიტ-მუშაკთა შვილები.

ვ) წითელ არმიის და ფლოტის დაჭრილ-დასახიჩრებულთა შვილები და შრომის ინვალიდების შვილები.

ე) ყველა ტიპის და საფეხურის სასკოლო მუშაკნი და მათი შვილები.

თ) პროფკავშირების წევრნი და მათი შვილები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი თვიური ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატება (25) ოქდახუთ საქონლის მანეთს.

ი) სახელმწიფო პენსიონერთა შვილები.

სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებებს, რომელთაც დართული უნდა ჰქონდეს სათანადო მოწმობები, იხილავს უმაღლეს სასწავლებელთა გამგეობანი ანუ ამა თუ იმ სასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოები.

კ) სახ კონსერვატორიასა, სამხატვრო აკადემიასა და სხვა სამხატვრო და სამუსიკო სასწავლებლებში განისაზღვრება სწავლის ფულის რაოდენობა 40 ჩერვ. მან. წელიწადში.

ამ სასწავლებელთა მოწაფენი სწავლის ფულის გადასახადისაგან არ თავისუფლებიან. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ეპატიებათ ეს გადასახადი განსაკუთრებულად ნიჭიერ მოწაფეთ, თანახმად პედიგოგიურ საბჭოთა და განათლების კომისარიატთან არსებულ მუსიკალურ განყოფილების წარმოდგენით ისიც კი ვარაუდით, რომ ხსენებულ გადასახადისაგან განთავისუფლებულ მოწაფეთა რიცხვი არ აღემატებოდეს ამა თუ იმ სასწავლებლის საერთო მოწაფეთა რიცხვის 10%-ს.

სწავლის ფულის გადასახადისაგან შემოსული ფული სასწავლებლის „სპეციალურ თანხას" შეადგენს. წესრიგი ამ თანხის მიღების შენახვისა, დახარჯვისა და ანგარიშის წარმოებისა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, თანახმად ა. კ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა ამა 1923 წლის 14 აგვისტოს თარიღით № 78 (იხ. გაზეთი „ზარია ვოსტოკა" 15 აგვისტოდან).

ს.ს.ს.რ. სახალხო განათლების კომისარი **ლ. კანდელაკი.**

საქმეთა მართველი **ალ. ზიქაბერიძე.**

განსამარტებლად ს. გ. კომისარიატის 1922 წ. 15 სექტემბრის და 1923 წ. № 31 დადგენილებათა ზოგი მუხლებისა **სწავლის ფულის გადასახად-საგან განთავისუფლების შესახებ** ს. გ. კომისარიატი ადგენს:

1) მუხლი გ. № 31 დადგენილებისა შეიცვალოს ამნაირად: „ღარიბეს მოქალაქეთა შვილები, რომლებიც წარმოადგენენ სიღარიბის მოწმობებს ადგილობრივ მაზრის ან ქალაქის აღმასკომიდან.“ მხოლოდ ამ მუხლის ძალით განთავისუფლებულ მოწაფეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სასწავლებლის შეგირდთა საერთო შემადგენლობის 20% ს.

2) მუხლი „დ“ და „ვ“ ვრცელდება თვით წითელ-არმიელებზე, არმიის ადმინისტრატიულ პირებზე და ინვალიდებზედაც.

3) მუხლი თ გავრცელდეს აგრეთვე უმუშევარ პროფკავშირების წევრებსა და მათ შვილებზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ უმუშევარი უნდა იყოს კავშირის წევრი და მასთან ერთად უსათუოდ დაზღვეულიც.

4) დები, ძმები და საერთოდ ნათესავები იმ მოსამსახურეებისა, რომელთაც ეხება დადგენილების ერთ-ერთი მუხლი, განთავისუფლებულ იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ მოსამსახურის სრულ ხარჯზე იმყოფებიან და მშობლები ან არა ჰყავთ, ანდა, თუ ჰყავთ, უკიდურესი ღარიბნი არიან, რაც უნდა იქნეს დადასტურებული ქალაქის ან მაზრის აღმასკომის მიერ გაცემულ მოწმობებით.

5) მუხლი ი. სახელმწიფო პენსიონერებად ითვლებიან მხოლოდ ისინი, ვინც პენსიას ს. გ. კომისარიატიდან იღებს სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით და

8) ყოფილ მასწავლებლების შვილების განთავისუფლების დროს პედაგოგიურ საბჭოს მიერ მიღებულ უნდა იქმნეს მხედველობაში მშობლების ახლანდელი მატერიალური მდგომარეობა და მოწაფის სწავლა და ყოფაქცევა.

დედანს ხელს აწერს პროფ. განათლების მთავარმართველობის გამგე—ნ. სოკოლოვსკი. მდივანი—ა. მიქელაძე.

ცირკულიარული წერილი

სახალხო განათლების განყოფილებებს.

სოციალური აღზრდის მართველობა ისახავს მიზნად მთლიანი შრომის სკოლის პრინციპების განხორციელების საშვალებით მოზარდი თაობის სოციალური აღზრდას და ამიტომ იგი ფიქრობს, რომ სკოლა მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება და ახალი გახდება, ყველას და ყოველს აზიარებს თანამედროვე კულტურის მონაპოვარს, მხოლოდ მაშინ მიანიჭებს ყოველმხრივად და ჰარმონიულად განვითარებას პიროვნების ნიჭს და ძალღონეს და შეჰქმნის ნიჭის მიხედვით აქტიურ საზოგადო მუშაკს, მთლიანი დამოუკიდებელი მსოფლმხედველობით და მტკიცე ნებისყოფით, როდესაც ახალ სკოლას საფუძვლად დაედება **სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ფართოდ გაშლილი ქსელი**. საბავშო ბაღში ბავში ატარებს სწორედ იმ ასაკს 3—7 წ., რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. სწორედ ამ დროს ვითარდება მასში ჩანერგილი ნიჭი, ბავშვი იღებს ახალ ჩვეულებებს, უჭტკიცდება ხასიათი და ამიტომ **საბავშო ბაღი საუკეთესო თავდებია ახალი სკოლის აშენების საქმეში შრომის და საზოგადოებრივი პრინციპების გატარებისა**. სოც. აღზრდის მართველობა, იღებს რა მხედველობაში ამ მოსაზრებებს და აგრეთვე საერთო სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობას, როდესაც მშობლები იძულებული არიან მიატოვონ თავისი ოჯახი, რათა ოჯახის გარეშე შრომის საშუალებით იშოვონ ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმი და სტოვებენ ბავშებს სრულებით უთვალყუროდ, ქუჩის გამხრწნელ, მავნე გავლენის ქვეშ. მოკიწადებთ მიიღოთ ყოველივე ზომები, რათა რაც შეიძლება გაფართოებულ იქმნას სასკოლო ასაკამდე დაწესებულებათა ქსელი. ყველაზე უფრო სასურველია **საბავ-**

შო კერა, სადაც მშობლები სტოვებენ ბავშებს იმ დროის განმავლობაში, როდესაც ოჯახის გარეშე მუშაობენ და სადაც ბავში, გარდა საერთო პედაგოგიურ თვალყურის დევნისა და ხელმძღვანელობისა, კიდეც იკვებება. კერაში ბავშის ხანგრძლივ ყოფნას აქვს დიდი არა მარტო პედაგოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა. იმ ადგილებში კი, სადაც ადგილობრივი ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ ასეთი საბავშო კერების შექმნას, საჭიროა დაარსება ისეთი ბაღებისა, სადაც რამოდენიმე საათი (4—5) მაინც ბავშები, დაშორებულნი ქუჩიდან, კულტურულ პირობებში გაატარებენ დროს და შეითვისებენ სოციალურ ზნეჩვეულებებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც არსებული რიცხვი საბავშო კერებისა, ბაღებისა და მოედნებისა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, და ახალ დაწესებულებათა საკმაო რიცხვის გახსნა კი ეკონომიურ პირობების გამო შეუძლებელია, სოც. აღზრდის მთავარმართველობა შესაძლებლად სთვლის, როგორც პალიატივი და დროებითი ზომა, გახსნილ იქმნას **ყოველ შრომის სკოლასთან ერთწლიანი საბავშო ბაღი**. განსაკუთრებით საჭირო არის ასეთი ბაღები ახალ **ოთხწლიან სკოლასთან**, რომელიც დეკრეტის ძალით გახდება საყოველთაოდ და სავალდებულოდ.

სოც. აღზრდ. მთავარმართველობის გამგე—**მარიამ ორახელაშვილი.**

სასკ. ასაკ. აღზრ. განყ. გამგე—**ელ. წულუკიძე.**

მდივანი—**მ. ფოფხაძე.**

14 ოქტომბერი 1923 წ.

ცირკულიარული წერილი.

სოციალური აღზრდის სისტემის რეფორმასთან ერთად შეიცვალა შრომის სკოლის აგებულება. ნაცვლად რვაწლიანი შრომის სკოლისა, დღევანდელი სკოლა შესდგება რამდენიმე ნაწილისაგან. გასულ წლებში შრომის **სკოლასთან არსებული საბავშო ბაღი,** რომელსაც მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა და შეადგენდა რვაწლიან შრომის სკოლის პირველ განყოფილებას, წელსაც რჩება შრომის სკოლასთან, მაგრამ მათ განყოფილებათა საერთო აღრიცხვაში არ შედის. იგი შეადგენს ცხრა ჯგუფს, რომელიც აკავშირებს საბავშო ბაღის გარეშე დარჩენილ 6—7 წლ. ბავშვებს სკოლასთან და ამზადებს მათ სასკოლო მეცადინეობისათვის. ამ განყოფილებას ნულის (0) ჯგუფი ან იგივე სასკოლო საბავშო ბაღი ეწოდება.

თვით შრომის სკოლა შესდგება **ორი საფეხურისაგან.** პირველ საფეხურს, რომელიც შეიცავს ოთხ განყოფილებას, ეწოდება **ოთხწლიანი შრომის სკოლა** და არის შექმნილი და შეფარდებული ფართო მასის სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან. განსაკუთრებით იგი მნიშვნელოვანია სოფლის გლეხკაცობისათვის.

ოთხწლიანი შრომ. სკოლა სცდილობს ამ მოკლე დროის განმავლობაში მისცეს ბავშვებს მთლიანი, დამთავრებული ცოდნა. ბავშთა ასაკი ოთხწლიან სკოლაში განისაზღვრება 7-9—12-14 წლამდე. მეორე საფეხური, რომელშიაც ოთხწლ. სკოლას დამთავრებულთ უფლება ეძლევათ გადავიდნენ, იყოფა ორ კონცენტრად. პირველი კონცენტრი შეიცავს სამი წლის კურსს, მეორე კონცენტრი-კი-ორი წლისას. პირველი საფეხური საგან და მეორე საფეხურის პირველ კონცენტრისაგან შესდგება შვიდწლიანი **შრომის სკოლა.** პირველი და მეორე საფეხურისაგან კი მთლიანად **ცხრაწლიანი შრომის სკოლა** მოწაფეობა ასაკი შვიდწლიან სკოლაში განსაზღვრულია 7-9—14-16 წლამდე, ცხრაწლიანში კი 7-9—16-18 წლამდე. შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთ ნება ეძლევათ გადავიდენ ცხრაწლიანი სკოლის მერვე ჯგუფში, ან სპეციალურ ტექნიკუმში.

სკოლის აგებულების შეცვლასთან ერთად, მის სამ ნაწილად დაყოფის შემდეგ, რასაკვირველია, უნდა შეცვლილიყო **პროგრამის** რაოდენობა, შინაარსი. ყველა ამ სამ ცალკე ნაწილისათვის უნდა შექმნილიყო მთლად დამთავრებულ ცოდნათა გარკვეული ციკლი.

ტფილისის-საცდელ-ს.ჩვენებელ სკოლათა თანამშრომლების კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო 1923 წლის გაზაფხულზე, დაადასტურა პროგრამის გადათვალიერების საჭიროება და აუცილებლად სცნო, რომ პროგრამას სარჩულად დასდებოდა მთლიანი პედაგოგიური აზრი და იდეა და ჩაქსოვილი ყოფილიყო მასში ის უდავო დებულება, რომ სასწავლო მასალის შეთვისება უნდა სწარმოებდეს ამა თუ იმ საგნის მასალის დამუშავების პროცესში.

სოციალური აღზრდის მთავარმართველობამ თავის მხრივ დაამუშავა და გამოსცა **განათლების მუშაკთა გადასამზადებელ**, ორი ნაწილისაგან შედგარი, **კრებული „ახალ სკოლისაკენ“**, რომელშიაც ნაჩვენებია შრომის სკოლაში მუშაობის ახალი გეზები, მოყვანილია ახალი **სანიმუშო პროგამები** და მოთავსებულია განმარტებითი ბარათები. მართალია, პროგრამები შეძლებისადაგვარ შეეფარდებიან ქალაქისა და სოფლის თავისებურებურობას, მაგრამ მათ მაინც თეორიული ხასიათი აქვთ და ამიტომ აუცილებლივ საჭირო იქნება **ადგილობრივ** მათი **ინდივიდუალიზაცია**, ე. ი. მათი პრაქტიკული გატარება ყოველთვის მჭიდროდ უნდა იქმნას **დაკავშირებული ადგილობრივ პირობებთან** და ადგილობრივი მასალით უნდა ვიხელმძღვანელოთ **შრომის პრინციპების გატარების დროს.**

ახალი პროგრამის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს ინტენსიურ მუშაობას, როგორც მთლიან **პედაგოგიურ ხაბჭოსაგან**, ისე სათითაოდ თვითეულ პედაგოგისაგან. პედაგოგმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს ყველა ის, რაც მან თვით უნდა იცოდეს, რომ შესძლოს ამ პროგრამით მეცადინეობა. მასწავლებლებისაგან დამუშავებული მასალა დიდი სიფრთხილით და მოხერხებით უნდა იქმნეს დალაგებული და სისტემაში მოყვანილი, რაც მეტად საჭირო იმისთვის, **რომ კომპლექსურმა მეთოდმა დადებითი შედეგების მაგიერ ვნება არ მოუტანოს სკოლას**, არ გამოვიდეს ისე, რომ თუ ძველი სკოლა ზედმეტად ტვირთავდა ბავშის თავს არა საჭირო ცნობებით, ახალმა მეთოდმა კი, პირიქით, საკმარისი ცოდნაც კი არ მისცეს ბავშს.

განათლების განყოფილებები უნდა აუცილებლივ და უთავრესად

ეცადონ, რომ **მასწავლებელთა ფართო მასა საკმაოდ გაეცნოს და გაერკვიოს ყველა იმ მასალას, რომელიც მოთავსებულია წიგნში „ახალი სკოლა-საკენ“**. ამ მიზნის მისახწევად და მუშაობის გასატარებლად საჭიროა ხელი არ შეუშვათ ამ ზაფხულს დაწყებულ **მასწავლებელთა გადასამზადებელ მუშაობას**. აუცილებელი საჭიროა და სასურველია მოეწყოს ქალაქებში და ამის შემდეგ მაზრების სხვადასხვა ადგილებში პედაგოგიური **ბიურო-სამკითხველოები**, სადაც, როგორც მასწავლებლებს, ისე მოწაფეებს შეძლება მიეცემათ გამოარკვიონ მათთვის საინტერესო და საჭირო კითხვები და ნაოლად წარმოიდგინონ დადებითი და უარყოფითი მხარეები ჩატარებული მუშაობისა.

მხოლოდ ამ მასალის შემოწმების შემდეგ ცდებისა და დაკვირვების **საშუალებით** შეიძლება ოთხწლიანი სკოლის მიმყოლი წლების **პროგრამების დამუშავება**.

ქვევით მოყვანილია თითო კონცენტრის საათების ცხრილი. ოთხწლიან სკოლებთათვის აღნიშნულია მხოლოდ საათების საერთო რიცხვი, რადგან მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ჯგუფში ყველა საგნებს, არ იყოს იძულებული იმუშაოს თვითეულ საგანში საათობის ფარგლებში და საშუალება მიეცეს გადასცეს მოწაფეებს **ადგილობრივი პირობებისა და ბავშის ფსიქოლოგიის მიხედვით ამ ასაკისათვის საჭირო ცნობები** და არა ის მასალა, რომელიც განსაზღვრულია დღიური წესრიგით.

პრაქტიკული მეცადინეობის საათები, რომელიც შეტანილია ოთხ და შვიდწლიან სკოლის ცხრილში, გათვალისწინებულია ექსკურსიებისათვის. შვიდწლიან სკოლის კურსში შედის **ალგებრა**, როგორც სისტემატიური კურსი. **ჰიგიენის** ელემენტები კი ჩართული უნდა იყოს ყველა წლის კურსში. ოთხწ. ახალ პროგრამებში შედის ისეთი საგნები, რომელნიც ძველ პროგრამებში არ იყო, აქედან ცხადია, რომ სასწავლო გეგმის სრული განხორციელება შესაძლოა მხოლოდ თანდათანობით—პირველ ჯგუფიდან. სხვა ჯგუფების პროგრამებში ახლად შემოღებული საგნების კურსი უნდა შემოკლდეს, მაგრამ თანდათან უნდა ფართოვდებოდეს იმ ვარაუდით, რომ ოთხწლიანი სკოლის დასრულება აძლევდეს ბავშებს მთლიან, დამთავრებულ ცოდნას.

საჭიროა გავაძლიეროთ სკოლის გავლენა ბავშების პიროვნების გამომუშავების საქმეში, რისთვისაც უნდა **გავადიდოთ ბავშის სკოლაში ყოფნის დრო**, სკოლის გარეშე ან ეგრედ წოდებული **საკრებულო**

(საკლუბო) **მუშაობაში** ჩაბმის სახით. დრო არის საკრებულო მუშაობა გამოვიყვანოთ პროფესიონალიზმის ვიწრო ფარგლებიდან. ბავშთა შორის ძლიერ სუსტია **წიგნის კითხვის** მოთხოვნილება და ინტერესი; საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს სათანადო ყურადღება.

საბავშო ბიბლიოთეკების შექმნა, საპროექციო „ბუნდოვანი“ სურათების ჩვენების მოწყობა, საუბარის გამართვა, მოხსენების კითხვა, წაკითხულის დრამატიზაცია, ჟურნალების, წიგნების, კედლის გაზეთების გამოცემა და აგრეთვე მოწყობა ყოველგვარი გამოფენებისა და სხვა — აი მუშაობა, რომელიც გააღრმავებს და გაფართოვებს **სკოლის გავლენას ბავშვებზე.**

თავისთავად ცხადია, ახალი მუშაობა გულისხმობს მოწაფეთა საათანადო ორგანიზაციას, მათ თვითმოქმედიანობას, ფართო **თვითმართველობასთან** ერთად. თვითმართველობის გარეშე საკრებულო მუშაობა მკვდარი და ნაძალადევი იქნება. დრო არის მოწაფეები ჩაერიონ სკოლის მუშაობა-ცხოვრებაში. ყოფაქცევას და საზოგადოდ კლასის მთელ მუშაობას უნდა თვით ისინი აღრიცხავდენ და არა ეგრეწოდებული **კლასის დამრიგებელნი**, რომელნიც ძველი სკოლის ნაშთს წარმოადგენენ. მეტად სასურველია სკოლის გარეშე მუშაობა დაუკავშირდეს ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირის ორგანიზაციებს და სპარტაკის საბავშო ჯგუფების ხელმძღვანელებს, რომელთა საშუალებითაც სკოლას შეძლება მიეცეს შეიტანოს ბავშთა აზროვნებაში კლასიურ პროლეტარული შეგნება და ინტერესი, რაც შეადგენს დღეკანდელი სკოლის შესაფერ ნიადაგზე დაყენების აუცილებელ პირობას.

საათების ცხრილი.

I ოთხწლიანი შრომის სკოლა.

1)	პირველი ჯგუფი კვირეულად . .	24 საათი
2)	მეორე ჯგუფი „ . .	24 „
3)	მესამე ჯგუფი „ . .	28 „
4)	მეოთხე ჯგუფი „ . .	30 „

II შვიდწლიანი შრომის სკოლა.

	V ჯგ.	VI ჯგ.	VII ჯგ.
1) ქართული ენა	4	3	3
2) არითმეტიკა.	4	3	3
3) ბუნება და ჰიგიენა	3	3	3
4) გეოგრაფია	2	2	2
5) რუსული ენა	3	3	3
6) გერმანული ან ფრანგული	4	3	3
7) გეომეტრია	2	2	2
8) საზოგადოებათმეცნიერება	3	3	3
9) ფიზიკა	—	2	2
10) თამაშობა-ტანვარჯიშობა	2	2	2
11) ხატვა	2	2	2
12) მუსიკა-სიმღერა	2	2	2
13) პრაქტიკული მუშაობა	7	8	8
სულ	38	38	38

III ცხრაწლიანი შრომის სკოლა.

	VIII ჯგ.
1) მათემატიკა (გეომეტრია, ალგებრა, ტრიგონომეტრია)	5
2) ფიზიკა	3
3) ქიმია	3
4) ფიზიკური გეოგრაფია (აწერითი და ისტორიული გეოლოგია)	2
5) ისტორია (სამშობლო და საზოგადო)	5
6) ლიტერატურა	4

შენიშვნა: 1. შვიდწლიან სკოლის პირველ ოთხ ჯგუფში საათების საერთო რაოდენობა და მეცადინეობის წესი ისეთივეა, როგორც ოთხწლიან შრომის სკოლაში.

2. პრაქტიკული მუშაობა შეიძლება სწარმოებდეს შემდეგ საბელოსნოებში: სადურგლოში, საზეინკლოში, წიგნების საკაზმავში, ბალსა და ბოსტანში, ბუნებისმეტყველების და ფიზიკურ კაბინეთებში და სხვა.

3. თვითეულმა მოწაფემ ყოველ კვირეულად პრაქტიკულ სამუშაოში უნდა ივარჯიშოს არა ნაკლებ ოთხი საათისა.

7)	რუსული ენა	3
8)	ფრანგული ან გერმანული	3
9)	ჰიგიენა	2
10)	ვარჯიშობა	2
	სულ	32

შენიშვნა: ხატვა და გალობა (მუსიკა) უნდა იქმნეს შემოღებული მსურველთათვის იმ სასწავლებლებში, სადაც ამას ობიექტიური პირობები ხელს უწყობს. პედაგოგიურმა საბჭომ ამ ცხრილის მიხედვით უნდა გამოიმუშავოს მე-8 ჯგუფის პროგრამა. ხელმძღვანელობას ამ შემთხვევაში გაუწევს: 1) ახალი შრომის სკოლის საერთო პრინციპები, 2) ტექნიკუმის 1-ლი კლასის არსებული პროგრამები და 3) მე-8 ჯგუფის ბავშთა ცოდნა-განვითარება და ადგილობრივი პირობები. შემუშავებული პროგრამა უნდა გამოეგზავნოს სახალხო განათლების კომისარიატს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სოც. აღზრ. მთავარმართველობის გამგე — **მარიამ ორახელაშვილი**

შრ. სკ განყ. გამგე: **ნინო ოკუჯავა**

მდივანი — კ. არჯევანიძე

ცირკულარული წერილი

ახლად აღორძინებული სკოლის მოვალეობაა აღზარდოს სულით, ნებით, რწმენით, ძალღონილ, ცოდნითა და კოლექტიური შემოქმედებით აღჭურვილი მებრძოლი მოქალაქე. ამიტომ კი საჭიროა, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული იყოს იმ მხრივ, რათა ბავშთა აღზრდის საქმეში, — სკოლაში, შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც შეძლებას მოგვცემს ადვილად გამოვუმუშაოთ ბავშს ზემოთაღნიშნული თვისებები და ხასიათი. ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც ბავში სკოლაში ისე თავისუფლად იგრძნობს თავს, როგორც თავის სახლში; როდესაც იგი შეითვისებს იმ აზრს, რომ მას სკოლაში სხვა კი არ ასწავლის, არამედ თვით სწავლობს; როდესაც მას კი არ აიძულებენ დაიცვას წესრიგი, არამედ თვით იგრძნობს წესრიგის დაცვის საჭიროებას; როდესაც იგი მიხვდება, რომ სკოლა მისია და მის დაცვა-შენახვაზე, მის კეთილდღეობაზე მარტო გამგემ —მასწავლებელმა კი არ უნდა იფიქროს, არამედ ეს მისი აუცილებელი, ბუნებრივი მოვალეობაა; როდესაც მასწავლებლის სახით მას მიეკვლინება არა უფროსი, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია იგი დატუქსოს, არამედ უმფროსი ამხანაგი, რომელიც მის საშველად არის მოვლინებული. აი, თითქმის, ყველა ის პირობები, რომელიც საჭიროა სწავლა-აღზრდის საქმის ნორმალურად დაყენებისათვის, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენ სკოლებში ჯერ კიდევ შერჩენილია ისეთი მოვლენები, რომლნიც ძირიანად ეწინააღმდეგება აქ აღნიშნულ სასურველ პირობებს. ჯერ კიდევ შერჩენილია ჩვენში კლასის დამრიგებელის შტატი და თანამდებობა, რომელიც ნაშთია ძველი სკოლისა და საჭირო იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლაში სუფევდა ყაზარმული დისციპლინა და, რასაკვირველია, საჭირო იყო ამ დისციპლინის დამცველი — კლასის დამრიგებელი. დღეს კი, როდესაც საჭირო და აუცილებელია მოწაფის ფართო თვით-

მოქმედიანობა, თვითმართველობა და თვითდისციპლინა, თავის თავად გაკეთებულ და სრულიად მოსპობილ უნდა იქნას დამრიგებლის თანამდებობა. შეარჩენილია აგრეთვე წიგნსაცავ ბიბლიოთეკების გამგის თანამდებობა. ბიბლიოთეკა ისევ კარჩაკეტილია ბავშისათვის, მას კიდევ, ძველებურად, ვილაც უდგია დარაჯად. ბავში წინანდელის შიშითა და მოწიწებით ბიდის ბიბლიოთეკის კართან. ასეთი მოვლენა ყოვლად დაუშვებელია და, ვფიქრობთ, უბრალო გაუგებლობის შედეგია და ამიტომ დაშურებით უნდა იქნეს ეს წესი მოსპობილი და ბიბლიოთეკების გამგეთა შტატი გაუქმებული. **ბიბლიოთეკის დამცველი, შენახველი და გამწესრიგებელი თვით ბავში უნდა იყოს.** ასეთია მოთხოვნილება დღევანდელი სკოლისა და ამას გვერდს ვერ აუხვევთ. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ჯერ ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად არის მომზადებული და მას მარტო თვის საკუთარი ძალ-ღონით არ შეუძლია აწარმოოს ვერც ბიბლიოთეკის, ვერც სკოლის თვითმართველობის საქმე, სადაც მრავალ საქმეს შორის, არის ისეთი საქმეებიც, როგორც ბავშების და მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე დაგვიანება, გამოშვებული დღეების აღნიშვნა, ამ მოვლენების მიზეზების გამორკვევა, ბავშთა ჯანმრთელობის ყურადღება, ბიბლიოთეკის წიგნების კლასიფიკაცია, ბავშთა შორის ცოდნის მიხედვით მათი დასხ., რომლის შესრულებას მარტო თავისი ძალ-ღონით, უფროსთა დაუხმარებლად, ბავში ვერ შესძლებს. ამიტომ საქმის წარმართვამდე კლასის დამრიგებლის მაგიერ სკოლის ჯგუფებისა და საერთო თვითმართველობის ხელმძღვანელობა, უნდა შეუმჩნევლად იკისროს უფროსი და უფრო გაოცდილი ამხანაგების სახით ამა თუ იმ მასწავლებელმა, რომელიც სცდილობს შეიტანოს საერთო საქმეში თვისი აზრი და ინიციატივა, ისე რომ ბავშები ამას ვერც კი გრძნობდენ. ამნაირადვე, ბიბლიოთეკის საქმეშიც უნდა არსებობდეს არა ბიბლიოთეკის გამგე, არამედ ბიბლიოთეკის საქმეში ხელმძღვანელი მასწავლებელი.

უდავოა, რომ ყოველი შრომა უნდა დაფასდეს და ამიტომ, როგორც თვითმართველობის ორგანიზაციისა (გარდა პირველი ოთხი ჯგუფისა სადაც ჯგუფის მასწავლებელი იგივე ხელმძღვანელია), ისე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გასამრჯელოს უნდა იღებდეს.

სოც. აღზრდის მთავარმათვ. გამგე **მ. ორახელაშვილი.**

შრომის სკოლის განყოფ. გამგის მოადგილე **თ. ბებურიშვილი.**

ცირკულიარულად.

განათლების განყოფილებების გამგეებს.

არა უგვიანეს 10 თებერვლისა გევალებათ წარმოადგინოთ დაწვრილებითი წერილობითი **ანგარიში განათლების განყოფილების გამგეების მე-4 ყრილობისათვის.** პასუხი ყველა ქვემომოყვანილ კითხვებზე სავალდებულოა. ანგარიში კი უნდა გაყოფილ იქნას ორ ნაწილად და ყველა კითხვებზე პასუხი უნდა იყოს მიცემული ცალკე ქალაქისათვის და ცალკე მაზრისათვის.

განათლების განყოფილების ცენტრალურ აპარატების შტატი, მოსამსახურეთა განათლების ცენზი, სტაჟი ან თანამდებობაზე და საზოგადო განათლების დარგში

საბავშო ბაღები

საჭიროა აღნიშნოთ ადგილი (ქალაქი თუ სოფელი), ბავშთა რაოდენობა ეროვნების და სქესის მიხედვით. არის თუ არა ხელსაწყოები, საუზმე, არსებობს თუ არა სწავლების გარკვეული გეგმა.

საბავშო სახლები

აღინიშნოს ადგილი, ბავშთა რაოდენობა ასაკის მიხედვით, სასკოლო ასაკამდე ბავშთა რაოდენობა, სკოლებში შოსწავლეთა რიცხვი, ბავშთა რაოდენობა, როშელნიც სწავლობენ თვით სახლში, ბავშთა რაოდენობა (ეროვნების მიხედვით).

პედაგოგიური პერსონალი—რაოდენობა, სტაჟის, ცენზის და პოლიტიკურ მშენებლობის აღნიშვნით.

ტექნიკურ მოსამსახურეთა რაოდენობა.

ვისი ხარჯით ინახება სახლი, რა თანხა ეძლევა სახლს ხარჯთალ-

რიცხვის სხვადასხვა მუხლების მიხედვით, რაში გამოიხიტება განათლების კომისარიატის დახმარება.

რა მდგომარეობაშია სახლი სასწავლო ხელსაწყოების უზრუნველყოფის მხრივ.

რა მიმართულებით სწარმოებს სოციალური აღზრდა.

შრომის სკოლები

(ყველა ცნობები უნდა მოგვეცეს ცალ-ცალკე 4, 7 და 9 წლიან სკოლისათვის, ეროვნების მიხედვით.)

შრომის სკოლებთან არსებულ საბავშო ბაღების რაოდენობა, ბავშთა რიცხვი, რა სისტემით სწარმოებს წერა-კითხვის და არითმეტიკის შესწავლა პირველ წელს.

სრულ და არა-სრულ სკოლათა რაოდენობა.

ჯგუფების რაოდენობა. მოწაფეთა რიცხვი (ვაჟები, ქალები.)

პედაგოგიურ პერსონალის რაოდენობა, განათლების ცენზისა და სტაჟის აღნიშვნით (5, 10, 20-დე და ზევით).

იმ სკოლების რაოდენობა, სადაც მასწავლებელი ამაკადინებს ორ, სამ და მეტ ჯგუფს. მოსწავლეთა საშუალო რიცხვი ასეთ სკოლებში.

რამდენი ბავში დარჩა სკოლის გარეშე.

საერთო ჯანმრთელობა მაკადინეობაზე დასწრების მიხედვით (%-ით).

თუ სკოლა დაიხურა, სად და რა მიზეზით.

რამდენი ახალი სკოლა გაიხსნა (ვის ხარჯზე).

დაქირავებულ და საკუთარ შენობათა რაოდენობა.

რამდენი სკოლა შეკეთდა (რემონტი პატარა, დიდი, ვის ხარჯზე), რა მდგომარეობაშია ახლა სასკოლო შენობები. რამდენი სკოლაა უზრუნველყოფილი შეშით. (ვის ხარჯზე).

არა სახელმწიფო ხარჯზე არსებულ სკოლათა რაოდენობა (ვის ხარჯზე.

რამდენ სკოლას აქვს მიწის ნაკვეთი და როგორ სარგებლობს მით.

რა თანხას იძლევა აღმასრულებელი კომიტეტი (გასავლის მუხლების მიხედვით).

როგორ იხმარება სასწავლო ფული.

არის თუ არა კიდევ შემოსავლის რაიმე სხვა წყარო.

რამდენია სკოლებში სახელოსნო (რაგვარი).

რამდენია კაბინეთი (რაგვარი).

პედაგოგიურ და მოწაფეთა ბიბლიოთეკების რაოდენობა. 100, 500 და მეტ წიგნიანი 4, 7, 9 წლიან სკოლებში (ენის მიხედვით). არის თუ არა გამოუყენებელი ბიბლიოთეკები, მაგალითად, რუსული ბიბლიოთეკები ქართულ სკოლებში.

დაყოფილია მაზრა რაიონებად თუ არა. რამდენი სკოლაა თითო რაიონში. აძლევს თუ არა გაკვეთილებს რაიონული გამგე და რამდენს.

რაიონულ გამგეების საშუალო ჯილდო ჩერვონეცის მან.

რაში მდგომარეობს რაიონულ გამგის მუშაობა და რა არის მის მიერ ფაქტიურად გაკეთებული. რამდენი სკოლაა დათვალიერებული განყოფილების მიერ და რა ხნის განმავლობაში. რამდენი სკოლა და რამდენჯერ არის დათვალიერებული რაიონულ გამგის მიერ.

ვის ხარჯზე მოგზაურობს რაიონული გამგე მაზრაში.

როგორია დამოკიდებულება აღმასრულებელ კომიტეტთან, ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირთან, მშობლებთან.

როგორაა გამოყენებული მასწავლებელთა გადასამზადებელი საზაფხულო კურსების მიერ დატოვებული ბიბლიოთეკა.

როგორაა გამოყენებული კრედიტი, რომელიც იყო გახსნილი სასწავლო ნივთებისათვის, როგორ იყო გამოყენებული სახალხო კომისარიატის მიერ გახსნილი კრედიტი საპედაგოგიო და საბავშო ბიბლიოთეკების შესავსებად.

გასწორებულია თუ არა ამ კრედიტების ანგარიშები.

რამდენმა მასწავლებელმა გაიარა გადასამზადებელი კურსები, როგორი გავლენა იქონია სკოლებზე საზაფხულო კურსების მუშაობამ.

არის თუ არა მაზრაში სკოლები, **რომელთაც შეუძლიათ გარდაიქმნან შრომის სკოლის პრინციპების გასატარებელ უჯრედებად.**

რამდენი სკოლა დაადგა ახალ გზას.

რაში გამოიხატება განათლების განყოფილების და ინსტრუქტორის პედაგოგიური ხელმძღვანელობა.

რამდენი სკოლაა მოკლებული სრულიად ინვენტარს და სასწავლო ხელსაწყოებს.

რამდენად დამაკმაყოფილებელია გაკვეთილების ცხრილი, რომელიც დაიგზავნა განათლების კომისარიატის მიერ.

რამდენი გამგე მოიხსნა, როგორც უვარგისი, წლის დასაწყისში, რამდენი მასწავლებელია მოხსნილი, როგორც შეუფერებელი. ვინ მოხსნა. შევსებულია თუ არა შტატი.

იყო თუ არა შემთხვევები ერთი საგნის გაკვეთილები გამოყენებულ ყოფილიყო მეორესათვის.

საჭიროა თუ არა ახალ მასწავლებელთა მოწვევა.

არის თუ არა სოფლების მიერ მოთხოვნილება ახალი სკოლის გახსნის შესახებ.

არის თუ არა ისეთი სკოლები, სადაც სწავლება სწარმოებს არა იმ ენაზე, რომელზედაც ბავშვები ლაპარაკობენ და რატომ.

რა მეთოდებით სწარმოებს სწავლა სკოლაში:

სიტყვიერი, ილუსტრაციული, საექსკურსიო, ლაბორატორიული, და შრომის (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით).

რა ხასიათი აქვს ექსკურსიებს.

სწარმოებს თუ არა კომპლექსური მეცადინეობა და როგორ ხორციელდება ის. **რა** კომპლექსები არის დამუშავებული სკოლებში.

რა ფორმებით გამოიხატება ბავშთა თვითმოქმედიანობა, **როგორც** საკლასო, ისე **კლას გარეშე მუშაობაში (საკრებულო, წრეები, ჟურნალი, ბავშთა ნაწარმოებთა გამოფენები** (სკოლების რაოდენობის აღნიშვნა ციკლის მიხედვით).

იყო თუ არა სკოლებში აღრიცხვა **შემოდგომის და ზამთრის მუშაობისა** და **რა** სახით.

რა მიმართულებით მუშაობენ **დრამატიული წრეები.**

სწარმოებს თუ არა **ცალკე** საგნების **საპროგრამო მახალის სისტემატიურად შესწავლა.**

სწარმოებს თუ არა ბავშთა ნამუშავრების **აღრიცხვა** და **რა** სახით.

აღინიშნება თუ არა გონებრივად ჩამორჩენილი ბავშები და **განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშები.**

რა ადგილი უკავია **თამაშობას** სკოლის საერთო მუშაობაში.

არის თუ არა სკოლის საერთო მუშაობაში ანგარიშის **გაწევა ადგილობრივ პირობებისათვის** და **რაგვარი.**

როგორ ჩატარდა **სკოლებში** ზამთრის **ერდადეგების** თებერვალში **გადატანა.**

დამუშავებულია, თუ არა **სანიმუშო** პროგრამები **9-წლიან** სკოლებისათვის და **გარჩეულია** თუ არა ისინი **განათლების** განყოფილების **მიერ.**

როგორი გავლენა **იქონია** სკოლებზე **სკოლის** ახალმა **აგებულებამ** და **ახალი** საგნების **შეტანამ.**

განაგრძო თუ არა განათლების განყოფილებამ ან თვით მასწავლებლობამ საზაფხულო გადასამზადებელი მუშაობა.

ტარდება თუ არა სკოლებში 4-წლიანი სკოლის ახალი პროგრამა სავსებით ან ნაწილობრივ.

არის თუ არა ამ პროგრამების საწინააღმდეგო და რა.

არის თუ არა ტანვარჯიშობის იარაღები. რამდენი ჯგუფი ვარჯიშობს და რამდენი მოწაფეა ჯგუფებში. რამდენ საათს მუშაობს თითო ჯგუფი კვირაში.

სწარმოებს თუ არა მედიკური დათვალიერება.

აწარმოებს თუ არა ტანვარჯიშობის მასწავლებელი ექსკურსია-სეირნობას მოწაფეებთან.

ტანვარჯიშ. მასწავ. რაოდენობა და ვინაობა.

მიმართავთ თუ არა ესთეტიური ,ანვითარებისათვის სპეციალურ საშუალებებს (წარმოდგენა, ხატვა, გალობა).

როგორია სოციალურ აღზრდის გზები: 1) ორგანიზაცია შრომის პროცესში, 2) საბავშო ორგანიზაციები, 3) საერთო სასკოლო ცხოვრების ორგანიზაცია (საბავშო დღეს სწაული, ნახევრად სამუშაო დღეები, ბავშთა კოლექტიური თეატრი.

ქ ლაქ ს სკოლის კავშირი სოფლის სკოლასთან. სკოლის კავშირი შრომის მოსახლეობის ცხოვრებასთან და საზოგადოებრივი ცხოვრების მომენტებთან.

მაზრების სკოლათა სია იმ ადგილების დასახელებით, სადაც ისინი იმყოფებიან (ახლად გახსნილ სკოლების აღნიშვნით) ეროვნების, ჯგუფების რაოდენობის გადათვლითი აღნიშვნით. მასწავლებელთა სახელი და გვარი და ბავშთა რაოდენობა.

სოც. აღზრდის მთავარმართველობის გამგე

მარიამ ორახელაშვილი.

განათლების განყოფილებების გამგეებს

ექსკურსიები, როგორც ალზრდა-განათლების ერთი საუკეთესო მეთოდი, უნდა მოეწყოს სასკოლო მეცადინეობის გეგმის მიხედვით.

ექსკურსიები ისახავენ თავის მიზნად არა ერთს რომელიმე სასწავლო საგანს, არამედ ყველა საგნებს, რომელთაც ადგილი აქვთ სასწავლო გეგმაში და რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ექსკურსიის დანიშნულებას.

შრომის სკოლის განყოფილებასთან შემდგარი სპეციალურ კომისიის აზრით უნდა მოეწყოს ორგვარი ექსკურსია: **შორეული** და **უახლოესი**.

შორეული: I. **საგაზაფხულო** ექსკურსია უნდა გაიმართოს მაისსა და ივნისში: 1) დასავლეთ საქართველოში, როგორც განსაკუთრებულს ქვეყანაში ბოტანიკურისა და გეოგრაფიულის მხრივ:

ა) ბათომსა და ჩაქვაში: ჩაისა, ბამბუკისა, მანდარინებისა და სხვა მცენარეთა გასაცნობად და მათ მოვლა მოშენების შესასწავლად. იქაური ბოტანიკური ბაღის სუბტროპიკულ მცენარეულობის გასაცნობად, ნავთსადგურის სანახავად და სხვა.

ბ) ქუთაისს, როგორც ძველი კოლხიდის ისტორიულ ნაშთების და ძეგლების გასაცნობად.

გ) ჭიათურასა და ტყიბულში, როგორც უმთავრესი სამთამადნო წარმოების რაიონებში.

2. საგაზაფხ. და საზაფხ. ექსკურსიები ბორჯომის ხეობაში.

3. **საშემოდგომო** ექსკურ. თელავ. წინანდალ სიღნაღში: რთველისა და ხილის კრეფის დროს. ეს სამი ექსკურსია უნდა დაედვას ძი-

რითად საფუძვლად სხვადასხვა დანარჩენ პატარა ექსკურსიებს, მოკლე-ვადიანს, რომელიც 1—2 დღეს გაგრძელდება და მოეწყობა ტფილისსა და მის მიდამოებში ან ადგილობრივ ცენტრსა და მის ახლო-მახლოს.

ამ ექსკურსიების მიზანი იქნება:

1) გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნის დასურათება და

2) მასალის შეგროვება საკლასო მუშაობისათვის.

აქ შეიძლება გასინჯვა ყვავილთა დამტვრიანებისა და განაყოფიერებისა საერთოდ და მწერების საშუალებით ცალკე. შედგენა უადრეს თავძირა მცენარეების გერბარიუმისა და სხვა, ტფილისის მიდამოებში: გაცნობა მარილიანი ტბის ქაროფიტებისა. კუს ტბის ნაპირების მცენარეებისა და ცხოველებისა და სხვა. შეიძლება დათვალიერება ბოტანიკურ ბაღისა, რკინის გზის სახელოსნოების, წუმწუმის ქარხნისა, უძოს მთის, ტაბახველასი, სოლანლულის მიმართულებით: ჩამქრალ მთაფრქვეველის და სხვა და სხვა. ჩათახის ქარხნის, უფლისციხისა და სხვა.

გიგზავნით რა ამ სანიმუშო გეგმას და ქსელს სახელმძღვანელოდ შრომის სკოლის განყოფილება წინადადებას გაძლევთ **განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ პირველ რიგში ადგილობრივი ექსკურსიების მოწყობას**, შეადგინოთ სათანადო **გეგმა**, შეიმუშაოთ მარშრუტი და თითო ცალი ასეთი გეგმა მარშრუტისა გამოგზავნოთ კომისარიატში.

შრომის სკოლის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ჭუმბურიძე.

მდივანი—მ. ფოფხაძე.

საჭიროა სასკოლო არდადეგების სისტემის შეცვლა

(გაზეთიბიდან[1])

სახალხო განათლების კომისარიატის ამოცანები სახალხო განათლების და ახალ სკოლების მოწყობის საქმეში ისეთია, რომ მათ სავსებით ეწინააღმდეგება არდადეგების ის სისტემა, რომელიც დღემდე არსებობდა და ამჟამადაც არსებობს ჩვენში. ახალ სკოლისაკენ ჩვენ მოვითხოვთ გაიმსჭვალოს თანამედროვე სულით, გამოხატოს ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება, გამოიყენოს ბუნების მოვლენები, ძალები, სიმდიდრენი, შეესცვალოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი და აღზარდოს ახალი ცხოვრებისათვის საჭირო მოქალაქენი. ეს ამოცანები განსაზღვრავენ სკოლის შინაარსს, მის ორგანიზაციას. არდადეგების სისტემა, ე. ი. სა ფლო მუშაობის და მეცადინეობის მასალის და დროის გამოყენება და განაწილება უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნილებებს. განა ასეა ჩვენში? სრულიადაც არა. ჩვენი არდადეგები—შობის და აღდგომის—რამდენიც არ ვეცადეთ მათთვის არა რელიგიური ხასიათის მიცემას, მაინც ატარებენ შობის და აღდგომისათვის დათხოვნის და მომზადების ხასიათს. მეორეს მხრივ დეკემბერ-იანვრის და მარტ-აპრილის ოფიციალურად ორი კვირის არდადეგები, ფაქტიურად ორი თვით სწავლის შეწყვეტას ულრის: მოწაფეები არ იკრიბებიან თავის დროზე, შეკრების შემდეგ კი ერთბაშად ვერ ეგუებიან სწავლის დაწყებას და ბევრ დროს ჰკარგავენ. საერთოდაც ძალიან ძნელია ამ არდადეგების გამოყენება სკოლაში სამეცადინოდ, ვინაიდან ამ არდადეგების განმავლობაში ბავშებს არ შეუძლიათ ოჯახიდან სკოლაში მიიტანონ ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგი რამ. თუ ამას დაუმატებთ ორი თვის საზაფხულო არდადეგებს, რომლითაც დღემდე სარგებლობდენ მასწავლებლები და მოსწავლენი და კიდევ ჩვეულებრივ დღესასწაულებს, თითქმის ნახევარი წელიწადი იკარგება უნაყოფოდ. რა თქმა უნდა, მიზანშეუწონელი, სა-

[1]) „კომუნისტი და „ზარია ვასტოკა“, დეკემბერი 1923 წ.

ზიანო და არაეკონომიურია: 1) ვინაიდან გრძელდება ოჯახის და ქუჩის ზეგავლენის ქვეშ ბავშვების ყოფნის დრო; 2) ეს არ არის საკმარისი იმ დიდ მასალის შესათვისებლად, რომელიც უნდა დამუშავდეს სასწავლო წლის განმავლობაში და ამით ყოველ წელიწადს მცირდება ბავშვთა ცოლნის და განვითარების ჯამი, რაც აქვეითებს ჩვენი ბავშვების და ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მომზადების საერთო დონეს და 3) ძალიან საზარალოა სახელმწიფოსათვის ისეთი დიდი ორი ძვირი აპარატის შენახვა, როგორც ყველა საფეხურების სკოლაა და ორი ათას განათლების მუშაკთა სახელმწიფო მომარაგებაზე ყოლა და ყველაფერ ამის არარაციონალურად და არა საკმარისად გამოყენება. ამას უნდა ვებრძოლოთ რადიკალურად და ძირიან-ფესვიანად შევცვალოთ არდადეგების სისტემა.

ბოლოს დეკემბერი და იანვარი — საშობაო არდადეგები, ჩვენში შეუგეგული ზამთარია; ამ დროს დიდძალი მასალა მოიპოვება სასკოლო ცხოვრებისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის გამოსაყენებლად. და სწორედ ამ დროს ბავშვები დათხოვნილი არიან. კიდევ უკეთესი და უფრო მდიდარი მასალა სასკოლო მუშაობისათვის, ექსკურსიებისათვის, ბუნების და მისი ძალების შესასწავლად მოიპოვება მარტსა და აპრილში, გაზაფხულის დასაწყისში, როცა ბუნება იღვიძებს და სიცოცხლე იფურჩქნება, და ეს დროც საალდგომო არდადეგებს უნდება. სწავლის ხშირი შეწყვეტაც ხომ ხელს უშლის საჭირო მასალის გავლას და მის შეთვისებას. გარდა ამისა, სარწმუნოება სამუდამოდაა ვანდევნილი სკოლებიდან, ბავშვები და შეგირდები თავისუფლდებიან სარწმუნოებრივ სულის ვეთებისა და გავლენისაგან და ამ მხრით სრულიად დამოუკიდებელი არიან თავიანთ მშობლებისაგან, ჩვენ კი მათ ასეთ დროს საკვსებით ხელში უგდებთ ოჯახს. ამასთან ერთად სახელმწიფო აწარმოებს გაძლიერებულ ანტისარწმუნოებრივ პროპაგანდას სოფლებსა და ქალაქებში, თვით მშრომელები ხურავენ ეკლესიებს, სწარმოებს დიდი მუშაობა ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად და დიდი დანაშაული იქნებოდა განათლების ორგანოების მხრივ იმ სკოლაში, რომელიც თანდათან ხდება სოციალურ- კომუნისტურ აღზრდის კერად, არდადეგების, ამ ძველი სისტემის კლერიკალურ ბურჟუაზიულ სკოლის ნაშთის დატოვება.

აი, ამ მოსაზრებებით, სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაუქმებულ იქნას საშობაო და საალდგომო არდადეგები ყველა საფეხურის და ეროვნებათა სკოლებში საქართველოს ტე

რიტორიაზე, მათ ნაცვლად სამოსწავლო წლის შუაში დაწესებულ იქნას ერთი თვით სწავლის შეწყვეტა, და აღებულ იქნას ისეთი თვე, რომელიც ყველაზე უშინაარსოა სკოლისათვის და კლიმატიურადაც მეტად საზიანოა ბავშვებისათვის. სახალხო განათლების კომისარიატის მოსაზრებით, ასეთად უნდა ჩაითვალოს თებერვალი: ცივი, ნესტიანი, წვიმებიანი, და ამასთანავე არადამახასიათებელი არც გაზაფხულისა და არც ზამთრისათვის. ეს თვე იქნა გამოყენებული მასწავლებელთა და მოწაფეთა დასასვენებლად; ამ დროს უნდა მოხდეს შემოდგომ-ზამთრის სემესტრის მუშაობის აღრიცხვა, გაიმართოს ყრილობები და კონფერენციები და სხვ. 1 მარტიდან კი დაიწყება გაზაფხულ-ზაფხულის სემესტრის მუშაობა და გაგრძელდება ივნისის დამლევამდე. ივლისი და აგვისტო უნდა მოხმარდეს დასვენებას და მომზადებას: მოსწავლეები ამ დროს უნდა დაირაზმონ და ჩაატარონ საზაფხულო მუშაობა „მოხალისეების“ და ახალგ. კოჰკავშირის წევრების ძალებით. სკოლის ამ ახალ რეფორმის ზედმიწევნით გატარების საქმეში ყველაზე მეტს დახმარებას, რა თქმა უნდა, გაგვიწევენ განათლების მუშაკები, სახალხო განათლების განყოფილებები და კავშირის ადგილობრივი განყოფილებები.

მხოლოდ მათი დახმარებით და მუშაობით ეს რეფორმა გასაგები და შეგნებულად მისაღები გახდება როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლებისათვის.

მარიამ ორახელაშვილი

სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: **გაუქმებულ იქმნას საშობაო და საახლგომო არდადეგები და მის ნაცვლად არდადეგების თვედ გამოცხადდეს თებერვალი** (განკარგულება № 35). ეს დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების კომისარიატის ამოცანებია რაც შეიძლება მტკიცე ნაბიჯით წარმართოს სწავლა-აღზრდის საქმე ახალ სკოლისაკენ. ახალი სკოლა კი თხოულობს: საზოგადოებრივი ცხოვრება გაიჟღვალოს ახალი სულით, ბუნების მოვლენანი, მისი ძალები, სიმდიდრენი და სხვა გამოყენებულ იქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი წესის შესაქმნელად. ერთი სიტყვით, ჩვენმა ახალმა სკოლამ უნდა მოგვცეს მოქალაქენი, რომელნიც არა მარტო შეეგუებიან რევოლიუციის მიერ შექმნილ დიდს გადატეხას, არამედ აქტიურად მონაწილენი იქნებიან ახალი სოციალური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, ამიტომ, ცხადია, გადაჭრით დაგმობილი და განდევნილი უნდა იქმნას ყველა ის, რაც აფერხებს ახალი სკოლის განვითარებას. ერთი ასეთი მომენტი დღემდე არის დარჩენილი ჩვენი სკოლის ცხოვრებაში—რელიგიური ხასიათის საშობაო და საახლგომო არდადეგები. რელიგია, საზოგადოდ, მძიმე ლოდივით აწვა სკოლას და ამიტომაც იყო, რომ მას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა. ეს ბრძოლა დამთავრდება სკოლის ცხოვრებიდან მისი უკანასკნელი ნაშთის—საშობაო და საახლგომო არდადეგების განდევნით.

გარდა ამისა, ხსენებულ არდადეგების გაუქმებით შესამჩნევად მცირდება დრო, რომლის განმავლობაში ბავშები რჩებოდენ ოჯახის და ქუჩის გავლენის ქვეშ და ამასთანავე გრძელდება სამოსწავლო წელიწადი, რაც გაადვილებს დამუშავებას ახალი სკოლის ვრცელ მასალისას. ეს ორი მოვლენა, უეჭველია, გაადიდებს ბავშების ცოდნის და განვითარების ჯამს და ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მომზადების საერთო დონეს. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ახალმა სკოლამ მოგვცეს მოქალაქენი ყოველმხრივ მომზადებული ახალი სოციალური ურთიერთო-

ბის განსამტკიცებლად. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, განათლების მუშაკთა რიგებიდან, და მთელი თავისი ენერგიით ხელი შეუწყონ ამ ახალ რეფორმის გატარებას ცხოვრებაში.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, განათლების კომისარიატი დაბეჯითებით გთხოვთ მტკიცედ შეასრულოთ განკარგულება № 35 და ამასთანავე ფართო წრეებს გააცნოთ მოხსენებულ თეზისების მიხედვით ამ რეფორმის მნიშვნელობა და საჭიროება.

განათლების კომისრის მოადგილე მ, **ორახელაშვილი.**

საქმეთა მართველი **ალ. მიქაბერიძე.**

მდივანი **ი. რუხაძე.**

განკარგულება № 35

განათლების კომისრისა 24/11—23 წლ.

1. **გაუქმებულ იქმნეს** ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში **საშობაო და საალდგომო არდადეგები.**

2. ნაცვლად მოხსენებულ არდადეგებისა—არდადეგების თვედ გამოცხადდეს თებერვალი.

3. უქმე დღეებად ყველა ეროვნების სკოლებში ჩაითვალოს მხოლოდ სახალხო შრომის კომისარიატის მიერ დამტკიცებული დღეები.

4. განათლების განყოფილებათ ევალებათ მიიღონ სათანადო ზომები, რათა ზემოაღნიშნული განკარგულება თავის დროზე აცნობონ განათლების მუშაკთ, ყოველ მიზეზს გარეშე ცხოვრებაში გასატარებლად.

განათლების კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი.

ცირკულიარულად

საქართველოს მრავალ კუთხეში ტყის უწესრიგო გაჩეხამ წყალდიდობის დროს საშუალება მისცა გადმოვლილ მდინარეებს აეოხრებინათ საქართველოს დიდმნიშვნელოვანი ნაწილები, გადაერეცხათ გზები, შეეყენებინათ ცხოვრების ნორმალური ცხოვრება და ამითი მიეყენებინათ სახელმწიფოსათვის ურიცხვი ზარალი.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება, რომლის ძალითაც აიკრძალა ტყის გაჩეხა და ეს განკარგულება შეეხო საახალწლოდ წიწვიანი ხეების გაჩეხასაც. მოწაფეებმა უნდა შეიგნონ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობამ შეიძლება მოსთხოვოს მათ მსხვერპლი, რომელიც ბავშებმა უნდა შესწირონ ადვილად და შეგნებით; ამ შემთხვევაში თვითონ ბავშებმა უნდა გასწიონ აგიტაცია წიწვიანი ხის გაჩეხის წინააღმდეგ და შესცვალონ ეს საახალწლო სიამოვნება სხვა გასართობით. მეტად სასურველია, რომ სკოლებმა გამართონ **ზამთრის დღესასწაულები** და ამისთვის გამოიყენონ გავლილი მასალა ინსცენირობის და სხვა საშუალებით, ამითი მისცენ ფართო მასებს მაგალითი ძველი ტრადიციების ჩარჩოებიდან განთავისუფლებისათვის. მთელი ცოდნითა და ენერგიით უნდა ვისარგებლოთ იმისათვის, რომ ძველი ტრადიციები გამოვიყენოთ ახალი ფორმების და ცხოვრების შესაქმნელად.

სოც. აღზრდ. მთავრმ. რთველ. კომგე მ. ორახელაშვილი.
საქმეთა მართველი ალ. მიქაბერიძე.

პედაგოგიური ინსტიტუტის შესახებ

ამ წლების განმავლობაში სახალხო განათლების სისტემამ განიცადა ძირითადი გარდატეხა, გაჩნდენ სოციალურ აღზდის ახალი დაწესებულებანი, რომლებსაც მიეცათ ახალი შინაარსი, ახალ საფუძველზე შემუშავდა პროგრამები და მეთოდები, გამოისახა და ეწყობა ახალი სკოლა. თამამად შეიძლება ვთქვათ, და უნდა ვთქვათ კიდეც, რომ ყოველივე ეს შექმნა შრომის სკოლების მუშაკთა სურვილმა, ღონისძიებამ და ენერგიამ. ამ მუშაობაში უმაღლესი და საშუალო სკოლების დახმარება სრულიადაც არ გვიგრძნია, და ეს ადვილი გასაგებიც არის. ყოფილი უნივერსიტეტები, სამოსწავლო სემინარიები, ინსტიტუტები და გიმნაზიები, საიდანაც არის გაჭოსული ჩვენი საშუალო სასწავლებლების მასწავლებლობა, შეწყობილნი იყვნენ ძველ სკოლასთვის, მისი მიზნები იცოდენ და მისთვის ამზადებდენ. ამისათვის, რასაკვირველია, ისინი ვერ გახდენ საბჭოთა სკოლის აღმშენებელნი.

უმაღლესი სასწავლებელი, მისი ფაკულტეტები და პროფესორები არასდროს არ უფარდებდენ თავის მუშაობას ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, მათ არ შეეძლოთ და ბევრს ახლაც არ შეუძლია დათანხმება, რომ მეცნიერება **ცხოვრებისათვის ხალხის მოსაამზადებელი საშუალებაა** და არა თვითმიზანი. რა საკვირველია, რომ მათ ვერც შესძლეს მეცნიერებაში სათანადო პრაქტიკული მიმართულების შეტანა. მათ ვერ შესძლეს შეეცვალათ და შეეფარდებინათ თავისი მუშაობა სხვა საფეხურის სკოლების მუშაობისათვის. ამას გარდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი მეცნიერი არც არის პედაგოგი, რის გამო მათ ვერ შესძლეს სკოლის დახმარება ახალ გზების გამონახვასა და ახალი პედაგოგების შექმნაში.

მაგრამ, ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ გადამზადება და თვითგადამზადება, რასაც ამჟამად მთელი ძალღონით აწარმოებენ მთლიანი შრომის სკოლის მუშაკნი და სოციალურ აღზრ-

დის მთავარი მმართველობა. **ახალი სკოლისათვის ახალი პედაგოგები გვესაჭიროება**, ახალი ნაკადი **თეორიულად** და **პრაქტიკულად** ძალმზადებული ძალებისა. ყოველივე ამას კი მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც მოვახდენთ რეკოლიუციას **საპედაგოგიო განათლებაში**. აუცილებელია მეცნიერების წარმომადგენლები დავჭრათ მათ მიუწვდომელ ადგილიდან, დავუახლოვოთ პრაქტიკულ ამოცანებს, გავაფართოვოდ **პედაგოგიური ფაკულტეტი**, და ამგვარად სკოლა უზრუნველვყოთ პედაგოგების ახალი კადრით.

პედაგოგიური ფაკულტეტის რეფორმაზე ახლა არ ვილაპარაკებთ, ამ წერილში მინდა შეეხო **პედაგოგიური ინსტიტუტის** საკითხს,[1]) პედაგოგიური დაწესებულების ახალ ტიპს, რომელიც არსებობს ტფილისში, რომლის პროგრამასა და სამოსწავლო გეგმასაც ვაწვდით მკითხველს საყურადღებოდ. ეს არის განსაკუთრებული ტიპის პედაგოგიური დაწესებულება, რომელიც ტეხნიკუმებზე მაღლა სდგას, ხოლო უმაღლეს სასწავლებელზე კი დაბლა,[2]) ორწლიანია და მიზნად აქვს მოგვცეს **მასწავლებლები ოთხ და შვიდწლიან სკოლებისათვის.**

აქ მუშაობა იმდენად რთული, მრავალმხრივი და პასუხსაგებია, რომ მაში მოვუშავეს უნდა უსათუოდ ჰქონდეს გარკვეული მარქსისტული მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური **და** მდიდარი სამეცნიერო მომზადება. შესწავლა სკოლისა მთლიანად და მისი ორგანიზმისა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციისა, აი ის ამოცანები, რომელიც აწევს პედაგოგიურ ინსტიტუტს, სწორედ ამ ამოცანებმა განზღვარეს ინსტიტუტის სამოსწავლო გეგმა: აქ მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს სოციალურ-ეკონომიურ და პედაგოგიურ საგნებს და აგრეთვე, ბავშის ფსიქო-ფიზიკურ შესწავლას. მინდა პედაგოგების ყურადღება მივაქციო იმას, რაც მათ სპეციალობისთვის ახალია. ეს არის საწარმოო დისციპლინების შეტანა ინსტიტუტის სამოსწავლო გეგმაში; ამ დისციპლინებმა უნდა გეგმაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროონ.

სკოლის რეორგანიზაციის დროს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს სკოლის დაახლოვებას ცხოვრებასთან, აქ კი ყველაზე უფრო ხშირად, საქმე გვაქვს წარმოების საგნებთან (ადამიანის შრომის ნაყოფთან) და

---

[1]) იგივე შეეხება ახლო მომავლისათვის ნავარაუდევ **სკოლის ახალგაზრდის კურსებს**, რომლის სქემა და დებულება ქვემოდაა მოწოდებული.

[2]) **იხ.** ამ ნომერში **დ. კანდელაკის** წერილის დიაგრამა.

შრომის საზოგადოების წევრთა შორის საწარმოო დამოკიდებულებებთან. ტეხნიკის განვითარების ტემპი (სისწრაფე) და მისი ადგილი თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცხადსაჰყოფს მასწავლებელ-აღზრდელისათვის, რამდენად აუცილებელია თვითონ ისწავლოს წარმოების გაცნობა და ასწავლოს ბავშებს გარემო წარმოებაში და მის ნაყოფებში გარკვევა. იგი აუცილებელია სკოლის **შრომის პრინციპებზე** შესაფერისი აგებისათვის. დაბოლოს, ამასვე მოითხოვს ახალი პროგრამები. ამას გარდა ამ საგნებს პროპედევტიული, მომზადებითი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი სხვა საგნებისათვის, — როგორც პედაგოგიურის, აგრეთვე სოციალურ ეკონომიურისათვისაც. (მაგ. პოლიტიკური ეკონომია პროფესიონალური სკოლების და საქარხნო-საწრეწველო სკოლების ჭაბუკთათვის და სხ.). ყველა ამ მოსაზრებითაა შემოღებული სწავლება სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიის, პრაქტიკული აგრონომიისა, მანქანათშესწავლა, შრომისა და წარმოების ორგანიზაცია და აგრეთვე თავისთავად ცხადია, სახელოსნოს და სასოფლო-მეურნეობის გაცნობა, რაც საფუძველია მთელი თანამედროვე ტეხნიკის შესწავლისა.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი შეცთომა გვაქვს დაშვებული პედაგოგიურ განათლების ორგანიზაციაში, რომ დაგვჭირდება ბევრის შეცვლა, დამატება, მოკლება, მაგრამ ერთში კი დარწმუნებული ვართ: ჩვენს მიერ **აღებული გეზი პედაგოგიური განათლებისა სწორია** ახალი სკოლის მოთხოვნილების მიხედვით; ამ გეზს მივყვებით, არ ვეხვევთ, ვმონაწილეობთ მის აღმშენებლობაში, ვსარგებლობთ სოციალურ აღზრდის მუშაკთა დახმარებით და გამოცდილებით და მოუთმენლად ველით, როდის შეინძრევა უმაღლესი სკოლა და მოეხმარება დაწყებით სკოლას და პედაგოგიურ განათლების საქმეს ახალ ფართო გზაზე გამოსვლაში.

მარიამ ორახელაშვილი.

დედანს აწერია „ვამტკიცებ“ ს. გ. კომისარი
დ. კანდელაკი. 1923 წ. 25 ივლისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ს. ს. ს. რ. რესპუბლიკის პედაგოგიურ ტექნიკუმებისა.

§ 1. პედაგოგიურ ტექნიკუმს მიზნად აქვს მოუმზადოს სათანადო მასწავლებლები სოციალურ აღზრდის დაწესებულებათ პირველ შვიდი წლის სწავლებისათვის.

§ 2. რესპუბლიკის პედაგოგიური ტექნიკუმები ემაღლეს სასწავლებლებთან თანასწორად იმყოფებიან პროფგანათლების მთავარმართველობის უშუალო გამგებლობაში.

§ 3. სწავლების კურსის ხანგრძლივობა პედაგოგიურ ტექნიკუმებში ორწლიანია და სწავლა მათში უფასო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ზოგ-ზოგ პედაგოგიურ ტექნიკუმებთან ს. გ. კომისარიატის დადგენილებით, არსდება საერთო უფასო ბინა და სტიპენდიები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მსმენელთა რიცხვი თვითეულ კურსზე 40 არ უნდა აღემატებოდეს.

§ 4. ტექნიკუმის პირველ კურსებზე მიიღებიან არა ნაკლებ 16 წ. ახალგაზრდანი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 9-წლიანი შრომის სკოლა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. დროებით, მომავალ სამოსწავლო ორი წლის განმავლობაში, სანამ ჩამოყალიბდება 9-წლიანი შრომის სკოლა, პედაგოგიურ ტექნიკუმის I კურსზე 1923/24 და 1924/25 სამოსწავლო წლებში მიიღებიან აწინდელ ტექნიკუმებში სრულ სწავლა დამთავრებულნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. გამონაკლისი მე-4 §-ში ნაჩვენებ წლოვანების მხრივ შეიძლება დაშვებულ იქმნეს მხოლოდ პროფგანათლების მთავარმართველობის ნებართვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ის პირნი, რომელთაც რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვთ, ან შეპყრობილნი არიან უკურნებელი სენით, პედაგოგიურ ტექნიკუმში არ მიიღებიან.

§ 5. კურსდამთავრების შემდეგ მსმენელთ ეძლევათ მოწმობა იმის აღნიშვნით, რომ ისინი ითვლებიან განათლების კვალიფიციურ მუშაკებად და აქვთ უფლება მასწავლებლობისა სოციალურ აღზრდის დაწესებულებათა როგორც სასკოლო ჰასაკამდე, აგრეთვე 7-წლიან შრომის სკოლებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის მსმენელნი, რომელნიც პედაგოგიურ ტეხნიკუმებში სტიპენდიით სარგებლობენ, გადადიან სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის განკარგულებაში, რომლის დანიშვნითაც ისინი მოვალენი არიან იმსახურონ სოციალურ აღზდის დაწესებულებებში არა ნაკლებ 5 წლისა.

§ 6. პედაგოგიურ ტეხნიკუმების სასწავლო გეგმებს და სამაგალითო პროგრამებს იმუშავებს პროფგანათლების მთავარმართველობა სოციალურ აღზრდის მთავარმართველობასთან შეთანხმებით.

§ 7. საპლაბორატორიო მუშაობისათვის პედაგოგიურ ტეხნიკუმებს ტფილისში სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის, ხოლო პროვინციაში განათლების განყოფილების თანხმობით, მიეჩინება შრომის სკოლები, სადაც ტეხნიკუმის მსმენელნი დაუბრკოლებლად აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას.

§ 8. პედაგოგიურ ტეხნიკუმების საერთო მეთვალყურეობას ახორციელებს მათი საპედაგოგიო საბჭოები.

§ 9. პედაგოგიურ საბჭოში გადამწყვეტი ხმით შედიან: ა) ტეხნიკუმის ყველა მასწავლებლები; ბ) ადგილობრივ აღმასკომის ერთი წარმომადგენელი; გ) ადგილობრივ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ერთი წარმომადგენელი; დ) ტეხნიკუმის ყველა კურსის მსმენელთა თითო წარმომადგენელი; ე) ადგილობრივ ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ერთი წარმომადგენელი და ვ) სასწავლებლის ტეხნიკურ მოსამსახურეთა ერთი წარმომადგენელი.

§ 10. პედაგოგიურ საბჭოს განხილვაში შედის შემდეგი საკითხები: ა) ცხოვრებაში გატარება და განხორციელება პროფგანათლების მთავარმართველობის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმების და პროგრამებისა; ბ) განხილვა და დამტკიცება სასწავლებლის მოქმედების წლიურ ანგარიშისა; გ) განხილვა და დამტკიცება ტეხნიკუმის და მის ქვემდებარე დაწესებულებათა საერთო ხარჯთაღრიცხვისა, პროფგანათლების მთავარმართველობაში წარსადგენად. დ) კომისიების არჩევა ამა თუ იმ წამოყენებულ საკითხების გასარკვევ-დასამუშავებლად სასწავლებლის საქმიანობის ფარგლებში. ე) მსმენელთა წარმატების განხილვა მათი

ჩათვლების მიხედვით, ვ) მოწმობების გაცემა კურსდამთავრებულთა და სასწავლებლიდან სწავლადამთავრებამდე გამოსულთათვის, ზ) სამეურნეო კომიტეტის ანგარიშების განხილვა და სხვა.

§ 11. პედაგოგიურ ტექნიკუმის გამგეს ნიშნავს პროფგანათლების მთავარმართველობა სოციალურ აღზრდის მთავარმართველობასთან შეთანხმებით.

§ 12. საბჭოს მდივანი ირჩევა მის წევრთაგან ერთი წლის ვადით.

შენიშვნა: საბჭოს ოქმებს სამოსწავლო ნახევარი წლის ან სემესტრის ბოლოს გამგე უდგენს პროფგანათლების მთავარმართველობას.

§ 13. ტექნიკუმის საადმინისტრაციო და სამეურნეო საქმეების მართვა გამგეობა, წესრიგის დაცვა და მისი ცხოვრების რიგიანად მიმდინარეობის თვალყურის დევნება ეკისრება უშუალოდ გამგეს, რომელიც, გარდა საერთო პასუხისმგებლობისა, პირადი პასუხისმგებელია აგრეთვე ტექნიკუმის საერთო მდგომარეობის მხრითაც.

§ 14. გამგეს უფლება აქვს პირადად გამოიტანოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც დაუყონებლივი ხასიათისაა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოვალეა მოახსენოს საბჭოს შემდეგ მორიგ კრებაზე.

§ 15. გამგე უდგენს კანდიდატებს მასწავლებლის თანამდებობაზე პროფგანათლების მთავარმართველობას, რომლისგანაც არის დამოკიდებული საბოლოოდ მათი დამტკიცება.

§ 16. ტექნიკუმის სამეურნეო მხარეს განაგებს სამეურნეო კომიტეტი, რომელშიაც, გამგის გარდა (თავმჯდომარე) შედიან წევრებადორი მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს არჩევით, ერთი მსმენელთა წარმომადგენელი და ერთიც ტექნიკურ თანამშრომელთა წარმომადგენელი.

§ 17. სამეურნეო კომიტეტი აწარმოებს ყოველნაირ ხარჯებს, თანახმად პროფგანათლების მთავარმართველობის მიერ მიცემულ ინსტრუქციისა, თვალყურს ადევნებს შენობის სანიტარულ მდგომარეობას, ფულის ანგარიშის სისწორით წარმოებას; ადგენს ხარჯთაღრიცხვებს, წლიურ ანგარიშებს სამეურნეო ნაწილის მხრივ და სხვა.

§ 18. პედაგოგიურ ტექნიკუმს აქვს თავისი ბეჭედი ღერბის გამოსახულობით და სასწავლებლის სახელწოდების წარწერით.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სკოლის ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსების შესახებ.

1. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსები წარმოადგენს პედაგოგიური განათლების დაწესებულებას, რომელსაც მიზნად აქვს მოამზადოს სასკოლო ასაკამდე აღზრდის სპეციალობის განათლების მუშაკი.

2. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსები იმყოფება ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატის სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილების უშუალო გამგეობაში.

3. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსებს აქვს თავისი შტამპი და ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატი, სკოლის ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსები".

4. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსების შტატი გამგე, გაჭგის მოადგილე, მასწავლებლები, საქმისმწარმოებელი და ტექნიკური მოსამსახურენი. უკანასკნელთა რაოდენობას საზღვრავს სახალხო განათლების კომისარიატის სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილება.

5. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსების სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ინსტიტუტის გამგეს, რომელსაც არდგენს სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილება და ამტკიცებს თანამდებობაზე სოციალურ აღზრდის მმართველობის გამგე.

6 სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსების გამგეებთან არსებობს პედაგოგიური საბჭო და პრეზიდიუმი ადმინისტრატიული და სამეურნეო საკითხების სასწრაფოდ გადასაწყვეტად.

7. პრეზიდიუმში შედიან: გამგე, გამგის მოადგილე, პედაგოგიური საბჭოს მდივანი, კომუნისტური უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი და მსმენელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

8. პედაგოგიურ საბჭოში შედიან: გამგე, როგორც თავმჯდომარე, გამგის მოადგილე, ყველა მასწავლებლები, კომუნისტური უჯრედ-

ის პასუხისმგებელი მდივანი, მსმენელთა კომიტეტის თავმჯდომარე, მსმენელების წარმომადგენელნი თითო 10 მოწაფეზე და ტეხნიკურ მოსამსახურეთა ერთი წარმომადგენელი.

9. პედაგოგიური საბჭოს მოქმედების ფარგლები: ა) მუშაობის განაწილება და დაყენება სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსებზე; ბ) კონკრეტულად პროგრამების შემუშავება, თანახმად სასწავლო გეგმის და გამოცდების ჩაბარების წესისა, გ) დასკვნა პედაგოგიურ კურსებზე მისაღებ მოწაფეების საერთო განვითარებისა და მეცადინეობის შესახებ, დ) დასკვნა მოწაფეების მუშაობის შესახებ, ე) დასკვნა მსმენელების საკმაო მომზადების შესახებ, თანახმად პედაგოგიური კურსების მოთხოვნილებისა (იხ. დებულების 1-ლი მუხლი).

10. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღებიან ახალგაზრდები არა ნაკლებ 18 წლის ასაკისა და განათლებით 9 წლიანი შრომის სკოლისა.

11. მსმენელების საერთო რიცხვი კურსებზე უდრის 50 ს.

12. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსებზე ვაკანსიები შეივსება შემდეგი განაწილებით; ა) აღმოსავლეთ საქართველოს, ლეჩხუმის, რაჭის და სვანეთის მაზრ. განათლების განყოფილების კანდიდატები სამ-სამი თითო განათლების განყოფილებაზე. ბ) დასავლეთ საქართველოს მაზრ. განათ. განყ. ორ—ორი კანდიდატი თითო განათლების განყოფილებაზე. გ) ქალ. ტფილისს—ხუთი კანდიდატი, დ) საქართველოს კომუნისტურ პარტიას — ორი კანდიდატი, ე) საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს ოთხი კანდიდატი, ვ) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ორი კანდიდატი, ზ) დანარჩენი ვაკანსიები რჩება განათლების კომისარიატის განკარგულებაში.

შენიშვნა 1. იმ შემთხვევაში, თუ განათლების განყოფილებები არ მოისურვებენ კანდიდატების გამოგზავნას, მათი ვაკანსიები შეივსება განათლების კომისარიატის კანდიდატებით.

შენიშვნა 2: სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსებზე შესვლისას მსმენელები პირობას სდებენ დამთავრების შემდეგ იმსახურონ განათლების კომისარიატის დანიშნულებით, ისე, როგორც ეს ევალებათ სხვა საბელ. სტიპენდიატებს, ერთი წლის სტიპენდია — ორი წლის სამსახური.

13. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიურ კურსების მსმე

ნელები სარგებლობენ ბინით და სასმელ-საჭმელით განათლების კომისარიატის ხარჯზე.

14. სასკოლო ასაკამდე აღზრდის პედაგოგიური კურსების მსმენელები ვალდებულნი არიან ესწრებოდენ ყველა თეორეტიულ და პრაქტიკულ მუშაობას, აბარებდენ თავის დროზე გამოცდებს, მონაწილეობას ღებულობდენ ექსკურსიებში და, საზოგადოდ, ემორჩილებოდენ ინსტიტუტის შინაურ წესრიგს.

15. მსმენელებს, რომელნიც მოისმენენ კურსების სავალდებულო კურსს, ჩაბარებენ ყველა პრაქტიკულ სამუშაოებს და გამოცდებს, საზოგადოდ შეასრულებენ სასწავლო გეგმის ყველა პირობებს, ეძლევათ შესაფერისი მოწმობა და სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის უფლება.

სოციალურ აღზრდის მთავარმართ. გამგე: **მ. ორახელაშვილი.**

სკოლის ასაკამდე აღზრდის განყ. გამგე: **ილ. წულუკიძე.**

პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო გეგმა.

№№	ს ა გ ნ ე ბ ი	სემესტრები [1])			
		1	2	3	4
	ზოგადი განათლების საგნები.				
1	ქართული ენა ენათმეცნიერებითურთ.	×	—	—	—
2	სიტყვიერება (მშობლ. და მსოფლიო)	×	×	×	×
3	რუსული ენა	×	×	×	×
4	მათემატიკა.	×	×	—	—
5	ფიზიკა	×	×	—	—
6	ქიმია.	×	×	—	—
7	გეოლოგია.	×	×	—	—
8	ბიოლოგია	×	×	—	—
9	სოციოლოგია	×	×	—	—
10	პოლიტიკური ეკონომია	×	×	—	—
11	ისტორიული მატერიალიზმის თეორია	—	—	×	×
12	სწავლა სახელმწ. წესწყობილებასა და საბჭ. კონსტ.	—	×	—	—
13	საქართველოს ეკონომ. გეოგრაფია.	×	—	—	—
14	ზოგადი და სახ. განათლების სტატისტიკა	—	—	—	×
15	ხელოვნება (ხატვა-ძერწვა, გალობა)	×	×	—	—
16	სასოფლო-მეურნეობის ენციკლოპედია	×	×	×	—
17	პრაქტიკული აგრონომია	—	×	×	×
18	ზოგადი და ექსპერიმენტალ. ფსიქოლოგია	×	×	—	—
19	ბავშთა ფსიქოლოგია	—	—	×	—
20	პედაგოგ. იდეათა ისტორია და თანამედრ. პედაგოგიური საკითხები	×	×	—	—
21	მანქანათმეცნიერება (машиноведение)	—	—	×	—
22	პედოლოგია.	—	—	×	—
23	შრომისა და წარმოების ორგანიზაცია	—	—	×	—
24	სოციალ. აღზრდის ძირითადი პრინციპები	—	—	×	—
25	შრომის სკოლა	—	—	×	×
26	დეფექტიურ ბავშთა აღზრდა	—	—	—	×
27	მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვა	—	—	—	×
28	სასკ. ჰიგიენა სანიტარიითურთ	—	—	—	×

[1]) საათების რიცხვის ნაცვლად ჯერჯერობით მხოლოდ ჯვრებია მოთავსებული, რადგან სქემა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის.

№№	ს ა გ ნ ე ბ ი	სემესტრები			
		1	2	3	4
	მეთოდიური საგნები.				
29	სკოლ. ჰასაკ. დაწესებულ. მუშაობის	—	—	×	—
30	სკოლის გარეშე (სამ. კლუბი, სტუდ. და სხვ.) მუშაობის	—	—	—	×
31	კომპლექსური მეთოდი	—	—	×	—
32	დალტონის გეგმა	—	—	—	×
33	თხრობა და საბავშო კითხვა	—	—	—	×
34	მეთოდიკა ენის	—	×	×	—
35	„ მათემატიკის	—	×	×	—
36	„ ბუნებისმეტყველ. და ფიზიკის	—	×	×	—
37	„ საზოგადო საგნების	—	—	×	—
38	„ გეოგრაფიის	—	—	×	—
39	„ ხატვა-ძერწვ. და ხელგარჯილობის	—	—	—	×
40	„ ესთეტიური აღზრდის	—	—	—	×
41	„ ფიზიკური	—	—	—	×
42	პრაქტიკული ვარჯიშობა სკოლებსა და ბაღებში	—	—	×	×

სკოლის ასაკამდე აღზრდის კურსების სასწავლო გეგმა

(ერთი წლის კურსი)

ს ა ბ ნ ე ბ ი	ტრიმესტრები		
	1	2	3
I სოციალურ-ეკონომიური ციკლი:			
1. საქართველოს სოც. ს. რესპ. კონსტიტუცია	—	2	—
2. დასავლეთ ევროპასა და რუსეთში რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორია, კაპიტალიზმი და პროლეტარ. რევოლიუცია	—	2	—
3. პოლიტიკური ეკონომია	2	2	—
4. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია	2	—	—
II წარმოებითი ციკლი:			
1. სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედია	4	2	—
2. ბაღში, ბოსტანში, ტყეში, მინდორზე და სხვაგან ბავშებთან ბუნების შესასწავლი სამუშაოები	2	2	2
III პედაგოგიური ციკლი:			
1. პედაგოგიური იდეების ისტორია	2	2	—
2. ნორჩი ასაკის პედოლოგია	2	—	—
3. სკოლის ასაკამდე აღზრდის თანამედროვე იდეები	—	2	—
4. ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია	2	2	—
5. საბავშო ფსიქოლოგია	2	2	—
6. საბავშო პატოლოგია	—	—	2
7. ბავშის ორგანიზმის ანატომია და ფიზიოლოგია ჰიგიენასთან დაკავშირ	2	2	—
8. სწავლება შრომის სკოლაზე	—	2	—
9. ესთეტიური აღზრდა	—	2	—
10. ფიზიკური აღზრდა	—	2	—
11. საბავშო სახლები	—	2	—

ᲗᲐᲒᲜᲘᲗᲘ	ტრიმესტრები		
	1	2	3
IV მეთოდიური ციკლი:			
1. ნორჩი ასაკის ბავშვებთან მუშაობის ძირითადი პრინციპები და მეთოდები	2	—	—
2. ხატვა ნორჩი ასაკის ბავშვებთან	—	2	2
3. ძერწვა	—	2	2
4. ხელგარჯილობა და შრომის პრინციპები სასკოლო ასაკამდე ბავშვებთან	2	2	2
5. მუსიკა და გალობა ნორჩი ასაკის ბავშვებთან	—	2	2
6. თამაშობანი და სათამაშოები	—	2	2
7. თხრობა და წიგნის მნიშვნელობა სასკ. ასაკ. აღზრდაში	—	2	2
8. კითხვა, წერა და ანგარიში, სკოლის ასაკ. აღზრდ. დაწესებულ	—	—	2
9. ბავშის ბუნების თანდათანობითი გაცნობა	2	2	2
10. დღიურები	—	2	2
V საორგანიზაციო ციკლი:			
1. სასკ. ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა ორგანიზაცია (იმ დაწესებულებებისაც, რომელნიც სკოლებთან არსებობენ სასწავლო ნივთებით და ავეჯით მოწყობა, ადმინისტრატიული მხრის მოწესრიგება, საბავშო ბაღის პროექტის შედგენა და სხვა	—	2	2
2. პრაქტიკა სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში	—	2	12
3. სასკოლო ბაღი	—	—	2

სარედაქციო კოლეგია.

I მთავარი კოლეგია:

დავით კანდელაკი
მარიამ ორახელაშვილი—მცირე კოლეგიის გამგე
მიხეილ ოკუჯავა
სუსანა შავერდოვა გან. მუშ. პროფ. კავშირის წარმომადგენელი
რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა—პასუხისმგებელი მდივანი
გრიგოლ ნათაძე
პროფ. გიორგი გეხტმანი
თამარ ბებურიშვილი
ლევ ჰეკერი
გიორგი ლევიტაკი
ალექსანდრე მიქაბერიძე—ოფიციალური განყოფილების გამგე

II მცირე კოლეგია:

მ. ორახელაშვილი
გ. ნათაძე.
პროფ. გ. გეხტმანი.
რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა

ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი და გამგე:
რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.

ჟურნალის ტექნიკური მდივანი: ზ. კლიმიაშვილი.

მისამართი: ტფილისი. სახალხო განათლების. კომისარიატი.

„ редакция ჟურნალის „ახალ სკოლისაკენ“

შინაარსი

ლენინის გარდაცვალების გამო—ლ. ტროცკი . . V
ლენინის ბიოგრაფია—გაზეთებიდან . . . VIII
სახალხო მასწავლებელმა უნდა გაამართლოს ილიჩის ნდობა—მარ. ორახელაშვილი . XVIII
ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლაში—მარ. ორახელაშვილი . XX
ნ. კრუპსკაიას წერილი XXIII

სარედაქციო კოლეგიისაგან . . . 3
პირველი ნომრის შესახებ . . . 11
სასკოლო რეფორმის გარშემო—დ. კანდელაკი . . 21
შრომის სკოლის შესახებ—მარ. ორახელაშვილი . . 38
მასწავლებლების ორგანიზაცია ადგილებზე—მარ. ორახელაშვილი 46
განათლების მუშაკთა მომზადება გ. ნათაძე . . 51
სასკოლო მუშაობა ასაკის მიხედვით—რ. ნიკოლაძე-პოლიეექტოვისა 58
შრომის პრინციპი ახალ სკოლაში—თ. ბებურიშვილი . 65
კომპლექსური მეთოდის შესახებ—ნ. ელჩანინოვი . 73
კომპლექსური მეთოდის გამოყენების შესახებ- ნ. ელჩანინოვი 92
სანიმუშო კომპლექსი „გლეხის კარმიდამო"—ნ. ელჩანინოვი . 97
პროგრამების დამუშავება შრომის სკოლაში—რ. ნიკოლაძე-პოლიეექტოვისა 101
ახალ სახელმძღვანელოთა შესახებ—რ. ნ. . . 109
მოწაფეთა თვითმართველობა—თ. ბებურიშვილი . . 110
საკრებულო მუშაობა ახალ სკოლაში—ო. პროცენკო . 117
საზოგადოებათმეცნიერება ოთხწლიან სკოლაში—გ. ნათაძე 122
ოხრობა ახალ სკოლაში—ნ. კობლოვსკაია . . 140
სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ—ე. წულუკიძე . 144
სასკოლო ბაღების შესახებ—რ. ნ. . . 146
სახელმძღვანელოდ საბავშო ბაღებსა და სახლებში—ციკლიარული წერილი 149
სკოლის ასაკამდე საბავშო ბაღებში მუშაობის პროგრამა . 174

ბიბლიოგრაფია

ახალი სკოლის ბიბლიოგრაფია—პროფ. გ. გეხტმანი 180
ლ. სინიცკის „ბრომის სკოლა“—პროფ. გ. გეხტმანი 183
დალტონის გეგმა—პროფ. გ. გეხტმანი 185
ვ. ნატალი „ბუნებისმეტყველება ახალ სკოლაში“—ნ. ელჩანინოვი 191
კრებული „საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში“ გ. ნათაძე 200
მხარეთმეცნიერება—პროფ. მ. პოლიევქტოვი 206
ფ. კრასიკოვი—„ფიზიკის გამარტივებული ხელსაწყოები“ ა. ბალაბუევი 213
რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა „მათემატიკა პაწიებისათვის“ გ. კონიაშვილი 217

ქრონიკა

მასწავლებულთა გადასამზადებელი საზაფხულო კურსების მიმოხილვა—გ. ლევიცკი 222

კურსების გამგეების ანგარიშებიდან:

მანგლისის კურსები—მეთოდიური მხარე—ს. ბერეჟიანი 232
ლეჩხუმის მაზრის კურსები—ექსკურსიები—ო. სანიკიძე—ვოლობუევისა 241
ახალქალაქის კურსები—ახალი გზებით მუშაობა—მ. ხრის ჯოლიუბოვი 252
ხაზაფხულო კურსები—შთაბეჭდილება—ვ. მამელოვი 272
საცდელ-საჩვენებელი სკოლები—გ. ჭუმბურიძე 276
ადგილობრივ სკოლებისათვის—რ. ნ. 280
მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა—ს. კარაბინოვა 283
უპატრონო ბავშვებზე ზრუნველობა—ნ. ხუმარიანი 301
უპატრონო ბავშთა ძრაობა საქართველოში 309
საქართველოს მასწავლებელთადმი მოწოდება 312
რუსეთის სკოლები—რ. ნ. 314
მოსკოვის და პეტროგრადის სკოლები—ი. მელიქ შახნაზაროვი 315
ბავშვების თვითმართველობა მოსკოვის სკოლა-კომუნაში—ო. პროცენკო 327
ბავშვების კონფერენცია მოსკოვში—ს. კარაბინოვა 335
სხვადასხვა 342

ოფიციალური ნაწილი

ს. ხ. ს. რ. საბალხო განათლების კომისარიატის აგენტულობა. 347
ცირკულიარები და დადგენილებანი 348—393
სასკოლო ბრდადეგების შესახებ—მარ. ორახელაშვილი 375
პედაგოგიური ინსტიტუტის შესახებ—მარ. ორახელაშვილი. 381
ჟურნალის რედაქცია 394

საბავშო წიგნები.

ნაკადული 1921 წ. და 1922 წ. №№. თითო წიგნი	15 ₰
ჯეჯილი 1921 წ. და 1922 წ. №№ „ „	25 „
ნორჩი ძალა—კრებული	15 „
შიო მღვიმელი—სამი ამბავი	10 „
დ. დონდუა--კოკროჭინა	10 „
„ ბელა-ბეკეკა	10 „
შემოდგომა—ფერადსურათებიანი წიგნი	70 „
დედაბერი, ტურა და მელია-კუდაგძელი	50 „
ქუჩაშვილი—ბავშების ლექსები	20 „
მამინ სიბირიაკი - ტყის ზღაპარი—თარგმ.	20 „
შიო ძღვიმელი—ტყის სურათები	25 „
ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი	30 „
თავისუფალ ბავშთა სიმღერები	2 „
ალ. მიქაბერიძე—ტროადის ომი	80 „
ალ. მირიანაშვილი—იგავარაკნი	30 „
საბავშო პიესათა კრებული	70 „
ლ. ტოლსტოი—ივანე სულელი-ზღაპარი	15 „
მეტერლინკი-ლურჯი ფრინველი	50 „
ნაკადული—1921 წ. თითო №	25 „
ჯეჯილი—1923 წ. თითო წიგნი	40 „
ზამთარი-ფერადი სურათებით	50 „
უძველეს დროის ბავშის თავგადასავალი	45 „
როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან	25 „
ზღვის სიმდიდრე	
რას გვიამბობს ოთახი	20 „
ალ. მიქაბერიძე—ოვიდიუსის მეტამორფოზები	
გოგლიჩიძე—მოძრავი თამაშობანი-სიმღერებით	